საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
«ვეფხისტყაოსნის» აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი

# რუსთველოლოგიური ლიტერატურა

IV

1967-1980 წწ.

ანოტირებული ბიბლიოგრაფია

# RUSTVELOLOGICAL LITERATURE

**IV**

**1967-1980**

**Annotated Bibliography**

თბილისი
2009

უაკ (UDC)

კრებულში წარმოდგენილია 1967-1980 წლებში გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია. იგი განკუთვნულია რუსთველოლოგებისა და ქართული ლიტერატურით დაინტერესებულ პირთათვის.

წიგნი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა
გიორგი არაბულმა

რედაქტორი — აკად. თამაზ გამყრელიძე

© გ. არაბული, 2009

ISBN

# წინასიტყვა

ეს წიგნი გაგრძელებაა ბიბლიოგრაფიული სერიისა, რომელსაც საფუძველი დაუდო ცნობილმა რუს-თველოლოგმა გაიოზ იმედაშვილმა კაპიტალური ნაშრომით „რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712-1956 წლები" (თბ., 1957). სერიის მეორე ტომი 2002 წელს დაიბეჭდა. მასში შევიდა 1957-1965 წლების რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია (წიგნი გამოსაცემად მოამზადა გ. არაბულმა, რედაქტორები – მ. კარბელაშვილი და ნ. სულავა). 2004-2005 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებისა და „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თანამშრომლებმა ბორის დარჩიას ხელმძღვანელობით შეადგინეს მესამე ტომი, რომელიც მოიცავს 1966 წელს. იგი ჯერჯერობით ხელ-ნაწერის სახით დევს, რომელიმე გულმოწყალე სპონსორ-გამომცემლის იმედით.

წინამდებარე IV ტომში თავი მოვუყარეთ 1967-1980 წლებში გამოქვეყნებულ რუსთველოლოგიურ ლიტერატურას. მისი ანოტირება დაწყებული იყო „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში 1980-იან წლებში. მასზე ჩვენთან ერთად მუშაობდნენ „კომისიის" მეცნიერი თანამშრომ-ლები: ნანა გურაშვილი, ციცინო ელისაბედაშვილი, ირაკლი კობიძე, ნინო მაქაძე, თინა ნახუცრი-შვილი, ნინო რამიშვილი და თამარ ტაბიძე. მაშინ ამ მასალის აღნუსხვა და ანოტირება ხდებოდა ე.წ. შიდასაუწყებო მოხმარების მიზნით — „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის მეცნიერულ-კრიტკულად დადგე-ნისა და მისი კომენტარის მომზადებისას გამოსაყენებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე სრული და ყოვლისმომცველი ბიბლიოგრაფია არ კეთდებოდა, ყურადღებას უფრო ტექსტოლოგიური თვალსაზ-რისით საჭირო კრიტიკულ და ანალიტიკურ მასალას ვაქცევდით.

მაშინდელი მონაპოვრიდან ამ კრებულში შესატანად ვარგისი აღმოჩნდა დაახლოებით ორასი სტა-ტია-ანოტაცია. ბეჭდურად გამოქვეყნებისთვის მაინც აუცილებელი გახდა მათი ხელახლა დამუშავება, წყაროებთან შეჯერება, რედაქტირება და წიგნისათვის შესაფერის სტილში მოქცევა.

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ბორის დარჩიას შედგენილი ჰქონდა 1967-68 და 1971 წლებში გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, სადაც აღნუსხული იყო 280-მდე ერთეული (წიგნი, წერილი, რეცენ-ზია და სხვ.). როდესაც ამ წიგნის მომზადება დავიწყეთ, მან გამოსაყენებლად გადმოგვცა აღნიშნული მასალა. მასში 86 ერთეული ანოტირებული იყო. მანვე გვათხოვა საკუთარი ბიბლიოთეკიდან სხვადა-სხვა წლების სამეცნიერო კონფერენციების მოხსენებათა თეზისების 30-მდე კრებული, რომლებსაც ქ. თბილისის ბიბლიოთეკებში ვერ მივაგენით. ამ კოლეგიალური თანადგომისათვის ბ-ნ ბ. დარჩიას გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

წინამდებარე ტომისთვის გამოყენებული სხვა წყაროები მოძიებული და ანოტირებულია ჩვენ მიერ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში.

ცხადია, რუსთაველსა და მის თხზულებაზე უამრავი და სხვადასხვა რიგის ნაბეჭდი მასალა არსე-ბობს ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც. „ვეფხისტყაოსანი" მსოფლიოს ხალხების მრავალ ენაზე ითარგმნა და მის შესახებ კიდევ უფრო ბევრი დაიწერა. ჩვენი მიმოხილვის ობიექტი ძირითადად საქართველოს რესპუბლიკაში გამოსული ნაბეჭდი პროდუქცია იყო. უცხოეთში გამოქვეყნებული მასალა მოიპოვეს, მისი ბიბლიოგრაფია და ზოგი ტექსტის ქართული თარგმანიც დაბეჭდეს თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის რუსთველის კაბინეტის თანამშრომლებმა პროფ. ლევან მენაბდის ხელმძღვანელობით (იხ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში", I-IV ტ., თბ., 1976-1988). ეს წიგნები მკითხველისათვის ხელმისაწვდომია. იქ დაბეჭდილი მასალიდან ჩვენს მცირეტირაჟიან გამოცემაში ჩავრთეთ მხოლოდ ის ავტორები, რომელთაც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით რუსთაველის თხზულების თარგმნასა და მის პოპულარიზაციაში. შევიტანეთ აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" საზღვარგარეთული გამოცემები. რაც უშუალოდ ვნახეთ, მათ შესახებ წარმოდგენილია უფრო სრული მონაცემები, ვიდრე აქამდე გამოცემულ საძიებლებშია (ვ. ჩაჩანიძე, „ვეფხისტყაოსანი" მსოფლიოს ხალხთა ენებზე, თბ., 1980; „ვეფხის-ტყაოსნის" გამოცემები, ბიბლიოგრაფიული საძიებელი, რედ. ლ. მენაბდე, თბ., 1992).

ვფიქრობთ, წიგნში იბეჭდება ფილოლოგებისათვის საჭირო და საინტერესო ინფორმაცია. შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილემ, რომელიც იუნესკოს ეგიდით ჩატარდა 1966 წელს, ახალი

ბიძგი მისცა „ვეფხისტყაოსნის" უცხო ენებზე თარმნასა და სხვადასხვა ასპექტით მის კვლევას. თვით საქართველოს რესპუბლიკაში, ამ ტომით მოცულ პერიოდში, უფრო ინტენსიური გახდა და ხარისხობრივადაც გაუმჯობესდა „ვეფხისტყაოსნის" როგორც ტექსტოლოგიური, ისე ფილოსოფიურ-ესთეტიკური, ფსიქოლოგიური და მხატვრული ასპექტებით ანალიზი.

პოემის ხელნაწერების ენობრივ-ტექსტოლოგიური და რედაქციული შესწავლისათვის საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა ა. შანიძის, ს. ცაიშვილის, მ. კარბელაშვილის, ბ. დარჩიას, ი. გიგინეიშვილის, გ. კარტოზიასა და ალ. ჭინჭარაულის წიგნებსა და პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილ ნარკვევებს.

1973 წელს გამოქვეყნდა კრებული „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში". მასში შედის აკად. გ. წერეთლის გამოკვლევა ამავე სათაურით, რომელმაც მყარი საფუძველი შექმნა „ვეფხისტყაოსნისა" და საერთოდ ქართული ვერსიფიკაციის შესწავლისათვის. რუსთაველის თხზულების მეცნიერულ-კრიტიკული ვარიანტის მოსამზადებლად სისტემატურად მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია. მთავარი რედაქციის მუშაობის ამსახველი ოქმები იბეჭდებოდა მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში" (ენისა და ლიტერატურის სერია).

1970-იან წლებში გამოვიდა ალ. ბარამიძის „ნარკვევების" V, VI, VII ტომები, სადაც დიდი ადგილი უკავია რუსთველოლოგიურ ნაშრომებს.

რუსთაველის მსოფლმხედველობის კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვ. ნოზაძის, ე. ხინთიბიძის, მ. გიგინეიშვილის, გ. თევზაძისა და პ. შარიას შრომებმა.

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ყოველწლიურად გამოსცემდა კრებულს „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები", სადაც „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებული არა ერთი პრობლემაა დაყენებული და კვალიფიციურად განხილული.

ამ პერიოდში „ვეფხისტყაოსნის" პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია ე. წ. სასკოლო გამოცემა, ნ. ნათაძის განმარტებებით (1974 წ.), მ. წერეთლისეული რედაქცია (პარიზი, 1977 წ.), ჰ. ბუდენზიგის (გერმანული), გ. ბოტაროს (ესპანური), ვ. ურუშაძის (ინგლისური), გ. ბესთაუთის (ოსური), მ. ლასურიას (აფხაზური), ა. ჯავადის (აზერბაიჯანული), ბ. გაპონოვის (ებრაული) პოეტური თარგმანები.

კრებულის ბოლოს, „დამატებაში" იბეჭდება ის ანოტაციები, რომელიც სხვადასხვა მიზეზით ვერ შევიდა ბიბლიოგრაფიის I და II ტომებში. უპრიანი იქნებოდა, ეს მასალა III ტომს დართვოდა, მაგრამ მისი გამოცემის საკითხი ჯერ გაურკვეველია. ამიტომ კიდევ დაყოვნებას ამ ტომში შეტანა ვარჩიეთ.

ამ „დამატებაში" საყურადღებოა ევროპის ქვეყნებში რუსთაველის პირველი იუბილეს გამოძახილის ამსახველი წერილები და ინფორმაციები 1937-38 წლების ქართულ ემიგრანტულ პერიოდიკაში. ადრე ეს მასალა აქაური მკვლევარებისათვის ხელმიუწვდომელი იყო. მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულში გახდა შესაძლებელი მისი გაცნობა პროფ. გ. შარაძის მიერ მოძიებული და ჩამოტანილი კერძო კოლექციების ბაზაზე გახსნილ „ქართული ემიგრაციის მუზეუმში".

ამ ნაწილში ანოტაციები დალაგებულია ავტორების მიხედვით, ამიტომ წყაროების პუბლიკაციის ქრონოლოგია მასში დაცული არაა.

სამწუხაროდ, კვლავ დაუდგენელია „ვეფხისტყაოსნის" ავტორის გვარწოდების დაწერილობის საკითხი: „რუსთველი" თუ „რუსთაველი"? ჩვენ ვცდილობდით, დაგვეცვა ის ფორმა, რომელსაც ესა თუ ის ავტორი ან გამომცემელი ხმარობს. ასეთივე მდგომარეობაა პოემის სათაურის დაწერილობაში; ზოგი მას ბრჭყალებში სვამს, ზოგიც მის გარეშე წერს, როგორც საყოველთაოდ ცნობილ საკუთარ სახელს. ჩვენ არ გვქონდა უნიფიცირების უფლება და ამ კრებულში ორივე დაწერილობა დავტოვეთ.

ანოტაციებს მიწერილი აქვს შემსრულებელთა გვარ-სახელის ინიციალები და მათი სიაც აქვეა წარმოდგენილი.

„დამატებაში" ანოტირებულ ნაშრომთა ავტორები შედიან საერთო საძიებლებში პირობითი ნიშნით — „დ".

ყველა საქმიან შენიშვნას მადლიერების გრძნობით მივიღებთ, იმის შეგნებით, რომ სასიკეთოდ გამოადგება ვინც ამ ბიბლიოგრაფიას გამოიყენებს და იმასაც, ვინც ამ საქმის გაგრძელებას იკისრებს.

გ. არაბული
25.03.2009.

## ანოტაციების ავტორთა ინიციალები

გ. ა. — გიორგი არაბული
ნ. გ. — ნანა გურაშვილი
ბ.დ. — ბორის დარჩია
ც. ე. — ციცინო ელისაბედაშვილი
ი. კ. — ირაკლი კობიძე
ნ. მ. — ნინო მაქაძე
თ. ნ. — თინა ნახუცრიშვილი
ნ. რ. — ნინო რამიშვილი
თ. ტ. — თამარ ტაბიძე

## წიგნში გამოყენებული შემოკლებანი

არს. — არსებითი
გაზ. — გაზეთი
დ. — დამატება
ელს — ენისა და ლიტერატურის სერია
ვტ. — „ვეფხისტყაოსანი“
ვტ-ის — „ვეფხისტყაოსნის“
კრებ. — კრებული
ლიტ. — ლიტერატურის, ლიტერატურული
მაცნე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების მაცნე
ჟურ. — ჟურნალი
საბა – სულხან-საბა ორბელიანი
სახ. — სახელი, სახელობის, სახელმწიფო
ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

## 1967 წელი

**1. В. Абаев**

### Вокруг поэмы “Витязь в барсовой шкуре”

თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 118, თბ., 1967, გვ. 35-38.

ავტორი უპასუხებს ა. შანიძის შენიშვნას, რომ მან (ვ. აბაევმა) მოხსენებაში „ვეფხისტყაოსნის“ ფოლკლორული საფუძვლის შესახებ“ დუმილით აუარა გვერდი პოემის პროლოგის მე-9 სტროფს: „ესე ამბავი სპარსული...“. მკვლევარი სვამს კითხვას: ნუთუ რეალობას ასახავს ეს სტრიქონები, ანუ პოემა მართლა სპარსულიდან თარგმანს წარმოადგენს?

ამ საკითხზე არსებულ მოსაზრებათა განხილვის შემდეგ ვ. აბაევი წერს: ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ სპარსულ მწერლობაში არ აღმოჩნდა ისეთი თხზულება, რომელიც შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალად ან წყაროდ, და მეორე მხრივ ის, რომ მთავარი სიუჟეტური კვანძი, დაკავშირებული ქაჯებსა და ქაჯეთის ციხესთან, სავსებით ეროვნული ხასიათისაა და ფართო ანალოგიები დაეძებნება ქართველ და კავკასიის სხვა ხალხთა ფოლკლორში, — ეს ორი გარემოება პოემის ორიგინალურ ქმნილებად მიჩნევის სასარგებლოდ მეტყველებს.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ რუსთველი არ ახსენებს ქრისტეს ან ღვთისმშობელს; მეორე მხრივ, ქაჯთა სახით პოემაში მძლავრ ნაკადად შევიდა ხალხური წარმართული დემონოლოგია. ერთიცა და მეორეც შეუფერებელი იყო ქრისტიანი ავტორისათვის. მას კეთილგანწყობის იმედი არ უნდა ჰქონოდა ეკლესიის მხრიდან. ასეთი პოემა ვერ გავრცელდებოდა, თუკი ის არ იქნებოდა შენიღბული „თარგმანის“ ან გადმოკეთებულის სახელით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამით აიხსნება როგორც პროლოგში მე-9 სტროფის გამოჩენა, ისე პოემის მთელი გარეგნული მხარე, შეგნებულად ორიენტირებული ეგზოტიკურ აღმოსავლეთზე. გ. ა.

**2. ირაკლი აბაშიძე**

### თვალწინ მიდგას

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 12 მაისი, № 20, გვ. 3.

ავტორი ახასიათებს აკაკი შანიძის რუსთველოლოგიურ ღვაწლს, ჩამოთვლის მის ნაშრომებს, იგონებს მის მონაწილეობას იერუსალიმის ექსპედიციაში; ერთგან წერს: „როგორც საიუბილეო გამოცემის ტექსტის დადგენის დროს, ისე აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში აკაკი შანიძის მეცნიერული აზრი ფასდაუდებელია. ყველა მისი დასკვნა ტექსტის ამა თუ იმ, ჯერ კიდევ მეცნიე-

რულად გაურკვეველი და დაუმტკიცებელი ადგილის ნათელყოფაში დიდად საყურადღებო და დამაჯერებელია, იქამდე, კონიექტურაც კი“. ბ.დ.

3. ირაკლი აბაშიძე

### ჩვენი დღესასწაული

გაზ. „რუსთაველის დღე“, 1967, 30 სექტემბერი, გვ. 1.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი გავიდა მსოფლიო ლიტერატურის არენაზე, რაშიც განსაკუთრებული როლი 1937 და 1966 წლების რუსთაველის იუბილეებმა შეასრულეს. შარშან გადაწყდა და ამიერიდან პოეზიის დღეს «რუსთაველის დღეს» ვუწოდებთ, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება საერთო სახალხო დღესასწაულად საქართველოში. ბ.დ.

4. ვახტანგ აბაშმაძე

### ქართული რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგია

ჟურ. „მნათობი“, 1967, №12, გვ. 150-158.

ავტორი იკვლევს ქართული რენესანსის ბუნებას ფეოდალური საქართველოს აღორძინების ეპოქის პოლიტიკურ იდეოლოგიასთან კავშირში და ცდილობს მისი შინაარსის განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორების გამოვლენას.

ავტორი განიხილავს რა დავით აღმაშენებლის, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ იდეოლოგიასა და მესამე წოდების პოლიტიკურ მოძღვრებას, საგანგებოდ ჩერდება „ვეფხისტყაოსანზე“, სადაც, მისი აზრით, საზოგადოებრივი სოლიდარიზმის სრულიად ორიგინალურ მოძღვრებაა გადმოცემული.

ავტორის აზრით, რენესანსული პოლიტიკური იდეოლოგია შოთა რუსთაველთან გადმოცემულია მოძღვრებებით, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია თეორია ე. წ. „მართალი სამართლისა“. ბუნებითი სამართლის მოძღვრებიდან (რაც „მართალი სამართლის“ აღნიშვნელი ქართული სპეციფიკური ცნებაა) რუსთაველი აკეთებს ფეოდალური საზოგადოებისათვის ახალ, რევოლუციურ დასკვნას ქვეშევრდომთა აჯანყების უფლების შესახებ. იხ. აგრეთვე, ვ. აბაშმაძე, „მართალი სამართლის“ ცნება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებაში. (თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 119, თბ., 1967, გვ. 185-205.) გ. ა.

5. იუსტინე აბულაძე

### რუსთველოლოგიური ნაშრომები

კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა იოსებ მეგრელიძემ, რედაქტორი დ. კობიძე.
თსუ-ს გამომცემლობა, 1967, 364 გვ.

კრებული შეიცავს პროფ. იუსტ. აბულაძის ძირითად რუსთველოლგიურ ნაშრომებს: „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის გამო (1903 წ.); მოსე ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო (1910 წ.); ს. კაკაბაძის რეფერატის გამო (1913 წ.); „ვეფხისტყაოსნის“ 22-ე გამოცემის შესავალი წერილი – რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ (1914 წ.); შესწორებანი და შენიშვნები „ვეფხისტყაოსნის“ 22-ე გამოცემის შესახებ (1917 წ.); XII ს-ის ქართული საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“ (1923); „ვეფხისტყაოსნის“ 26-ე გამოცემის წინასიტყვაობა და შენიშვნები (1926 წ.); „ვეფხისტყაოსნის ორი გმირის სახელის „ტარიელ“ და „ავთანდილ“ ეტიმოლოგიისათვის (1936 წ.); „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ვითარება ვახტანგის რედაქციასთან დაკავშირებით (1936 წ.) და სხვ.

კრებულში დაბეჭდილია რუსთველის პოემის 1926 წლის გამოცემის ლექსიკონი (გვ. 286-341) და სიტყვათა საძიებელი (სომხური, არაბული, სპარსული, თურქულ-ოსმალური, ბერძნული და ლათინური წარმოშობის სიტყვებისა). წიგნს ერთვის შემდგენლის „წინასიტყვაობა“ (გვ. 5-6), საკუთარ სახელთა და ტერმინების საძიებელი (გვ. 356-361).

ყველა ნარკვევი ანოტირებულია გ. იმედაშვილის მიერ; იხ. მის წიგნში: რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957 წ. გ. ა.

6. დ. აგიაშვილი

ვეფხისტყაოსანი ებრაულ ენაზე
(ქუთაისელ ბორის გაპონოვის თარგმანის პირველი ჭაშნიკი)

გაზ. „კომუნისტი“, 1967, 7 თებ., № 32, გვ. 3; „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1967, №16 თებ., გვ. 3.

ავტორი იუწყება, რომ ბორის გაპონოვმა, რომელიც ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მრავალტირაჟიან გაზეთ „ლენინელის“ რედაქციაში მუშაობს, შარშან ნოემბერში დაასრულა ებრაულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა. 1966 წლის 30 დეკემბერს ტელ-ავივის გაზეთ „ყალ ჰამიშმარის“ („სადარაჯოზე“) დამატებაში, „ლიტერატურისა და ხელოვნების ფურცელში“, დაიბეჭდა პოემის მისეული თარგმანის 16 სტროფი („ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა“). მას ახლავს ს. ქობულაძის ნახატი რუსთველის პორტრეტი და ანოტაცია „ამბავიდან ამბავადმე“, სადაც ბ. გაპონოვი აღნიშნავს, რომ თარგმნისას შეინარჩუნა „უძველესი კლასიკური ებრაული ენის ზოგიერთი თავისებურება“. ბოლოს ნათქვამია: „ამ დღეებში ბ. გაპონოვმა ჟურნალისტსა და გამომცემელს ა. შლიონსკის ტელ-ავივში გადაუგზავნა პოემის 700 სტროფი, მალე კი მთელ პოემას გაგზავნის“. იქვეა დაბეჭდილი ბ. გაპონოვის პორტრეტი და აღნიშნული გაზეთის დამატების ფოტოსურათი. ბ.დ.

7. მიხეილ ალავიძე

ეტიმოლოგიური დაკვირვებანი
„მროველი“, „რუსთველი“, „რიონი“

გაზ. „ქუთაისი“, 1967, 9 აგვისტო, №156, გვ. 3-4.

ავტორი განიხილავს რუ(ვ) ძირიდან წარმოქმნილ სიტყვა-ფორმებს. აღნიშნავს, რომ რუს სპარსულიდან მომდინარედ მიიჩნევენ. ძველ ქართულში ის იხმარებოდა რუვი ფორმით. ადგილის სახელიდან რუისი/რუვისი უნდა წარმოქმნილიყო რუველი. ასეთი ფორმა გვაქვს, ოღონდ მ – პრეფიქსის დართვით: მ-რუ-ელ-ი. მისი შემდგომი ვარიანტია მროვ-ელ-ი.

რუი-ს და თავი-ს შეერთებით წარმოიშვა ადგილის სახელი რუისთავი→რუსთავი, მისგან კი — წოდება რუსთაველი, რომლის შეკუმშული ფორმებია: რუსთველი, რუსთველური და სხვ.

ტოპონიმი და მდინარის სახელი რიონიც რუ-დან წარმომდგარად მიაჩნიათ (გ. მელიქიშვილი). მასში რუვ ძირს ემატება ოვან სუფიქსი: რუვოვანი→რუოანი→რიონი (მნიშვნელობა: რუებიანი, მრავალ რუსაგან შემდგარი). გ. ა.

8. ლია ანდღულაძე

ჩვენი კულტურის მეგობარი

გაზ. „თბილისი“, 1967, 19 ივნისი, № 142, გვ. 3.

კ. ბალმონტის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ წერილში ავტორი მოგვითხრობს კ. ბალმონტის ქართული კულტურის წინაშე დამსახურებაზე, საქართველოში მის ჩამოსვლასა და მასთან შეხვედრებზე. ბოლოს ნათქვამია, რომ რუსთველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავ სახალხო დღესასწაულზე საქართველოში ჩამოვიდა მისი ქალიშვილი ნინო ბრუნი და აქ „ნანახმა და ნაგრძნობმა ისიც მამასავით მოიყვანა აღტაცებაში“. ბ.დ.

**9. Л. Андгуладзе**

**“Восхищенный страной золотого руна”...**

გაზ. “***Вечерний Тбилиси***”, 1967, 15 ივნისი, №139, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს კ. ბალმონტის საქართველოში სამივე ჩამოსვლაზე – თბილისსა და ქუთაისში მოწყობილ შეხვედრებზე, მაშინდელი პრესის გამოხმაურებაზე. ბ.დ.

**10. Л. Андгуладзе**

**В стране волшебного песнопения**

ჟურ. "*Лит. Грузия*", 1967, № 6, გვ. 62-65.

წერილი ეხება კ. ბალმონტის პირველ ჩამოსვლას საქართველოში (1914 წ.) და მის პატივსაცემად მოწყობილ შეხვედრებს თბილისსა და ქუთაისში. ესაა კ. ბალმონტზე ლია ანდღულაძის ვრცელი შრომის ერთი ნაწილის თარგმანი (იხ. ქართულად მისივე „ბალმონტი და საქართველო", თბ., 1972, ანოტ. 469).

ამავე ჟურნალის 66-71 გვერდებზე დაბეჭდილია ნაწყვეტები კ. ბალმონტის წერილებიდან სათაურით : „Грузия – золотая страница сердца...". გ. ა.

11. ნ. ანტონოვა

შეჯამდა კონკურსის შედეგები

გაზ. „თბილისი", 1967, 6 მაისი, № 105, გვ. 3.

ავტორი წარმოგვიდგენს საქართველოს განათლების სამინისტროსა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მიერ რუსთველის საიუბილეოდ მოწყობილი კონკურსის გამარჯვებულ მოსწავლეებს „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ კითხვაში, რუსთველისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსის შექმნაში, ინსცენირებაში „ქაჯეთის ციხის აღება", რუსთველისადმი მიძღვნილი ფერადი მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღებაში, ჭედურობაში და ა. შ. ბ.დ.

12. გიორგი არაბული

როგორ გავიგოთ „მზისა წვერვა"?

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნიერო სესია, , თბ., 1967, თეზისები, გვ. 8.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის" 698-ე სტროფის მესამე ტაეპის — „ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა" — რამდენიმე განმარტება არსებობს, მაგრამ დამაჯერებლად დასაბუთებული არც ერთია. ვახტანგ VI ამ ტაეპის მეტაფორულ აზრს ასე ხსნის: „კაცი რომ მზის შუქს ჰკოცნიდეს, რა მზის კოცნა არისო", ანუ – ვიდრე არ ვიქორწინებთ, ჩემი სიხარული სრული ვერ იქნებაო. ამ განმარტების სასარგებლოდ გ. არაბული იმოწმებს, რომ სიტყვა „წვერვას" ხევსურულ დიალექტში აქვს გულისხმობის ან მიმსგავსების მნიშვნელობა. მას შესაძლებლად მიაჩნია ამ შინაარსის შეტანა აღნიშნულ ტაეპში, ანუ „მზის წვერვა" გავიაზროთ როგორც მზის წარმოდგენა ფიქრით, ოცნებით, ხოლო „ქვეით კოცნა" — მზის შუქის კოცნა. მაშინ ტაეპს ასეთი შინაარსი ექნება: უნუგეშო სიყვარულია მიწაზე დაფენილი მზის შუქის კოცნა მზის მიმსგავსებით, მზის გულისხმობით. გ. ა.

13. გ. არაბული

„ლიტერატურული წერილები"

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1967, 5 იანვარი, № 3, გვ. 3.

რეცენზიაში განხილულია სარგის ცაიშვილის წიგნი „ლიტერატურული წერილები", თბ., 1966. კრებულში დაბეჭდილი ნარკვევების უმეტესობა რუსთაველსა და მის შემოქმედებას ეხება. რეცენზენტი აღნიშნავს მათს მნიშვნელობას „ვეფხისტყაოსნის" ტექსტოლოგიურ და თემატურ-იდეურ კვლევაში; ნათქვამია, რომ ავტორი თვალსაჩინოდ აჩვენებს იმ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ პირობებს, რომელთაც გამოიწვიეს „ვეფხისტყაოსნის" ესოდენ დიდი გავლენა XVI-XVIII საუკუნეების ქართულ პოეზიაზე.

ნარკვევებში — „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის წყაროები" და „ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე" — გამოტანილი დასკვნები, რეცენზენტის თქმით, აღნიშნული საკითხების კვლევის ახალ საფეხურს წარმოადგენს.

აღნიშნულია, რომ წიგნის ავტორი ვრცლად განიხილავს და ობიექტურად აფასებს პ. ინგოროყვასა და მ. გოგიბერიძის რუსთველოლოგიურ ნაშრომებს. ბ.დ.

14. ს. არველაძე

ესთეტიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი

გაზ. „ქუთაისი“, 1967, № 33.

სტატიაში განხილულია გიორგი ჯიბლაძის მონოგრაფია „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“ (თბ., 1966).

რეცენზენტის თქმით, რუსთაველის მხატვრული სამყაროს შესწავლას გ. ჯიბლაძე იწყებს ესთეტიკური პრობლემატიკით, ამასთან, ავტორი იძლევა საგნის ისტორიულ მიმოხილვას. ნაშრომში გარკვეულია რუსთაველის შეხედულებები ხელოვნების, პოეზიის რაობისა და თავისებურებების შესახებ, აგრეთვე პოეტის მხატვრული აზროვნების ძირითადი კომპონენტები.

წიგნის მეორე თავში განხილულია რუსთაველის პოეტიკის კონკრეტული საკითხები.

მესამე ნაწილი წარმოადგენს გამოკვლევას რუსთაველის ესთეტიკურ შეხედულებებზე. აქ აღნიშნულია, რომ ეთიკური პრობლემატიკა ორგანულად უკავშირდება რუსთაველის ესთეტიკასა და პოეტიკას. გ. ა.

15. აგია ართილაყვა

ერთნაირია თუ არა ტარიელისა და ავთანდილის ხასიათი?

ჟურ. „ლიტერატურული აჭარა“, 1967, № 2, გვ. 57-60.

ავტორი მსჯელობს ვლ. ნორაკიძის ნაშრომზე „ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანში“, რომლის მიხედვით ტარიელი და ავთანდილი ხასიათის ერთ ტიპს ეკუთვნიან — ჰარმონიული ხასიათის პიროვნებები არიან. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს დებულება ზოგადად სწორია; ამ ორ პერსონაჟს შორის განსხვავება მხოლოდ იმ მხრივ შეიძლება მოიძებნოს, რომ ჰარმონიული ტიპის ხასიათი მოიცავს ფიქსირებული განწყობის ორ ტიპს – პლასტიკურ-დინამიკურსა და ტლანქ-დინამიკურს. გ. ა.

**16. Е. Арсенишвили**

**Бессмертное слово**

გაზ. "***Веч. Тбилиси***", 1967, 19 იანვარი, № 16, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს ლიტერატურის მუზეუმში, შალვა დადიანის ბიბლიოთეკაში დაცულ 1949 წელს ლიტვურ ენაზე გამოსულ ყოველთვიურ ჟურნალში მოთავსებულ რუსთველოლოგიურ მასალებს (ლ. გუდიაშვილის მიერ შესრულებული რუსთველის პორტრეტი, „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტის თარგმანი და სხვა). ბ.დ.

**17. Е. Артемидзе**

**Подарки родине Руставели**

გაზ. "***Веч. Тбилиси***", 1967, 3 მარტი, № 54, გვ. 3.

მოკლედ აღწერილია საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში რუსთველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, სადაც წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დელეგაციათა მიერ საიუბილეოდ ჩამოტანილი საჩუქრები, მათ შორის, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები. ბ.დ.

18. ვ. აფრიდონიძე

მუშაითობა რუსთაველის ეპოქაში

გაზ. „ქუთაისი“, 1967, 17 მაისი, № 96, გვ. 4.

მუშაითი, საბას განმარტებით, საბელზე მოთამაშეა, რომელსაც თურქულად „ჯამბაზი“, ხოლო ბერძნულად „აკრომია“ ეწოდება. მუშაითობა, როგორც სპორტული შეჯიბრებისა და სანახაობრივი გართობის ერთ-ერთი სახე, ცნობილია უძველესი დროიდან. „ამირან-დარეჯანიანში“ მუშაითობა ნადიმის

განუყრელ ნაწილად არის წარმოდგენილი. „ვეფხისტყაოსანშიც“, ფრიდონის აღწერით, მუშაითის ვარჯიშის კონკრეტული დეტალები იკვეთება. გ. ა.

**19. В. Баакашвили, И. Богомолов, Р. Миминошвили**

**Руствелология на новом этапе**

ჟურ. “*Вопросы Литературы*”, *М.*, 1967, №8, გვ. 197-207.
(რეცენზია ალ. ბარამიძის წიგნზე „შოთა რუსთველი და მისი პოემა“, თბ., 1966).

20. ალექსანდრე ბარამიძე

მართალი სამართალი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის, ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს II სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1967, გვ. 16; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის XI სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1967, გვ. 28.

1. „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი სიუჟეტური კონფლიქტია ნესტან-ტარიელსა და ფარსადან მეფეს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი. ამ კონფლიქტის საფუძველი იყო ქალის ღირსებისა და თავისუფალი სიყვარულის ცნობა-არცნობის გარშემო არსებული წინაამღდეგობანი.
2. შოთა რუსთველი ნესტან-ტარიელის მხარეზეა. ნესტან-ტარიელის სამართლიანმა პოზიციამ შეაპირობა გარკვეული მსხვერპლის საჭიროება, ხოლო „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. ბ.დ.

21. ალ. ბარამიძე

ქართული მწერლობის კვალდაკვალ

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967, 12 მაისი, № 20, გვ. 3.

ავტორი ცალკე გამოყოფს და ახასიათებს ა. შანიძის რუსთველოლოგიურ ღვაწლს. ბ.დ.

22. ალ. ბარამიძე

ვეფხისტყაოსნის ჟანრობრივი კვალიფიკაციის გარშემო

თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 118, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია,1967, № 6, გვ. 29-33.

ავტორი ვრცლად განიხილავს მკვლევართა მოსაზრებებს აღნიშნული საკითხის თაობაზე და წერს, რომ ხშირად უწოდებენ მას „რომანტიკულ პოემას“, „რაინდულ რომანს“ ან „ნაციონალურ რომანტიკულ ეპოსს“. ავტორის აზრით, ეს განსაზღვრებანი ნაკლულია, რადგან ვეფხისტყაოსანში ძლიერი სიყვარულის გვერდით დიდ როლს ასრულებს ჰეროიკა („საქმენი საგმირონი“). ამიტომ უფრო სრულყოფილი იქნებოდა კვალიფიკაცია: რომანტიკულ-გმირული პოემა (ეს გამოთქმა პირველად იხმარა ალ. ცაგარელმა). ეს ფორმულირება სწორად გამოხატავს თხზულების იდეურ-შინაარსობრივ და ჟანრობრივ თავისებურებას. სიუჟეტისა და კომპოზიციის მხრივ კი ვეფხისტყაოსანი რომანია, ლექსით დაწერილი რომანი.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

**23. Ал. Барамидзе**

**Реплика по поводу статьи проф. П. Н. Беркова**

ჟურ. "*Лит. Грузия*", 1967, 2; აგრ. წიგნში: ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,V, 1967,№1, გვ. 173-177.

ავტორი განიხილავს პროფ. პ. ბერკოვის სტატიას „ვეფხისტყაოსნის კომპოზიციის შესახებ" ("Лит. Грузия", 1966,№ 9-10), კერძოდ, მის ძირითად დებულებას, რომ ტარიელი დანაშაულებრივი პერსონაჟია; მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოწვეულია ნესტან-დარეჯანის წაქეზებით; თავის მხრივ, ნესტანის პიროვნების ასე ჩამოყალიბებაში ბრალი მიუძღვის მის მამიდას, „დავარ-ქაჯს".

ალ. ბარამიძე არ ეთანხმება პ. ბერკოვის ამ მოსაზრებას და დაასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსნის" იდეური მრწამსია სიკეთე და მხოლოდ სიკეთე. ნესტანი სიკეთის გამოვლინებაა, ტარიელი კი სიკეთის აღმასრულებელი.

შემდეგ მკვლევარი ეხება პოემის სათაურის რუსულად თარგმნის საკითხს. იგი უარყოფს პ. ბერკოვის აზრს, რომ სათაურს "Витязь в барсовой (- в тигровой) шкуре" სჯობს: "Барсова кожа" ან "Шкура тигрицы". ალ. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ასეთი სათაური არ გადმოსცემს ქართული დასათაურების — „ვეფხისტყაოსნის" — შინაარსს.

24. ალ. ბარამიძე

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა

ჟურ. „მნათობი", 1967,№ 8, გვ. 146-152.

წერილში (გვ. 149-150) აღნიშნულია, რომ უნგრულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" პირველი პოეტური თარგმანი გააკეთა მეცნიერმა და პოეტმა ბელა ვიკარმა. ავსტრიელი ქართველოლოგის ჰუგო შუჰარტის დაკვირვებით, ეს თარგმანი საუკეთესოა პოემის ევროპულ თარგმანთა შორის.

ჩვენს დროში „ვეფხისტყაოსანი" კიდევ ორგზის ითარგმნა უნგრულ ენაზე. პოეტური თარგმანი ეკუთვნის შანდორ ვეორეშს, ხოლო პოემა პროზაულად გარდათქვა მწერალმა იოჟეფ რომანმა.

ავტორი აღნიშნავს იმ დიდ ღვაწლს, რაც უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩმა გასწია „ვეფხისტყაოსნის" დასურათებისათვის. გ. ა.

25. გივი ბარამიძე

„ვეფხისტყაოსანი" რუსთაველის თეატრში

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება", 1967,№ 2, გვ. 17-23.

რეცენზიის ავტორი განიხილავს ლიტერატურულ-დრამატულ კომპოზიციას, რომელიც თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში განხორციელდა. კომპოზიციის ავტორია რევაზ ებრალიძე, მასზე მუშაობდნენ რეჟისორები: რ. სტურუა, გ. ჟორდანია, ნ. ხატისკაცი, ბ. კობახიძე, გ. ქავთარაძე, გ. გეგეჭკორი, ა. ჩხარტიშვილი, მ. თუმანიშვილი და მხატვარი ო. ლითანიშვილი. მონაწილეობენ მსახიობები: მ. ჩახავა, ს. ყანჩელი, თ. თეთრაძე, გ. საღარაძე, ს. ზაქარიაძე, კ. მახარაძე და სხვები.

როგორც ავტორი წერს, ეს არაა სპექტაკლი ტრადიციული გაგებით. ეს იყო სიტყვით წარმოდგენა რუსთაველის ჰუმანური იდეებისა, მხატვრული კითხვით და ჟესტიკულაციით გაცოცხლება გენიალური თხზულების გმირებისა.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის იუბილეს გამოეხმაურნენ რესპუბლიკის სხვა თეატრებიც. ბათუმის თეატრმა დადგა ფ. ხალვაშის „რუსთაველი", ონის სახალხო თეატრმა დ. კასრაძის „ლეგენდა რუსთაველზე", თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დრამატულმა დასმა – ი. ვაკელის პიესა „რუსთაველი", რომელიც მანამდე დაიდგა ტყიბულის თეატრშიც. გ. ა.

26. ოტო ბაუერი (გდრ)

რუბრიკით: მსოფლიო სარბიელზე

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, № 17 თებერვალი, № 8, გვ. 4.

გერმანულ პრესაში („ზონტაგ“) გამოქვეყნებულ ავტორის სტატიის შემოკლებულ ქართულ თარგმანში იკითხება:

სავაჭრო კაპიტალმა აქ (საქართველოში — ბ.დ.) გაცილებით ადრე დაიდო საწყისი, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მიზეზი იმისა, რომ «ვეფხისტყაოსანი» ასე შორს დგას დას. ევროპის სარაინდო რომანებისაგან. მათგან ეს პოემა იმით განსხვავდება, რომ მისმა ავტორმა შეძლო გაელაშქრებინა ფეოდალური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ და ადრეული ჰუმანიზმის სიმაღლემდე ასულიყო. მისთვის უცხოა ესპანური სარაინდო რომანთა კონსერვატიულობა. ასევე მოგვიანებით – საზოგადოებრივი ურთიერთობის ასახვის «შეკრეჭილი» საშუალებები, რაც ასე უხვად იპოვება იტალიურსა და ინგლისურ სარაინდო რომანებში.

სიყვარულსა და ადამიანთა ურთიერთობებს რუსთაველი თავისებურად, დამოუკიდებლად განსაზღვრავს. პოემის პერსონაჟების თავისუფლება და ღირსება, მასი უკეთილშობილესი ურთიერთდამოკიდებულება, ქალისა და კაცის თანასწორობა მისთვის სავსებით გასაგებია. მკვლევარი მაღალ შეფასებას აძლევს «ვეფხისტყაოსნის» ჰ. ჰუპერტისეულ გერმანულ თარგმანს. ბ.დ.

**27. Д. Бакрадзе**

**Основные вопросы правового мировоззрения Шота Руставели**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, 1967, 18 გვ.
(თბილისის სახ. უნივერსიტეტი), ხელნაწერის უფლებით.

დისერტაცია შედგება ხუთი თავისაგან. I თავი — „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა ქართული კულტურის, კერძოდ სამართლის ისტორიისათვის საქართველოში. II თავი – მართლმსაჯულების („მართალი სამარლის“) გაგების შესახებ რუსთაველთან. III თავი – ქალის ემანსიპაციის შესახებ პოემაში. IV თავი – უფლებისა და თავისუფლების პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“. V თავი – პოემაში წარმოდგენილი იურიდიული ინსტიტუტები და იურიდიული ტერმინოლოგია.

28. ვახტანგ ბერიძე

ჩემი სიტყვა ქართველ პოეტებს

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ერთდროული გაზეთი „რუსთაველის დღე“, 1967, 30 სექტ., გვ. 16.

ავტორი აღნიშნავს, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია 1966 წელს რუსთველის საიუბილეო ზეიმს ფრანგ სტუმრებზე. კერძოდ, აღნიშნავს: „მთავარი, რამაც ისინი განაცვიფრა – ზეიმის საყოველთაო სახალხო ხასიათი იყო. ჩვენ რომ ვოლტერის ან ვიქტორ ჰიუგოს იუბილე გადავიხადოთ, — თქვეს მათ, — ეს მხოლოდ ინტელიგენციის ვიწრო წრის საქმე იქნება, სოფელი ამ ამბავს ვერც კი შეიტყობს“. ბ.დ.

29. რ. ბეროძე

„ვეფხისტყაოსანი“ ებრაულ ენაზე

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 3 თებ.; „ქუთაისი“, 1967, № 21.

ავტორი წერს, რომ საქართველოში მცხოვრებმა პოეტმა ბორის გაპონოვმა კლასიკურ ებრაულ ენაზე თარგმნა რუსთაველის პოემა. მთარგმნელი არქაული ენის შესატყვისად ცდილა შეენარჩუნებინა უძველესი კლასიკური ებრაული ენის ზოგიერთი თავისებურება.ი. კ.

30. ი. ბოგომოლოვი, რ. მიმინოშვილი

დიადი მეგობრობის ფურცლები

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 28 ივლისი, 30;
25 აგვისტო, 34; 7 ნოემბერი, № 44.

ამ რუბრიკით ავტორებმა გამოაქვეყნეს წერილების სერია, რომლებშიც საუბარია რუსთაველის შემოქმედების პოპულარობაზე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, აღნიშნულია მისი ახალი თარგმანები და გამოცემები. მაგ., წერილში „მახლობელი შორეთი“ (ლიტ. საქ., № 30) ავტორები წერენ, რომ ბელორუსი ხალხი დიდად აფასებს ქართულ კულტურას, საკუთარი ლიტერატურის ოქროს ფონდში შეუტანია ქართული მწერლობის შედევრები; „ვეფხისტყაოსნის“ ბელორუსული თარგმანი დაიბეჭდა მინსკში 1966 წ.

წერილი „ტრამალები და მწვერვალები“ (ლიტ. საქ., № 34): ყაზახური პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლები, პოეტები ი. ჟაროკოვი, ჟ. სიზდიკოვი და მ. დაულეთბაევა მუშაობენ რუსთაველის პოემის თარგმანზე.

წერილი „უნდა შევხვდე რუსთაველს“ (ლიტ. საქ., № 44): რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს დღეებში მოლდავეთის გამომცემლობა „ლუმინამ“ დაბეჭდა იგორ კრეცუს მიერ შესრულებული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“. გ. ა.

31. ა. ბოლქვაძე

რუსთაველის მემორიალი

გაზ. „თბილისი“, 1967, 13 აპრილი, № 87, გვ. 2; 17 ივლისი, № 166, გვ. 2.

წერილში აღნიშნულია, რომ ნაძალადევიდან თბილისის ზღვისაკენ მიმავალ გზაზე შენდება რუსთაველის მემორიალი – ობელისკი და თეატრონი. პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები ა. ბაქრაძე, ნ. ჯობაძე და მხატვარი ო. ლითანიშვილი. მემორიალის მთავარი ელემენტია 40 მ. სიმაღლის კოკში, რომელიც შედგება ცალ-ცალკე მდგომი ოთხი პილონისაგან. გრანიტის იატაკზე დაიდგმება მოჩუქურთმებული ქვის მემორიალი – რუსთაველის სიმბოლური საფლავის აღმნიშვნელი. მას ზემოდან უნდა დაჰნათოდეს ჭედურ მოტივებში გამოკვეთილი კანდელები. კოშკის წინ, ღია ცის ქვეშ მოეწყობა თეატრონი, რომელიც მთელი ხედით მიმართული იქნება ქალაქისაკენ. გ. ა.

32. გ. დე ლა ტორე ბოტარო

[გენიოსი ქართველი]

გაზ. „თბილისი“, 1967, 28 იანვარი, № 24
(მ. მამულაშვილის წერილში: „რუსთველი ჩილეს სანტიაგოში“).

„ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე მთარგმნელმა ასე უპასუხა ერთ-ერთ შეკითხვას 1966 წელს ჩილეს უნივერსიტეტში ჩატარებულ საზეიმო საღამოზე: „რუსთაველი დანტეზე გაცილებით მაღლა დგას თუნდაც იმით, რომ მან მთელი საუკუნით ადრე და უკეთაც იქადგა ის, რაც დანტემ დიდი დაგვიანებით დაგვიწერა. მართალია, რუსთაველს გასული საუკუნის მსოფლიო თითქმის არ იცნობდა ისე, როგორც ეს საჭიროა, მაგრამ აღნიშნული გარემოება რუსთაველის ბრალი სრულიადან არ არის. ამის მიზეზია ის, რომ „ვეფხისტყაოსანს“ თავისი კონგენიალური მთარგმნელი ჯერ არ გამოსჩენია. ომარ ხაიამსაც, სანამ ე. ფიცჯერალდი ინგლისურად თარგმნიდა, მსოფლიო არ იცნობდა... ალბათ რუსთაველსაც მოევლინება თავისი ე. ფიცჯერალდი და მაშინ ჰომეროსის და შექსპირის გვერდით მისი დაყენებაც პრობლემა აღარ იქნება“. გ. ა.

33. [იან ბრაუნი]

რუსთაველი შოთა

პოლონური ენციკლოპედია, ტ. X, ვარშავა,1967, გვ. 209. თარგმანი (ს. რავიჩის) – კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში", II, თბ., 1978, გვ. 390.

სტატიაში აღნიშნულია, რომ შოთა რუსთაველი (XII-XIII სს.) ქართველთა ყველაზე გამოჩენილი პოეტია. მისი თხზულება „ვეფხისტყაოსანი" "მიეკუთვნება მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა რიცხვს და თითქოს გვამცნობს აღორძინების მოახლოებას". პოემის პოლონური თარგმანი დაიბეჭდა 1961 წელს. გ. ა.

34. პიერ გამარა

[უნივერსალური პოეტი]

გაზ. „ლიტერ. საქართველო", 1967, 24 თებ., № 9, გვ. 4.
აგრ. ჟურ. „***Иностр. лит.***", 1967, № 2; „მნათობი", 1967, № 3.

დაბეჭდილია ნაწყვეტი სიტყვისა, რომელიც პ. გამარამ წარმოთქვა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების რუსთაველისადმი მიძღვნილ საღამოზე (1966 წ. დეკემბერში).

„მე ვფიქრობ, რაიმე უნდა ითქვას რუსთაველის უნივერსალური ღირებულების გამო. ქართველი პოეტის სიმღერა და ფიქრი მხოლოდ თბილისელ კაცებს და ქალებს არ ეკუთვნით, არ ეკუთვნით მხოლოდ მეღვინეებს, მიწის მოქმედთ და პოეტებს მისი ქვეყნისა, არამედ ყველა იმას მთელ მსოფლიოში, ვისაც სწამს ადამიანის, ვისაც სწამს ძალა ადამიანური კეთილშობილებისა და სიყვარულისა...".

„რუსთაველი უნივერსალურია იმიტომ, რომ ის არის დიდი და ღრმა ქართველი პოეტი, იმიტომ, რომ მას აქვს გადგმული ფესვები საქართველოს მიწაში, როგორც ჭადარს, კვიპაროსს, ვარდს, ბროწეულს, როგორც ქართველ მევენახეს, პურის მომყვანს, მემაღაროეს. ამიტომ იცნობს მას ასე კარგად თავისი ხალხი, ამიტომ არის ის თანაბრად მახლობელი მოსწავლისთვის, უბრალო გამვლელისთვის თუ პოეტისათვის".

„სავსებით სამართლიანად წერდა ერთი მანდილოსანი: როცა „ვეფხისტყაოსანს" ადარებთ იმ ეპოქის დიდ სპარსულ პოემებს, ქართული პოემის აღმოსავლურობის მიუხედავად გრჩებათო შთაბეჭდილება ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ორი სამყაროს შეჯახებისა, განსხვავებულისა არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ ქრონოლოგიური სიტუაციებითაც. რუსთაველის პოეზია არ არის სტატიური, ის დინამიურია, ის ილტვის ადამიანის მომავლისკენ"...

„დიდ პოეტებს ძალუძს თავიანთი მიწის წიაღში დათესონ ისეთი რამ, რაც შემდეგ ქვეყნიერების ყვავილებად და ხეხილად მოევლინება. ეს ყვავილები, ხეხი ლი შეერთდებიან ერთი ადამიანური ცის ქვეშ.

რუსთაველი დიდი პოეტია და ჩვენ მადლობას ვწირავთ მას, მადლობას ვწირავთ მის ხალხს. საკუთარსავე თავს შევეწევით, როცა მის პოეზიას ფრანგული ცის ქვეშ გაფურჩქვნაში შევუწყობთ ხელს". ბ.დ.

35. აგუსტინ ბილა გარიდო

მერვე საუკუნე

გაზ. „***El Diario ilustrado***", 1967, 8 იანვარი; ი. დავითაშვილის თარგმანი – კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში", II, თბ., 1978, გვ. 314-316.

ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის" ესპანურ თარგმანზე და მოჰყავს ცნობები პოემისა და მისი ავტორის შესახებ, მთარგმნელის — ბოტაროს წინასიტყვაობის მიხედვით.

იგი აღნიშნავს, რომ ევროპულ ენებზე ამ პოემის მრავალი თარგმანი არსებობს, მაგრამ აქამდე „არავის მოსვლია აზრად პოემის ესპანურად თარგმნა. ისევ ჩილელმა გუსტავო დე ლა ტორე ბოტარომ წამოიწყო ეს დიდი საქმე, ათამდე წელი მოანდომა მას და გარდა ევროპული ენებისა, დასჭირდა ქართული ენის შესწავლა. დაეუფლა საქართველოს გეოგრაფიას, ისტორიას და, რაც მთავარია, საფუძვლიანად, ღრმად შეისწავლა რუსთველის ნაწარმოები. იგი ეყრდნობოდა მ. უორდროპის თარგმანს".

ავტორის დასკვნით, ბოტარომ დიდი საქმე გააკეთა ამ თარგმანით და მისთვის დართული ვრცელი წინასიტყვაობით. გ. ა.

36. გ. გაჩეჩილაძე

## რუსთაველი და ქართული პოეზიის ტრადიციები

საქ. მეცნ. აკად. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის, ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს II სამეცნიერო სესია [თეზისები], თბ., 1967, გვ. 30-32.

ავტორის აზრით, „ქართული პოეზიის სხვადასხვა ეტაპზე «ვეფხისტყაოსნისადმი» ინტერესის ხასიათი და დონე არ არის თვისობრივად ერთგვაროვანი“. „პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც რუსთაველის ტრადიციებზე ორიენტირება ახალი შემოქმედებითი ამოცანებისა და თვით რუსთაველის ტრადიციების დასაძლევად გამოიყენა, იყო გურამიშვილი“. რუსთაველის პოემისადმი „ინტერესის ახალ საფეხურს ქმნიან დემოკრატიული მწერლობის წარმომადგენლები ილიასა და აკაკის მეთაურობით. მაგრამ ყველაზე მასშტაბურად XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში რუსთაველის შემოქმედების პრობლემატიკას ეხმაურება ვაჟა-ფშაველა... რუსთაველის შემოქმედებითი ტრადიციები რაღაც კუთხით მაინც პოულობდა გამოძახილს შემდგომი დროის ყოველი ლიტერატურული პროცესის განვითარებაში... მაგრამ პოეტი, რომლის შემოქმედებაც გენეტიკურად უკავშირდება ეროვნული მსოფლგანცდის რუსთველურ ტრადიციებს, არის გ. ტაბიძე“. ბ.დ.

37. ა. გელოვანი

## „ვეფხისტყაოსნის“ დინამიკა

გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1967, 25 იანვარი.

ავტორი აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ეპიკური თხზულების, განსაკუთრებულ დინამიურობას და დასძენს: არა მარტო პოემის ლექსია დინამიური, მისი ფაბულაც, გმირებიც მოძრავნი არიან.

თითქოს ფუნჯის სწრაფი მოძრაობით ქმნის პოეტი კოლორიტულ სურათს, მაგრამ პოემა ერთიანი, შეუსვენებელი მოძრაობის ქარტეხილი როდია, თხზულების მღელვარე მოვლენებს შორის ხშირად დინჯი, ეპიკური თხრობა, სიბრძნის ქადაგება და საკმაოდ ვრცელი აღწერები გვხვდება.

ავტორის დაკვირვებით, ესეც „ერთგვარი სამზადისია ახალი ქარიშხლისა, ერთგვარი სიღრმეა, რაც მეტ გამოკვეთილობას აძლევს რელიეფს“. გ. ა.

38. ბოგდან გემბარსკი

## ქართული ლიტერატურის თხუთმეტი საუკუნე

ჟურ. „*Przeglad Orientalistyczny*“, 1967, № 1, გვ. 29-37; ნაწყვეტის თარგმანი გ. ზედგინიძისა – კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 68-69.

ქართული ლიტერატურის ზოგად მიმოხილვაში ავტორი წერს: „ვეფხისტყაოსანი“ არის ქართული რაინდული პოეზიის უბრწყინვალესი ნაყოფი და სახალხო ეპოპეა, თუმცა მოქმედება მასში მთლიანად საქართველოს საზღვრებს გარეთ წარმოებს, ხოლო მოქმედი გმირები არაბები და ინდოელები არიან. ეს შთაგონებული სიმღერა ჭეშმარიტი ადამიანობის შესახებ ქართველი პატრიოტებისათვის მთელი რვა საუკუნის მანძილზე იყო იმედისა და რწმენის წყარო ერის დაუმარცხებლობის შესახებ, თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ ფურცლებზე არც ერთხელ არ გვხვდება სიტყვა „საქართველო“. თურმე, იმისათვის, რომ გამოხატო სამშობლოს სიყვარული, სრულებით არ არის აუცილებელი მისი სახელის წარმოთქმა. გ.ა.

**39. С. Гвелесиани**

## Под рукописями...

გაზ. “*Вечерний Тбилиси*”, 1967, 28 მარტი, №74, გვ. 2.

ავტორი მიმოიხილავს აკადემიკოს გიორგი წერეთლის ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობას, მათ შორის, რუსთველოლოგიურ ღვაწლს („ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისი-

ის მთავარი რედაქტორი, 1961 წლის იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის წევრი და ა. შ.). ბ.დ.

40. ივანე გიგინეიშვილი

მრავლობითი რიცხვის ფორმათა ზოგი თავისებურება „ვეფხისტყაოსნის“ ენაში

მოხსენება საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXIII სამეცნიერო სესიაზე 1967 წ. 27 ივნისს. დაიბეჭდა 1972 წ. იხ. ანოტ. № 478.

41. ეჟენ გიევიკი

[ეროვნული შედევრი]

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967, 24 თებ., № 9, გვ. 4.
ჟურ. „***Иностр. лит.***“, 1967, № 2; „მნათობი“, 1967, № 3.

ფრანგი მწერალი „ვეფხისტყაოსანს“ ლიტერატულ შედევრს უწოდებს და აღნიშნავს: „ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ საქართველომ თავის ეროვნულ შედევრად ომის სიმღერა კი არ გაიხადა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, არამედ სიყვარულისა. ეს, მე ვფიქრობ, მეტყველებს ქართველი ხალხის როგორც ნაკლებ მილიტარისტულ, ასევე ნაკლებ შოვინისტურ ბუნებაზე. პოემის მოქმედება ხომ ძირითადად საქართველოს ფარგლებს გარეთ, არაბეთსა და ინდოეთში მიმდინარეობს...

„ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ სიყვარულის სიმღერა არაა, ეს არის ჰიმნი სიხარულისა და ძმობისა“. გ. ა.

42. დიმ. გონაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 17 თებ., № 8, გვ. 3.

ავტორის აზრით, ტექსტში „ფატმან, უსენ და მონან ტირან ცრემლითა ცხელითა“ (1326,1) გამოდის, ავთანდილის გამცილებელთა შორის უსენიც არის, რაც კონტექსტის მიხედვით არ დასტურდება. მისი სიტყვებით, „ამბის განვითარებიდან ცხადი ხდება, რომ უსენი ავთანდილის წასვლის მომენტში სახლში არ ჩანს და, ბუნებრივია, არც მოხსენებული უნდა იყოს“. აქედან გამომდინარე, დაასკვნის: „ტექსტში «უსენის» ნაცვლად უნდა იყოს „ფატმან ხათუნი“.

ავტორი განიხილავს აგრეთვე სტრიქონს: „გზანი დახვდეს შეკაფულნი, შევიდეს და გაძვრეს ხვრელსა“ (1420,4) და კონტექსტისა და ხელნაწერებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ „გაძვრეს“ მაგივრად ტექსტში უნდა აღდგეს ფორმა — „აძვრეს“. ბ.დ.

43. დ. გონაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისათვის

გაზ. „ახალი შირაქი“ (წითელწყარო), 1967, 22 ივნისი, № 72, გვ. 3.

პოემის ერთი ადგილის წაკითხვა —

„მან ეგრე თქვა: „უბრალო ვარ, იცის ღმერთმან სახეირმან,
ვისგან მოვკვდე, ვისთვის მოვკვდე, მიიხვედროს იგი ვერ მან“ (576) —

წერილის ავტორს შერყვნილად მიაჩნია და ასე ასწორებს: „მიიხვედროს იგივე მან“, რის შემდეგაც მისი შინაარსი იქნება:

მან (დავარმა) თქვა: უბრალო (უდანაშაულო) ვარ, ეს იცის სახიერმა ღმერთმა. (ამიტომ) ვისი მიზეზითა და ვის გამოც მე უნდა მოვკვდე, მიიხვედროს (მიიზღოს, ირგუნოს) იგივე სასჯელი (სიკვდილი) მან (ნესტანმა). გ. ა.

44. იონას გრაიჩიუნასი

„თავს ბედნიერად ჩავთვლი“

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 14 აპრილი, № 16, გვ. 4.

ლიტველი პოეტი იონას გრაიჩიუნასი თავის ინტერვიუში იუწყება, რომ იგი თბილისში დაიბადა

და ერთხანს აქვე სწავლობდა, რომ მას განზრახული აქვს: „შევისწავლო ყველაფერი, რაც რუსთაველსა და მის პოემას უკავშირდება. ჯერ კიდევ ომამდე ვსწავლობდი ქართულ ენას, ჯერ კიდევ მაშინ მქონდა დიდი სურვილი, მეთარგმნა «ვეფხისტყაოსანი». ომის შემდეგ კი საბოლოოდ მოვკიდე ხელი ამ მეტად საპასუხისმგებლოსა და კეთილშობილ საქმეს... მინდა მივაღწიო იმას, რომ «ვეფხისტყაოსნის» კითხვისას ლიტველმა მკითხველმა იგრძნოს რუსთაველის ლექსის მუსიკალურობა და სიდიადე. ლიტვურ თარგმანში შევეცდები გადავიტანო რითმათა იგივე მონაცვლეობა, რაც ქართულშია, იგივე შაირი“. ბოლოს დასძენს, რომ მანამდე არავის უცდია ლიტვურ ენაზე «ვეფხისტყაოსნის» თარგმნა. „უკვე წავიკითხე ნაწყვეტი ლიტვური თარგმანიდან რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საღამოზე ჩვენს უნივერსიტეტში“. ბ.დ.

45. კ. გრიგოლია

ვეფხისტყაოსნის პროლოგში მოხსენებული „ქებანის“ განმარტებისათვის

„ორიონი“, კრებული მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1967, გვ. 125-133.

ავტორი ეხება პოემის მე-4 სტროფში ხსენებული „ქებანი“-ს მნიშვნელობას, აღნიშნავს მკვლევართა ვარაუდს, რომ აქ იგულისხმება პროზაული ან პოეტური ნაწარმოები, რომელიც რუსთაველს ადრე დაუწერია თამარ მეფის შესაქებად.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მიხ. წერეთლის მოსაზრებას, რომ შოთას მიერ ხსენებული „ქებანი“ შეიძლებოდა პროზით დაწერილი ისტორიული ხასიათის თხზულება ყოფილიყო (ასეთად მიხ. წერეთელს „ისტორიათა და აზმათა“ პირველი ნაკვეთი მიაჩნდა).

კ. გრიგოლია ასაბუთებს, რომ ფრაზა „ისტორიანი და აზმანი“ იყო განსაკუთრებული შესიტყვება და ასე ეწოდებოდა მეფეთა ცხოვრებისა და მათი ღვაწლის ამსახველ თხზულებებს. იხმარებოდა აგრეთვე ტერმინი „მაქებელნი“, მწერალ-ისტორიკოსის მნიშვნელობით.

ავტორი იმოწმებს ანტონ კათალიკოსის ცნობასაც იმის შესახებ, რომ შოთა რუსთველს ჰქონია დაწერილი „ცხოვრება მეფისა თამარისა“. მკვლევრის აზრით, ანტონის ცნობა ეხმაურება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მითითებას შოთას რომელიღაც ადრინდელ თხზულებაზე, რომელიც თამარ მეფის ხოტბას შეიცავდა. გ. ა.

46. ვლ. გულუა

ახალი სიტყვა რუსთველოლოგიაში

გაზ. „ქუთაისი“, 1967, № 87.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ავლიპი ზურაბაშვილის შრომისა „შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია“.

ავტორი აღნიშნავს, რომ ა. ზურაბაშვილი არკვევს პიროვნების ცნობიერების და ცოდნის რაობის საკითხს და გვაუწყებს: ცნობიერებაში არის არა მარტო ცოდნა, არამედ დამოკიდებულება, მიმართება, რომ ის ახდენს აქტიურ ამორჩევით აღქმას.

ა. ზურაბაშვილი ეხება ცრემლის პრობლემას და აღნიშნავს, რომ ტირილი რუსთაველთან თანაგრძნობის, ურთიერთდახმარების, მწუხარების ან სიხარულის გამოვლინებაა. ტირილი არის მხატვრული ხერხი, რომლითაც გამოხატულია პოემის გმირების შეუდრეკელი ძალა.

ა. ზურაბაშვილის თქმით, პოემაში ავთანდილი დახასიათებულია როგორც შიშშეუვალი. მისი პიროვნება ექვემდებარება მოვალეობას, ხოლო თვით იმორჩილებს და მართავს აფექტებს, ინსტინქტებს. მკვლევრის აზრით, ტარიელი ჰარმონიული პიროვნებაა. იგი შესანიშნავად ერკვევა რთულ სიტუაციებში და მოქმედებს არაცალმხრივად, სიმკაცრესა და სირბილეს ავლენს შესაფერის პირობებში.

ა. ზურაბაშვილი თანამედროვე პერსონოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად თვლის მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულებას, ხაზგამსით აღნიშნავს ტარიელისაგან მამისადმი ღრმა პატივისცემას. გ. ა.

47. დ. გურგენიძე

### საყურადღებო გამოკვლევა შ. რუსთაველის პედაგოგიური იდეების შესახებ

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1967, № 8, გვ. 89-91.

რეცენზია ეხება გიორგი თავზიშვილის წიგნის — „ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში“ — მეორე გამოცემას (პირველად დაიბეჭდა 1937 წელს). რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ეს შრომა წარმოადგენს ერთ ნაკვეთს ავტორის მიერ ჩაფიქრებული მონოგრაფიული გამოკვლევისას — „სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში“. ავტორმა ვერ მოასწრო განზრახული ნაშრომის დასრულება და აღნიშნული წიგნი დაიბეჭდა უცვლელად – პირველი გამოცემის მიხედვით (ამოღებულია მხოლოდ ავტორის წინასიტყვაობა). გ. ა.

48. კორნელი დანელია

### „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან (მოცალეობა)

„ორიონი“, კრებული მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი,
თბ., 1967, გვ. 138-151.

ავტორის მიზანია „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის 23-ე სტროფში გამოყენებული სიტყვის „მოცალეობა“ მოცლისაგან (თავისუფალი დროის ქონება) განსხვავებული მნიშვნელობის გამოვლენა.

ავტორი აღნიშნავს, რომ „მოცალეობა“ პოემაში მხოლოდ ერთხელ არის ნახმარი, მაგრამ „ცალ“ ძირზე დამყარებული სხვა ფორმები იშვიათი როდია. მარტივი (უთემისნიშნო) ფორმები 16-ჯერ დასტურდება და ყველგან მოცლის მნიშვნელობა აქვს. ზმნისწინიანი პირიელი ფორმებიც გვხვდება (6-ჯერ).

ძველი ქართული ენის ძეგლებში ხმარებულ „მოცალეობა“ სიტყვას ძირითადად მოცლის მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამ სიტყვას სემანტიკური გადახრით სხვა მნიშვნელობაც შეუძენია, ესაა: სიმშვიდე, მოსვენება, აუჩქარებლობა, სიდინჯე. ასეა ეფრემ ასურის, ეპიფანე კვიპრელის, გრიგოლ ნოსელის თხზულებათა თარგმანებში.

ავტორის აზრით, ამ მეორეული მნიშვნელობით უნდა იყოს ეს სიტყვა ნახმარი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშიც.

მისივე თქმით, სასურველია ამავე სტროფში „სიმდიდრის“ ნაცვლად დაიბეჭდოს „სიმდაბლე“. ამ გასწორებით მიჯნურის რუსთველური დახასიათება უფრო უნაკლო და იდეალური იქნება. გ. ა.

49. ბორის დარჩია

### „ხვარაზმელთა ამბის“ პროზაული ვერსიის შესახებ

ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნიერო სესია, I (ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), მუშაობის გეგმა და თეზისები, თბ., 1967, გვ. 7; დაიბეჭდა ჟურნალში „მაცნე“, 1967, № 2,
გვ. 156-166.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გაგრძელების, „ხვარაზმელთა ამბის“ პროლოგსა და ეპილოგში უცნობი ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ამბავი გაულექსავი „დაურჩა“ სარგის თმოგველს და მე გავლექსეო. „ხვარაზმელთა ამბის“ ტექსტის შესწავლიდან ირკვევა, რომ ეს ცნობა სინამდვილეს შეეფერება. სარგის თმოგველისეული თხზულება გამართული უნდა ყოფილიყო ნარევი ტექსტით – ლექსითა და პროზით, ე. წ. „შიგ ჩართვის პრინციპით“.

50. ბორის დარჩია

### ვეფხისტყაოსნის რედაქციათა ურთიერთმიმართების საკითხები „ხვარაზმელთა ამბის“ მიხედვით

„მაცნე“, 1967, № 4, გვ. 251-263.

ავტორი განიხილავს ხელნაწერთა ორ რედაქციულ ჯგუფს სტროფული შედგენილობისა და ვარიანტულ სხვაობათა მიხედვით. 1) ABCMX (პირობითად <u>ა</u>), 2) EFIRZ (-<u>ბ</u>). <u>ბ</u> რედაქცია იცავს „ხვარაზმელთა ამბის“ მოკლე ტექსტს (112 სტროფი), <u>ა</u> რედაქცია – ვრცელ ტექსტს (157 სტროფი). მკვლევარი თვლის, რომ <u>ბ</u> რედაქციის ტექსტი ნასწორებია და განგებ შემოკლებული, ამიტომ პირვან-

დელი და ძირითადია ა რედაქციის ტექსტი. მისი აზრით, ბ რედაქცია შემოკლებულია პოემის ძირითად ნაწილშიც და ამის გამო მიახლოებულია პოემის სავარაუდო დედანთან. ე. ი. ბ რედაქციის ტექსტი არ შეიძლება ჩაითვალოს თავდაპირველი მდგომარეობის მაჩვენებელ და სხვა რედაქციაზე უფრო სანდო ტექსტად (იხ. აგრ. ბ. დარჩია, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით, თბ., 1975). გ. ა.

**51. Ф. Долидзе**

**Переводчик Руставели – Гость Грузии**

გაზ. "*Вечерний Тбилиси*", 1967, 15 ივნისი, № 139, გვ. 3.

ავტორი, რომელიც საქართველოში მოგზაურობისას მასპინძლობდა და თან ახლდა კ. ბალმონტს, მოგვითხრობს ბალმონტის ცხოვრების ძირითად ეპიზოდებზე და იმ შეხვედრებზე, რომელსაც მას საქართველოში უწყობდნენ. ასევე, გვაცნობს ბალმონტის ქალიშვილის, ნინა ბრუნი-ბალმონტის, 1964 წელს საქართველოში ჩამოსვლას. ბ.დ.

52. ნელი დუმბაძე

ქართველი სიმბოლისტები „ვეფხისტყაოსნის" შესახებ

ჟურ. „ლიტერატურული აჭარა", 1967, № 1, გვ. 56-61.

ავტორი წერს, რომ ქართველი სიმბოლისტები, მათი შემოქმედებითი მრწამსიდან გამომდინარე, „ვეფხისტყაოსნის" სიდიადეს მის ევფონიურ (ბგერწერულ) მხარეში ხედავდნენ და უგულებელყოფდნენ მის იდეურობას. ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი რუსთაველს ფორმალისტური ესთეტიკის წარმომადგენლად მიიჩნევდნენ. ამრიგად ისინი „ვეფხისტყაოსნის" მეხოტბენიც იყვნენ და ამავე დროს მისი გამყალბებლებიც, რაკი მას ცალმხრივად აფასებდნენ თავიანთი ფორმალისტური ესთეტიკის თვალსაზრისით. გ. ა.

53. გ. ვარმი

[ქართული ლიტერატურა]

ლიტერატურულ ლექსიკონში: „საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურა", სერიით: „მაიერის ჯიბის ლექსიკონი", ლაიპციგი, 1967 (გერმ. ენაზე).

ლექსიკონის 338-339 გვერდებზე საუბარია შოთა რუსთაველზე. მოცემულია ცნობები პოეტის პიროვნებისა და განათლების შესახებ. აღნიშნულია, რომ მისი თხზულება თავისუფალია რელიგიური მისტიკისა და სქოლასტიკისაგან. მასში თავი იჩინა პანთეისტურმა მატერიალიზმმა. პოემას საფუძვლად უდევს იდეა, რომ ბოროტება მხოლოდ დროებით იმარჯვებს და სიკეთე მარად სუფევს... ხასიათების ღრმა ფსიქოლოგიური გამოკვეთა განსაკუთრებით მკაფიოს ხდის რენესანსული ადამიანის იდეალს. პოემა მიეკუთვნება მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო რენესანსული ქმნილებების რიცხვს.

54. ივო ვაცულინი

ლეგენდარული პოეტის კულტი

გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1967, 7 აპრილი, № 15, გვ. 4.

ავტორი ამ წერილში, რომელიც გადმოთარგმნილია ჩეხოსლოვაკური ორგანოდან „ლიტერატურანი ნოვინი", საუბრობს რუსთველისა და მისი პოემის სამშობლოში პოპულარობაზე. ერთგან წერს: „ამ ნაწარმოებს შეიძლება შეედაროს მარტოოდენ ნიზამის ქმნილებები". ბოლოს: „ევროპაში ამ ნაწარმოების პირველი თარგმანები, სამწუხაროდ, ძალზე გვიან, გასული საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა. ადრე რომ თარგმნილიყო, იგი დიდად შეუწყობდა ხელს ევროპული რომანტიზმის განვითარებას და ალბათ სულისჩამდგმელად და შთამაგონებლად მოევლინებოდა მას. ბ.დ.

55. ირ. ვეშაპელი

ქართული პოეტური სიტყვის სათავეებთან

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1967, 7 მაისი, № 16, გვ. 3.

ავტორი განიხილავს და მაღალ შეფასებას აძლევს ივ. იმნაიშვილის წიგნს „ქართული პოეტური ენის საკითხები“. ბოლოს ურთავს შენიშვნას: „წიგნში მხოლოდ ნაკლოვანებათა ჩვენების ფონზეა წარმოდგენილი მე-12 საუკუნის მეხოტბეთა პოეტური ენა...“. ბ.დ.

56. გრ. ზარდალიშვილი

შოთა რუსთაველის გეოგრაფიული ჰორიზონტი

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1967, № 1, გვ. 65-73.

ავტორის მიზანია წარმოადგინოს შუა საუკუნეების ქართველ სწავლულთა და, მათ შორის, შოთა რუსთაველის გეოგრაფიული ცოდნა. ქართველები ლაშქრობდნენ ან დიპლომატიური და ვაჭრობის მიზნით მოგზაურობდნენ ინდოეთში, ჩინეთში, არაბეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომში, რუსეთში...

ავტორი განიხილავს ვეფხისტყაოსანში დასახელებულ ქვეყნებს და გეოგრაფიულ ტერმინებს: გაბაონი, არაბეთი, ეგვიპტე, ინდოეთი, ხატაეთ-ჩინეთი, ხვარაზმი, მაღრიბი, მაშრიყი. მისი განმარტებით, გაბაონი მთიანი ადგილია პალესტინაში. ის განთქმული იყო ლამაზი საშენი ნაძვით.

ხატაი წარმოსდგა კიდანების ტომთა სახელწოდებიდან. ისინი (კიდანები) მომთაბარეობდნენ თანამედროვე შიდამონღოლეთის ტერიტორიაზე, შემდეგ კი გადაინაცვლეს ჩრდ.-აღმ. ჩინეთში. კიტაი-კატაი-ხატაი და ჩინეთი სხვადასხვა ცნებებია. ჩინელები თავის ჩრდილო მეზობელ ტომებს უწოდებდნენ ხატ-ს, ხატა-ს. ცნებებს: ხატაეთს, ჩინეთს და ჩინმაჩინს ქართველები ხმარობდნენ ზოგადად, შორეულ აღმოსავლეთში მდებარე ქვეყნების აღსანიშნავად. ცნებები მაღრიბი და მაშრიყი არაბებმა შემოიღეს: არაბეთ-ეგვიპტის დასავლეთით მდებარე დაპყრობილ არაბიზებულ ქვეყნებს (ლიბია, ტუნისი, ალჟირი, მაროკო, სამხ. და აღმოს. ესპანეთი) უწოდეს მაღრიბი.

მე-11-12 სს-ში ხორეზმის სახელმწიფოში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ მეცნიერები: ალ-ბირუნი, მუჰამედ ალ-ხორეზმი, აბუ-ალი-იბნ-სინა და სხვ.

ალ-ბირუნიმ წამოაყენა სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემის თეორია. ქართველ მეცნიერებს უნდა სცოდნოდათ შუა აზიის მეცნიერთა მიღწევები და, შესაძლებელია, ჰელიოცენტრიზმის ნიშნები „ვეფხისტყაოსანში“ შემოსულია ალ-ბირუნისა და სხვა უზბეკ მეცნიერთა შრომებიდან, რომლებმაც ამ მხრივ რამდენიმე საუკუნით გაუსწრეს ევროპის მეცნიერებს. გ. ა.

57. ლიდია ზლატკევიჩი

ლადო გუდიაშვილის „რუსთველიანა“

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1967, № 4, გვ. 49-53.

ავტორი მსჯელობს ლ. გუდიაშვილის მიერ შესრულებულ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე; აღნიშნავს, რომ ლ. გუდიაშვილი რუსთაველის პოემის პირველი საბჭოთა ილუსტრატორია. მან დასურათების თავისებური და ორიგინალური გზა აირჩია, დახასიათებისა და მანერის მხრივ იგი სრულიად ახალ სიტყვას წარმოადგენს. რეცენზენტის აზრით, ლ. გუდიაშვილის „რუსთველიანა“ ყოველთვის საპატიო ადგილს დაიჭერს შოთასადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს შორის. გ. ა.

58. ბერიკა თარხნიშვილი

რუსთაველის ბარელიეფი უნივერსიტეტში

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 10 თებერვალი, № 7, გვ. 1.

ავტორი იუწყება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გაიხსნა რუსთველის ბარელიეფი, რომელიც შექმნა ლევან ცომაიამ იაკობ ნიკოლაძის ნამუშევრის, „რუსთაველის“, მიხედვით. ბარელიეფი ჩამოასხა ალექსანდრე ხადურმა. მისი ზომაა 3X2,5 მ. ბ.დ.

59. გრ. თოდუა

## „ვეფხისტყაოსანში“ სასოფლო-სამეცრნეო ტერმინების შესახებ

ჟურ. „ქიმია-ბიოლოგია სკოლაში“, 1967, № 1, გვ. 57-64.

მკვლევარი წერს: „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები სასოფლო-სამეურნეო ტერმინები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ რუსთაველის ეპოქაში ფართოდ ყოფილა განვითარებული მემინდვრეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მელიორაცია, მეცხოველეობა.

ავტორი ასახელებს სხვადასხვა დანიშნულებით მოსახმარ მცენარეებს: ქვრიმი, ფეტვი, ზაფრანი, ბამბა, ვარდი, ნარინჯი, კიტრი; შინაური ცხოველების აღმნიშვნელ ტერმინებს: ცხენი, ტაიჭი, მერანი, რემა, ხრდალი, აქლემი, ჯორი, ვირი, თხა, ღორი, იხვი, ბატი, ძაღლი, ნეზვი, ვაცი, აზავერი, ზროხა, კურო; სამეურნეო საქმიანობისა და ინვენტარის სახელებია: თესვა, მკა, მწვანილი, მწიფე, ჩალა, წნელი, სელი, სარი, საგდებელი, საბელი, უნაგირი, ლაგამი, გრდემლი, მჭედელი, მჭელი, ღარი, მებაღე, მეჯოგე და სხვ.

წყალსა და მორწყვის ტექნიკას უკავშირდება: ღარი, რუ, მილი, სარაჯი, მორწყვა, მრწყველი. გ. ა.

60. მაგალი თოდუა

## „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულ ენაზე

ჟურ. „მნათობი“, 1967, № 6, გვ. 189-190.

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ აქამდე სპარსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ ნაწყვეტების პროზაული თარგმანები არსებობდა. ამჟამად თბილისში გამოქვეყნდა პოემის ცალკე თავების პირველი სპარსული მხატვრული თარგმანი, შესრულებული მორთეზა ფათემის მიერ. რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია ჯემშიდ გიუნაშვილი.

რეცენზენტი ყურადღებას ამახვილებს ორ საკითხზე: პოემის სათაურის თარგმანზე და რუსთაველის სტროფების სპარსულად გადატანაზე. ახალ თარგმანში პოემას ეწოდება „ფალანგინეფუშ“, რაც ქართულ ვეფხისტყაოსანს უდრის (ასე უწოდებდა იური მარიც). მთარგმნელისთვის უფრო ძნელია სალექსო ფორმის მოძებნა. სპარსულმა კლასიკურმა ეპიკამ არ იცის სხვა ფორმა, მუსარეყის (მრჩობლედის) გარდა, რომელშიც ბაითები (წყვილი ტაეპები) არის გარითმული. ეს ფორმა რუსთველურ სტროფს არ შეესაბამება, რადგან მასში ვერ ჩაეტევა ოთხ სტრიქონში გამოთქმული აზრი და საჭირო ხდება მისი გადატანა მეორე ბაითში. ეს კი ცვლის რუსთველის ლექსს. ფათემისეულ თარგმანს ამ მხრივ უთუოდ უჭირს და მ. თოდუას აზრით, ამას ისევ თავისუფალი თარგმანი აჯობებდა.

თარგმანს წინ უძღვის პოემის მიმოხილვა და შინაარსი (ჯ. გიუნაშვილისა), რაც აუცილებელი იყო ასეთი გამოცემისათვის. გ. ა.

61. მ. თოდუა

## ზოგი რამ „ბეჰარ-ე დანეშის“ შესახებ

წიგნში: ინაიათ ულ-ლაჰ ქანბუ, ერთგული და მოღალატე ცოლები
ანუ ბეჰარ-ე დანეშ, თბ., 1967, გვ. 5-8.

XVII ს-ში ინდოეთში მცხოვრები სპარსულენოვანი მწერლის წიგნში „ბეჰარ-ე დანეშ“, რაც „სიბრძნის გაზაფხულს“ ან „სიბრძნის ტაძარს“ ნიშნავს, მკვლევარს შეუნიშნავს „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი წეს-ჩვეულებანი, როგორიცაა: შეყვარებულის წერილის თვალზე დადება, მწუხარების ნიშნად თავზე ნაცრის დაყრა და თმის გლეჯა, მიჯნურისათვის საპყრობილედან ნიშნის — ჩადრის მოჭრილი კიდის — გაგზავნა. როგორც ავტორი წერს, მოტივები დამახასიათებელი იყო ზეპირად გავრცელებულ აღმოსავლურ სიუჟეტებში და მეორდებოდა მწერლების ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც. გ. ა.

62. ვ. თორდუა, ი. ქუჩიშვილი

წიგნი დიდ პოეტზე

(წიგნები და მკითხველები)

გაზ. „კომუნისტი", 1967, 16 აგვისტო, № 191, გვ. 3.

ავტორები მიმოიხილავენ ავლიპი ზურაბაშვილის წიგნს „შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია", მაღალ შეფასებას აძლევენ მას და გვაცნობენ იმ საბჭოთა მეცნიერებსა და მწერლებს, რომლებიც აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ ამ წიგნს. ბ.დ.

63. ვ. თოფურიძე, ჯ. მიქატაძე, ბ. ყაზაიშვილი

ღირსეული ძეგლის შესაქმნელად

(კონკურსის პირობები გადასასინჯია)

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1967,17 თებ., № 8, გვ. 2.

წერილი ეხება რუსთაველის ძეგლის პროექტს, რომელიც პოეტის საიუბილეოდ უნდა შექმნილიყო, მაგრამ ვერ განხორციელდა. ავტორები ასახელებენ ამის მიზეზებს: მთავარი ისაა, რომ დამტკიცებული არ არის რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის გეგმა. კონკურსის ვადა უნდა გაგრძელდეს წელი-წადნახევრით მაინც, ხოლო ესკიზის ზომა გადიდდეს ერთ მეტრამდე. გადასაწყვეტია ტრადიციული ქუდის საკითხიც; მოქანდაკეებს უნდა მიეცეთ ფანტაზიის გამოვლენის საშუალება. გ. ა.

64. ნ. იაშვილი

სიბრძნის უშრეტი წყარო

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება", 1967, № 5, გვ. 81-85.

ავტორის თქმით, რუსთაველის თხზულებაში ნაჩვენებია ყოველდღიური და მრავალჯერადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების წმინდა ადამიანური ადათ-წესები და მათი შესრულების მიმდინარეობა გარემოებათა დიდად განსხვავებულ პირობებში.

ნარკვევში აღწერილია სტუმარმასპინძლობის, პურისჭამის, ქეიფის, მხიარულების ამსახველი ეპიზოდები, უფროს-უმცროსობის, მეგობრებისა და ქალ-ვაჟის ურთიერთობის წესების დამთხვევა ქართულ ყოფაში დამკვიდრებულ ტრადიციებთან და ჩვევებთან. გ. ა.

65. ივანე იმნაიშვილი

როგორ უნდა გასწორდეს ეს რითმა?

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1967, 18 აგვ., № 33, გვ. 2.

წერილი ეხება 1292-ე სტროფის („აწ საყვარელსა მიუწერს"...) სარითმო სიტყვებს: მტირალი /ვის ალი /გასაგმირალი / გამომჭვირალი.

ავტორი წერს: რადგან ოთხეულის სამ ცალში საერთო კლაუზულაა ირალი, მეოთხეშიც ეგევე უნდა განმეორდეს. ა. შანიძემ ასე გაასწორა: კირ-ალი, მაგრამ კირის შემოტანა ხელოვნურია. ი. ლოლაშვილის პვირ-ალიც ძალიან საეჭვოა. შეიძლება მივიღოთ (აღვადგინოთ) ვირ ალი. ვირ არის შემოკრებული ვიდრე.

„ვეფხისტყაოსანში" გვაქვს: ვირე, ვირეო, ვირემ და ერთხელ – ვირ (1476,4). მიხ. წერეთელს სწორედ ეს ფორმა აღუდგენია და ეს გასწორება უფრო მისაღებია. გ. ა.

66. ივანე იმნაიშვილი

ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული

(აკად. აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავის გამო)

ჟურ. „ცისკარი", 1967, № 5, გვ. 132-140; აგრ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში", 1967, № 1, გვ. 15-20.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის" შესახებ აკაკი შანიძეს ოთხ ათეულზე მეტი შრომა

აქვს გამოქვეყნებული, რომლებიც წინ სწევენ პოემის მეცნიერული შესწავლის საქმეს. 1937 წელს მან აღადგინა და გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა (1712 წ.), დაურთო მას ვრცელი გამოკვლევა, სადაც დაასაბუთა, რომ ამ გამოცემის ტექსტი არაა რომელიღაც ძველი ხელნაწერის უცვლელი განმეორება, არამედ ის ერთ-ერთი ვრცელი ხელნაწერის ხელოვნურად შემოკლებული კრიტიკული რედაქციაა.

1956 წელს გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, რომელსაც ერთვის ა. შანიძის ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“. მასში მოცემულია 200-მდე სხვადასხვა სახის შესწორება.

ა. შანიძის ხანგრძლივი მუშაობის შედეგს წარმოადგენს 1966 წელს გამოსული „ვეფხისტყაოსნის საკითხები“. კრებულში დაბეჭდილია 33 გამოკვლევა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს პოემის ტექსტოლოგიურ კვლევაში. გ. ა.

67.

„კავკასიონი“ (ჟურ.), XII, 1967, პარიზი.

დაბეჭდილია მასალები შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის იუბილეს შესახებ:

მ. ქ. [მიხეილ ქავთარაძე?], 800 წლის თავზე ზეიმი პარიზში (გვ. 5-6). ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ პარიზში, ადიარის დარბაზში რუსთაველისადმი მიძღვნილი კრება გახსნა ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ ლევან ზურაბიშვილმა. სიტყვა „ამ ზეიმის მნიშვნელობაზე“ წარმოთქვა ნოე ცინცაძემ. სიტყვები და მოხსენებები წაიკითხეს: ვ. ნოზაძემ, გ. შარაშიძემ, ალ. შათირიშვილმა, ქეთ. დადიანმა, გ. ყიფიანმა და სხვებმა.

იქვე დაბეჭდილია: დეკანოზ მამა ილიას სიტყვა პარიზის წმ. ნინოს სახ. ეკლესიაში (გვ. 6-7), ნ. ცინცაძის სიტყვა (გვ. 7-8), გ. შარაშიძის, შოთა რუსთაველი და ქართველი ხალხი (გვ. 8-10), ალ. მანველიშვილის, რუსთაველის სოციალური და პოლიტიკური დოქტრინა (გვ. 10-13), ალ. შათირიშვილის, გრძნობა (ემოციური განცდები) „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 14-31), რ. ფ. სტივენსონის, „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანები შესახებ (გვ. 32), ე. აბულაძის ლექსი „პოეტი და მეფე“ (გვ. 36-37), გ. ყიფიანის ლექსი „სამადლობელად საქართველოს პოეტებს“ (გვ. 38), ჟ. ფაშალიშვილის ლექსი „შოთა რუსთაველს“ (გვ. 38), ნაური (ფსევდონიმი?), გაცნობა „ვეფხისტყაოსანთან“ (გვ. 38-39). ავტორი იგონებს, თუ ბავშვობისას სამეგრელოს ერთ პატარა სოფელში საღამოობით როგორ კითხულობდნენ ან ზეპირად მოთხრობით ისმენდნენ რუსთაველის პოემას. გ. ა.

68. ნოდარ კაკაბაძე

რუსთაველის ბიოგრაფიის ახალი ფაქტები
(რეპლიკა)

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967, 10 თებ., № 7, გვ. 2.

ავტორი წერს, რომ გერმანულ გაზეთში „ზონტაგ“, 1966, № 41, დაბეჭდილია ილია მუხაძის წერილი „ჩვენი თანამედროვე – რუსთაველი“, სადაც წერია: რუსთაველს... „შუა სექტემბერში 800 წელი შეუსრულდებოდა“. „თავისი ხალხისათვის რუსთაველი არის პუშკინიც, ლომონოსოვიც და პეტრე დიდიც“. ის იყო „ეროვნული სახელმწიფოს პირველი მინისტრი“...

ავტორი სვამს კითხვებს:

1) როგორ დაადგინა ი. მუხაძემ რუსთაველის დაბადების თვე ასე ზუსტად?

2) რუსთაველს რა ნიშნით ადარებს ლომონოსოვს და პეტრე დიდს?

3) რატომ შეჰყავს შეცდომაში უცხოელი მკითხველი? გ. ა.

69. ნ. კაკაბაძე, ნ. რუხაძე

საქართველო „ატლანტისის“ ფურცლებზე

გაზ. ლიტერატურული საქართველო“, 1967, 14 აპრილი, № 16, გვ. 3.

ავტორები გვაცნობენ ციურიხში გამოსულ ჟურნალ „ატლანტისის“ ერთ ნომერს, რომელიც საქართველოს ეძღვნება.

ერთგან ქართული მუსიკის შესახებ აღნიშნულია: „1945-46 წლებში ევროპას შესაძლებლობა მიეცა ახლოს გასცნობოდა ქართულ ხალხურ მუსიკას. ეს გახლდათ სამსაათნახევრიანი ბალეტი, რომელიც

მარკიზ დე კუევას დასმა მონტე კარლოში წარმოადგინა. «ვეფხისტყაოსნის» მოტივებზე შექმნილი ეს სპექტაკლი მაყურებელმა აღტაცებით მიიღო, ხოლო კრიტიკამ მას «მეოცე საუკუნის შედევრი» უწოდა".

ქართული ლიტერატურა განხილული აქვს მწერალსა და ლიტერატორს დოქტორ კურტ ჰოჰოფს. „ვეფხისტყაოსანზე" ის წერს: „არსად არ გაშლილა ქართველი ხალხის სული ისე ფართოდ და ღრმად, როგორც რუსთაველის პოემაში. ეს ეპოსი იქცა ამ ხალხის სახელმძღვანელოდ. ეს არის ქართული სულის ყველაზე დიდი სარკე. რუსთაველი ქართულ ლიტერატურაში დარჩა ცალკეულ შემთხვევად, ისევე როგორც ჰომეროსი, ვერგილიუსი, შექსპირი და გოეთე. იგი ხალხის სულის ინკარნაციას წარმოადგენს". ავტორები ამ წერილის მიმართ გამოთქვამენ რამდენიმე შენიშვნას. მათ შორის, აღნიშნავენ: „«ვეფხისტყაოსნის» ჰუპერტისეული თარგმანი მას დასავლეთ ევროპაში ერთადერი სრული თარგმანი ჰგონია". ბ.დ.

70. შალვა კაკულია

დიდ საიუბილეო შენაძენთა ათვისებისათვის

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება", 1967, № 2, გვ. 14-16.

წერილში აღნიშნულია, რომ იუბილეს პერიოდში რუსთველოლოგიური ლიტერატურა გამდიდრდა სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო გამოკვლევებით. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ დღევანდლამდე შეუსწავლელი ან სადავო საკითხების გარკვევისათვის. ერთ-ერთი ასეთია რუსთაველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური წყაროების პრობლემა. ავტორი მიუთითებს „საბჭოთა ხელოვნების" 1966 წ. № 10-ში დაბეჭდილ სტატიაზე: „რუსთაველის მხატვრულ-იდეური სამყაროს ზოგიერთი მხარე", რომლის ავტორი ბრალს სდებს შ. ნუცუბიძეს იმაში, რომ მან რუსთაველი გამოაცხადა ფსევდოარეოპაგელის „იდეათა წრის" გამლექსავად.

შ. კაკულია აღნიშნავს, რომ ეს ბრალდება უსამართლოა. ამას გარდა სტატიის ავტორი ცდება არეოპაგეტული ფილოსოფიის შეფასებაში, როდესაც მას „ზოგადთეოლოგიურ და სქოლასტიკურ ნააზრევს" უწოდებს. გ. ა.

71. ლავროსი კალანდაძე

პოეზიის სათავიდან

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ერთდროული გაზეთი „რუსთაველის დღე", 1967, 30 სექტ., გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ქართული პოეზიის დიდი გზა ყოველთვის ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების, მისი ჭირ-ვარამის, მისი საარსებო საკითხების შუაგულში გადიოდა და თავის უკეთეს ნაწილში ყოველთვის ასახიერებდა ხალხის სიბრძნეს, მის სამოქალაქო, ეროვნულ, ზნეობრივ და ესთეტიკურ მისწრაფებებს, შოთას ნაანდერძევი სიბრძნის ეს ერთი დარგი გურამიშვილმა ქართლის ჭირის გასახსნელად მოიმარჯვა..." ამავე კონტექსტში შემდეგ დასახელებული არიან ნ. ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და მთელი ქართული საბჭოთა პოეზია. ბ.დ.

72. ჟან კატალა

[ამ ნაწარმოებით უნდა ვისწავლოთ...]]

გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1967, 17 თებ., № 8, გვ. 4.

საფრანგეთის პრესაში („ფრანს ნუველ") გამოქვეყნებული ჟან კატალას სტატიის შემოკლებული თარგმანი (მოგვყავს მთლიანად):

„...არ გვაწყენდა თავმდაბლობის გადმოღება ამ ხალხისაგან. ჩვენ დასავლეთში მას შემდეგ კიდევ სამასიოდე წელს ვუცადეთ იმ ნაკადის შემოჭრას, რომელსაც აღორძინება ჰქვია და რომელიც ასე ღრმად იყო ჩამარხული ანტიკური სამყაროს ნანგრევებში. ოღონდ ამას ჩვენში ზედ ისიც ჰქონდა წაფენილი, რასაც დღეს დოგმატურ იდეოლოგიას ვუწოდებთ. მთავარი კი ის გახლავთ, რომ თავმდაბლობასთან ერთად ამ ნაწარმოებით უნდა ვისწავლოთ ძმობა, მეგობრობა, სიყვარული, რადგან «ვეფხისტყაოსანი» ათასი წლის შემდეგაც აგრძნობინებს კაცობრიობას ცივილიზაციის ერთიანობის აუცილებლობას". ბ.დ.

73. ვ. კახნიაშვილი

მეგობრობამ მანძილი არ იცის
(საქართველო-გერმანიის კულტურული ურთიერთობა)

გაზ. „კომუნისტი“, 1967, 30 მაისი; “*Вечерний Тбилиси*”, 1967, 22 ნოემბ.

წერილში აღნიშნულია, რომ გერმანულ ლიტერატურაში XVII საუკუნეში გვხვდება საინტერესო ცნობები საქართველოსა და ქართველებზე. ავტორი აღნუსხავს ორმხრივ კულტურულ და მეცნიერულ კავშირებს XIX, XX საუკუნეებში. სხვათა შორის წერს, რომ ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის დახმარებით არტურ ლაისტმა გერმანულად თარგმნა და 1890 წელს დრეზდენში გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“.
გ. ა.

74. ზურაბ კიკნაძე

შესახებ „მზიანისა ღამისა“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967, 8 სექტ., № 36, გვ. 2.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 836-ე სტროფში რუსთაველი ამბობს: მზე ხატია მზიანი ღამისა, ანუ სოფლად მოვლინებული ქრისტეს ხატი. მაგრამ ეს ფიგურა არ არის მხოლოდ თეოლოგიური ცნება პოეტისათვის, იგი ამავე დროს მხატვრული სახეა, რომელიც სავსებით ეთანხმება „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკას. უფრო მეტი: „მზიანი ღამე“ რუსთაველისათვის შინაგანად ხილული რეალურ წარმოსახვითი ხატია.

ამ სტროფში რუსთაველი მხოლოდ გაკვრით იხსენიებს ქრისტეს, რადგან ლოცვა მიმართულია ხილული მზისადმი, რომელიც მართავს ცთომილთა მოძრაობას. მზე ლოცვის ობიექტი იმიტომ გამხდარა, რომ იგი ხატია ქრისტესი.

836-ე სტროფში ქრისტეს შესახებ ნათქვამია: 1) იგია ნათელი ბნელში, სოფლად მოვლინებული მზიანი ღამე. 2) იგია ერთარსება ერთისა (ღმრთისა), მისი ბუნების ზიარი. 3) იგია განკაცებული ღმერთი, ორბუნებოვანი („უჟამო ჟამიერი“). გ. ა.

75. დავით კობიძე

ფილოლოგიური დაკვირვებანი

კრებ. „ორიონი“, ეძღნება აკად. ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავს, თბ., 1967, გვ. 200-213.

„ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით საყურადღებოა ქვესათაური „ავთანდილ გადინადირა“ (გვ. 205-210), სადაც მკვლევარი განიხილავს ხალხურ „ტარიელიანში“ ჩართულ ლექსს: „ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი, ტყიანი...“. ეს ლექსი შინაარსით ჰგავს „ვეფხისტყაოსნის“ 195-196 სტროფებს, აგრეთვე „როსტომიანის“ ერთ ეპიზოდს, რომელშიც ნადირობის შემდეგ დაძინებულ როსტომს თურქი მხედრები ცხენს მოჰპარავენ (ქამანდით დაიჭერენ და წაიყვანენ). დ. კობიძის აზრით, ბალადა „ავთანდილ გადინადირა“ არასოდეს წარმოადგენდა ხალხური „ტარიელიანის“ ორგანულ ნაწილს. ის შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ დაწერამდეც იყოს შექმნილი.

„როსტომიანის“ ზემოხსენებულ ეპიზოდში ნათქვამია, რომ როსტომმა „დაიგო მოლი ქვეშე“ (2621,3). ეს სიტყვა ამ თხზულებაში კიდევ სამჯერ გვხვდება. იუსტ. აბულაძის ლექსიკონის მიხედვით, ორ სტროფში (2263, 1621) ის მოსასხამს, გარეთა ჩასაცმელს ნიშნავს, დანარჩენ ორში კი (1997, 2089) მწვანე ბალახს. სპარსულ დედანში ყველგან გია „ბალახი“ იკითხება.

„ვეფხისტყაოსანში“ კი მოლი მართლაც მოსასხამი უნდა იყოს, რაც არაბული სიტყვიდან მოდის.
გ. ა.

76. ფ. კოტეტიშვილი

ქართული რომანის ისტორიისათვის („ვეფხისტყაოსანი“)

ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 21, 1967, გვ. 267-299.

მკვლევარი აკეთებს „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ ანალიზს სიუჟეტის განვითარებისა და პერსონა-

ჟების ხატვა-დახასიათების ასპექტით და საკუთარ თვალსაზრისს ასე აკონკრეტებს დასკვნების სახით:

„ვეფხისტყაოსანი“ თანადროული ეპოქის ამსახველი მხატვრული ქმნილებაა. ტერმინი „პოემა“ ვერ ამოწურავს ამ თხზულების სირთულეს; ის არც ეპოპეაა, რომლისთვისაც ნიშანდობლივი არ არის ადამიანთა ხასიათებში ფსიქოლოგიური ჩაღრმავება.

„ვეფხისტყაოსანი“ ეპოქალური რომანია, რომლის ცხოვრებისეული და სისხლსავსე პერსონაჟები თავიანთი დროის მაღალ იდეალებს ატარებენ. რუსთაველი ყოველმხრივ წარმოაჩენს თითოეულ ტიპს იმდროინდელი სამყაროს ფონზე გმირთა სახეები იმდენად რეალურია, ისე დეტალურად არიან დახატულნი, რომ სრულყოფილად არის ნაჩვენები მათი ადამიანურობა, უბრალო მოკვდავთათვის დამახასიათებელი ჩრდილოვანი მხარეებით, რაც არ იძლევა იდეალური გმირების კატეგორიაში მათი მოთავსების შესაძლებლობას.

„ვეფხისტყაოსანში“ ნათლად ჩანს ეპოქის სახე და ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალურ-ეკონომიკური ცხოვრების გარკვეული პერიოდი.

გამოკვლევას ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 299). გ. ა.

77. ბათუ კრავეიშვილი

შოთა დღეები

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 20 იანვარი, გვ. 2.

ავტორი მოგვითხრობს 1966 წელს ტაშკენტსა და კიევში ჩატარებულ საზეიმო დღეებზე რუსთაველის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით.

78. დევიდ მარშალ ლანგი

საქართველოს დიადი მომღერალი — შოთა რუსთველი

დაბეჭდილია „ანგლო-სოვიეტ ჯორნალ“-ში 1966, № 27;
თარგმანი: გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967, 17 მარტი, № 12.

ავტორი მოუთხრობს ინგლისელ მკითხველს, როგორც ეროვნული გენიის უმაღლესი გამოხატულების პოეტზე, რუსთაველის უსაზღვრო პოპულარობაზე საქართველოში.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ სასიყვარულო თხზულება არ არის, ესაა ჰიმნი მეგობრობის, ერთგულების, მაღალი მისწრაფებებისა, რომ პოემაში რუსთაველი უმღერის არა ჩვეულებრივ ხორციელ სიყვარულს, არამედ სიყვარულის იდეალურ, მარადიულ კულტს, პლატონურ სიყვარულს.

ავტორის აზრით, თანდათან იზრდება რუსთაველისადმი სიყვარული ინგლისში. მ. უორდროპის პროზაული თარგმანი პოემისა იბეჭდება აზიის სამეფო საზოგადოების მიერ, ხოლო მთარგმნელი ვენერა ურუშაძე მუშაობს „ვეფხისტყაოსნის“ ახალ პოეტურ თარგმანზე. გ. ა.

79. არმან ლანუ

რომანტიულ კავკასიაში მოგზაურობის დღიურიდან

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967, 31 მარტი, № 14, გვ. 4.

ეს არის ნაწყვეტი ფრანგი მწერლის არმან ლანუს წერილიდან, რომელიც გამოქვეყნებულია საფრანგეთ-სსრ კავშირის საზოგადოების ჟურნალში და სადაც დღიურების სახით გადმოცემულია 1966 წლის სექტემბერ-ოქტომბერში რუსთველის საიუბილეოდ საქართველოში ჩამოსული ავტორის შთაბეჭდილებანი. ერთგან იგი წერს: „ძმური გულითადობით მიგვიღო «ვეფხისტყაოსნის» შესანიშნავმა მთარგმნელმა სერგი წულაძემ, რომელმაც ამ ერთი წლის წინათ რუსთაველი კიდევ უფრო მითიური გახადა ფრანგებისათვის. წულაძისეული ფრანგული თარგმანით ქართველი პოეტი ისეთივე ახლობელი გახდა ჩვენთვის, როგორც კრეტიენ დე ტრუა და ბერნარდ დე ვენტადორნი, და უფრო გასაგები, ვიდრე

პუშკინი ან ლერმონტოვი“. ბ.დ.

80. მაქს ლეონი

რენესანსის წინამორბედი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967, 17 მარტი. პირველად დაიბეჭდა „იუმანიტეში“, 1966 წ.

ავტორი ფრანგ მკითხველს მოუთხრობს რუსთაველის დღეებზე საქართველოში. აღნიშნავს, რომ რვაასი წლის წინ ქართული ლიტერატურის ფუძემდებლის მიერ დაწერილი პოემა სიყვარულის, მეგობრობის და სილამაზის ჰიმნია, ადამიანის ჰიმნი.

81. ივანე ლოლაშვილი

რუსთაველის საისტორი თხზულების გამო

ჟურ. „მაცნე“, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყ. ორგანო, 1967, № 2, გვ. 295-310.

ავტორი აღნიშნავს, რომ მან 1961 წელს გამოაქვეყნა ნარკვევი: „რუსთველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა“, სადაც სცადა დაესაბუთებინა თეზისი, რომ რუსთაველი უნდა იყოს თამარის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი. ეს ნაშრომი, გამოქვეყნებამდე და დაბეჭდვის შემდეგაც, დადებითად შეაფასეს: კ. კეკელიძემ. ა. შანიძემ. ა. ბარამიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, ს. კაკაბაძემ, გ. იმედაშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა. წიგნზე კრიტიკული გამოხმაურება გამოაქვეყნა ნ. ნათაძემ („მნათობი“, 1966, № 2), რომლის მიზანი იყო წიგნის ძირითადი დებულებების გაბათილება.

ივ. ლოლაშვილი უპასუხებს ნ. ნათაძის კრიტიკულ შენიშვნებს და დაასკვნის, რომ რეცენზენტის მსჯელობა უსაფუძვლო და ტენდენციურია. გ. ა.

82. ჯიბო ლომაშვილი

„საქმე ვქმენ საჭოჭმაები“

ჟურ. „ცისკარი“, 1967, № 5, გვ. 83-91.

წერილის ავტორს სურს წარმოადგინოს საკუთარი თვალსაზრისი პოემის დასაწყისის მე-9 სტროფის შესახებ. მისი რწმენით, „ვეფხისტყაოსანში“ ასახული სინამდვილე არის XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიული სინამდვილე, ე. ი. იმ ეპოქის ისტორიულ პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა; ნესტან-დარეჯარის სახეში წარმოდგენილია თამარ მეფე, ხოლო ტარიელის სახეში – დავით სოსლანი. დავითი იგულისხმება მე-7 და მე-8 სტროფებშიც: გამოთქმა „მისთვის გულლახვარსობილი“ ეკუთვნის მთავარ გმირს ტარიელს, ანუ დავით სოსლანს. „ვის მორჩილობს ჯარი სპათა“ — ესეც ტარიელია, ანუ იგივე დავითი.

„საჭოჭმანები საქმე“ კი, მკვლევრის აზრით, ის იყო, რომ პოეტმა საქართველოს ისტორიული სინამდვილე გაორმაგებულ მხატვრულ სიუჟეტში ასახა – არაბეთის სამეფო კარისა და ინდოეთის სახელმწიფოს მმართველთა ცხოვრებისა და მოქმედების მაგალითებზე.

მკვლევარი ფიქრობს, რომ პოეტმა თავისთავიც ჩართო თხზულების პერსონაჟთა შორის; რუსთაველი ფრიდონში გულისხმობს თავის თავს, იგი ეხმარება მიჯნურებს მიზნის მიღწევაში, თვითონ კი რჩება მეუღლის (ან საცოლის), აგრეთვე რეალური სამეფოს გარეშე (მულღაზანზარი არ არის ისტორიულად არსებული სახელმწიფო). გ. ა.

83. მ. მამულაშვილი

ჩილელი მწერალი რუსთაველის შესახებ

გაზ. „ქუთაისი“, 1967, № 24.

ავტორი იუწყება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე მთარგმნელი, ჩილელი მწერალი გუსტავო დე ლა ტორე ბოტარო მუშაობს პოემის საკუთარი თარგმანის დედანთან ხელახლა შეჯერებაზე.

მას განზრახული აქვს თხზულების შესწორებული ტექსტის ხელმეორედ გამოცემა. გ. ა.

84. მ. მამულაშვილი

რუსთაველი ჩილეს სანტიაგოში

გაზ. „თბილისი“, 1967, 28 იანვარი, № 24, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს ჩილეს სანტიაგოდან გამოგზავნილ გუსტავო დე ლა ტორე ბოტაროს წერილს, სადაც აღნიშნულია, რომ 1966 წლის 29 დეკემბერს სანტიაგოში დიდი ზეიმით გადაუხდიათ შოთა რუსთველის დაბადების 800 წლისთავი. აღწერილია საიუბილეოდ დაბეჭდილი პროგრამა და საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოხსენებით ბოტარო გამოსულა. მას რუსთველის დანტესთან შედარების გამო დასმულ კითხვაზე უპასუხია: „ჩემი აზრით, რუსთაველი დანტეზე გაცილებით მაღლა დგასო“.

ბოტაროს ესპანურად თავისი ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ მადრიდში ესპანეთის მეცნიერებათა აკადემიისათვის გაუგზავნია, სადაც 30 დეკემბერს რუსთველის საიუბილეო კრება მოუწვევიათ. ბოტაროს პოემის თავისი თარგმანი საჩუქრად გაუგზავნია აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკისათვის და ყველა ესპანური ქვეყნის უნივერსიტეტებისა და აკადემიებისათვის. ამჟამად ის მუშაობს საკუთარი თარგმანის დედანთან შედარებაზე. განზრახული აქვს, მისი შესწორებული და გადამუშავებული ტექსტი ხელმეორედ გამოსცეს. ბ.დ.

85. მ. მამულაშვილი

„რას მოგვითხრობს ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „თბილისი“, 1967, 7 თებ., № 33, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას მ. ებრალიძის მიერ პროზად „გარდათქმულ“ ვეფხისტყაოსანზე. ავტორი ამ ცდას წარმატებულად მიიჩნევს და მას პოემის მხატვრულ თარგმანს უწოდებს ახალ ქართულზე. აღნიშნავს ზოგიერთ სტილისტურად გაუმართავ წინადადებას, აგრეთვე არქაიზმებისა და დიალექტიზმების გამოყენების შემთხვევებს, რომლებიც ასეთი გმოცემისათვის შეუფერებლად მიაჩნია. გ. ა.

86. ელენე მაჭავარიანი

შოთა რუსთაველის პორტრეტი ე. წ.
ზაზასეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიდან

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1967, გვ. 13.

მოგვყავს უცვლელად:

1. ე. წ. ზაზასეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერში (Q-1082) სხვა ხელნაწერებიდან გადმოტანილია არა მარტო შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება, არამედ ოქროს საღებავით შესრულებული ბორდურებიც.

2. შოთა რუსთაველის მინიატურას ზურგის მხრიდან შემორჩენილი აქვს ტექსტის შემკულობის ანალოგიური ბორდურის ფრაგმენტი, რაც მიუთითებს ოქროს ბორდურებისა და შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულების შესრულების ერთდროულობაზე.

3. მხატვრული და პალეოგრაფიული მონაცემები „ზაზასეული“ ხელნაწერის შექმნის შემდეგ სურათს გვიხატავს: ა) ხელნაწერის ტექსტის გადაწერამდე სხვა ხელნაწერებიდან გადმოიტანეს შოთა რუსთაველის მინიატურა და ოქროს ბორდურები; ბ) შოთა რუსთაველის მინიატურა შეამკეს ახალი ჩარჩო-ბორდურებით და იმავე სტილში მოხატეს ხელნაწერის დასაწყისი გვერდი თავსამკაულითა და წვრილი ყვავილებისაგან შემდგარი ორნამენტული ფონით; გ) ტექსტი გადაიწერა ხელნაწერის მხატვ-

რული შემკობის შემდეგ. ბ.დ.

87. იოსებ მეგრელიძე

თეიმურაზ ბაგრატიონი როგორც რუსთველოლოგი

კრებ. „ორიონი“, ეძღვნება ა. შანიძეს დაბადების 80 წლისთავზე, თბ., 1967, გვ. 231-243.

ავტორი აღნიშნავს, რომ თ. ბაგრატიონი იყო პირველი ქართველი აკადემიკოსი, სრულიად რუსეთის მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი, აგრეთვე – პარიზის სააზიო საზოგადოებისა და საფრანგეთის თავისუფალი ხელოვნების აკადემიის წევრი.

თ. ბაგრატიონი ძირითადად ისტორიკოსი იყო, მაგრამ დიდი ღვაწლი დასდო „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და გამოცემის საქმეს. იგი მონაწილეა პოემის 1841 წლის გამოცემისა. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მისი ნაშრომი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ (1843 წ.), რომელიც სტამბურად მხოლოდ 1960 წელს გამოქვეყნდა.

„ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხში თ. ბაგრატიონი აგრძელებს ვახტანგ მეექვსის ხაზს და პოემის „განმარტებასაც“ თითქმის ვახტანგის მსგავსად წერს, ოღონდ მისი კომენტარები უფრო ვრცელია და სრული. თ. ბაგრატიონს საქმიანი ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა მარი ბროსესთან 1833 წლიდან, რომელსაც კონსულტაციას უწევდა და სათანადო მასლას აწვდიდა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და მისი პოემის პრობლემურ საკითხებზე. გ. ა.

88. ი. მეგრელიძე

გამოჩენილი რუსთველოლოგი

გაზ. „თბილისი“, 1967, 11 მაისი, № 108, გვ. 3.

წერილი ეძღვნება აკად. ა. შანიძეს დაბადების 80 წლისთავის გამო.

89. ი. მეგრელიძე

წინასიტყვაობა წიგნისა: იუსტინე აბულაძე,
რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967

ი. აბულაძის შრომების კრებულის შემდგენელი „წინასიტყვაობაში“ აღნიშნავს, რომ ამ რუსთველოლოგიური ნაშრომების ავტორი იყო თავისი დროის ერთი საუკეთესო ქართველ ფილოლოგთაგანი, დაკვირვებული ტექსტოლოგი და ნაყოფიერი ლექსიკოლოგი. მან წინ წასწია რუსთველოლოგია. ი. აბულაძის გამოკვლევების დიდი ნაწილი აშუქებს რუსთაველის ბიოგრაფიისა და მის თხზულების უმთავრეს პრობლემებს და ისინი ამჟამადაც გამოსადეგნი არიან როგორც რუსთველოლოგების, ისე პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის. გ. ა.

90. ლევან მენაბდე

„ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს
ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი
(მე-19 ს-ის მეორე ნახევარი), თბ., 1967, 192 გვ.

წიგნი გამოცემულია თსუ-ს რუსთველის კაბინეტის გრიფით. მასში განხილული და შეფასებულია საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა – ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ი. გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას – რუსთველოლოგიური შეხედულებანი; ნაჩვენებია მათი ნააზრევის როგორც ისტორიული, ისე მეცნიერული ღირებულება თანამედროვე თვალსაზრისით. გარკვეულია „ვეფხისტყაოსნის“ როლი ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

წიგნში დახასიათებულია რუსთველის თხზულების მე-19 საუკუნეში განხორციელებული ნაბეჭდი

გამოცემები (1841, 1846, 1860, 1888 წწ.). 15-30 გვერდებზე წარმოდგენილია იმავე საუკუნის პირველ ნახევარში წარმოებული რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება და მისი შედეგები.  გ. ა.

91. როინ მეტრეველი

პოეზია და ახალგაზრდობა

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ერთდღიური გაზეთი „რუსთაველის დღე", 1967, 30 სექტ., გვ. 7.

ავტორი აღნიშნავს, რომ „რუსთაველის დღის დაწესება ყოველწლიურად ჩვენი პოეზიის, საერთოდ, ჩვენი მწერლობის ჭეშმარიტი დღესასწაულია". ბოლოს წერს: „ქართველი ახალგაზრდობა თავის ხმას უერთებს ჩვენს მწერლებს და გულწრფელად ულოცავს ჩვენი ლიტერატურის დღესასწაულს – რუსთაველის დღეს".  ბ.დ.

92. გივი მიქაძე

რუსთველოლოგიური პრობლემატიკა საბჭოთა საქართველოში

კრებულში - „ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხები", თბ., 1967, გვ. 313-329.

ნაშრომში მოცემულია რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების ვრცელი მიმოხილვა XX ს-ის 20-იანი წლებიდან 60-იან წლებამდე, კერძოდ: იუსტ. აბულაძის, ს. კაკაბაძის, კ. ჭიჭინაძის ტექსტოლოგიური მუშაობის, „ვეფხისტყაოსნის" პირველი გამოცემის წყაროების დადგენის (ა. შანიძე, ს. ცაიშვილი), პოემის ხელნაწერული რედაქციების ურთიერთობის, პირველი საიუბილეო (1937 წ.) გამოცემის, რუსთველისეული ტექსტის გაგრძელებათა, შოთა რუსთაველის ვინაობა-სადაურობის, მისი მსოფლმხედველობისა და რელიგიური მრწამსის, ვეფხისტყაოსნის ენისა და პოეტიკის, 1966 წლის გამოცემების ტექსტობრივ თავისებურებათა და სხვა საკითხებისა.

ნარკვევში აღნიშნულია ისეთი გამოცემების მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორიცაა: ა. შანიძის „ვეფხისტყაოსნის" სიმფონია, ს. ყუბანეიშვილის „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა", თ. ბაგრატიონის „განმარტება...", „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები (ოთხ წიგნად) და სხვ.  გ. ა.

93. კონა მიქაძე

სახალხო თეატრის საინტერესო სპექტაკლი

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება", 1967, № 1, გვ. 76-78.

რეცენზენტი წერს, რომ ონის სახალხო თეატრმა თბილისელ მაყურებელს წარუდგინა დ. კასრაძის „ლეგენდა შოთა რუსთაველზე". მისი თქმით, „რეჟისორ-დამდგმელის გ. ჯაფარიძის ნამუშევარი აღბეჭდილია თვალსაჩინო მხატვრული ღირსებებით, რაც ვლინდება სპექტაკლის ჩინებულ აქტიორულ შესრულებაშიც (...). ეს სპექტაკლი ონის სახალხო თეატრის დიდი გამარჯვებაა".  გ. ა.

94. მიხ. მშვიდობაძე

სულიერი ნათესაობა

(„ვეფხისტყაოსანთან" ნ. ბარათაშვილის პოეზიის დამოკიდებულების საკითხისათვის)

ჟურ. „ლიტერატურული აჭარა", 1967, № 3, გვ. 83-87.

ავტორი წერს, რომ რუსთაველის გენიას ნ. ბარათაშვილი პირველად შიო მღვიმელმა გაუტოლა, პროფ. ალ. ცაგარელი კი 1870 წელს გაზეთ „დროებაში" წერდა, რომ გრძნობის ძალითა და სიმაღლით პოეტური წარმოსახვის სიმდიდრით, ლექსის თავისუფალი მდინარებით, ადამიანის გულის მოძრაობის ოსტატური გამოთქმით ნ. ბარათაშვილი რუსთაველს ედრებაო.

იონა მეუნარგიამ აღნიშნა, რომ ბარათაშვილის სტრიქონი „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში..." გამო-

ძახილია ავთანდილის სიტყვებისა: „თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან...“ კიტა აბაშიძე წერდა, რომ ნ. ბარათაშვილმა რუსთაველისაგან ისესხა ზნეობრივი აზრი სიკვდილის შესახებ. გ.ა.

95. მწერალთა ბორჯომის საერთაშორისო ფორუმი

ჟურ. „მნათობი“, 1967, № 3, გვ. 96-138.

ფორუმში მონაწილეობდნენ რუსთაველის იუბილეზე ჩამოსული მწერლები და მეცნიერები მსოფლიოს 33 ქვეყნიდან. შეხვედრები მიმდინარეობდა 1966 წ. 27-28 სექტემბერს ბორჯომში და 1 ოქტომბერს თბილისში. მონაწილეთა სიტყვები დაიბეჭდა „Иностранная литература“-ს 1967 წ. № 2-ში. ესენი არიან: ი. აბაშიძე, ა. სურკოვი, ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი (გფრ), გრ. აბაშიძე, ე. ევტუშენკო, ა. კურელა (გდრ), პ. გამარა (საფრ.), ხ. გოიტისოლო (ესპ.), ტე ლან ვიენი (ვიეტნამი), ბ. სუჩკოვი, რ. როჟდესტვენსკი, ჯ. ოლდრიჯი (ინგლისი), გიევიკი (საფრ.), მ. ლუკონინი, ირჟი ტაუფერი (ჩეხ.), დიულა იიეში (უნგრ.), ვ. პერცოვი, ა. კეშოკოვი, რ. ალბერტი (ესპ.), ედ. სანგვინეტი, კ. ლევი (იტ.), გ. მარგველაშვილი, ივ. განდინი (საფრ.), ი. პშიბოსი (პოლ.), ა. ჰიდაში (უნგრ.), ჯო უოლესი (კანადა), ჰ. ჰუპერტი (ავსტრია), ქათებ იასინი (ალჟირი), თ. ჭილაძე, ლეონე პიჩონი (იტ.), დორა გაბე (ბულგ.), მაქს-პოლ ფუშე (საფრ.), ყ. ყულიევი, ვ. მაჭავარიანი, ცვ. ანგელოვი (ბულგ.), ბ. რიურიკოვი, ხ. ლ. პაჩეკო (ესპ.), გ. ასათიანი, მ. ლუცი (იტ.), ვ. მიგალიკი (ჩეხ.).

წერილობით გადაეცა ჟურნალის („Иностр. лит.“) რედაქციას: ვ. კუბაცკის (პოლ.), ლ. ნოვიჩენკოს და ალ. სურკოვის (სსრკ) სიტყვები.

ფორუმის მონაწილეთაგან მხოლოდ ზოგიერთი (და ისიც — ზოგადად) ახსენებდა რუსთაველსა და მის თხზულებას. მათი მსჯელობა შეეხებოდა მწერლობის დანიშნულებას საერთოდ, პოეზიის როლს მე-20 საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ტრადიციისა და ნოვატორობის პრობლემას ლიტერატურაში და ა. შ. გ. ა.

96. გ. ნინოშვილი [გ. შარაძე]

შვეიცარიელი ქართველოლოგები შოთა რუსთველს

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1967, 24 ივნისი, გვ. 4.

ავტორი გვაუწყებს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტს ლეა ფლურმა საჩუქრად გამოუგზავნა ფრანგულ ენაზე გამოცემული კრებული „შოთა რუსთაველი ჟენევის უნივერსიტეტში“, „ვისრამიანის“ ქართული ვერსიის შემოკლებული გერმანული თარგმანი და იუნესკოს ორგანოს “კურიერის“ 1966 წლის ოქტომბრის ნომერი გერმანულ ენაზე, სადაც დაბეჭდილია ირაკლი აბაშიძის წერილი — „ვეფხისტყაოსანი“, მ. თავაქარაშვილის, ნ. ფიროსმანაშვილის და კ. გურულის ილუსტრაცები. შემდეგ მოთხრობილია შვეიცარიელი ქართველოლოგების კ. ჩხენკელის, რუთ ნოიკომის, ლეა ფლურის, იოლანდა მარშევის ქართველოლოგიის, კერძოდ, რუსთველოლოგიის დარგში მოღვაწეობაზე. იქვეა დაბეჭდილი ხსენებული ქართველოლოგი ქალების ფოტოსურათი. ბ.დ.

**97. Ш. Нуцубидзе**

**Руставели и Восточный Ренесанс**

*Под ред. Ш. Хидашели, Изд. 2, Тб., 1967, 387 с.*

(იხ. პირველი გამოცემის ანოტაცია № 2178).

98. თინათინ ოჩიაური

მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.

წიგნის 87-96 გვერდებზე ავტორი მსჯელობს „ვეფხისტყაოსანში“ არსებულ ცნებებზე: „ქაჯი“ და „ქაჯეთი“ და ზეპირი მითოლოგიური გადმოცემებიდან ცნობილ „ქაჯებსა“ და „ქაჯავეთის“ ქვეყანაზე. მისი აზრით, ფშავ-ხევსურული თქმულებების „ქაჯებში“ იგულისხმებიან ჩრდილო კავკასიაში – ქისტეთში ან დიდოეთში მცხოვრები ტომები, რომლებიც ქართველი მთიელებისაგან განსხვავდებიან წეს-ჩვეულებით, აგრეთვე სამეურნეო და საბრძოლო იარაღის დამზადების ხელოვნებით, ზოგადად – ლითონის ჭედვისა და დამუშავების მაღალი ოსტატობით.

იქვე (გვ. 96) თ. ოჩიაურს მოჰყავს ეთნოგრაფ ვერა ბარდაველიძის მოსაზრება (მისი გამოუქვეყნებელი შრომიდან „О каджах“), რომელიც ხევსურული თქმულების ქაჯებს უკავშირებს პროტოხეთურ ტომს – კაშკებს (სავარაუდო ქაშაგებს) და თქმულებებში აღწერილი ამბავი მიაჩნია აღმოსავლეთ საქართველოს ტომების მიერ წარმოებული ბრძოლების ანარეკლად კაშკებისა და წობენების წინააღმდეგ.

თ. ოჩიაურს დაუსაბუთებლად მიაჩნია შოთა ჩიჯავაძის მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებში რეალურად არსებული ხალხი – ინდოეთში მცხოვრები „კაჩის“ ტომი ან ნიგერიელი „ქაჯუს“ ტომი იგულისხმება.

მკვლევრის ვარაუდით, რუსთველის პოემაში „ქაჯი“ ხალხის ეთნიკური სახელი კი არაა, არამედ მათ ასე ეძახიან „გარეშემონი ყველანი“, მათგან განსხვავებული ყოფისა და ზნის გამო.   გ. ა.

**99. В. Ошерович**

**Находка в Ленинграде**

გაზ. *“Вечерний Тбилиси”, 1967, 8 февр., №34,* გვ. 3.

ცნობა, რომ კ. ნ. გრიგორიანმა აღმოაჩინა პეტერბურგის ცენზურის მიერ 1892 წელს გაცემული ნებართვა შოთა რუსთაველის პორტრეტის გამოქვეყნების შესახებ. ნებართვა ხელმოწერილია ნიკო მარის მიერ.   ბ.დ.

100. პავლე ოხრიმენკო

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბელორუსული გამოცემა

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967, 27 იანვ., № 5, გვ. 1.

როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები ბელორუსულ ენაზე 1937 წელს დაიბეჭდა (მ. ხვედოროვიჩის, ა. ზარეცკის და სხვების თარგმანები), 1966 წელს კი გამოიცა ა. ზვონაკისა და მ. ხვედოროვიჩის სრული თარგმანი. გამოცემას ერთვის ი. თოიძის ილუსტრაციები და პოეტ ი. სემეჟონის წინასიტყვაობა, რომელშიც დახასიათებულია შოთა რუსთაველის პოემის მნიშვნელობა და თავისებურება.   გ. ა.

101. ფ. პავლიაშვილი

რუსთველის კაბინეტი ერევნის უნივერსიტეტში

გაზ. „თბილისი“, 1967, 14 ოქტომბერი, № 242, გვ. 3

ავტორი გვაცნობს ერევნის უნივერსიტეტში გახსნილ შოთა რუსთაველის სახელობის სომხურ-ქართული ფილოლოგიის კაბინეტს, რომელსაც სათავეში უდგას გურგენ სევაკი, თანაშემწეები არიან მიხეილ ბაბურიანი და ცისმარა ზედგინიძე. სხვა ღონისძიებებთან ერთად აღნიშნულია, რომ „გათვალისწინებულია გამოვიდეს მ. ბაბურიანის ნაშრომი — „ვეფხისტყაოსნის“ სომხური თარგმანები“. ბ.დ.

102. აპ. ჟორდანია

ფიქრები „ვეფხისტყაოსანზე“

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1967, № 4, გვ. 70-76.

ავტორი მსჯელობს გრძნობის (გულის) და გონებისმიერი განსჯისა და მოქმედების მნიშვნელობაზე „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ცხოვრებასა და ურთიერთობაში. მისი თქმით, რუსთაველის თხზულება სწორედ გრძნობა-გონების ჭიდილის შედეგად შობილი ადამიანური ვნებების გამოვლენის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

ავტორი კრიტიკულად განიხილავს შ. ნუცუბიძის მიერ „დასაწყისის“ მე-2 სტროფის ტექსტობრის გასწორებას: „მომეც სურვილი მიჯნურთა სიკვდიმდე გასატანისა“, სადაც „სურვილი“ გაგებულია ძალის,

შესაძლებლობის შესატყვისად, და მკვლევრის მოსაზრებას, რომ ეს სტროფი შინაარსობრივად აქ შეუფერებელია და გადატანილ უნდა იქნას ეპილოგში (იხ. აგრ. ანოტაცია აქვე, № 444). გ. ა.

103. შ. რევიშვილი

გერმანელი პროფესორი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 13 ოქტ., № 41.

ძველი ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის მკვლევარი პროფ. გერტრუდ პეჩი თავის წერილებში ცდილობს სხვადასხვა კუთხით გააშუქოს რუსთაველის პოემასთან დაკავშირებული რთული სამეცნიერო პრობლემები.

გ. პეჩის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ თავისი სიუჟეტური და იდეური ფესვებით მთლიანად ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. თხზულების სიუჟეტი, მისივე გამოთქმით, ჟღერს როგორც „ორხმოვანი ფუგა“.

პოემაში მკვლევარი ხედავს დიონისე არეოპაგელის იდეების გამოძახილს და წარმოაჩენს მასში ჩაქსოვილი უმაღლესი ეთიკური იდეალების გამომხატველ აზრებს.

მკვლევარი აღნიშნავს სარაინდო რომანთან პოემის თანმხვედრ თვისებებს, მაგრამ იქვე დასძენს: ნაწარმოების ღრმა შესწავლით ვრწმუნდებით, რომ პოემა არსებითად ვერ ეტევა სარაინდო რომანის ფარგლებში, იქცევა დიადი იდეების მატარებელ თხზულებად და თანადროული ჰუმანისტური მსოფლმხედველობის „უკვდავ მოწმედ“. გ. ა.

104. შ. რევიშვილი

უძველესი, უმდიდრესი
(ქართული ლიტერატურა მაიერის ჯიბის ლექსიკონში)

გაზ. „თბილისი“, 1967, 17 ნოემბ., № 268. იხ. ანოტ. № 52.

105. არჩილ რუგოშელი [ტოტოჩავა]

რუსთაველის „სახლი“

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 21 ივლისი, № 29, გვ. 2.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონში „გებრძანამცა სახლით თქვენით, ცრემლი არცა მაშინ მდინდეს“ (1525,3) „სახლით თქვენით“ ნაცვლად თავიდან უნდა ყოფილიყო „სახლად თქვენად“, სადაც „სახლი“ არის ახლავს ზმნის მყოფადი დროის მიმღეობა და ნიშნავს თქვენთვის სახლებლად. მთელ სტროფს ასე განმარტავს: „როგორ იქნება, კაცმა არ დაგითმოს (არ შეგისრულოს), რაც უნდა ისურვო, არ დავიშურო ჩემი ქალი, თუნდაც მოსაკლავად და ტყვედ გინდოდეს; [თქვენდა სახლებლად] რომ მიბრძანოთ, ცრემლი არც მაშინ დამდინდება; თინათინი ავთანდილისთანას ვის იპოვნის, ცასაც რომ ასწვდეს“. ბ.დ.

106. ი. რჩეულიშვილი

მეტყველი, შთამბეჭდავი სახეები
(თვითნასწავლი მხატვარი)

გაზ. „თბილისი“, 1967, 24 ივლისი, № 171, გვ. 3.

ავტორი მოგვითხრობს თვითნასწავლ მხატვარ მიხეილ სოლოღაშვილზე, რომელსაც სხვა მრავალ ნამუშევართან ერთად შეუქმნია ტილოები: „შოთა რუსთაველი საწერ მაგიდასთან“, „მგოსანი მეფესთან“, „შოთა რუსთაველის ძეგლის ესკიზი, — ავთანდილს, ფრიდონსა და ტარიელს ხელში «ვეფხისტყაოსანი» უჭირავთ და წიგნზე ამაყად დგას მისი ავტორი“. ბ.დ.

107. ნინო სალია

რუსთაველის 800 წლისთავი

ჟურ. „ბედი ქართლისა", XXIII-XXIV, 1967, გვ. 83-104 (ფრანგულ ენაზე).

108. გიორგი სალუქვაძე

რუსთაველის კიდევ ერთი მაჯამის გამო

ჟურ. „ლიტერატურული აჭარა", 1967, № 5, გვ. 76.

ავტორი წერს, რომ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში რუსთველის მაჯამებში არაა აღნუსხული 84-ეს სტროფში არსებული:

შავი ცხენი სადავითა
ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა.

ავტორი თვლის, რომ ასეთი შემთხვევები ყველა უნდა აღრიცხული იყოს.

შენიშვნა: გ. სალუქვაძის მსჯელობას სიზუსტე აკლია, ამ სტრიქონში მაჯამური (ანუ ომონიმური) რითმა არაა – სიტყვათა ასეთ თამაშს შეიძლება ალიტერაცია ან შიდარითმა ეწოდოს. გ. ა.

109. რომან სამარინი

რუსთაველის პოემა და XII-XIII სს. მსოფლიო ლიტერატურული პროცესი

ჟურ. „**Лит. Грузия**", 1967, 3, გვ. 73-77; „მნათობი", 1967, № 2, გვ. 158-164.

ავტორი აღნიშნავს, რომ XII ს-ის თხზულებებს: „ნიბელუნგების სიმღერას", „ვეფხისტყაოსანს", ტრუბადურების პოეზიას და სხვ. ხშირად განიხილავენ „შუა საუკუნეთა წყვდიადის" ფონზე, რაც მართებული არაა. ისტორიკოსები და ხელოვნებათმცოდნეები დიდი ხანია აღარ თვლიან XII საუკუნეს „წყვდიადის სამეფოდ". ეს ეპოქა განუმეორებელია მსოფლიო კულტურის ისტორიაში. ფეოდალური საზოგადოების აყვავება მთელ რიგ ძლიერ სახელმწიფოებში ქმნიდა შესაძლებლობას, რათა ახალ საფეხურზე ასულიყო მთელ მსოფლიოში ადამიანის აზრისა და ხელოვნების განვითარება. აღმოცენდა მხატვრული ნაწარმოების ახალი ტიპი, რომელმაც დასავლეთში განიმტკიცა რომანის სახელწოდება. ამ ჟანრის წარმომადგენლები – კრეტიენ დე ტრუა, ბენუა დე სენტ მორი, ფონ ფელდეკე, ვ. ფონ ეშენბახი, ნიზამი განჯევი და შოთა რუსთაველი არიან სწორედ ამ ნათელი XII საუკუნის შვილები.

როგორც ავტორი წერს, „XII ს-ის საქართველოში შეიქმნა ღრმად ნოვატორული ნაწარმოები, რომელიც ამოზრდილია ხალხურ საფუძველზე და რომელიც ამასთან ითვალისწინებს მაშინდელი მსოფლიოს ძალზე მოწინავე კულტურულ ტრადიციებს". რუსთაველის თხზულება „არის ბრწყინვალე სინთეზი, რომელიც მოიცავს იმდროინდელი ცხოვრების უმთავრეს ასპექტებსა და გვიხატავს XII საუკუნის ადამიანთა განზოგადებულ სახეებს. აქ შეჯამებულია არა მარტო მსოფლიო ლიტერატურის გამოცდილება, არამედ მრავალსაუკუროვანი ქართული მწერლობის მიღწევებიც".

მკვლევრის თქმით, „ვეფხისტყაოსანი" გამოირჩევა თავისი პოეტური სტილითა და ლექსის მაღალი ტექნიკითაც. იმ დროის ვეებერთელა პოეტური ტილოები ხასიათდებიან შედარებით უხეში პოეტური ქსოვილითა და პრიმიტიული აქსესუარით (დასავლეთში), ან უკიდურესი მრავალსიტყვაობითა და ვერსიფიკაციული გატაცებით (აღმოსავლეთში). რუსთაველის გენიალური ლექსი, რომელმაც შეისისხლხორცა ქართული ფოლკლორული და ლიტერატურული ლექსთწყობის ყველა მონაპოვარი, გვაოცებს დანტესებური ლაკონიზმით, ხოლო საჭირო შემთხვევაში მეტაფორებისა და პოეტური სახეების დაუოკებელ ნაკადად მოედინება. გ. ა.

110. სერგეი სერებრიაკოვი

მარია პრიტვიცი — „ვეფხისტყაოსნი" მთარგმნელი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XXVII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1967, გვ. 9-10.

მოგვყავს მთლიანად:

1. „ვეფხისტყაოსნის" სრული გერმანული თარგმანი ორჯერ გამოქვეყნდა: ა) 1889 წ. (მთარგმნელი არტურ ლაისტი), ბ) 1955 წ. (მთარგმნელი ჰუგო ჰუპერტი).

2. ჰუგო ჰუპერტის თარგმანის შემოქმედებით ისტორიაში გარკვეული როლი შეასრულა მ. პრიტვიცის თარგმანმა: კერძოდ, მ. პრიტვიცმა პირველმა შემოიტანა გერმანულში ის მეტრი, რომელიც შემდგომ გამოიყენა ჰუგო ჰუპერტმა.

3. მ. პრიტვიცის თარგმანი, მთელი რიგი მიზეზების გამო, გამოუქვეყნებული დარჩა. მთავარი ამ მიზეზთაგანია თარგმანის გარკვეული სისუსტე, მაგრამ ამასთანავე თარგმანს უთუოდ დადებითი

მხარეც გააჩნია, რომლის გამოც მისი გაუთვალისწინებლობა რუსთაველის პოემის გერმანულ ენაზე თარგმნის ისტორიაში არ იქნებოდა მართებული. ბ.დ.

111. ირჟი ვ. სვობოდა

რუბრიკით: მსოფლიო სარბიელზე

გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1967, 17 თებერვალი, № 8, გვ. 4.

ჩეხოსლოვაკიის პრესაში („რუდე პრავო") გამოქვეყნებულ სტატიის შემოკლებულ ქართულ თარგმანში აღნიშნულია, რომ რუსთველის საიუბილეო დღეებში „თბილისი პოეზიის დედაქალაქად იქცა" და ჩამოთვლილია ნაწილი მწერლებისა, რომლებიც იუბილეს ესწრებიან „პოეტები – განაგრძობს ავტორი, — ხშირად ვკამათობთ ხოლმე, თუ რა არის პოეზია და რა არ არის პოეზია... რუსთაველმა კი ეს იცოდა. იცოდა, რომ პოეზია ეს არის სიყვარული. სიძულვილი არაფერს თესავს სიკვდილის გარდა, სიყვარული კი სიცოცხლეს ბადებს.

წლევანდელი ჟურნალ-გაზეთები რუსთაველის სახელით აჭრელდა. წერდნენ – რუსთაველმა საუკუნენახევრით ან თითქმის ორი საუკუნით გაუსწროო აღორძინებას. იგი იყო პირველი დიდი პოეტი-ჰუმანისტი, და უმალვე გაისმა: ეს როგორ, რაღა მაინცდამაინც საქართველოში, აზიის ერთ პატარა ქვეყანაში მოხდა ეს?

მიბრძანდით საქართველოში და თავადვე მიხვდებით ყოველივეს, იმიტომ, რომ რუსთაველი და საქართველო ერთი და იგივე ცნებებია". ბ.დ.

112. იგორ სიკირიცკი

[აღორძინების ხანის უდიდესი პოეტი]

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1967, 28 ივლისი, № 30, გვ. 4.

საგაზეთო ინტერვიუში პოლონელი მთარგმნელი აღნიშნავს, რომ მან მოამზადა ადაპტირებული გამოცემა. „თექვსმეტმარცვლოვანი ოთხი ტაეპი რვამარცვლოვან რვა ტაეპად გადავიტანე, რადგან ვფიქრობდი, პოლონური ლექსის წყობას მიჩვეული ახალგაზრდობა უფრო კარგად აღიქვამდა მას... ახალ თარგმანში უკვე სტროფში იქნება თექვსმეტმარცვლოვანი ოთხი ტაეპი, როგორც რუსთაველს აქვს. თუ რაოდენ დიდია პოლონელ მკითხველთა ინტერესი „ვეფხისტყაოსნისადმი", ეს იქიდანაც ჩანს, რომ თვით არასრული თარგმანი სამჯერ გამოიცა. ბ. დ.

113. რ. სირაძე

მოძღვრება ორგვარი სიბრძნის შესახებ და
მისი მნიშვნელობა ძველი ქართული მწერლობისათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის XI სამეცნიერო სესია,
მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1967, გვ. 26-27.

ავტორის აზრით, მოძღვრებას ორგვარი (საღვთო და ამქვეყნიური) სიბრძნის შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში თავისებური განვითარება განუცდია. იოანე საბანისძე და გიორგი მერჩულე მათ „ერთმანეთისაგან თიშავენ და ერთმანეთს უპირისპირებენ". ეფრემ მცირესთან „ამქვეყნიური სიბრძნის საჭიროება დაშვებულია: აუცილებლადაა მიჩნეული საღვთო და ამქვეყნიური სიბრძნის ურთიერთკავშირი. რუსთაველთან ამქვეყნიური სიბრძნის მნიშვნელობა საღვთო სიბრძნემდეა ამაღლებული... რუსთველის მიხედვით, მწერლობისათვის ერთნაირად საყურადღებოდაა გამოცხადებული სინამდვილის ყოველგვარი ფორმა". აღორძინების ხანაში „გათიშულია საღვთო და საერო სიბრძნე, ამასთანავე ამ უკანასკნელის დამოუკიდებელი ფასეულობა უარყოფილი არაა, თუმცა დამდაბლებულადაა წარმოდგენილი". ამ ხანაში „ასეთი თვალსაზრისი მკვიდრდება: ერთსა და იმავე ნაწარმოებს შესაძლებელია ჰქონდეს ორგვარი აზრი – საღვთო და საერო". ბ.დ.

114. ქსენია სიხარულიძე

თორმეტი დღე შვეიცარიაში

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1967, 13 იანვ., № 3, გვ. 3.

მკვლევარი აღწერს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, მათ შორის — შეხვედრას ჟენევის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანთან. აღნიშნავს, რომ 1937 წელს ამ უნივერსიტეტში ჩა-

ტარდა რუსთაველისადმი მიძღვნილი სხდომა. ამ სხდომისათვის მომზადებული მასალები 1963 წელს გამოქვეყნდა ფრანგულ ენაზე სათაურით „შოთა რუსთაველი ჟენევის უნივერსიტეტში“. გ. ა.

115. ივან სკალა

რუბრიკით: მსოფლიო სარბიელზე

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 16 თებერვალი, № 8, გვ. 4.

ჩეხოსლოვაკიის პრესაში („კულტურნი ტვორბა“) გამოქვეყნებული ი. სკალას სტატიის შემოკლებული ქართული თარგმანი (მოგვყავს მთლიანად):

„... ყოველ ხალხს გააჩნია კულტურის ისეთი ძეგლი, რომელშიც განსახიერებულია ერის უფაქიზესი არსება, მისი სული, მისი ცხოვრება. ქართველი ხალხის ასეთი ძეგლია შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი», პოემა ჭეშმარიტი მეგობრობისა, სპეტაკი სიყვარულისა და ადამიანთა ძმობისა. ამ პოემის დიდბუნებოვან ადამიანთა ხასიათები და მწველი ვნებები ისევე გვხიბლავენ, როგორც სოფოკლესა და შექსპირის შედევრებში.

«ვეფხისტყაოსანი» შესანიშნავი ნიმუშია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ლიტერატურული ქმედება.

არა მგონია, დედამიწაზე არსებობდეს კიდევ სხვა ერი, რომელიც ასეთ დიდ პატივს სცემდეს თავის პოეტს, ასე უყვარდეს იგი. ამის მიზეზი ალბათ ქართველი კაცის შინაგან სილამაზესა და ღრმა ემოციურობაში უნდა ვეძებოთ. ქართველი ხალხი მრავალი საუკუნის მანძილზე იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის, და, აი, სწორედ ამ დროს, ცეცხლსა და სისხლში, ტკივილსა და ვარამაში, ყველაზე წმინდას, ჩაუქრობელს, ქედუხრელს იგი ხედავდა პოეზიაში – რუსთაველში. მის ბრწყინვალე პოემაში პოულობდა ამ თითქოს ხორცშესხმულ სურვილებსა და გრძნობებს.

მტერს ასჯერ და ათასჯერ შეეძლო გაეპარტახებინა და მოესრა ქალაქები და სოფლები, მაგრამ ერის სული, მისი სიდიადე, მისი გრძნობა და სილამაზე ინახებოდა დიდი პოეტის შემოქმედებაში“. ბ.დ.

116. ლ. სტოიანოვი

რუბრიკით: მსოფლიო სარბიელზე

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 17 თებერვალი, № 8, გვ. 4.

ბულგარულ პრესაში („ლიტერატურენ ფრონტ“) გამოქვეყნებული ლ. სტოიანოვის სტატიის შემოკლებული ქართული თარგმანი (მოგვყავს მთლიანად):

„... აქ ყოველი კუთხე ბუნების სასწაულია. ასეთია რუსთაველის სამშობლო. აქედან იღებს სათავეს მისი პოეტური გენია, მისი სულიერი სამყარო, ღრმა სიბრძნე, განცდათა რომანტიულობა.

რუსთაველის ლექსი ხან მთის ანკარა წყაროსავით მორაკრაკებს, ხანაც გრიგალივით ბობოქრობს... «ვეფხისტყაოსანმა» დაგვანახა, რომ მისმა ავტორმა თავისი საუკუნის კულტურის მწვერვალზე შედგა ფეხი, მტკიცედ გაიდგა ფესვი თავის ეპოქაში, მშობლიურ ხალხში...

აი პოემის ქვაკუთხედი: ბედნიერება ადამიანთა სიყვარული და მეგობრობაა, სიკეთე და არა ბოროტება უნდა მართავდეს ადამიანის ყოველ ნაბიჯს და საქციელს.

ამითაა შოთა რუსთაველი უკვდავი...“. ბ.დ.

**117. А. Стратьева**

**Вернувшись из-за океана**

Беседа с кинорежиссером Р. Чхеидзе

გაზ. "*Вечерний Тбилиси*", 1967, 26 მაისი, №121, გვ. 3.

რ. ჩხეიძე ინტერვიუში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კინოს მოღვაწეები იმყოფებოდნენ ჩილესა და ურუგვაიში. სანტიაგოში ის შეხვედრია 1966 წლის 29 დეკემბერს იქ გამართულ რუსთველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს მონაწილეებს, რომლებსაც მისთვის გადაუციათ საიუბილეო აფიშები,

პროგრამები, მოსაწვევი ბარათები და იქ გამომავალი, გ. ბოტაროს მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ავთანდილ მერაბიშვილს წინასიტყვაობა ახლავს. ბ.დ.

118. ივ. სურგულაძე

სავაზირო „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით

ჟურ. „მნათობი“, 1967, № 12, გვ. 142-149.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის ძეგლებში ტერმინი „სავაზირო“ ნახსენები არ არის. იქ მხოლოდ საუბარია ვაზირებზე, რომლებიც მეფესთან სათათბირო უფლებით სარგებლობენ. წყაროების მონაცემების მიხედვით, მკვლევარი ასე განმარტავს ამ სახელოს (თანამდებობის) მნიშვნელობას:

1. ვაზირი ნიშნავდა დიდ ვაზირს, მეფის მოადგილეს, ყველა მოხელეზე უფროსს;

2. ვაზირი ეწოდებოდა მმართველობის რომელიმე დარგის ხელმძღვანელს, დაახლოებით ისეთს, როგორიც მინისტრია.

3. ვაზირი ნიშნავდა მრჩეველს, აქედან: ვაზირობა – რჩევას, თათბირს.

4. ვაზირი იყო მეფის, ანუ მთავარსარდლის ამალის წევრი, ან ჯარის განსაკუთრებული ნაწილის წევრი.

ავტორი მიუთითებს იმაზეც, რომ „სავაზირო“ რუსთაველის თხზულებაში ისევე, როგორც ქართულ სახელმწიფო სამართალში, მეფესთან არსებული სათათბირო ორგანოა, რომელიც თავისი მოწოდებით პროგრესულ როლს ასრულებდა. გ. ა.

**119. Т. Табидзе**

**Бальмонт и Грузия**

ჟურ. „*Лит. Грузия*“, 1967, № 6, გვ. 61-62.

ეს წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთში „საქართველო“, 1917, № 129 (იხ. გ. იმედაშვილი, 1957, ანოტაცია № 958).

120. ნ. ტიხონოვი

წერილი მოსკოვიდან

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ერთდროული გაზეთი „რუსთაველის დღე“, 1967, 30 სექტემბერი, გვ. 1.

ავტორი წერილს უგზავნის ი. აბაშიძეს. მოგვყავს სრულად:

„ძვირფასო მეგობარო ირაკლი! რა დიდებულია, რომ ამ წლიდან დადგინდა რუსთაველის დღე – ქართული პოეზიის დღე.

ვფიქრობ, რომ ეს წამოწყება მარტო საქართველოში როდი ჰპოვებს ცხოველმყოფელ გამოხმაურებას, — ყოველი კუთხიდან და რესპუბლიკიდან გამოეხმაურებიან მეგობრები ამ დღეს. გაზეთი იქნება მიმზიდველი და მრავალფეროვანი. ამ მრავალფეროვნების შესამატებლად გიგზავნით ლექსს, თუ დაბეჭდავთ ესოდენ საპატიო დღეს, დიდად გამახარებთ. გისურვებთ წარმატებას და ყოველ სიკეთეს! გულითადი სალმით ნიკოლოზ ტიხონოვი. სექტემბერი, 1967, მოსკოვი“.

აქვე დაბეჭდილია ნ. ტიხონოვის ეს ლექსიც — „მთებში“ (თარგმანი რევაზ მარგიანისა). ბ.დ.

121. [უავტორო]

რუსთაველი შოთა

მოკლე ბულგარული ენციკლოპედია, ტ. IV, სოფია, 1967, გვ. 441; ქართული თარგმანი (ნ. ზაუტაშვილისა) — კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, 1978, გვ. 391-391.

სტატიაში აღნიშნულია, რომ შოთა რუსთაველი (XII ს.) – ქართველი პოეტი-ჰუმანისტი, ავტორია

ეპიკური პოემის „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც ადრეული აღორძინების იდეების მატარებელია, უმღერის მიწიერ განცდებსა და ადამიანურ ვნებებს. მისთვის უცხოა რელიგიური მისტიკა. პოემა გამოირჩევა მდიდარი ენით, დახვეწილი სტილით, გმირთა მკაფიო დახასიათებითა და ლირიზმით. გ. ა.

122. [უავტორო]]

რუსთაველი შოთა

***Schwezer Lexikon***, VI, ციურიხი, 1967, გვ. 706; ქართული თარგმანი (ნ. ამაშუკელისა) — კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 393.

სტატია მოგვყავს სრულად: „რუსთაველი შოთა — XII საუკუნის ქართველი პოეტი, გადმოცემის თანახმად, თამარ მეფის მრჩეველი და მეჭურჭლეთუხუცესი. შემდეგ ბერად შემდგარა იერუსალიმში. დაგვიტოვა ქართული ეროვნული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“, — რაინდული სიყვარულისა და კულტად ქცეული მეგობრობის ამბავი, რომელშიც შეინიშნება გილგამეშის ეპოსის მითიური ბირთვი“. გ. ა.

123. [უავტორო]

რუსთაველის ბარელიეფი უნივერსიტეტში

გაზ. „თბილისი“, 1967, 3 თებერვალი, № 29, გვ. 1.

აღწერილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში შოთა რუსთაველის ბარელიეფის გახსნის ცერემონიალი. სიტყვებით გამოვიდნენ: ი. ვეკუა, ა. ბარამიძე, შ. ნუცუბიძე. ბ.დ.

124. [უავტორო]]

[რუსთაველის მემორიალი]

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ერთდროული გაზეთი „რუსთაველის დღე“, 1967, 30 სექტემბერი, გვ. 9.

მოცემულია სურათი რუსთველის მემორიალისა, რომელიც თბილისის ზღვისკენ მიმავალი გზის „პლატოზე იქნება გაშლილი“ (პროექტის ავტორები – ა. ბაქრაძე, ო. ლითანიშვილი, ნ. ჯობაძე). იქვეა ამ ანსამბლის მოკლე დახასიათება: იქნება „პილონებისაგან შემდგარი ორმოცმეტრიანი ვერტიკალი“, „თეატრონი 800 კაცს დაიტევს“. „ეს ღია მუზეუმია. მის ტალანტებში მხოლოდ ფრესკებია კედლებზე «ვეფხისტყაოსნისა» და დიდი მგოსნის ცხოვრების თემაზე“. ბ.დ.

125. [უავტორო]

ვეფხისტყაოსანი ებრაულ ენაზე

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1967, 16 თებ., № 21, გვ. 2.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ კლასიკურ ებრაულზე (ივრიტი) თარგმნა ბორის გაპონოვმა.

126. [უავტორო]

[კ. გურულის ჭედურობა]

გაზ. „თბილისი“, 1967, 28 იანვარი, № 24, გვ. 3.

ცნობა, რომ კობა გურული, რომელმაც სამხატვრო აკადემია დაამთავრა შ. მიქატაძისა და კ. მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, „ამზადებს ნამუშევრებს მონრეალის გამოფენისათვის“. იქვე, სხვა ნამუშევრებთან ერთად, დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ „პირველი ბეჭდური გაფორმება“ და შოთა რუსთველის პორტრეტი. ბ.დ.

127. [უავტორო]

**Стенд Руставели**

გაზ. "***Вечерний Тбилиси***", 1967, 23 თებერვალი, № 47.

ცნობა, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა რუსთაველის ეპოქისადმი მიძღვნილი გამოფენა. სხვებთან ერთად გამოფენილია „ვეფხისტყაოსნის“ ოთხი ხელნაწერის ფოტოპირები, იერუსალიმური და ბორჯომის მახლობლად ახლადაღმოჩენილი ფრესკების ფოტოები. ბ.დ.

128. [უავტორო]

შოთა რუსთაველის ხსოვნის აღსანიშნავად

გაზ. „კომუნისტი“, 1967, 5 მარტი, № 55, გვ. 4; ***„Заря Востока***“, 1967, 5 მარტი, № 55, გვ. 4; „ლიტ. საქ.“, 1967, 24 მარტი, № 13, გვ. 4.

საკდესის ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ თეირანში ირანის საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა ცნობილმა ირანელმა ლიტერატურათმცოდნემ და პოეტმა ქახრემანმა. გ. ა.

129. [უავტორო]

**Цель жизни – служение народу**

გაზ. “***Вечерний Тбилиси***”, 1967, 3 მარტი, № 54, გვ. 1.

ლენინის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით ინტერვიუში აკაკი შანიძე აღნიშნავს, რომ წინა, საიუბილეო, წელს “ვეფხისტყაოსნის“ პირველი ტომის გამოცემის შემდეგ, სადაც შესულია ავტორისეული ტექსტი ძირითადი ხელნაწერებისა და გამოცემების ვარიანტებითურთ, ალ. ბარამიძესა და ბ. დარჩიასთან ერთად ამზადებს მეორე ტომს, რომელშიც სათანადო ვარიანტებთან ერთად შევა პოემის ჩანართი სტროფები და დანართი ეპიზოდები. ბ.დ.

130. [უავტორო]

პირველი რუსთველოლოგიური...

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1967, 10 მარტი, № 8, გვ. 3.

ცნობა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველოლოგიის კაბინეტში გაიმართა პირველი რუსთველოლოგიური სემინარი, რომელზეც ალ. ბარამიძემ წაიკითხა მოხსენება „ვეფხისტყაოსნის კომპოზიციის გარშემო“. კამათში მონაწილეობა მიიღეს ვ. შადურმა, ლ. მენაბდემ, ა. ცანავამ, ი. გიგინეიშვილმა, ნ. ორლოვსკაიამ და სხვებმა. მათ ილაპარაკეს პ. ბერკოვის მეცნიერულ მუშაობაზე და მხარი დაუჭირეს მომხსენებელს, რომელმაც კრიტიკულად შეაფასა პ. ბერკოვის რუსთველოლოგიური ნააზრევი. ბ.დ.

131. [უავტორო]

საყურადღებო ტრადიცია...

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 19677 აპრილი, № 15, გვ.4.

ჩეხოსლოვაკიის გაზეთ „რუდე პრავო“-ში გამოქვეყნებულ ამ მცირე წერილში შექებულია მსოფლიოს მშვიდობის საბჭო, რომლის გადაწყვეტილებით, მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნა რუსთველის დაბადების 800 წლისთავი. იქვე ნათქვამია: „დიდი პოეტის (რუსთველის — ბ.დ.) პატივსაცემად პრაღის საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საზეიმო საღამო... საღამოს სასიამოვნო სიუპრიზი იყო «ვეფხისტყაოსნის» ახალი ჩეხური თარგმანის (მთარგმნელი ვ. ჩერნი) შესანიშნავი, ფაქიზი დეკლამაცია ი. ვონდროვიჩეკისა და ბ. პასტორეკის მიერ“. ბ.დ.

132. [უავტორო]

მესამე რუსთველოლოგიური....

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1967, 7 მაისი, № 16, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსთველოლოგიურ სემინარზე წაკითხულ ივანე გიგინეიშვილის მოხსენებას — „ზმნის პირის ფორმათა აღრევის შემთხვევები «ვეფხისტყაოსნის» ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში". მომხსენებლის აზრით „ვეფხისტყაოსნის" გამოცემებში წერია და უნდა შეიცვალოს ფორმებით: გმართებს – მართებს (სტრ. 787), მმართებს – მართებს (504), გვმართებს – მართებს (154), გვყავს – გყავს (130), დამიმძიმდა – რა უმძიმდა (518), არ იყო, არ, სავნებლისა – არ უყო არ სავნებელი (278), აღარ გაწყენს – აღარ გაწყენ (888), შესჯერდი – შევსჯერდი (413), გსმენოდეს — ჰსმენოდეს (640), მოგეგებვი – მოგვეგებე (438), დაცამვედრა – დაცამვედრე (383), შეუნდობო – შევუნდობო (469), მომივიდა/მომიკიდა – მომეკიდა (585), მიმაწვინე – მიმაწინე (354), მომიყვანე – მომიყენე (892), მოვკვეო – მოვჰჳეო (1591). კამათში გამოსულებმა – ალ. ბარამიძეს, ივ. შილაკაძემ, შ. ღლონტმა, ივ. ლოლაშვილმა, ალ. ჭინჭარაულმა — „მეტწილ შემთხვევაში მხარი დაუჭირეს მოხსენებაში წარმოდგენილ გასწორებებს". ბ.დ.

133. [უავტორო]

იცნობდეთ, ბალეტ „შოთა რუსთაველის ავტორია"
(ა. ჩერეპნინი თბილისში)

გაზ. „თბილისი", 1967, 16 მაისი, № 112, გვ. 3.

134. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსნის" ახალი ინგლისური გამოცემა

გაზ. „თბილისი", 1967, 26 ივლისი, № 173, გვ. 3.

ინფორმაცია გვაცნობს მარჯორი უორდროპის ინგლისურად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის" ახალ, მეოთხე, 1966 წლის ლონდონურ გამოცემას, რომელსაც „დართული აქვს სამი დამატება": „ვეფხისტყაოსნის" შესავალი სტროფების თარგმანი (ნ. მარის), ბიბლიოგრაფიული შენიშვნები და საძიებლები. ბ.დ.

135. [უავტორო]

ჩვენი კულტურის მეგობარი

გაზ. „კომუნისტი", 1967, 29 ივლისი, № 176, გვ. 4.

ინტერვიუში ი. სიკირიცკი მოგვითხრობს, თუ როგორ გაეცნო საქართველოსა და მის კულტურას. კერძოდ, აღნიშნავს, რომ 1959 წელს პირველად ჩამოვიდა საქართველოში, „ვეფხისტყაოსანს" გაეცნო შ. ნუცუბიძისეული თარგმანით. 1961 წელს პოლონურად გამოსცა მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის" არასრული ტექსტი, დამუშავებული ახალგაზრდობისათვის. თარგმნისას დიდად ეხმარებოდა შ. ნუცუბიძე. რუსთველის საიუბილეოდ საუბრებით გამოდიოდა პოლონეთის რადიოსა და ტელევიზიაში, ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდა წერილებსა და ნარკვევებს საქართველოსა და რუსთველის შესახებ.

იქვე დაბეჭდილია ი. სიკირიცკის სურათი მის მეუღლესა და ვაჟიშვილთან ერთად. ბ.დ.

136. [უავტორო]

სასარგებლო ნაშრომი

ჟურ. „ნიანგი", 1967, № 14, გვ. 2.

სტატია ეხება ალ პაპავას ბროშურას „ვეფხისტყაოსნის ცხოველთა სამყარო" (1966). იგი იუმორით არის დაწერილი, მაგრამ ჩანს, რომ დასახელებული ნაშრომი საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას შეიცავს. მაგ., ბროშურიდან ვგებულობთ, რომ პოემაში მოხსენიებულია ცხოველთა 42 სახეობა, მათ შორის: გარეული ძუძუმწოვარების — 14, შინაურის — 7, ფრინველთა 17 სახეობა, ქვეწარმავალთაგან — 3. თითოეული სახეობა დახასიათებულია მათი ნიშან-თვისებებისა და ჩვევების მიხედვით. გ. ა.

137. [უავტორო]

რუსთაველის ძეგლი ტყიბულში

გაზ. „კომუნისტი“, 1967, 17 დეკემბერი, № 289, გვ. 4.

138. [უავტორო]

შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1967, № 1, გვ. 7.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ მოსკოვში,ქუჩა „ბოლშაია გრუზინსკაიაზე“ აღიმართა მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი ქანდაკება შოთა რუსთაველისა. ავტორის თქმით, ქანდაკება პლასტიკურად მეტყველი და მსუბუქად ნაძერწია. ის გვაგრძნობინებს, რომ რუსთაველი როგორც წარსულს, ისევე მომავალსაც ეკუთვნის. გ. ა.

139. [უავტორო]

**“Но пусть безумье будет обоюдно...”**

К 100-летию со дня рождения К. Д. Бальмонта

ჟურ. “***Лит. Грузия***”, 1967, № 6, გვ. 60-61.

სარედაქციო მიძღვნაში საუბარია იმ გულთბილ და საქმიან ურთიერთობაზე, რაც აკავშირებდა კ. ბალმონტსა და ქართველ ინტელიგენციას. აღნიშნულია, რომ ბალმონტი დღესაც ახსოვთ და აფასებენ იმისათვის, რომ მისი შემოქმედებითი გმირობით და ფართო პროპაგანდისტული მოღვაწეობით რუსთაველის თხზულება გახდა რუსული პოეზიის კუთვნილებად და ნაწილად.

სათაურად გატანილი წინადადება აღებულია კ. ბალმონტის ლექსიდან, რომელიც რუსთაველის სამშობლოს – საქართველოს ეძღვნება. აქვე (გვ. 61-62) დაბეჭდილია ტიციან ტაბიძის წერილი „ბალმონტი და საქართველო“, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1917 წელს გაზეთში „საქართველო“, №219. (წერილი რუსულად თარგმნილია გ. მარგველაშვილის მიერ). გ. ა.

140. [უავტორო]

ქართული პოეზიის დღესასწაული

გაზ. „კომუნისტი“, 1967, 1 ოქტ., გვ. 4; „თბილისი“, 1967, 2 ოქტ., გვ. 3.

141. [უავტორო]

რუსთაველის დღე – პოეზიის დღე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967, 29 სექტ., გვ. 2; 6 ოქტ., გვ. 2.

142. [უავტორო]

**Новые докумунты**

გაზ. “***Веч. Тбилиси***”, 1967, 15 ივლისი, № 139, გვ. 3.

დაბეჭდილია ცნობა, რომ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა გ. ჟორდანიამ ლექციაში ისაუბრა პარიზში ქართველებთან, მათ შორის, რუსთველოლოგ ვ. ნოზაძესთან, შეხვედრაზე. ბ.დ.

143. [უავტორო]

**“Шахматная руствелиана” финиширует**

გაზ. “***Веч. Тбилиси***”, 1967, 25 იანვარი, № 21, გვ. 4.

ლენინგრადიდან თბილისში ჩამოსული საჭადრაკო კომპოზიტორი, პროფესორი ალექსანდრე ოსიპის ძე გორბსტმანი საუბრობს რუსთველის საიუბილეოდ საჭადრაკო ეტიუდებში გამართულ შეჯიბრებაზე, რომლის მთავარი მსაჯი თვითონ არის. იქვე აღნიშნავს, რომ 1918-1920 წლებში იგი

სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე და იკვლევდა შოთა რუსთაველის შემოქმედებას. ბ.დ.

144. მონიკა უაიტი

რუბრიკით: მსოფლიო სარბიელზე

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1967, 17 თებერვალი, № 8, გვ. 4.

კანადის პრესაში („მოამბე") გამოქვეყნებული სტატიის ქართულ შემოკლებულ თარგმანში ავტორი ახასიათებს XII საუკუნის ევროპას, როგორთ შავბნელ ხანას, და მის გვერდით უდიდეს შეფასებას აძლევს საქართველოს სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცხოვრებას. მისი სიტყვებით, საქართველო ამ დროს „თავის ოქროს ხანას ქმნიდა". ბოლოს წერს: „რუსთველის პოემა მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. სამწუხაროდ, ინგლისურ ენაზე ამ პომის ერთადერთი თარგმანი არსებობს. მთარგმნელს, მარჯორი სკოტ უორდროპს, არ უცდია ლექსად გადმოეცა ის დიდი სილამაზე და მუსიკალობა, რაც ამ პოემას ახასიათებს. მან მხოლოდ პოემის დაწვრილებითი შინაარსის გადმოტანისათვის იზრუნა. ამის გამო უფაქიზესი «ვეფხისტყაოსნის» ნაცვლად უხეში, ტლანქი და მაღალფარდოვანი ნაწარმოები მივიღეთ. მიუხედვად ამისა, მაინც იქმნება ზოგადი წარმოდგენა, რომ ეს არის უდიდესი ქმნილება და იგი მარტო ქართველი ხალხის კი არა, მთელი მსოფლიოს მემკვიდრეობაა. რვაასი წლის წინათ იგი ადამიანის სიდიადეს უმღეროდა". ბ.დ.

145. ო. ურიდია

თეიმურაზ ბაგრატიონი და „ვეფხისტყაოსნის" გამოცემის საკითხი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის XI სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1967, გვ. 29-30.

ავტორი აღნიშნავს: 1826 წელს პეტერბურგის საცენზურო კომიტეტში თეიმურაზ ბაგრატიონმა ხელახალი დაბეჭდვისათვის წარადგინა „ვეფხისტყაოსნის" ვახტანგისეული გამოცემა (K-10), რაც არ განხორციელებულა. თეიმურაზ ბაგრატიონი ვერ იქნებოდა «ვეფხისტყყაოსნის» 1841 წლის გამოცემის თანარედაქტორი. ამ გამოცემაში „გამომცემელ-რედაქტორებს გაუთვალისწინებიათ თეიმურაზ ბაგრატიონის, პეტრე ქებაძის, გიორგი ავალიშვილისა და სხვათა მიერ მოწოდებული მასალები". ბ.დ.

146. მაქს პოლ ფუშე

რუბრიკით: მსოფლიო სარბიელზე

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1967, 17 თებერვალი, № 8, გვ. 4.

საფრანგეთის პრესაში („იუმანიტე") გამოქვეყნებული მაქს პოლ ფუშეს სტატიის შემოკლებული ქართული თარგმანი (მოგვყავს მთლიანად):

„...სულაც არ არის აუცილებელი იყო ქართველოლოგი, რათა შეიგრძნო სილამაზე გასაოცარი «ვეფხისტყაოსნისა», ბრწყინვალე ლირიკული პოემისა, რომელიც რვა საუკუნის წინათ შექმნა დიდმა გენიამ – შოთა რუსთაველმა.

ეს ძალზე მომხიბლავი, ფრიად რთულსიუჟეტიანი აღმოსავლური ლეგენდაა, რომელსაც ოდნავ თუ მიედრება ჩვენი კურტუაზული რომანები. პოემაში ერთდროულად სპარსულ და ნეოპლატონურ გავლენასაც ვხვდებით, მაგრამ ეს ოდნავადაც ვერ ჩრდილავს მის საოცრად ორიგინალურ ერთიანობას. ეს არის სიყვარულის ბრწყინვალე პოემა". ბ.დ.

147. მიხეილ ქვლივიძე

„ვეფხისტყაოსნის" დასურათებანი

თბ., 1967, 240 გვ.

წიგნის ქვესათაურებია:

შოთა რუსთაველის პოემა მისი დასურათების თვალსაზრისით (გვ. 5-57).
„ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა დასურათებანი (გვ. 58-123).
„ვეფხისტყაოსნის" გამოცემათა დასურათებანი ოქტომბრის რევოლუციამდე (გვ. 124-164).
„ვეფხისტყაოსნის" დასურათებანი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ (გვ. 165-231).

დამატება — „ვეფხისტყაოსნის“ ერთი უცხოური გამოცემის შესახებ (გვ. 232-238).
იხ. პირველი (1960 წ.) გამოცემის ანოტაცია „ბიბლიოგრაფიის“ II ტომში № 2787. გ. ა.

148. ნიკოლოზ ქოიავა

შრომის იარაღები და პირადი მოხმარების საგნები „ვეფხისტყაოსანში“

თბ., 1967, 46 გვ.

ბროშურაში ჩამოთვლილია რუსთველის თხზულებაში დასახელებული შრომის იარაღები: სახნისი, ბადე, მახე, მშვილდი, ისარი, გრდემლი და სხვ.

როგორც მკლევარი აღნიშნავს, უფრო მდიდარია პოემაში წარმოდგენილი პირადი მოხმარების საგნების სია; მაგალითად, ნახსენებია კვების პროდუქტები: პური, ხორცი, თევზი, მწვადი, კვერცხი, კიტრი, მწნილი, ნუში, ნარინჯი, ჩირი, ყანდი, მაჭარი, ღვინო, დო, ზაფრანა.

პოემაში ნახსენებია სხვადასხვა ტანსაცმელი: ადამიანის სქესის, ასაკის, წოდებისა და თანამდებობის მიხედვით. ქალის ჩასაცმელია: ყაბაჩა, ჯუბა, აჯიღა, რიდე და სხვ; მამაკაცს შეჰფერის: კაბა, ჯუბა, ჯუბაჩა, ნაბადი, რიდე, სამხრე, სამკლავე („საბამი მკლავისა“), პერანგი, ხელმანდილი, სარტყელი.

პოემაში დასახელებულია ქსოვილები: ხამი, ლარი, ატლასი, ოქსინო, შარდი, სტავრა, სირმა, ზარქაში, ზეზი. თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სამხედრო საჭურველს, ესენია: ზარადი, მუზარადი, ჩაბალახი, ჯაჭვი, ჯავშანი, ფარი, დარაკი, შუბი, ხმალი; ნახსენებია ავეჯი, ჯამ-ჭურჭელი, მუსიკალური ინსტრუმენტები (ნა, ნობი, ჩანგი, დაფი, ქოსი...), სპორტული ნივთები (ბურთი, ჩოგანი, ნარდი...).

ნაშრომის დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ თავის პოემაში რუსთაველი გვიჩვენებს მხოლოდ ნაწილს იმ შრომის იარაღებისა და პირადი მოხმარების საგნებისა, რომლებიც გამოიყენებოდა მის ეპოქაში. გ. ა.

149. დიმ. ქუმსიშვილი

მიჯნურობისა და მხატვრული სახის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“

ა. პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები,
ტ. 21, 1967, გვ. 233-266;
იხ. ანოტაცია წიგნისა „რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი“, (1968), № 260.

150. დიმ. ქუმსიშვილი

რუსთაველის პოემის რუსული თარგმანების შესახებ

ა. პუშკინის სახ. თბილისის პედ. ინსტ. XXXII სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, 1967.

იხ. წიგნში: „რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი“, 1968, (ანოტ. № 260).

151. შალვა ღლონტი

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის წერილები „ვეფხისტყაოსანზე“

ჟურ. „სკოლა და ცხოვრება“, 1967, №5, გვ. 90-92.

რეცენზია ეხება ა. შანიძის წიგნს „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ (1966 წ.), რომელში შესულ გამოკვლევებში განხილულია რუსთველის პოემის ტექსტოლოგიური, სემანტიკურ-ეტიმოლოგიური და რუსთველოლოგიის ისტორიის საკითხები.

ავტორი დადებითად აფასებს წიგნში დაბეჭდილ ნაშრომებს, ნიმუშად მოაქვს პოემის ტექსტის ზოგიერთი ადგილის ა. შანიძისეული გასწორება და დაასკვნის, რომ ეს წიგნი „გარკვეულ ეტაპს ქმნის რუსთველოლოგიის მეცნიერებაში“. გ. ა.

152. შ. ღლონტი

ფანტასტიკურის მხატვრული ფუნქციისათვის „ვეფხისტყაოსანში“

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ. XXVII სამეცნ. სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1967, გვ. 10-11.

მოგვყავს უცვლელად:

1. „ვეფხისტყაოსანი“ გვაოცებს რეალისტური და ფანტასტიკური მომენტების იმგვარი შერწყმით, რომელიც მხატვრული განზოგადების უმაღლეს საფეხურს გამოგვივლენს.

2. მხატვრული ფანტასტიკის არე რუსთაველის პოემაში შეუზღუდავადაა წარმოდგენილი ჰიპერბოლებსა და ალეგორიებში.

3. რუსთაველის ჰიპერბოლები წარმოგვისახავენ გამძაფრებულ სულიერ ტკივილებს, პერსონაჟთა ფიზიკურ სილამაზეს, მათი მოქმედების სისწრაფეს, სიუხვესა და დიდი დარბკოლების გადალახვის მომენტებს.

4. „ვეფხისტყაოსანში“ არსებითად სამი ალეგორია გვაქვს: ა) ტარიელის შებმა დევებთან, ბ) გველისაგან შთანთქმული მთვარე, გ) ქაჯები და ქაჯეთის ციხე.

5. რუსთველი ხალხში დაცულ წარმოდგენებს ბოროტ სულზე აძლევს სიმბოლურ მნიშვნელობას, ზოგად შინაარსს და ამ საფუძველზე მის ბუნებასა და არსს უფრო გასაგებსა და ნათელს ხდის.

6. გველისაგან შთანთქმული მთვარე წარმოგვისახავს მთვარის (ნესტანის) ტრაგიკულ ბედს ქაჯეთის ტყვეობაში.

7. რუსთველის პოემა სინამდვილეს მხატვრული განზოგადების საშუალებით წარმოგვისახავს და არა საგანთა და მოვლენათა ნატურალისტური აღწერით, ქაჯეთი და ქაჯები ბოროტების სიმბოლიზებული სახეებია.

8. ჰიპერბოლებისა და ალეგორიების საშუალებით პოეტი პერსონაჟთა სულსა და ყოფას, მათს ფიქრებსა და განცდებს, მათს მაღალ მორალურ სამყაროს გასიმბოლოებული სინამდვილის სახით წარმოგვისახავს, რომლის მხატვრულ აბსტრაქციას მკითხველი მიჰყავს სინამდვილის მოვლენათა ყოველმხრივ შემეცნებამდე. ბ.დ.

153. შ. ღლონტი

ფანტასტიკურის ფუნქციისათვის „ვეფხისტყაოსანში “

ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1967, № 1, გვ. 54-58
(იხ. ანოტ. 152).

154. ჰამიდ ღულომი

რუსთაველი უზბეკის გულშია

„რუსთაველის დღე“ (საქ. მწერალთა კავშირის გამგეობის ერთდროული გაზეთი), 1967, 30 სექტემბერი.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უზბეკურად თარგმნეს პოეტებმა მ. შეიხ-ზადემ და მირთემირმა. ეს თხზულება ძალიან პოპულარული გახდა. მისი გმირები არიან ღირსნი აღტაცებისა და სიყვარულისა, ღირსნი მიბაძვისა. „რუსთაველმა თავისი პოემით ააგო ყველაზე უფრო მყარი, ყველაზე უფრო საიმედო ხიდი საქართველოსა და მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის – ესაა მეგობრობისა და ძმობის ხიდი. რუსთაველი პირველია, ვინც ნამდვილად გაგვაცნო საქართველო“. გ. ა.

155. რ. შამელაშვილი

ლიტერატურული კრიტიკის კარგი შენაძენი

(ს. ცაიშვილის „ლიტერატურული წერილები“)

გაზ. „ქუთაისი“, 1967, 23 ივნისი, №122, გვ. 3.

156. აკაკი შანიძე

[ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები]

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1967, 4 ნოემბ., № 34, გვ. 2.

ინფორმაციაში „მორიგი სემინარი“ აღნიშნულია, რომ რუსთველოლოგიურ სემინარზე მოხსენება წაიკითხა აკად. ა. შანიძემ. მან წარმოადგინა პოემის ტექსტის ორი გასწორება.

I. საიუბილეო გამოცემის 986-ე სტროფში: „მას მუდამ ძველი ცეცხლი სწვავს...“ „მუდამ“ არაბული წარმოშობის სიტყვაა და მხოლოდ ერთხელ, ამ კონტექსტში გვხვდება; სხვაგან ამავე მნიშვნელობით ნახმარია „ნიადაგ“ ან „მიწყივ“. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ავტორისეულ ტექსტში ამ ტაეპშიც მიწყივ უნდა ყოფილიყო.

II. 784,3 სარითმო სიტყვაა „ეშვდინების“. მისი გაგება მიღებულია ქიზიყურ კილოში არსებული შინაარსით: ეშვდინება – ჰგუობს, შეიფერებს.

ა. შანიძის აზრით, აქ უნდა ყოფილიყო ორი სიტყვა: ეშკით (ეშყით, ეშხით) დნების. გ. ა.

157. გ. შარაძე

ვახანგისეული ვეფხისტყაოსანი რუსთველის კაბინეტში

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1967, 27 მაის, № 19, გვ. 3.

ავტორი აღწერს ბუკინისტურ მაღაზიაში მის „მიერ მოპოვებულ“ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ერთ ცალს, რომელიც „შეიძინა თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტმა“. ავტორის დასკვნით, „ის უნდა წარმოადგენდეს იმ ცალს, რომელიც ამ (ა. შანიძის — ბ.დ.) აღწერილობაში არის აღნიშნული“. ბ.დ.

158. ც. ჩიკვაშვილი

მიღებულია ესპანური თარგმანიც

გაზ. „თბილისი“, 1967, 14 ივნისი, № 138, გვ. 3.

ავტორი გვაუწყებს, რომ თბილისის სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ ჩილეს სანტიაგოდან მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე მთარმგენლის გუსტავო დე ლა ტორე ბოტაროს წერილი და თარგმანის გამოცემა. აღწერილია წიგნის გარეგნობა და აღნიშნულია, რომ მთარგმნელს, მისი თხოვნით, გაეგზავნა საჭირო ლიტერატურა. იქვე დაბეჭდილია მთარგმნელის ფოტოპორტრეტი. ბ.დ.

159. მიხეილ ჩიქოვანი

ქართული ფოლკლორისტიკა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე

კრებული - „ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხები“, თბ., 1967, გვ. 265-312.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი იუბილეს პერიოდში აქტუალური გახდა შოთა რუსთაველის ურთიერთობის პრობლემა ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან. 1936 წელს გამოქვეყნდა მკვლევრის ნაშრომი „ხალხური ვეფხისტყაოსანი“. მისი მთავარი დებულება იყო, რომ რუსთაველის თხზულებას ქართული ფოლკლორული წანამძღვრები გააჩნია, რომ პოეტმა მხატვრულად გადაამუშავა ზეპირსიტყვიერებაში არსებული სიუჟეტი და მოტივები. ავტორი აღიარებს, რომ ამ აზრმა მაშინ ლიტერატურის მკვლევარებში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. მაგრამ საკითხი ამით არ მოხსნილა. რუსთველოლოგებმა კ. კეკელიძემ, შ. ნუცუბიძემ და ა. ბარამიძემ მას სპეციალური თავები დაუთმეს თავიანთ მონოგრაფიებში. 1960 წელს გამოქვეყნდა ი. მეგრელიძის წიგნი „რუსთაველი და ფოლკლორი“ (რუსულ ენაზე), სადაც ხალხური „ტარიელიანი“ მეორად მოვლენად არის მიჩნეული. თუმცა ი. მეგრელიძე არ უარყოფს რუსთაველის მიერ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და წეს-ჩვეულებათა

გამოყენებას.

ა. ბარამიძეც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რუსთაველი კარგად იცნობდა და სარგებლობდა ქართული ხალხური შემოქმედებითი წყაროებით, ხალხური მითოლოგიით. მისი თქმით, რუსთაველის ძმადნაფიცობა ხალხური ძმადნაფიცობის ტრადიციით იკვებება.

„ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ პოეზიასთან მიმართების საკითხთა წრე უფრო გაიზარდა მეორე იუბილეს პერიოდში (1966 წ.) და მხატვრული ოსტატობის სფეროსაც შეეხო, რაც აისახა ქ. სიხარულიძისა და ე. ვირსალაძის სპეციალურ გამოკვლევებში. გ. ა.

160. შოთა ჩიჯავაძე

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკიდან
(„ვარდის მრეფობით“)

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1967, № 1, გვ. 59-60.

მკვლევარი აღნიშანვს, რომ „ვარდი“ რუსთაველის თხზულებაში პირდაპირი მნიშვნელობითაც გვხვდება („ვარდი შლილი“, „ვარდის წყალი“, „ვარდის ფურცლობა“ და სხვ.), მაგრამ უფრო ხშირად – მეტაფორული შინაარსით, როდესაც ის აღნიშნავს: 1) ღაწვს, 2) ბაგეს, 3) პირისახეს, 4) ტურფა ასულს ან ჭაბუკს. გამოყენებულია აგრეთვე მხატვრულ შედარებაში („პირი ვარდი“, „ღაწვი ვარდი“).

პოემაში არის ერთი კონტექსტი, რომელიც საჭიროებს მეტაფორული შინაარსის გახსნას. „დაღრეჯით ვიყავ, ვერ მპოვეს ვეროდეს ვარდის მკრეფობით“ (621,3). აღწერილ სიტუაციაში „ვარდის მკრეფობა“ ნიშნავს ადამიანის კარგ გუნებაზე ყოფნას. გამოთქმის პირდაპირი შინაარსით გაგება კი სტრიქონის აზრის დამახინჯება იქნება. პოეტური ნათქვამის აზრი ესაა: ძლიერ მოწყენილი ვიყავ, ხალისიან გუნებაზე მყოფი ვერასოდეს მნახესო. გ. ა.

161. ა. ჩხარტიშვილი

„რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“

ჟურ. „მნათობი“, 1967, № 5, გვ. 187-189.

რეცენზიაში განხილული და შეფასებულია გიორგი ჯიბლაძის ამავე დასახელების წიგნი (თბ., 1966). ავტორის თქმით, ეს წიგნი გ. ჯიბლაძის რუსთველოლოგიური ძიებების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს. რუსთაველის ესთეტიკური სამყარო მონოგრაფიაში სამი ძირითი ასპექტის – საკუთრივ ესთეტიკის, ეთიკისა და პოეტიკის მხარეებით არის წარმოდგენილი. მასში დახასიათებულია რუსთაველის „არს პოეტიკა“ და ესთეტიკის სხვა მნიშვნელოვანი პრინციპები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი მხატვრული ხერხების გაანალიზებას, როგორიცაა: მხატვრული მონოლოგები, დიალოგები, თხრობის მანერა, ეპისტოლე, ლირიკული პასაჟები და ა. შ.

რუსთაველის ეთიკის ზოგადი დახასიათებისას გ. ჯიბლაძე არკვევს ისეთ კერძო საკითხებსაც, როგორიც არის: ადამიანისა და სიკეთის ცნებები, სიყვარულის არსება და გამჟღავნება, სიყვარული და მეგობრობა და სხვ. პოეტიკისა და ეთიკის პრობლემების კვლევა სარეცენზიო ნაშრომში რუსთაველის უმდიდრესი ესთეტიკური სამყაროს მთელი სისრულით გადაშლის ამოცანას ემსახურება, ამასთან ერთად ის სრულიად დამოუკიდებელ მნიშვნელობასაც ინარჩუნებს. გ. ა.

162. სარგის ცაიშვილი

ზოგჯერ თქმითაც დაშავდების

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967, 31 მარტი, № 14, გვ. 2.

წერილი წარმოადგენს მოკლე რეცენზიას მამია ებრალიძის წიგნზე „რას მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსანი“ (თბ., 1966), რომელშიც პროზად გადმოცემულია რუსთველის პოემის შინაარსი.

ავტორი მ. ებრალიძის წიგნის ზოგიერთ ადგილს ადარებს პოემის ტექსტთან და იმ დასკვნამდე მიდის, რომ პროზაულად მოთხრობილი „ვეფხისტყაოსანი“ ვერ აკმაყოფილებს არათუ მეცნიერული კომენტირებისათვის, არამედ პოპულარული თხრობისთვის წაყენებულ ელემენტარულ მოთხოვნებ-

საც. მ. ებრალიძე ვერ მორევია პოემის ტექსტის რთულ ადგილებს და იმავე სახით, ლექსად გადმოუტანია ისინი (დაახლოებით, პოემის ერთი მეოთხედი), თვით თხრობა კი მხატვრულად და სტილისტურად დაბალ დონეზეა შესრულებული. ც. ე.

163. სარგის ცაიშვილი

„ვეფხისტყაოსნის" პირველი ლექსიკოგრაფები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის, შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის და ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს II სამეცნიერო სესია, [თეზისები], თბ., 1967, გვ. 27- 28.

საკითხის ისტორიის მიმოხილვის შემდეგ აღნიშნულია, რომ, როგორც ა. შანიძე მიუთითებდა, „სულხან-საბას ლექსიკონს, მართლაც, მოუხდენია გარკვეული გავლენა ვახტანგის კომენტარებზე, მაგრამ შემდეგ, ვახტანგის კომენტარების გამოქვეყნების დროიდან (1712 წ.), სულხან-საბა მიმართავს ვახტანგის ნაშრომს და თავისი ლექსიკონის საბოლოო რედაქციებში რიგი რუსთველური სიტყვის განმარტებისას თვით ეყრდნობა აღნიშნულ კომენტარებს".

მე-18 და მომდევნო საუკუნეებში პოემის ხელნაწერებში ჩნდება სპეციალური „ლექსიკონები", რომელთა „უმთავრესი წყარო ვახტანგის კომენტარებია", თუმცა გარკვეულ შემთხვევებში სულხან-საბას ლექსიკონიცაა გამოყენებული. A-855 ნუსხაში ვახტანგისა და საბას ლექსიკონების გამოყენებასთან ერთად დამოუკიდებელი განმარტებებიცაა მოცემული. პოემის „ხელნაწერებზე დართული რიგი ლექსიკონი (მაგ. პეტრე ლარაძისეული... არტანრუჯული ნუსხები და სხვ.) უშუალოდ მომდინარეობს... A-855 ხელნაწერიდან". „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკის შესწავლაში ახალ ეტაპს ქმნის თეიმურაზ ბაგრატიონი. ზ.დ.

164. ვლ. ცომაია

მნიშვნელოვანი წვლილი რუსთველოლოგიაში

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1967, 4 აგვ., № 31, გვ. 2.

ავტორი განიხილავს ვლადიმერ ნორაკიძის წიგნს „ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანში" (თბ., 1966).

რეცენზიაში აღნიშნულია, რომ წიგნი გვიჩვენებს ადამიანის ფსიქოლოგიის რუსთველისეულ ღრმა ცოდნას. მასში საფუძვლიანად არის გარკვეული საკითხი, თუ როგორ ესმის პოეტს სული, გული, ცნობა, სიბრძნე. მკვლევარი გვიჩვენებს ამ საკითხების თაობაზე რუსთაველის თვალსაზრისის პროგრესულობას.

წიგნის მეორე ნაწილში განხილულია პოემის გმირების ხასიათები. ფსიქოლოგიური ანალიზის შედეგად მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ეს პერსონაჟები ხასიათის ძირითადი ნიშან-თვისებების, მისი სტრუქტურის მხრივ არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი მთლიანი, ჰარმონიული ხასიათის ადამიანები არიან. პოემის სიუჟეტის განვითარებას არ განსაზღვრავს ბრძოლა „ბოროტსა და კეთილ" ხასიათებს შორის, როგორც ეს ხშირად მოცემულია საგმირო ეპოსში. პოემაში წამყვანია იდეის ლოგიკა.

რეცენზენტი წერს, რომ ვლ. ნორაკიძეს შეუძლებლად მიაჩნია რუსთაველის მოწყვეტა ქრისტიანული სამყაროსაგან, რადგან მისი რენესანსული იდეები ამოიზარდა ქრისტიანული სულიერი კულტურიდან. გ. ა.

165. შოთა ძიძიგური

აკაკი შანიძე
(დაბადების 80 წლის შესრულების გამო)

ჟურ. „მნათობი", 1967, № 6, გვ. 168-174.

აკად. ა. შანიძის მეცნიერული მოღვაწეობის ზოგადი შეფასებისას ავტორი აღნიშნავს, რომ მეცნიერის საკვლევაძიებო თემატიკაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს", მისი ტექსტის კრიტიკულად დადგენას, შერყვნილი ადგილების გამართვასა და ზრუნვას პოემის მეცნიერული გამოცემისათვის. გასულ წელს გამოსული მისი წიგნი „ვეფხისტყა-

ოსნის საკითხები“ პირველი ნაშრომია, სადაც მოცემულია რუსთაველის ენის ცალკეული საკითხების ღრმა ანალიზი. გ. ა.

166. გიორგი წერეთელი

### ვეფხისტყაოსნის “სევდისა მუფარახი“

კრებ. „ორიონი“, მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1967, გვ. 318-326.

გამოთქმა „სევდისა მუფარახი“ პოემაში ორჯერ გვხვდება (სტრ. №№ 108, 894). როგორც ტექსტიდან ჩანს, მუფარახი სევდის გამაქარვებელი რაღაც საშუალებაა. თვით სიტყვა სევდა არაბულ ენაში „შავს“ ნიშნავს, ქართულში კი მწუხარების, დარდის, კაეშანის სინონიმია.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „მუფარახი“ მომდინარეობს არაბული მუფარრიჰ-იდან. ეს სიტყვა წარმოდგება ზმნისაგან ფარიჰა — „უხაროდა, გახარებული იყო, მხიარული“. მუფარრიჰ არის „გამხარებელი“. ეს სიტყვა იხმარება აგრეთვე როგორც ბოტანიკური ტერმინი, ჰქვია ერთ მცენარეს (ქართულად – ფუტკრის მოლი, ბარამბო), რომლისგანაც ამზადებენ მელანქოლიისა და გულის დაავადების სამკურნალო მაჯუნს (ნაყენს).

გ. წერეთელს მიაჩნია, რომ რუსთველს კარგად ესმოდა ამ ტექნიკური ტერმინის მნიშვნელობა, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ „სევდისა მუფარახი“ ერთგან გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი – ის ავთანდილის ეპითეტია (894,1); 108-ე სტროფში კი – პირდაპირი მნიშვნელობით: „მომქარვებელი სევდისა, მართ ვითა მუფარახია“. გ. ა.

167. ალ. ჭინჭარაული

### ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 9 ივნისი, გვ. 2.

რეცენზია ეხება მიხ. მახათაძის წიგნს „რუსთველოლოგიის საკითხები“, თბ., 1966. აღნიშნულია, რომ კრებული სხვადასხვა თემატიკის ნარკვევებისაგან შედგება („ეროვნული იდეები“, „სამხედრო ხელოვნება“, „მედიცინა“, „ნადირობა“ და სხვ.). ავტორის მსჯელობის სტილის საჩვენებლად რეცენზენტი იმოწმებს ნაწყვეტებს წიგნიდან, სადაც არის არაფრისმომცემი ჩამოთვლა ადამიანის სხეულის ნაწილებისა, ტრამვული დაზიანების და ქრონიკულ სნეულებათა, ადამიანის სიკვდილის სხვადასხვა მიზეზისა და ა. შ.

რეცენზენტი მიუთითებს, რომ მკვლევარს არასწორად ესმის „ვეფხისტყაოსანში“ ხმარებული ტერმინები: „წყლული“ („წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს...“), „სენა“ („აწ სახლად მმართებს სენები“), „სამზოდ“ („ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს“), „გამყოფნი“ (“არ ამოვჰკრეფდი გამყოფთა“), „თვალის დაყოფა“ („დაუყვნა თვალნი ელვამან...“), “აზავერი“ და სხვ.

რეცენზენტის თქმით, მ. მახათაძის წიგნში „არის ზოგი საყურადღებო მოსაზრება, მაგრამ მკითხველს უჭირს ასეთი პრიმიტიული მსჯელობით გატელინი წიგნიდან პოზიტიურის გამოყოფა“. ბ.დ.

168 . ალ. ჭინჭარაული

### „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან („ჭერი“)

მოხსენება საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტ. XXIII სამეცნ. სესიაზე 1967 წ. 27 ივნისს.
მოხსენებათა თეზისები, გვ. 15 (მოგვყავს მთლიანად).

1. ქართული ენის დიალექტებში (ფშაური, ხევსურული, მთიულურ-გუდამაყრული, მოხეური, აჭარული...) ჭერი მოჭრილი, მრგვალი, დაუმუშავებელი, წვრილი ხეა.

2. ეტიმოლოგიურად ჭერი ჭრა — ზმნას უკავშირდება, ნაზმნარი სახელია (ვ-ჭერ... ჭერ-ი).

3. ჭერის დღევანდელი, საყოველთაოდ ცნობილი მნიშვნელობა („სართული“, потолок) მეორეულია.

4. ძველი ქართული ენის ძეგლებში სიტყვა ჭერი საერთოდ ვერ დავადასტურეთ. ეს სიტყვა პირველად „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება (სტროფები 1009,4 და 1342,2). იგი ორშემადგენლიანი მეტაფორის ნაწილია — „გიშრის ჭერი“. „გიშრის ჭერი“ მეტაფორულად წამწამებს ნიშნავს (შდრ. „გიშრის ტევრი“, „გიშრის სარი“, „გიშრის საყე“, „გიშრის წნელი“, „გიშრის დანა“, „გიშრის შუბი“, „გიშრის ხე“, „გიშრის ღარი“, „გიშრის სატი“... აგრეთვე წამწამების მნიშვნელობით).

5. ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ ჭერის ის მნიშვნელობა დასტურდება, რაც მას დღეს ქართული

ენის დიალექტებში აქვს.

ამისდაკვალად, მცდარია „ვეფხისტყაოსნის“ ჭერის ტრადიციული გაგება (потолок) და ზემოაღნიშნული სტროფების შინაარსის დღემდე მიღებული ინტერპრეტაცია. ბ.დ.

169. ალ ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

„ორიონი“, კრებული მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1967, გვ. 327-332.

ავტორი ეხება 607-ე სტროფში ხმარებულ სიტყვას „შემომხვდის“: „ვინცა მდევდის, ვერ შემომხვდის, მივუბრუნდი, მივაბრუნვე“ (1966 წ. შანიძე-ბარამიძის გამოცემა). მკვლევრის აზრით, ჯობდა, რომ წყვეტილის ფორმა ყოფილიყო. მაგრამ უფრო მთავარია მისი შინაარსი. ხელნაწერთა უმრავლესობაში იკითხება: „შემამხდა“ ან „შემომხდა“. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შეხვედრის აღსანიშნავად „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს „შეყრა“, „შემთხვევა“ (მთხვევა, მიმთხვევა), „შემოხვდომა“ კი მე-17-18 საუკუნეებში იხმარებოდა წინ შეხვედრის მნიშვნელობით. ეს მნიშვნელობა არ შეეფერება პოემის სადავო ადგილს. აქ იგულისხმება: ახლოს მისვლა, ზედ მისვლა (სამტროდ), რასაც „ვეფხისტყაოსანში“ და მისი ეპოქის ძეგლებში გამოხატავს „ზედ შეჰდომა“ (ნიშნავს სამტროდ ზედ მისვლას, მივარდნას, მიხდომას, შეტევას).

ავტორის დასკვნით, აღნიშნული სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე. „ვინცა მდევდა, ვერ შემომხდა, მივუბრუნდი, მივაბრუნვე“. გ. ა.

170. შოთა ხანთაძე, გრიგოლ მარგიანი

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1967, 5 მაისი.

ავტორები გვაცნობენ პროკოფი რატიანის მოხსენების — „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის“ — შინაარსს.

პ. რატიანმა წამოაყენა ახალი მოსაზრება შოთა რუსთაველის ვინაობის შესახებ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პოემის ავტორი იყო სასულიერო პირი (ეპისკოპოსის ან მთავარეპისკოპოსის ხარისხით), რომელსაც გარკვეულ დროს ეჭირა რუსთავის ეპარქიის მღვდელმთავრის თანამდებობა და ამიტომ იწოდებოდა რუსთველად.

რამდენადაც საქართველოში ისტორიულად არსებობდნენ სასულიერო პირნი ზედწოდებით „რუსთველი“, ავტორის აზრით, შეუძლებელია ამავე დროს არსებულიყო საერო გვარ-წოდება „რუსთველი“, რადგან ესენი სხვადასხვა შინაარსის ცნებებია და მათი დამთხვევა გამორიცხულია.

პ. რატიანს მიაჩნია, რომ მერვე სტროფში ტერმინი „ხელობა“ („მე, რუსთველი ხელობითა“...) ნიშნავს სასულიერო პირის თანამდებობას. მისი აზრით, პოეტი გვიცხადებს: მე თანამდებობით რუსთველი, ე. ი. რუსთავის ეპარქიის მღვდელმთავარი ვარო. გ. ა.

171. ე. ხინთიბიძე

ავთანდილის „ძალნი ზეციერნი“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის XI სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1967, გვ. 30-31.

ავტორი უარყოფს შეხედულებას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „ძალნი ზეციერნი“ ანგელოზებია. მისი გამოკვლევით, „ავთანდილის ძალნი ზეციერნი ასტროლოგიური ცთომილები, მნათობებია“. ეს შეხედულება „არის მონოთეისტური თეოლოგიის შერწყმა ასტროლოგიასთან; ეს არის ასტრალური თვალსაზრისი, აღიარებული ნეოპლატონიკოსთა და ქრისტიანული თეოლოგიის გარკვეულ მიმართულებათა მიერ“. ბ.დ.

172. სოლ. ხუციშვილი

შოთა რუსთველი და მისი პოემა იაკობ გოგებაშვილის ნააზრევში

„ორიონი“, კრებული მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1967, გვ. 357-361.

ავტორი წერს: ი. გოგებაშვილის აზრით, შოთა რუსთველი არის წარმომადგენელი და გამომხატველი ქართველი ერის გონების ძალისა, შემოქმედებისა, გენიოსობისა. ი. გოგებაშვილს მეცნიერული თვალსაზრისით არ უკვლევია „ვეფხისტყაოსანი“, იგი იმ ცოდნის საფუძველზე იდგა, რაც მაშინ იყო ცნობილი რუსთველოლოგიაში. მაგრამ იგი იყო დარაჯი შოთას ორიგინალური ნიჭისა, რომლის წყალობით პოეტმა მაღალმხატვრულად ასახა თავისი დროის სოციალურ-პოლიტიკური პირობები და ადამიანები.

ი. გოგებაშვილისთვის „ვეფხისტყაოსანი“ იყო ეროვნულობის მტკიცე ბურჯი, ურყევი დასაყრდენი ხალხის მომავალი ცხოვრებისა და განვითარებისა. გ. ა.

173. დიმ. ჯანელიძე

რუსთაველი და სახიობა
თბ., 1967, 224 გვ.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში — „რუსთველოლოგიურ-თეატრმცოდნეობითი ძიებანი“ (გვ. 13-70) – განხილულია „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი სახიობა-სანახაობანი და მათი აღმნიშვნელი ტერმინები: თამაშა, თამაშობა, მღერა, სამღერელი, მუტრიბი, მგოსანი, მომღერალი, განცხრომა, აშიკობა, სააშიკო, ლაღობა, სალაღობო და სხვ.

მეორე ნაწილში — „თეატრი და სახიობა რუსთაველის ეპოქაში“ (გვ. 71-218) ავტორი ცდილობს წარმოგვიდგინოს რუსთაველის ეპოქის თეატრალურ-სანახაობრივი კულტურის სურათი. დახასიათებულია სასახლის კარის სახიობა, პანტომიმური წარმოდგენები, ცეკვის ხელოვნება, მუშაითობა (ჯამბაზობა) და სხვა მისთანანი.

ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის ადრინდელი დამსურათებელი“ (გვ. 221-222) ეძღვნება იმერეთის მეფის მდივანს, პოემის ერთ-ერთ გადამწერს მამუკა თავაქარაშვილს. დ. ჯანელიძე ხელნაწერში არსებულ მინიატურებს მამუკას დახატულად მიიჩნევს. გ. ა.

174. მ. ჯაყელი

გენიალური მგოსნის ესთეტიკური სამყარო

გაზ. „თბილისი“, 1967, 17 იანვ., № 14, გვ. 3.

რეცენზია ეძღვნება გ. ჯიბლაძის წიგნს „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“ (თბ., 1966). ავტორის თქმით, მონოგრაფიაში კარგად არის გარჩეული რუსთაველის ესთეტიკისა და ეთიკის კარდინალური საკითხები: სიბრძნე, სილამაზე, სიყვარული, პოეტური ხელოვნება, ადამიანისა და სიკეთის ცნებები, მეგობრობა, პატრიოტიზმი, მრისხანების გრძნობა, ახალგაზრდობის აღზრდის მეთოდები და სხვ.

რეცენზენტის თქმით, გ. ჯიბლაძის ახალი ნაშრომი რუსთველოლოგიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. გ. ა.

175. მ. ჯაყელი

რუსთველოლოგიურ ნაშრომთა კრებული

გაზ. „თბილისი“, 1967, 13 ივლისი, № 163, გვ. 3.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ თბილისის უნივერსიტეტის გამომცელობაში დაიბეჭდა იუსტინე აბულაძის რუსთველოლოგიური ნაშრომების კრებული. გამოკვლევები და წერილები შეკრიბა და გამოსაცემად მოამზადა იოსებ მეგრელიძემ (იხ. ანტოაცია № 5). გ. ა.

176. მ. ჯაყელი [მ. მამულაშვილი]

გენიოსის ხსოვნის უკვდავსაყოფად
(რუსთაველის კაბინეტი სახელმწიფო უნივერსიტეტში)

გაზ. „თბილისი“, 1967, 18 ივლისი, № 167, გვ. 3.

ავტორი აღწერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილ შოთა რუსთაველის კაბინეტს, გამოფენილ ექსპონატებს, იქ დაცულ რუსთველოლოგიურ მასალებს („ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს ქართულ და უცხოურ ენებზე, მთარგმნელთა წერილებს), აგრეთვე, იქ მიმდინარე მეცნიერულ მუ-

შაობას. ბ. დ.

177. მ. ჯაყელი

რუსთველოლოგიის შენაძენი

გაზ. „თბილისი“, 1967, 13დეკ., № 189, გვ. 3.

ინფორმაცია ეხება ლ. მენაბდის წიგნის — „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი“ — გამოსვლას (იხ. ანოტაცია № 90).

178. გიორგი ჯიბლაძე

ქართველოლოგიის სიამაყე

კრებ. „ორიონი“, ეძღვნება აკად. ა. შენიძეს დაბადების 80 წლისთავზე, თბ., 1967, გვ. 364-166.

ავტორი წერს: აკაკი შანიძის მთელი წიგნი „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ ორიგინალურია, ყველგან ახალი აზრი მოაქვს და დღემდე სულ უცნობ ჰიპოთეზებს გვთავაზობს. არკვევს რუსთველოლოგიის ცალკეულ საკითხებს, თუ პოემის ტექსტის დადგენის პრობლემატიკას, ა. შანიძე ყველგან გვევლინება დაკვირვებულ, ღრმად მცოდნე ქართველოლოგად. მას არ უყვარს ფაქტების, დამამტკიცებელი საბუთების გარეშე თეორიებისა და ჰიპოთეზების წამოყენება. გ. ა.

## 1968 წელი

179. ვ. აბაშმაძე

შოთა რუსთაველის პოლიტიკური მოძღვრება

თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 125, 1968, გვ. 339-363, იხ. აქვე, ანოტ. № 4.

180. ნ. აბესაძე

„ლარულისა“ და „ორხაულის“ გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

„შოთა რუსთაველი“, საქ. ისტ., არქ., ეთნ. და ფოლკ. სამეცნ. საზოგადოების კრებული, 1968, გვ. 108-115.

გამოკვლევა ეხება 461-ე სტროფის მესამე ტაეპს: „არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არ ორხაულად“.

ავტორი უარყოფს პ. გუგუშვილის განმარტებას, რომელსაც ლარი მიაჩნია ქსელად (სიგრძის ძაფად), ხოლო ორხაული განის ძაფად, ნართად (მისაქსელად). ავტორი საბას, ვახუშტი ბაგრატიონის განმარტებათა და ხალხში დაცული ტერმინების საფუძველზე ადგენს, რომ „ლარული“ და „ორხაული“ აღნიშნავს სხვადასხვა სახის ქსოვილებს. ლარული არის ჰორიზონტალურ საქსოვ (დგიმ-სავარცხლიან) დაზგაზე მოქსოვილი — შალის, აბრეშუმის ან სელის ქსოვილი; ორხაული კი ვერტიკალურ დაზგაზე მოქსოვილი ხალიჩისნაირი ქსოვილი.

ორხაო და ორხაული შეიძლება ნიშნავდეს ორმხრივ ხაოიანს, ორპირად გაკეთებულ ხალიჩასაც, როგორც მიაჩნიათ ნ. მარს და მ. ბერძენიშვილს. გ. ა.

181. ანდრო აბრამიშვილი

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ მე-19 ცალი და
გრიგოლ ბატონიშვილის მარგინალიები

წიგნში: ა. აბრამიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1968, გვ. 8-31.

ავტორი წერს: ა. შანიძის ცნობით, პირველი ბეჭდური გამოცემიდან ჩვენამდე მოღწეულია 19

ცალი. მათგან 18 აღწერილი აქვს ა. შანიძეს. მასვე 1915-16 წლებში პეტერბურგში უნახავს მე-19 ცალი, მაგრამ 1936 წელს მას ვეღარ მიაგნო.

ა. აბრამიშვილი აღნიშნავს, რომ ეს ეგზემპლარი ეკუთვნოდა გიორგი XII-ის ძის, იოანე ბატონიშვილის წიგნსაცავს, რომელიც 1880 წ. შეიძინა სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკამ და ამჟამადაც იქ ინახება. ნარკვევში მოცემულია პოემის ამ ცალის ვრცელი აღწერილობა. გ. ა.

182. მიხეილ ალავიძე

შოთა რუსთაველი და მაქსიმე აღმსარებელი

კრებ. „შოთა რუსთაველი", საქ. მეცნ. აკადემია, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფოლკ. სამეცნ. საზოგადოება, თბ., 1968, გვ. 66-78.

ნარკვევის პირველ ნაწილში ავტორი განიხილავს მკვლევარების მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში რუსთველის სურათი რატომ არის დახატული იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფრესკებთან. ცნობილია, რომ ი. დამასკელი და მაქს. აღმსარებელი შუა საუკუნეების უდიდესი საეკლესიო მოღვაწენი არიან. ი. დამასკელის შრომა „წყარო ცოდნისა" სამჯერ იყო გადმოთარგმნილი ქართულად. მაქსიმე აღმსარებელი ებრძოდა მონოთელიტობას ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. მან შექმნა სპეკულაციურ-მისტიკური მიმართულება, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა საშუალო საუკუნეთა მსოფლმხედველობასა და აზროვნებაზე (კ. კეკელიძე).

ბიზანტიის ხელისუფლებამ მაქს. აღმსარებელი და მისი ორი მოწაფე განდევნა ქვეყნიდან და გადაასახლა ლაზეთში 662 წელს.

მკვლევარი ცდილობს დაადგინოს იმ ციხესიმარგის ადგილმდებარეობა, რომელიც „სქიმარად" იწოდება ბერძნულ წყაროებში, სადაც სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა მაქსიმემ და სადაც აღესრულა წამების შემდეგ. ავტორის თქმით, ყველაზე სანდო ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომ ლეჩხუმში , მურის ციხესთან არის მონასტერი მაქსიმე აღმსარებლის სახელობისა, სადაც იგია დამარხული. ქართულმა ეკლესიამ მაქსიმე წმინდანად აღიარა. მისი ხსენების დღეებია 21 იანვარი და 13 აგვისტო. ცაგერის ახლოს, ე. წ. „მაქსიმეს საფლავთან" აღდგომის კვირის ხუთშაბათს ტარდებოდა ლოცვა მაქსიმეს სახელზე და პურისჭამა.

მ. ალავიძე სარწმუნოდ მიიჩნევს, რომ შოთა რუსთაველმა იცოდა მაქსიმეს თავგადასავალი, იდეურად ახლოს იყო მის მსოფლმხედველობასთან და ამდენად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს შოთას სურათის მოთავსება დასახელებულ წმინდანთა ფრესკებთან. გ. ა.

**183. Нодар Алания**

**К сведения 104.749 читателей**

**("Фрески" Н. Микава и комментарии к ним)**

გაზ. "*Заря Востока*", 1968, 12.V, № 109, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ 1967 წელს მოსკოვში 104.749 ტირაჟით დაიბეჭდა ნ. მიქავას წიგნი „ფრესკები", შემდგარი სამი ნოველისაგან, რომლებიც ეძღვნება შოთა რუსთაველს, ალ. ჭავჭავაძესა და ლ. გუდიაშვილს. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მოვიდა მოსკოველი მკითხველის ფიზიკოს ს. ი. ტულკესის გამოხმაურება ამ წიგნზე. იგი აღშფოთებულია ამ წიგნის შინაარსით, კერძოდ იმით, რაც რუსთაველის შესახებ წაიკითხა. მისი სიტყვით, მწერალი ფანტაზიით თხზავს არარსებულ ფაქტებსა და მოვლენებს, ბანალურად და უხამსად აღწერს რუსთაველისა და თამარ მეფის ურთიერთობას.

ნ. ალანია წერს, რომ მსგავსი გაყალბება საქართველოს ისტორიულ-კულტურული ცხოვრებისა ნ. მიქავასგან პირველი შემთხვევა არაა; 1961 წელს მან მოსკოვში გამოსცა წიგნი „საქართველოს შვილები", სადაც ასეთივე გამოგონილი და შეურაცხმყოფელი ამბები იყო აღწერილი შ. რუსთაველისა და სხვების შესახებ. მასზე ვრცელი რეცენზია გამოაქვეყნა ი. ბოგომოლოვმა („Вопт. Литературы", 1962, № 6).

ნ. ალანიას სამწუხაროდ მიაჩნია, რომ რედაქტორები და გამომცემლები ხელს უწყობენ ასეთი მდარე

და ბანალური „ლიტერატურის“ პუბლიკაციას. გ. ა.

184. მ. ალექსიშვილი

რუსთველი და ანტიკურობა

თსუ შრომები, ტ. 125, ისტ. მეცნ. სერია, VI, თბ., 1968, გვ. 251-269.

ავტორს სურს გაარკვიოს, თუ როგორია ანტიკური კულტურის ექო შოთა რუსთველის შემოქმედებაში. იგი განიხილავს რწმენის, ღმერთის, ბედისა და განგების საკითხებს ანტიკური ეპოქის მოაზროვნეებთან და რუსთველთან.

საყურადღებოა „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული აზრები სამყაროს აგებულებაზე, რომლებიც ჰელიოცენტრულ თვალსაზრისს გულისხმობს და რაც ზოგიერთ მკვლევარს ანაქრონიზმად მიაჩნია.

მ. ალექსიშვილს მოჰყავს ფაქტობრივი მასალა იმის შესახებ, რომ სამყაროს ჰელიოცენტრულ აგებულებას სხვადასხვა აგუმენტებით ამტკიცებდნენ: არისტარქე სამოსელი (320-250 წწ.), არქიმედი (287-212 წწ.), ერასტოსთენე კირენელი (275-195 წწ.), ჰიპარქოსი (160-125 წწ.). მათ თუმცა ყველაფერი ზუსტად ვერ გაიანგარიშეს, მაგრამ მთავარია ის, რომ ჰელიოცენტრიზმს მისცეს დასაბამი. ეს კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა იყო, რის შესახებაც, იგულისმხება, რუსთველმაც იცოდა. გ. ა.

185. ვლ. ალფენიძე

ქართული მწერლობა მაიერის ენციკლოპედიურ ერთტომეულში

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1968, 15 მარტი, №11, გვ. 2.

ავტორი წერს: იენის (გდრ) უნივერსიტეტის პროფესორის ჰარი იუნგერის რედაქციით ლაიფციგის ბიბლიოგრაფიულმა ინსტიტუტმა 1967 წელს გამოსცა ენციკლოპედიური ერთტომეული „საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურა...“. მასში დაბეჭდილია სტატია „ქართული ლიტერატურა“, რომელშიც მოცემულია ქართული მწერლობის ზოგადი მიმოხილვა უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის ჩათვლით. ნარკვევის ავტორია ლაიფციგელი დოქტორი გ. ვარმი. ლექსიკონში კიდევ არის 15 მცირე სტატია, რომლებიც ეძღვნება ცალკეულ მწერლებს: შ. რუსთაველს, დ. გურამიშვილს, ნ. ბარათაშვილს და ა. შ.

ქართული მწერლობა ასეთი ფართო პანორამით პირველად წარსდგა გერმანელი მკითხველის წინაშე.

ლექსიკონში „ვეფხისტყაოსანი“ შეფასებულია როგორც მსოფლიო რენესანსის დიადი ქმნილება. ნახსენებია პეტრე იბერიელისა და იოანე პეტრიწის ღვაწლი ქართული ნააზრევის განვითარებაში და „ვეფხისტყაოსნის“ შექმნისათვის ნიადაგის მომზადებაში. გ. ა.

186. შალვა ამირანაშვილი

ვეფხისტყაოსანი ძველ ქართულ ხელოვნებაში, თბ., 1968, 62 გვ.

წიგნი შედგება შესავლისა (გვ. 5-17) და ორი თავისაგან.

I თ. „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები ძველ ქართულ მხატვრობაში (გვ. 17-35). პოემის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერები XVII საუკუნისაა. იგულისხმება, რომ ამავე პერიოდისაა მათი მხატვრული გაფორმება და დასურათება. ავტორი წერს: პოემის მინიატურების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა უფრო ძველ პერიოდში შესრულებული უწინდელი ორიგინალების განმეორებას.

მინიატურების ყველაზე დიდი რაოდენობა S-5006 ხელნაწერშია, სულ 87. ამათგან 10 ცალკე ინახება. შესრულების სტილისა და ტექნიკის მხრივ მინიატურები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა; პირველი 24 მინიატურა ფაქიზად და დიდი ტექნიკური ოსტატობითაა შესრულებული. მეორე ჯგუფი ტექნიკურად ბევრად უფრო სუსტია (გვ. 21).

29-ე გვერდზე მკვლევარი მსჯელობს H-2074 ნუსხის ბორდიურების გაფორმებასა და მის სამ მინიატურაზე. 30-34-ე გვერდებზე საუბარია H-599 (1646 წ.) ნუსხის მინიატურებზე. მათ დამხატავად მკვლევარი კალიგრაფ მამუკა თავაქარაშვილს მიიჩნევს.

II თ. შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება ძველ ქართულ ხელოვნებაში (გვ. 35-59). დახასიათებულია რუსთველის ჩვენამდე მოღწეული სამი სურათი: 1) იერუსალიმის ჯვარის მონასტერში არსებული ფრესკა; 2) H-599 ნუსხაში დაცული კომპოზიცია (ლევან II დადიანი, მამუკა მდივანი

და რუსთველი); 3) საქ. ხელოვნების მუზეუმში არსებული სურათი ცალკე ფურცელზე, ამოღებული ე. წ. „ზაზასეული“ ხელნაწერიდან.

წიგნს ერთვის მინიატურების ფერადი ფოტოპირები. გ. ა.

### 187. ი. ანდრიაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სიტყვის განმარტებისათვის

გაზ. „თბილისი“, 1968, 23 ნოემბერი.

ავტორის მიზანია „ჩავაკარაბაკე“ სიტყვის შინაარსის გარკვევა ტაეპში: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“ (551,1). იგი წერს, რომ მის ამოსავლად თვლიან სახელს „ქარაბაკი“ ან „კარაბაკი“, რაც მიჩნეულია ნაკაფად ან წნელის ღობედ.

ი. ანდრიაშვილის აზრით, „კარ-აბი“ არის იგივე, რაც კარის ჩარჩო, ანუ კარის აბმის ადგილი. ქეგლ-ში კარაბანი (კუთხ. იმერ.) ნიშნავს კარის ადგილს, ზღურბლს. ანდრიაშვილი თვლის, რომ „კარაბა“ და „კარაბანი“ ორივე კარის ასაბმელი ადგილია, მხოლოდ, პირველი — ცალფა კარისა, მეორე – ორფა კარისა (კარებისა). „მაშინ მცირე ზომის ცალფა კარის ჩარჩოს – კარაბის აღმნიშვნელად შ. რუსთაველს, სრულიად ბუნებრივია, შეეძლო „კარაბაკი“ ეხმარა. რაკი „კარაბაკი“ მცირე კარის ადგილი უნდა იყოს, მაშინ „ჩაკაბარაკება“ შეიძლება გავიგოთ როგორც კარაბაკის გაკეთება, ე. ი. ტარიელის ნათქვამი: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“, უნდა ნიშნავდეს, რომ კარვის კალთა, რომელიც ჩახლართული, ანუ ცუდად ჩაბმული იყო, ხმლით ჩავჭერი ისე, რომ მცირე კარის ადგილი, ჩარჩოსნაირი შესასვლელი გავაკეთეო. თ. ტ.

### 188. ლია ანდღულაძე

ვეფხისტყაოსნის რევოლუციამდელი რუსი მთარგმნელები

„ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, კრებ. III, თბ., 1968, გვ. 104-188.

ავტორი წარმოგვიდგენს „ვეფხისტყაოსნის“ რუსეთის საზოგადოებრიობისათვის გაცნობის ისტორიას და მის ირგვლივ შექმნილი ლიტერატურის ვრცელ მიმოხილვას. იგი აღნიშნავს, რომ ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის კერა პეტერბურგში XIX ს-ის დასაწყისში უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, როდესაც იქ ერეკლე II-ის მრავალრიცხოვანი და განათლებული შთამომავლობა ჩავიდა. მათთან ურთიერთობის შედეგად შეიქმნა საქართველოს შესახებ დაწერილი ერთ-ერთი პირველი წიგნი კიევის მიტროპოლიტის ევგენი ბოლხოვიტინოვისა, რომელიც 1802 გამოიცა პეტერბურგში. ეს არის პირველი არაქართული წიგნი, რომელშიც რუსთველი ნახსენებია გენიოს პოეტად. წიგნი ითარგმნა ფრანგულ და გერმანულ ენებზე და დიდი გავლენა მოახდინა უცხოეთში რუსთველის შესახებ დადებითი აზრის შემუშავებაზე.

ნარკვევში საუბარია სოლ. დოდაშვილის, ნიკო ჩუბინაშვილის, პოლონელი ორიენტალისტის ალ. ხოძკოს, ა.ნ. მურავიოვის, პ.ს. სოლოვიოვის, მარი ბროსეს, თ. ბაგრატიონის და სხვათა ღვაწლზე ქართული კულტურისა და მწერლობის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში.

როგორც მკვლევარი წერს, 1845 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ 142 სტროფის პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე. მთარგმნელი იყო ნაკლებად ცნობილი პოეტი იპოლიტ ბარტდინსკი. მისი შთამაგონებელნი და კონსულტანტები ყოფილან დავით ჩუბინაშვილი და გრიგოლ ლევანის ძე დადიანი.

მეორე პირი, რომელმაც რუსთველის პოემის ლექსად თარგმნა სცადა, იყო ქართველი მწერალი და ჟურნალისტი ივანე ევლახოვი (ევლახიშვილი). მისი თარგმანი, 84-97 სტროფებისა, დაიბეჭდა 1846 წელს გაზეთ „Кавказ“-ში. ეს თარგმანი პირველთან შედარებით უფრო სუსტი იყო და თანამედროვეებმა ის წარუმატებელ ცდად ჩათვალეს. ი. ევლახოვი 80-იან წლებში კვალვ შესდგომია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას. ეს ნამუშევარი არ გამოქვეყნებულა და აქამდე დაკარგულად ითვლება. გ. ა.

### 189. მ. არაბული [მიხეილ მამულაშვილი]

რუსთაველის პოეტური ხელოვნება

გაზ. „თბილისი“, 1968, 21 სექტემბერი, № 223, გვ. 3.

ავტორი მიმოიხილავს დ. ქუმსიშვილის წიგნს „რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი“ და იწონებს მას. გამოთქვამს რამდენიმე შენიშვნას: მოძველებულად და მიუღებლად მიიჩნევს წიგნში გატარებულ თვალსაზრისს, რომ პოემის ვახტანგისეულ გამოცემას საფუძვლად დაედო „რომელიღაც უძველესი ხელნაწერი“. გამოთქმები „ვინმე მესხი“ და „მისსა რუსთველსა“ „არ ლაპარაკობს ეპილოგის არარუსთველურ წარმოშობაზე“; „მოცალეობა“ „მოცლას“ კი არ ნიშნავს, არამედ

„გულისწორის ცალი, ჯუფთი, მისი ღირსი უნდა იყოს“; „ვეფხი «ტიგრი» კი არა, ლეოპარდია, ხოლო «ჯიქი» ტიგრს აღნიშნავს“. ზ.დ.

**190. М. Г. Бабурян**

**Армянские переводы “Витязя в тигровой шкуре”**

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი (ერევნის სახ. უნივერსიტეტი), 1968, 20 გვ., ხელნაწერის უფლებით.

დისერტაციაში ხუთი თავია. მასში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თარგმანები სომხურ ენაზე სტ. ზასტამიანის და ა. მირიმანიანისა; აგრეთვე ვ. ტერიანის თარგმანი „დასაწყისის“ 12 სტროფისა და გ. ასატურის მიერ შესრულებული სრული თარგმანი პოემისა. გ. ა.

191. თეიმურაზ ბაგრატიონი

შოთა რუსთველი (ადამიანი მის ხანაში და 800 წლის შემდეგ)

ინგლისურ ენაზე. ნიუ იორკი, 1968. ნაწყვეტების თარგმანი (ნ. საყვარელიძისა) – კრებ „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 287-290.

ნარკვევი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგად მიმოხილვას ფილოსოფიური და მსოფლმხედველობრივი ასპექტებით. ავტორი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს რუსთველის რელიგიური რწმენის საკითხს. მისი აზრით, შოთა პეტრე იბერიელის შეხედულებას იზიარებს, როცა ქადაგებს, რომ კეთილი სძლევს ბოროტს, რომ ბოროტი დროებითია და წარმავალი. რუსთველზე დიდი გავლენა ჰქონდათ ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწს, რომელთა მსგავსად შოთაც ავლენს განათლებული ქრისტიანობის ფილოსოფიას, რაც დასაბამს იღებს პლატონის ფილოსოფიიდან...

რუსთველი არ აყალიბებს გარკვეულ დოგმებს, მაგრამ მის მხატვრულ სახეებში არეკლილია არა მარტო ქრისტიანული, არამედ ელინური და მაჰმადიანური ფილოსოფიური აზრებიც.

მკვლევარს უსაფუძვლოდ მიაჩნია ბოლო დროს გავრცელებული შეხედულება რუსთველის ათეისტობაზე. მისი თქმით, ფაქტია, რომ ღმერთი მრავალჯერაა მოხსენიებული პოემაში. თუმცა რუსთველი არ ახსენებს იესო ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმინდანთა სახელებს, მაგრამ „მისი მიზანი არ ყოფილა არც საგანგებო გამოვლენა რწმენისა თუ ურწმუნოებისა და არც შენიღბვა. ეს იყო უფრო მეტად ტაქტი, ზომიერების გრძნობა, რაც მხოლოდ ასეთი მაღალი რანგისა და გემოვნების შემოქმედს შეეფერება“. გ. ა.

192. ალ. ბარამიძე, ელ. მეტრეველი, ს. ცაიშვილი

ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის

(პ. რატიანის ნაშრომის გამო)

ჟურ. „მნათობი“, 1968, № 8, გვ. 164-178.

ავტორები ეხმაურებიან ისტორიკოს პროკოფი რატიანის ნარკვევს („მნათობი“- 1968, № 2, 3, 4), რომლის მთავარი თეზისია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იყო სასულიერო პირი, ეპისკოპოსის ან მთავარეპისკოპოსის ხარისხით, რომელსაც გარკვეულ დროს ეჭირა რუსთავის (ბოსტან-ქალაქის) ეპარქიის მღვდელმთავრის თანამდებობა და სწორედ ამიტომ იწოდებოდა რუსთველად (№ 2, გვ. 150).

ამ დებულების დასაბუთებას პ. რატიანი ცდილობდა მოსაზრება-ვარაუდებით: 1) XV-XVII საუკ. მწერლები: ანტონ კათალიკოსი, არჩილ მეფე, ვახტანგ VI, სერაპ. საბაშვილი, ტიმ. გაბაშვილი და ზეპირი ხალხური გადმოცემები შოთა რუსთველის სასულიერო პირად მიიჩნევენ; 2) „რუსთველი“ არ შეიძლება ეწოდებოდეს საერო პირს; 3) პოემის დასაწყისის მერვე სტროფში: „მე, რუსთველი, ხელობითა... ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ...“ ამას ნიშნავსო: მე, თანამდებობით (ჴელობით) რუსთველი (ე. ი. რუსთავის ეპისკოპოსი...); 4) სახელი „შოთა“ შეტანილია საეკლესიო კალენდარში, რაც იმას ადასტურებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სასულიერო პირი იყოო.

რეცენზენტები საპირისპიროს ამტკიცებენ და არგუმენტირებულად აბათილებენ პ. რატიანის მოსაზრებებს. მათი თქმით, XV-XVII ს. დასახელებული პირების, აგრეთვე სხვების, ნაწერებიდან მხოლოდ ის აზრი იკითხება, რომ შოთა რუსთველი საერო მოღვაწე იყო. 2) ცნობილია რამდენიმე საერო

პირი „რუსთველის“ სახელით ან გვარწოდებით, რაც რუსთავის მკვიდრს ან რუსთავის მფლობელს უნდა ნიშნავდეს. 3) პოემის მერვე სტროფში „ხელობა“, ორივე შემთხვევაში ნიშნავს შმაგობას, მიჯნურობით გახელებას. 4) სახელი „შოთა“ საეკლესიო კალენდარში შეიტანა კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ 1948 წელს, რომელიც ცდილობდა „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული ეკლესიის მორიგებას, ეკლესიის პოზიციებიდან შოთა რუსთველის რეაბილიტაციას. მანვე კანონიკურად აღიარა ბევრი „საერო“ სახელი. მაგ.: ავთანდილი, ამირინდო, ბეჟანი, გოდერძი, მანუჩარი, ნოდარი, ომანი, რამაზი, როსტევანი და სხვ.

რეცენზენტების დასკვნით, პ. რატიანის თვალსაზრისს არავითარი საფუძველი არ გააჩნია. მკვლევარს ვერ მოუპოვებია მისთვის საჭირო პირველი წყაროები; ზოგი წყაროს შინაარსი სწორად ვერ გაუგია, ზოგი მასალა ცალმხრივად წარმოუდგენია, ზოგი რამ თვითონ შეუთხზავს. ასეთი „კვლევა“ კი საკმარისი არაა ესოდენ ამბიციური ჰიპოთეზის დამტკიცებისათვის. გ. ა.

193. ს. ბედუკაძე

## დროის განსაზღვრის ხალხური სისტემა და მისი ანარეკლი „ვეფხისყაოსანში“

„შოთა რუსთველი“, ისტ., არქ., ეთნ. და ფოლკ. სამეცნ. საზოგადოების კრებული, 1968, თბ., გვ. 99-107.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებულია უძველესი დროიდან ციურ სხეულებზე სისტემური დაკვირვება საგანგებოდ ნასწავლი პირების — „მემარგეთა“ მიერ. საბა ასახელებს ტელესკოპის მსგავს ხელსაწყოს — „ჭოგრიონს“, ხოლო ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია ქვის სვეტები, რომლებზედაც მოწყობილი იყო „მზის ბუდეები“; ცნობილია: მესხეთში დარბაზის გვირგვინი ან სვანური სახლის სარკმელი (ლახვრა), სადაც აღინიშნებოდა მზის მოძრაობის დღიური ან წლიური კალენდარი, ქვის სვეტები (ე. წ. ვეშაპ-თევზები), ქვაკაცები („ჭორტები“), ხის საათები და სხვ. მზის საათები შემორჩენილია ეკლესიების სამხრეთის კედლებზე (გელათში, ანანურში, სვეტიცხოველზე და სხვ.).

ავტორის აზრით, დაკვირვების გარკვეული წესია ასახული პოემის 1569-ე სტროფში: „მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა რა თანა შეესწოროსა..., მათად საჭვრეტლად მჭვრეტელმან, ხამს, თავი იქედგოროსა“, — ე. ი. მაღლა მთაზე უნდა ავიდეს და იქიდან მოახდინოს დაკვირვებაო.

ამავე წესს ხედავს ავტორი 184-185 სტროფებში:

მას მიჰხვდა წვერი სადგურად მაღლისა მთისა დიდისა...
ზედ წაადგა, შეექცევის, დროთა, დღეთა ანგარიშობს.

ს. ბედუკაძე ფიქრობს, რომ „შეექცევის“ სიტყვა ციურ სხეულებზე ხანგრძლივ ჭვრეტას გულისხმობს და, შესაძლოა, მზის სვეტ-კალენდრებზე ჭვრეტასაც. მას „ვეფხისტყაოსნის“ ქედგორობის მსგავს წესად მიაჩნია ხევში არსებული საკულტო ჩვეულება „ასთვაგლახობა“ — ახალწლის წინა ღამეს სამების წვერზე ღამის სათევად ადის სამი დეკანოზი, ერთიმეორეს ზურგმიყუდებულნი, უმძრახად მჯდომნი, განთიადამდის აკვირდებიან ცის სამყაროს, რის შემდეგაც წინასწარმეტყველებენ მომავალი წლის ავ-კარგზე.

770-ე სტროფში: „სახლად ჩადგეს მზისა წვერნი“, ავტორის აზრით, შესაძლოა იგულისხმებოდეს „მზის სახლი“ — ხალხურ ყოფაში დადასტურებული „მზის ბუდის“ მსგავსი მოწყობილობა. გ. ა.

193**ა**. ვალერიან გაბაშვილი

## აღმოსავლეთი VI-XII სს. ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე

თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 125, ისტორიის მეცნ. სერია VI, 1968, გვ. 271-307.

ამ გამოკვლევაში რუსთველოლოგიისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი დაკვირვება: XI-XII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში ტერმინები „სპარსეთი“, „სპარსი“, „სპარსული“ იხმარებოდა როგორც კონკრეტული, ისე ფართო და ზოგადი მნიშვნელობით. ზოგადი გაგებით „სპარსეთი“ მოიცავდა და გულისხმობდა ყველა მაჰმადიანურ ქვეყანას, „სპარსი“ კი ეწოდებოდა ყველა მაჰმადიანს: არაბს, თურქს, ხვარაზმელს.

ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ „სპარსეთისა“ და „სპარსის“ აღმოსავლურ-მაჰმადიანურთან გაიგივება დამახასიათებელია იმდროინდელი ქართული მხატვრული მწერლობისთვისაც, კერძოდ - „ვეფხისტყაოსნისათვის“. ამ ტერმინებს შოთა რუსთველი იმავე მნიშვნელობით იყენებს, როგორც მისი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები. სტრიქონში „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმა-

ნები“ ნაგულისხმევია აღმოსავლურ-მაჰმადიანური ამბავი, უფრო ზუსტად – თხრობის აღმოსავლურ-მაჰმადიანური ფონი, გმირთა სარბიელი და არა რუსთველის მიერ გალექსილი სპარსული პროზაული ნაწარმოები, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა. გ. ა.

194. კონსტ. გამსახურდია

ვილაშქროთ ქართული ენის სიწმინდისათვის

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1968, 16 თებ., № 7, გვ. 2.

ავტორი წერს: ზოგიერთს ჰგონია, რომ ენა უნდა გავამარტივოთ. სიმარტივე იგივე სიღატაკეა. ლინგვისტებმა დაადგინეს: „ჰ“ აღარ გვჭირდებაო, რადგან მეტყველებისას არ ისმისო. მართალია, ქართულ ზმნებში „სანს“ და „ჰაეს“ გრამატიკული ფუნქცია ზოგჯერ არ გააჩნიათ, ამიტომ განიზრახეს მათი გაუქმება. მათ დაავიწყდათ, რომ ამ ბგერებს გააჩნიათ ევფონიური, ესთეტიკური ფუნქცია.

„ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემაში ზოგან იგნორირებულია ეს ფაქტი, მაგ.: „ცრემლსა რასა მილდი?“ უნდა იყოს: „ჰმილდი“; „შენ ასეთნი ხენი ვით ხენ“ (588), უნდა იყოს: „ჰხენ“; „რომელმან შექმნა სამყარო“... უნდა იყოს: „შეჰქმნა“. სხვა ცთომილებანი: დაბეჭდილია „ცნობითა ბრძნად-მხედველითა“, უნდა იყოს: „ზე-მხედველითა“; „ძილია თუ უძილობა?“ (101), უნდა იყოს: „ღვიძილობა“; „ზოგჯერ ვსხვდები, ზოგჯერ ვწვლდები“ (952), უნდა იყოს: „ვსხვლდები“; „გზანი დახვდეს შეკაზმულნი“, უნდა იყოს: „შეკაფულნი“. გ. ა.

195. მანანა გიგინეიშვილი

„მზიანი ღამე“ ვეფხისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი

კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები, III, თბ.,1968, გვ. 9-66.

ავტორი აღნიშნავს, რომ „მზიანი ღამე“ ვეფხისტყაოსანში შინაარსით „ერთარსება ერთისა“ და „უჟამო ჟამის“ თანაბარი ცნებაა:

„იტყვის: „ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად“... (836, 1-2).

ავტორი განიხილავს მკვლევართა განსხვავებულ მოსაზრებებს და ადგენს: „უჟამო ჟამის“ ცნება უკავშირდება ქრისტეს ორ ბუნებას – ღვთაებრივსა და ადამიანურს. ქრისტე უჟამოა, ჟამზე ადრე შობილია მამისაგან და თავად შემოქმედია; მაგრამ ამასთანავე იგი ჟამში განხორციელდა, მის მიერვე შექმნილ სამყაროში განსხეულდა და ჟამში მოექცა (გვ. 25).

გამოთქმა „მზიანი ღამე“ უძველესი მისტერიებიდან და თეოლოგიური მწერლობიდან მომდინარეობს. როგორც მკვლევარი წერს, „მზიანი ღამე“ ან ღამით მზის ხილვა მისტიკური ფაქტი იყო და ნიშნავდა ჯვარცმამდელი, კოსმიური ლოგოსის შესახებ მოძღვრების, ფარული ცოდნის ზიარებას. „შუაღამის მზე“ ინიციაციის სხვადასხვა კერებში... ნიშნავდა მითითებას ღვთიურ სიტყვაზე და მის მომავალ განსხეულებაზე (გვ. 56).

ქართულ პოეზიაში ამ ცნებას იყენებენ: პეტრე ლარაძე, რომელიც დავით აღმაშენებელზე ამბობს: „უჟამო ჟამის მეტრფე და მზიანი ღამით სვიანი“ და დავით გურამიშვილი: „ვირემდის განახლდებოდა ძველი დღე-ღამე მზიანი...“.

მკვლევრის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის განსახილველ სტროფში „ერთარსება ერთი“ არის წმიდა სამება, ამდენად მასში იგულისხმება ძე-ღმერთიც – ქრისტე; „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ კი უშუალოდ სამების მეორე პირს, ქრისტეს, გულისხმობს. გ. ა.

196. კ. გრიგოლია

ქართული რენესანსი რუსთველის ეპოქისა (XII ს.)

კრებ. „შოთა რუსთაველი“, 1968, თბ., გვ. 32-65.

ავტორი განიხილავს მე-12 საუკუნის საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ რენესანსული აზროვნების ჩამოყალიბების საფუძველი იყო ქვეყნის ეკონომიური სიძლიერე, რასაც ქმნიდა რენტაბელურად მოწყობილი სოფლის მეურნეობა, განვითარებული საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობითა და ვაჭრობით, სამხედრო ალაფი და ხარკი დაპყრობილი ქვეყნებიდან.

რენესანსის მამამთავარი საქართველოში იყო იოანე პეტრიწი, რომელიც მე-12 საუკუნის დამდეგს გელათის აკადემიაში მოღვაწეობდა. მანამდე კი გარკვეული ნიადაგი იყო მომზადებული ექვთიმე მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის მიერ. ექვთიმემ თარგმნა „ბალავარი" ბერძნულად, ეფრემ მცირემ კი გადმოთარგმნა დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიური თხზულება „საღმრთოთა სახელთათჳს" და მისივე ათი ეპისტოლე.

იოანე პეტრიწმა ქართულად თარგმნა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა" და პროკლე დიადოხოსის „კავშირნი". მას ჰქონდა საკუთარი ნაშრომიც — „განმარტება პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს".

ი. პეტრიწი არკვევდა ღვთაებისა და ადამიანთა დამოკიდებულებას, აღიარებდა უმაღლესი საწყისისა და ქვეყნიერების ერთიანობას. მისი მსჯელობა აზრის თავისუფლებას ემყარებოდა (რაც საეკლესიო სინამდვილიდან გამორიცხული იყო).

ცვლილებები მოხდა ქართველ ისტორიკოსთა მსოფლმხედველობასა და მეთოდოლგიაშიც. ისინი სახელმწიფოებრივ და ადამიანთა ინდივიდუალურ ცხოვრებას ბედისწერისა და „ზეგარდმო განგების" მიხედვით არ ხსნიან. ისინი აღიარებენ პიროვნების (მეფის) უნარსა და შრომას და ამასთან ერთად – ობიექტურ პირობებს, რაც ხელს უწყობს ამა თუ იმ მოქმედებასა და მოვლენას.

მე-12 საუკუნეში განვითარდა საერო მწერლობა, რომლის ყურადღების საგანი გახდა მატერიალური სამყარო, ადამიანის საამქვეყნო ცხოვრება და იდეალები. გ. ა.

197. კ. გრიგოლია

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის ვინაობის საკითხისათვის

თსუ შრომები, ტ. 125, ისტ. მეცნ. სერია, VI, თბ., 1968, გვ. 237-249.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ისტორიანი და აზმანი" უავტორო თხზულებაა. მიხ. წერეთელი და ი. ლოლაშვილი მის ავტორად შოთა რუსთველს მიიჩნევენ, მაგრამ მათ ამ მოსაზრების დამადასტურებელი არსებითი ხასიათის საბუთები არ წარმოუდგენიათ; მხოლოდ ენობრივი, მხატვრულ-სტილისტური, თუნდაც იდეოლოგიური დამთხვევებითა და მსგავსებით კი სხვადასხვა თხზულების ავტორთა იგივეობის საკითხი ვერ გადაწყდება.

დასახელებული თხზულების იდეოლოგიურ-პოლიტიკური თვალსაზრისით განხილვისა და სხვა მონაცემების საფუძველზე ავტორი დაასკვნის: „თამარის პირველი ისტორიკოსი მაღალი სამღვდელოების წარმომადგენელი ყოფილა, რაშიც დაეჭვება უკვე, თითქმის, აღარ შეიძლება". გ. ა.

198. ბორის დარჩია

სიცილი „ვეფხისტყაოსანში"

კრებ. „ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები", IV, თბ., 1968, გვ. 199-212.

როგორც მკვლევარი წერს, „ვეფხისტყაოსანში" წარმოსახული სიცილი შინაარსით მრავალფეროვანია. ძირითადად ის თავისი ბუნებრივი მიზეზის – სულიერი კმაყოფილების, მხიარულების გამომხატველია და დაპირისპირებულია ტირილთან (მოყვანილია სათანადო მაგალითები). აგრეთვე პოემაში მრავლადაა ჯანსაღი, გამახალისებელი იუმორი და სიცილი, მაგ., სტრ. 255-256 (1957 წლის გამოცემით). „ვეფხისტყაოსანში" სიცილი წარმოდგენილია, როგორც ადამიანის დამამშვენებელი, მისი ღირსების, გარეგნული და სულიერი სილამაზის გამომხატველი. რუსთველმა შუასაუკუნეების რელიგიური შეზღუდულობის ეპოქაში ადამიანს დაუბრუნა მისთვის დამახასიათებელი ჯანსაღი სიცილი თავისი მრავალფეროვანი ფორმითა და შინაარსით; „ვეფხისტყაოსანში" იგი ამაღლებულია ადამიანის დაცვისა და განდიდების ჰუმანისტური პრინციპების დონემდე, რაც დამახასიათებელია რენესანსისათვის. გ. ა.

199. ბ. დარჩია

„ზმა" სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში"

„ძველი ქართული მწერლობის საკითხები". კრებ. III, თბ., 1968, გვ. 67-85.

როგორც ავტორი აღნიშნავს, „ზმა" ძველ ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება; ის

ნიშნავს: ქმნას, მოქმედებას; აგრეთვე – ორაზროვნად თქმას, კალამბურს და, ზოგადად – ხუმრობას, გართობას, მხიარულებასაც.

„ვეფხისტყაოსნის“ 69-ე სტროფში როსტევან მეფისა და ავთანდილის ბაასია შეჯამებული:

ავთანდილცა დამორჩილდა, საუბარი გარდასწყვიდეს,
იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს...

სიტყვა „ზმიდეს“ აქ ნიშნავს: ხუმრობდნენ, ლაღობდნენ, ერთობოდნენ. შესაძლებელია, ამ გართობაში ზმების, კალამბურის თქმაც იგულისხმებოდეს. ზოგადად, გართობის ან, კონკრეტულად, კალამბურის შინაარსი აქვს ამ სიტყვას „რუსუდანიანში“, ბერი ეგნატაშვილის, თეიმურაზ II-ის, დ. გურამიშვილის, ს. საბაშვილის, ბ. ვაჩნაძის და სხვათა თხზულებებში. გ. ა.

200. ბ. დარჩია

ვეფხისტყაოსნის რედაქციები „ხვარაზმელთა ამბის“ მიხედვით

კრებ. „ქართული ლიტერატურის საკითხები“, თბ., 1968, გვ. 179-205.

პოემის ხელნაწერების ტექსტების ურთიერთშედარების შედეგად ავტორი გამოყოფს „ხვარაზმელთა ამბის“ ხუთ რედაქციას: 1. ABC..., 2. DGQV..., 3. HJKOT..., 4. EFIRZ..., 5. ნარევი რედაქცია – LM[1]...

ნაშრომში დახასიათებულია 1, 2, 3 რედაქციების ხელნაწერთა თავისებურებანი. ავტორი შენიშნავს, რომ მეოთხე და მეხუთე რედაქციების განხილვა ვერ იბეჭდება „ტექნიკური მიზეზებით“. გ. ა.

**201. Б. Ш. Дарчия**

**Редакции поэми Руставели и их взаимоотношения**
(на основе “Сказа о хорезмийцах”).

***Автореферат дисерт. на соиск. ученой степени кандидата филологических наук, Тб., 1968, 23 стр.***

ავტორეფერატში აღნიშნულია, რომ დისერტაცია შედგება: შესავლის, ორი თავის, საბოლოო დასკვნების, სქემისა და დამოწმებული ლიტერატურის სიისაგან.

I თავში შესწავლილია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები „ხვარაზმელთა ამბის“ მონაკვეთის მიხედვით. გამოყოფილია 4 ძირითადი რედაქციული ჯგუფი და მეხუთე – ნარევი რედაქციის ნუსხები. თითოეული ჯგუფიდან გამოყოფილია ქვერედაქციები და დადგენილია თითოეულ რედაქციაში შემავალ ხელნაწერთა ურთიერთმიმართება.

II თავში განხილულია რედაქციული ჯგუფების ურთიერთმიმართება და მათი წარმომავლობა. მიღებულია დასკვნა, რომ „ხვარაზმელთა ამბის“ პირველადი ტექსტი შედარებით უკეთ დაცულია ე. წ. სამეფო სახლის ნუსხათა რედაქციაში. ამ მონაკვეთის ამჟამად ცნობილ ვერსიას საფუძვლად დასდებია სარგის თმოგველისეული თხზულება, რომელიც შესრულებული ყოფილა ნარევი ტექსტით, პროზითა და ლექსით. უცნობ პოეტს პროზაული ნაწილის გალექსვისას თავ-თავის ადგილას დაუტოვებია დედნისეული ლექსებიც. ამის გამო „ხვარაზმელთა ამბის“ ჩვენს ხელთ არსებულ ტექსტს (ვრცელ რედაქციებში) ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებანი, რასაც გამოუწვევია ის რედაქციული ცვლილებები, რომლებიც მოკლე რედაქციებში დასტურდება. გ. ა.

202. დენის დგებუაძე

რუსთველის კაბინეტში

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1968, 22 ნოემბერი, № 36, გვ. 4.

ავტორი იუწყება, რომ რუსთველის კაბინეტში ივ. ლოლაშვილმა წაიკითხა მოხსენება — „ოთხთა კავშირთა შეზავება-რღვევა და სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა იოანე პეტრიწისა და რუსთველის ნააზრევში“. მკვლევარმა აღნიშნა, რომ სამყაროს ოთხი საწყისის (წყალი, ჰაერი, მიწა და ცეცხლი) შესახებ მოძღვრება ქრისტიანული ნეოპლატონიზმის თვალსაზრისით დაამუშავა პეტრიწმა პროკლე დიადოხოსის „კავშირთა“ კომენტარებში და ორიგინალურ ტრაქტატში „სათნოებათა კიბე“. პეტრიწი

ელემენტის სინონიმად ხმარობს სამ ტერმინს — „ასოს“, „კავშირსა“ და „ნივთს“.

შოთა რუსთაველს ტერმინები: „კავშირნი“, „ნივთი“, „კავშირთა დაშლა“ იმავე მნიშვნელობით აქვს გამოყენებული, როგორ ი. პეტრიწს. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ტრ. რუხაძემ, ლ. მენაბდემ, ს. ცაიშვილმა, ე. ხინთიბიძემ, ა. ალექსიძემ, მ. გიგინეიშვილმა. ბ.დ.

**203. И. Ениколопов**

**История одного списка “Вепхисткаосани”**

ჟურ. ***“Лит. Армения”, 1968, № 2, с. 90-92.***

ავტორი წერს, რომ მეფე ერეკლე II-ის ელჩი თურქეთში, გურგენი, რომელიც შემდეგ უფრო დაწინაურდა სამსახურში (ეკავა მუნშის თანამდებობა, რაც ვიცე-კანცლერს უდრის), იყო ცნობილი პიროვნება. მას ჰქონდა საუკეთესო ბიბლიოთეკა, მემკვიდრეობით მიღებული წინაპრებისაგან, რომლებიც თბილისში დასახლდნენ მეფე ლუარსაბის დროს (XVI ს.). მისი ბიბლიოთეკიდან გადარჩა მხოლოდ ორი ხელნაწერი წიგნი. ერთ-ერთი მათგანია „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხა, რომელიც ამჟამად საქართველოს მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. ის საჩუქრად გადაეცა „ქართველ ხალხს“ 1946 წ. 25 თებერვალს.

გურგენი გარდაიცვალა 1786 წელს. მისი შვილი აპრიამი (აბრაამი?) გიორგი XII-ის დროს განაგებდა უცხოეთის საქმეების უწყებას.

აღნიშნული ხელნაწერის შესახებ გამოკვლევები აქვთ: ალ. ბარამიძეს, ს. ცაიშვილს და ც. კარბელაშვილს. გ. ა.

204. კირილ თუმანოვი

წინასიტყვაობა თ. ბაგრატიონის ბროშურისა: „შოთა რუსთველი (ადამიანი მის ხანაში და 800 წლის შემდეგ)“

ნიუ იორკი, 1968, გვ. 2-4. თარგმანი (ნ. საყვარელიძისა) – კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 290-292.

როგორც ამერიკელი მეცნიერი, მედიევისტი კ. თუმანოვი წერს, ქართული ცივილიზაცია, ერთი მხრივ, თვითონ იყო მემკვიდრე ე. წ. „ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციისა“, მეორე მხრივ, ამავე ცივილიზაციის სხვა პირმშოთა – ირანისა და საბერძნეთის კულტურათა დიდი გავლენაც განიცადა და, საბოლოოდ, განვითარდა როგორც ყოველივე ამის ერთგვარი სინთეზი... რუსთველის პოემაში ერთგვარად შეზავებულია ნეოპლატონიზმი და სუფიზმი, ელინური და ირანული კულტურის ელემენტები, რომელთა შორის აშკარად გამოიკვეთა წმინდა ქართული ელემენტები – პატრონყმობისა და რაინდობის იდეა, რაც დაკავშირებულია კავკასიის წარსულსა და ხმელთაშუა ზღვის სამყაროსთან.

ავტორის თქმით, „ვეფხისტყაოსანს“ ქრისტიანული მრწამსის გავლენაც ატყვია. საქართველოში ისევე, როგორც დასავლეთში (ბიზანტიის გამოკლებით), რელიგია და ფილოსოფია, ქრისტიანული და ადრეული წარმართული კულტურა ჰარმონიულად შეერწყა ერთიმეორეს. „თ. ბაგრატიონის შრომა მიზნად ისახავს გვიჩვენოს ამ განსხვავებულ ტრადიციათა (ელინურის, ირანულის და ქრისტიანულის) განზავების ფაქტი რუსთველის პოემაში“. გ. ა.

205. გაიოზ იმედაშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა

თბ., 1968, 432 გვ.

წიგნის ანოტაციაში აღნიშნულია, რომ მისი მიზანია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კონსტრუქციის, პოეტიკისა და ავტორის იდეოლოგიის ქართულ კულტურასთან ორგანული კავშირის ნათელყოფა. მკვლევარი ადგენს რუსთაველის ეთიკურ-ესთეტიკური იდეალების, სტილის, მხატვრული აზრისა და მეტყველების თავისებურებათა ორიგინალურ წყაროებს და საზღვრავს „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობას როგორც ქართველი ერის, ასევე ქართული და მსოფლიო ეპიკური პოეზიისათვის.

წიგნი შედგება წინასიტყვაობის (გვ. 5-22), შესავლისა და ექვსი თავისაგან. განსახილველი საკითხები თემატიკურად ასე ნაწილდება:

შესავალი: ვეფხისტყაოსნის შემეცნების ასპექტები. რუსთაველი და ქართული ენა. კანონიკური

ტექსტის გაგება და ორიგინალობის პრობლემა. ტექსტის განმარტების პრობლემა. ვეფხისტყაოსნის მთლიანი გააზრება.

I თავი, ვეფხისტყაოსანი და ქართველი ერი: ეროვნული ეპოსის პრობლემა. ეპოსი და ეროვნული თვითშეგნება. ვეფხისტყაოსნის როლი ქართული ენისა და ხასიათის ჩამოყალიბებაში. ეროვნული სინამდვილის მხატვრული გარდასახვა. ეროვნული ნიჰილიზმი და პოემის სპარსული წარმოშობის თეზა...

II თავი, რუსთაველის სოციალური გარემო: პატრონყმობა და ეროვნული სახელმწიფო. სოცია-ლური კონფლიქტი და ჰარმონია. ადამიანის „მე" და ეროვნული გმირის იდეა. ეროვნული თვითშეგნება და საქართველოს ერთიანობის იდეა. რაინდი და ვაჭარი...

III თავი, რუსთაველის იდეოლოგიური საკითხები: აღმოსავლურ-დასავლური ორიენტაციის პრობლემა. ბერძნულ-ბიზანტიური კულტურა და ქართველობა. დაპირისპირება აღმოსავლურ სინამ-დვილესთან. რუსთაველის ეროვნული წყაროები. ეროვნული და რელიგიური თვითშეგნება. რუსთა-ველის ღმერთი და ადამიანი. რელიგიური ინდიფერენტიზმი.

IV თავი, ქართული რენესანსი და რუსთაველის ჰუმანიზმი: ადამიანის იდეა ქართულ მწერლობაში. ქართული რენესანსის ფაქტორები. პიროვნების კონცეფცია ვეფხისტყაოსანში. მშვენიერება და სიყვარული. ქალის სახე და პიროვნება. სიყვარული და ომის თემა ეპოსში. რუსთაველის ესთეტიკურ-ეთიკური იდეალი და ქართული სინამდვილე.

V თავი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქციის საკითხები: ეპოსი და ლიტერატურული გემოვნების ევოლუცია. ვეფხისტყაოსნის ჟანრული ფორმა. გაორმაგებული სიუჟეტი და კომპოზი-ციური მთლიანობა. სივრცე, დრო და პერსონაჟი. გმირი და ხასიათი. რეალობა და ფანტასტიკა.

VI თავი, ვეფხისტყაოსანი და ქართული პოეტური კულტურა: მწერლობის ტრადიციები და მიჯნე-ბი. ლექსი და სადა სიტყვა. შაირის უძველესი ფორმები. ალიტერაცია, რითმა, მეტაფორა. ასტრალური სახეები პოეზიაში. შაირის საზომი და მეტყველების რიტმი. რეალობა და სიმბოლო. სტილის ორსახოვ-ნება, როგორც გაუცხოება. მთელი და დეტალი რუსთაველის აღქმაში. სიმეტრიზმი და დიგრესია. რუსთაველის სიტყვა და სახე ქართულ მწერლობაში და პოეზიის კრიზისი.

იხ. რეცენზია – აქვე, ანოტ. № 285. გ. ა.

206. ა. ირემაშვილი

პოეზიის ქვეყანაში

გაზ. „თბილისი", 1968, № 27, გვ. 3.

ავტორი ჩამოთვლის უცხო ენაზე გამოცემულ ქართულ ლიტერატურას. მათ შორის, „ვეფხის-ტყაოსნის" მარჯორი უორდროპის, ვენერა ურუშაძის, ვიქტორ კერნბახის, იერომირ იედლიჩკას, ჰუგო ჰუპერტის, ს. წულაძის თარგმანებს. ბ.დ.

207. მ. კალანდაძე

შოთაობა იყალთოში

გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1968, 13 ნოემბ., № 264, გვ. 4.

ავტორი იუწყება, რომ თელავის რ-ნის სოფ. იყალთოში გაიმართა შოთაობის დღესასწაული. ზეიმზე ჩამოვიდნენ სტუმრები თბილისიდან. მათ შორის იყვნენ უცხოელები: ინგლისიდან — დევიდ ლანგი, რიგიდან – ვ. შტინბერგი, დონეცკიდან — ი. შელიაკოვი. იყვნენ აგრეთვე სსრკ მეცნ. აკადემიის წ/კ. ანდრია ბიწაძე, მწერლები. ი. აბაშიძე, ნ. დუმბაძე, ე. მაღრაძე და სხვები.

მწერლების სიტყვებით გამოსვლების შემდეგ მოეწყო ზეპირი ჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე", რომელშიც ჩაერთნენ ზეიმის მონაწილეები, იყალთოს საშ. სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები. გ. ა.

208. ნოდარ კაკაბაძე

ქართული ლიტერატურა მაიერის ლექსიკონში

გაზ. „კომუნისტი", 1968, 18 აგვ., №193, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ ლაიპციგის ბიბლიოგრაფიულმა ინსტიტუტმა „მაიერის ჯიბის ლექსიკონის"

სერიით გამოაქვეყნა ახალი ლიტერატურული ლექსიკონი „საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურები“. ლექსიკონში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ლიტერატურას. მისი მიმოხილვა ეკუთვნის დოქტორ გიუნტერ ვარმს. მასში ბევრი შეცდომაა, თუმცა შედარებით ღირსეულად არის წარმოდგენილი შოთა რუსთაველი. ავტორი ძირითადად ეყრდნობა შალვა ნუცუბიძის კონცეპციას. აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რენესანსული პოეზიის უბრწყინვალეს ქმნილებებს მიეკუთვნება. გ.ა.

209. ჰაინც კალოვი

შენიშვნები ამიერკავკასიაზე

***Trankaukasische Notizen* – *“Neue Deutsche Literatur”, 1968, № 11***, გვ. 70-78; ო. ხუციშვილის თარგმანი — „დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი“ — „თბილისი“, 1969, 6 იანვ., № 4; იხ. აგრ.: ***Заря В.*** 1969, 4 ნოემბ., № 257; ***“Лит. Гр.”***, 1972, № 12, გვ. 86-89.

ავტორი გადმოსცემს მოგზაურობის შთაბეჭდილებებს და მოკლე შენიშვნებს რუსთაველზე, — რომ პოეტი, რომელმაც თავისი პოემით თავისუფლებას, მეგობრობასა და ჰუმანიზმს უგალობა, თითოეულმა ქართველმა იცის. რუსთაველი აქ უყვართ იმიტომაც, რომ ამ ქვეყანაში საერთოდ უყვართ პოეტები. გ. ა.

210. გურამ კარტოზია

ზოგიერთი ადგილის წაკითხვისათვის „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1968, 6 მაისი, № 16, გვ. 4.

გაზეთში დაბეჭდილია ინფორმაცია სათაურით „რუსთველის კაბინეტში“, იმის შესახებ, რომ რუსთველოლოგიურ სემინარზე გ. კარტოზიამ წაიკითხა მოხსენება და წარმოადგინა 1966 წ. საიუბილეო გამოცემის რამდენიმე ადგილის ახლებური წაკითხვის ცდა. ესენია:

1\. 416,4: „შენ მოგცეთ ციხე-ქალაქი, მოგყვნენ ცოტანი ყმანია“.
უნდა იკითხებოდეს: მოგყვენ.
2\. 1060,4: „ყმა მოვა მისი მჭვრეტელთა შუქნი მზედ გაიცადიან“.
უნდა იკითხებოდეს: შუქი.
3\. 523,2: „ავილე, ავდეგ მე ღმრთისა და მერმე მათი მქებარე“.
უნდა იყოს: „ავდეგ, ავილე, ღმრთისა და მერმე მე მათი მქებარე“.
4\. 534,2: „რა შემოვიდენ ინდოეთს, შევიგნა მათი გვარობა“.
უნდა იკითხებოდეს: მარობა.
5\. 544,4: „შენ აქა ნახე, კმარიან იქა ნახვისად ყმანია“.
უნდა იყოს: კმარიან აქა ნახვისა კმანია.
6\. 301,1: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს თუ დაცა იდოს“.
უნდა იყოს: იძმოს ანუ და-ცა-იდოს.
7\. 1557,1: „ნეტამც ყოლა არ შემოგმცნებოდი“.
უნდა იკითხებოდეს: შეგმეცნებოდი. გ. ა.

211. კორნელი კეკელიძე

დ. ბენაშვილი, სახისა და ხასიათის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის შუქზე

კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართ. ლიტ. ისტ-დან, X, თბ., 1968, გვ. 213-222 (რეცენზია დაწერილია 1951 წ.).

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ დ. ბენაშვილის ნაშრომი შედგება რვა თავისაგან, რომელნიც დასახელებულ თემის ყოველმხრივი გაშუქებისათვის აუცილებელნი არიან. რეცენზენტი სადავოდ მიიჩნევს დ. ბენაშვილის ერთ-ერთ დებულებას, რომ არაბული ტიპის სახელმწიფოში არ არის წინააღმდეგობანი, კონფლიქტები და კოლიზიები. კ. კეკელიძე შენიშნავს: რაკი „ვეფხისტყაოსნის“ არაბეთი კლასობრივი სახელმწიფოა, ამიტომ, მარქსიზმის თვალსაზრისით, შეუძლებელია მისი მცხოვრებნი ისეთ „ჰარმონიულ მყუდროებას“ განიცდიდნენ, რომ მათ შორის ადგილი არ ჰქონდეს წინააღმდეგობებს, კონფლიქტებსა და კოლიზიებს. ასეთი რამ „უკონფლიქტობის“ ყალბ თეორიამდე მიგვიყვანდა.

კ. კეკელიძის აზრით, დ. ბენაშვილის ნაშრომში არასწორად არის გაგებული „ქალთა უფლებებისა“ და საერთოდ „ქალის საკითხი“ „ვეფხისტყაოსანში“. დასახელებულია შეცდომების მთელი რიგი. ბოლოს რეცენზენტი დაასკვნის: „შრომა დაწერილია ლიტერატურულად, ენერგიული ტონით და, ძირითადად, ლოგიკური თანამიმდევრობით. მაგრამ გამოსავალი წერტილი ავტორის ლოღიკური მსჯელობისა, ვითომც „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი საკითხი არის „ქალის უფლების“ საკითხი, რომელმაც, არაბული და ინდური სახელმწიფოების ობიექტური წესრიგის პირობებში, მისცა ასეთი თუ ისეთი მიმართულება რუსთაველის სახეებისა და ხასიათების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს, — არაა სწორი და გამართლებული. შეიძლება ავტორი კარგად იცნობდეს მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას, მაგრამ კარგად ვერ იცნობს პოემაში ასახულ ობიექტურ სინამდვილეს. ის იძლევა ამ სინამდვილის არასწორ ინტერპრეტაციას. გ. ა.

212. კ. კეკელიძე

დავით ბრეგაძე, რუსთაველის გავლენა „აღორძინებისა და გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაზე

წიგნში: კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, X, 1968, გვ. 148-150.

რეცენზია დაწერილია 1947 წელს დ. ბრეგაძის ხელნაწერ ნაშრომზე. კ. კეკელიძე საჭირო და სასარგებლო გამოკვლევად მიიჩნევს სარეცენზიო ნაშრომს. იქვე აღნიშნავს, რომ სადავო და არაზუსტია ავტორის ზოგიერთი დებულება, აგრეთვე გამოთქვამს რამდენიმე შენიშვნას მასალის დალაგების თაობაზე. ც.ე.

213. კ. კეკელიძე

**Руставели и его поэма “Витязь в тигровой шкуре”**

ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, X, 1968, გვ. 223-224.

რეცენზია ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანის წინასიტყვაობისათვის გამიზნულ ნაშრომს, რომელიც კ. კეკელიძეს სარეცენზიოდ გამოუგზავნა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ 1952 წელს.

კ. კეკელიძე სტატიას საერთოდ დადებითად აფასებს. ამ სტატიის მიზანი ყოფილა გასაგები და ხელმისაწვდომი გაეხადა „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგი მკითხველისათვის. ამიტომ, აღნიშნავს კ. კეკელიძე, საჭირო იყო არა ცალკეული პერსონაჟის დახასიათება, არამედ პოემაში დასმული ძირითადი პრობლემის განხილვა მაშინდელი საქართველოს სინამდვილესთან კავშირში. სამწუხაროდ, ამას ყოველთვის ვერ ახერხებსო ავტორი.

სტატიის ავტორის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანში“ ასახულია XIII ს. საქართველოს სინამდვილე, პოეტს რეალური ცხოვრებიდან აქვს აღებული მასალა, ყურადღების ცენტრშია ცხოვრებაზე განაწყენებული ადამიანი, მაგრამ შოთა რუსთაველი იმდენად აიდეალებს თავის გმირებს, მათ რეალურობაში მკითხველს ეჭვი შეეპარება, თუმცა ჰიპერბოლიზაციისა და სხვა მხატვრული ხერხები სრულიად კანონზომიერია ისეთი ამაღლებული იდეალების პოეტისათვის, როგორიც შოთა რუსთაველიაო.

აქედან გამომდინარე, კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ თუ ეპითეტების სიჭარბე და აღმატებითი ხარისხის ხშირი გამოყენება შენარჩუნებული იქნება ფრანგულ თარგმანში, ამ სტატიის ზეგავლენა ავნებს „ვეფხისტყაოსნის“, როგორც რეალისტური ნაწარმოების აღქმას. ც.ე.

214. კ. კეკელიძე

**Руставели и его поэма “Витязь в тигровой шкуре”**

ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, X, 1968, გვ. 255-258 (დაწერილია 1954 წ.).

რეცენზენტი განიხილავს დ. ა. ჯგუშიას ნაშრომს, რომელიც მას ლექციის სახით უნდა წაეკითხა აუდიტორიისათვის. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ნაშრომი შეიძლება საერთოდ დადებითად შეფასდეს, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ლექციაში ჩატევა.

დ.ა. ჯგუშიას თავის ნაშრომში 11 საკითხი აქვს დასმული. ავტორი გადმოსცემს პოეტის ბიოგრაფიას ორ გვერდში, სადაც მრავალ უზუსტობასთან გვაქვს საქმე.

ავტორი სამართლიანად თვლის „ვეფხისტყაოსანს“ რეალისტურ ნაწარმოებად, მაგრამ წინააღმ-

დეგობაში ვარდება ქაჯებისა და დევების საკითხთან დაკავშირებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დ.ა. ჯგუშია რუსთაველის სასულიერო წოდებასთან და ღმერთთან ურთიერთობას. აქაც ფაქტის დამახინჯებასთან გვაქვს საქმე, თითქოსდა, ავტორის თქმით, პოემაში არაფერია ქრისტიანული; თუ მასში ქრისტიანული აზრები არის, ეს არის მხოლოდ „ლიტერატურული მისტიფიკაცია“ ანდა „შენიღბვა“.

კ. კეკელიძე ჩამოთვლის ნაშრომის მრავალ ნაკლს და ბოლოს დაასკვნის: ყველა წამოჭრილი საკითხის განხილვა შეუძლებელია, მაგრამ მე ვურჩევდი დ.ა. ჯგუშიას, ჯერჯერობით გადაედო პოემის ფილოსოფიურ-რელიგიური და მხატვრული ანალიზი და ყველა ისეთი საკითხი, რომლებსაც ჯერ არ გააჩნიათ მყარი ნიადაგი და ხელი მოჰკიდოს ისეთ კონკრეტულ საკითხებს, როგორიცაა მაგალითად: ხალხთა თანამშრომლობა, მეგობრობა, სიყვარული, პატრიოტიზმი, სიმამაცე და ვაჟკაცობა და სხვ. ც.ე.

215. კ. კეკელიძე

ჯ. ბაქრაძე, სამართალი ვეფხისტყაოსანში

წიგნში: „ეტიუდები...“, X, 1968, გვ. 259-162 (რეცენზია დაწერილია 1955 წ.).

კ. კეკელიძე განიხილავს ჯ. ბაქრაძის ნაშრომის შესავალსა და ხუთ თავს ცალ-ცალკე, აღნიშნავს მრავალ შეცდომასა და უზუსტობას, მიუთითებს, რომ ზედმეტი და უადგილოა მსჯელობა ისეთ საკითხებზე, რომელთაც ნაშრომის ძირითად პრობლემატიკასთან უშუალო კავშირი არა აქვთ.

რეცენზენტის დასკვნით, სასურველი და საჭიროა ამ ნაშრომის გადასინჯვა და გადამუშავება, რომ ის გახდეს სრულფასოვანი. ც.ე.

216. კ. კეკელიძე

სარგ. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია

წიგნში: „ეტიუდები...“, X, 1968, გვ. 270-274 (რეცენზია დაწერილია 1955 წ.).

რეცენზენტი აღნიშნავს: შრომა ამჟღავნებს, რომ ავტორს შეუძლია ხელნაწერებზე მუშაობა, ეს კი იმისი გარანტიაა, რომ ის შესძლებს წარმატებით იმუშაოს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რომელიც უმთავრესად ხელნაწერების შესწავლას უნდა ემყარებოდეს.

შემდეგ მოყვანილია რამდენიმე შენიშვნა სარგ. ცაიშვილის აღნიშნული ნაშრომის გარშემო. რეცენზიის დასასრულს კ. კეკელიძე წერს: „ახალგაზრდა, დამწყებ მეცნიერ მუშაკს შევნიშნავ, რომ საჭიროა ერთგვარი თავდაჭერილობა საკუთარი შეხედულების გამოთქმის დროს“. თუმცა, მისი დასკვნით, შრომა მაჩვენებელია იმისა, რომ მის ავტორს შესწევს უნარი კვლევა-ძიებითი მუშაობისა. ც.ე.

217. კ. კეკელიძე

**Отзыв о работе проф. А. Г. Барамидзе “Шота Руставели” (на грузинском яз.), 1958.**

წიგნში: : „ეტიუდები...“, X, 1968, გვ. 284-287.
(გამოხმაურება დაწერილია 1958 წ. გ. ნ. ლეონიძის თანაავტორობით).

რეცენზენტი წერს: ა. ბარამიძის ნაშრომი მონოგრაფიული ნარკვევია, 400 გვერდის მოცულობით და ეხება საკითხთა ფართო წრეს. ავტორი წარმატებით წყვეტს, როგორც საერთო ისტორიულ, ისე წმინდა ლიტერატურულ პრობლემებს. ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის საკითხთა შორის მონოგრაფიის ავტორი ეხება ბიოგრაფიულ ცნობებს რუსთაველის შესახებ. აქვე ა. ბარამიძე მრავალმხრივად მიმოიხილავს და მეცნიერულად აანალიზებს „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წყაროს საკითხს. შემდეგ მონოგრაფიის ავტორი ყურადღებას ამახვილებს პოემის ლიტერატურულ თავისებურებებზე.

ალ. ბარამიძე საგანგებოდ ჩერდება „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მხატვრულ ღირსებებზე, პოემის მსოფლმხედველობაზე. ავტორი ყურადღების გარეშე არ ტოვებს აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ენებზე თარგმნის საკითხებს.

რეცენზენტის ზოგადი დასკვნით, ალ. ბარამიძის შრომა უდაოდ შესანიშნავი ცდაა რუსთაველის შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლისა. ც.ე.

218. კ. კეკელიძე

## გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა

წიგნში: „ეტიუდები...“, X, 1968, გვ. 288-292 (რეცენზია დაწერილია 1959 წ.).

ავტორი აღნიშნავს, რომ გ. ნადირაძის ნაშრომი არ ისაზღვრება მარტო ესთეტიკით. ის გვაცნობს აგრეთვე პოეტის მსოფლმხედველობას და პოემის მხატვრულ მხარესაც. ასეთი გამოკვლევა რუსთველოლოგიის დარგშიკარგა ხანია არ დაწერილა. ესაა ფართედ მოფიქრებული, დინჯად და ობიექტურად დაწერილი, მეცნიერული მეთოდით შეიარაღებული და სერიოზულად დასაბუთებული წიგნი.

რეცენზენტი შენიშნავს, რომ სასურველი იყო განხილულ საკითხებს დამატებოდა კიდევ ერთი: „ფერი, როგორც ესთეტიკური ფენომენი“. მისივე თქმით, გ. ნადირაძე იდეალიზაციაში ვარდება პერსონაჟების დახასიათებისას და იძლევა გმირთა ერთფეროვან იდეალიზებულ სურათს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

ამ და სხვა შენიშვნების მიუხედავად კ. კეკელიძე სარეცენზიო წიგნს უაღრესად მნიშვნელოვან მეცნიერულ გამოკვლევად მიიჩნევს. ც.ე.

219. აბელ კიკვიძე

## „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული ქარგა

კრებ. „შოთა რუსთაველი“, თბ., 1968, გვ. 5-31.

ავტორი მიმოიხილავს საქართველოს მე-11-12 საუკუნეების ისტორიულ მოვლენებს და სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, ადარებს მას რუსთაველის პოემაში აღწერილ სახელმწიფო წყობილებასა და სოციალურ სტრუქტურას და იმ დასკვნას აკეთებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად ქართულ სინამდვილეს ემყარება.

მაგალითად, ინდოეთის შვიდი სამეფოს ანალოგიურია ყოფილი შვიდი სამეფოსგან შემდგარი ქართველ ბაგრატიონთა სახელმწიფო. შვიდ სამეფოს გიორგი მეორის (1072-1089) დროს შეადგენდნენ: აფხაზეთი (დასა. საქართველო), ქართლი მესხეთითურთ, კახეთი, რანი (განჯა), სომხითი, შარვანი და მაჰმადიან მფლობელთა საამიროები. ამას ადასტურებს „ქართლის ცხოვრება“, „ხელმწიფის კარის გარიგება“ და სხვ. ასევე ქართული სამეფო კარის სტრუქტურას შეესაბამება პოემაში აღწერილი „დარბაზი“, „დარბაზობა“, „დარბაზის ერი“, სავაზირო, ვაზირთა უფლება-მოვალეობანი და სხვ.

„ვეფხისტყაოსანში“ გატარებულია „ქართლის ცხოვრების“ ძირითადი იდეა, რომლის თანახმად ხალხის ძლიერება ემყარება სახელმწიფოსა და მისი ცენტრის ძლიერებას. ამ ცენტრს შეადგენენ მეფე და სახელმწიფო დარბაზში შემოკრებილი ვაზირები. მკვლევარი დაასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ განზოგადებულია XII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილება და პოემის ქარგად აღებულია ამ დროის ისტორიული მოვლენები. გ. ა.

220. ა. კიკვიძე

## „ქართული სახელწიფო დარბაზი და მისი ადგილი „ვეფხისტყაოსანში“

თსუ შრომები, ტ. 125, ისტ. მეცნ. სერია, VI, 1968, გვ. 211-236.

ავტორი განიხილავს „დარბაზსა“ და „დარბაზობას“, როგორც სახელმწიფოს მმართველობის მთავარ ორგანოსა და ფორმას. დარბაზი ერქვა სამეფო სახლის იმ შესაკრებელ ადგილს, სადაც მეფე დიდებულ-ერისთავებთან, კათალიკოსთან და ეპისკოპოსებთან თათბირობდა. „დარბაზის ერი“ (→დარბაისერი→დარბაისელი) ეწოდებოდა ამ შეკრების მონაწილეებს.

დარბაზობის საერთო წესები და სხვადასხვა ცერემონიალი აღწერილია „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს.).

„ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი დარბაზობის ეპიზოდები ასახავს საქართველოში მიღებულ და დამკვიდრებულ წესრიგს, იმას რაც ცნობილია თამარ მეფის ისტორიკოსების შრომებიდან და „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“. გ. ა.

221. დავით კობიძე

## „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიური ლექსიკონი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1968, 21 ივნისი, №24, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს შ. ღლონტის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიური ლექსიკონის დაბეჭდვის მნიშვნელობას, რამდენადაც ეს წიგნი პირველია რუსთაველის ფრაზეოლოგიის შესწავლის საქმეში. დ. კობიძე დადებითად აფასებს წიგნის წინასიტყვაობას, რაც რუსთაველის ფრაზეოლოგიის დახასიათებას წარმოადგენს, და ეთანხმება ავტორის დებულებას, რომ პოეტურ ფრაზებში აღმოსავლური პოეზიის სახეების ან სიმბოლოების გამოყენება არ ნიშნავს რუსთაველის მიერ მიბაძვას ირანელი პოეტებისადმი, რომ რუსთაველი სხვაგვარად მოაზროვნეა, ის არ ექვემდებარება ირანელ პოეტებს.

რეცენზიის ავტორი გამოთქვამს რამდენიმე კრიტიკულ შენიშვნასა და სურვილს, რომელთა გათვალისწინება ამ საჭირო წიგნის მეცნიერულ მნიშვნელობასა და წონას უფრო გაზრდიდა. გ. ა.

222. რეჰეი კომიიამა

[ჰუმანისტური იდეალების მშვენიერება]

გაზ. "*Заря Востока*", 1968, 23 ოქტ., 249, გვ.

იაპონელი მწერალი რ. კომიიამა 1966 წელს მონაწილეობდა რუსთაველის საიუბილეო ზეიმში. როგორც თვითონ ამბობს, მან მიზნად დაისახა რუსთაველის შემოქმედების უკეთ გაცნობა. იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა მხარეში „ვეფხისტყაოსნის“ იაპონურ ენაზე მთარგმნელ ი. ფუკუროსთან ერთად.

რაც უფრო საფუძვლიანად ვეცნობოდი რუსთაველის შემოქმედებას, ჩემთვის ნათელი ხდებოდა იაპონური თარგმანის ნაკლოვანება. მასში არ იგრძნობოდა რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის სიღრმე, მისი ლექსის სრულყოფილება. მე შევთავაზე ი. ფუკუროს ამ თხზულების ახალი თარგმანის შექმნა, რომელიც ორიგინალის შესაფერი იქნება. გ. ა.

223. ვაცლავ კუბაცკი

რუსთაველი ახალ ნაშრომთა შუქზე

„*Miesiêcznik Literacki*“, 1968, 9. თარგმანი (გ. ბუაჩიძის) იხ. კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 89-97.

ავტორი მიმოიხილავს ევროპულ ენებზე გამოქვეყნებულ ნაშრომებს. ივანიცკი-ინგილოს (რომი, 1941 წ.), ვ. გოლცევის (მოსკოვი, 1952). ნ. ნათაძისა და ს. ცაიშვილის (ფრანგულ ენაზე, თბ., 1966). ს. წულაძის შესავალი მისეული ფრანგული თარგმანისა (თბ., 1966 წ.).

ნარკვევი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ავტორი აკეთებს კრიტიკულ შენიშვნებს დასახელებულ ნაშრომებში დაყენებულ ზოგიერთ რუსთველოლოგიურ პრობლემაზე, როგორიც არის, მაგალითად, აღმოსავლური რენესანსის ცნება, რუსთველის რელიგიური რწმენისა და მსოფლმხედველობის საკითხი, რომანტიზმისა და რეალიზმის მეთოდების გამოყენება და სხვ. გ. ა.

224. ვ. კუბაცკი

რუსთაველის მივიწყებული პოლონელი მკვლევარნი

„*iesiêcznik Literacki*“, 1968, 9. თარგმანი (გ. ბუაჩიძის) — კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 97-100.

როგორც მკვლევარი წერს, პოლონურ ენაზე რუსთველის შესახებ პირველი ნარკვევის ავტორია კონსტ. რდულტოვსკი („ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი“, ვილნო, „1831 წლის ლიტვური საახალწლო გამოცემა“). ამ ნარკვევის რუსული თარგმანი 1833 წ. დაბეჭდა „მოსკოვსკი ტელესკოპმა“.

კ. რდულტოვსკი სწავლობდა პარიზსა და ლონდონში, 1825 წელს – პეტერბურგში. ინგლისურად თარგმნიდა ა. მიცკევიჩის „ყირიმულ სონეტებს“.

რუსთველის პოემის პირველი ორი თარგმანი ფრანგულია, მესამე – პოლონური (კ. ლაპჩინსკის, 1863 წ.), მეოთხე – გერმანული (ა. ლაისტის, 1889 წ.). არტურ ლაისტი, ეროვნებით პოლონელი, ორენოვანი მწერალი იყო; წერდა გერმანულად და პოლონურად. მისი წიგნი საქართველოზე დაიბეჭდა პოლონურად, ხოლო შემდეგ – განსხვავებული ვერსია – გერმანულად. მათში შეტანილია „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების თარგმანები. გ. ა.

225. დევიდ ლანგი

წინასიტყვაობა (**Introduction**)

წიგნში: ***Shota Rustaveli, The Knight in the Panther's Skin, Translated from the Georgian by V. Urushadze, Tbilisi***, 1968, გვ. 91-12. ქართული თარგმანი (ნ. საყვარელიძისა) იხ. კრებულში: „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში", I, თბ., 1976, გვ. 390-394.

ავტორის თქმით, ვ. ურუშაძე კარგა ხანია ცნობილია ინგლისელი მკითხველისათვის თავისი ქართული პოეზიის ანთოლოგიით, რომელიც ორჯერ დაიბეჭდა ინგლისურად. „ვეფხისტყაოსნის" თარგმანის მომზადებაში მას ეხმარებოდნენ პოეტი და მეცნიერი კევინ კროსლი-ჰოლანდი და შექსპიროლოგი ნ. ყიასაშვილი.

წინასიტყვაობის ავტორი გადმოსცემს მოკლე ცნობებს რუსთველის ვინაობის, მისი იდეოლოგიისა და რელიგიური რწმენის შესახებ და მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის" ღირსებასა და მნიშვნელობაზე ქართული და მსოფლიო კულტურისათვის; კერძოდ, აღნიშნავს, რომ „რუსთველი არის პირმშო XII-XIII საუკუნეების რენესანსისა, რომელიც იკვებებოდა იოანე პეტრიწისეული ნეოპლატონური ფილოსოფიითა და რომლისთვისაც უცხო არ იყო იმდროინდელი ირანის მდიდარი პოეზია". ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის" პოპულარობის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ მასში საოცარი ოსტატობითაა შეზავებული ბუნებრივი, ადამიანური სწრაფვანი და მოვლენათა ღრმა, ფილოსოფიური გააზრება. პოემაში მოცემულია ბედთან შეურიგებლობის, ბრძოლისა და გამარჯვების რომანტიკა. ვენერა ურუშაძის შრომას ინგლისელ მკითხველში ექნება დიდი წარმატება, რასაც იგი უდავოდ იმსახურებს. გ. ა.

226. ჯიბო ლომაშვილი

„ვეფხისტყაოსნის" მე-9 სტროფის წაკითხვისათვის

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1968, 26 ივლისი, № 29, გვ. 2-3.

ავტორი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს მეცხრე სტროფის სწორ ინტერპრეტაციას. იგი ეხება აკად. ა შანიძის მოსაზრებას მეოთხე ტაეპის წაკითხვის თაობაზე: ა. შანიძე შენიშნავს, რომ „ნების დამართვა" შეუძლებელი გამოთქმაა ქართულში და ტაეპს ასე ასწორებს. „ჩემმან ხელ-მქმნელმა დავე-მრთოს, ლაღმან და ლამაზმან ნები".

ჯ. ლომაშვილი წერს: ამგვარი წაკითხვით გამოდის, რომ პოემის ავტორი მიმართავს თავის ხელმქმნელს, რათა მან ნება დართოს ნაპოვნი სპარსული ამბის ლექსად გარდათქმისა.

ჯ. ლომაშვილის აზრით, ზემოთ მოყვანილი რუსთველური გამოთქმა („დამმართოს ნები") სრულიადაც არ მოითხოვს შესწორებას გრამატიკის მხრივ, ზოგადი თვალსაზრისით კი, უმართებულოა პოეტური მხატვრული ნაწარმოების გასწორება გრამატიკის მიხედვით.

ავტორის დასკვნით, „მთლიანად მე-9 სტროფის შინაარსი ასეთი იქნება: ეს ამბავი არ არის ქართული, იგი სპარსულია, უცხოა, რადგან შიგ მოცემულია მუსულმანური სახელმწიფოების და მათი მეფეების ამბავი, მაგრამ ქართულად «სათარგმანებია». ეს ამბავი უცხო კი არის ფორმალურად, რადგან «ნაყალბევია» (ე. ი. გადასხვაფერებულია), თუმცა გაგებული უნდა იქნას ქართულად; თქვენ, მკითხველებმა გაიგეთო ქართულ ამბავად. ეს ამბავი, «ობოლი მარგალიტივით», არსად არ იპოვება და ამიტომ ხელი-ხელ საგოგმანებია, რადგან მსგავსი ამბავი არ შეიძლება კიდევ სხვაგან სადმე იყოს. ეს ამბავი მე თვითონ მოვიგონე, შევთხზე («ვპოვე») და ლექსად გამოვთქვი. რადგან ეს ამბავი უცნაურია და თანაც ძალზე მიმსგავსებულია საქართველოს ამბებს, ამით მე საჭოჭმანო საქმე ჩავიდინე, რადგან ჩემი პოემის გმირები კიდეც ჰგვანან ქართველ გმირებს და არც არიან ქართველები, არამედ ისინი წარმოადგენენ მაჰმადიანებს, ე. ი. ეს ამბავი «უცხოთა ხელმწიფეთანია». და რადგან მე ასეთი საჭოჭმანო საქმე ჩავიდინე, ეს ჩემი «ხელით-ქმნული», ე. ი. ჩემი პოემა, «ნაჭირვები», რომელიც ლაღია და თანაც ლამაზი – რასაც დამმართებს, დამმართოს, რაც გინდა ის მომივიდეს, რაღა ვქნაო". ბ. დ.

227. ილია მაისურაძე

მესხური ტოპონიმიკური რეალიები „ვეფხისტყაოსანში"

ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1968, № 1, გვ. 70-71.

ავტორი წერს, რომ ახალქალაქის რაიონში, ბარალეთის მახლობლად, არის სოფელი „აზავრეთი", ვახ. ბაგრატიონი ამ სახელით ხევსაც ახსენებს. აშკარაა, რომ ეს სახელი წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვისაგან „აზავერი", რაც, საბას განმარტებით, არის „ხარი საკიდარი". როგორც ირკვევა ბარგის

ასაკიდებლად ხარების გამოყენება საქართველოშიც სცოდნიათ. ეს ჩვეულება გვიანობამდე შემორჩა სამხ. საქართველოში (კოლა-არტაანი, ჭანეთი, ჯავახეთი). თანამედროვე ქართულში სიტყვა აზავერი თითქმის დაკარგულია. ის მხოლოდ გეოგრაფიულ სახელში დარჩა.

„ვეფხისტყაოსანში" ერთხელ გვხვდება სიტყვა „ტალა" („მოდრიკა თავი გიშრისა ტალამან"). ტალას საბასეული განმარტებაა დარაჯი. „ტალა" არაბული წარმოშობის სიტყვაა და მისი პირვანდელი მნიშვნელობა „მზვერავი" უნდა ყოფილიყო. ტალა ნახსენებია „შაჰ-ნამეში", „ამირანდარეჯანიანში". მტკვრის მარცხენა შენაკადის — ურაველის წყლისა და მისი ხეობის ქვემო წელი ნასოფლარ ახდილადან „სატალაოს" სახელს ატარებს. ეს ადგილი ვიწრო და კლდოვან-ტყიანია. ბუნებრივია, რომ ძველად აქ სადარაჯოები იქნებოდა მოწყობილი და ეს სახელიც ამიტომ შეერქვა. გ. ა.

228. მ. მამულაშვილი

დიდი მნიშვნელობის საქმე დაგვირგვინდა
„ვეფხისტყაოსნის" ახალი ინგლისური თარგმანის გამო

გაზ. „თბილისი", 1968, 9 დეკ., № 285, გვ. 3.

რეცენზია ეხება ვენერა ურუშაძის მიერ ინგლისურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის" გამოცემას (თბილისი, „საბჭოთა საქართველო", 1968).

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ პოემა თარგმნილია ინგლისური ურითმო ჰეგზამეტრით, რაც საუკეთესო გადაწყვეტილებაა რუსთაველის თხზულების ინგლისურ ენაზე ამეტყველებისათვის. თარგმანი ლაღად, ბუნებრივი მდინარებით იკითხება, იგრძნობა დედნის სიღრმე, მისი მხატვრული ენის მრავალფეროვნება.

პოემის შესავალი („დასაწყისი") ვ. ურუშაძეს პროზად უთარგმნია, რაც ასევე მართებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

წიგნს დართული აქვს პროფ. დავით ლანგის მოკლე შესავალი წერილი, რომელშიც თარგმანს მაღალ შეფასებას აძლევს. გამოცემის რედაქტორები არიან ინგლისელი პოეტი და მკვლევარი კევინ კროსლი-ჰოლანდი და ნიკო ყიასაშვილი.

რეცენზენტი მიუთითებს თარგმანში არსებულ ზოგირთ უზუსტობაზე, რომელთა გასწორება შემდგომ გამოცემაში სასურველად მიაჩნია. გ. ა.

229. გ. მანია, რ. ბაბუნაშვილი

დილარა თბილისში სწავლობდა

გაზ. „კომუნისტი", 1968, 19 ოქტ., №246, გვ. 3.

ავტორები წერენ, რომ აზერბაიჯანელმა მკვლევარმა დილარა ალიევამ აღმოაჩინა ახმედ ჯავადის მიერ შესრულებული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა", რომლის გამოცემაც მთარგმნელს 1937 წელს უნდოდა, მაგრამ თვითონ მოულოდნელად დაიღუპა და მისი თარგმანიც დაიკარგა. ახლა დ. ალიევა ამ თარგმანს გამოსაცემად ამზადებს. გ. ა.

230. იოსებ მეგრელიძე

ალ. დუდუჩავას რჩეული წერილები

ჟურ. „მნათობი", 1968, № 3, გვ. 191-192.

რეცენზია ეხება ამავე დასათაურების წიგნს (თბ., 1967). ი. მეგრელიძე აღნიშნავს, რომ კრებულში დაბეჭდილ ერთ-ერთ წერილში საუბარია ლენინგრადში აღმოჩენილი „ვეფხისტყაოსნის" ე.წ. ზაზასეული ხელნაწერის თბილისში ჩამოტანაზე. მისი თქმით, ამ ნუსხის კვალს გ. ლეონიძემ მიაგნო და შემდეგ ვრცელი გამოკვლევაც გამოაქვეყნა. ალ. დუდუჩავა (მაშინ – თბილისის უნივერსიტეტთან არსებული რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი) მივლინებულ იქნა მოსკოვსა და ლენინგრადში, რათა მოეძებნა და ჩამოეტანა ეს ხელნაწერი. მაშინ ლენინგრადში ვიმყოფებოდით მე და მ. ჩიქოვანი. ჩვენ სამივე წავედით სსრკ სამეცნიერო აკადემიის ისტორიულ-არქეოგრაფიული ინსტიტუტის არქივში, ვნახეთ ხელაწერი, რომელიც საგანგებო აქტით გადაეცა ალ. დუდუჩავას 1935 წ. 1 იანვარს.

საერთოდ ალ. დუდუჩავამ ბევრი რამ გააკეთა რუსთაველის 1937 წლის იუბილეს მომზადებისა

და სათანადო დონეზე ჩატარებისათვის. გ. ა.

231. შოთა მესხია

XI-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის ისტორიიდან („საკარგავის“ მნიშვნელობისათვის)

თსუ შრომები, ტ. 125, ისტ. მეცნ. სერია, VI, თბ., 1968, გვ. 171-210.

ავტორი ვრცლად განიხილავს „საკარგავს“, როგორც XI-XIII სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობისათვის დამახასიათებელ ინსტიტუტს. განხილულია ი. ჯავახიშვილის, ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის, ი. დოლიძის და სხვათა ნარკვევები და მოსაზრებანი; მიღებულია შემდეგი დასკვნა: „საკარგავი“ XI-XIII სს. ქართულში ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა – ის ნიშნავდა როგორც სამოხელეოდ, სამართავად გაცემულ გარკვეულ ტერიტორიას, ქალაქს, ასევე – სარგოს, ფულად გასამრჯელოს; „საკარგავის“ ასეთი ორგვარი მნიშვნელობა იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ საკარგავად მიღებული ტერიტორიის, ქალაქის თუ სახელოს გამგებლობა, ე. ი. მოხელეობის ეს სახე სარგოთი, რენტით, ძირითადად ფულადი სარგოთი ნაზღაურდებოდა (გვ. 203-204).

„საკარგავი“, როგორც სამოხელეო განსაგებელი, არსებითად განსხვავდებოდა მოხელეობისა და მფლობელობის ისეთი ფორმებისაგან, როგორიც იყო „სამთავრო-საერისთავო“, „საპატიო სამფლობელო“, „სახარაჯო“ და სხვ. მოსაკარგავეობის გაძლიერება-გაფართოება, ცხადია, სამეფო ხელისუფლების ეკონომიურ-პოლიტიკური ძლიერების ერთ-ერთი წყარო იყო. ამიტომ სამეფო ხელისუფლება ცდილობდა, მოსაკრგავეებად ჰყოლოდა არა მარტო წვრილი აზნაურები, არამედ ერისთავებიც, „მემამულე აზნაურებიც“. შეიძლება ამის ანარეკლი იყოს ჯერ სარიდანის, ხოლო შემდეგ ტარიელის მოსაკარგავეობა ფარსადან მეფის წინაშე (გვ. 209).

სამეფო ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად „საკარგავის“ ინსტიტუტმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა და XIV ს. დამდეგიდან საერთოდ გაუქმდა.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონებში „საკარგავი“ სწორად არის განმარტებული, როგორც: გასარიგებელი, სამართავი, საგამგებლო. გ. ა.

232. გივი მიქაძე

ძველი ქართული მწერლობის ბიბლიოგრაფია, II, (1921-1965 წწ.),

თბ., „მეცნიერება“, 1968.

წიგნში შესულია ბიბლიოგრაფია მეცნიერული მასალისა რუსთაველისა და მისი თხზულების შესახებ, რომელიც საქართველოს რესპუბლიკაში გამოქვეყნდა 1921 წლიდან 1965 წლამდე. მასალა შეეხება როგორც რუსთაველის ბიოგრაფიასა და მსოფლმხედველობას, ისე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხებს, პოემის ენას, მხატვრულ მეტყველებას, სიუჟეტის წარმომავლობას, ხელნაწერ ნუსხებსა და ბეჭდურ გამოცემებს. იხ. სახელთა საძიებელში „შოთა რუსთაველი“ (გვ. 408-409) და თხზულებათა საძიებელში — „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 417-418). გ. ა.

233. შალვა ნუცუბიძე

ვეფხისტყაოსნის ერთი გამოცემის გამო

ჟურ. „მნათობი“, 1968, № 11, გვ. 133-140.

წერილის სათაურში იგულისხმება რუსთველის თხზულების 1966 წლის გამოცემა აკ. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ავტორი მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს ასეთი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის დაბეჭდვას, მაგრამ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მასში პოემის ბოლო თავები – ე. წ. ინდო-ხატაელთა და ინდო-ხვარაზმელთა ამბები გვიანდელ დამატებებად არის მიჩნეული რედაქტორების მიერ.

ავტორის თქმით, ვეფხისტყაოსნის გამგრძელებლებზე ლაპარაკი დიდ სიფრთხილეს საჭიროებს,

ვიდრე პოემის მეორე სტროფის საკითხი არაა უდავოდ გამორკვეული. ნათქვამი ეხება „დასაწყისის" მეორე სტროფის მესამე ტაეპს (შ. ნუცუბიძის წაკითხვით): „მომეც სურვილი (ძალა) მიჯნურთა სიკვდიმდე გასატანისა"... „რუსთველი ყოველი ორაზროვნების გარეშე გვეუბნება, რომ მისი მიზანია გაყვეს ვეფხისტყაოსნის გმირებს („მიჯნურთა") ცხოვრების დასასრულამდე. მაშასადამე, აქ არავითარ გაგრძელებაზე ან გამგრძელებლებზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი" (გვ. 134).

ავტორის აზრით, არავითარი „ვინმე მესხი" არ არსებობდა, დასასრულის ეს სტროფიც რუსთველისაა, ოღონდ „ეპილოგის პირველ სტროფს უჭირავს ის ადგილი, რომელიც ვეფხისტყაოსნის მეორე სტროფს უნდა ეჭიროს, რადგან პოემის შესავლის მეორე სტროფში გმირების („მიჯნურთა") სიკვდილზე ლაპარაკი ზედმეტია" (გვ. 136). გ. ა.

234. ქ. ოლგუნი (თავაძე)

შოთა რუსთაველის შესახებ

წიგნში: ***A. Uzkan (Melaevili), Gurcustan, stambuli,*** 1968 გვ. 141-143. თარგმანი (ე. ჯაველიძისა) – კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში", II, თბ., 1978, გვ. 379-381.

ავტორი წერს, რომ რუსთველის შემოქმედების ქვაკუთხედი ადამიანობის თემაა. შოთა რუსთველის ადამიანი სავსებით უნაკლო არ არის. ეს არის დღევანდელი ადამიანი, რომელიც თავის სისუსტეთა გამო იტანჯება. „XII საუკუნეში, ხალხის შეუგნებლობის ხანაში, იმის თქმა, რომ ადამიანის ტრაგედია არაა მისტიკურ ძალებზე დამოკიდებული (...), არამედ სოციალურ ურთიერთობაშია განივთებული, თავის დროისათვის ახალი აღმოჩენაა".

„ქართველ ხალხს რომ ახასიათებს სიამაყე და სიყვარული ადამიანის ნამოქმედარისადმი, მეგობრისა და ამხანაგობისადმი, სწორედ ეს აისახა რუსთველის პოემაში (...) „ვეფხისტყაოსანი" სხვა არაფერია, თუ არა ქართველი ხალხის ღირსეული ძლიერების რუსთველის პოეტური ენით აღწერა". გ. ა.

235. მიკოლა პავლიუკი

ალექსადრე ნავროცკი – რუსთველის მთარგმნელი

კრებ. „მეგობრობის ხიდი" (უკრაინულ-ქართული ლიტერატურული კავშირები), უკრაინულ ენაზე, კიევი, 1968, გვ. 82-84; რ. ხვედელიძის თარგმანი – კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში", IV, თბ., 1985, გვ. 227-230.

როგორც ავტორი წერს, ალ. ნავროცკი სამ ათეულ წელს ცხოვრობდა კავკასიაში და ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. მას თარგმნილი აქვს „ილიადა", „ოდისეა", გოეთეს, ბაირონის, ჰიუგოს, მიცკევიჩის, პუშკინის და სხვების თხზულებები. ნავროცკი დაინტერესებულა კავკასიის ხალხთა ლიტერატურითა და ფოლკლორით, მას რუსულ ენაზე უთარგმნია ასამდე დაღესტნური ხალხური სიმღერა.

„ვეფხისტყაოსნის" თარგმნა მას დაუწყია თემირ-ხან-შურაში ა. სარაჯიშვილის მიერ გაკეთებული რუსული პწკარედის მიხედვით. უთარგმნია ლექსად ჯერ რუსულ ენაზე (400 სტროფი), შემდეგ უკრაინულ ენაზე. უკრაინული თარგმანი უფრო სრულყოფილია, მაგრამ დაუმთავრებელი დარჩა ა. ნავროცკის გარდაცვალების გამო (1892 წ.).

ა. ნავროცკისეული თარგმანის ნაწილი გამოაქვეყნა პ. ტიხოვსკიმ 1937 წელს, ხოლო პროლოგის თარგმანი დაბეჭდა მ. პავლიუკმა 1966 წელს. გ. ა.

236. გერტრუდ პეჩი

ღვთის ხატი და ადამიანის სახე რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში"

კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში", I, თბ., 1976, გვ. 264-279 (თარგმანი ნ. ამაშუკელისა), ნარკვევი გერმანულად დაიბეჭდა 1968 წ.

ავტორი წერს: „საქართველოში შუა საუკუნეების ყველაზე სრულყოფილ ლიტერატურულ ნაწარმოებს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი". იგი იმ კულტურის ნაყოფია, რომელიც თავის თავს მთელი სერიოზულობით ქრისტიანულად თვლის და რომლის საგანმანათლებლო დოვლათი მონასტრებსა და სასულიერო აკადემიებში იქმნებოდა და ინახებოდა. რუსთველის ეპოსი ღრმადაა ფესვგადგმული იმდროინდელ სულიერ გარემოში. პოეტი გვევლინება არა მარტო ჩინებული აღწერისა და წარმტაცი სიუჟეტის ოსტატად, არამედ იგი ამავე დროს მოაზროვნეცაა, რომელიც პოეტურ ფორმას გარკვეუ-

ლი, სისტემის სახით ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის გადმოცემასთან აკავშირებს“.

მკვლევარს მიაჩნია, რომ რუსთველის ნაწარმოების რელიგიური მრწამსი შეესაბამება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თეოლოგიას. პოეტის რწმენით, ღმერთი უპირველეს ყოვლისა იერარქიული წესრიგის დამცველია და თვითონ ამ იერარქიის სათავეში დგას. საზოგადოებრივი ყოფიერების ეთიკური პრინციპებიც წოდებრივი კატეგორიების სახითაა გააზრებული.

როგორც მკვლევარი წერს, „ვეფხისტყაოსანი“ აშკარად არ იზიარებს ცოდვის ქრისტიანულ გაგებას. ცოდვისა და ბოროტების სათავედ თუმცა სატანა სახელდება, აქ არ იგულისხმება ღვთის კონტრაგენტი დუალისტური გაგებით. პოემის გმირები ხშირად იყენებენ ასტრალურ სიმბოლიკას, რაც ნაწილობრივ ნეოპლატონური სპეკულაციაა, ნაწილობრივ კი პოეტის ბუნებრივი მიდრეკილება ხატოვანი ენისადმი. გ. ა.

237. მარიო პიკი

[ვთარგმნი „ვეფხისტყაოსანს“]

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1968, 28 ივნისი, № 25, გვ. 1.

იტალიელი მწერალი აღნიშნავს, რომ განზრახული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა; საქართველოში ჩამოვიდა, რათა გაეცნოს ქართულ მწერლობასა და კულტურას. როგორც თვითონ ამბობს, პოემას ძირითადად პროზად თარგმნის, ზოგიერთ ეპიზოდს კი ურითმო ლექსით გადაიღებს. გ. ა.

238. სტანისლავ რავიჩი

რუსთაველის ქვეყანაში

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1968, 22 ნოემბერი, № 47, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ პოლონელი მწერალი და ჟურნალისტი ვაცლავ კუბაცკი მონაწილეობდა შოთა რუსთაველის საიუბილეო ზეიმში საქართველოში 1966 წელს. ამ ზეიმის მიმდინარეობის შესახებ მან ვრცელი რეპორტაჟი გამოაქვეყნა გაზეთში „კულტურა“, 1968 წლის აგვისტოში. რეპონტაჟში გადმოცემულია შთაბეჭდილებები, რომლებიც მწერალმა მიიღო საზეიმო შეხვედრების დროს: ბორჯომში (27 სექტემბერს), თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში სპექტაკლზე „ვეფხისტყაოსანი“ (1 ოქტომბერს) და სხვ. მწერალი აღტაცებას გამოთქვამს საქართველოში ჩატარებული იუბილეს გარნდიოზულობის გამო: „ბოლო ათეული წლის მანძილზე მრავალი ლიტერატურული იუბილე გვიზეიმია, მაგრამ არც დანტეს, არც არიოსტოს, არც შექსპირს და არც გოეთეს არ ღირსებია თავის თანამემამულეთაგან ესოდენი თაყვანება“. გ. ა.

239. პროკოფი რატიანი

ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის

ჟურ. „მნათობი“, 1968, № 2, გვ. 150-178; № 3, 177-186; № 4, 151-165; № 5, 112-134.

ავტორი გვთავაზობს ახალ თვალსაზრისს ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე და ყალბად მიიჩნევს შეხედულებას რუსთაველის ერისკაცობაზე. ავტორის ამოსავალი დებულების მიხედვით, „ვეფხისტყაოსნის ავტორი იყო დიდად განათლებული სასულიერო პირი – ეპისკოპოსის ან მთავარეპისკოპოსის ხარისხით, რომელსაც გარკვეულ დროს ეჭირა რუსთავის (ბოსტან ქალაქის) ეპარქიის მღვდელმთავრის თანამდებობა (კათედრა) და სწორედ ამიტომ იწოდებოდა რუსთველად“.

ავტორი თავისი ახალი დებულების მეცნიერულად დასაბუთებას ცდილობს როგორც ლოგიკურ-თეორიული მსჯელობის გზით, ასევე კონკრეტულ ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის გზითაც. აგრეთვე მოკლედ მიმოიხილავს ვტ-ის ავტორის ვინაობაზე ამჟამად არსებულ შეხედულებებს და იმ მეთოდოლოგიურ-თეორიულ პრინციპებს, რომლებზედაც ეს შეხედულებებია დაფუძნებული.

ავტორი იკვლევს ფეოდალურ საქართველოში საერო დიდებულთა გვარ-წოდებისა და სასულიერო პირთა ზედწოდების წარმოქმნის ტრადიციას გეოგრაფიული ადგილებიდან; ვტ-ის ტექსტის მონაცემებს მისი ავტორის ვინაობაზე. კრიტიკულად განიხილავს თეიმურაზ ბაგრატიონის „პატრიოტულ“ ნაბიჯს, რაც ავტორის რწმენით, მდგომარეობს იმაში, რომ ბაგრატიონთა ოჯახის განდიდების

სურვილმა უკარნახა თეიმურაზს რუსთველის ბიოგრაფია თავისი საკუთარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნების შესაბამისად გადაეკეთებინა და რუსთველი ბაგრატიონად გამოეყვანა.

ავტორი თავისი ზემოხსენებული დებულების გასამტკიცებლად გვაცნობს აგრეთვე ისტორიული წყაროების მონაცემებს ქ. რუსთავსა და რუსთაველ მღვდელმთავრებზე „ღმრთაების გუჯარის" განხილვით; აგრეთვე რუსთაველ მღვდელმთავართა მოღვაწეობას სამხედრო დარგში, რაც ავტორის აზრით, დაკავშირებული იყო იმ დიდ მოვალეობასთან, რომელიც მათ, როგორც მთელი სადროშოს სარდლებს, ეკისრებოდათ.

ბოლოს ავტორი ეხება იერუსალიმის ჯვარის მონასტერში წარმოდგენილ რუსთველის პორტრეტს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ნ.მ.

240. შოთა რევიშვილი

ისევ ლიტერატურული ლექსიკონების შესახებ

ჟურ. „მნათობი", 1968, №12, გვ. 144-150.

ავტორი განიხილავს გერმანულენოვან ლექსიკონებს:

I. 1963 წ. გამოშვებული „მსოფლიო ლიტერატურის ლექსიკონი". ინფორმაციები ქართულ ლიტერატურაზე ეკუთვნის დოქტორ ებერჰარდ თილს. რუსთაველის შესახებ აღნიშნულია, რომ მან შექმნა ეროვნული ეპოსი რაინდულ სიყვარულზე, ვასალურ ერთგულებასა და მამაცობაზე. მის სტილს ეტყობა თანამედროვე სპარსული სარაინდო ეპოსის გავლენა.

II. 1963 წელს ბერნსა და მიუნხენში გამოვიდა „მცირე ლიტერატურული ლექსიკონი" (ორტომეული). ქართული მწერლობის შესახებ ცნობები დაუმუშავებია დოქტორ რ. კარმანს, რომლის ყურადღებას ძველი მწერლობიდან რუსთაველი იპყრობს. პოეტის პიროვნება და მისი პოემაც ძირითადად მართებულადაა გაშუქებული და შეფასებული. აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანში" შექებულია რაინდული სიყვარული და მეგობრობა. პოემის ლექსი პლასტიკურია და მონუმენტური. მოქმედებას ატყვია დუალისტურ-ირანული მსოფლშეგნძნების გავლენა.

III. „კინდლერის ლიტერატურული ლექსიკონი", რომლის პირველი და მეორე ტომი გამოვიდა ქ. ციურიხში 1964 წელს. ქართულ ლიტერატურაზე ცნობები შეუდგენია პრაღელ პროფესორ იარომირ იედლიჩკას. ლექსიკონში მასალა დალაგებულია ნაწარმოებთა დასათაურების (და არა ავტორების) მიხედვით. მიმოხილვა მოცემულია უფრო ვრცლად და კვალიფიციურად. „ვეფხისტყაოსანზე" ამ ტომებში არაფერია (იგულისხმება, რომ მომდევნო ტომებში იქნება). გ. ა.

241. შ. რევიშვილი

გერტრუდ პეჩი

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1968, 16 ნოემბ., № 136, გვ. 3.

ავტორი წარმოგვიდგენს გერმანელ მეცნიერს, რომელიც დაინტერესებულია ქართული ენით, ისტორიითა და კულტურით. მას გამოქვეყნებული აქვს სამი წიგნი ქართული ენის პრობლემებზე. რუსთველოლოგიურ თემატიკას ეძღვნება მისი შრომები: „ჰუმანიზმის გმირული სიმღერა", „ვეფხისტყაოსნის შემქმნელი", „ძველი სიმღერა — ახალი ცხოვრება", „შოთა რუსთაველი — ქართველი ერის პოეტი", „შოთა რუსთაველი და მისი დრო", „ღმერთის ხატი და ადამიანის სახე რუსთაველთან". ამ შრომებში მკვლევარი ცდილობს სხვადასხვა მხრივ გააშუქოს „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებული რთული სამეცნიერო პრობლემატიკა. გ. ა.

242. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(The knicht in the Panther's Skin)**

ინგლისურად თარგმნა ვენერა ურუშაძემ, გამ. „საბჭოთა საქართველო", თბ., 1968, 224 გვ.

გამოცემა ეძღვნება მ. უორდროპის ხსოვნას. რედაქტორები: კევინ კროსლი-ჰოლანდი და ნიკო ყიასაშვილი, ილუსტრაციები ზურაბ კაპანაძისა. 7-8 გვერდები უჭირავს ვ. ურუშაძის წინასიტყვაობას, 9-12 გვ. — დ. ლანგის „შესავალს". „დასაწყისის" სტროფები თარგმნილია პროზით (გვ. 15-17), შემდეგ მოდის სრული ტექსტის პოეტური თარგმანი. სტროფები დაუნომრავია. ბოლოს (გვ. 223) ერთვის

ტერმინებისა და საკუთარი სახელების განმარტებები.

ეს თარგმანი დაიბეჭდა აგრეთვე 1971 და 1979 წელს, იმავე გამომცემლობაში. გ. ა.

243. ვასილ რცხილაძე

დიდი შოთას მთარგმნელის საფლავთან

ჟურ. „ცისკარი“, 1968, № 12, გვ. 117-118.

ავტორი წერს, რომ პაპამისს, ვასილ რცხილაძეს, რომელიც XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, მიმოწერა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელთან – მარჯორი უორდროპთან, უგზავნიდა მას საჭირო მასალებს და ხელს უწყობდა საქართველოს მაშინდელი და ძველი ცხოვრების შესწავლაში.

წერილის ავტორი, როგორც ფერადი მეტალურგიის სპეციალისტი, მივლინებით იმყოფებოდა ინგლისში. ქ. სევენოუკსის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლის ლოურენსისა და წმ. ნიკოლას ეკლესიის მღვდლის დახმარებით მან დაადგინა უორდროპების საგვარეულო სასაფლაოს ადგილმდებარეობა და მოძებნა მარჯორისა და მისი ძმის, ოლივერის, საფლავები. 30 ივნისს დასახელებულ პირებთან ერთად მოინახულა უორდროპების საფლავები, სადაც გაიცნო ოლივერის შვილი ანდრე. მას ქართველი სტუმარი სახლში მიუწვევია და უჩვენებია ქართული რელიქვიები და მარჯორის თარგმანების ინგლისური გამოცემები. გ. ა.

244. სერგეი სერებრიაკოვი

სიყმე – **Jovens**: რუსთაველიდან პროვანსელ ტრუბადურებამდე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოსა და შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია, ეძღვნება ნ. ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავს, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1968, გვ. 17-18.

პირველ თეზისში აღნიშნულია: ვინაიდან „ყმა“ რუსთველთან არა მარტო «ახალგაზრდას» ნიშნავს, არამედ მოყმის, რაინდის მნიშვნელობითაც ხშირად იხმარება, ამიტომ შესაძლებელია, პოემის პროლოგში ნახმარი „სიყმეც“ „ერთსა და იმავე დროს ნიშნავდეს «ახალგარდობასა» და «რაინდულ თვისებასაც»“.

შემდეგი თეზისებია:

„2. საინტერესოა, რომ ადრეული პროვანსელი ტრუბადურების (მარკა ბრიუნისა და სხვ.) პოეზიაში ხშირად იხმარება სიტყვა Jovens (ახალგაზრდობა), რომელიც გადატანითი მნიშვნელობითაწ ხშირადაა ნახმარი, როგორც სიუხვისა და სიმამაცის აღმნიშვნელი ცნება.

3. პროვანსული პოეზიის მკვლევართა აზრით, სიტყვა Jovens-ის ასეთი გაგება პროვანსის ლირიკოსებს მიუღიათ არაბული პოეზიიდან (ესპანეთის გზით), სადაც ანალოგიური ცნება (...) საკმაოდ გავრცელებული ყოფილა.

4. რა თქმა უნდა, აღმოსავლური, კერძოდ არაბული, პოეზიის გავლენა რუსთაველზე არაა გამორიცხული, მაგრამ, შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ზოგადსაკაცობრიო აზროვნების გარკვეულ კანონზომიერებასთან გვქონდეს საქმე, მით უფრო, რომ მსგავსი მოვლენა სხვა ხალხთა ენებშიც აღინიშნება (რუსული добрый молодец – კაი ყმა, და მრავალი სხვა)“. ბ.დ.

245. ვ. სიდამონიძე

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი სიმფონია

გაზ. „სახალხო განათლება“, 1968, 24 ნოემბ., №64, გვ. 4.

როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სიმფონია XX ს-ის 20-იან წლებში შეუდგენია გრიგოლ სოლორაშვილს. ეს ნაშრომი ამჟამად დაკარგულად ითვლება და ავტორის შესახებაც არაფერია ცნობილი. ერთ-ერთი სხვა ავტორის წერილში გადმოცემულია ამ სიმფონიის შინაარსი და შედგენილობა. როგორც ჩანს, მის საფუძვლად გამოყენებული ყოფილა პოემის 1888 წლის გამოცემა. აღნიშნულია, რომ პოემა 40.080 სიტყვისაგან შედგება, რომელთაც აქვს 13.885 ფორმა. ძირითადი სიტყვა არის 2.377 (გაზ. „ტრიბუნა“, 1922, № 328). მცირე ცნობა ყოფილა აგრეთვე გაზეთ „ბახტრიონში“,

1922, № 19 (იხ. გ. იმედაშვილი, რუსთვ. ლიტ., 1957, ანოტ. № 1012). გ. ა.

245a. ქ. სიხარულიძე

მცენარეთა სიმბოლიკა ქართულ ხალხურ პოეზიასა და ვეფხისტყაოსანში

თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის XII სამეც. სესია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1968, გვ. 23-24 (მოგვყავს შემოკლებით).

1. სიმბოლიკა ვეფხისტყაოსანში განსაკუთრებულ სინათლეს აძლევს პოეტურ ხედვას. იგი ერთგვარი გზისმკვლევია დიდებულ აზრთა სამყაროში.

2. მცენარეთა სიმბოლიკის გამოყენებით ხალხურ პოეზიასა და რუსთველის ქმნილებას შორის არის მსგავსება-განსხვავებანი. ამ მსგავსება განსხვავებათა კვლევას მნიშვნელობა აქვს პოეტური სახის ევოლუციის თვალსაზრისით.

3. ვეფხისტყაოსანსა და ხალხურ სიტყვივრებაში ალვის ხის სიმბოლოს გამოყენების ხშირი შემთხვევაა. მაგალითები ადასტურებს ალვის ხის სიმბოლოს ერთგვარ ფუნქციას ვეფხისტყაოსანსა და ხალხურ პოეზიაში. ორივე შემთხვევაში ალვის ხე პოეტური სახეა ადამიანისა - ქალისაც და ვაჟისაც. ამავე დროს პოეტური სახის ევოლუციის მიხედვით განსხვავებაც იგრძნობა ვეფხისტყაოსანსა და ხალხურ შემოქმედებას შორის. ალვის ხის სიმბოლო ვეფხისტყაოსანში მეტწილად უფრო არქაული მნიშვნელობით არის მოცემული.

4. ერთგვარი ფუნქციით არის ვეფხისტყაოსანსა და ხალხურ სიტყვიერებაში ყვავილთა სიმბოლიკაც. იგი უშუალო კავშირშია ფერების სიმბოლიკასთან. ყვავილების სიმბოლიკა გამოყენებულია ნათელი წარმოდგენების, სასიამოვნო განწყობის, ახალგაზრდობის, სიხარულის, სილამაზისა და სიყვარულის წარმოსახვის მიზნით.

5. ყვავილის საწინააღმდეგო ასოციაციას იწვევს ნარ-ეკალი. იგი ჩრდილავს ნათელ წარმოდგენას.

6. მცენარეთა სიმბოლიკის შედარება ხალხურ სიტყვიერებასა და ვეფხისტყაოსანში უშუალოდ მიგვანიშნებს რუსთველის მიუწვდომელი მეტაფორული აზროვნების ღრმა ეროვნულ ფესვებზე. მცენარეთა სიმბოლიკის გამოყენებისას განსხვავებანი ხალხურსა და რუსთველის მეტაფორულ აზროვნებას შორის სიმბოლიკის განვითარების საფეხურების მაჩვენებელია.

246. ა. სოხაძე

„ვეფხისტყაოსანში" ასახული ზოგიერთი ხალხური იდეის შესახებ

(„შოთა რუსთაველი", საქ. ისტ., არქ., ეთნ. და ფოლკ. სამეცნ საზოგ. კრებული, 1968, თბ., გვ. 122-159)

ავტორი ყურადღებას მიაქცევს „ვეფხისტყაოსნის" ენის სიახლოვეს ხალხის სასაუბრო ენასთან, მოაქვს ლექსიკური და ფრაზეოლოგიური პარალელები. პოემის ზოგიერთი მოტივი ავტორს ფოლკლორიდან მომდინარედ მიაჩნია, მაგ., სამი ძმადნაფიცი მას აგონებს ამირანის თქმულების სამ გმირს. სანიმუშოდ მოაქვს სიუჟეტური შეხვედრები ამირანის თქმულების გურულ ვარიანტთან, რომელსაც „კალმახელა" ეწოდება (ჩაწ. გ. ებრალიძის მიერ 1938 წ.). ავტორის აზრით, ხალხურია ჭაში ჩავარდნილი კაცის არაკი, პოეტური სახეები, სიმბოლოები, ეპითეტები და სხვ.

ავტორი განიხილავს პოემაში ნახსენებ სამყაროს ძირითად ელემენტებს (ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერი) და მათი შესწავლის ისტორიას, ეხება აგრეთვე ციურ მნათობთა და სინათლის სიმბოლკას და ხალხურ ზღაპრებსა და თქმულებებში მოცემულ ასტროლოგიურ-რელიგიურ და ესთეტიკურ წარმოდგენებს ციურ სხეულებსა და სინათლე-სიბნელის მიმართ. გ. ა.

247. ვ. ტაბატაძე

რუსთველის კაბინეტში

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 1968, 19 იანვ., № 3, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ რუსთველოლოგიურ სემინარზე მოისმინეს ორი მოხსენება.

I. ივ. გიგინეიშვილის, „ვეფხისტყაოსნის" 257-ე სტროფის შესახებ, რომლის მეორე და მეოთხე

ტაეპებს მკვლევარი ასეთი წაკითხვით გვთავაზობს:

სხვა ულონოა უშენო ჩემად ამპყრობად ხელისა,
თვარ ვისმცა ექმნა გვარლითა შეკრვა თივისა მრთელისა“

(მეორე და მესამე ტაეპები ადგილშენაცვლებულია). ამ ტაეპების აზრია: შენს გარდა სხვა ულონოა, უძლურია იმისთვის, რომ მე მიშველოს, თორემ ვის შეუკრავს მთელი თივა (თივის მთელი ზვინი) გვარლით (თივისაგან შეგრეხილი „დიახ სუსტი“ თოკით) = შენ, სუსტ ქალს რა შველა შეგიძლია!

II. ო. ბაქანიძემ აუდიტორიას გააცნო საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტში აღმოჩენილი რუსული პოეტური თარგმანები, შესრულებული ალ. ნავროცკის მიერ. თარგმანის ორი რედაქცია არსებობს: პირველი მოიცავს 71 სტროფს, მეორე — 339 სტროფს. მომხსენებლის დაკვირვებით, ალ. ნავროცკის რუსული თარგმანი დაედო საფუძვლად მისსავე უკრაინულ თარგმანს. გ. ა.

**247а. А. Тер-григорян**

**Руставели в джунглях**
(Репортаж из Вьетнама)

გაზ. „*Известия*“, 1968, 29 თებ., № 50, გვ. 5; „კომუნისტი“, 1968, 1მარტი, № 51, გვ. 3; „თბილისი“, 1968, 4 მარტი, № 54, გვ. 3.

გაზეთის კორესპონდენტი წერს, რომ ქ. ჰანოის ქუჩაში შემთხვევით შეხვდა ნაცნობ ფილოლოგს, ლე ვინს, რომელიც ომის გამო გახიზნული ყოფილა ჯუნგლებში და ახლა ერთი დღით ჩამოსულა დედაქალაქში, რათა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ დაწერილი სტატია გადასცეს გაზეთის რედაქციას. თავის სტატიაში ის წერს „ძველებურ ჰუმანიზმზე“, რუსთველისეულ შეგონებაზე მეგობრობის მნიშვნელობის თაობაზე, იმოწმებს აფორიზმს: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, რომელიც, მისივე თქმით, შეეხება ცალკეულ ადამიანებსაც და მთელ ერებსაც. გ. ა.

248. [უავტორო]

დებულება ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის
საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიების შესახებ

გაზ. „კომუნისტი“, 1968, 15 თებ., № 38, გვ. 1; „ლიტ. საქართველო“, 1968, 16 თებ., №7, გვ. 1; “*Заря Востока*”, 1968, 15 თებ., № 38, გვ. 1.

საქართველოს კ.პ.(ც.კ. და საქ. სსრ მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტეს, რომ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების რიცხვი გადიდდეს 4-დან 6-მდე, — თითო პრემია: ქართული საბჭოთა ლიტერატურის, სახვითი, მუსიკალური, თეატრალური ხელოვნების, კინოხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში.

პრემიების მინიჭება მოხდება ორ წელიწადში ერთხელ. რუსთაველის სახელობის პრემიაზე წარდგენა არ შეიძლება იმ ნამუშევრებისა, რომლებმაც ლენინური პრემია ან სსრკ სახელმწფიო პრემია დაიმსახურეს.

დამტკიცდა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დასახელებული პრემიების კომიტეტის შემადგენლობა (დასახელებულია 33 პირი გ. აბაშიძის თავმჯდომარებით). გ. ა.

249. [უავტორო]

რუსთაველის კაბინეტი ერევნის უნივერსიტეტში

გაზ. „კომუნისტი“, 1968, 13 მარტი, № 60, გვ. 4.

ასს-ის კორესპონდენტის ცნობით, ერევანში შეიქმნა სომხურ-ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი, რომელსაც შოთა რუსთაველის სახელი მიეკუთვნა. აქ თავმოყრილია რუსთაველის სხვადასხვა პერიოდის პორტრეტები, „ვეფხისტყაოსნის“ იშვიათი ეგზემპლარები.

კაბინეტს ხელმძღვანელობს ცნობილი მეცნიერი პროფ. გურგენ სევაკი. გაიმართა პირველი სამეცნიერო სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მეცნიერებმა. გამოსაცემად მზადდება მიხ. ბაბურიანის შრომა „ვეფხისტყაოსნის სომხური თარგმანები“. გ. ა.

250. [უავტორო]

ჩვენი სტუმრები

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1968, 12 აპრ., №15, გვ. 4.

ინფორმაციაში აღნიშნულია: იუგოსლაველმა მწერალმა ესად მეკულიმ კორესპონდენტთან საუბარში თქვა, რომ მისი დიდი ოცნებაა ალბანურ ენაზე თარგმნოს შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

251. [უავტორო]

რუბრიკა: 29 სექტემბერი – შოთა რუსთაველის დღე – ქართული პოეზიის დღე

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1968, 29 სექტემბერი, № 229, გვ. 4.

აღნიშნულია, რომ ქართული პოეზიის დღე – რუსთაველის დღე კეთილ ტრადიციად იქცა. დღეს, 29 სექტემბერს, ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში გაიმართება დიდი სახალხო ზეიმი – პოეზიის დღესასწაული. მესხეთს ესტუმრებიან ქართველი პოეტები.

იქვე დაბეჭდილია ნაზი კილასონიას პატარა წერილი „ლექსის გენია“, ე. ბართაიას, ვ. გორგანელის და შ. სამადაშვილის ლექსები. დაბეჭდილია აგრეთვე ფოტოსურათი შოთას ძეგლისა სოფ. რუსთავში. გ. ა.

252. [უავტორო]

ქართული ლექსის დღესასწაული

გაზ. „კომუნისტი“, 1968, 1 ოქტ., № 230, გვ. 4; “***Веч. Тбилиси***”, 1968, 1 ოქტ., № 231, გვ. 4; „სოფლის ცხოვრება“, 1968, 2 ოქტ., № 231, გვ. 3.

საქდესის ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ გასულ კვირადღეს მესხეთში, სოფელ რუსთავში გაიმართა ქართული ლექსის ტრადიციული დღესასწაული. რუსთაველის შემოქმედების შესახებ მიტინგზე მოხსენება გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გ. აბაშიძემ. სიტყვებით და ლექსებით გამოვიდნენ: ი. ნონეშვილი, ხ. ბერულავა, რ. ჯაფარიძე, ჯ. ჩარკვიანი და სხვ. გ. ა.

253. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ ჩეჩნურად

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1968, 22 ნოემბერი, №47, გვ. 3.

ინოფრმაციაში აღნიშნულია, რომ პოეტმა ნურდინ მუზაევმა თარგმნა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ჩეჩნურ ენაზე. ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ მწერალთა კავშირის გამგეობამ განიხილა პოემის თარგმანი და რეკომენდაცია მისცა ჩეჩენ-ინგუშეთის წიგნის გამომცემლობას პოემის მასობრივი ტირაჟით გამოსაცემად. ბ. დ.

254. [უავტორო]

პირველი პოეტური...
(„ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე)

გაზ. „კომუნისტი“, 28 ნოემბ., № 278, გვ. 4; „თბილისი“, 1968, 30 ნოემბ., № 280, გვ. 3; “***Заря Востока***”, 1968, 29. XI. გვ. 3.

ინფორმაცია იუწყება, რომ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე. მთარგმნელია თბილისის სახ. უნივერსიტეტის დოცენტი ვენერა ურუშაძე. ეს არის ინგლისურ ენაზე პოემის პირველი თარგმანი ლექსად. წიგნს წამძღვარებული აქვს ქართველოლოგ დევიდ ლანგის წინასიტყვაობა, გემოვნებით არის გაფორმებული

ზურაბ კაპანაძის მიერ. გამოცემის ტირაჟია ხუთი ათასი. გ. ა.

255. რ. ფირცხალაიშვილი

ვეფხისტყაოსნის რითმის ზოგიეთრი საკითხი

კრებ. „ქართული ლიტერატურის საკითხები", თბ., 1968, გვ. 3-16.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის" 1953 წლის გამოცემას და აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსნის გამოცემათაგან პოემის რითმული წყობის შესწავლის თვალსაზრისით უცილოდ თვალსაჩინო მოვლენაა პოემის პ. ინგოროყვასეული რედაქცია (1953 წ.)". ამ გამოცემაში მეტად მნიშვნელოვანი, საუკუნეთა მანძილზე დაზიანებული მხატვრული ფორმის სრულყოფისათვის ბევრი აუცილებელი შესწორებაა შეტანილი; რომ პირველად მხოლოდ ამ გამოცემაში გაეწია სათანადო ანგარიში დაყრდნობილი რითმის საკითხს.

ავტორი მხარს უჭერს პ. ინგოროყვას მიერ რითმებში შეტანილ ბევრ გასწორებას. ამავე დროს მას არასწორად ან არასაკმარისად დასაბუთებულად მიაჩნია გასწორებათა ერთი ნაწილი. მაგ., ავტორს საეჭვოდ მიაჩნია შემდეგი შესწორებანი: დიდხან შუქნი არ ადარნა – დიდხან შუქნი არ დაჰყარნა" (308); არ საქმნელია – არ სათქმელია (511); ხელზედა ეკონებოდა (670); არ იცი, ვარდნი უეკლოდ საკრეფლად არ მოხდებიან (877); აწ ნელად – სანელად (1111); ვინცა თავისა მტერია – ვინცა თავის მკლველია (1348); შესხდეს, წავიდეს ყველანი შინა თავისა მარებად – თავისა დარებად (1539). მკვლევარი შენიშნავს, რომ საჭირო იყო მთელი სტრიქონის გასწორება ხელნაწერთა უმრავლესობის მიხედვით: „შინა წავიდეს ყველანი, შესხდეს თავისა დარებად" (როგორც დაბეჭდილია 1966 წ. გამოცემებში). გ. ა.

256. რიმა ფირცხალაიშვილი

ვეფხისტყაოსნის ომონიმები

„ძველი ქართული მწერლობის საკითხები", კრებ. III, თბ., 1968, გვ. 86-103.

ავტორი განიხილავს პოემის ომონიმურ რითმებს, რომელთაც მკვლევრები მაჯამებს ან მაჯამურ რითმებს უწოდებენ. „ვეფხისტყაოსნის" ტექსტზე მომუშავენი ასეთ რითმებს სხვადასხვა პრინციპით არჩევენ და განსაზღვრავენ, ამიტომ ე. წ. მაჯამური სტროფების რიცხვი ერთი ათეულიდან ოთხ ათეულამდე მერყეობს.

წერილის ავტორი მსჯელობს შემდეგ სტროფებზე: 33-ე, რითმით: ასული; 137-ე, რითმით: ასადაგეს; 835-ე, რითმით: ათმანო; 714-ე, რითმით: აღარად; 1537-ე, რითმით: დარიანო; 708-ე, რითმით: სამალი; 1026-ე, რითმით: სამსალებისა; 711-ე, რითმით: ახიოს; 734-ე, რითმით: დაებადა; 1213-ე, რითმით: სადარე. გ. ა.

**257. Р. В. Пирцхалайшвили**

**Рифма поэмы "Витязь в тигровой шкуре"**

***Автореферат диссертации на соискание степени кандидата филологических наук, Тб., 1968, 26*** გვ.

რეფერატი, დისერტაციის შესაბამისად, შედგება რვა თავისაგან. პირველ თავში განხილულია საკითხის ისტორია, მეორეში — „ვეფხისტყაოსნის" რითმისა და მეტრის ცალკეული საკითხები (ხელოვნება — გონება — ხსენება — მონება; გაამჟღავნოს — ივნოს — მოაყივნოს — ამტკივნოს; იპოვების — დაიჯერების — დაგეყოვნების — ითხოვნების; ჩავაკარაბაკე; გაიდარბაზესა; მკვდარი მე, წა! ვაგლახ მე, ვა! სად, მი, სად! სასაუბნაროსა; დანაბეჭდულევი; აჰ, ის ა; მზე სით ა; ჟამით ა; მზეო, და; გაიგონა მან; შევინახე, — მან; მომხვეჭირისა; მიგვიდრკა ცისა).

მესამეში — რითმის ევფონია და რითმის წარმოება პოემაში (საცოდნარია — საწუნარია — წყნარია — საუბნარია; რგულია — ორგულია — სავარგულია — დაკარგულია; გეტყვია — შემიტყვია — გისეტყვია — დაუტყვია; ცათამდის — კვლაცა მდის — და-ცამდის — კაცამდის; მათისა — ხალვათისა — მნათისა — ბევრათასისა; ინდოეთისა — ზეცისა — წვეთისა — შეთისა).

მეოთხეში — ომონიმური რითმები (ასული — დასული — და სული — ასული; ვით ჰხენ — მკითხენ — ვითხენ , ვითხენ; ვინ არ აშენდა ყოფილი; გაეკიდა; დაებადა).

მეხუთეში — ტავტოლოგიური რითმები (მოვალხენიე — მოალხენიე; გშვენოდეს — მშვენოდეს).

მეექვსე, მეშვიდე და მერვე თავებში შესწავლილია პოემის რითმები „ვეფხისტყაოსნის" პ. ინგოროყვას (1953 წ.), კ. ჭიჭინაძის (1934), გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის (1966) და ა. შანიძისა და ა. ბარა-

მიძის (1966) რედაქციით გამოსულ ტექსტებში (დაებადა, არიდენო, არემარე, იპოვების — დაიჯერების, სარებლად — საკამათებლად, გშვენოდეს — მშვენოდეს და სხვ.). ბ.დ.

258. ალექსანდრე ფრანგიშვილი
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ხალხურობის საკითხისათვის

თბ., „მეცნიერება", 1968, 39 გვ.

ავტორი ნაშრომს ყოფს 8 ქვესაკითხად.

1. ნარკვევის მიზანია განიხილოს „ვეფხისტყაოსანი" როგორც ქართველი ხალხის ეროვნული გონის ნიადაგზე დაფუძნებული შედევრი.

2. ავტორი იკვლევს, თუ რამდენად არსებითადაა დაკავშირებული „ვეფხისტყაოსანში" ადამიანის განცდების შინაგანი სამყაროს გამომხატველი მხატვრული სახეების შექმნის გზები და საშუალებები ქართულ ენაში ამ სინამდვილის ასახვის თავისებურებებთან.

3. განიხილავს ემოციურ მდგომარეობებს, აქტივობის განცდებს, შემეცნების პროცესებს და დაასკვნის, რომ: „ქართულ ენაში ასახული „ხალხური ფსიქოლოგიისა" და „ვეფხისტყაოსნის" „ფსიქოლოგიის" ერთიანობა იმაში გამოიხატება, რომ ერთსა და იმავე განზომილებაშია განლაგებული გულ-ფუძის მეშვეობით, როგორც, ქართული ენის მიერ ჩამოყალიბებული ადამიანის სულიერი ცხოვრების სფეროს გონითი სისტემა, ისე რენესანსის იდეების საფუძველზე „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ სახეებში ჩამოყალიბებული ადამიანის სულიერი ცხოვრების სამყარო" (გვ. 9-17).

მე-4 – მე-7 ქვეთავებში საკითხის განხილვის შედეგად ავტორი აყალიბებს თეზისს, რომ „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, „გულია" ნამდვილად ჭეშმარიტი ფსიქოლოგიური სტრუქტურა და იმისი „ვაზირობითაა", რომ ყოველი ადამიანის ქცევა შინაგანად მთლიანი და თანმიმდევარია.

ბოლოს, დასკვნის სახით ავტორი ორ დებულებას გვაწვდის: ა) „ვეფხისტყაოსანში" „მობრუნება ადამიანისკენ" განვითარდა ადამიანის პიროვნების ნამდვილი სულიერი სტრუქტურის ბუნების გამოხატვის მიმართულებით და ამიტომ იგი რენესანსს (შ. ნუცუბიძე) განეკუთვნება.

ბ) ამ მობრუნების გამომხატველი მხატვრული სახეების შექმნის სპეციფიკური გზები და საშუალებები „ვეფხისტყაოსანში" ქართველი ხალხის გონის შემოქმედების ნიადაგზეა განვითარებული და იგი საკუთრივ ქართულ რენესანსს წარმოგვიდგენს. ც.ე.

259. ივანე ქავთარაძე
რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი"

ჟურ. „ცისკარი", 1968, № 11.

ამ ნარკვევში ავტორი მსჯელობს პოემის ავტორის გვარ-წოდების დაწერილობაზე.

კომპოზიტში „რუსთავი" შედის ტოპოლექსემები რუ და თავი. ეს სიტყვა თავისთავად ახალი, საშუალ ქართულის ფორმაა. მოსალოდნელი იყო ძველი წარმოებით: „რუისთავი", მაგრამ XII ს-ში ვრცელდება და XVI-XVII საუკუნეებში მკვიდრდება ხმოვანფუძიან სახელთა საშუალ ქართულში ცნობილი ტიპი, ბრუნვის ნიშანდაკარგული: რუ-ს, რუ-თ, რუ-თ-ი. უნდა ვივარაუდოთ, რომ სიტყვაში „რუსთავი" მოხდა ძველი წარმოების კორექცია ახალ მდგომარეობასთან.

ამ ხანებში ველარც შეკუმშულ ფუძეს ვივარაუდებთ. მაშასადამე, „რუსთავის" (და არა რუსთვის), რუსთაველი (და არა რუსთველი).

ავტორის აზრით, თუ ოდესმე იყო შეკუმშული ფუძე — „რუსთველი" და აღდგა სრულხმოვანიანი ფორმა „რუსთაველი", ამაში ვლინდება ქართული ენის ის ტენდენცია, რომელმაც თავი იჩინა ენის განვითარების ყველა სფეროში და რომელსაც საფუძვლად უდევს ფონეტიკური კანონზომიერება — გავრცელდეს და დამკვიდრდეს სრულხმოვნიანი ფუძეები.

პოემის ტექსტში არსებული შეკუმშული ფორმა (რუსთველი) კი გამოყენებულია ლექსის მეტრის გამო.

პოემის სათაურის შესახებ ავტორი შენიშნავს: „ვეფხისტყაოსანი" ერთცნებიანი, მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტია, მისი დეფისით დაწერა გაუმართლებელია, ის ერთად უნდა დაიწეროს. გ.ა.

260. დ. ქუმსიშვილი
რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი

თბ., 1968, 290 გვ.

ავტორი მიზნად ისახავს გაარკვიოს პოემის მხატვრული კონსტრუქცია, სიუჟეტისა და კომპოზიციის თავისებურებანი, უფრო ზუსტად განსაზღვროს თხზულების თემა და იდეა, მოქმედების განვითარების ადგილი და დრო, ფანტასტიკისა და პოეტური გამონაგონის ხვედრითი წონა „ვეფხისტყაოსანში" და სხვა საკითხები.

წიგნი შედგება ხუთი თავისაგან.

I თავი: „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი (გვ. 7-101).

ავტორს მიაჩნია, რომ პოემის პირველი და მეორე თავები წარმოადგენს ექსპოზიციას, ხოლო მესამე თავში უცხო მოყმის გამოჩენა და მისი უცნაური საქციელი პოემის მოქმედების კვანძს ქმნის.

დამოუკიდებლად ვითარდება ნესტან-ტარიელის ამბავი და იგი შეიძლება გამოიყოს, როგორც ცალკე სიუჟეტური ხაზი. აქ ექსპოზიციას წარმოადგენს ინდოეთის პოლიტიკური მდგომარეობისა და ნესტან-ტარიელის ურთიერთობის აღწერა, ხატაელებთან ომში ტარიელის გამარჯვების ჩათვლით. ამ სიუჟეტში საკვანძო ეპიზოდია თათბირი ნესტანის გათხოვების თაობაზე. მოქმედება კულმინაციას აღწევს მაშინ, როდესაც დავარი ნესტანს ინდოეთიდან აძევებს. ამ კონფლიქტის კვანძის გახსნაა ნესტანის უკვალოდ დაკარგვა, ტარიელის სასოწარკვეთილება და სიკვდილის ლოდინი (გვ. 56).

ავთანდილის წასვლით უცხო მოყმის საძებნად გრძელდება პოემის ძირითადი სიუჟეტი. მოქმედების განვითარება, დ. ქუმსიშვილის აზრით, კულმინაციას აღწევს ტარიელის მიერ ლომ-ვეფხვთა დახოცვის ეპიზოდში, შემდგომ ამბებში კი რუსთაველი გვიჩვენებს ავთანდილის უპირატესობას ტარიელთან შედარებით, მოხერხებასა, სიბრძნესა და ჭირთა გაძლებაში (70-78).

თინათინისა და ავთანდილის ქორწილი მთავარი სიუჟეტური ხაზის კვანძის გახსნას წარმოადგენს.

მკვლევარს მიაჩნია, რომ აქ თავდება პოემის სიუჟეტი და მომდევნო თავები (ინდო-ხატაელთა ამბავი) რუსთაველს არ ეკუთვნის.

დ. ქუმსიშვილი ასევე შემდეგდროინდელ დანამატად თვლით ეპილოგის სტროფებს (გვ. 93-101).

II თავი, „ვეფხისტყაოსნის" კომპოზიცია.

პროლოგის შესახებ მკვლევარი ამბობს, რომ ეს შესავალი იდეურად და კომპოზიციურად დაკავშირებულია თვით პოემასთან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (გვ. 102-106).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ პოემაში დაცულია მოქმედების ერთიანობის პრინციპი. მიუხედავად ორი სიუჟეტური ხაზის არსებობისა, ორივე სახელმწიფოში ბრძოლა და კონფლიქტია ქალის გამეფებისა და მისთვის შეუზღუდავი უფლებების მინიჭების ირგვლივ. რუსთაველი საგანგებოდ ვრცლად აღწერს იმ ეპიზოდებს, რომლებიც ქალის მეფედ ყოფნის იდეის ნათელყოფის საქმეს ემსახურებიან (გვ. 107-113).

მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დროის ფაქტორს პოემაში, ადგენს დროის ინტერვალს სხვადასხვა ეპიზოდებს შორის და აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

1. არაბეთში თინათინის გამეფების დღიდან ავთანდილისა და თინათინის შეუღლებამდე გავიდა 6 წელიწადზე მეტი.

2. ნესტან-დარეჯანის გატაცებიდან ინდოეთის ტახტზე ნესტანისა და ტარიელის გამეფებამდე გავიდა 11 წელიწადი.

მკვლევარი ფიქრობს, რომ აქ არის ანალოგია საქართველოს ისტორიულ ამბებთან: გიორგი მესამემ თამარი მეფედ დასვა 1178 წელს, ხოლო 6 წლის შემდეგ – 1184 წელს მოხდა მისი ხელმეორედ კურთხევა. ხოლო თამარის გამეფებიდან დავით სოსლანის შერთვამდე (1189 წ.) გავიდა 11 წელიწადი (გვ. 113-136).

III თავში – მხატვრული გამოსახვის ხერხები და საშუალებანი – განხილულია პოემის თემა (რასაც მკვლევარი „იდეას" უწოდებს), პოემის ფაბულის დამოკიდებულება ქართულ ისტორიულ სინამდვილესთან. აღნიშნულია, რომ პოემის გმირების გაიგივება ისტორიულ პირებთან სწორი არ არის. მკვლევარი საგანგებოდ ჩერდება პოემის ალეგორიულობის საკითხზე. მისი აზრით ალეგორიის მაგალითებია: მოქმედების გადატანა არაბეთსა და ინდოეთში, გმირთა სახელების შეცვლა და სხვ., რითაც რუსთაველი აჩვენებს, რომ ეს მხოლოდ ანალოგიური სიტუაციაა და არა თვით ისტორიული ამბავი. არაბეთსა და ინდოეთში მომხდარი ამბების აღწერა მე-12 ს-ში საქართველოში წარმოებული პოლიტიკური ბრძოლის არსის ალეგორიულ გადმოცემას წარმოადგენს. პოემის ალეგორიულობა უნდა ვეძიოთ არა ისტორიული სინამდვილისა და პოემაში აღწერილი ამბების ზუსტად დამთხვევაში, არამედ პოემის ძირითად საკითხად ქალის უფლების დაყენებაში. ქალის მეფედ ყოფნის კანონზომიერება და მისი შეუზღუდავი უფლებების დაცვის საკითხი იყო მე-12 ს-ის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი პრობლემა. იგივე პრობლემა უდევს საფუძვლად „ვტ"-ის შინაარსს (153-169).

დ. ქუმსიშვილი აქვე ჩერდება პოეტური ფანტაზიის ადგილსა და დანიშნულებაზე პოემაში. პოეტურ გამონაგონად თვლის იგი ქაჯებს, დევებს, ფრიდონის არაჩველუბერივ ცხენს, ტარიელისა და ავთანდილის არაბუნებრივ ფიზიკურ ძალას, ხატაეთიდან მოტანილი რიდის ქსოვილს და მოლს (გვ. 170-194).

IV თავში – მიჯნურობა და მხატვრული სახის პრობლემა – დ. ქუმსიშვილი კრიტიკულად განიხილავს რუსთველურ მიჯნურობაზე არსებულ შეხედულებებს, რაც გამოიხატა იმის მტკიცებაში, რომ: 1) ის არის მხოლოდ სულიერი, საზეო (საღვთო); 2) რუსთველი უმღერის ხორციელ, ცოლ-ქმრულ სიყვარულს.

მკვლევარი ვრცლად განიხილავს პოემის პროლოგში მოცემულ მიჯნურობის „თეორიასა“ და პერსონაჟების მოქმედებას და ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსნის გმირების „მიჯნურობა არის ლტოლვა, სიშმაგე, გამოწვეული იმ წინააღმდეგობებით, რომლებიც სასურველი მიზნის მიღწევის გზაზე ელობებათ: მათი მიჯნურობა არის ამაღლებული, ფაქიზი სულიერი სიყვარული, რადგან ისინი ოცნებობენ არა ხორციელ სიახლოვეზე თავიანთ სატრფოსთან, არამედ სულიერ შერწყმაზე“ (გვ. 223).

იგი განმარტავს აგრეთვე „სიძვის“ რაობას და მისი გამოვლენის შემთხვევებს პოემაში (223-232).

V თავში – თამარ მეფის დრო და „ვეფხისტყაოსანი“ — ავტორი აკრიტიკებს პ. ინგოროყვას მტკიცებას პოემის პერსონაჟთა და XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა იგივეობის შესახებ. სათანადო მსჯელობის შემდეგ ასკვნის, რომ პ. ინგოროყვას ისტორიული პარალელები მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს და აგებულია ისტორიული ფაქტების დამახინჯებაზე.

დ. ქუმსიშვილის აზრით, რუსთაველის მიზანი იყო გაემართლებინა თამარის მეფედ ყოფნა. პოემაში აისახა საქართველოში მომხდარი პოლიტიკური ამბები, მაგრამ არა ზუსტად, არამედ მხატვრულად, ალეგორიულად. „ვეფხისტყაოსანში“ ერთმანეთს უპირისპირდება ორი ამბავი – ნეგატიური და პოზიტიური. პოზიტიურია როსტევან-თინათინ-ავთანდილის სიუჟეტური რკალი, რადგან როსტევანმა ქალი აიყვანა ტახტზე და მას შეუზღუდავი სამეფო უფლებები მიანიჭა. ნეგატიურია ფარსადან-ნესტან-ტარიელის სიუჟეტური რკალი, რადგან იმავე სიტუაციაში ფარსადანმა საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო, რამაც დიდი უბედურება დაატეხა ქვეყანასაც და ფარსადანის სამეფო კარსაც.

ეს იდეა ნაკარნახევია მე-12 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სინამდვილით.

დ. ქუმსიშვილი ასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია თამარ მეფის საქებად, არა უადრეს 1189 და არა უგვიანეს 1192-93 წლებისა (გვ. 274). გ. ა.

261. ემელიან ქურდიანი

„ჩავაკარაბაკეს“ განმარტებისათვის

გაზ. „თბილისი“, 1968, 6 სექტემბერი.

„ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონში:

„კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“ (558,1)

ზოგიერთ ავტორს „ჩავაკარაბაკე“ არ მიაჩნია ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე სიტყვად, ზოგი კი ამტკიცებს, თითქოს მისი საფუძველია ქვაბის ყური, ე. ი. კარვის კალთის კარბაკებად, ანუ ქვაბის ყურიკებისოდენად ქცევა და სხვა. „ჩავაკარაბაკე“ არის ჩაჭრის პოეტური მეტაფორა. ჩუბინაშვილი თვლის, რომ კარაბაკი არის წნელის ღობე. გამოდის: ისე ადვილად ჩავჭერი, როგორც წნელის ღობეო.

ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „ბაკი — მოზღუდვილი“; „ქარა — ნაკაფი ხისა“. „ქარაბაკი — ნაკაფის ბაკი“.

ე. ქურდიანი ასკვნის, რომ „ქარაბაკი“ ორი სიტყვის ნაერთია (ქარა, ბაკი) და ნიშნავს ნაკაფისაგან (წნელისაგან) მოწნულ ღობეს. „ჩახლართული“ ნიშნავს: „არევით დაბმული“ (საბა). ტაეპის აზრია: კარვის კალთა ისე ადვილად ჩავჭერი, როგორც წნელის ღობეო. თ. ტ.

266. შალვა ღლონტი

ვეფხისტყაოსნის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი

თბ., 1968, 196 გვ.

წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის ფრაზეოლოგია მდიდარი და მრავალფეროვანია. მისი საშუალებით აყალიბებს პოეტი მხატვრულ სახეებს, გადმოგვცემს პერსონაჟთა რთულ შინაგან ბუნებას. ლექსიკონში მოცემული მასალა გვაძლევს ქართული ენის ფრაზეოლოგიის მთელ სურათს რუსთაველის პოემის ფონზე. იგი გვიჩვენებს, თუ რა გამოიყენა პოეტმა თავის წინამორბედთა და თანამედროვეთაგან, რაა საკუთრივ რუსთველისეული და რა გავლენას ახდენს რუსთაველი მომდევნო საუკუნეთა მწერლების პოეზიაზე.

ლექსიკონს წინ უძღვის გამოკვლევა — „ვეფხისტყაოსნის" ფრაზეოლოგია" (გვ. 6-24). მასში მკვლევარი განიხილავს რუსთაველის მხატვრული მეტყველების თავისებურებებს და გვიჩვენებს, თუ რას და როგორ იყენებს პოეტი „ვისრამიანში", „ამირანდარეჯანიანში", ჩახრუხაძის „თამარიანში" და სასულიერო მწერლობის ძეგლებში არსებული მხატვრული გამოთქმებიდან და სხვა მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულებიდან.

წიგნს ბოლოს ერთვის გამოყენებული წყაროების ნუსხა, ლექსიკონში ხმარებული შემოკლებული დასახელების ჩვენებით (გვ. 191-194). გ. ა.

263. შ. ღლონტი

აკაკი შანიძე, როგორც რუსთველოლოგი

„ძველი ქართული მწერლობის საკითხები", კრებ. III, თბ., 1968, გვ. 226-231.

წერილში განხილული და შეფასებულია აკად ა. შანიძის დიდი ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის" შესწავლის, განმარტებისა და გამოცემის საქმეში. აღნიშნულია, რომ მან მაღალ მეცნიერულ დონეზე აღადგინა და 1937 წელს დაბეჭდა პოემის ვახტანგისეული გამოცემა. მისი აქტიური მონაწილეობით მომზადდა „ვეფხისტყაოსნის" 1937 წ. (საიუბილეო), 1951, 1957 და 1966 წლების გამოცემათა ტექსტები.

აკაკი შანიძემ შეადგინა ვრცელი ლექსიკონი, რომელიც პოემის 1957 წლის გამოცემას ერთვის. იგი გვევლინება რუსთველოლოგიური მეცნიერების ისტორიკოსადაც თავისი შრომებით: „ვახტანგი როგორც ლექსიკოგრაფი", „ვახტანგის დედანი ვეფხისტყაოსნისა", „დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში" და სხვ. გ. ა.

**264 Вано Шадури**

**Горький, Руставели, Важа Пшавела**

გაზ. "*Заря Востока*", 1968, 28. III. № 73, გვ. 2.

როგორც ავტორი წერს, 1933 წელს შალვა სოსლანს საუბარი ჰქონია მაქსიმ გორკისთან ქართული ლიტერატურის ნიმუშების რუსულ ენაზე თარგმნის შესახებ. მ. გორკის სხვათა შორის უთქვამს: ჩვენი თარგმანები ძალიან ამდაბლებენ ეროვნული ავტორების ღირსებებს. რუსთაველის ბალმონტისეული თარგმანი ცუდი თარგმანია... ინგლისელებმა „ვეფხისტყაოსანი" პროზით თარგმნეს. ალბათ, ისინი სწორად მოიქცნენ, ვინაიდან ძნელია XII საუკუნის პოეტის ორიგინალობის შენარჩუნება. გ. ა.

265. გ. შარაძე

„ვეფხისტყაოსნის" მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანის ფრაგმენტები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", თბ., 1968, № 4, გვ. 166-170.

წერილის ძირითადი დასკვნები შემდეგია:

„1. ზუგდიდის მუზეუმში დაცულ მ. ზიჩის შარჟებზე შემორჩენილი ფრანგული მინაწერები წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის" ი. მეუნარგიასეული დაკარგული ფრანგული თარგმანის ფრაგმენტებს.

2. „ვეფხისტყაოსნის" ი. მეუნარგიასეული პირველი სრული ფრანგული თარგმანი შესრულებული ყოფილა თეთრი ლექსით და შეიცავდა 1593 სტროფს.

3. ი. მეუნარგიას თავისი თარგმანი გაუკეთებია „ვეფხისტყაოსნის" დ. ჩუბინაშვილის მიერ 1860 წელს გამოცემული ტექსტის მიხედვით. თარგმანი საერთო მოცულობითა და შედგენილობით ისეთივე ყოფილა, როგორც პოემის ჩუბინაშვილისეული 1860 წლის გამოცემა". ბ.დ.

266. მიხეილ შენგელია

რუსთაველი და გელათი

ჟურ. „ცისკარი“, 1968, № 12, გვ. 131-146.

ავტორის მთავარი თეზაა, რომ შოთა რუსთაველს სწავლა-განათლება მიღებული აქვს საქართველოში, კერძოდ – გელათის აკადემიაში. ამ აკადემიაში შვიდ სავალდებულო საგანთა შორის მედიცინაც ისწავლებოდა. ივარაუდება, რომ სამედიცინო დარგის სახელმძღვანელოებად გამოიყენებოდა პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“ და ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, თარგმნილი იოანე პეტრიწის მიერ, მისივე ორიგინალური „განმარტებაჲ“ პ. დიადოხოსის ნაშრომისა: აგრეთვე ვინმე ხოჯა ყოფილის „წიგნი სააქიმოჲ“.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან მთელი რიგი ადგილების შედარება როგორც მსოფლმხედველობრივი, ისე ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური თვალსაზრისით დასახელებულ წიგნებთან იმ დასკვნის საფუძველს იძლევა, რომ რუსთაველს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ხსენებული სახელმძღვანელოების მეშვეობით.

მკვლევარი იმოწმებს იმ ტერმინებსა და ფრაზებს, რომლებიც ერთნაირი შინაარსით იხმარება ი. პეტრიწის „განმარტებასა“ და „ვეფხისტყაოსანში“, მაგ.: „დახსნა“, დაშლის, დარღვევის მნიშვნელობით: „სირა“ (წყება, რიგი); „ერთისა“ და „მრავლის“ ურთიერთობა, როგორც ფილოსოფიური პრობლემა, „წამის-ყოფა“; „ზესთა“, „ზესი“, „ზესთა-ზესი“, „ზემხედველი“ და სხვ.

როგორც მტკიცდება, შოთა რუსთაველი წარმოშობით მესხეთიდანაა, მაგრამ მის თხზულებაში ნაცვალსახელების, ზმნისსართების და სხვა მორფოლოგიური კატეგორიების გამოყენების მხრივ, არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, შეიმჩნევა იმერეთ-გურია-რაჭის დიალექტების მეტი გავლენა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისა. ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ რუსთაველი როგორც პიროვნება და მოაზროვნე ჩამოყალიბდა აღნიშნულ სამეტყველო გარემოში. ესეც ერთ-ერთი არგუმენტია გელათში შოთას დიდხანს ყოფნის სასარგებლოდ. გ. ა.

267. ც. ჩიკვაშვილი

ცხრა მილიონი ტომი

გაზ. „კომუნისტი“, 1968, 30 იანვ., № 24, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ 1966 წელს, რუსთაველის საიუბილეოდ მზადების პერიოდში ბიბლიოთეკის ფონდს შეემატა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები ფრანგულ, ესპანურ და მონღოლურ ენებზე. მივიღეთ აგრეთვე ბერლინში 1943 წ. ქართულ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ და მასალები რუსთაველის შესახებ შვეიცარიიდან — „რუსთაველი ჟენევის უნივერსიტეტში“, უნგრეთიდან — ჟურნალ-გაზეთების სტატიების მიკროფილმები და სხვ. გ. ა.

268. გ. ჩიტაია

საყოფაცხოვრებო რეალიები ვეფხისტყაოსანში

„შოთა რუსთაველი“, ისტ., არქ., ეთნ. და ფოლკ. სამეცნ. საზოგადოების კრებული,
თბ., 1968, გვ. 89-98

ავტორი აღნიშნავს, რომ პოემაში მოცემული საყოფაცხოვრებო საგნები და მოვლენები ამჟღავნებენ პოემის კავშირს საქართველოს სინამდვილესთან. ასეთი თემებია: ეთნიკური სამყარო, ენის ხალხურობა, ნადირობა, ნავროზობა, ქორწილი, ძმობილობა, კაი-ყმა, სამეურნეო ყოფა და სხვ.

ავტორი საგანგებოდ იკვლევს მენა სიტყვის მნიშვნელობას მე-700 სტროფში: „ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქვსო სახლად, მენად“. მენას კახეთში უწოდებენ ყურძნის ტკბილის დასაყენებელ ჭურჭელს, ხოლო ქართლში, არაგვისპირში, მენა ეწოდება როგორც ტკბილის ჭურჭელს, აგრეთვე იმ დროებით ნაგებობას, სადაც ტკბილს წურავენ. მენა თავდაპირველად დროებითი ნაგებობის, სადგომის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდგომში ნაგნებობაში მოთავსებულ ჭურჭელსაც შეერქვა.

აქვე გარკვეულია „თავშედგმულის“ მნიშვნელობა: „ფრიდონს უძღვნა ცხრა ტაბაკი მარგალიტი თავშედგმული“ (1559).

ავტორი აღნიშნავს, რომ მარცვლეულის აწყვის წესი ორგვარი იყო: „პინა თავშებმული“ და „პინა პირზე“ (მთიულეთში), „გადასმული ნიტრა“ და „თავმობმული ნიტრა“ (ქიზიყში), „სილით“ და „თავშაბმით“ (ქართლში), „ლაღამოსმული“ (ლაღა ჯოხია, რომელსაც ხორბლეულის წყვის დროს ხმარობენ) და „თავიანი“ (რაჭაში).

რუსთველის მიერ ნახმარი „თავ-შედგმული“ ხალხური გამოთქმის კალკია. გ. ა.

269. კოტე ჩოლოყაშვილი

## ტერმინ „ცერა“-ს შესახებ

კრებ. „შოთა რუსთაველი“, საქ. მეცნ. აკადემია, ისტორიის, არქეოლ., ეთნოგრ. და ფოლკ. სამეცნ. საზოგადოება, თბ., 1968, გვ. 116-121.

ავტორი აღნიშნავს, რომ მშვილდ-ისარი, როგორც სასროლი საჭურველი, „ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება: ნახსენებია როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე: მშვილდი, ისარი, ისართა პირები, აგრეთვე – მშვილდოსანი. 166-ე სტროფში არის ასეთი სტრიქონი:

„პურად და საჭმლად მივენდევ ჩემსა მშვილდსა და ცერასა“. ლექსიკოგრაფების უმეტესობა „ცერას“ არ განმარტავს. მხოლოდ დ. კარიჭაშვილს, იუსტ. აბულაძეს და ა. შანიძეს აქვს აღნიშნული, რომ „ცერა“ აქ ცერს (თითს) ნიშნავს.

ავტორს მოუპოვებია ცნობა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ცერა ეწოდება კარგ, მართალ ისარს და ვარაუდობს, რომ რუსთაველის პოემაშიც ცერას ეს შინაარსი უნდა ჰქონდეს. გ. ა.

**270. С. С. Цаишвили**

## История текста “Витязя в тигровой шкуре”

***Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологичекских наук, Тб., “Мецниереба”, 1868, 3-50 стр.***

ავტორეფერატში შეჯამებულია „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების შესწავლის შედეგები, მოცემულია სხვადასხვა რედაქციული ჯგუფების ჩამოყალიბების ისტორია და მათი ურთიერთმიმართება. ცალ-ცალკე განხილულია საკითხები: „ვეფხისტყაოსნის“ ძველი რედაქციები (გვ. 23-30); „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია და მისი აღდგენის ძირითადი საკითხები (გვ 30-40); „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია (გვ. 40-42); „ვეფხისტყაოსნის“ არტანუჯული ვარიანტი (გვ. 42-44); „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რედაქცია 1841 წლის გამოცემაში (გვ. 44-50).

მითითებულია, რომ დაცვა შედგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1968 წლის 2 ოქტომბერს. გ. ა.

271. ალ. ჭინჭარაული

## ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1968, № 4, გვ. 146-154.

1370-ე სტროფში:

თვითომან თვითო ჩაიცვეს, თავის თავს გამოსცდინიან,...
ჯაჭვ-მუზარადსა, აბჯარსა მართ ვერა ვერ მოჰკიდიან...

მკვლევრის აზრით, საეჭვოა პირველი სტრიქონის მეორე მუხლი „თავის თავს გამოცდიდიან“. შინაარსის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, გმირები თავის თავს კი არა, აბჯარს გამოსცდიან, იარაღს სინჯავენ. „ვ.ტ-ში“ გვაქვს ზმნიზედა „თავის-თავ“ და „თავის-თავის“, რაც ნიშნავს: ცალ-ცალკე, თავისთვის (სტროფები 460, 1490, 1661, 1411). სწორედ ეს ზმნიზედა უნდა გვქონოდა სადავო ადგილას. ამაზე მიგვანიშნებს გამოთქმა „თვითომან თვითო“: ე. ი. ორივემ მოირგო აბჯარი და ცალ-ცალკე სინჯავდნენ.

ალ. ჭინჭარაული თვლის, რომ მეორე ტაეპში „აბჯარსა“ ნაცვლად უნდა დაიწეროს „აბჯარი“, როგორც ხელნაწერთა უმეტესობაშია. ამ შემთხვევაში აბჯარი მხოლოდ შეტევით იარაღს აღნიშნავს. რუსთაველი ამბობს: ჯაჭვ-მუზარადს ვერარა აბჯარი ვერ ეკიდებოდა, ვერ ჭრიდაო, — ეს თავდაცვის იარაღის გამოცდაა. ხმლით რკინას ბამბის მკედივით ჭრიდნენო, — ეს კი შეტევის იარაღის გამოცდაა. თუ არა აბჯარი, სხვა რა უნდა ვიგულისხმოთ „ვერა“-ში (მართ ვერა ვერ მოჰკიდიან)?

ამიტომ ეს სტრიქონები ასე უნდა წავიკითხოთ:

თვითომან თვითო ჩაიცვეს, თავის-თავ გამოსცდიდიან,

ჯაჭვ-მუზარადსა აბჯარი მართ ვერა ვერ მოჰკიდიან.

1414-ე სტროფში ხმარებული სიტყვა „რიალი“ ნიშნავს მარცხს, ზიანს. ავტორი იმოწმებს „ამირან-დარეჯანიანსა“ და აღმოს. საქართველოს მთის დიალექტებს. გ. ა.

272. მ. ჭოჭუა

„ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად

გაზ. „სახალხო განათლება“, 1968, 18 სექტ., № 45, გვ. 4.

ოჩამჩირის რ-ნის სოფ. რეკაში ცხოვრობს რუსული ენისა და ლიტერატურის ყოფილი მასწავლე-ბელი კაპიტონ ლაბახუა, რომელმაც ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძისეული თარგმანი. იცის აგრეთვე ზოგიერთი თავი ქართულ და აფხაზურ ენებზე. კ. ლაბახუა ახლა 74 წლისაა და ამბობს, თუ დასცალდა, უნდა რომ პოემა მთლიანად შეისწავლოს ზეპირად ქართულ და აფხაზურ ენებზეც. გ. ა.

273. მ. ხერხეულიძე

შ. რუსთაველი მსოფლიო გზებზე
(კიდევ ერთი საიუბილეო კრებული)

გაზ. „თბილისი“, 1968, 5 იანვ., № 4, გვ. 3.

ავტორი იუწყება, რომ გაზეთის რედაქციაში ჰამბურგის უნივერსიტეტიდან მოვიდა წიგნი: „შოთა რუსთაველის 800 წლისთავი“. მასში დაბეჭდილი მასალებიდან ვგებულობთ, რომ ჰამბურგის უნივერსიტეტში ზეიმით აღუნიშნავთ შოთა რუსთაველის იუბილე. მოწყობილი ყოფილა საგანგებო გამოფენა: „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები, ილუსტრაციები, ქართული ფრესკები და სხვ. სიტყვით გამოსულან დოქტორები ჰელმუტ ბრაუნი, ბერტოლდ შპულერი, ხოლო ვრცელი მოხსენებით – ქართ-ველოლოგი არნდტ ვიგერი.

წიგნი ამჟამად ინახება თბილისის უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტში. გ. ა.

274. შ. ხიდაშელი

[შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა]

წიგნში: ***История философии в ССР, т. 1, М., 1968***, გვ. 127-129.

წიგნის მე-5 თავში: „ამიერკავკასიის ხალხები“ (X-XV სს.), საქართველოში ფილოსოფიური აზროვ-ნების განვითარების შესახებ გამოკვლევის (გვ. 119-129) ავტორია შ. ხიდაშელი. იგი წერს: რუსთავე-ლის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ფეოდალური კულტურის თვალსაჩინო ძეგლია, რომელიც მნიშვ-ნელოვან ადგილს იკავებს საქართველოს ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. მასში ნათლად აისახა ჰუმანისტური იდეები, ახალი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, რომელიც განსხვავდება გაბატონებული შუასაუკუნოებრივი მსოფლმხედველობისაგან. რუსთაველი აღიარებს რეალური, არსებული ყოფის ღირებულებას და მნიშვნელობას.

რუსთაველის ფილოსოფიური თვალსაზრისი პანთეისტურია. მისი სიტყვები ღმერთზე, როგორც „ყოველივე არსებულის სავსებაზე“, იმაზე მეტყველებს, რომ მისი პანთეიზმი ნეოპლატონური წარ-მომავლობისაა.

რუსთაველის მსოფლმხედველობაში აისახა ფსევდო-დიონისესა და ი. პეტრიწის თვალსაზრისი სიკეთის არსის შესახებ, რომ სუბსტანციური არსებობა მხოლოდ სიკეთეს აქვს, ბოროტება შედეგია სიკეთის შემცირებისა, მისი თანდათანობითი დაკარგვისა. ბოროტება დაიძლევა სიკეთისადმი მისწ-რაფებით და შეუპოვარი ბრძოლით. გ.ა.

275. ელგუჯა ხინთიბიძე

„მართალი სამართლის“ გაგებისათვის

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია, ეძღვნება ნ. ბარათაშვილის დაბადების 150-ე წლისთავს, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1968, გვ. 15-17.

ავტორის შეხედულებით, რუსთაველის „მართალი სამართალი" არის იმავე გაგების შემცველი, რაც არისტოტელესთან გვხვდება: კარგი სამართალი, კეთილი სამართლიანობა. „ეს არის სამართლის ის სახეობა, რომელიც უპირისპირდება ფორმალურ სამართალს, ოფიციალურ კანონმდებლობას, რადგანაც იგი წარმოადგენს პრაქტიკულად, კონკრეტული სიტუაციის მიხედვით გამოტანილ სამართლებრივ განაჩენს, რამდენადაც ზოგად სამართლებრივ კანონში ეს კონკრეტული შემთხვევა არ შეიძლებოდა ყოფილიყო გათვალისწინებული".

„ძველ ქართულ ძეგლებში «მართალი სამართლის» შინაარსში ორი მნიშვნელობაა ჩამარხული: 1. ჭეშმარიტი, სწორი სამართალი და 2. კონკრეტულად, პრაქტიკულად გადაწყვეტილი სამართალი", რომელთაგან „ზოგჯერ ერთი მნიშვნელობაა წინ წამოწეული, ზოგჯერ მეორე". ბ. დ.

276. ე. ხინთიბიძე

„ვეფხისტყაოსნის" ერთი ეთიკური ცნება

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 52, №1, 1968, გვ. 263-268.

ავტორი იკვლევს სიტყვა „მოცალეობის" ეთიკურ შინაარსს პოემის „დასაწყისის" 23-ე სტროფში:

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვით მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა...

ავტორი აღნიშნავს, რომ მოცალეობა, გავრცელებული გაგებით, ნიშნავს მოცლას, მოცლილობას, თავისუფალი დროის ქონებას, მაგრამ რუსთველის სტროფში მოცალეობა ეთიკური ცნებაა, რომელიც გულისხმობს გონებრივი საქმიანობისთვის განკუთვნილ დროს, ან გონებრივ-შემეცნებით პროცესს. სიტყვის ასეთი მნიშვნელობით ხმარება დასტურდება ძველ ქართულ თეოლოგიურ ძეგლებში. ამავე აზრით „მოცალეობა" (ncalh) ფიგურირებს არისტოტელეს ეთიკურ სისტემაში, სადაც ის მიჩნეულია ადამიანური ცხოვრების იდეალად. არისტოტელე ამბობს, რომ გონების შემეცნებითი მოღვაწეობა არის მოცალეობის უმაღლესი სახეობა და სწორედ ის არის ადამიანის სრულყოფილი ნეტარება. გ. ა.

277. ე. ხინთიბიძე

ავთანდილოის „ძალნი ზეციერნი"

ჟურ. „მაცნე", 1968, № 1, გვ. 161-192.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქრისტიანული ტერმინოლოგიით ძალნი ანგელოზთა საშუალო იერარქიის მეორე სახის სახელწოდებაა. ანგელოზთა სახეების სრული განრიგება კი ასეთია. 1) უმაღლესი იერარქია — სერაფიმნი, ქერობიმნი და საყდარნი; საშუალო იერარქია — უფლებანი, ძალნი და ხელმწიფებანი; დაბალი იერარქია — მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი. გამოთქმა ძალნი ზეცისანი ანგელოზთა საერთო სახელადაც გამოიყენება ღვთისმეტყველებაში.

„ვეფხისტყაოსანში" ავთანდილი ამბობს: „მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი" (165,2): სხვა დროს კიდევ: „მადლი ღმერთა, შემოქმედსა, არსთა მხადსა, ვისგან ძალნი ზეციერნი გააგებენ აქა ქმნადსა" (1050, 1-2).

მკვლევარი ფიქრობს, რომ ძალნი ზეციერნი, ანუ ცის ძალთა გუნდი, არ არიან ის ანგელოზები, რომელთაც ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურა იცნობს. ავთანდილი შველას სთხოვს ზეცის მნათობებს, პლანეტებს (იხ. 958-965 სტროფები), რომელნიც მრავალღმერთიანობის მორწმუნე წარმართებს ღვთაებებად მიაჩნდათ. ეს დასტურდება ძველ აღთქმაში, რომელსაც მკვლევარი იმოწმებს (4 მეფეთა 17,16; 21,3; 23,4; 23,5 და სხვ.). ქრისტიანული რელიგია ერთი ღმერთის სახელით ებრძოდა ზეციურ ძალთა — ვარსკვლავთა გაღმერთებას, მაგრამ მთლიანად ვერ დაძლია ხალხში არსებული რწმენა, თანდათანობით შეეგუა ზეციურ ძალთა ღვთიურობის თეზას და ადგილი მისცა მას ერთი ღმერთის ზეციურ ამალაში.

„ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, მნათობთა განლაგება ამქვეყნიურ ამბებზე მეტყველებს: ვარსკვ-

ლავები განაგებენ მიწიერ საქმეებს, მაგრამ მნათობებს უზენაესი არსება — ღმერთი მბრძანებლობს, ისინი ღმერთის ნებას ემორჩილებიან. ეს არის მონოთეისტური თეოლოგიის შერწყმა ასტროლოგიასთან. გ. ა.

277**a**. ე. ხინთიბიძე

ერთი საკითხი „ვეფხისტყაოსნი“ კოსმოლოგიიდან

თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის XII სამეც. სესია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1968, გვ. 34-35.

„ვეფხისტყაოსანში“ ჩაქსოვილია წარმოდგენა ცათა სიმრავლეზე. ნესტანი ტარიელს ფიცს აძლევს:

„გეცრუო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა“.

სხვა ადგილას კი ნესტანი სწერს ტარიელს:

„რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენ ზედა ცისა შვიდისა“.

წინააღმდეგ ზოგიერთ რუსთველოლოგთა მოსაზრებისა, გამოთქმაში „ცხრითავე ვზი ცითა“ იგულისხმება არა მეცხრე ცაზე მოხვედრა, არამედ ცხრავე ცაში დამკვიდრება. მაშასადამე რუსთველი აღიარებს ცხრა ცის არსებობას. მეორე შემთხვევაში ნესტანი საუბრობს შვიდივე ცის ბორბლის რისხვით მობრუნებაზე, რადგანაც, ძველი რელიგიურ-ასტოროლოგიური წარმოდგენებით, ამ ცხრა ციდან სწორედ პირველ შვიდ ცაზე იყო დამოკიდებული ადამიანთა ბედიღბლის განმგებლობა. გ. ა.

278. მ. ჯაყელი

„ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიური ლექსიკონი

გაზ. „თბილისი“, 1968, 12 ივნისი, №136, გვ. 3.

რეცენზენტი განიხილავს რუსთველოლოგ შალვა ღლონტის მიერ შედგენილ ამავე სახელწოდების წიგნს (თბ., 1968). მისი თქმით, ლექსიკონი გვაძლევს ქართული ენის ფრაზეოლოგიის მთელ სურათს „ვეფხისტყაოსნის“ ფონზე. პოემაში 1.700-მდე დამოუკიდებელი ფრაზეოლოგიური ერთეულია, რომლებიც ლექსიკონში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დოკუმენტირებულია სხვა ძეგლებში დაცული მასალითაც.

ამ წიგნს უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის შემსწავლელთათვის. გ. ა.

279. სელაჰათინ ჰილავი

ქართული პოეზია

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1968, 15 სექტ., № 46.

წერილში მიმოხილულია ქართული პოეზია რუსთაველიდან უკანასკნელ წლებამდე. ავტორი წერს: ჯერ კიდევ XII საუკუნეში ქართულ პოეზიას მოევლინა დიდი პოეტი შოთა რუსთაველი, მისმა ეპიკურმა ნაწარმოებმა — „ვეფხისტყაოსანმა“ („ვეფხისტყავიანმა რაინდმა“) — მთელი ქვეყნიერება გააოცა... მამაცობაზე, გაბედულებაზე, მეგობრობაზე, პატრიოტიზმსა და ადამიანურობაზე ლაპარაკობს რუსთაველი ამ დიდ ეპიკურ ნაწარმოებში. გ. ა.

## 1969 წელი

**280. Л. Н. Андгуладзе**

**Дореволюционные русские переводчики поэмы Руставели**

***Автореферат дис. на соиск. учен. степени канд. филол. наук, Тб., 1969. 22 с.***

დისერტაცია შედგება შესავლისა და ოთხი ნაწილისაგან. მასში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“

რუსული თარგმანები შესრულებული XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისში: ი. ბარტდინსკის, ი. ევლახოვის, ი. ტხორჟევსკის, ე. სტალინსკის, ვ. სოლოგუბის, ა. ნავროცკის, ი. რომენსკის, იზ. გრინევსკაიასა და სხვების მიერ.

დისერტაციაში მოცემულია თარგმანების მეთოდისა და სტილის ანალიზი. გ. ა.

**280а. Л. Н. Андгуладзе**

**Неизвестные переводчики "Витязя в тигровой шкуре"**

„ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებ. II, თბ., 1969, გვ. 366-377.

მკვლევარი განიხილავს გამოუქვეყნებელ რუსულ თარგმანებს, რომლებიც უცნობი დარჩა ლიტერატურული საზოგადოებისათვის.

1. ნიკოლოზ მზარეულოვის (ფსევდონიმით – Реулло) (1873-1962). ნიმუშად დაბეჭდილია ნესტანდარეჯანის წერილის თარგმანი, 1292-1310 სტროფები (გვ. 368-370).

2. მათემატიკოს დიმიტრი თურქიას (1872-1947) რუსული თარგმანი, რომელსაც ეტყობა ძლიერი გავლენა შ. ნუცუბიძისა და პ. პეტრენკოს თარგმანებისა. დაბეჭდილია ავთანდილის ანდერძიდან 165-176 სტროფების თარგმანი (გვ. 372-373).

3. შალვა ლორთქიფანიძეს უთარგმნია პოემის 80 სტროფი. დაბეჭდილია რამდენიმე აფორიზმი და სამი სტროფი ავთანდილის ლოცვიდან (გვ. 374).

4. მწერალსა და ჟურნალისტს ეკატერინე მიქელაძეს (1877-1942) ჰქონია გამოკვლევები „ვეფხისტყაოსანზე" და რამდენიმე სტროფის თარგმანი, მაგრამ მისი ნაწერები გამოუქვეყნებელი დარჩენილა.

5. ბორის სერებრიაკოვს (1890-1959) მიაჩნდა, რომ „ვეფხისტყაოსნის" რუსული თარგმანების ერთ-ერთი ნაკლია ლექსის მეტრის არასწორი შერჩევა. თავის თარგმანში ის იყენებდა ექვსმუხლიან ამფიბრაქსა და იამბს წყვილი ან ჯვარედინი რითმით. გააკეთა დასაწყისისა და ხუთი თავის თარგმანი. ნიმუშად დაბეჭდილია 72-83 სტროფები (გვ. 376-377). გ. ა.

281. ბონდო არველაძე

ვაჰან ტერიანი და ქართული კულტურა

ავტორის წიგნში — „ნარკვევები მეოცე საუკუნის ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან", თბ., 1969, გვ. 5-69.

მკვლევარი წერს, რომ საქართველოში მცხოვრებ სომეხთა შორის, რომელთაც ქართული ენა იცოდნენ, განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა „ვეფხისტყაოსანი". პოემის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებიდან ათი გადაწერილია სომხების მიერ, ამათგან 5 ნუსხა – საქართველოში, 3 კი მის გარეთ.

ნარკვევში წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსნის" სომხურ ენაზე თარგმნის ისტორია, რომელიც იწყება სტ. ბასტამიანის მიერ თარგმნილი ნაწყვეტების გამოქვეყნებით 1860-62 წლებში. მკვლევარი აღნიშნავს ამ თარგმანის ისტორიულ და ლიტერატურულ მნიშვნელობას და მის ნაკლსაც, რაც უმთავრესად ის იყო, რომ ბასტამიანმა რუსთაველის პოემა თარგმნა სომხური ენის თბილისური დიალექტით, ანუ სასაუბრო მდაბიური კილოთი, რომელიც შეუფერებელი აღმოჩნდა თხზულებისათვის.

ვაჰან ტერიანის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის" დასაწყისის სომხური თარგმანის ისტორიისა და მხატვრული ღირებულების შესაფასებლად მკვლევარს გამოყენებული აქვს პოეტის პირადი საარქივო მასალები და მის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. ვ. ტერიანი ამ თარგმანზე მუშაობდა 1914-1917 წლებში. მისგან თარგმნილი „დასაწყისის" 12 სტროფი დაიბეჭდა 1922 წელს. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, მთარგმნელი გულმოდგინედ მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტზე და განზრახული ჰქონდა მისი მთლიანად თარგმნა. არქივში დაცულია პოემის სხვა ადგილიდან 281-310 სტროფების სრული ან ნაწილობრივი თარგმანები. პოეტის განზრახვა შეუსრულებული დარჩა მისი ნაადრევად (1920 წ.) გარდაცვალების გამო.

ბ. არველაძე აკეთებს პოემის „დასაწყისის" აღნიშნული თარგმანის ვრცელ ანალიზსა და შეფასებას. ნარკვევში დაბეჭდილია 1-12 სტროფების სომხური თარგმანი და მისი ზწკარედული უკუთარგმანი ქართულ ენაზე. მკვლევრის თქმით, ვ. ტერიანმა საფუძველი ჩაუყარა რუსთაველის პოემის სომხურ ენაზე სრულფასოვანი პოეტური თარგმნის საქმეს.

ნარკვევში დასახელებულია ოვ. თუმანიანის, გ. მურადიანის, ი. ორბელის, ვ. თერზიბაშიანის, გ. სევაკის, მ. დურგარიანის და სხვების წერილები და ნარკვევები რუსთაველსა და მის თხზულებაზე, აგრეთვე

– გ. ასატურისა და ოვ. კარაპეტიანის (კარაიანი) თარგმანები „ვეფხისტყაოსნისა“. გ. ა.

282. ვ. არნოლდი

ქართული ეროვნული ეპოსი ისრაელში

(შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანისათვის), ჟურ. „მაცნე“, 1969, № 6, გვ. 242.

შვეიცარიელი მკვლევარი ვ. არნოლდი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანი სენსაციას წარმოადგენს. მისი თქმით, ამ ამბავს ორი გმირი ჰყავს. პირველია შოთა რუსთაველი – ავტორი; მეორეა ბ. გაპონოვი – მთარგმნელი, მამით რუსი და დედით ებრაელი. მან პაპის (დედის მამის) დახმარებით შეისწავლა კლასიკური ებრაული და დაიწყო თარგმნა რუსულიდან და ქართულიდან ებრაულად. მისი შრომის მწვერვალს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი, რომელიც თელ-ავივში დაიბეჭდა 1969 წელს.

თარგმანს ახლავს წინასიტყვაობა (ა. შლიონსკისა), სამეცნიერო აპარატურა და ძველი ქართული მინიატურების რეპროდუქციები. გ. ა.

283. ალ. ბარამიძე

ვეფხისტყაოსნის ერთი რუსული თარგმანის ისტორიიდან

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1969, 5 სექტ.; აგრ. წიგნში: „ნარკვევები ქართ. ლიტ-ის ისტ-დან“, V, 1971, გვ. 373-379.

მკვლევარი ამ წერილში ეხება „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანს, შესრულებულს შ. ნუცუბიძის მიერ 1936-39 წლებში. ამ თარგმანის შთამაგონებელი, პირველი მკითხველი, დამფასებელი და რედაქტორი ყოფილა იოსებ სტალინი. მან ყოველმხრივ შეუწყო ხელი წიგნის დაჩქარებით და მდიდრულად გამოცემას.

ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია ხელახლა გამოიცეს აღნიშნული თარგმანი იმ სახითა და მოცულობით, როგორც 1941 წელს დაიბეჭდა. გ. ა.

**284. Ал. Барамидзе**

**Несколько возрожений акад. В. М. Жирмунскому**

(К определению жанра поэмы Руставели “Витязь в барсовой шкуре”)

ჟურ. „***Лит. Грузия***“, 1969, 1, გვ. 161-163; „***Известия АН СССР (сля)***“, ტ. XXVIII, 1969, № 2, გვ. 145-147.

მკვლევარი განიხილავს აკად. ჟირმუნსკის ნარკვევს „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა...“ (1946 წ.), რომელშიც იგი ერთიმეორეს ადარებს დასავლეთ ევროპულ რაინდულ რომანებს, სპარსულენოვან აღმოსავლურ პოემებსა („შაჰ-ნამე“, ნიზამის „ლეილი და მაჯნუნი“, „ხოსროვი და შირინი“) და „ვეფხისტყაოსანს“. ჟირმუნსკის აზრით, „შაჰ-ნამე“ და ნიზამის პოემები, მათი რომანტიკული ეპიზოდებით, მოგვაგონებენ კურტუაზულ-სარაინდო რომანის ჟანრის შემქმნელს – ფრანგ კრეტიენ დე ტრუას; „ვეფხისტყაოსანი“ კი საგმირო და კურტუაზული ეპოსის საზღვარზე დგასო, თავისი დახვეწილი ფსიქოლოგიით და ქალისადმი რაინდული სამსახურის იდეით.

ალ. ბარამიძე აღნიშნავს, რომ დასახელებული თხზულებების ჟანრობრივი გაიგივება მიუღებელია. ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ ეროვნული საგმირო ეპოსის მონუმენტური ძეგლია, მასში სასიყვარულო ეპიზოდებს მცირე ადგილი უჭირავს. ნიზამის პოემები რომანტიკული თხზულებებია. „ვეფხისტყაოსანი“ მკვეთრად განსხვავდება მათგან ისევე, როგორც დასავლეთ ევროპული კურტუაზული რომანებისგან. რუსთველის თხზულება მხოლოდ გარეგნული ფორმით ჰგავს დასავლურ რაინდულ რომანებს. ის აქტიურად ეხმაურება თავისი დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებს. „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრი შეიძლება განისაზღვროს როგორც რომანტიკულ-გმირული პოემა, არსებითად კი ის ლექსით დაწერილი რომანია. გ. ა.

285. ალ. ბარამიძე

ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომი სერიოზული შეცდომებით

ჟურ. „ცისკარი", 1969, № 4, გვ. 110; აგრ. წიგნში: „ნარკვევები...", VIII, თბ., 1985, გვ. 25-62.

ავტორი აკრიტიკებს გ. იმედაშვილის მონოგრაფიას „ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა" (თბ., 1968). იგი ამ წიგნში ხედავს სერიოზულ ნაკლოვანებებს და აღნიშნავს, რომ მონოგრაფიას ახასიათებს ორიგინალობის დაჩემების ძლიერი ტენდენცია; გ. იმედაშვილს განუზრახავს გააცოცხლოს რუსთაველის მივიწყებულ მკვლევართა სახელები (ნ. ჟორდანია, ვ. ნოზაძე, შ. დოლაქიძე), ამასთან ერთად უყურადღებობას იჩენს „შინაურ მკვლევართა" მიმართ. არასწორია ავტორის მტკიცება, თითქოს შუა საუკუნეების ქართველი საზოგადოება არ იყო ანტაგონისტურ კლასებად თუ კასტებად დაყოფილი. აგრეთვე ის, რომ „რუსთაველს არ დაუხატავს უარყოფითი ტიპი".

რეცენზენტის აზრით, გ. იმედაშვილის წიგნში ბევრი მცდარი, პარადოქსული და მიუღებელი მსჯელობა და მოსაზრებაა. თუნდაც „ვეფხისტყაოსნის" შედარება „ლეილ-მაჯნუნიანისა" და „გულანდამიანის" ტიპის თხზულებებთან (გვ. 134). გ. ა.

285**a**. ალ. ბარამიძე

ვეფხისტყაოსანი

წიგნში: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბ., 1969, გვ. 246-283.

ნაშრომი წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის განკუთვნილ ნარკვევს. მასში განხილულია პოემის ავტორის ვინაობის, თხზულების სიუჟეტის ორიგინალობის, შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის და სხვა საკითხები. ავტორი ვრცლად მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის" თემატიკაზე (სიყვარული, მეგობრობა, პატრიოტიზმი), ვერსიფიკაციასა და მხატვრულ სტილზე; ცალცალკე განიხილავს მეტაფორებს, შედარებას, განმეორებას, პარალელიზმსა და აფორიზმებს. გ. ა.

285**b**. ალ. ბარამიძე

ვეფხისტყაოსნის გაგრძელებანი

წიგნში: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბ., 1969, გვ. 304-310.

ნარკვევში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერებში არსებული ძირითადი (რუსთველისეული) ტექსტის გაგრძელებების დახასიათება, როგორიცაა: ე. წ. ხვარაზმელთა ამბავი, პოემის გმირთა ანდერძები და მათი დატირება-დასაფლავება, აგრეთვე ომაინიანი, რომელშიც გადმოცემულია ტარიელის შვილის, ომაინის თავგადასავალი.

მკვლევარი ასახელებს პოემის გაგრძელებებისა და ჩანართების ზოგიერთ ავტორსაც: სარგის თმოგველს, ვინმე მესხ მელექსეს, ნანუჩა (მანუჩარ) ციციშვილს, იოსებ სააკაძეს (თბილელს), ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს, გიორგი თუმანიშვილს. გ. ა.

286. დ. ბრეგაძე

ერთი საკითხი „ვეფხისატყაოსნიდან"

საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ლიტერატურათმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, IV სამეცნ. სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1969, გვ. 10.

1. ტარიელის მამამ, სარიდანმა, თავის სამეფო შეუერთა დიდი ინდოეთის მფლობელის – ფარსადანის სამეფოს; სანაცვლოდ მიიღო „ერთი სამეფო საკარგყმო" და ამირბარობა. ამას ინდოეთის ძლიერება არ შეურყევია, რადგანაც სარიდანს „არა აქვს კეისრობა", ე. ი. არაა დამოუკიდებელი მბრძანებელი და ფარსადანს ემორჩილება.

2. ტარიელის მიერ ასმათისათვის ინდოეთის ერთი ნაწილის მიცემაც ვერ ჩაითვლება სახელმწიფოს მთლიანობის დარღვევად. ასეთი მოქმედება ფეოდალური საზოგადოების კანონზომიერებითაა შეპირობებული.

287. ს. გაბეჩავა

„ვეფხისტყაოსანი“ კლასიკურ ებრაულ ენაზე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1969, 18 აპრილი, № 16, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ ენაზე (ივრითზე) მთარგმნელის ბორის გაპონოვის ბიოგრაფიასა და პოემის მისეული თარგმანის ღირსებებს, აღნიშნავს გამოცემის მაღალ პოლიგრაფიულ დონეს. გ. ა.

288. ივ. გიგინეიშვილი

რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში

მოხსენების თეზისები საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტ. XXV სამეცნ. სესიაზე 1969 წ. 17 ივნისს. მოგვყავს შემოკლებით.

„ვეფხისტყაოსანში“ ყოველგვარი სახის წინადადებები გვხვდება: მარტივი და ერთგვარწევრებიანი, რთული შეკავშირებული (პარატაქსული) და რთული დაქვემდებარებული (ჰიპოტაქსური). ზოგჯერ რთული პერიოდებით კი მოიპოვება.

„ვეფხისტყაოსანში“ შეინიშნება რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობაც; იგი რთული დაქვემდებარებული წინადადების სახეობაა. მთავარის ბადალ ნაწილში მოიპოვება ე. წ. კორელატი სიტყვა, რომელიც ბრუნვაში შესაფერ ზმნასთანაა შეწყობილი; ზოგჯერ კიდევ ეს კორელატი სიტყვა შეიძლება გამოტოვებული იყოს, მაგრამ მისი აღდგენა შესაძლებელია. დამოკიდებული წინადადების ბადალს თავის მხრივ შეიძლება დამოკიდებული წინადადება თუ წინადებებები ახლდეს.

ნიმუშები:

პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი,
მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი.
მას ვუორგულე, წამოვე, მართ დავივიწყე ყოველი... (857).

ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი,
ნაკვთად კარგი, შავ-გრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი,
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის-მსმელი.
დია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი. (1077)
დედოფალი. ზღვასა შეიქმს, მას რომ ცრემლი დაუღვრია. (352)

ასეთივე კონსტრუქცია გვაქვს 218-ე, 249-ე, 310-ე, მე-600, 681-ე, 856-ე, 978-ე, 1018-ე, 1126-ე და მე-16 სტროფებში.

რთული წინადადების ეს თავისებური კონსტრუქცია შესაძლოა ხალხური მეტყველებიდან მომდინარე იყოს. გ. ა.

**289. М.И. Гигинейшвили**

**К вопросу о мировоззрении Руставели**

***Автореферат дис. на соиск. учен. степени канд. филол. наук, Тб., 1969. 24 с.***

დისერტაცია შედგება შესავლისა და ექვსი თავისაგან. ავტორი ცდილობს, რუსთაველის მსოფლმხედველობაში აღმოაჩინოს ძირითადი ღერძი, რომელიც განსაზღვრავს პოეტის ზოგად თვალსაზრისს, იმ ეკლექტიზმისა და სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი მიმართულების ნაცვლად, რომელთა მიმდევრად და აღმსარებლადაც მას მიიჩნევდნენ.

ავტორის დასკვნით, შოთა რუსთაველი აღმსარებლობით ქრისტიანია, მაგრამ მისი რწმენა არ შეესაბამება ორთოდოქსულ ქრისტიანობას. რუსთაველის მსოფლმხედველობის სწორად გაგებისათვის აუცილებელია ქრისტიანობის რელიგიურ-ფილოსოფიური ძირების, კერძოდ, ეზოტერული ქრისტიანობის გათვალისწინება. გ. ა.

**290. М. И. Гугушвили**

**Полемика вокруг Руставели**

*Автореферат дис. на соиск. учен. степени канд. филол. наук, Тб., 1969. 64 с.*

შინაარსი: შესავალი. I თავი – სასულიერო წოდება და „ვეფხისტყაოსანი“. II თავი – ე. წ. ადრეული რეალიზმის წარმომადგენლების პოლემიკა რუსთაველთან. III თავი – რუსთაველი და აღორძინების ეპოქის პოეტიკის საკითხები. IV თავი — „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა XVI-XVIII სს-ის ქართულ ლიტერატურაზე. გ. ა.

**291. М. Давиташвили**

**В Руствелиане – новинка**

გაზ. "*Заря Востока*", 1969, 16. II, № 40.

ინფორმაცია დ. ქუმსიშვილის წიგნის გამოსვლაზე „რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი“, თბ., 1968.

292. ბორის დარჩია

ერთი აფორიზმის გამო

ჟურ. „ცისკარი“, 1969, №12, გვ. 103-106.

წერილი ეხება აფორიზმს: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილი“, რომელსაც ერთხანს შოთა რუსთაველს მიაწერდნენ. ბ. დარჩიამ გაარკვია, რომ ეს აფორიზმი ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნის.

293. მ. დუმბაძე

შოთა რუსთაველი

***Советская историческая энциклопедия, т. 12, М., 1969, стр. 415.***

სტატიაში მოცემულია რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების მოკლე თემატიკურ-იდეური დახასიათება. აღნიშნულია, რომ ეკლესიური სქოლასტიკისაგან განსხვავებით, რუსთაველმა თავისი თხზულება მიუძღვნა ადამიანის სწრაფვას ბოროტებასთან ბრძოლისა და ამქვეყნიური ბედნიერების მოპოვებისათვის. მისი გმირები თვითონ წყვეტენ თავიანთ ბედს და გამარჯვებას აღწევენ. პოემა გამსჭვალულია ოპტიმიზმისა და რეალიზმის სულისკვეთებით. ალეგორიული ფორმით მასში ასახულია ავტორის თანამედროვე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. გ. ა.

**294. Халил Юсифов**

**Рама в тигровой шкуре**

გაზ. "*Баку*", 1969, 17. X.

მკვლევარი რუსთველის პოემის სიუჟეტს უდარებს „რამაიანას“ და აფიქსირებს მსგავს მოტივებსა და დეტალებს. „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულასთან მსგავსების მხრივ მის ყურადღებას იქცევს შემდეგი:

1. ინდოეთის ტახტის მემკვიდრეს, რამას, ცოლს მოსტაცებენ.
2. ცოლის საძებნელად გაჭრილი რამა გადაეყრება სუგრივას, რომელსაც ძმამ სამეფო ტახტი წაართვა.
3. რამა ეხმარება სუგრივას.
4. სუგრივა უყვება შემთხვევით ნანახი ქალის ამბავს, რომელიც რამას ცოლი, სიტა, ყოფილა.
5. აღმოჩნდება, რომ სიტა ქაჯებს ჰყოლიათ ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილი.
6. სუგრივა მასთან აგზავნის გრძნეულ მსახურს...
7. სიტას დასახსნელად მიდის სამი გმირი: რამა, ლაქშმანა და სუგრივა, თან მიჰყავთ სურგივას ჯარი.
8. ციხე-სიმაგრეზე იერიშის წინ თათბირობენ და რამა გამოთქვამს საბოლოო და საუკეთესო

აზრს.

9. სიტას დაიხსნიან ტყვეობიდან და ბრუნდებიან თავ-თავიანთ ქვეყნებში.

ხ. იუსიფოვი ვარაუდობს, რომ სასანურ ხანაში არსებობდა „რამაიანას“ სპარსული თარგმანი და ქართველ პოეტს საშუალება ექნებოდა გასცნობოდა მის შინაარსს. (იხ. აგრ. კრებ. „Вопросы эстетики, поэтики и текстологий литератур Востока“, т. II, М., 1977, გვ. 33). გ. ა.

295. მარტინ იშტვანოვიჩი

უნგრული რუსთველიანას სათავეებთან

კრებ. „*Vikár Béla Emlékünnepség*“. *Kaposvar-Hetes*. 1969, გვ. 16-25. ქართული თარგმანი (ჯ. გაგნიძისა) – კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 116-120.

ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ბელა ვიკარის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობის ისტორიას, რომელიც მას მ. ზიჩის რჩევით დაუწყია. აღნიშნულია, რომ თარგმნის დროს მთავარ დამხმარედ ბ. ვიკარი ასახელებდა ესპერანტოს მცოდნე გიორგი ცისკალაურს („ტიფლისანო“-ს ფსევდონიმით). იგივე პიროვნება სხვა დროს ნახსენებია „ციკლარ“-ად (წიკლაური?). მ. იშტვანოვიჩი წერს, რომ დასაზუსტებელია ამ პიროვნების გვარი და ბიოგრაფიაც. ცნობილია, რომ იგი დაიღუპა ბალკანეთის ომის დროს, 1913 წელს.

ავტორი აღნიშნავს, რომ ბ. ვიკარს 1915 წელს ბუდაპეშტში შეხვედრია გრიგოლ წერეთელი, რომელსაც ვიკარის თხოვნით გაუკეთებია პოემის ბოლო გვერდების თარგმანი გერმანულ ენაზე.

ბ. ვიკარის თარგმანი დაიბეჭდა 1917 წელს. გ. ა.

296. მარიამ კარბელაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ პარიზული ხელნაწერი, $\mathbf{P_{10}}$ **(X)**

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტ. XXIX სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1969, გვ. 8.

ეს ნუსხა გადაწერილია 1701-1702 წწ. ვინმე „ბეჟუას ქალის“ მიერ. ნაირკითხვათა ხასიათით მიეკუთვნება ე. წ. „სამეფო სახლის“ ხელნაწერთა ჯგუფს (ABC...), ოღონდ სტროფული შედგენილობით მათზე მნიშვნელოვნად მოკლეა. ამასთან ერთად, ჩანართ სტროფთა რაოდენობით და სისტემით განსხვავდება ე. წ. „მოკლე რედაქციის ხელნაწერთაგანაც (EFZ...).

სავარაუდოა, რომ „სამეფო სახლის“ ნუსხათა არქეტიპი იყო X ტიპის ნუსხა და ABCM „ვრცელი რედაქცია“ ჩამოყალიბდა ამ არქეტიპის გავრცობის შედეგად.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის ესაა ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ნაირკითხვებით იდენტური ნუსხები სტროფული შედგენილობის მიხედვით წარმოდგენილია — მოკლე (X) და ვრცელი (ABCM) — რედაქციით. გ. ა.

297. ირ. კენჭოშვილი

ქართული ლიტერატურა ინგლისურ ლიტერატურის საძიებელში

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1969, 5. დეკ., № 49, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ ინგლისში გამოიცა „ლიტერატურის მეგზური – ანტიკური სამყაროს, ბიზანტიის, აღმოსავლეთისა და აფრიკის ლიტერატურა“. მასში ქართული ლიტერატურა წარმოდგენილია ხუთი სტატიით: „სიბრძნე ბალავარისა“, რუსთაველი, ს.-ს. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და კ. გამსახურდია. სტატიების ავტორია დ. ლანგი.

რუსთაველის დახასიათებისას დ. ლანგი აღნიშნავს მისი მსოფლმხედველობის კავშირს ქრისტიანობასთან, ნეოპლატონიზმთან, „თუმცა მისთვის უცხოა შუასაუკუნეთა სქოლასტიზმი“. „მის ალეგორიულ პოემაში ცოცხლად არის წარმოსახული შუა საუკუნეთა საქართველოს ზნე-ჩვეულებანი და სულისკვეთება“. გ. ა.

298. ზურაბ კიკნაძე

დიონისესა და კრონოსის გამო „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „ცისკარი“, 1969, № 11, გვ. 119-122.

მკვლევარი წერს: რუსთველოლოგთა უმრავლესობას ეჭვი არ ეპარება, რომ „ვეფხისტყაოსანში" ნახსენებია დიონისე არეოპაგელი (ავტორი შუასაუკუნეების მისტიკური წიგნებისა) და გადმოცემულია არეოპაგიტული მოძღვრების არსი (სტრ. 1492).

ამასთანავე ზ. კიკნაძე უარყოფს დ. ქუმსიშვილის მსჯელობას დივნოსისა (1492) და დიონოსის (177) იგივეობის შესახებ, თითქოს ორივეში ძველი ბერძნული მითოლოგიის ღმერთი დიონისე (ზევსისა და სემელეს ძე) იგულისხმება.

ზ. კიკნაძე მიუთითებს, რომ დიონისე (ღვინის ღვთაება) ორგიასტული ღმერთია, ამიტომ შეუძლებელია მისი განწყობა იყოს გადმოცემული 177-ე სტროფში, რადგან ეს მთლიანად ცვლის ჩვენს წარმოდგენას რუსთაველის მსოფლმხედველობაზე. მკვლევარი მხარს უჭერს წაკითხვას „მე დივანი ბრძენის ეზროს" (პ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე), რომელშიც სადავო „დიონოსი" აღარ ჩანს.

ზ. კიკნაძე აღნიშნავს, რომ დ. ქუმსიშვილს არასწორად ესმის 1415-ე სტროფის შინაარსი. კრონოსმა კი არ დაამხო ცა ქაჯებს თავზე, არამედ თვითონ დაიღუპა მათთან ერთად. „ვეფხისტყაოსნის" ქაჯები, 1415-ე სტროფის ნართაული აზრით (მეტაფორულად) კრონოსსა და ტიტანებს განასახიერებენ, ხოლო პოემის გმირები იმ ნათელ ღმერთებს ედრებიან, რომელნიც ზევსის წინამძღოლობით ამხობენ კრონოსის სასტიკ მეუფებას. გ. ა.

299. დავით კობიძე

## რუსთაველი და სპარსული ლიტერატურა

წიგნში: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969, გვ. 93-95.

ავტორი განიხილავს ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის მნიშვნელოვან საკითხებს.

კლასიკური პერიოდის ირანელ პოეტთა შორის, პოეტური აზროვნების, მხატვრული სახეების, შედარება-მეტაფორების გამოყენების თვალსაზრისით, რუსთველი უფრო მის უფროს თანამედროვე ნიზამის ემსგავსება. რუსთველი, როგორც ეს დაამტკიცა კ. კეკელიძემ, იცნობდა ნიზამის პოემას „ლეილმაჯნუნიანს". მას, როგორც ჩანს, ნიზამის მეორე პოემა „ხოსროვშირინიანიც" უნდა სცოდნოდა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ორივე პოემაში ზოგიერთი მოტივებისა და ეპიზოდის მსგავსება, აგრეთვე ორივე პოეტის მიერ გამოყენებული ზოგიერთი მხატვრული ხერხის სიახლოვე.

საინტერესოა, რომ პოემის „ხოსროვ ო შირინის" დასკვნით ნაწილში, სადაც ნიზამი მისი მტრებისა და მეტოქეთა შესახებ ლაპარაკობს, ერთი რომელიღაც ქრისტიანი პოეტი იხსენიება. მთავარი ის არის, რომ მხატვრული სიტყვის ეს ორი შესანიშნავი ოსტატი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებულ მსოფლმხედველობის ნიადაგზე დგანან, რაც მათ მხატვრულ აზროვნებასა და გამომსახველობითი ხერხების გამოყენებაში ვლინდება. ნ. რ.

300. დ. კობიძე

## ჯამი და ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი
## (რუსთველის კაენ და სალამან)

წიგნში: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969, გვ. 180-187.

ნარკვევი ეხება „ვეფხისტყაოსანში" მოხსენიებული კაენისა და სალამანის ვინაობას: „მისნი ვერ გასძლნეს პატიჟნი ვერ კაენ, ვერცა სალამან" (1340). ავტორი მართებულად მიიჩნევს ნ. მარისა და კ. კეკელიძის მოსაზრებას, რომლებმაც „ვეფხისტყაოსნის" კაენი „ლეილმაჯნუნიანის" გმირ ყაისად იცნეს. „ლეილმაჯნუნიანის" ყაისი, ლეილისაგან დაშორებული, ველად გაჭრილა, სისხლის ცრემლებს აფრქვევს და გაწამებულ სიცოცხლის დღეებს მხეცთა და ნადირთა შორის აღამებს. ტარიელის მძიმე განცდების დასახატავად, რუსთაველმა იგი ყაისს შეადარა: მის ტანჯვას კაენიც (ყაისიც) ვერ გაუძლებდაო.

ნ. მარისა და იუსტინე აბულაძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის" სალამან არის სპარსული თხზულების „სალამან და აბსალის" გმირი, თუმცა არა ჯამისა, არც იბნ-ისჰაყისა, არამედ ანონიმური ვერსიის სალამანი, რომელიც ყაისის მსგავსი მიჯნურია, მასავით ლხინუნახავი და სისხლის ცრემლების მფრქვეველი. ნ.რ.

301. დ. კობიძე

## „ვეფხისტყაოსნის" ფრაზეოლოგიური ლექსიკონი"

წიგნში: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969, გვ.309-312.

ავტორი აღნიშნავს, რომ შ. ღლონტის წიგნით საშუალება გვეძლევა თვალი მივადევნოთ შორეული დროიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნემდე ქართული სასულიერო, საერო, საისტორიო და ფილოსოფიური ფრაზეოლოგიის გავრცელების არეს, რუსთველის პოეტური მეტყველების გავლენებს და მის თავისებურებებს.

დ. კობიძე მიუთითებს, რომ შ. ღლონტის მიერ არჩეული გზა რუსთველის პოეტური აზროვნების, აღმოსავლური, კერძოდ სპარსული პოეზიის მონაცემებთან მიმართების კვლევის თვალსაზრისით ერთადერთი და სწორი გზაა.

ქართველი ირანისტების გადაუდებელი ამოცანაა, გულდასმით შევისწავლოთ რუსთველის პოეტური აზროვნება და განვიხილოთ მისი ურთიერთობა სპარსულ პოეზიასთან, არა ძველი მიდგომითა და მეთოდებით, არამედ ახალი თვალთახედვით, უფრო ღრმად, ვიდრე ამას ოდესმე იკვლევდნენ. მაშინ შესაძლებელი გახდება უფრო ნათლად დავინახოთ ის გარემოება, რომ რუსთველი ჭეშმარიტად სხვაგვარად მოაზროვნეა, ის არ ექვემდებარება ირანელ პოეტებს, მას სულ სხვა პოეტური ბუნება და სამყარო გააჩნია. ნ.რ.

302. დ. კობიძე

## ვისრამიანის საკითხები
## (ლექსიკის შესახებ)

წიგნში: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969, გვ. 40-84.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვისრამიანი" (ქართული რედაქცია) რამდენიმე ათეული წლით მაინც უსწრებს რუსთაველის ქმნილებას. მათ შორის ბევრია საერთო ლექსიკის, ცალკეული გამოთქმებისა და სხვა ენობრივი მონაცემების თვალსაზრისით.

„ვეფხისტყაოსანში" გვხვდება სიტყვა ბასრი და ბასრისა: „ჩემი გაჰკვეთს ხორცსა მათსა ხრმალი ბასრი, შუბი ახე". აქ ხრმალი ბასრი ნიშნავს ფოლადის ხმალს და არა მჭრელ ხმალს. „ჯაჭვ-მუზარადი, ალმასი ხრმალი ბასრისა მჭრელიო", დ. კობიძის აზრით, აქაც „ხრმალი ბასრისა" ნიშნავს ფოლადის ხმალს. იგი არ ეთანხმება ა. შანიძის განმარტებას, რომლის მიხედვითაც „ბასრისა" ნიშნავს ბასრულს (ქალაქ ბასრადან).

„ვისრამიანის" ქართულ-სპარსული ტექსტების სათანადო ადგილების შეჯერების შედეგად გაირკვა, რომ „მტერიანი" ნიშნავს ბნედიანს, ავზნიანს, ეპილეფსიით შეპყრობილს.

„მტერ–დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახვიდიან,
სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან".

რამინი და ტარიელი, ჩანს, ერთნაირ მდგომარეობაში აღმოჩნდენ, როცა მათ გულის დამატყვევებელი არსებანი დაინახეს: ძალი დაკარგეს, დაბნდნენ და უსულოდ დაეცნენ.

წერილში აღნიშნულია, რომ „ვისრამიანმა" არ იცის სიტყვა ბალიში. თარგმანში მხოლოდ სასთაულია გამოყენებული. „ვეფხისტყაოსანში" ბალიში რამდენჯერმე გვხვდება, სასთაული კი მხოლოდ ერთხელ.

„ვისრამიანისა" და „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკის კვლევა გვარწმუნებს, რომ მთელი რიგი სიტყვების გამოყენებით „ვისრამიანი" შორდება „ვეფხისტყაოსანს".

ნ. მარმა „ვეფხისტყაოსნის" მულღაზანზარი წაიკითხა როგორც მულღაზარ-შაჰრი – მდელოების ქალაქი. იუსტინე აბულაძემ „ვეფხისტყაოსნის" 1914 წლის გამოცემისათვის გაიზიარა მარისეული განმარტება.

დ. კობიძის აზრით, მულღაზანზარი თუ მულღაზარზარი გაუმართლებელი ფორმაა. იგი არ შეიძლება „ვეფხისტყაოსნის" ავტორის ხელიდან იყოს გამოსული.

სიტყვა მულღაზარი საბას განმარტებით სავარდეა, კ. კეკელიძის მიხედვით იგი ბაღს ნიშნავს; ი. ქავთარაძე მას ვარდიან მინდორად განმარტავს.

ყველა აქ ჩამოთვლილი მნიშვნელობანი სწორია და სათანადო კონტექსტისთვის გამოსადეგი. მულღაზარს შესაძლებელია, ბუჩქნარისა და წარაფის (წვრილი ტყის) მნიშვნელობაც ჰქონდეს.

ირკვევა, აგრეთვე, რომ მინდორი და ველი „ვეფხისტყაოსანშიც", ისევე როგორც „ვისრამიანში", ენაცვლება ერთმანეთს და ორივე სიტყვა ზოგჯერ უდაბნოს მნიშვნელობითაა გამოყენებული.

„ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონში შეცდომითაა განმარტებული ჯამი (ხის საინი). ირკვევა, რომ „ვეფხისტყაოსნის" ჯამი ფეროზის, ლალის, ოქროსა და იაგუნდისგანაა გაკეთებული.

„ვისრამიანსა" და „ვეფხისტყაოსანში" გვხვდება სიტყვა ერთსახე. „ხმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთსახესა". „ცრემლი წასდის ერთ-სახე". ავტორი ეთანხმება იუსტინე აბულაძის გან-

მარტებას და დაასკვნის, რომ „ერთსახეს“ მთლიანის, ერთიანის (აქედან: გაბმულის, მიყოლებულის, განუყოფელის) მნიშვნელობას აქვს.

დ. კობიძე წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს სიტყვა „ვეფხის“ ხმარებისას უეჭველად ის ცხოველი ჰყავს მხედველობაში, რომელსაც ირანელები ფალანგს ეძახიან. „ფალანგი“ კი ხალებიანი ცხოველია, მას როგორც XII საუკუნის, ისე მომდევნო ხანის ქართველები „ვეფხად“ თარგმნიან. ნ. რ.

303. ნოდარ კოჭლაშვილი

არაბი სტუმრის ნობათი

ჟურ. „დროშა“, 1969, № 3, გვ. 9.

ავტორი წერს, რომ სირიელი პოეტი ნიზარ ხალილი თარგმნის „ვეფხისტყაოსანს“ არაბულ ენაზე. ფრანგული, ინგლისური და სომხური თარგმანების მეშვეობით იგი ჯერ პროზაულ თარგმანს აკეთებს, შემდეგ დაიწყებს მის გალექსვას. მან არაბულად თარგმნა აგრეთვე ა. კალანდაძისა და ი. ნონეშვილის ლექსები. განზრახული აქვს ნ. ბარათაშვილის პოეზიის თარგმნაც. გ. ა.

304. დ. ლანგი

შოთა რუსთაველი

ცნობარი: „ლიტერატურული მეგზური“, ლონდონი, 1969, გვ. 302, ინგლისურ ენაზე. ქართული თარგმანი (ნ. საყვარელიძისა) – კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, I, თბ., 1976, გვ. 407.

სტატიაში მოცემულია მოკლე ცნობები რუსთველსა და მის თხზულებაზე. ავტორი წერს: „პოემაში ბევრი რამ ალეგორიულია, მასში წარმოდგენილია შუა საუკუნეების საქართველოს სულისკვეთება და ზნე-ჩვეულებათა სურათი. რაინდობისა და კურტუაზიული სიყვარულის კულტი, რაც ასე აშკარაა ნაწარმოებში, იძლევა საფუძველს ვილაპარაკოთ მის მსგავსებაზე დასავლეთის ტრუბადურთა პოეზიასთან. ნეოპლატონიზმს ნაზიარები რუსთველი იჩენს ფსიქოლოგიურ სიღრმესა და ფილოსოფიურ სიბრძნეს...

მიუხედავად იმისა, რომ რუსთველი პატივისცემით ეკიდება ქრისტიანობას, მისთვის უცხო და მიუღებელია შუა საუკუნეთა სქოლასტიზმი“. გ. ა.

**305. И. Лисичник**

**Мост над языковым океаном**

**(История перевода “Витязя в тигровой шкуре на венгерский язык)**

გაზ. „*Молодежь Грузий*“, 1969, 11. III, № 29, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ უნგრულ ლიტერატურას 1912 წელს შეემატა რუსთაველის პოემის თარგმანი ესპერანტოს ენაზე. მხატვარ მიხაი ზიჩის რჩევითა და წაქეზებით მასზე მუშაობა დაიწყეს ენათმეცნიერმა და მწერალმა ბელა ვიკარმა და ესპერანტისტმა შანდორ გისვეინმა. მათი მიწვევით თბილისიდან ჩავიდა პოეტი და ესპერანტისტი გიორგი წიკლაური. ესპერანტო აღმოჩნდა ის ხიდი, რომელმაც შეაერთა ეს ენთუზიასტი მოღვაწეები და მათი ერთობლივი შრომა წარმატებით დასრულდა.

წერილის ავტორი გვაცნობს გ. წიკლაურის ბიოგრაფიას. ის გუდამაყრის ხეობიდან ყოფილა. რევოლუციური საქმიანობისთვის გადასახლებული იყო ციმბირში, საიდანაც მღვდლად გადაცმული გაიქცა საზღვარგარეთ; იყო შვედეთში, დანიაში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიასა და იტალიაში. მისი ლექსები ესპერანტოს ენაზე პირველად პარიზში გამოქვეყნდა, შემდეგ ესპანეთში წიგნად გამოსცა ბარსელონის ესპერანტისტთა საზოგადოებამ. გ. ა.

306. ჯიბო ლომაშვილი

„მე, რუსთველი, ხელობითა...“

ჟურ. „მნათობი“, 1969, № 4, გვ. 142-148.

მკვლევარი არ ეთანხმება პოემის მე-8 სტროფის პირველი ტაეპის შინაარსის ტრადიციულ გაგებას: მე, რუსთველი, ხელობის გამო (=შმაგობით, სიყვარულის გამო გახელებით) ვიქმ ამ საქმეს. მას „ხელობა“ მიაჩნია საქმიანობის, პროფესიის, ამ შემთხვევაში — პოეტობის, მწერლობის აღმნიშვნელ ტერმინად; წერს, რომ ნ. მარის განმარტებით, „ხელი“ არაბული ტერმინის „მეჯნუნის“ შემცველია,

ხოლო კავკასიურ სარაინდო პოეზიაში ნიშნავს: შეყვარებულს, თავის განცდების მომღერალს, საერთოდ — პოეტს (დამოწმებულია ნ, მარი, „ვეფხისტყაოსნისა და ვისრამიანის საკითხები", რუსულად, თბ., 1966, გვ. 99). გ. ა.

### 307. М. Мамиствалишвили, М. Джанашвили
### Ещё один перевод

გაზ. "*Вечерний Тбилиси*", 1969, 25 ივნისი, №147, გვ. 3.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის" ებრაული თარგმანის გამოცემას. ავტორები აღნიშნავენ, რომ ეს არის საუკეთესო თარგმანის საუკეთესო გამოცემა. წიგნი დაიბეჭდა ტელ-ავივში. მასში შედის პოემის 1669 სტროფის თარგმანი, შესრულებული ბ. გაპონოვის მიერ კლასიკურ ებრაულ (ივრიტი) ენაზე. წიგნს ერთვის რედაქტორის ა. შლიონსკის წინასიტყვაობა, ხოლო ბოლოს – ალ. ბარამიძის ვრცელი გამოკვლევა რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. აქვე დაბეჭდილია 40 ფერადი ილუსტრაცია შ. ამირანაშვილის განმარტებებით. გ. ა.

### 308. Л. И. Маруашвили
### Загадка географического фона поэмы Руставели и опыт ее решения

***Известия АН СССР, серия геогр., 1969. № 2. стр. 38-46.***

მკვლევარი ცდილობს დაადგინოს პოემაში დასახელებული გეოგრაფიული ადგილების (ქვეყნები, ქალაქები, კონკრეტული სახელწოდების გარეშე ხსენებული ცნებები: „დიდი ზღვა", მაღალი მთები, ტარიელის ქვაბოვანი და მისთ.) მდებარეობა, განსაზღვროს პერსონაჟების მოგზაურობის მარშრუტები, მანძილი დასახელებული პუნქტებს შორის და მგზავრობისთვის საჭირო დრო.

მისი დასკვნით, პოემის მოქმედება რუსთაველმა გაშალა დიდი სივრცის რეალურ ფონზე, რომელიც მოიცავს ინდოეთის ოკეანის დასავლეთ ნახევარს და მის აუზში მდებარე ქვეყნებს (ინდოეთი, არაბეთი, ტანზანია, მაგადასკარი), აგრეთვე – შიდა აზიის ნაწილს (ტიბეტი, ხატაეთი), „ვეფხისტყაოსნის" გეოგრაფიული არეალი თითქმის ემთხვევა შუასაუკუნეების მუსულმანული სამყაროს საზღვრებს.

„უცნობი" გეოგრაფიული ობიექტები ლოკალიზდება შემდეგი სახით: 1) ტარიელის ქვაბოვანი – ნახ.-კუნძულ სომალის რაიონი; 2) მულღაზანზარის სამეფო – ტანგანიკის ნაპირი + კუნძ. ზანზიბარი; 3) ქ. მულღაზანზარი – ქ. ბაგამოიო; 4) ავთანდილის შეხვედრის ადგილი ბაღდადელ ვაჭრებთან – სომალის ნაპირი მოზამბიკთან ახლოს; 5) გულანშარო – ლანჯანი მახაჯამბოს ბუხტაში, მადაგასკარის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე; 6) ქაჯეთის სამეფო – ქ. ტანანარივეს რაიონი (მადაგასკარზე). გ. ა.

### 309. ელენე მაჭავარიანი
### შოთა რუსთაველის პორტრეტი ე. წ. ზაზასეული „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერიდან

„პალეოგრაფიული ძიებანი", II, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებული, თბ., 1969, გვ. 51-58.

მკვლევარი განიხილავს ე. წ. ზაზასეული (Q-1082) ხელნაწერის მხატვრული გაფორმებისა და მასში არსებული რუსთაველის სურათის ისტორიას და აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

შოთა რუსთაველის პორტრეტი და ხელნაწერის ოქროთი მოხატული ბორდიურები გადმოტანილია სხვა უფრო ძველი ხელნაწერიდან.

ამ ხელნაწერის გაფორმების შედარება სხვა, მოხატული ბორდიურების მქონე ნუსხებთან (H-54 და H-2074) იძლევა დათარიღების შესაძლებლობას, ის მიეკუთვნება XVIII ს-ის ან მის უფრო წინარე ხანას. გ. ა.

### 310. ი. მეგრელიძე
### კვლავ „კარაბაკ" — „ჩაკარაბაკების" გამო

გაზ. „თბილისი", 1969, 27 იანვ., № 22, გვ. 3.

ავტორი ეხმაურება ამავე საკითხზე გამოქვეყნებულ ე. ქურდიანისა და ი. ანდრიაშვილის წერილებს. მისი თქმით, ე. ქურდიანი ახალს არაფერს გვთავაზობს (იგი იმეორებს დ. ჩუბინაშვილის განმარტებას). ი. ანდრიაშვილის ვარაუდი კი, რომ კარაბაკი კარის ზღურბლი ან კარის ჩარჩოა – სადავოა, ვინაიდან ძველ ქართულში „კარაბა" თიხის დოქს ეწოდებოდა. მას ჭურჭლის მნიშვნელობა აქვს საშუალ

ქართულშიც (ზ. ფანასკერტელი, სულხან-საბა).

ი. მეგრელიძე ადრე წერდა (ლიტ. ძიებანი, 1963, ტ. XV): კარაბაკი კარისა და ბაკ-ისაგან შედგენილი სიტყვა უნდა იყოსო. წინამდებარე წერილშიც ამავე აზრს ემხრობა. გ. ა.

**310a. И. Мегрелидзе**

**Подлинный поэт**

(К 60-летию со дня рождения П. Петренко)

ჟურ. "*Лит. Грузия*", 1969, № 1, გვ. 188-190.

ავტორი წერს პ. პეტრენკოს ცხოვრებასა და მთარგმნელობით საქმიანობაზე; აღნიშნავს, რომ იგი მრავალმხრივი ნიჭის მფლობელი იყო, წერდა ლექსებს რუსულ და უკრაინულ ენებზე, თარგმნიდა ფრანგ პოეტებს უკრაინულად. მან ძალიან მოკლე დროში შეასრულა უზარმაზარი სამუშაო „ვეფხისტყაოსნის" თარგმანზე, რასაც შეიძლება შემოქმედებითი გმირობა ეწოდოს. მისი რუსული თარგმანი (კ. ჭიჭინაძის მონაწილეობით) დაიბეჭდა 1938 წელს. გ. ა.

311. ლ. მენაბდე, ა. ხინთიბიძე

შევადგინოთ „ვეფხისტყაოსნის" რითმათა სიმფონია

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 1969, 19 დეკ., № 39.

ავტორები აღნიშნავენ, რომ ცნობილია რითმების სიმფონია-ლექსიკონის საჭიროება, მაგრამ ჯერ ჩვენთან არაფერი გაკეთებულა. სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია ამ საქმის დაწყება „ვეფხისტყაოსნით". კ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილი რითმების ინდექსი (1934 წ.) დღევანდელ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს. თსუ-ს რუსთაველის კაბინეტმა გადაწყვიტა შეადგინოს „ვეფხისტყაოსნის" რითმების სიმფონია, რომელიც აგებულ უნდა იქნე სარითმო სიტყვებზე და არა სარითმო კლაუზულებზე.

სიმფონია გამოავლენს პოემის რითმათა ლექსიკურსა და ევფონიურ სიმდიდრეს, აგრეთვე რუსთველის დამსახურებას ქართული ლექსის რითმის ისტორიაში. გ. ა.

312. ბაბო მჭედლიძე

„ვეფხისტყაოსანი" ინგლისურ ენაზე

ჟურ. „საქართველოს ქალი", 1969, № 3, გვ. 15-16.

ავტორი აღნიშნავს, რომ თბილისში „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი". ეს არის პირველი პოეტური თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ვენერა ურუშაძეს. თარგმანს ახლავს ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის დ. ლანგის წინასიტყვაობა, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს ვ. ურუშაძის ნაშრომს.

წერილში მოყვანილია უცხოელი მწერლებისა და მეცნიერების გამოხმაურებანი – ინგლისიდან, აშშ-დან, იტალიიდან, ავსტრიიდან, რუსეთიდან. გ. ა.

**313. И. Надареишвили, Ю. Орлов**

**Об употреблении слов различной частотности в поэме Ш. Руставели "Витязь в тигровой шкуре"**

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 55, 1969, № 2, გვ. 505-508.

ნარკვევში განხილულია სხვადასხვა სიხშირით ხმარებულ სიტყვათა განაწილება ლექსის სტრიქონში. ავტორები ადგენენ, რომ პოემაში იშვიათად (თითოჯერ) გამოყენებული სიტყვები ძირითადად განლაგებულია სტრიქონის ბოლოს (რითმებში). ხშირი ხმარების სიტყვები კი, პირიქით, „გაურბიან" სტრიქონის დაბოლოებას. საშუალო სიხშირით (16-დან 32-მდე) ხმარებული სიტყვები განაწილებულია პოემის სტრიქონებში სრულიად შემთხვევით.

გამოკვლევას ახლავს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. გ. ა.

314. შალვა ნუცუბიძე

კრიტიკული ნარკვევები

(ლიტერატურა და ფილოსოფია), თბ., 1969.

წიგნში დაბეჭდილი რამდენიმე ნარკვევი ეხება რუსთველოლოგიის პრობლემებს. მათგან: „რუსთაველი და რენესანსის ფარგლების პრობლემა" და „პეტრე იბერი რუსთაველის სიტყვახმარებაში" პირველად გამოქვეყნდა 1965 წელს (იხ. „ბიბლიოგრაფიის" II ტომში). სხვა ნარკვევები: „მთლიანი ვეფხისტყაოსნის პრობლემა", „რუსთაველის მსფლიო მნიშვნელობა", „რუსთაველი და მსოფლიო კულტურა", „რუსთაველი და ქართველი მოაზროვნენი", „რუსთაველის ერთი სტილისტური ხერხის არეოპაგიტული ძირები", „ადამიანი „ვეფხისტყაოსანში" და მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური გარემო", „ძმობისა და ხალხთა მეგობრობის იდეა „ვეფხისტყაოსანში" — ყველა დაიბეჭდა 1966 წელს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში (იხ. „ბიბლიოგრაფიის" III ტომში).

**315. Д. Радо**

**Венгерская критическая литература о поэме “Витязь в тигровой шкуре” Шота Руставели и о венгерских переводах, иллюстрациях и изданиях поэмы**

„ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებ. II, თბ., 1969, გვ. 5-23.

ავტორი წერს, რომ რუსთაველი და მისი პოემა უნგრეთის საზოგადოებრიობამ მიხაი ზიჩის წერილებისა და ილუსტრაციების საშუალებით გაიცნო. ეთნოგრაფმა და მთარგმნელმა ბელა ვიკარმა დაიწყო ენის შესწავლა, რათა ორიგინალიდან ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი". მაგრამ ქართულის, მით უფრო რუსთაველის ეპოქის ენის, სრულყოფილად დაუფლება შეუძლებელი აღმოჩნდა. მას დამხმარე და თანამოსაქმე გამოუჩნდა – ევროპული ენებისა და ესპერანტოს მცოდნე გიორგი წიკლაური საქართველოდან. მათ ერთად თარგმნეს რუსთაველის პოემა, რომელიც 1917 წელს ბუდაპეშტში დაიბეჭდა სათაურით: „რუსთაველი. ტარიელი, ვეფხისტყაოსანი ჭაბუკი" (ბელა ვიკარის თარგმანი, 232 გვ., მ. ზიჩის 26 სურათით). პოემა დაყოფილია 47 თავად და შეიცავს 1545 სტროფს.

ავტორი ვრცლად მიმოიხილავს იმ მრავალგზის გამოხმაურებას, რაც ამ გამოცემას მოჰყვა უნგრულ ჟურნალ-გაზეთებში.

1954 წელს გამოვიდა ახალი უნგრული თარგმანი, პოეტ შანდორ ვეორეშისა. მხატვრული თვალსაზრისით ეს პირველ თარგმანზე უკეთესია. „ვეფხისტყაოსნის" ვეორეშისეულ თარგმანს დადებითი შეფასება ჰქონდა უნგრულ პრესაში. გ. ა.

316. პროკოფი რატიანი

ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის

თბ., 1969, 222 გვ.

ეს ნაშრომი პირველად 1968 წელს გამოქვეყნდა (ჟურ. „მნათობი", №№ 2-5). წიგნად დაბეჭდილში რამდენიმე სტილისტური გასწორებაა შეტანილი, ძირითადი დებულებები და არგუმენტაცია პირვანდელია. ოღონდ აქ გამოკვლევას ერთვის „ისტორიულ-ლიტერატურული საბუთები რუსთველზე" (გვ. 171-220). ესენია ნაწყვეტები ისტორიული თხზულებებიდან და სამართლებრივი დოკუმენტებიდან, რომლებიც, მკვლევრის აზრით, შეიცავენ დამატებით მასალას შოთა რუსთველის სამღვდელო წოდებისადმი კუთვნილების მტკიცებისათვის.

ავტორის მთავარი თეზისია, რომ „ვეფხისტყაოსნის" ავტორი იყო სასულიერო პირი, ქ. რუსთავის ეპარქიის მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი ან მთავარეპისკოპოსი და ამიტომ იწოდებოდა რუსთველად. ამ თეზისის დამტკიცებას პ. რატიანი ცდილობს შემდეგი არგუმენტებით: 1) „რუსთველი ეწოდებოდა სასულიერო პირს, რუსთავის ეპარქიის მეთაურს. მის პარალელურად ასეთივე საერო გვარწოდების არსებობა შეუძლებელი იყო. 2) პოემის „დასაწყისში" გამოყენებულ გამოთქმას „მე, რუსთველი ხელობითა" ეს შინაარსი აქვს: მე, ჴელობით (საჴელოს ფლობით, თანამდებობით) რუსთველი (რუსთავის ეპისკოპოსი)... 3) სერაპიონ საბაშვილის მიერ გალექსილ „როსტომიანის" ერთ ჩანართში საუბარია „ბერებსა" და „მარტვილებზე". პ. რატიანის აზრით, ეს ბერები და მარტვილები შოთა რუსთაველი და ბაგრატ მუხრანბატონი არიან. 4) მკვლევარს მიაჩნია, რომ აღორძინების ეპოქის მწერლები, მათ შორის:

მეფე არჩილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ანტონ I და ტიმოთე გაბაშვილი შოთა რუსთველს სასულიერო პირად თვლიდნენ. 5) იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ფრესკაზე შოთას პორფირ-ბისონი აცვია, რომლის ტარების უფლება ჰქონდათ მეფეს და დიდი ეპარქიების მღვდელმთავრებს.

ამ ნაშრომზე დაიბეჭდა კრიტიკული გამოხმაურებანი, რომელთა ავტორები პ. რატიანის არგუმენტებს ტენდენციურად და არასწორად თვლიან და მის ძირითად დებულებას დაუსაბუთებელ ჰიპოთეზად მიიჩნევენ [იხ. აქვე, ანოტაციები №№ 192, 335, 341]. გ. ა.

317. პ. რატიანი

ისევ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობაზე

ჟურ. „ცისკარი“, 1969, № 11, გვ. 123-138; № 12, გვ. 107-127.

ამ წერილში ავტორი იცავს თავის ნაშრომს — „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის“, რომელიც გააკრიტიკეს რუსთველოლოგებმა: ალ. ბარამიძემ, ელ. მეტრეველმა, ს. ცაიშვილმა. მისი აზრით, მეცნიერთა მიერ პრესაში გამოქვეყნებული წერილის არც ერთი შენიშვნა საფუძვლიანი არ არის; ამ ნაშრომის სერიოზული და არსებითი საკითხები მათ არ განუხილავთ, კორექტურული შეცდომის მნიშვნელობა გააზვიადეს, გამოედევნენ ცალკეულ სიტყვებს და მიზნად დაისახეს არა ჭეშმარიტების გამორკვევა, არამედ მოპირდაპირის როგორმე გამტყუნება.

შემდეგ ავტორი ცალ-ცალკე ჩერდება მის გამოკვლევაში განხილულ საკითხებზე, კვლავ ძველ არგუმენტებსა და დასკვნებს იმეორებს და რჩება იმ თვალსაზრისზე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სასულიერო პირი, რუსთავის ეპისკოპოსი იყო და ამიტომ ატარებდა „რუსთველის“ წოდებას. გ. ა.

318. შოთა რევიშვილი

ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობიდან
(XX ს. 50-იან წლებამდე), თბ., 1969.

ზოგად მიმოხილვაში ავტორი აღნიშნავს, რომ არტურ ლაისტმა ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის დახმარებით გერმანულ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 1903 წელს გამოვიდა დრეზდენში. ეს იყო უცხო ენაზე ამ პოემის ლექსად თარგმნის პირველი შემთხვევა (გვ. 39).

46-ე გვერდზე ავტორი წერს: ჰუგო ჰუპერტმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „ხელი მოჰკიდა უმძიმესსა და საპატიო საქმეს, რომელიც წარმატებით დააგვირგვინა. მან გერმანულად თარგმნა და გამოსცა შოთას უკვდავი პოემა“. გ. ა.

319. შ. რევიშვილი

შოთა ამეტყველდება ჰეგზამეტრით

გაზ. „თბილისი“, 1969, 2 ოქტ., № 232, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ გერმანულ ენაზე თარგმნის დასავლეთ გერმანელი მწერალი ჰერმან ბუდენზიგი. მას კონსულტაციას უწევენ ქართველი რუსთველოლოგები და გერმანისტები. ბუდენზიგმა გადაწყვიტა, რომ რუსთველის თხზულება ჰეგზამეტრით თარგმნოს, მაგრამ ეს მეტრი არ იქნება წმინდა კლასიკური, ბერძნული ჰეგზამეტრი. მთარგმნელი იყენებს გოეთესა და ფოსის მეშვეობით გერმანულ ენაში პროსოდიის შესაბამისად დამკვიდრებულ საზომს, რომელშიც მახვილიანი და უმახვილო მარცვლების შეხამებით, მარცვალთა რაოდენობა სტრიქონში სხვადასხვა (თხუთმეტიდან თვრამეტამდე). გ. ა.

319**a**. შ. რევიშვილი

ქართული ლიტერატურის გერმანელი მკვლევარები

ჟურ. „ცისკარი“, 1969, № 5, გვ. 143-150.

ავტორი განიხილავს გერმანელი მკვლევარების: ფ. ალტერის, ფრ. ბოდენშტედტის, არტურ ლაისტის, იოჰანეს შერის, ფრანც ნიკოლაუს ფინკის, ოტო ჰაუზერის, ანტონ ბაუმშტარკის ნაშრომებს, რომლებშიც მოიპოვება ქართული მწერლობის ზოგადი მიმოხილვა და მოკლე ცნობები და გამონათქვამები რუსთაველზე და მის თხზულებაზე. გ. ა.

320. არჩილ რუგოშელი

მკლავ უგრძესითა კი არა, კვლა უგრძესითა

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1969, 7 თებ., № 6.

წერილი ეხება 195-ე სტროფის მე-3 სტრიქონს:

„ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავ-უგრძესითა.

მკვლევარი აჯამებს პოლემიკას, რაც ამ ტაეპის გამო მიმდინარეობდა 1956-1966 წლებში; აღნიშნავს, რომ ტექსტი ნამდვილად დაზიანებულია და ა. შანიძემ გრამატიკულად გამართა იგი („მკლავს უგრძესითა“). მაგრამ არც ეს წაკითხვა არის სწორი, რადგან როსტომი ცნობილ იყო არა გრძელი მკლავებით, არამედ გრძელი ისრებით და ავთანდილის ისარიც მის ისართან უნდა იყოს შედარებული. როგორც „შაჰ-ნამეში“ წერია, „განგმირა როსტომმა აშქაბუსი... ხაყანმა კაცი გაგზავნა და აშქაბუსის სხეულიდან როსტომის ისარი ამოაძრობინა. ფრთებამდე სისხლში იყო ამოვლებული ისარი, სიგრძით კი შუბი ეგონებოდა კაცსა. შეშინდა ხაყანი, ეს ვინ ყოფილან, ისრად შუბებს ხმარობენო“.

ა. რუგოშელის აზრით, რუსთველისეულ ტექსტში უნდა ყოფილიყო: „ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის კვლა უგრძესითა“ — ნადირს კლავდა ხოლმე როსტომის ისარზე კიდევ უფრო გრძელი ისრით.

კვლა (კულა) ამავე მნიშვნელობით („კიდევ უფრო“) გვხვდება ვეფხისტყაოსანში (226, 139) და ძველი ლიტერატურის სხვა ძეგლებში. გ. ა.

321. შოთა რუსთველი

ვეფხისტყაოსანი

შესავალი, ტექსტი ვარიანტებითა და შენიშვნებით.
თბ., 1969, 16 გვ., ტირაჟი 100 ცალი.

წიგნაკი გამოცემულია გრიფით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია.

ესაა წინასწარი ნიმუში რუსთველის თხზულების აკადემიური გამოცემისა, რომლის მომზადებაზეც ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობდა. წიგნაკში დაბეჭდილია პოემის „დასაწყისის“ 16 სტროფი. ყოველ სტროფთან მოცემულია ცნობები ხელნაწერებში მისი არსებობის (აგრ. დაზიანების, აღდგენის...) შესახებ. შემდეგ ნაჩვენებია თითოეული სიტყვის ვარიანტები (საირკითხვანი) ხელნაწერებსა და გამოცემებში. საჭიროების შემთხვევაში, რუსთველის ეპოქის წერილობითი ძეგლებიდან სათანადო ფორმებისა და გამოთქმების დამოწმებით დასაბუთებულია ძირითადი წაკითხვის უპირატესობა და მართებულობა. გ. ა.

322. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

ქართულიდან ებრაულად თარგმნა ბორის გაპონოვმა. თელ-ავივი, 1969, XVI+ 376 გვ.

წიგნს ახლავს რედაქტორის ა. შლიონსკის წინასიტყვაობა, ალ. ბარამიძის ნარკვევი „შოთა რუსთაველი“, მთარგმნელის მიერ შედგენილი ლექსიკონი და კომენტარები, აგრეთვე 40 ფერადი ილუსტრაცია.

**323. Шота Руставели**

**Витязь в тигровой шкуре**

***Пер. с груз. Н. Заболоцкого, М. “Худ. лит.”, 1969, 368 с.***
***(Библиотека всемирной литературы, т. 27).***

ახლავს ირ. აბაშიძის წინასიტყვაობა. (იხ. ანოტ. № 740).

324. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

ჩაჩნურ ენაზე თარგმნა ნ. მუზაევმა, გროზნო, 1969, 194 გვ.

325. თ. სანიკიძე

რედუქციის ადგილი შაირის რითმაში

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში", 1969, № 3, გვ. 18-21.

ავტორი აღნიშნავს, რომ ერთი და იგივე სიტყვები რითმებში გამოყენებულია როგორც სრული, შეუკუმშავი, ისე შეკუმშულ ფორმებით, მაგ.; აბჯარისა და აბჯრისა, ლაშქარისა – ლაშქრისა, ქვეყანისა – ქვეყნისა, ხრმალითა – ხრმლითა და სხვ. მკვლევარი ასეთ ზოგად დასკვნებს აკეთებს:

1. მონოტონურობის დასაძლევად რუსთაველი იყენებს შაირის რიტმული წყობის ვარიაციებს, აკანონებს შაირის ორ ძირითად სახეს – ე. წ. მაღალსა და დაბალს.

2. რედუქციის სურათი თავისებურად აისახება „ვეფხისტყაოსანში", რაც შეკუმშულ და შეუკუმშავი სიტყვათა პარალელური ფორმების ხმარებითაა გამოწვეული.

3. დაქტილურ-ქორეული რითმების სპეციფიკა განაპირობებს სიტყვის ფუძის კუმშვა-უკუმშველობას. გ. ა.

326. რევაზ სირაძე

ასახვის რუსთველური მეთოდი და „ვეფხისტყაოსნის" ფაბულა

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1969, 21 მარტი, № 12, გვ. 2; აგრ. წიგნში — „ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები", თბ., 1975, გვ. 190-195.

როგორც ავტორი წერს, V-XI სს-ის ქართული ლიტერატურული ტრადიცია მოითხოვდა, რომ მწერლობას აესახა მხოლოდ კონკრეტულ-ისტორიული და ეროვნული სინამდვილიდან აღებული მოვლენები. ამ მეთოდს ეწოდებოდა „ჭეშმარიტი აღწერა", რომელიც გამიჯნული იყო გამონაგონის, მწერლის ფანტაზიით შექმნილი ამბებისგან და მათ „ზღაპრობად" და „ნატყუარად" თვლიდა.

მხატვრული აზროვნების თვალსაზრისის ძირითადი სიახლე, რომელიც საერო მწერლობის წარმოშობიდან დაინერგა, ის იყო, რომ ამიერიდან ლიტერატურა დაემყარა გამონაგონის მხატვრულ სიმართლეს. ეს სიახლე უნდა ჩაითვალოს მხატვრულ აზროვნებაში ჰუმანიზმის ძირითად გამოვლინებად.

„ვეფხისტყაოსნის" მე-9 სტროფში: „ესე ამბავი სპარსული"... სიუჟეტის სადაურობაზე კი არ მიგვითითებს, არამედ იმაზე, რომ პოემის ამბავი „სპარსულია" თავისი ლიტერატურული ხასიათით, რამდენადაც იგი გამონაგონია. პირველ სტრიქონში ასეთი აზრი უნდა ამოვიკითხოთ: პოემის ამბავი სპარსულია (ვინაიდან იგი გამონაგონია), მაგრამ იგი გაგებულია, გააზრებულია ქართველთა თვალსაზრისით. გ. ა.

327. რ. სირაძე

„მართლის თქმის" პრინციპი და ადრეული ლიტერატურული ტრადიცია

ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1969, № 3, გვ. 23-27.

იხ. ანოტაცია № 326.

328. [უავტორო]

„ვეფხიტყაოსანი" ითარგმნება არაბულ ენაზე

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1969, 10 იანვ., № 2, გვ. 4.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ თბილისში სტუმრად იყო სირიელი მწერალი ნიზარ ხალილი. მას განზრახული აქვს თარგმნოს რუსთაველის თხზულება არაბულ ენაზე, ფრანგული, ინგლისური და სომხური თარგმანების დახმარებით. გ. ა.

329. [უავტორო]

რუსთაველი მოსკოვის მიწაზე

გაზ. „კომუნისტი“, 1969, 16 თებ., № 40, გვ. 3.

ინფორმაცია იუწყება, რომ სამი წლის წინ მოსკოვში დაიდგა მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი ძეგლი შოთა რუსთაველისა. „ძეგლმა მოსკოვის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია“. გ. ა.

330. [უავტორო]

შოთა რუსთაველის ძეგლის პროექტისათვის კონკურსის დებულება

გაზ. „კომუნისტი“, 1969, 27 მაისი, № 121, გვ. 2;
„ლიტ. საქართველო“, 1969, 30 მაისი, № 22, გვ. 1.

გაზეთში დაბეჭდილია კონკურსის დებულება, რომლის თანახმად ქანდაკების მოდელები წარდგენილი უნდა იყოს 1971 წლის 1 აპრილამდე. საუკეთესო პროექტისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები: I — 5000 მან.; II — 3000 მან.; III — 2000 მანეთი. ცალკე მოეწყობა კონკურსი ძეგლის არქიტექტურული ნაწილის საუკეთესო პროექტის გამოსავლინებლად. გ. ა.

331. დიმ. ქუმსიშვილი

ვეფხისტყაოსანში „დიონოსის“ და „დივნოსის“ საკითხისათვის

ჟურ. „მნათობი“, 1969, № 8, გვ. 158-169.

ავტორი განიხილავს არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას და აღნიშნავს, რომ სადავო საკითხზე დამაჯარებელი პასუხი ჯერ ვერ მოინახა. თვითონ აყენებს ჰიპოთეზას, რომ 177-ე სტროფში დასახელებული ეზროსი („ამ საქმესა მემოწმების დიონოსი, ბრძენი ეზროს“) უნდა იყოს ოზირისი, ეგვიპტელთა ღმერთი, რომელსაც დასავლეთში დიონისესთან აიგივებდენ (გვ. 162). ღმერთ დიონისეს (ძველი ბერძნული მითოლოგიიდან) კარგის დანერგვას მიაწერდნენ და სრულმყოფელ ძალად თვლიდნენ. ის მფარველობდა ვაზს და საერთოდ მცენარეულობას.

ავტორის საბოლოო დასკვნა ასეთია: ვეფხისტყაოსნის 177-ე სტროფის „დიონოსი“ და 1492-ე სტროფის „დივნოსი“ ერთი და იგივეა, ოღონდ – სხვადასხვა დაწერილობით წარმოდგენილი. ამ სახელში ხმოვანი „ო“ 1492-ე სტროფში „ვ“-თი შეცვლილი უნდა იყოს ლექსის საზომის დასაცავად, რაც დიდ დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს. ვინაიდან თვით ბერძნულში დიონისეს სახელის სხვადასხვა დაწერილობა არსებობს: დიონისიოს, დიონუსოს, დიონისოს, დივნისიოს, დივნისოს (გვ. 166-167).

ავტორი აღნიშნავს, რომ ოლიმპოს ღმერთების პანთეონიდან ვეფხისტყაოსანში ნახსენებია კრონოსიც: მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა: კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა... (1415). გ. ა.

**332. Д. И. Кумсишвили**

**Некоторые вопросы поэтического мастерства Шота Руставели**

***Автореферат дис. на соиск. учен. степени доктора филол. наук, Тб., 1969, 50 с.***

აღნიშნულია, რომ დისერტაციის დაცვა შედგება 1970 წლის 9 თებერვალს. ოფიც. ოპონენტები: აკად. ა. ბარამიძე, ფილოლ. მეცნ. დოქტორები – ი. ლოლაშვილი, შ. ღლონტი, ს. ცაიშვილი.

ავტორეფერატი შედგება შესავლისა და ხუთი თავისაგან:

I თავი — „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი (გვ. 5-13);

II თავი — „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია (გვ. 13-28);

III თავი – მხატვრული ასახვის ხერხები და საშუალებანი შოთა რუსთაველის პოემაში (გვ. 28-43);

IV თავი – მიჯნურობა და მხატვრული სახის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 44-45);

V თავი – თამარ მეფის ეპოქა და „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 45-50).

იხ.ანოტაცია № 260: დ. ქუმსიშვილი, რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი (წიგნი), თბ., 1968. გ. ა.

**333.** [ე. ღვინიევა] **Э. Б. Гвиниева**

**Польский автор о поэме Ш. Руставели**

„ლიტერატურული ურთიერთობანი“, კრებ., II, თბ., 1969, გვ. 378-382.

ნარკვევის ავტორი წერს, რომ 1830 წელს ერთ-ერთ პოლონურ ალმანახში დაიბეჭდა სტატია შოთა რუსთაველზე, ფსევდონიმით „კ.რ-დტ“. მასში მოცემული ყოფილა მოკლე ცნობები შუასაუკუნეების საქართველოზე, შოთა რუსთაველსა და მისი ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულზე. „ვეფხისტყაოსანი“ შეფასებულია როგორც „რომანტიკული სტილის“ თხზულება. ის უმღერის თავისუფლებას, სიმართლეს, სილამაზეს და სიკეთეს, რითაც თითქმის ორი საუკუნით წინ უსწრებს დასავლეთევროპულ რენესანსს. ეს სტატია აღმოაჩინა ი. პრუხნიცკიმ, მისი შინაარსი და პოემის 5 სტროფის პოლონური თარგმანი გამოაქვეყნა 1952 წელს.

*P.S.* ახლა გარკვეულია, რომ ფსევდონიმით (ინიციალებით) დაბეჭდილი სტატიის ავტორი ყოფილა კონსტ. რდულტოვსკი, — იხ. კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 55-58; აგრ. 395-396. გ. ა.

334. შ. ღლონტი

რუსთაველის მხატვრულ სახეთა რეალისტური ბუნებისათვის

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1969, № 4, გვ. 64-68.

როგორც მკვლევარი წერს, სახეებრივი აზროვნება დამახასიათებელია ლიტერატურის ყველა ჟანრისა და ყველა მიმართულებისათვის. სახე შეიძლება იყოს რეალისტური და ირრეალისტური. მხატვრული სახე მწერლის მსოფლმხედველობის უშუალო სინამდვილეა.

პოეტურ სახეთა შექმნისათვის რუსთაველი იყენებს ამქვეყნიური საგნებისა და მოვლენების ამსახველ მასალას. მეტაფორებსა და შედარებებში გვხვდება: მზე, მთვარე, ლომი, ვეფხი, ვარდი, სოსანი, ალვა, სარო, თოვლი, ქარი, ელვა, ქუხილი, ზღვის ღელვა, ბროლი, ლალი, ძოწი და ა. შ.

ავტორი საგანგებოდ განიხილავს ეპითეტებსა და მეტაფორებს: ულამო ნათელი, ბროლის წვიმა, ბროლის სეტყვა, მელნის ტბა, გიშრის შუბები, ბროლ-ბალახში, სისხლის მორევი, წამწამთა ნიავი და სხვ. მკვლევრის აზრით, რუსთაველის პოეტურ სახეთა რეალისტური ბუნება იმაშიც ჩანს, რომ გმირთა ნაკვთებს პოეტი სტატიკურად კი არ გამოსახავს, არამედ მარად ცოცხალი, მღელვარე, დინამიკური თვისებებით, რომლებშიც იგრძნობა პერსონაჟთა სულიერი ცხოვრება. რუსთაველის მხატვრული გამოსახვის საშუალებანი მისი უკვდავი აზრების პოეტური გამოვლენის ფორმებია. გ. ა.

335. ს. ყაუხჩიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. მეგრელიძე, შ. ბადრიძე

რუსთაველზე კლერიკალური თვალსაზრისის წინააღმდეგ

ჟურ. „მნათობი“, 1969, №11, გვ. 149-155.

ავტორთა კოლექტივი სარეცენზიო წერილში განიხილავს პროკოფი რატიანის ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის“. სათანადო მაგალითებისა და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე უარყოფს პ. რატიანის შეხედულებას შოთა რუსთაველის ეპისკოპოსობის თაობაზე და იცავს მოსაზრებას მისი ერისკაცობის შესახებ.

რეცენზენტები მიუთითებენ, რომ პ. რატიანი ტენდენციურად იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს (მე-8 სტროფს), სერაპიონ საბაშვილის, არჩილ მეფის, თეიმურაზ ბაგრატიონის, კორნელი კეკელიძის ცნობებსა და მოსაზრებებს; რომ მისი კვლევის მეთოდი მცდარია და მის ნარკვევს „კლერიკალიზმის დაღი აზის“. გ. ა.

336. აკაკი შანიძე

ქართული ლექსიკის ისტორიიდან

(ყმაწვილი და ბავშვი)

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1969, № 2, გვ. 12-14.

მკვლევარი წერს, რომ V-X სს-თა წერილობითი ძეგლების ენაში ყრმა იხმარებოდა მცირე ასაკის ადამიანის აღსანიშნავად, სქესის განურჩევლად. შემდეგ სიტყვა ყრმა ფონეტიკურად გამარტივდა და ყმა გახდა, მაგრამ ძველი მნიშვნელობა „ბავშვისა“ დიდხანს შეინახა.

საშუალ ქართულში ყმა სიტყვამ სოციალური მნიშვნელობა მიიღო: XII ს-ში იგი აღნიშნავდა პატრონის საკორელაციო ცნებას: „პატრონი“ და „ყმა“ ფეოდალური წყობილების გარკვეული ურთიერთობის გამომხატველი სიტყვები იყო. ამის მაგალითები ბევრია „ვეფხისტყაოსანში“, მაგ.:

„პირველ ყმა ვარ, წასლვა მინდა პატრონისა სამსახურად“ (154);

„პატრონისა ვერ მჭვრეტელმან ყმამან რადმცა გაიხარნა“ (812).

იმავე ხანაში ყმას მოყმის, რაინდის მნიშვნელობაც ჰქონდა.

საშუალ ქართულში იხმარებოდა გამოთქმები: „ცოტა ყმა“ და „ყმა წვლილი“ (ყმა წვრილი → ყმაწვილი) არასრული ასაკის აღსანიშნავად, რაც „ვეფხისტყაოსანშიც“ დასტურდებაა.

„ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა“ (16);

ან: „მითხრეს, თუ: ხარო ყმაწვილი, ბერნი მით გეტყვით, გლახ, ენით“ (424). გ. ა.

337. აკ. შანიძე

## „ამოკრეფა თუ მოკრეფა“?

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1969, 24. ოქტ., № 43.

207,3 ტაეპში გამოთქმას „ყოლა არად ამოგვკრიფნა“ მკვლევარი განმარტავს: სრულიად არაფრად ჩაგვაგდო, არაფრად მიგვიჩნია. მიუთითებს, რომ აქ უარყოფითი ნაცვალსახელი (არ) დასმულია ვითარებით ბრუნვაში (არად).

ა. შანიძეს მიაჩნია, რომ „ამოგვკრიფნა“-ს მაგიერ აჯობებს „მოგვკრიფნა“ ფორმის მიღება პოემის ტექსტში, რადგან სხვა ადგილას (603) ასეთ ფორმას თხოულობს ენობრივად გამართული ტაეპი: „არად მოვჰკრეფდი გამყოფთა“... რაც ნიშნავს: არაფრად ვაგდებდი განაყოფებს, არაფრად მიმაჩნდა განაყოფები (ბიძაშვილები).

ოღონდ ამჟამად საინტერესო ტაეპში საჭირო იქნება უარყოფითი ნაცვალსახელის გამეორება და ტაეპი ასე გაიმართება: არ აგვიხვნა, არცა დაგვსხნა, ყოლა არად არ მოგვკრიფნა“. გ. ა.

338. ა. შანიძე

## „უდილადო“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1969, 31 ოქტ., № 44.

1578-ე სტროფთან დაკავშირებით: „სამ თვე ვლეს (...), მინდორსა შიგან სადილად გარდახდეს უდილადოსა“, ა. შანიძე არ იზიარებს შ. ჩიჯავაძის (აგრეთვე ს. ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების) განმარტებას, რომლებიც უდილადოს დროის გარემოებად მიიჩნევენ: „არ დილას“, „გაუთენებლივ“, „განთიადზე“.

ა. შანიძის აზრით, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო „უდიდადოსა“ ან „უდიადოსა“, მცირეს, არადიდის მნიშვნელობით, როგორც მინდორსა სიტყვის განსაზღვრება. იგი ნაწარმოებია დიდად ან დიად-ისაგან. ა.შანიძე მიუთითებს, რომ მსგავსად არის ნაწარმოები დიდ-ისაგან უდიდო: „ვნადირობდი და ვიზახდი, ხმა ჩემი არ უდიდოდ-ა“ (603).

ა. შანიძე იქვე აღნიშნავს, რომ ეს სტროფი („სამ თვე ვლეს“...) მას ჩანართად მიაჩნია. გ. ა.

339. ა. შანიძე

## „სამნი მეაბჯრენი“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1969, 28 ნოემბ., № 48.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ 203-ე სტროფში „ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნივე მეაბჯრენია“, 1966 წ. (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით) დაბეჭდილ ტექსტში იკითხება „სამნილა“, მაგრამ ეს გასწორებაც არ მიაჩნია ზუსტად (რუსთველისეულად) და ფიქრობს, რომ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო „სამანი“, სამის კნინობითი ფორმა. მიუთითებს, რომ რუსთველი ხმარობს კნინობით ფორმებს „ერთაი“, „ორანი“ და ამდენად ბუნებრივი იქნებოდა „სამანი“-ს ხმარებაც.

აღნიშნავს აგრეთვე, რომ არსებითი სახელებისა და რიცხვითი სახელების კნინობითი ფორმების ხმარება გავრცელებულია მთის კილოებში.   გ. ა.

340. აბრაამ შლიონსკი
[„ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანის წინასიტყვაობა]

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1969, 18 აპრ., №16, გვ. 3.

როგორც გამოცემის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ერის წიგნთა წიგნია, მისი უმაღლესი სახელი და დიდება. „თავისი ძალით იგი სცილდება განსაკუთრებულ ეროვნულ ფარგლებს და მსოფლიო საგანძურში შესვლის უფლებას იხვეჭს“.

ა. შლიონსკი უმაღლეს შეფასებას აძლევს მთარგმნელის, ბ. გაპონოვის, ღვაწლს, რომელმაც შესძლო გამოეყენებინა მრავალსაუკუნოვანი ებრაული პოეზიის გამოცდილება, მისი ვერსიფიკაციული ხერხები.   გ. ა.

341. ნოდარ შოშიაშვილი
ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე ახალი თვალსაზრისის შესახებ

ჟურ. „მნათობი“, № 11, 1969, გვ. 156-180.

ავტორი კრიტიკულად განიხილავს ჟურნალ „მნათობის“ 1968 წლის 2, 3, 4, 5 ნომრებში დაბეჭდილ პროკოფი რატიანის ნაკვლევს „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის“, სადაც მკვლევარი ცდილობს დაამტკიცოს, რომ შოთა იყო საეკლესიო მოღვაწე, რუსთავის ეპარქიის ეპისკოპოსი.

რეცენზენტი უშედეგოდ მიიჩნევს პ. რატიანის მიერ შოთა რუსთაველის ეპისკოპოსობის დასაბუთების მცდელობას, მოტანილი არგუმენტები ანგარიშგასაწევად არ მიაჩნია, ამასთან, აღნიშნავს პ. რატიანის წერის მანერის არამეცნიერულობასა და არააკადემიურობას.   გ. ა.

342. ვასილ ჩანტლაძე
ქართული ეკონომიკური აზრი „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „ცისკარი“, 1969, № 8, გვ. 120-132.

ნაშრომში განხილულია რუსთაველის შეხედულებები პოლიტიკური ეკონომიის ძირითად კატეგორიებზე: 1. სიმდიდრე, 2. საქონლის წარმოება, 3. ფული, ფასი, 4. ვაჭრობა, ქალაქური მეურნეობა, ხელოსნობა, სავაჭრო კაპიტალი, 5. სარგებლობის მომცემი კაპიტალი, მევახშეობა, 6. სახელმწიფო ფინანსები.

ავტორი აღნიშნავს, რომ სიმდიდრე ჩანს გმირების ჩაცმულობისა და მორთულობის აღწერაში (დამოწმებულია 23, 71, 120, 387 სტროფები), აგრეთვე ლაშქრის მოკაზმულობის, აბჯარ-იარაღის, საცხოვრებელი სახლების, მეფეთა დარბაზების აღწერა-დახასიათებაში (სტრ. 396, 322, 335, 342, 401). სიმდიდრე წარმოდგენილია საჭურჭლის სახით, რომელიც მოიცავს ფულს, როგორც მონეტას. ასეთია დრაჰკანი (464, 1001), პერპერა (1423). ხშირად იხსენიება ძვირფასი ლითონები, სამკაულები, დამუშავებული ძვირფასი ქვები, რაც ხელოსნური წარმოების პროდუქტია.

სამრეწველო პროდუქციის დიდი ნაწილი ქალაქური ხელოსნური წარმოებისაა. სასაქონლო ხასიათი აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გარკვეულ ნაწილსაც. იყიდება მუშაძალაც, გვხვდებიან დაქირავებული მუშები, ხელოსნები, მზიდავები და სხვ.

პოემაში ასახული სიმდიდრე შედგება უძრავი და მოძრავი ქონებისაგან. ნახსენებია მეკობრეობა, რაც ახასიათებს ვაჭრული კაპიტალის ეპოქას (სტრ. 1211-1212)   გ. ა.

343. სუნიტი კუმარ ჩატერჯი
შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“

კრებ. „ლიტერატურული ურთიერთობანი“, II, თბ., 1969, გვ. 25-50.

ნაშრომი წარმოადგენს მონოგრაფიულ ნარკვევს რუსთაველის პოემაზე, პოეტის დაბადების 800 წლისთავთან დაკავშირებით. როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსანს“ იგი ინგლისური თარგმანით გაეცნო და გამოკვლევა დაწერა ინდოეთისა და სხვა ქვეყნების ინგლისურად მოლაპარაკე ხალხები-

სათვის, „იმათთვის, ვინც მოხარული იქნება გაკვრით მაინც გაეცნოს შესანიშნავ მხატვრულ ნაწარმოებს“.

ავტორი საკუთარ თვალსაზრისს გამოთქვამს შემდეგ საკითხებზე: კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებნი (ეროვნული და ინტერნაციონალური). მოცემულია მოკლე შეფასება და ზოგად-საკაცობრიო მნიშვნელობა მსოფლიოს ეპიკური ჟანრის შედევრებისა. ცალკე განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობა (წყაროები), მათი ფორმა და ხასიათი. მკვლევარი ამბობს, რომ პოემის ფორმა (სიუჟეტი) უცხოური და ინტერნაციონალურია, მაგრამ იგი ქართველთა ზნეობას და მისწრაფებას ასახავს. „ვეფხისტყაოსნის“ თემა რომანტიკულია. მისი გმირები და მოვლენები თითქოს სცდებიან დროისა და სივრცის საზღვრებს... მაგრამ ყოველივე მთლიან ჰარმონიას წარმოადგენს და პოემის ქართული მიწისა და კულტურის კოლორიტი აქვს“.

მკვლევრის თქმით, რუსთაველის გონება თავისუფალია რელიგიური სიბრმავისა და ფანატიზმისაგან. თუმცა პოეტი დაბადებითაც და აღზრდითაც ქრისტიანია, ქრისტიანული დოგმატიკა მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია. ძველი წარმართული მზის კულტის ნაშთები ხშირად გვხვდება ლოცვებსა და ღვთისადმი მიმართვებში. ესაა შეგნებულად თუ ქვეცნობიერად შემორჩენილი ძველი სპარსული რელიგიის ნაშთი.

ქვეთავში: რუსთაველი როგორც მწერალი, მისი ფილოსოფია, მისი ლიტერატურული სტილი და იდეალი, — ავტორი წერს: „მისი ლიტერატურული სტილის სილამაზე ჩანს თხრობაში, აღწერილობებსა და განსჯაში. რადგან რუსთველის პოეზია დამყარებულია ყველაზე მეტად განვითარებული ენების მქონე ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე, მის აღწერილობებში ვხვდებით პირობითობას და გარკვეულ გადაჭარბებასაც“. მისივე სიტყვით, „რუსთველის სატრფიალო ეპოსი ამჟღავნებს ხასიათთა დახატის იშვიათ ძალას, მიუხედავად გაზვიადებული სამიჯნურო ფონისა (რომელიც ალბათ, მისი სტილის ერთგვარი ხერხია), ეს სახეები ცხოვრებისეული სიმართლით ხასიათდება“. გ. ა.

344. შოთა ჩიჯავაძე

### ვეფხისტყაოსნის ორი მეტაფორის შესახებ

ჟურ. „მაცნე“, 1969, № 1, გვ. 87-97.

ნარკვევში ავტორი ეხება მეტაფორულ სტრიქონს:

„მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედა რადმცა გაგვითენდა“ (1158,4).

შ. ჩიჯავაძე არ იზიარებს ამ მეტაფორის არსებულ განმარტებებს (ზ. ავალიშვილის, ვ. ნოზაძის, მიხ. ჩიქოვანის, თ. ბაგრატიონისას) და გამოთქვას აზრს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „ვეშაპს“ და სამ ეპიზოდში გამოყენებულ მეტაფორა “გველს“ (სტროფები: 1198, 1230, 1420) ერთნაირი მხატვრული ფუნქცია აქვს. „ვეშაპისაგან მზის დაბნელება“ უნდა აღნიშნავდეს პატიმარი უდანაშაულო ადამიანის უდიდეს მწუხარებას, უსაზღვრო უბედურებას, „გათენება“ კი იმავე ტაეპში ხსენებული „დაბნელების“ კონტრასტული მეტაფორაა. ტაეპი — „მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედან რადმცა გაგვითენდა“ — ასე უნდა გვესმოდეს: ტურფა ასული დიდ უბედურებას – პატიმრობას, თავისუფლების დაკარგვას დაუმწუხრებია და ჩვენ რამ უნდა გაგვახაროსო.

იმავე წერილში ავტორი ეხება გველისაგან მთვარის ჩანთქმის მხატვრულ გააზრებას: „რა საბრალოა გავსილი მთვარე ჩანთქმული გველისა“ (1230,4). მკვლევრის აზრით, „გველი“ აქ მეტაფორულად საპყრობილეს, საკანს გულისხმობს, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მელიქ-სურხავის სასახლეა. გ. ა.

345. შ. ჩიჯავაძე

### რას ეწოდება „სადილი“ „ვეფხისტყაოსანში“?

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1969, № 3, გვ. 55-57.

ავტორი აღნიშნავს, რომ „სადილი“ პოემაში ერთხელ გვხვდება: „მინდორსა შიგან სადილად გარდახდეს უდილადოსა“ (1578,3). აქ ეს სიტყვა გამოყენებულია მისი პირველადი, ე. ი. უძველესი მნიშვნელობით. ს.-ს. ორბელიანის განმარტებისა და ძველი მწერლობის ტექსტების დამოწმებით მკვლევარი დაასკვნის, რომ „სადილი“ აღნიშნულ კონტექსტში ნიშნავს „დილის საჭმელს“, დაახლოებით ახლანდელ „საუზმეს“. გ. ა.

346. შ. ჩიჯავაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის გამო

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 55, 1969, № 2, გვ. 501-503.

მკვლევარი განიხილავს პოემის 320 („ასმათ, მითხრობდი..:“), 321 („ასმათ, შენმცა ხარ მოწამე“...), 328 („იგი არსე მოიწიფა“...) სტროფებს (1957 წ. გამოცემით) და აკეთებს დასკვნას, რომ 320-ე სტროფი გვიანდელი ჩანართია. მისი სიყალბის მთავარი ნიშნებია: 1) აზრობრივი შეუსაბამობა 328-ე სტროფთან, რომლის მიხედვით ტარიელს 16 წლის ასაკში შეეძლო ლომის მოკვლა და ომში მონაწილეობაც; 2) 320-ე და 321-ე სტროფებს მსგავსი რითმები აქვთ („ილისა“, „დილისა“), რაც მოსაზღვრე სტროფებში სტილისტურ უხერხულობას ქმნის, 3) ასმათის დამოწმება ტარიელის ნათქვამს დამაჯერებლობას ვერ ჰმატებს.

წერილს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. გ. ა.

**347. С. Цаишвили**

**Рукописное наследие поэмы Руставели “Витязь в тигровой шкуре”**

სსრკ მეცნ. აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიისა და საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის კონფერენცია არქეოგრაფიისა და ძველი ხელნაწერების საკითხებზე. მოხსენებათა თეზისები (რუსულ ენაზე), თბ., 1969, გვ. 69-70 (მოგვყავს შემოკლებით).

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების მეცნიერული შესწავლა დაიწყეს XX ს-ის დასაწყისში ქართველმა მკვლევარებმა, რომელთა შორის ყველაზე მეტი ღვაწლი ე. თაყაიშვილს მიუძღვის.

განსაკუთრებული ინტერესის მიუხედავად, დღევანდლამდე არ იყო მეცნიერულად აღწერილი და გამოქვეყნებული საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ არსებული ხელნაწერების ფონდები.

ამჟამად აღრიცხულია 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი „ვეფხისტყაოსნისა“. დასაბეჭდად გამზადებულ წიგნში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ მოცემულია ხელნაწერების მეცნიერული აღწერილობა და დადგენილია რედაქციული ჯგუფები. გ. ა.

348. გ. წიწუაშვილი

რუსთაველი სოლომონ ბრძენის ენაზე

გაზ. „კომუნისტი“, 1969, 30 აგვისტო, № 201, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ დაიბეჭდა ბორის გაპონოვის მიერ ებრაულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. მთარგმნელს მიენიჭა შაულ ჩერნიხოვსკის სახელობის პრემია, რომელიც წელიწადში ერთხელ გაიცემა ისრაელის ლიტერატურის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის. პირველი შემთხვევაა, რომ ეს პრემია ენიჭება არა ისრაელის მოქალაქეს. გამოცემის რედაქტორია აბრამ შლიონსკი, გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. გ. ა.

349. ალექსი ჭინჭარაული

ტმესი და მისგან გამოწვეული ზოგი გაუგებრობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში

კრებ. „თბილისის უნივერსიტეტი გ. ახვლედიანს“, 1969, გვ. 193-197.

ავტორს მოჰყავს რამდენიმე ნიმუში, როცა რე-ნაწილაკჩართული ზმნა გადამწერლებს ვერ გაუგიათ და ხელნაწერებშინაირნაირი ვარიანტები გაჩენილა. მაგ.: (მო-რე-ვჯობდი, უკმო-რე-სწყდა; და-რე-ნელდა; წამო-რე-ვლო). ავტორი აღნიშნავს, რომ რე ნაწილაკი „ვეფხისტყაოსანში“ ოდენობას აღნიშნავს (მაგ.: გა-რე-ვითხენ ნიშნავს: რამდენადმე შევიმცირე, გავიცოტავე).

ვე ნაწილაკი იხმარება მოქმედების განმეორების აღსანიშნავად: მაგ.: „მუნ მორწყო ველი“-ს მაგივრად უნდა გვქონდეს: მო-ვე-რწყო ველი.

„ვეფხისტყაოსანში“ გასარკვევია კიდევ ერთი სიტყვა — „სისხლითა“ თუ „ცრემლითა“. ავტორი აღნიშნავს: სადავო სიტყვა ასე უნდა იკითხებოდეს: „ფრიდონს რა ესმა, ატირდა, ცრემლითა მო-ვერწყო ველი“ (647,3). ჭინჭარაულის აზრით, სტრიქონი „მოვიდა სითმე ღარიბი მონა“ (1217,1), რომელიც ხელნაწერებში იკითხება: „მოსით მოვიდა“, უნდა ყოფილიყო თავიდანვე: „მო-სითმე-ვიდა ღარიბი“... ეს

ტმესიანი (მო-სითმე-ვიდა) ფორმა რუსთველურია. ავტორს მოჰყავს სხვა სტრიქონი: „გულო, გაგსაჯა სოფელმან და, გლახ, არ ვიცი, რას ები" (1243,4), აქაც საქმე გვაქვს ტმესთან. „დაები" ზმნაში ჩასმულია „გლახ" და „რას" სიტყვები, ხოლო „და" კავშირი კი არ არის, არამედ ზმნისწინია. ეს სტრიქონი ასე უნდა იყოს: „არ ვიცი, და-გლახ-რას-ები".

(იხ. აგრ. წიგნში: ალ. ჭინჭარაული, ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის საკითხები, I, თბ., 1982, გვ. 24-38). თ.ნ.

350. ალ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის" ლექსიკიდან

ჟურ. „მაცნე", 1969, № 2, გვ. 177-185.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ტაეპი — „ავენთი, დამწვეს მამისა სახმილთა დაუშრტობელთა" (337,1) – ხელნაწერებში გვხვდება სხვადასხვა ფორმით და აზრობრივად განსხვავებული ნიუანსით. მიხ. წერეთელმა დაბეჭდა „დაუშრტომელთა". ეს წაკითხვა გასაზიარებელია, რადგან „დაშრტება" ზმნის მასდარი სწორედ „დაშრტომაა". უპირატესი „დაუშრტობელიც" რომ ყოფილიყო, რითმის საჭიროებისათვის რუსთაველს შეეძლო ეხმარა „დაუშრტომელთა" (მომდევნო სტრიქონში სარითმო კლაუზულაა „-ომელთა").

იქვე მკვლევარი განიხილავს სიტყვას „მსწრომელი" („აწ ნახეთ მთრვალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი", 1165,4). აღნიშნულია, რომ ეს სიტყვა ქართული ენის ძეგლებში არ დასტურდება, „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერებიდან კი მხოლოდ ერთ, გადამწერის მიერ ნასწორებ, რედაქტირებულ ნუსხაში (H 461) იკითხება.

სადავო სტროფში საუბარია უსენის გამცემლობაზე, მაბეზღარობაზე, რასაც ძველ ქართულში გამოხატავდა სიტყვა „მსტოვარი, მსტუარი". ამ მიმღეობითი ფორმიდან კეთდება ზმნა „იმტრობს", „განიმსტრობს" და მიმღეობა — „მსტურობი", „განმსტრობი". შესაძლებელია, ყოფილიყო პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობაც — „მ-სტურობ-ელ-ი". სადავო ტაეპში უნდა ყოფილიყო სწორედ ეს სიტყვა „მსტრობელი" ან თემის ნიშანშეცვლილი „მსტრომელი".

მკვლევარს ავტოგრაფისეულ წაკითხვად „მსტრომელი" მიაჩნია, რაც სტროფის კლაუზულას ზუსტად ეწყობა. გ. ა.

351. ნოდარ ჭოლოკავა

პორტრეტი „ვეფხისტყაოსანში" და კლასიკური ეპოსის ტრადიციები

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება", 1969, № 3.

ავტორის აზრით, ძირითადი, რაც რუსთველის პოეზიისათვის სპეციფიკურს წარმოადგენს, არის ის, რომ იგი არსებითად უარს ამბობს გმირის სილამაზის მხოლოდ თავისთავადი მნიშვნელობით წარმოსახვაზე. აქ პერსონაჟის გარეგნობა შეფარდებულია მის გუნება-განწყობასთან, განცდებთან.

ადამიანის პორტრეტის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს ჩაცმულობა და სამკაულები წარმოადგენს. რუსთაველს პოემაში შემოაქვს ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ბუნებრივად მოითხოვენ ადამიანის გარეგნობის ამ მხარის წარმოსახვას.

123-ე სტროფში („გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს"...) თინათინის პორტრეტი უფრო თავისუფალია. თინათინს აცვია საშინაო სამოსი და არა სამეფო ჩაცმულობა. შდრ. 480-ე სტროფი, სადაც მოცემულია ნესტანის პორტრეტი („მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის-ფერნი ჯუბანი"...).

რუსთაველს სავსებით გააზრებულად აქვს წარმოდგენილი პოეზიაში ადამიანის სილამაზის გამოსახვის ის კანონზომიერებაც, რომელსაც კლასიკური ეპოსი ემყარებოდა. იგი პორტრეტის შექმნისას არც ერთ შემთხვევაში არ მიმართავს დაწვრილებით აღწერას.

ინტერესს იწვევს მზის ტროპული ბუნება „ვეფხისტყაოსანში", როდესაც იგი მიმართულია პერსონაჟის სილამაზის გამოსახატავად.

გადატანითი დანიშნულებით გამოყენების ასპექტების გარკვევის დროს უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს მზის მიმართება ღვთაების ცნების მიმართ (იხ. 836-ე: „იტყვის: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად, / ერთ- არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად" და 837-ე : „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი"). ე. ი. პოემაში მზე თავისი ერთ-ერთი ძირითადი

ტროპული მნიშვნელობით შეიძლება მოგვევლინოს ღვთაების იდეის განსახიერებად.

პოემაში მზე არის მეფეთა მუდმივი მეტაფორა (ყველა მეფე და სამეფო ტახტის უშუალო მემკვიდრე პოემაში მზედ იწოდებიან).

მზე, როგორც მეტაფორა, ახალ გააზრებას იძენს, იგი სატრფოს ტოლფარდი მნიშვნელობისაა:

„ავთანდილსცა მოეგონა მისი მზე და საყვარელი" (920);
„წადი, დაბრუნდი, შეიქეც მუნითვე, შენი მზე სითა" (927);
„ჩემსა მზესა დავეთხოვე თქვენს წინაშე წამოსავლად" (932).

დასასრულ, ნ. ჭოლოკავა აღნიშნავს, რომ მზეს „ვეფხისტყაოსანში" საფუძვლად უდევს ღვთაებრიობის გაგება, ამიტომაა, რომ იგი, როგორც მუდმივი მეტაფორა, მხოლოდ მეფეთა და სამეფო ტახტის მემკვიდრეთა წარმოსახვისას გამოიყენება, ამასთანავე რაინდულმა მიჯნურობამ ადამიანი ისე უნდა აამაღლოს, რომ იგი ღვთაებრივ საწყისს დაუახლოვოს. აქ კი დიდი მნიშვნელობა აქვს მიჯნურის გარეგნობას, იგი ლამაზი უნდა იყოს („მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს"...). თ. ტ.

352. ოთარ ჭურღულია

დავით ჩქოტუა

სოხუმი, 1969, 90 გვ.

წიგნის 72-86 გვერდებზე ავტორი მსჯელობს დ. ჩქოტუას ნაშრომზე „ვეფხისტყაოსნის" შესახებ. აღნიშნავს, რომ მას ჰქონია ვრცელი (800-გვერდიანი) გამოკვლევა, რომელიც დ. ჩქოტუას გარდაცვალების (1929 წ.) შემდეგ დაიკარგა. დაბეჭდილია მისი მცირე ნაწილი (იხ. გ. იმედაშვილი, 1957, ანოტ. № 1332). გ. ა.

353. აკაკი ხინთიბიძე

ვეფხისტყაოსნის პოეტიკიდან

თბ., 1969, 50 გვ.

ნაშრომში განხილულია შიდარითმის სხვადასხვა სახე:

1. ცეზურული რითმა, რომელიც ერთმანეთთან ათანხმებს ტაეპის პირველსა და მეორე ნახევარს: „ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა (5,3).

2. წინაცეზურული: სამთა ფერთა საქებელთა... (10,4).

3. უკანაცეზურული: მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით (451).

ავტორი დაასკვნის, რომ შიდარითმას ქმნის ტაეპის მუხლთა ნებისმიერი კომბინაცია. ცალკეა გამოყოფილი მოსაზღვრე ტაეპთა ცეზურების შემკვრელი ე. წ. შუა რითმა და კიბური რითმა, სადაც ერთი ტაეპის სარითმო სიტყვას ერითმება მომდევნო ტაეპის დასაწყისი სიტყვა. მოტანილია აგრეთვე თავრითმის მაგალითები.

ავტორის აზრით, საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის" უკანაცეზურული რითმის, შუარითმისა და კიბური რითმების გამოყენება, რომლებიც ძველ ქართულ პოეზიაში იშვიათად გვხვდება.

მკვლევარს პოემაში აღრიცხული აქვს 200-მდე შიდარითმა, რაც „უდიდესი ძალაა პოემის ბგერათა ჰარმონიის გასაძლიერებლად".ნაშრომში განხილულია „ვეფხისტყაოსნის" შიდარითმის ხმოვანება და აგებულება (გვ. 25-29) და მისი მიმართება ქართულ ხალხურ პოეზიასთან (გვ. 29-38). გ. ა.

354. ანტონ ხინთიბიძე

შოთა რუსთაველის პედაგოგიური იდეები და
ქართული ხალხური პედაგოგიკის საკითხები
(გონებრივი აღზრდა)

პედაგოგიური მეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 21, 1969, გვ. 21-24
(ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე).

355. ელგუჯა ხინთიბიძე

„მართალი სამართლის" ცნებისათვის

ჟურ. „მაცნე“, 1969, № 2, გვ. 153-172.

გამოთქმა „მართალი სამართალი“ ვეფხისტყაოსანში პირველად გამოყენებულია ინდოეთში სასიძოდ მოსული ხვარაზმშას ძის მოკვლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (545,2). მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ კონტექსტში ეს გამოთქმა არ უნდა ნიშნავდეს მხოლოდ სწორ, მართებულ სამართალს. იგი სპეციფიკური გამოთქმა უნდა იყოს, რომელშიც რაღაც განსაკუთრებული ნიუანსია ჩადებული. იგი იმოწმებს ქართულ წერილობით ძეგლებში ამ გამოთქმის ხმარების შემთხვევებს, ივ. სურგულაძისა და ვ. აბაშმაძის გამოკვლევებს აღნიშნულ საკითხზე და დაასკვნის, რომ რუსთველის გამოთქმა მართალი სამართალი ქრისტიანულ მწერლობაში და ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული ცნებაა. „მასში იგივე შინაარსი ჩანს, რაც ანტიკური მწერლობის ცნობილ ტერმინს epieiceia (უტყუარი სიმართლე) აქვს. ქართულ მწერლობაში იგი უშუალოდ სახარებიდან მკვიდრდება და ნიშავს: პრაქტიკულ სიტუაციაში, კონკრეტულად და არა ფორმალურად სამართლებრივი ნორმებით გამოტანილ მართებულ სამართლებრივ განაჩენს“. გ. ა.

356. ე. ხინთიბიძე

ვეფხისტყაოსნის „სახე ყოვლისა ტანისა“

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემია, ლიტერატურათმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, IV სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1969, გვ. 10-12. გამოკვლევა დაიბეჭდა 1970 წ. იხ. აქვე, ანოტაცია № 410.

357. პ. ხმალაძე

ვეფხისტყაოსნის სწავლების ისტორიიდან

ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1969, № 3, გვ. 14-17.

ავტორი აღნიშნავს, რომ XX ს-ის დასაწყისში ქართული ლიტერატურა ისწავლებოდა სერგი გორგაძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოთი — „სალიტერატურო ქრესტომათია, ჩვენი მწერლობა“, თბ., 1907 წ. „ვეფხისტყაოსანი“ ისწავლებოდა VII-VIII კლასებში.

უფრო მეტი დრო და ყურადღება დაეთმო ძველი მწერლობის სწავლებას საბჭოთა ხელისუფლების დროს. დამკვიდრდა მშობლიური ლიტერატურის თემატიკური და სისტემატურ-ქრონოლოგიური სწავლება. ამჟამად ქართულ საშუალო სკოლაში შოთა რუსთაველისათვის განკუთვნილია VII კლასში 5, ხოლო IX კლასში – 34 გაკვეთილი. გ. ა.

358. პავლე ხუბუტია

ვეფხისტყაოსნის ლექსიკის ერთეულები თუშურში

მისივე წიგნიდან: თუშური კილო (ლექსიკა), თბ., 1969, გვ. 15-31.

ავტორი იმოწმებს თუშური კილოს ლექსიკურ ერთეულებს, რომელთაც ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორიც „ვეფხისტყაოსანში“. მაგ.: აქათ, თურე//თურ, ნავღელი, გვიქვიან, სახვრეტელი, ღარიბი, საღარიბო, გვალე, ფარღული, რიალი, აზატი და სხვ.

ზოგ სიტყვას ბგერითი შედგენილობა შეცვლილი აქვს, შინაარსი კი იგივეა, რაც „ვეფხისტყაოსანში“. მაგ.: წინწელი (წინწალი), ფათერაӖი (ფათერაკი), კეპანი (კაპანი) და სხვ.

ავტორს მიაჩნია, რომ თუშურ კილოს შესწორება შეაქვს „ოხროვას“, „წვერის“, „სასალუქოს“ შინაარსის გაგებაში. „ვეფხისტყაოსნის“ ორხაულისათვის ამოსავალია ორხო, რაც უნდა იყოს ორფა (ორწვერა) საქსოვი ძაფი, ალბათ, სხვადასხვა ფერისა. ორხაული იქნება ასეთი ძაფის ქსოვილი (ორხოული→ორხაული).

წვერი, წვერნი პოემაში იხმარება ულვაშის მნიშვნელობით (სხვათა შორის, ასევეა „ვისრამიანშიც“). წვერი ულვაშს აღნიშნავს თუშურშიც.

სალუქად თუშურში ნიშნავს მსუბუქად, ადვილად. სასალუქო ნაწარმოებია სალუქ//სულუქ-იდან (სპარს. სოლუქ), რაც ნიშნავს თხელს, მსუბუქს, სასალუქო კი — მსუბუქი, თხელი ქსოვილისაგან შეკერილ „დასაბურავ-ჩასაცმელს“. გ. ა.

## 1970 წელი

359. გიორგი ახვლედიანი

ქართული კულტურის მეგობარი
(პროფ. სუნიტი კუმარ ჩატერჯი 80 წლისაა)

გაზ. „კომუნისტი", 1970, 26 ნოემბ., № 277, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ ინდოელი პროფესორი ს. ჩატერჯი ორჯერ იყო საქართველოში – 1960 და 1966 წლებში. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს დღეებში მან დაწერა რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსი სანსკრიტულად, რომელიც დაიბეჭდა 1969 წელს კრებულში „აღმოსავლური ფილოლოგია" ოთხ (სანსკრიტულ, ინგლისურ, ქართულ და რუსულ) ენაზე. გ. ა.

**360. Ал. Барамидзе**

**Мировая эпическая поэзия Средновековья и "Вепхисткаосани"**

ჟურ. *"Лит. Грузия", 1970, № 8,* გვ. *54-58.*

მკვლევარი განიხილავს შუასაუკუნეების მსოფლიოს ეპრიკურ ლიტერატურაში რუსთაველის თხზულების ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ კ. ბალმონტის, ნ. მარის, ვ. შიშმარიოვის, ჰ. ჰუპერტის, ლ. არაგონის, რ. სტივენოსნის და სხვათა მოსაზრებებს და აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი" იდეოლოგიური ასპექტით განსხვავდება როგორც აღმოსავლური (სპარსული), ისე დასავლეთ ევროპული პოემებისა და რომანებისაგან. ზოგიერთი მოტივისა და ეპიზოდის მსგავსება შეიძლება სრულიად შემთხვევითი იყოს.

ნიზამი განჯელის პოემებში აღწერილია უიღბლო შეყვარებულთა თავგადასავალი, პერსონაჟების უსაზღვრო ტანჯვა და პიროვნული ტრაგედია, რის საზღაურადაც მათი სულები მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აღწევენ ნეტარებას. „ვეფხისტყაოსნის" გმირები კი აქტიური მოქმედებითა და კეთილი საქმეებით მოიპოვებენ ამქვეყნიურ ბედნიერებას.

ევროპული სარაინდო რომანების სიყვარულის კონცეპცია გათხოვილი ქალბატონისა და რაინდის ფარულ ინტიმურ ურთიერთობას ემყარება. რუსთაველის იდეალი სპეტაკი ქალწულებრივი სიყვარულია, რომელიც მეუღლეობრივი, ოჯახური ბედნიერების საფუძველი ხდება.

რუსთაველის იდეები ისევე ორიგინალური და მიმზიდველია, როგორც მისი პოემის მხატვრული ფორმა. გ. ა.

361. ალ. ბარამიძე, ელ. მეტრეველი, ს. ცაიშვილი

იძულებითი პასუხი

ჟურ. „მნათობი", 1970, № 3, გვ. 170-178.

წერილი ეხება პ. რატიანის წიგნად გამოცემულ ნარკვევს „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის" (თბ., 1969). ავტორები აღნიშნავენ, რომ მკვლევარმა თითქმის უცვლელად გაიმეორა ერთი წლის წინ „მნათობში" გამოქვეყნებული ტექსტი, ოღონდ წიგნს დაურთო ახალი განყოფილება — „ისტორიულ-ლიტერატურული საბუთები რუსთაველზე", სადაც შეტანილია ამონაწერები სხვადასხვა წყაროებიდან. ეს ის მასალებია, რომლებიც ავტორს უკვე გამოყენებული ჰქონდა ნაშრომის პირველ პუბლიკაციაში და ახალს არაფერს შეიცავს. იგი კვლავ იმეორებს თავის დებულებებსა და იმ არგუმენტებს, რომლებიც გაკრიტიკებული და უარყოფილი იყო ჩვენსა და სხვა ოპონენტების წერილებში. პ. რატიანმა საპასუხო წერილში სცადა ჩვენი მტკიცებულებების გაბათილება, მაგრამ მისი მსჯელობა ემყარება ისტორიული და ლიტერატურული ტექსტების არასწორად გაგებასა და სუბიექტურ გააზრებას, რის საფუძველზეც მცდარ დაკვნებს აკეთებს. გ. ა.

362. ივანე ბერიტაშვილი

მოძღვრება ადამიანის ბიოლოგიური ბუნების შესახებ
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში"

ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა საბჭოს შრომების კრებული, 1-2, თბ., 1970, გვ. 21-28.

ავტორი აღნიშნავს, რომ XI-XII საუკუნეებში საქართველოში პროგრესული, ნეოპლატონური იდეები ვრცელდებოდა ცნობილი საეკლესიო მოღვაწეების – პეტრე იბერის, პროკლე დიადოხოსის, ნემესიოს ემესელის, გრიგოლ ნოსელის, აგრეთვე არისტოტელესა და საექიმო წიგნების ქართული თარგმანების საშუალებით. დასახელებული ავტორების ნაშრომები სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა გელათისა და იყალთოს აკადემიებში, სადაც წარჩინებული ახალგაზრდობა განათლებას ღებულობდა.

მკვლევარი განიხილავს პოემის იმ ეპიზოდებს, სადაც ნათლად ჩანს რუსთაველის ღრმა ცოდნა ადამიანის ბუნებისა. ტარიელის გულის წასვლის (ცნობიერების დაკარგვის) შემთხვევები ახსნილია ფსიქონერვული კანონზომიერებით, ადამიანის ტვინის მუშაობის მექანიზმის ანალიზით თანამედროვე მეცნიერული მეთოდების საფუძველზე.

მკვლევარი მიუთითებს, რომ რუსთაველი სიტყვა „გულს" ხმარობს ტვინის მნიშვნელობით, როგორც გრძნობას, ფსიქიკას; ამიტომაც იგი გულს უკავშირებს „ცნობასა" და გონებას. მისი პერსონაჟები სიტყვა „გულს" ახსენებენ, როგორც სულის ბუდეს; გულში ღვივის მუდმივი ცეცხლი, რომ გულია ყოველივე ფსიქიური მოვლენის წარმომშობი და მატარებელი. ერთი სიტყვით, თავის ტვინის ყველა ფუნქცია გულშია მოთავსებული.

ავტორის დასკვნით, რუსთაველი ნათელ მაგალითებს იძლევა ადამიანის ცნობიერებისა და პირობითი რეფლექსური მოქმედების ურთიერთობის შესახებ; ამასთან, ზუსტად აგვიწერს ამ ურთიერთობის პირობებსა და მიმდინარეობას. გ. ა.

363. ი. გაგულაშვილი

## „ვეფხისტყაოსნის" მეორე გამოცემა კლასიკურ ებრაულ ენაზე

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1970, 11 დეკ., № 50, გვ. 4.

მოკლე ინფორმაციაში ავტორი წერს, რომ ბ. გაპონოვის მიერ ივრიტის ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის" პირველი გამოცემა (თელ-ავივი, 1969) სწრაფად გაიყიდა. ახლახან „წიგნის ბაზარზე ისევ გამოჩნდა შესანიშნავად გაფორმებული შოთა რუსთაველის პოემის მეორე გამოცემა. წიგნის მთელი ტირაჟი ისევ მოკლე დროში გაიყიდა". გ. ა.

364. ა. გაწერელია

## რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ზოგიერთი საკითხი

ჟურ. „ცისკარი", 1970, № 7, გვ. 140-150; № 8, გვ. 112-125.

ავტორის დაკვირვებით, რუსთაველის რელიგიური მრწამსი ქრისტიანულია, გამდიდრებული ქართული თეოლოგიური ლიტერატურიდან მიღებული ცოდნით და მისი მხატვრულად გამოყენებით. რუსთაველი თავისი ეპოქის კულტურის საუკეთესო მიღწევათა დონეზე დგას. მას არა მარტო ღრმად აქვს შესწავლილი ფსევდოდიონისეს თხზულებანი, არამედ მისი კონკრეტული დებულებანიც აქვს ნაგულისხმევი „დივნოსის განცხადებაში" (სტრ. 1492). თუმცა რუსთაველი არ ღებულობს ბოროტის მისტიკურ და უკიდურეს ნეგაციას, მისთვის უეჭველ ჭეშმარიტებას შეადგენს ფსევდო-დიონისეს შეხედულება ბოროტის წარმავლობის შესახებ.

ა. გაწერელიას აზრით, ქრისტოლოგიაში ფსევდო-დიონისეს მიერ დადგენილი იერარქია (სამი ძირითადი ტრიადა და ცხრა ჩინად დაყოფილი საზღვარნი) ისეა დამკვიდრებული, რომ რუსთაველი, ისევე როგორც დანტე, ფსევდო-დიონისე არეოპაგელიდან გამოდის; იზიარებს მის მიერ შემუშავებულ ანგელოზთა იერარქიზმის პრინციპს. ზეცის მხატვრული მოდელი რუსთაველთან არეოპაგელის იერარქიზმის პრინციპითაა აგებული. მის პოემაში თვითონ ანგელოზთა სახელწოდებანი რომ არ გვხვდება, ეს გამოწვეულია ნაწარმოების პირობითი მუსლიმანური გარსით.

ავტორის დასკვნით, რუსთაველი არ სცილდება ქრისტიანულ გაგებათა ფარგლებს ან არეოპაგელის მოძღვრებას. მისი ქრისტიანობა XII ს-ის ქართველი მოაზროვნე-პოეტის მრწამსია, რომლის საფუძველზე დგომა მას სრულიად არ უშლის ხელს დიადი საერო კულტურის შედევრის შექმნაში. გ. ა.

365. არნოლდ გეგეჭკორი

ჩვენი „ნახევრადქართველი“

ჟურ. „დროშა“, 1970, № 6, გვ. 17.

ავტორი წერს ქ. ლონდონში პროფესორ დევილ მარშალ ლანგთან შეხვედრის შესახებ, აღნიშნავს, რომ თვით დ. ლანგი თავს ნახევრადქართველად თვლის. მას მრავალი ნარკვევი აქვს გამოქვეყნებული საქართველოზე, მის ისტორიაზე, მწერლობაზე. ინგლისურად თარგმნა „სიბრძნე ბალავარისა“, დაწერა და გამოსცა „ქართველ წმინდანთა ცხოვრება და მოღვაწეობა“, მისი რედაქციით ხელახლად დაიბეჭდა მ. უორდროპის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ და ოლივერ უორდროპისეული „ვისრამიანი“. გ. ა.

**366. Виктор Гольцев**

**Шота Руставели**

მისსავე წიგნში: “Из трёх книг, Статьи и очерки“, Тб., 1970, გვ. 5-110. იხ. პირველი გამოცემის ანოტაცია – გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1957, № 2013 და ქართული თარგმანის (1941 წ.) ანოტაცია, № 2049.

367. მერი გუგუშვილი

ტექსტოლოგიური შენიშვნები

ჟურ. „მაცნე“ (საზოგ. მეცნ. განყ.), 1970, № 1, გვ. 93-102.

მკვლევარი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნისა“ და აღორძინების ხანის მწერლობის მხატვრული ენისა და ფრაზეოლოგიის შედარებითი შესწავლა ზოგიერთი ტექსტოლოგიური საკითხის გადაჭრისა და პოემის ტექსტში შესწორებათა შეტანის საშუალებას იძლევა. ნარკვევში განხილულია რამდენიმე სადავო წაკითხვა. მაგ., „ვეფხისტყაოსნის“ 305-ე სტროფის პირველი სტრიქონი ხელნაწერების უმეტესობასა და ზოგ გამოცემაშიც ასე იკითხება: „ამას დაყმუნდა ტარიელ, დამწვარი, დავალებული. სამი ხელნაწერი იცავს წაკითხვას: „დამწვარი, დაალებული“, ხოლო ერთში არის ვარიანტი: „დამწვარი, დაავლებული“. მკვლევრის აზრით, სწორედ ეს უკანასკნელი წაკითხვა უნდა იყოს რუსთველისეული; დაავლებული ნიშნავს ცეცხლისაგან დაფერფლილს.

ამ გამოთქმას იყენებენ „შაჰნამეს“ მთარგმნელი სერაპიონ საბაშვილი და თეიმურაზ პირველი.

1538,4-ში პუნქტუაცია ასე უნდა გასწორდეს: „ადრე მივიდეს მეფისა სახლად, საყოფად, არებად“. აქ ჩამოთვლილ სიტყვათა შინაარსი თანდათან ფართოვდება. შდრ. „სახლი, შუკა და უბანი“ (480).

131,4-ს გამომცემელთა უმრავლესობა ასე ბეჭდავს: „წადი, იგი მოყმე ძებნე...“, მხოლოდ მ. ბროსეს, ს. კაკაბაძის (1927) და შანიძე-ბარამიძის (1966) გამოცემებში იკითხება: „წა და იგი მოყმე ძებნე...“. ამ უკანასკნელს იცავს „სამეფო სახლის“ რედაქციის ნუსხები. სხვა კონტექსტებში ორივე ფორმა იხმარება („წა“ და „წადი“) ხელნაწერებშიც და გამოცემებშიც. გ. ა.

368. მერი გუგუშვილი

რუსთაველის გავლენა თეიმურაზ პირველის პოეზიაზე

ჟურ. „მაცნე“ (საზოგ. მეცნ. განყ.), 1970, № 6, გვ 145-164.

369. ბორის დარჩია

თანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“, 1970, № 6, გვ. 185-210.

ავტორი აღნიშნავს, რომ თანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვის ფორმა დაცულია პოემის ძველ, XVII საუკუნის ნუსხებში; უფრო ნაკლებია მომდევნო საუკუნეთა ნუსხებში. ბევრ შემთხვევაში –თათ ფორმა ხელნაწერებში არასწორადაა გამოყენებული. რაც უფრო გვიანდელია ხელნაწერი, აღ-

რევა მით უფრო დიდია.

შრომის დასასრულს ავტორი იძლევა შემდეგ დასკვნებს:

1. „ვეფხისტყაოსანში“ თანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა გამოსვლითი ფუნქციით, საზოგადოდ ავტორისეული მოვლენაა.

2. საკითხი ისტორიული თვალსაზრისით შემდგომ კვლევას მოითხოვს, ადვილი შესაძლებელია კი „თათ-იანი ბრუნვა ინსტრუმენტალისის ფუნქციით დედნისეული იყოს „ვეფხისტყაოსნის“ 84,4 და 1422,2 სტროფებში (1957 წ. გამოცემით). ანალოგიური ვითარება უნდა გვქონდეს „ხატაელთა ამბის“ 1629,2 და 1663,3 სტროფებში.

3. 1102,3 და 1214,4 სტროფებში თვით ტაეპებია ბუნდოვანი და ამის გამო –თათ დაბოლოების ორიგინალობის საკითხი გაურკვეველია.

4. -თათ ფორმა პოემის ხელნაწერების გადამწერ-რედაქტორთა ნახელავი უნდა იყოს 77,2; 89,4; 376,2; 411,3; 415,3; 519,3; 967,2; 986,2; 995,3; 1016,1; 1135,1 და 1353,4 სტროფებში.

5. „ვეფხისტყაოსანში“, სადაც თათ-იანი ბრუნვა ხელნაწერებით არ დასტურდება, მისი აღდგენა არსად არ არის საჭირო.

6. „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართთა, „ხვარაზმელთა ამბისა“ და „ტარიელის ანდერძის“ ხელნაწერებით დამოწმებულ სტროფებში –თათ ფორმა გამოსვლითი ფუნქციით ყველგან დედნისეული უნდა იყოს. საეჭვოა მხოლოდ „ხვარაზმელთა ამბის“ 1909,4 და 1943,2 სტროფებში. ც.ე.

370. ადოლფ ენდლერი

## ქართული პოეზიის მიმოხილვის ცდა

ჟურ. „ზინნ უნდ ფორმ“, 1970, № 6, გვ. 1388-1430; ნაწყვეტის თარგმანი (ნ. ამაშუკელისა) – კრებ. „რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში“, I, თბ., 1976, გვ. 282,283.

ზოგად მიმოხილვაში ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანი ორჯერ დაიბჭდა: 1889 წელს (ა. ლაისტის) და 1955 წელს (ჰ. ჰუპერტისა). მისი თქმით, „ეს პოემა ერთ-ერთი უდიდესი ჰუმანისტური ნაწარმოებია მსოფლიო ლიტერატურაში. თვალუწვდენელი ხდება რუსთველის საერთაშორისო კვლევის შედეგები, იმ კვლევისა, რომელიც ცდილობს ამ ნაწარმოების ფონისა და მისი ავტორის ცხოვრების გაშუქებას“. გ. ა.

371. რ. ენუქაშვილი

## ზმნურ ფუძეთა ახლებური წარმოება „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. ქართული ენა და ლიტ. სკოლაში, 1970, № 4, გვ. 58,61.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენა გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს ძველიდან ახალი ქართულისაკენ. არნ. ჩიქობავამ პოემის ენაში გამოყო ექვსი ისეთი საკვანძო ენობრივი მოვლენა, რომლებიც ახალი ქართულისთვისაა დამახასიათებელი (იკე, ტ. XV, გვ. 5-6). მკვლევრის აზრით, შეიმჩნევა ამის დამადასტურებელი სხვა ენობრივი მოვლენებიც. წერილში განხილულია: 1) აწმყოსა და მყოფადის დიფერენციაცია პრევერბის დართვა-დაურთველობის მიხედვით; 2) სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმები; 3) მეშველი ზმნის დართვის შემთხვევები აწმყოში; 4) I კავშირებითის გამოყენება თხოვნითი ბრძანებითისათვის; 5) ზმნათა ერთი ჯგუფის წყვეტილის წარმოება; 6) თურმეობითის ფორმები. გ. ა.

372. ჰამიდ ზარინქუბი

## „ვეფხისტყაოსანი“

მეშჰედის უნივერსიტეტის შრომები, 1970, № 4, გვ. 721-732. ქართული თარგმანი (ჯ. გიუნაშვილისა) – კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 328-332.

ავტორი წერს, რომ შოთა რუსთველს ქართულ ლიტერატურაში ისეთივე დიდი ადგილი უკავია, როგორიც წილად ხვდა დანტეს იტალიურ ლიტერატურაში, პუშკინს – რუსულში და შექსპირს – ინგლისურში.

სპარსელი მკითხველისათვის მის თხზულებაში საყურადღებოა სპარსული ლიტერატურის გავლენის საკითხი. წიგნის მრავალი ადგილი იმას მოწმობს, რომ რუსთველი რამდენადმე იმყოფებოდა ირანული კულტურის გავლენაში.

ამ პოემის სრული სპარსული თარგმანი ჯერ არ გვაქვს. ჰ. სარდადვარის (თალებ-ზადე) პრო-

ზაული თარგმანი (1934 წ.) გადმოგვცემს პოემის მოკლე შინაარსს. მეორე თარგმანიც (მ. ფათემისა, ჯ. გიუნაშვილის რედაქტორობით, (1966 წ.), მხოლოდ ნაწყვეტების პოეტური თარგმანია. გ. ა.

373. ავლიპ ზურაბაშვილი

შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა

(ფსიქოლოგიური ნარკვევები), თბ., 1970;

**А. Д. Зурабашвили**

**Актуальные проблемы персонологии и клинической психиатрии, Тб., 1970.**

წიგნის ორი თავი „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟებს ეძღვნება: „პერსონოლოგიის პრობლემები შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში" და „ზოგადი ხასიათის შენიშვნები შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანზე". იხ. პირველი გამოცემის – ა. ზურაბაშვილი, შოთა რუსთაველი და პერსონოლოგია, თბ., 1966 – ანოტაცია, „რუსთველოლოგიური ლიტერატურა", ტ. III.

374. მაგალი თოდუა

„ვეფხისტყაოსნის" გენეზისის საკითხისათვის

მოხსენება ირანისტთა სემინარზე საქ. მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში 1970 წ. 15 სექტემბერს.
ინფორმაცია ჟურნალში „მაცნე", თბ., 1970, № 4, გვ. 239-240.

მ. თოდუას თქმით, „ვეფხისტყაოსანში" შეინიშნება რამდენიმე ისეთი ელემენტი, რომელთა შესწავლა ირანული სამყაროს გათვალისწინების გარეშე მიზანშეწონილი არ იქნება. თვით პოემის ავტორის განცხადებამ, რომ მან „სპარსული ამბავი" გალექსა, წარმოშვა აზრი თხზულების ფაბულის შესაძლებელი ნასესხობის შესახებ. ამ აზრს რუსთველოლოგთა ერთი ნაწილი უარყოფს სხვადასხვა მოტივით, თუმცა სათანადო კვლევის შედეგად შესაძლებელია „ვეფხისტყაოსნის" ფაბულის პარალელების მიგნება აღმოსავლურ მწერლობაში. მ. ჯანაშვილმა მსგავსი ეპიზოდები და მოტივები მიუთითა „ამირანდარეჯანიანში", რომლის სიუჟეტი აშკარად სპარსული წყაროებიდან მოდის. სპარსი პოეტის ხოსრო დეჰლევის მიერ ჩაწერილ „ჩარდარვიშიანში", კერძოდ მის შაოსანი რაინდის ამბავში იკვეთება „ვეფხისტყაოსნის" მთლიანი ჩონჩხი.

მ. თოდუას აზრით, საყურადღებოა აზერბაიჯანელი მკვლევრის ხალილ იუსიფოვის მიერ „რამაიანადან" მოტანილი პარალელები და მისი მოსაზრება, რომ შესაძლებელია რუსთაველი იცნობდა „რამაიანის" სპარსულ თარგმანს.

მ. თოდუას მიაჩნია, რომ ფრაზა: „მიბრძანეს მათად საქებრად..." ნიშნავს: მეფემ მიბრძანა „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟების საქებრად პოემის დაწერა, ე. ი. ამბავი, რომელიც რუსთველმა გალექსა, უკვე ცნობილი ყოფილა და თამარ მეფეს მისი გალექსვა დაუვალებია პოეტისათვის. გ. ა.

375. პავლე ინგოროყვა

შოთა რუსთაველი (1166-1250)

წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1970, გვ. 7-169.

გამოკვლევა დაყოფილია ოთხ კარად შემდეგი სათაურებით:

I. საქართველოს ისტორიული წარსული (გვ. 9-24);
II. ქართული ლიტერატურის განვითარების გზები და რუსთაველი (გვ. 25-48);
III. ცხოვრება შოთა რუსთაველისა (გვ. 49-119);
IV. პოემა ვეფხის-ტყაოსანი (გვ. 120-169).

ამ ნაშრომში ავტორი იმეორებს იმავე დებულებებს, რომლებიც დაყენებული და, მისი აზრით, დამტკიცებული ჰქონდა ადრე დაბეჭდილ გამოკვლევებში: „რუსთველიანა" (1926 წ.) და „რუსთველიანას ეპილოგი" (1963 წ.). კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის" ავტორის შესახებ წერს, რომ იგი არის სამეფო გვარის, ჰერეთის მმართველი ბაგრატიონების წარმომადგენელი, შოთა კუპრად წოდებული. ერთ დროს შოთა ქალაქ რუსთავის მფლობელი ყოფილა და მაშინ მიუღია ზედწოდება რუსთველი. 1240-იან წლებში კი მეჭურჭლეთუხუცესი გამხდარა; ამ თანამდებობით არის იგი მოხსენიებული იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპთა წიგნში.

მეოთხე კარში განხილულია შემდეგი საკითხები: პოემის სიუჟეტი და ორიგინალობა; პოეზია და სი-

ნამდვილე „ვეფხისტყაოსანში“; რუსთაველის მსოფლმხვედველობა; რუსთაველი და საქართველო.
იხ. „რუსთველოლოგიური ლიტერატურის“ II ტომში ანოტ. № 3018. გ. ა.

376. პ. ინგოროყვა

„ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და ბოლო-თქმა
(ტექსტოლოგიური ნარკვევი)

დანართი წიგნისა: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1970, გვ. 411-459.

მკვლევარი აზრობრივად და სტილისტურად განიხილავს პოემის „დასაწყისისა“ და „დასასრულის“ ტექსტებს და აკეთებს შემდეგ დასკვნებს: „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი შეიცავს სამ პოეტურ ტექსტს, რომლებიც ხელნაწერებში დაცული ზედწერილების მიხედვით ატარებენ შემდეგ სათაურებს: 1. „ამბვისა დასაწყისი პირველი“; 2. „სწავლისათვის მოშაირეთა“; 3. „კარი მიჯნურობისა“.

პოემის სამივე შესავალი დაწერილია ძველ-ქართული პოეზიის კლასიკური ფორმით „ხუთეული“ (=ხუთი ხანა), რომელიც მიღებული იყო XII-XIII საუკუნეთა ქართულ პოეზიაში მცირე ფორმის ნაწარმოებთათვის.

პ. ინგოროყვა თვლის, რომ მან დაადგინა პოემის შესავლისა და ბოლო-თქმის დანართების მოცულობა და ქრონოლოგია. მისი აზრით, დამატებანი ჩართულია როგორც რუსთაველის მოწინააღმდეგეთა, ისე მის დამცველთა მიერ. შესავალში შეტანილია სამი პოლემიკური შემატება: 1. „ხვაშიადისა გამჟღავნებისათვის“, რომელიც მიმართულია პირადად რუსთაველის წინააღმდეგ; 2-3. „პირველ-თავი დასაწყისი“ და „საღმრთო მიჯნურობისათვის“, რომლებიც მიმართულია ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ, მისი „საერო“ ხასიათის გამო.

ამას გარდა დადგენილია თარიღი ყალბი სტროფისა „ესე ამბავი სპარსული“, რომელიც ეკუთვნის XIV-XV საუკუნეებს.

პოემის დასასრულიდან მკვლევარს რუსთველისეულად მიაჩნია მხოლოდ ერთი სტროფი, შემდეგი წაკითხვით: „ქართველთა ღმრთისა თამარის, ვის მზე ჰმსახურებს მარებლად, ესე ამბავი გავლექსე მე მათად საქებარებლად...“. გ. ა.

377. პ. ინგოროყვა

რამდენიმე ახალი ფურცელი შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან

წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1970, გვ. 463-482.

ნარკვევის ქვესათაურია. „შოთა რუსთაველის ახლობელნი“. ასეთებად მკვლევარს მიაჩნია: 1. ტბელი გრიგოლის ძე ბაგრატიონი, ჰერეთის საერისთავოს სპასპეტი თამარ მეფის დროს, ძმა შოთა კუპრისა (რომელიც, პ. ინგოროყვას მტკიცებით, იგივე შოთა რუსთაველია). 2. პოეტი ქალი ბორენა, ცოტნე დადიანის მეუღლე. პ. ინგოროყვას ვარაუდით, იგი ტბელის ასული, ანუ შოთა ძმისწული უნდა იყოს. 3. ცოტნე შერგილის ძე დადიანი, ჰერეთის ბაგრატიონების სიძე, მეგობარი და თანამებრძოლი შოთასი.

ჰერეთის სანაპირო საერისთავოს მმართველთა და ცოტნე დადიანის ნათესაობის დამადასტურებლად მკვლევარს მიაჩნია გიორგი მთავარმოწამის ხატი, რომელიც შესრულებულია ბექა ოპიზარის სკოლის უცნობი ხელოვანის მიერ. ამ ხატის ზურგის მხარეზე არის სავედრებელი წარწერა ტბელი გრიგოლის ძის სახელით. ეს ხატი XIII ს-დან XX ს-ის დასაწყისამდე დაცული იყო ხობის მონასტერში, რომელიც XII ს-ის დასაწყისში განაახლა და მოახატვინა შერგილ დადიანმა.

პ. ინგოროყვა ვარაუდობს, რომ გიორგი მთავარმოწამის ხატი მზითვად გაატანეს ბორენა ტბელის ასულს, როდესაც მან ეგრისის ერისთავთან, ცოტნესთან, იქორწინა. გ. ა.

378. ვ. კახნიაშვილი

ქართული მწერლობა ფართო გზაზე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1970, 6 ნოემბ., № 45, გვ. 4.

ავტორი აკეთებს ქართული ლიტერატურის გერმანულ ენაზე თარგმანების ზოგად მიმოხილვას. მათ შორის ასახელებს არტურ ლაისტის მიერ თარგმნილ „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც ქ. დრეზდენში გამოიცა 1890 წელს. აღნიშნავს, რომ 1955 წელს ბერლინში დაიბეჭდა ჰუგო ჰუპერტისეული თარგმანი,

რომელიც, არსებითად, პირველი სრული პოეტური თარგმანია დას. ევროპის ხალხთა ენებზე. გერმანულ ენაზე არსებობს აგრეთვე მიხ. წერეთლის მიერ შესრულებული პწკარედი და მარია პრიტვიცის პოეტური თარგმანი, რომლებიც ჯერ არ გამოქვეყნებულა. ამჟამად „ვეფხისტიყაოსნის" გერმანულ თარგმანზე მუშაობს დოქტორი ჰერმან ბუდენზიგი. გ. ა.

379. დევიდ მ. ლანგი

ხალხური და კურტუაზიული ელემენტები ქართულ ეპოსში

ჟურ. „ბედი ქართლისა", XXVII, 1970, გვ. 143-160. ნაწილის ქართული თარგმანი (ნ. საყვარელიძისა) – კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში", I, თბ., 1976, გვ. 395-400.

მკვლევრის თქმით, რუსთაველი არის უმაღლესი რანგის პოეტური გენია. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი" (პროლოგისა და ეპილოგის გამოკლებით) უთუოდ ერთი ადამიანის მიერაა შექმნილი, დიდად ნიჭიერი და ერუდირებული ადამიანის მიერ. ამის გამო იგი არ შეიძლება შეუდარდეს ცენტრალური აზიისა თუ ბალკანეთის ქვეყნების სტიქიურად და ნაუცბათევად შექმნილი პოეზიის ნიმუშებს. მსგავსების ძიება გვმართებს უფრო მეტად იტალიურ ლიტერატურაში: დანტესა და არიოსტოსთან, აგრეთვე შესანიშნავ სპარსულ ეპოსში: ფირდოუსისა და ნიზამი განჯელის ეპიკურ ტილოებთან.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ რუსთაველის ინტერესთა სფერო საოცრად ფართოა; იგი მოიცავს პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის საკითხებს, საკარო ცხოვრებისა და ეტიკეტის მრავალ მხარეს, საომარი ხელოვნების საინტერესო დეტალებს, აღწერს ხალხმრავალი ქალაქების ცხოვრებას, მათი მოსახლეობის საქმიანობას. პოეტი კარგად იცნობს ანტიკურ ბერძნულ ფილოსოფიას, ასტრონომიასა და ასტროლოგიას, აგრეთვე მისი თანამედროვე სპარსელი პოეტების შემოქმედებას. გ. ა.

380. დ. ლანგი

შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი"

თარგმანი ქართულიდან ვ. ურუშაძისა (თბილისი, 1968).

რეცენზია, ინგლისურ ენაზე, — „ბედი ქართლისა", XXVII, პარიზი, 1970, გვ. 197. იხ. აქვე, ანოტ. № 225.

381. ჯიბო ლომაშვილი

კიდევ ერთხელ „ვეფხისტყაოსნის" მერვე სტროფის პირველი ტაეპის შესახებ

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება", 1970, № 7, გვ. 36-45.

ავტორი ვრცლად მიმოიხილავს პ. რატიანის ნაშრომის გამო მიმდინარე პოლემიკას რუსთველის ვინაობისა და თანამდებობის შესახებ. იგი აკეთებს დასკვნას, რომ „შოთა რუსთველი იყო როგორც საერო, ისე სასულიერო თანამდებობის კაცი. (...) შოთა ერისკაცობის სახელია, ხოლო „რუსთველი" ზედწოდებაა და არა გვარწოდება. (...) არავითარი „რუსთავის მფლობელი მემამულე" ისტორიაში არ ყოფილა და ფუჭი ცდა იქნებოდა მისი ძებნა. „რუსთველები" საერო საქმეებსაც განაგებდნენ და სასულიეროსაც, ამიტომ ეცვათ მათ პორფირ-ბისონი".

მკვლევარს მიაჩნია, რომ მერვე სტროფში ხმარებული სიტყვა „ხელობითა" ნიშნავს: „პოეტობით"; იმოწმებს 988-ე სტროფიდან: „რა ჭირნი დასთმნა, ვერ იტყვის აწ ენა ესე ხელისა". პოემის „დასასრულში" დაბეჭდილი „რუსთველისა დამისა" კი ასე უნდა გასწორდეს: „რუსთველისად ამისა". გ. ა.

381ა. ჯ. ლომაშვილი

„ვეფხისტყაოსნის" ერთი ტაეპის წაკითხვისათვის

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1970, 4 სექტ., № 36.

ავტორი ეხება ეპილოგის სტრიქონს: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისა დამისა" (1665,4) და თვლის, რომ უნდა დაიბეჭდოს ასე: „მე რუსთველისად ამისა", რომლის შინაარსი იქნება: მე, ვინმე მესხი მელექსე, რუსთველისათვის, მის მაგიერ, მისი პოემის შესავსებად ვწერო; დამატებად ვწერ ამას, ე. ი. პოემას ვაგრძელებო.

სიტყვას „დამისა“ ჯ. ლომაშვილი გაუგებრად მიიჩნევს (ისევე, როგორც კ. კეკელიძე) და ამ სტროფში მის ხმარებას – გაუმართლებლად. ი. კ.

382. თენგიზ მგელიაშვილი

ძვირფასი ქვები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“
(ზოგიერთი მინერალოგიური ტერმინის იდენტიფიკაცია)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა საბჭოს შრომების კრებული, 1-2, თბ., 1970, გვ. 188-195.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ძვირფასი ქვების 18 სახელწოდება გვხვდება. ამ გამოკვლევაში იგი იძლევა წითელი ქვების დახასიათებასა და მათ სახელწოდებათა იდენტიფიკაციას. ამისთვის იყენებს ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომებს, მათ შორის ალ-ბირუნის ცნობილ მირენალოგიურ ტრაქტატს.

არსებული მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავტორი აკეთებს შემდეგ დასკვნებს: წითელი იაგუნდი მინერალ კორუნდის წითელი ფერის გამჭირვალე სახესხვაობაა და დღევანდელ ევროპულ და რუსულ მინერალოგიურ ლიტერატურაში ცნობილია „რუბინის“ სახელწოდებით. სამწუხაროდ, ქართულად მას ლალად თარგმნიან, რაც არასწორია. არსებობს ყვითელი იაგუნდიც, მის შესატყვისად ხმარობენ „აღმოსავლურ თოპაზს“. რუსთაველი ამ ქვებს ზღაპრული სიმდიდრის აღწერის დროს ასახელებს (სტრ. 1438, 1439).

ზოგი მკვლევარი ზურმუხტსაც იაგუნდის ერთ-ერთ სახედ თვლის, რაც შეცდომაა; ზურმუხტი არ წარმოადგენს იაგუნდს, ეს არის ბერილიუმის მწვანე, გამჭვირვალე სახესხვაობა.

ტერმინები „ლალი“ და „ბადახში“ სინონიმებია და აღნიშავენ მინერალ შპინელის წითელ სახესხვაობას.

„ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებია ფაზარი, როგორც შენობის მოსაპირკეთებელი მასალა. აქ იგულისხმება მინერალური წარმონაქმნი, რომლის დღევანდელი შესატყვისია სერპენტინი. პოემის ლექსიკონებში მცდარი განმარტებაა (ფაზარი არ წარმოიშვება ლალისა და იაგუნდისაგან). გ. ა.

383. იოსებ მეგრელიძე

რუსთველოლოგები

თბ., 1970, 319 გვ.

წიგნში განხილული და შეფასებულია რუსთველოლოგიური პრობლემებისა და პოემის ტექსტის ცალკეული საკითხების მკვლევართა მოღვაწეობა. აქვე განხილულია რუსთველოლოგიის განვითარების ძირითადი ეტაპები. ავტორი იკვლევს არა მარტო რუსთველოლოგების საქმიანობას, არამედ სხვა დარგის სპეციალისტების ღვაწლსაც, რომელთაც რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ საყურადღებო ნაშრომები დაუწერიათ.

წიგნში დახასიათებულია: ვახტანგ მეექვსის, თ. ბაგრატიონის, მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, ალ. სარაჯიშვილის, ალ. ხახანაშვილის, ნ. მარის, ი. აბულაძის, კ. კეკელიძის, კ. ბალმონტის, კ. ჭიჭინაძის და სხვა მკვლევართა მუშაობა რუსთველოლოგიაში.

წიგნს ერთვის საკუთარ სახელთა საძიებელი. გ. ა.

384. ი. მეგრელიძე

ერთი ტენდენციური წერილის გამო

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1970, 25 სექტ., № 39, გვ. 3-4.

ავტორი უპასუხებს შ. ღლონტის რეცენზიას მის წიგნზე „რუსთველოლოგები“. იგი თვლის, რომ რეცენზენტი არაობიექტური, ტენდენციურია; „მან ერთი სიტყვაც ვერ გაიმეტა კრებულის უმეტესი ნაწილის შესახებ. წიგნში 45 ავტორია გარჩეული, რეცენზიის „ცეცხლი“ კი მიმართულია მხოლოდ რამდენიმე ნარკვევისადმი“. კრიტიკოსი უგულებელყოფს კ. ბალმონტის, შიშმარიოვის, ნ. მარის წვლილს რუსთველოლოგიაში, რაც არასწორია. გ. ა.

385. რუთ ნოიკომი

თანამედროვე ქართული მოთხრობების გერმანული თარგმანის ბოლოსიტყვაობა (ციურიხი, 1970).

ნაწყვეტის თარგმანი (ნ. ამაშუკელისა) — კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 216-217.

ავტორი წერს, რომ „ვისრამიანისა“ და სხვა მრავალი ნაწარმოების გვერდით გამოირჩევა, როგორც განუმეორებელი შედევრი, რუსთველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, სიყვარულის, მეგობრობისა და ადამიანის ღირსების ჰიმნი, დაწერილი დიდი დედოფლის, თამარის სადიდებლად.

„ჰომეროსისა და დანტეს მსგავსად, რუსთველმა მოახერხა ერთად აესახა ადამიანურობა დროის გარეშე და თავისი ხალხის ტიპური დამახასიათებელი ნიშნები, რამაც ამ ხალხს ნება მისცა შეეცნო საკუთარი თავი და არსი მსოფლიო მასშტაბის სულიერ ჩარჩოში“. გ. ა.

386. ა. ჟაჟიევი

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანი ოსურ ენაზე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1970, 30 იანვ., № 4, გვ. 3.

ავტორი იუწყება, რომ ოსურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანი მოამზადა პოეტმა გიორგი ბესტაევმა. იგი სამხრეთ ოსეთში ლექსის აღიარებული ოსტატია, თარგმნილი აქვს აგრეთვე ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა, ნ. ბარათაშვილის და სხვა პოეტების პოემები და ლექსები.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს დაბეჭდავს გამომცემლობა „ირისტონი“. (წიგნი დაიბეჭდა 1975 წელს).

**387. С. Д. Жордания**

**Проблема архаизмов в связи с переводом средневекового эпоса**

(по матерялам переводов “Витязя в тигровой шкуре” и “Слова о полку Игореве” на английский язык).

***Автореферат дисс. на соиск. ученой степени канд. филол. наук. М., 1970, 37 с (Моск. гос. пед. институт иностр. языков им. М. Тореза).***

388. შოთა რევიშვილი

გერტრუდა პეჩი

გაზ. „სამშობლო“, 1970, 25 სექტ., 18, გვ. 4; აგრ. ჟურ. “*Лит. Грузия*”, 1970, 8, გვ. 78-82.

ავტორი ახასიათებს გერმანელი ორიენტალისტის, პროფესორ გ. პეჩის ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართველოლოგიაში; აღნიშნავს, რომ მან კარგად იცის ქართული ენა, საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, მნიშვნელოვანი ნარკვევები აქვს შოთა რუსთაველსა და მის თხზულებაზე. გ. პეჩის აზრით, რუსთაველი თავისუფალია ტრადიციული ქრისტიანული დოგმებისაგან, კერძოდ, ადამიანზე ბოროტის მეუფების იდეისაგან და იმას გვასწავლის, რომ ნათელი და იმედიანი სულისკვეთების პიროვნებამ უნდა იბრძოლოს სიკეთის ზეიმისათვის, კეთილის მიერ ბოროტის ძლევისათვის. გ. ა.

389. შ. რევიშვილი

„რუსთაველი — XII საუკუნის ჩვენი ადამიანი“

გაზ. „თბილისი“, 1970, 8 ოქტ., № 237, გვ. 3.

წერილის ავტორი გვაცნობს საბჭოთა კავშირის მოქალაქის, ისტორიკოსისა და პოლიტოლოგის სიმონ ნიკოლოზის ძე როსტოვსკის (ფსევდონიმი – ერნსტ გენრი) მოსაზრებას შოთა რუსთაველის შესახებ. თავის წიგნში „თანამედროვეობის ისტორიის შენიშვნები“ ე. გენრი რუსთაველს შუა საუკუნეების ჰუმანისტთა (თომას მორი, კოპერნიკი, სპინოზა, ნიუტონი, ...) პლეადაში მოიხსენიებს და მას „XII საუკუნის ჩვენ ადამიანს უწოდებს“. იგი საგანგებოდ ახასიათებს XII-XIII საუკუნეების ევროპის სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მდგომარეობას და წერს: როცა ევროპა გაჩირაღდნებული იყო

ინკვიზიციის კოცონებით, რუსთაველი წერდა სიკეთეზე, გონიერებასა და სამართლიანობაზე; მსოფლიო ლიტერატურაში იგი, ნიზამისთან ერთად, პირველი გამოდის ხალხთა მეგობრობის დასაცავად. გ. ა.

390. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

ტექსტი პავლე ინგოროყვას რედაქციით, ისტორიულ-ლიტერატურული და ტექსტოლოგიური გამოკვლევების დართვით, წიგნი პირველი, თბ., 1970, 494 გვ.

წიგნში დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი – 1511 სტროფი („დასაწყისის“ გარდა), დადგენილი პ. ინგოროყვას მიერ. პოემის პროლოგში, „შესავლის“ სათაურით, დაბეჭდილია 15 სტროფი ცალკე ნუმერაციით.

წიგნი იწყება პ. ინგოროყვას გამოკვლევით „შოთა რუსთაველი“ (გვ. 7-169), ხოლო ბოლოს ერთვის: ტექსტოლოგიური ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის შესავალი და ბოლო-თქმა“ (გვ. 411-459); „რამდენიმე ახალი ფურცელი შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან“ (გვ. 463-482); შენიშვნები მონოგრაფიისა „შოთა რუსთაველი“ (გვ. 485-489). წიგნის რედაქტორები არიან: ს. ყაუხჩიშვილი და ბ. ჟღენტი, გამ. „მერანი“, ტირაჟი 30.000 (იხ. აქვე, ანოტაციები №№ 375, 376, 377).

390**a**. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

თბ., 1970, „საბჭოთა საქართველო“, 288 გვ. „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიით.

პოემის სტროფებს ნუმერაცია არ აქვს. დასაწყისში ჩართულია შოთა რუსთაველის ბარელიეფის (ი. ნიკოლაძის) ფოტო, ხოლო სუპერზე დაბეჭდილია ს. ქობულაძის ერთი ილუსტრაცია.

390**b**. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი (**Der Reeche im Tigerfell**)

ძველი ქართული პოემა, გერმანულ ენაზე თარმანი ჰუგო ჰეპერტისა, ბერლინი, 1970, 304 გვ.

წიგნი იწყება მთარგმნელის ნარკვევით „რუსთაველი და მისი პომა“ (გვ. 5-33), დათარიღებულია 1954 წლით. 35-279 გვერდებზე დაბეჭდილია პოემის ტექსტი (1671 სტროფი). 281-301 გვერდები უჭირავს ტექსტის კომენტარებს, ჰ. ჰუპერტის ხელმოწერით და 1955 წლის თარიღით. ტექსტში ჩართულია ცალკე ფურცლებზე დაბეჭდილი ლევან ცუცქირიძის ილუსტრაციები. გ. ა.

391. [კონსტ. სალია]

**La literature georgienne**

***Encyclopedia universalis, VII, Paris***, 1970, გვ. 676.
ნაწყვეტის ქართული თარგმანი (ნ. ქადეიშვილისა) იხ.: „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, I, თბ., 1976, გვ. 116.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ლიტერატურის კლასიკური ხანის ეპიკური პოეზიის ყველაზე ტიპიური ნაწარმოებია. ეს პოემა წარსულის იმ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც დღემდე უბადლო ნიმუშისა და ნორმის ღირებულება აქვთ... იგი მოიცავს სიბრძნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების უშრეტ წყაროს... გასაოცარი სიზუსტით ასახავს თამარ მეფის ეპოქის ქართული ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების ყველა დეტალს, აღწერს იმ ქრისტიანულ საზოგადოებას, რომელიც სოციალური სტრუქტურითა და მსოფლმხედველობით მჭიდროდ ენათესავება დასავლეთ ევროპის საზოგადოებას. გ. ა.

391**a**. ვ. სამსონაძე

მესხური დიალექტი „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „განახლებული მესხეთი“ (ადიგენი), 1970, 4 ივლისი, № 80, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკურ ფორმებსა და გამოთქმებს, რომლებიც დღევანდლამდე იხმარება მესხურში, მაგ.: ბურვა („ნეტავი როდის იქნება ერთად გვებუროს საბანი“); მშობლური (და არა მშობლიური); ნიჭი, ქორწილში მითრმეულ საჩუქარს სანიჭარს ეძახიან; გაქიქება (გამიქიქია), („გავხდი ქვეყნის სამაქექოს“). მეტყველებაში გამოიყენება ფორმები: ხვრეტა (ხვრეპა), ხადილი (ქეიფი, ლხინი), ტაროსი (ამინდი), ტანაჯორი (ბზრიალა), ნასი (უშნო), ხასი (აბრეშუმი, ატლასი), პაშტა (დიდი), იჩქითი (მაღი), სულის დაღება (დამშვიდება), თავშედგმული (პირამდე სავსე) და სხვ.

**392. Сергей Серебряков**

**Новый английский перевод поэмы Руставели**

ჟურ. “*Лит. Грузия*”, 1970, № 9, გვ. 79-84.

რეცენზია ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ვენერა ურუშაძის ინგლისური თარგმანის გამოცემას (თბ., 1968). როგორც ავტორ წერს, თარგმანი შეიძლება შეფასდეს ორი თვალსაზრისით: 1) იმ ზოგადი შთაბეჭდილებით, რომელსაც ის ახდენს როგორც გარკვეული მხატვრული ფენომენი; 2) ორიგინალთან დამოკიდებულებით. თარგმანი შესრულებულია ურითმო ლექსით, ე. წ. ჰეგზამეტრით, რაც დედანთან აზრობრივი სიახლოვის დაცვის შესაძლებლობას იძლევა. რეცენზიაში მოცემულია თარგმანის ვრცელი და კვალიფიციური ანალიზი, რის საფუძველზეც ავტორი დაასკვნის: ვ. ურუშაძის თარგმანი თავისი პოეტური ღირსებებით არ ჩამოუვარდება რუსთაველის პოემის არც ერთ გალექსილ თარგმანს, ხოლო შინაარსის გახსნისა და გადმოცემის მხრივ ბევრით სჯობნის მათ.

აღნიშნულია, რომ რედაქტორებმა ნიკო ყიასაშვილმა და ინგლისელმა პოეტმა კევინ კროსლი-ჰოლანდმა დიდი შრომა გასწიეს ამ თარგმანის სრულყოფისათვის. გ. ა.

393. ლუის ფრენსის სოლანო

რუსთაველის გენია მიძღოდა წინ

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1970, 9 ოქტ., № 41, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ორი წლის წინ საგანგებოდ ჩამოვიდა საქართველოში რუსთაველის შემოქმედების შესასწავლად. თბილისში მიღებული მასალებისა და ინფორმაციის საფუძველზე ბოსტონის კოლეჯში მან წაიკითხა ლექცია: „მიჯნურობა შუა საუკუნეების ქართულ პოეზიაში“, რაც ახალი და უცნობი იყო კოლეჯის ასპირანტებისა და პროფესორებისათვის.

მეცნიერი ჰარვარდის უნივერსიტეტში კითხულობს კურსს: „შუა საუკუნეთა პროვანსული პოეზია, მისი წყაროები და ანალოგიები“, სადაც იგი „ვეფხისტყაოსანსაც განიხილავს. მკვლევრის აზრით, ამ თხზულების მიმზიდველობას განაპირობებს შემდეგი: „მრავალი ერის ლიტერატურა იცნობს ვაჟკაც გმირებს, ლამაზ ქალებს, სიყვარულს, მაგრამ არსად არ არის ის შეხმატკბილება, რასაც რუსთაველის პოემაში ვნახულობთ. პირველივე სტროფებიდან გრძნობთ, რომ პოეტი მთელ სამყაროზე ფიქრობს და ამავე დროს მისი საგანია ადამიანის ინდივიდუალური არსება, რომლის ბედია სამყაროს მცირე ნაწილად იგრძნოს თავი, თუმცა საკუთარი ბედი და უბედობა პიროვნებისათვის დიდად მნიშვნელოვანია... კაცთმოყვარეობა, ჰუმანიზმი არის უმთავრესი თვალსაჩინო ნიშანი პოემისა“. გ. ა.

**393а. П. Таниманиди**

**На немецном языке**

გაზ. „*Заря Восктока*“, 1970, 19 დეკ., № 295, გვ. 4.

მოკლე ინფორმაცია მოგვყავს მთლიანად:

გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ ლიტერატურული დანართის მეათე ნომერში იუწყებიან, რომ ბერლინის გამომცემლობამ „რიუტენ უნდ ლენინგ“ გამოუშვა დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი თხზულების, „ვეფხისტყაოსნის“, ახალი გამოცემა.

თარგმანი შესრულებულია ჰუგო ჰუპერტის მიერ, ილუსტრაციები – მხატვარ ლევან ცუცქირიძისა. გ. ა.

394. ჰაინც ფენრიხი

## ქართული ლიტერატურა

ჟურ. „ზინნ უნდ ფორმ“, 1970, № 6, გვ. 1491-1501; ნაწყვეტის თარგმანი (ნ. ამაშუკელისა) – კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, I, თბ., 1976, გვ. 283-244.

ქართული ლიტერატურის ზოგად მიმოხილვაში გერმანელი მეცნიერი წერს: „ქართულმა ლიტერატურამ განვითარების უმაღლეს წერტილს შოთა რუსთაველის პოეზიაში მიაღწია. მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა რიცხვს განეკუთვნება. ... ამ პოემის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ორი საუკუნით უფრო ადრე, ვიდრე დასავლეთ ევროპაში რენესანსი დაიწყებოდა, ღრმად იყო გაჟღენთილი რენესანსული აზრებით. ქართველი პოეტის ასეთმა ჰუმანისტურმა სწრაფვამ მას გამოჩენილი ადგილი მოუპოვა მსოფლიოს უდიდეს ეპიკოსთა შორის“. გ. ა.

395. ემილ ფინი

## შოთა რუსთაველი და ქვის „მაგია“

გაზ. „*Молодежь Грузии*“ 1970, 27 ივნისი, №76; „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1970, 30 ივნისი, № 77.

რუსი ჟურნალისტი წერს, რომ ცნობილი გეოლოგის ა. ფერსმანის არქივში აღმოჩნდა ნარკვევი „რუსთაველის პოემა და მის დრო“, დაწერილი 1937-38 წლებში. მასში განხილულია პოემაში ფერადი ქვების რეალური და მხატვრული ფუნქცია. ა. ფერსმანს დაუთვლია, რომ რუსთაველს დასახელებული აქვს 17 ფერადი ქვა. მისი თქმით, „რუსთაველის მდიდარი ბუნება უკარნახებდა მას ფართოდ გამოეყენებინა თავის ნაწარმოებში ძვირფასი ქვების სილამაზე“. მეცნიერი აკეთებს ეკონომიკური ხასიათის დასკვნებს: რუსთველის დროს ალმასს ღირებულების მხრივ მეხუთე ადგილი ეკავა; მის წინ იდგნენ: მარგალიტი, ლალი, ზურმუხტი და ქრიზოლითი (ოქროქვა). ეს, ალბათ იმიტომ, რომ მაშინ ალმასის მოწახნაგების ტექნოლოგია არ იცოდნენ.

ა. ფერსმანი ასახელებს იმ ქვეყნებსაც, საიდანაც ფერადი ქვები შემოდიოდა საქართველოში. მაგ., იასპი (ამარტი) მოდიოდა ეგვიპტიდან და სიცილიიდან, შპინელი (ლალი) – ავღანეთიდან, ბირმიდან და ცეილონიდან, მთის ბროლი – ინდოეთიდან და ჩინეთიდან, გიშერი (შავი ქვა) და სარდიონი – არაბეთიდან, იაპონიიდან და ჩინეთიდან. თუმცა გიშრის მოპოვება საქართველოშიც წარმოებდა ჯერ კიდევ ბრინჯაოს ეპოქაში. ზურმუხტი შემოჰქონდათ ეგვიპტიდან, ხოლო ლაზურიტი (ლილაქვა) – ავღანეთიდან.

„ვეფხისტყაოსანში“, როგორც ა. ფერსმანი აღნიშნავს, არ არის რაიმე მითითება ფერადი ქვების ტექნიკური ან სამკურნალო მიზნით გმოყენების შესახებ, აგერთვე არაფერია ნათქვამი ძვირფასი ქვების თილისმად გამოყენებაზე. პოემაში არც ფერადი ქვების სიმბოლიკაა. თუმცა რუსთაველს უნდა სცოდნოდა „ქვის მაგიის“ შესახებ, მისდროინდელი წარმოდგენების მიხედვით.

ა. ფერსმანი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გვიჩვენებს ფერადი ქვების ყოფა-ცხოვრებაში გამოყენების მრავალმხრივობას. რუსთაველი მათ ასახელებს იმ საგნების აღწერისას, რომლებსაც ფერადი ქვებით ამკობდნენ. ფერადი ქვები გამოყენებულია აგრეთვე პოეტურ მეტყველებაში (შედარება, მეტაფორა), ქალებისა და ჭაბუკების გარეგნობის აღწერა-დახასიათების დროს. რუსთაველი ყველაზე ხშირად ბროლს ასახელებს; პოემაში ის 33-ჯერ არის დასახელებული. გ. ა.

396. ლილი ქუთათელაძე

## „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაზე დართული „ანდერძისათვის“

ჟურ. „მაცნე“ (საზოგ. მეცნ. განყ.), 1970, № 5, გვ. 131-136.

ავტორი ასაბუთებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის დანართი, ლექსად დაწერილი 9-სტროფიანი ანდერძი, რომლის ავტორად მარი ბროსე იყო მიჩნეული, სინამდვილეში თეიმურაზ ბაგრატიონის დაწერილია. მას აუცილებლად ჩაუთვლია უცხოელი მეცნიერის ღვაწლის საგანგებოდ აღნიშვნა, რომელმაც თავისი შრომითა და საფასით მოახერხა ქართველთა ამ სანუკვარი თხზულების სტამბურად გამოცემა.

ამ დებულების დამამტკიცებელი „საარქივო მასალები“ უნახავს ალ. კობახიძეს, რის შესახებაც

წერდა გაზ. „კომუნისტში“, 1937, № 234. გ. ა.

397. დ. ქუმსიშვილი

შენიშვნები ზ. კიკნაძის წერილის გამო

ჟურ. „ცისკარი“, 1970, № 2, გვ. 142-148.

ავტორი იმეორებს თავის მოსაზრებებს, გამოთქმულს წერილში „დიონოსისა“ და „დივნოსის“ საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“ (ჟურ. „მნათობი“, 1969, № 8).

მისი აზრით, რუსთველის მიერ დამოწმებული „დიონოსი“, „ეზროსი“ (177-ე სტროფში) და „დივნოსი“ (1492-ე სტრ.) ერთი და იგივე პირია — ბერძნული მითოლოგიის ღმერთი დიონისე, რომელსაც აიგივებენ ღმერთ ოზირისთან, ანუ ეზროსთან. ისინი იყვნენ ვარდ-ყვავილების და ვაზის მეუფენი. მათ სახელებს უკავშირდებოდა ბუნების აყვავება და ჭკნობა დროის წლიური ციკლის მიხედვით. გ. ა.

398. შალვა ღლონტი

უკან გადადგმული ნაბიჯი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1970, 4 სექტ., № 36, გვ. 3-4.

რეცენზია ეხება ი. მეგრელიძის წიგნს „რუსთველოლოგები“ (თბ., 1970). შ. ღლონტის აზრით, წიგნის ავტორი რუსთველოლოგიურ პრობლემებს ზერელედ იხილავს, ვერ ადგენს ამა თუ იმ მკვლევრის ღვაწლს, სავსებით უგულებელყოფს ზ. ჭიჭინაძის, დ. ჩქოტუას, ს. ქვარიანის, გ. ქიქოძის, შ. დოლაქიძის ნაშრომებს, სამაგიეროდ, წიგნი გადატვირთულია ისეთ პიროვნებებზე მსჯელობით, რომელთაც ამ დარგში არაფერი გაუკეთებიათ. ასეთები არიან: ი. ბაგრატიონი, ალ. ხოძკო, ჟიულ მურიე, ი. გოგებაშვილი, გ. ავალიშვილი, გ. იოსელიანი, ა. ლაისტი, ს. ხუნდაძე და სხვ.

რეცენზენტის დასკვნით, გ. იმედაშვილის „რუსთველოლოგიის“ შემდეგ (1941 წ.), ეს წიგნი უკან გადადგმული ნაბიჯია. გ. ა.

399. შ. ღლონტი

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა და კომპოზიციის საკითხისათვის

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1970, № 4, გვ. 50-57.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი რჩეულ ადამიანთა ხასიათების გამოსახვას ემსახურება. პოემის ძირითადი ამბები ნესტანისა და ტარიელის თავგადასავალს შეიცავს. ამბავთა ამ ძირითად ნაკადს შეერთვის თინათინ-ავთანდილის, ფრიდონისა და ფატმანის თავგადასავლები. მკვლევრის აზრით, ნაწარმოების ექსპოზიცია იწყება სარიდანის სამეფოს შეერთებით ინდოეთთან და მთავრდება ნესტანის საქმროდ ხვარაზმშას შვილის მოწვევით.

ნაწარმოების კვანძი ინასკვება მაშინ, როცა ტარიელი სასიძოს კლავს და დავარი ნესტანს გადაკარგავს. შემდეგ აღწერილია მოქმედების განვითარების ეტაპები ფრიდონის, ავთანდილისა და ფატმანის მონაწილეობით.

სიუჟეტის კულმინაციური მომენტია ქაჯეთის ციხე-ქალაქის აღებისათვის გამართული ბრძოლა. ამ ბრძოლაში გამარჯვებით და ნესტანის გათავისუფლებით სიუჟეტის კვანძიც იხსნება.

წერილში საუბარია აგრეთვე კომპოზიციურ რკალებზე, რომლებიც სიუჟეტის სხვადასხვა ეპიზოდებს აერთიანებს. გ. ა.

400. გურამ შარაძე

ახალი რუსული გამოცემა

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1970, 1 იანვ., № 1, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ მოსკოვში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ გ. ზაბოლოცკისეული თარგმანი (1969 წ.). ეს ამ თარგმანის მეოთხე გამოცემაა და შედის მსოფლიო ლიტერატურის 200-ტომიანი ბიბლიოთეკის პირველ სერიაში, რომელშიც იბეჭდება ანტიკური სამყაროს, აღორძინებისა და მე-17, მე-18 საუკუნეების საუკეთესო ძეგლები.

წიგნის ტირაჟია 300.000. მას ერთვის სერგო ქობულაძის ილუსტრაციები, ირ. აბაშიძის შესავალი წერილი (გვ. 5-19), სარგის ცაიშვილის „შენიშვნები" (გვ. 339-358) და მისივე — „ზოგიერთ ტერმინთა, საკუთარ სახელთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი" (გვ. 359-364). გ. ა.

401. გ. შარაძე

„ვეფხისტყაოსნის" ე. წ. ზაზასეული ხელნაწერის გარშემო

ჟურ. „მაცნე" (საზოგ. მეცნ. განყ.), 1970, №4, გვ. 125-138; № 5, გვ. 113-130.

გამოკვლევაში განხილულია შემდეგი საკითხები: 1. ხელნაწერის აღმოჩენა; 2. რუსთაველის პორტრეტისა და ხელნაწერის დაშორება; 3. ხელნაწერის ნაკლული ფურცლები; 4. მფლობელთა ვინაობა.

ეს ხელნაწერი 1853 წლიდან ეკუთვნოდა მ. ვორონცოვს და აღმოჩნდა ლენინგრადში, ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ვორონცოვის არქივში 1933 წელს (ცნობა გამოაქვეყნა ტროიცკიმ, 1935 წ. თბილისში ჩამოიტანა რუსთაველის სახ. ლიტ. ინსტიტუტის დირექტორმა ა. დუდუჩავამ).

გ. შარაძის ვარაუდით, რუსთაველის პორტრეტი ხელნაწერიდან ამოიღო ალ. ორბელიანმა მანამდე, სანამ ხელნაწერს გადასცემდა მ. ვორონცოვს. ეს პორტრეტი დარჩა ორბელიანების ოჯახში, შემდეგ ხელში ჩაუვარდა ვინმე ყაზაროვს, რომელსაც სურდა უცხოელებისათვის მიეყიდა ის.

ხელნაწერის უკანასკნელ გვერდზე გადამწერი აღნიშნავს, რომ ხელნაწერი 212 ფურცელს შეიცავს. გ. შარაძე ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება მხოლოდ ტექსტის შემცველი ფურცლები, მათ გარდა კიდევ ყოფილა 16 ფურცელი, რომლებზეც მინიატურები უნდა ყოფილიყო.

გ. შარაძე ადგენს, რომ ამ ხელნაწერის მფლობელი ერთ დროს ყოფილა რამაზ ერისთავი. დასაზუსტებელია მე-18 ს. II ნახევარში ამ ხელნაწერის მფლობელთა რიგითობა და ნათესაური ურთიერთობა. გ. ა.

**402. П. Шария**

**К вопросу о жанровои принадлежности поэмы Руставели и её месте в истории мировой литературы**

ჟურ. "*Лит. Грузия*", 1970, № 8, გვ. 59-67.

ავტორს უნდა გაარკვიოს, „ვეფხისტყაოსანი" ეკუთვნის თუ არა „რენესანსულ" ძეგლებს? მისი თქმით, ამის ერთ-ერთ ნიშნად ასახელებენ რუსთაველის ჰუმანიზმს, მაგრამ მისი თხზულების ჰუმანიზმი და იტალიური რენესანსის ჰუმანიზმი სხვადასხვა შინაარსის შემცველი ცნებებია.

მკვლევრის აზრით, არ შეიძლება აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" მიჩნევა ე. წ. რაინდულ პოემად. „ვეფხისტყაოსანში" ასახულია ვასალიტეტის ერთ-ერთი სახე – პატრონყმობა, მაგრამ ის, როგორც სოციალური ინსტიტუტი, განსხვავდება ევროპელი რაინდისა და მისი სუზერენის ურთიერთობისაგან. რაინდობას თავისი კორპორაციულ-სექტური წესები და ტრადიცია ჰქონდა, რაც არ ჩანს „ვეფხისტყაოსანში".

ავტორის დასკვნით, რუსთაველის პოემა ნაციონალური ეპოსია, რომელიც გამოხატავს ქართველი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ხასიათსა და მის იდეალებს. გ. ა.

403. სარგის ცაიშვილი

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. I, თბ., 1970, 350 გვ.

ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი პოემის ისტორიასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. განხილულია პოემის ხელნაწერთა სხვადასხვა რედაქციები, გამოვლენილია ჩანართი პლასტები და ტექსტის თანდათანობით ცვლილების სურათი.

„ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერების სტროფული შედგენილობის შესწავლის საფუძველზე გამოყოფილია პოემის რედაქციები და ქვერედაქციები. ამასთან ტექსტის ისტორიის მონაცემების გათვალისწინებით აღძრულია ტექსტის აღდგენასთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა.

წიგნში ცალკე სათაურების ქვეშ განხილულია შემდეგი თემები:

1. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია და თანამედროვე ტექსტოლოგიური ზოგადი საკითხები (შესავლის მაგიერ).
2. ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის ისტორიიდან (გვ. 17).
3. ვეფხისტყაოსნის რედაქციები (ზოგადი მიმოხილვა) (გვ. 146).

4. ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები (გვ. 166).
ა) ვეფხისტყაოსნის პროლოგი ხელნაწერებსა და გამოცემებში.
ბ) პოემის შუა მონაკვეთი ხელნაწერების მიხედვით.
გ) ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა რედაქციები და პლასტების დათარიღების საკითხი.
დ) შედგენილობის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა კლასიფიკაციისათვის (ზოგადი დასკვნები).
5. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტექსტის აღდგენის ძირითადი საკითხები (გვ. 282).
6. ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია (გვ. 313).
7. ვეფხისტყაოსნის არტანუჯული ვარიანტის შესახებ (გვ. 326).
8. ვეფხისტყაოსნის მეორე (1841 წ.) გამოცემა (გვ. 337).

მეორე თავში (გვ. 17-145) მოცემულია რუსთაველის პოემის ტექსტის კვლევისა და გამოცემის ისტორია XVII ს-დან XX ს-ის 50-იან წლებამდე.

მე-3-4-5 თავებში ავტორი განიხილავს პოემის ხელნაწერებს და გამოყოფს რედაქციულ ჯგუფებს სტროფული შედგენილობის მიხედვით.

I რედაქციულ ჯგუფში ერთიანდება 11 ხელნაწერი (უძველესი თარიღიანი და სხვები), რომლებიც ყველაზე ნაკლებ ინტერპოლაციებს (ავტორის კლასიფიკაციით – ჩანართების I პლასტს) შეიცავენ.

II რედაქციაში შედის 12 ხელნაწერი (ე. წ. „ზაზასეული“ და სხვები), რომლებშიც არის ჩანართების I და II პლასტები.

III რედაქციად გამოიყოფა ე. წ. „სამეფო სახლის“ ხელნაწერები, სადაც შესულია ჩანართების ახალი ციკლი — III პლასტი.

IV რედაქციას ეკუთვნის ე. წ. „მზეხათუნისეული“ და მისი მსგავსი ხელნაწერები (სულ – 5), რომლებშიც არის I რედაქციაში არსებული ჩანართი სტროფები და 50 კიდევ სხვა, რომლებიც I, II და III რედაქციების ნუსხებში არ მოიპოვება.

სარგის ცაიშვილის ამ წიგნში სრულად არის წარმოდგენილი რუსთველის პოემის ტექსტის ისტორიული განვითარება, მისი მოცულობის თანდათანობითი ზრდა, შევსება, დამახინჯება და შემდეგ – მკვლევართა და რედაქტორ-გამომცემელთა მიერ მისი გაწმენდისა და დადგენისათვის გაწეული მუშაობა. გ. ა.

404. ს. ცაიშვილი

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II
(ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები), თბ., 1970, 208 გვ.

წიგნში მეცნიერულად აღწერილია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და ცალკეული ფრაგმენტები (162 ხელნაწერი და 32 ფრაგმეტი). აღწერის დროს ყურადღება ექცევა ხელნაწერთა რედაქციულ თავისებურებებს, რის მიხედვითაც ისინი ცალ-ცალკეა დაჯგუფებული, მაგ.: „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციების შემცველი ხელნაწერები“, „ვახტანგისეული რედაქციის შემცველი ხელნაწერები“, „შერეული (კომპილაციური) რედაქციის ხელნაწერები“ და ა. შ.

წიგნს ერთვის გამოკვლევები: „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიიდან“ (გვ. 3-11) და „ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებზე (მე-19 საუკუნე)“ (გვ. 12-26), I და II ტომის რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 188-193), პიროვნებათა და აღწერილ ხელნაწერთა საძიებლები (გვ. 194-205).

აღნიშნული გამოკვლევები (გვ. 3-26) ემყარება ს. ცაიშვილის ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებს („ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“, თბ., 1957; „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები“, თბ., 1963) და იმეორებენ ამ წიგნების ძირითად დებულებებს. გ. ა.

405. შოთა ძიძიგური

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიის საკითხები

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1970, 6 ნოემბ., № 45, გვ. 2.

რეცენზიაში განხილულია სარგის ცაიშვილის წიგნი „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ (თბ., 1970). როგორც ავტორი წერს, „სარეცენზიო გამოკვლევა მოასწავებს ახალ მოსაზრუნს რუსთველოლოგიაში“ და ახალ პერსპექტივებს შლის რუსთაველის ავთენტიკური ტექსტის დადგენის საქმეში. მკვლევარი სწავლობს ტექსტის ცვლილების ისტორიას, გამოყოფს დამატებათა პლასტებს და ახდენს მათ კლასიფიკაციას; ადგენს ბეჭდურ გამოცემათა წყაროებს და არკვევს თითოეული გამოცემის თავისებურებასა და მნიშვნელობას. „ფართო და ყოველმხრივი ანალიზი არსებული ორიგინალური გამოცემებისა აქამომდე არავის ჩაუტარებია. ს. ცაიშვილი პირველია, რომელმაც რუსთველოლოგიაში

ამოავსო ეს ხარვეზი“. გ. ა.

406. რ. ჭილაია

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1970, № 3, გვ. 55-60.

სტატიის ავტორი წერს: პროლოგი ავტორისეული წინასიტყვაობაა, რომელიც გვაცნობს მწერლის შეხედულებებს ამა თუ იმ პრობლემაზე, მიუთითებს მის მხატვრულ ჩანაფიქრზე, ხელოვანის მიზანზე. ქართულ ესთეტიკურ აზროვნებასა და პოეტიკას ტონი მისცა „ვეფხისტყაოსანმა“ და მისმა პროლოგმა.

რუსთაველის აზრით, სინამდვილის არსში ჩაწვდომა ორი გზით წარმოებს: ერთია სიბრძნე, მეცნიერება, მეორე – პოეზია, არსებულის მხატვრული ასახვა (ამ მხრივ ის არისტოტელეს თვალსაზრისს ეთანხმება).

წერილში განხილულია რუსთაველის თეორიული მოსაზრებები პოეტურ შემოქმედებასა („შაირობა“) და მიჯნურობაზე და სათანადო სტროფებში გამოყენებული მხატვრული ხერხები (მეტაფორა, შედარება და სხვ.).

ავტორის დასკვნით, პროლოგში წამოყენებულ თეორიულ მოთხოვნებს პოეტი მხატვრულად ახორციელებს პოემის ტექსტში, ამიტომაც ეს პროლოგი თხზულების განუყოფელი ნაწილია. გ. ა.

407. ალ. ჭინჭარაული

ვეფხისტყაოსნის საკითხები, „მძებარე“ თუ „მდებარე“?

ჟურ. „მაცნე“, 1970, № 6, გვ. 177-182; აგრ. წიგნში: „ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის საკითხები“, თბ., 1982, გვ. 183-190.

ნარკვევი ეხება გამოთქმას: „საქმისა მძებარე“ — ტაეპში: ვჰკითხეთ, თუ: „ვინ ხარ, ღარიბო, რასა საქმისა მძებარე?“ (1032,3).

ავტორი აღნიშნავს, რომ „მძებარე“ იკითხება მხოლოდ სამ ხელნაწერში, სხვა 16 ხელნაწერში კი მისი ვარიანტია „მდებარე“. გამოთქმა „საქმის მდებარე“ საქმის მქონეს ნიშნავს; შდრ.: „აწ გულანშაროს ქალაქსა ვარ საქმის რასმე მდებელი“ (1235,2). ასეთი გაგება დასტურდება ძველ ქართულსა და მთის დიალექტებში (მოყვანილია მაგალითები ძველი მწერლობის ტექსტებიდან და ფშაური და ხევსურული კილოებიდან).

ფორმა „მძებარე“ საეჭვოა იმიტომაც, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ის მხოლოდ ამ სტროფში დასტურდება, სხვა შემთხვევებში გამოყენებულია „ეძებს“-ს ზმნის მიმღეობა „მძებნელი“.

მკვლევრის დასკვნით, სიტყვა „მძებარე“ გადამწერთა შენატანი და, ამდენად, უადგილოა; უნდა აღდგეს გამოთქმა: „საქმისა მდებარე“. გ. ა.

408. ალ. ჭინჭარაული

ვეფხისტყაოსნის საკითხები
(„აწ“ თუ „წა“?)

ჟურ. „მაცნე“ (საზოგ. მეცნ. განყ.), 1970, № 6, გვ. 182-184.

განხილულია 1111-ე სტროფის II და III ტაეპები (1966 წ. შანიძე-ბარამიძის გამოცემით):

კვლავე შეჰყივლა: „ვინათგან ცეცხლი აწ ცხელი-ა ნელად,
თუ მო-ვითა-ჰკლა იგი ყმა ჩემად გულისა მფხანელად...“

მკვლევარი აუცილებლად მიიჩნევს ტექსტის ასე გასწორებას: კვლა მი-ვე-ჰყივლა: „ვინათგან ცეცხლი ცხელია, წა ნელად, მო-ვითმე-თუ-ჰკალ იგი ყმა...“ (=კიდევ მისძახა: „ვინაიდან ცეცხლი ცხელია, ანუ ჩვენი მდგომარეობა საშიში და სახიფათოა, ნელად და ფრთხილად წადი, როგორმე თუ მოჰკალი ის ყმა..., ჩემი ბეჭედი მომიტანე). ასეთი წაკითხვით აზრიც სწორდება და რითმაც. არსებული ტექსტის შინაარსი: „ვინაიდან ახლა ცხელი ცეცხლი დანელებულია“ — არსებულ სიტუაციას არ შეეფერება, — ფატმანმა ჯერ ხომ არ იცის, საქმე როგორ წავა და რით გათავდება?

მკვლევრის აზრით, გასასწორებელია 1107-ე სტროფის მეორე ტაეპიც: „მო-ვითა-ჰკლავ იმა კაცსა, წადი, მოკალ მალვით ღამით“. ავტოგრაფში სავარაუდებელია წაკითხვა: „მო-ვითმე-ჰკლავ“ (=თუ როგორმე მოჰკლავ). გ. ა.

409. რ. ხვედელიძე

რუსთაველი უკრაინულ პოეზიაში

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1970, № 2, გვ. 35-40.

როგორც ავტორი წერს, უკრაინულ პოეზიაში შოთა რუსთაველის სახის მხატვრული აღქმა არსებითად მისი თხზულების გმირების ზნეობრივი სრულყოფისა და მათი ფიზიკური და სულიერი ენერგიის ერთ მთლიანობაში განცდას უკავშირდება. მკვლევარი იმოწმებს ციტატებს მ. ტერეშჩენკოს, მ. რილსკის, პ. ტიჩინას, ე. ფომინის და სხვა პოეტების ლექსებიდან, საიდანაც ჩანს, რომ მათი ავტორები „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების გმირობაში, სიყვარულში, პატრიოტიზმში თვით რუსთაველის პიროვნულ თვისებებს ხედავენ. ზოგჯერ რუსთაველი მისი სამშობლოს, საქართველოს, სიმბოლოდაა წარმოდგენილი, პოემის მსოფლმხედველობა კი – ქართული ეროვნული სულის ანარეკლად. გ. ა.

409ა. რ. ხვედელიძე

შოთა რუსთაველი საბჭოთა უკრაინის კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკ. XIV სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1970, გვ. 10.

1. უკრაინულ კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში „ვეფხისყაოსანზე“ არსებული მასალა საინტერესოა მეცნიერული და პოპულარული თვალსაზრისით.

2. უკრაინული ავტორების წერილებში მეცნიერული ღირებულების შემცველია რუსთაველისა და მისი ეპოქის პოეტების (ნიზამი, კრეტიენ დე ტრუა, ეშენბახელი) შემოქმედებითი მოტივების შედარებითი ანალიზი. გ. ა.

410. ელგუჯა ხინთიბიძე

„ვეფხისტყაოსნის“ სახე ყოვლისა ტანისა

ჟურ. „მაცნე“, 1970, № 4, გვ. 139-154.

„ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისის მეორე სტროფი, სადაც პოეტი ღმერთს შეწევნას სთხოვს და საკუთარ სულს ავედრებს, ასე იწყება: „ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“. აქ ხმარებული ცნებები „სახე“ და „ტანი“ მკვლევარებს სხვადასხვაგვარად ესმით. ე. ხინთიბიძის აზრით, ეს განმარტებანი ან მცდარია, ან მიახლოებითი და არასაკმარისი. ამიტომ ცდილობს საკითხი უფრო ღრმად და სრულად განიხილოს. ქართული და უცხოური ფილოსოფიური და თეოლოგიური ლიტერატურის სათანადოდ შესწავლის საფუძველზე იგი დაასკვნის, რომ რუსთველისთვის სახე, რომლის შესატყვისი ბერძნულ ფილოსოფიურ ძეგლებში არის eido" და mor f h ნიშნავს ფორმას, ოღონდ საგნის არსების, საგნის სახის, იდეის მნიშვნელობით; ხოლო ტანი ეწოდება ადამიანის ან ცხოველის სხეულს, რომელსაც ძველ ქართულში გუამი ერქვა.

სახის ზემოხსენებული შინაარსი უნდა მოდიოდეს არისტოტელეს თხზულებიდან „სულის შესახებ“, რომელიც შუა საუკუნეებში უაღრესად პოპულარული იყო. მასში პირდაპირ იკითხება: „სული არის არსება, პოტენციური სიცოცხლის მქონე ბუნებრივი სხეულის ფორმა“. ხოლო ფორმა რაიმე საგნისა, არისტოტელეს თანახმად, არის ამ საგნის ყოფიერება, პირველადი არსი, დედაარსი, ე. ი. სხეულის ფორმა, ანუ სახე, არის იგივე სული.

ამრიგად, გამოდის, რომ რუსთაველი იზიარებს არისტოტელეს დებულებას სულის რაობაზე; მისი გამოთქმა „სახე ყოვლისა ტანისა“ გულისხმობს სულს.

არისტოტელეს ფილოსოფიის გასაცნობად რუსთაველს შეეძლო სამი გზიდან ერთ-ერთით მაინც ესარგებლა: 1) არისტოტელე ყოველთვის პოპულარული იყო ქრისტიანულ სამყაროში. თუ რუსთაველმა ბიზანტიაში მიიღო განათლება, მას საშუალება ექნებოდა ბერძნულ ენაზე გასცნობოდა არისტოტელეს თხზულებებს. 2) სავარაუდოა კონტაქტი არაბული ფილოსოფიის მეშვეობით, — რუსთაველის ეპოქაში არისტოტელე არაბულ ენაზე თარგმნილი იყო. 3) არისტოტელეს მოძღვრება სულის შესახებ დაწვრილებითაა გადმოცემული IV ს-ის ქრისტიანი ეპისკოპოსის ნემესიოს ემესელის თხზულებაში „ბუნებისათვის კაცისა“. ეს წიგნი ქართულად თარგმნა იოანე პეტრიწმა XII ს-ის I ნახევარში. შესაძლებელია, რომ რუსთაველი იცნობდა ამ თარგმანს. გ. ა.

411. დ. ჯანელიძე

„მოვიდიან შესამკობლად“ თუ არ მოვიდიან?

გაზ. „კომუნისტი“, 1970, 27 აგვ., № 199, გვ. 3.

ავტორი მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ 968-ე სტროფზე (1937 წ. გამოცემით): „მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი...“, რომელიც 1966 წლის გამოცემებში არ დაბეჭდილა (გვიანდელ ჩანართად არის მიჩნეული).

მკვლევრის ვარაუდით, „შესამკობლად“ მოსულთა სახით იგულისხმებიან მომღერალ-მოცეკვავეთა და ჯამბაზთა დასების წარმომადგენლები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში ხეტიალობდნენ და ამ მოგზაურობაში მომღერად ავთანდილს შეხვდნენ. ამრიგად, ეს სტროფი „მსოფლიო სანახაობრივი ხელოვნების, ხალხთა კულტურული ურთიერთობის სინამდვილის ამსახველია“. გ. ა.

## 1971 წელი

412. ლია ანდღულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორიიდან (იზაბელა გრინევსკაია)

კრებ. „ქართული ლიტერატურის საკითხები“, II, თბ., 1971, გვ. 235-255.

როგორც ავტორი წერს, იზაბელა არკადის ასული გრინევსკაია (1857-1944) იყო პოეტი, დრამატურგი და მთარგმნელი. 1903 წ. „Новое обозрение“-ს ფურცლებზე დაიბეჭდა მ. თუმანოვის, ა. წერეთლისა და განდეგილის ლექსების გრინევსკაიასეული თარგმანები.

„ვეფხისტყაოსნით“ მისი დაინტერესება გამოწვეული უნდა იყოს ნ. მარის ნაშრომით „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისის და დასასრულის სტროფები“ (რუსულად, 1910 წ.). მას გაულექსავს პოემის დასაწყისის მარისეული სიტყვა-სიტყვითი თარგმანი 12-მარცვლიანი ქორეთი, სტროფი ექვსტაეპოვანია და აქვს პარალელური რითმა (аббааа), გრინევსკაია ზუსტად იცავს სტროფთა მარისეულ რიგს და რაოდენობას (22 სტრ.). ეს თარგმანი შექმნილია 1910-1914 წლებში, მაგრამ, როგორც ჩანს, მთარგმნელს მაშინ არ უცდია მისი გამოქვეყნება. 1936 წ. თარგმანი რუსეთის მეცნ. აკადემიის წევრების რეკომენდაციით გამოუგზავნიათ პოეტ იოსებ გრიშაშვილისათვის, მაგრამ ის არც საქართველოში დაბეჭდილა და ბოლო დრომდე დარჩა ი. გრიშაშვილის არქივში.

ლ. ანდღულაძე განიხილავს ამ თარგმანის ღირსება-ნაკლოვანებებს და წერილის ბოლოს (გვ. 251-255) აქვეყნებს მის ტექსტს. გ. ა.

413. ალ. ბარამიძე

რუსთველის საბიოგრაფიო საკითხები

წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტ. ისტორიიდან, V, თბ., 1971, გვ. 119-142.

ავტორი განიხილავს ოთხ რუსთველოლოგიურ ნაშრომს:

I. ნოდარ შოშიაშვილის „თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი“ (ხელნაწერთა ინსტ. კრებ. „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 7-74);

მისივე, „XII-XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი“ (ჟურ. „ცისკარი“, 1965, № 9).

ალ. ბარამიძე დასაბუთებულად მიიჩნევს ნ. შოშიაშვილის მიერ შოთა რუსთაველის მესხური წარმოშობის მტკიცებას, კერძოდ, მის დაკავშირებას თორელების გვართან.

II. სარგის ცაიშვილის ნარკვევი „შოთა რუსთაველი, ბიოგრაფიული ესკიზი“, ჟურ. „მნათობი“, 1966, № 2, გვ. 132-146; აგრ. წიგნში: ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, თბ., 1966.

მკვლევარი იზიარებს ს. ცაიშვილის ნარკვევის ძირითად დებულებას შოთას მესხური წარმოშობის შესახებ, ოღონდ არასწორად მიიჩნევს მანდატურთუხუცეს ჭიაბერისა და შოთა რუსთველის მამაშვილობის ვერსიას, რასაც გამორიცხავს შემდეგი გარემოებები: 1) ისტორიული წყაროებიდან

ცნობილია, რომ ჭიაბერი ეკუთვნოდა „ქვემო“ ფეოდალების რიცხვს, თორელები კი „ზემონი“ იყვნენ. ცხადია, ჭიაბერი თორელთა გვარისა ვერ იქნებოდა. 2) ჭიაბერის სიგელში ხსენებული „ქონება“ ნიშნავს მამულის ან ციხექალაქის დროებით მფლობელობას. ასეთი დროებითი მფლობელები იყვნენ ჯერ – ჭიაბერი, შემდეგ – შოთა. შოთა მემკვიდრეობით ვერ მიიღებდა ჟინვანის მამულს, როგორც ს. ცაიშვილი ვარაუდობს და რაზედაც აფუძნებს ჭიაბერისა და შოთას მამაშვილობის ვერსიას.

III. ალ. ბარამიძე ეხება სარგის კაკაბაძის მონოგრაფიაში — „რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966 – განხილულ შოთას საბიოგრაფიო საკითხებს. აღნიშნავს, რომ ს. კაკაბაძის წიგნი ვერ წარმოგვიდგებს რაიმე გარკვეულ, დასრულებულ კონცეფციურ თვალსაზრისს. იგი სავსეა წინააღმდეგობებითა და განმეორებებით, უხვი ზერელე და მსუბუქი ჰიპოთეზებით... სრულიად შემთხვევით ვარაუდებზეა დამყარებული შოთა მშობლების, ძმისა და ნათესავების ვინაობანი... მკვლევარის მონათხრობი საერთოდ ნებისმიერი და უსაბუთოა, აქედან პოზიტიური თითქმის არაფერი რჩება. გ.ა.

414. ალ. ბარამიძე

რუსთველის პოეტური ხელოვნების საკითხების გარშემო

წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტ. ისტორიიდან, V, თბ., 1971, გვ. 143-172.

ავტორი განიხილავს დიმიტრი ქუმსიშვილის ნაშრომს „რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი“, რომელიც ფილ. მეცნ. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი იყო 1967 წელს, ხოლო 1968 წ. წიგნად გამოქვეყნდა. იგი ხუთი თავისაგან შედგება:

თავი I — ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი (გვ. 7-101).

II — ვეფხისტყაოსნის კომპოზიცია (გვ. 102-136).

III — შოთა რუსთაველის მხატვრული გამოსახვის ხერხი და საშუალებანი (გვ. 137-194).

IV — მიჯნურობა და მხატვრული სახის პრობლემა (გვ. 195-238).

V — თამარ მეფის დრო და ვეფხისტყაოსანი (გვ. 239-284).

როგორც რეცენზენტი აღნიშნავს, ნაშრომში ცალკეულ საკითხებზე საყურადღებო მსჯავრია გამოტანილი. ასეთია, მაგალითად, ისტორიული ანალოგიებისა და პარალელების ნიადაგზე შექმნილი კონცეფციების კრიტიკა; საინტერესოა „ჯიქისა“ და „ვეფხის“ ცნებათა ანალიზი; აგრეთვე ქვეთავი: გამონაგონი ანუ პოეტური ფანტაზია, როგორც შოთა რუსთაველის მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება; საჭირო სისრულით პირველადაა დამუშავებული „მოქმედების განვითარების დრო „ვეფხისტყაოსანში“.

ამასთან ერთად ნაშრომში იწვევს მრავალ შენიშვნას, მაგალითად: მკვლევარი არ იცნობს ან სათანადოდ არ იყენებს არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, სადავოა რიგი ძირითადი დებულება, უმთავრესი პრობლემები კი გადაჭრილად ვერ ჩაითვლება, ზოგჯერ მას სწორად არ ესმის პოემის ტექსტის შინაარსი და სხვ.

დ. ქუმსიშვილის აზრით, პოემაში მთავარია თინათინ-ავთანდილის ამბავი, ანუ ესაა „ძირითადი სიუჟეტური რკალი“, ხოლო ნესტან-ტარიელის ამბავი ჩართულია აღნიშნულ რკალში და „დამხმარე როლს ასრულებს ძირითადი იდეის ნათელყოფის საქმეში“. მკვლევარს მიაჩნია, რომ რუსთველმა „ერთმანეთს დაუპირისპირა ორი მოყმე – ავთანდილი და ტარიელი“. მისი თქმით, რუსთველი ავთანდილს გვიხატავს აბსოლუტურად უზადო რაინდად და ამით, ვითომ, აშკარად ცხადჰყოფს მის უეჭველ უპირატესობას ტარიელთან შედარებით.

დ. ქუმსიშვილი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ფატმანი იყო „ნეგროიდული რასის რომელიღაც ტომის წარმომადგენელი“, ხოლო „როგორც ცნობილია, სუმატრაზე, ბორნეოზე და, საერთოდ, მალაის კურძულებზე ნეგრიტოსები ძირეულ მოსახლეობას წარმოადგენენ“. ეს გარემოება მკვლევარს საკმარისად მიაჩნია დაასკვნას, რომ „გულანშაროს ქვეშ რუსთაველი გულისხმობდა რომელიღაც ნავსადგურს, მდებარეს კუნძულ სუმატრაზე, ახლანდელი პალემბანგის მიდამოებში“.

მსგავსი არგუმენტებით არის განსაზღვრული პოემაში ხსენებლი სხვა გეოგრაფიული პუნქტების ადგილმდებარეობაც, მაგალითად, როგორიცაა დევების გამოქვაბული, ქაჯთა სამეფო, მულღაზანზარი და სხვ.

რეცენზენტის დასკვნით, დ. ქუმსიშვილმა შექმნა ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული გარემოს ფანტასტიკური სურათი. გ. ა.

415. ალ. ბარამიძე

მართალი სამართალი

წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტ. ისტორიიდან, V, თბ., 1971, გვ. 97-118.

ავტორი კრიტიკულად განიხილავს რუსთველის საიუბილეოდ გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაშრომს. ერთ-ერთი მათგანია პროფ. პ. ბერკოვის წერილი О композиции «Витязя в тигровой шкуре» (ჟურ. „Лит. Грузия", 1966, № 4). ალ. ბარამიძის თქმით, იგი ყურადღებას იქცევს ორიგინალური, მაგრამ არასწორი, დებულებებით. მაგ., პ. ბერკოვი წერს, რომ ნესტანმა შეიგნო თავისი დანაშაული და გადაწყვიტა ტანჯვით გამოესყიდა იგი, ამიტომ სრული ნებაყოფლობით აუღია მას გეზი ქაჯთა ქვეყანაზე.

ასევე დაუსაბუთებელია ბერკოვის მსჯელობა, როდესაც მას პოემის სათაურის რუსული თარგმანის სწორ ფორმად მიაჩნია „барсова кожа" ან „шкура тигрицы".

ალ. ბარამიძე არ იზიარებს კალ. ცინცაძის (კ. ეკაშვილის) ნარკვევის (კრებულში „შოთა რუსთაველი", 1966) იმ დებულებებს, რომლებიც ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის პიროვნულ თვისებებს შეეხება. კ. ცინცაძის აზრით, ტარიელი არაა პოემის მთავარი დადებითი გმირი; „ის არის ალმასრულებელი თვითნება უფლისწულის [ნესტანის] ახირებისა და ბოროტი რჩევა-დარიგებისა". ამიტომაც ნესტანისა და ტარიელის „ბოროტად დაწყებული საქმე ბოროტადვე გათავდა" (გვ. 242-244).

ალ. ბარამიძის წერილის დიდი ნაწილი ეთმობა კრიტიკას ივანე სურგულაძის ნარკვევისა „ტახტის მემკვიდრეობის საკითხი ვეფხისტყაოსნის მიხედვით" (კრებ. „შოთა რუსთველს", თსუ, 1966, გვ. 92-118). როგორც რეცენზენტი წერს, „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟების მოქმედებას ი. სურგულაძე განსჯის საქართველოს ფეოდალური ეპოქის სამართლებრივი ნორმების მიხედვით და ტარიელისა და ნესტანის სიყვარულს უკანონოდ და მიუღებლად თვლის როგორც სამართლის, ისე ზნეობის თვალსაზრისით.

როგორც ალ. ბარამიძე შენიშნავს, ივ. სურგულაძე ეპაექრება „ვეფხისტყაოსნის" ავტორს, უწუნებს ქორწინების პრობლემის წინ წამოწევას. მაგრამ რუსთველს მარტო ქორწინების საკითხი არ დაუყენებია თავის თხზულებაში, არამედ მან მთელი სიღრმით წამოაყენა და ახლებურად გადაჭრა ადამიანის პიროვნული თავისუფლების პრობლემა. მხატვრული ენით განავითარა ქალისა და კაცის მორალურ-ინტელექტუალური თანასწორობის იდეა. რუსთველი იცავს ქალის პოლიტიკური ემანსიპაციის თვალსაზრისს და ასაბუთებს ქალის გახელმწიფების შესაძლებლობას. ქორწინების საკითხი კი მხოლოდ ერთი ცალკეული მხარეა „ვეფხისტყაოსანში" გამოხატული დიდი იდეებისა. გ. ა.

416. ალ. ბარამიძე, დ. კობიძე

ვეფხისტყაოსნის ფაბულის თაობაზე

ჟურ. „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 2, გვ. 157-164.

ავტორები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლების პუბლიკაციებსა და საჯარო გამოსვლებში მ. თოდუა ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, თითქოს მოიპოვებოდეს ვეფხისტყაოსნის ფაბულის ნასესხობის დამადასტურებელი მასალები. მ. თოდუა გადმოსცემს „ჩარდარვიშიანის" მეოთხე დასთანის მოკლე შინაარსს („ბაღდადელი თვალთმაქცი", თბ., 1967 წ., მ. თოდუას რედაქტორობით) და ასკვნის: „მოხმობილი ქარგა და ამბის დვრიტა უთუოდ ენათესავება უკვდავი ქართული პოემის ფაბულას".

ამავე აზრს იმეორებს მ. თოდუა გამოკვლევაში „ქილილა და დამანას საბასეული ვერსია" (თბ. 1967 წ.), რუსთველოლოგიური სემინარის სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში (ანგარიში გაზ. „თბ. უნივერსიტეტში", 17,XII,1968) და ირანისტთა სემინარზე გამოსვლაში (15.IX.1970).

მ. თოდუას მიაჩნია, რომ მან მოიპოვა ვეფხისტყაოსნის მთლიანი ფაბულის „ჩონჩხის" შემცველი სპარსული ნაწარმოები (ასეთად მიიჩნევს ჩარდარვიშიანის ერთ ეპიზოდს). ამრიგად, იგი გვთავაზობს ვეფხისტყაოსნის ამბის ნასესხობის თეორიის ახალ ვარიანტს.

ავტორები აცხადებენ, რომ „ჩარდარვიშიანის შინაარსის ტენდენციური დალაგებისა და ტენდენციური გადმოცემის გზით ცდილობს მ. თოდუა მკითხველს შეუქმნას ხსენებული მსგავსების ილუზია". მათ მოჰყავთ ფაქტების არასწორად გადმოცემის რამდენიმე მაგალითი და დაასკვნიან: „ზოგ რამეს... მ. თოდუა თვითონ თხზავს, ხოლო ზოგ რამეს ისე ალაგებს და ისეთ იერს აძლევს, რომ „ვეფხისტყაოსანთან" მსგავსების ხელოვნურ ვითარებას ჰქმნის". გ. ა.

417. ალ. ბარამიძე, დ. ლაშქარაძე, ჯ. გაგნიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ბუდენზიგისეული თარგმანის გამო

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1971, 12 თებ., № 7, გვ. 1-2.

ავტორები აღნიშნავენ, რომ რუსთაველის პოემის ჰერმან ბუდენზიგისეული გერმანული თარგმანი რიგით მესამეა, ა. ლაისტისა და ჰ. ჰუპერტის თარგმანების შემდეგ. ახალ თარგმანს საფუძვლად დაედო გერმანული პწკარედი, რომელიც მეოთხედი საუკუნის წინათ მოამზადა პროფ. მიხ. წერეთელმა. პწკარედი მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული, ოღონდ საჭირო გახდა მისი ნაწილობრივი გადამუშავება და შესწორება, რაც დაეკისრა გერმანისტებს ნათელა ხუციშვილსა და ნელი ამაშუკელს. მათ საჭირო კონსულტაციას უწევდა ენათმეცნიერი და რუსთველოლოგი გურამ კარტოზია.

ბუდენზიგის თარგმანი, ჰეგზამეტრით შესრულებული, უფრო ზუსტად გადმოსცემს დედნის შინაარსს, ვიდრე ადრინდელი თარგმანები. მისი ნაწილი უკვე გამოქვეყნდა გერმანულ ჟურნალებში და სპეციალისტების გულწრფელი მოწონებაც დაიმსახურა. გ. ა.

417**ა**. ს. ბერიძე

მესხური დიალექტის ღალადი „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „განახლებული მესხეთი“ (ადიგენის რ.), 1971, 7 სექტ., № 107, გვ. 3.

როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული ბევრი სიტყვისა და მხატვრული გამოთქმის საფუძველი მესხურ მეტყველებაში დასტურდება. ასათებია: აზავერი. ახალქალაქის რაიონში არის სოფელი აზავრეთი, სადაც ძველად საბარგო ხარებს ზრდიდნენ. აზავერი ხარია, რომელსაც ტვირთს ზურგზე ჰკიდებენ. აფოლხვება. ფოლხვი ან ფლოხვი მოშვებულს, მოფონებულს ნიშნავს. აჯილა, ანუ ჯილა მესხურში ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი წამოსასხამია. დარაჯაგი მესხურში კიბის საფეხურს ეწოდება. დარმანი თურქულიდან შემოსული სიტყვაა და წამალს ნიშნავს. დაჯრა – მიჯრით, მწკრივად თავისმოყრა, დაწყობა. კაპანი – ქარაფოვან ადგილებში ძნელად გასასვლელი ბილიკი. კოტა – ხმლის ვადა. მეუზრახე ის პირია (ხშირად – რძალი), რომელიც მორიდებისა და პატივისცემის გამო ოჯახის წვრებს გარკვეული დროის გასვლამდე არ ელაპარაკება. მჭელი იგივე ჭელია, ცელის ერთი მოსმით მოჭრილი ბალახი. სასთაული – სასთუმალი. საქულბაგე, ანუ საქულბაკე. ბაკე მიწური სახლის გრძელი დერეფანია, საიდანაც არის გასასვლელი სახლის სხვა სათავსოებსა და სამალავში. ხასი – კარგი ხარისხის ქსოვილი, გადატანითი მნიშვნელობით – სუფთა გულის, სანდო ადამიანი. გ. ა.

418. თ. ბილიხოძე

რუსთაველი და ათეიზმი

გაზ. „თბილისი“, 1971, 5 ივნ., №131, გვ. 3.

ავტორი გავუწყებს, რომ თბილისის სახ. უნივერსიტეტის ეთიკისა და მეცნიერული ათეიზმის კათედრის სხდომაზე დოც. შალვა ადეიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ათეიზმი ძველ საქართველოში“. მან „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტში კომპონენტების გაანალიზებით წამოაყენა დებულება რომ შოთა რუსთაველი აღიარებდა სამყაროში ადამიანის უმაღლესობას, არ სცნობდა ღმერთის ფილოსოფიურ იდეას. ასეთი პროგრესული იდეოლოგიის გამო, ბუნებრივია, რუსთაველი დევნას განიცდიდა გაბატონებული წრისა და ეკლესიის მესვეურთაგან. გ. ა.

419. ჯუმბერ გაგნიძე

„ვეფხისტყაოსნის“ უნგრელი მთარგმნელები

საქ. მეცნ. აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა III სამეცნიერო სესია.
მოხსენებათა თეზისები, თბ., 1971, გვ. 3-4.

დაიბეჭდა წიგნად 1975 წ. იხ. აქვე, ანოტ. № 633.

420. ივანე გიგინეიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის წაკითხვისა და გაგებისათვის

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1971, №3, გვ. 35-58 (წაკითხული იყო მოხსენებად თსუ რუსთაველის სემინარის სხდომაზე 1967 წ. 28 დეკემბერს).

გამოკვლევა ეხება პოემის 257-ე სტროფს, რომელიც 1957 წლის გამოცემაში ასე იკითხება:

აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა,
სხვად ულონოა უშენოდ ჩემგან ალპყრობა ხელისა;
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა,
თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკრვა თავისა მრთელისა!

მკვლევარს სადავოდ მიაჩნია მეორე ტაეპის დაწერილობა და შინაარსი. მისი თქმით, „ხელის ალპყრობა“ შველას, დახმარების გაწევას ნიშნავს, მაგრამ ასეთ გაგებას ხელს უშლის „ჩემგან“ სიტყვა. ა. შანიძემ აზრის გამართვა ნაწილობრივ შესძლო კონიექტურით (ჩემგან-ჩემდა): სხვაფრივ უშენოდ მე ხელს ვერავინ შემიწყობსო. ი. გიგინეიშვილს არც ეს წაკითხვა აკმაყოფილებს და ფიქრობს, რომ გასასწორებელია სიტყვა „ალპყრობა“. მის ნაცვლად უნდა გვქონდეს აქტიური მიმღეობის ფორმა მიმართულებითს ბრუნვაში – ამპყრობად, მთელი ტაეპი კი ასე უნდა გაიმართოს:

სხვა ულონოა უშენო ჩემად ამპყრობად ხელისა, რაც ამას ნიშნავს: შენს გარდა სხვა უძლურია, რომ მე მიშველოს, დახმარება გამიწიოსო.

მკვლევრის აზრით, სტროფში კიდევ ორი შესწორების შეტანაა აუცილებელი: „თავისა“ უნდა შეიცვალოს „თივისა“ სიტყვით (როგორც ვახტანგის გამოცემაშია), და მეორე-მესამე ტაეპებს ადგილები შეეცვალოს. საბოლოოდ სტროფი ასეთ სახეს მიიღებს:

აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა:
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა.
სხვად ულონოა უშენო ჩემად ამპყრობად ხელისა;
თვარ ვისმცა ექმნა გვარლითა შეკრვა თივისა მრთელისა! გ. ა.

**421. Л. Гиунашвили**

**Иранский учёный о поэме Руставели**

გაზ. “***Вечерний Тбилиси***”, 1971, 16 ივნისი, №140, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ მეშჰედის უნივერსიტეტის „შრომების“ მეორე ნომერში ფილოლოგმა ჰამიდ ზარინქუბმა გამოაქვეყნა წერილი „ვეფხისტყაოსანზე“. მისი აზრით, რუსთაველი ასახავს თავისი დროის საქართველოს სინამდვილეს, ენა და მხატვრული სიტყვა პოეტისა ემყარება მდიდარ წერილობით და ზეპირ ტრადიციას. რაც შეეხება აღმოსავლური პოეზიის გავლენას, ის მჟღავნდება დასაწყისისა და დასასრულის სქემასა და წერის მანერაში (შდრ. ანოტ. № 372).

422. ოლეგ გოლიაძე

რუსთველის კაბინეტის მეგობარი

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1971, 10 სექტ., № 26, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების განყოფილების გამგემ გრიგოლ ილიას ძე ლალიაშვილმა თბილისის უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტს გადასცა რუსთველთან დაკავშირებული მრავალფეროვანი მასალა: მოსაწვევი და სამახსოვრო ბარათები, საფოსტო მარკები და კონვერტები. მინიატურული სამკერდე ნიშნები, სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა. დასახელებული პიროვნება კოლექციონერია და ბევრი უნიკალური წიგნი აქვს. გ. ა.

**423. М. И. Гугушвили**

**Руставели и грузинская литература эпохи “Возрождения”**

***Автореферат диссерт. на соиск. ученой степени доктора филологических наук,***
**Тб., 1971. 52 с.**

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისა და ოთხი ნაწილისაგან:

1. საეკლესიო საზოგადოება და „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 6-20).
2. „ადრეული რეალიზმის“ მწერლების პოლემიკა რუსთაველთან (გვ. 20-30).
3. რუსთაველი და „აღორძინების“ ეპოქის პოეტიკის საკითხები (გვ. 30-33).
4. რუსთაველის გავლენა „აღორძინების“ ეპოქის ქართულ ლიტერატურაზე (გვ. 33-52).

423a. პაატა გუგუშვილი

შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის

წიგნში: პ. გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები, II, თბ., 1971, გვ. 370-403.

პირველად დაიბჭდა ჟურნალში „საქართველოს ეკონომისტი“, 1966, № 9 (იხ. „ბიბლიოგრაფიის“ III ტომში).

424. ბორის დარჩია

ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა პ. კარბელაშვილისეული პუბლიკაციის ტექსტის რედაქციული სახის დადგენისათვის

საქ. მეცნ. აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა III სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1971, გვ. 10-11.

გამოკვლევა დაიბეჭდა 1973 წ., იხ. აქვე, ანოტ. № 531.

425. ბ. დარჩია

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა კლასიფიკაცია გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბავთა მიხედვით

საქ. მეცნ. აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XXXI სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1971, გვ. 15-17.

იხ. აქვე, ანოტ. № 637.

426. დ. დგებუაძე

რუსთველის კაბინეტში

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1971, 12 მარტი, №9, გვ. 4.

ინფორმატორი წერს, რომ რუსთველოლოგიურ სემინარზე პროფ. მიხეილ ჩიქოვანმა წაიკითხა მოხსენება: „ქართულ-ბერძნულ-ესპანური შეხვედრები ვეფხისტყაოსანში“.

427. რ. თვარაძე

არეოპაგელი და რუსთაველი

ჟურ. „ცისკარი“, 1971, № 8, გვ. 132-150.

რ. თვარაძე აღნიშნავს, რომ არეოპაგელსა და რუსთაველს შორის არსებული ორგანული კავშირის მიკვლევა აკად. შ. ნუცუბიძის დამსახურებაა. მისმა ნაშრომებმა: „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება“ (1942 წ.), „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ (1947 წ.), „რუსთაველის შემოქმედება“ (1958 წ.), „პეტრე იბერიელი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა“ (1963 წ.) წამოჭრეს ამოცანა არეოპაგელის მემკვიდრეობის შესწავლის აუცილებლობის შესახებ. არეოპაგელის შრომების ეფრემ მცირესეულ თარგმანში არსებული სიტყვების გამოყენება რუსთაველის მიერ ამ ტექსტის ნაცნობობას ადასტურებს.

წერილში შედარებულია შ. რუსთაველის სტროფები და არეოპაგელის შრომები და ამ ორი ტექსტის შესწავლისა და შედარების შედეგად ნაჩვენებია, რომ რუსთაველი ახლოს იცნობდა არეოპაგელის მოძღვრებას.

რ. თვარაძე „ვეფხისტყაოსანში“ არკვევს სოფლის, ზესთასოფლის და მათი სრული ჰარმონიის გაგებას და ამტკიცებს, რომ ამგვარი გაგება რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძველთა საფუძ-

ველია. ამის შედეგია ადამიანის აყვანა შუა საუკუნეთა მსოფლიოსთვის არნახულ სიმაღლეზე, პოემაში დამკვიდრებული გონების კულტი და ქმედითი ცხოვრების ფილოსოფია. თ.ნ.

428. მაგალი თოდუა

შენიშვნები „ვის-ო რამინსა და „ვისრამიანზე“

წიგნში: მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, თბ., 1971, გვ. 47-96.

წიგნის 62-63 გვერდებზე ავტორი მსჯელობს სიტყვა „უგულოს“ შესახებ; აღნიშნავს, რომ „ვისრამიანსა“ და საერთოდ, აღმოსავლურ ლიტერატურაში უგულო შეყვარებულს ნიშნავს (ასეთი გააზრებით: შეყვარებულს სატრფომ გული წაართვა). მისი აზრით, ასევეა „ვეფხისტყაოსანში“, მაგ.:

არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?
იგი უგულო მოელის მართ დღეთა შემოკლებასა (847).

აქ „უგულო“ მიჯნურის ეპითეტია. ასევეა 848-ე სტროფშიც: „უგულო კაცი ვერ კაცობს...“.

მკვლევრის თქმით, უფრო დამაფიქრებელია მესამე ადგილი: „კაცსა დასვრის უგულობა...“ (1204,4), მაგრამ თუ მაჯნუნისა და სხვა შეყვარებულთა ქცევას გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ სწორედ სიყვარულის გამო ვარდებიან ისინი საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით საძრახის მდგომარეობაში და მათი წოდებისათვის შეუფერებელი, არასაკადრისი სახით წარმოჩნდებიან (იხ. გამოხმაურება, — ანოტ. № 486). გ. ა.

429. ნოდარ კაკაბაძე

შოთა რუსთველი და ვოლფრამ ფონ ეშენბახი

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1971, 21 მაისი, № 19, გვ. 3.

რუბრიკით „რუსთველის კაბინეტში“ დ. დგებუაძე გადმოსცემს მოხსენების შინაარსს, რომელიც ნ. კაკაბაძემ წაიკითხა რუსთველოლოგიურ სემინარზე. მომხსენებელი ერთიმეორეს ადარებს „ვეფხისტყაოსანსა“ და ვ. ფონ ეშენბახის თხზულებებს („პარციფალი“, „ვილეჰალმი“ და სხვ.). მისი აზრით, „ვეფხისტყასანიცა“ და „პარციფალიც“ ქრისტიანული შუა საუკუნეების კულტურისა და ლიტერატურის თავისებური შეჯამებაა. ეს თხზულებები, არსებითად, გვიანფეოდალური ხანის ბოლო სტადიის ფსიქო-იდეოლოგიას განასახიერებენ. ისინი წინარერენესანსული ნაწარმოებებია, სარაინდო კულტურისა და ლიტერატურის შიგნიდან დაძლევის გამომხატველნი.

შოთასა და ფოლფრამს სარაინდო მიჯნურობაში კორექტივი შეაქვთ, მის რეფორმას ახდენენ..., ათავისუფლებენ მას კურტუაზიულ-კონვენციური ეტიკეტის პირობითობისაგან, შეაქვთ მასში სიწრფელე და მეტი ადამიანური შინაარსი. „ვეფხისტყაოსანიცა“ და „პარციფალიც“ სარაინდო რომანის განვითარების უმაღლესი, ბოლო საფეხურია, სადაც ისახება ახალ თვისობრიობაში გადასვლის პერსპექტივა. გ. ა.

430. ლ. კალანდაძე, გ. ნატროშვილი

წიგნი და ავტორი
(ფიქრები რუსთველოლოგიის საკითხებზე)

გაზ. „კომუნისტი“, 1971, 23 დეკ., № 296, გვ. 3).

ავტორები განიხილავენ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას პავლე ინგოროყვა რედაქციით (თბ., 1970), რომელსაც ახლავს ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და ტექსტოლოგიური გამოკვლევები. როგორც ავტორები წერენ, „პირველად ხელთ გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა, რომელიც თავისუფალია ინტერპოლატორთა ნაყალბევისაგან. ეს არის ქართული საბჭოთა ფილოლოგიის საგულისხმო წარმატება“. (...) „მკვლევარი ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული საბუთებისა და წყაროების მოშველიებით არკვევს რუსთაველის ვინაობას, იძლევა მის ისეთ ვრცელ და მწყობრ ბიოგრაფიას, როგორიც დღემდე არავის წარმოუდგენია“.

რეცენზენტების დასკვნით, პ. ინგოროყვას ახალი ნაშრომი ფრიად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის საქმეში. გ. ა.

431. მ. კარბელაშვილი

მეფის ღმრთისსწორობის იდეის შესახებ ვეფხისტყაოსანში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1971, № 2, გვ. 21-32.

ავტორი ყურადღებას მიაქცევს X-XII საუკუნეების ქართულ საისტორიო და ლიტერატურულ ძეგლებში გატარებულ მეფეთა განდიდების (ღმრთისსწორობის) ტენდენციაზე, რაც აპოთეოზს აღწევს თამარის მეფობის დროს.

ამის საპირისპიროდ გვიანი ფეოდალიზმის პერიოდში (XVI-XVIII სს.) ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად, მეფის ღმრთისსწორობის ტენდენცია გაქრობას იწყებს, ხოლო ზოგიერთ გვიანდელ ტექსტში (მაგ. „ქართლის ცხოვრებაში“) მეფის ღვთაებრივობის იდეა უკვე უარყოფილია.

ამ მხრივ საინტერესო მასალას გვაძლევს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები. ზოგ მათგანში აქაიქ შემორჩენილია იზოთეიზმის კვალი, რაც სავსებით ბუნებრივი იქნებოდა რუსთველის მსოფლმხედველობისათვის, ბევრ შემთხვევაში კი ტექსტი ნასწორებია იზოთეიზმის საპირისპირო პოზიციის შესაბამისად.

მკვლევარი საჭიროდ თვლის პოემის ზოგიერთი ადგილის შესწორებას ამ თვალსაზრისის მიხედვით. მაგ.,

521 (387): „მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებრ ძლიერი“.
1036(857): „პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმერთი და ღმრთულებრ ცხოველი“.
904(738): „გაცნობოს ღმერთმან, თქვენმავე სახემან“. გ. ა.

432. გურამ კარტოზია

მცირე განმარტება

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1971, 26 თებ., № 9, გვ. 4.

„განმარტება“ ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ჰ. ბუდენზიგისეულ გერმანულ თარგმანში ერთ ტაეპს: „მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა“ ($3_4$). თარგმანის ქართველი რეცენზენტების (ალ. ბარამიძე, დ ლაშქარაძე, ჯ. გაგნიძე) წერილში აღნიშნული იყო, რომ „ყანდი“ (მთარგმნელის მიერ) გაძლიერებულია „თაფლით“. გ. კარტოზია შენიშნავს, რომ ხსენებული სტრიქონი ჰ. ბუდენზიგმა ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნა და არაფერი ზედმეტი არ დაურთავს! გერმანული თარგმანის შინაარსი: „მის მჭვრეტელებს მართებთ მიართვან მას ყანდი და თაფლი“ — ზუსტი შესატყვისია რუსთველის სტრიქონისა. როგორც აკად. გ. წერეთელმა გაარკვია, მიშერი არაბული წარმომავლობის სიტყვაა (მაშარ) და თაფლს, თაფლიან ფიჭას ნიშნავს. ეს აზრია დაფიქსირებული გერმანულ თარგმანშიც. გ. ა.

433. ციალა კახაბრიშვილი

ნიკოლაოს იეროდიაკონის ვინაობისათვის

კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 279-300.

გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ვრცელი ნუსხის (ხელ. H-2055) გადამწერია ვინმე ნიკოლაოს იეროდიაკონი. ხელნაწერისათვის დართულ „წინასიტყვაობაში“ იგი რუსთაველს შეჯიბრში იწვევს:

„რუსთაველო, ახ თუ დრო გაქუს, მიტომ აგეთ ლექსთა ჩმახავ,
ადექ, მოდი, ერთად დავსხდეთ, ერთად ვსწეროთ, მაშინ გნახავ...“

საარქივო მასალების საფუძველზე, მკვლევარი აღადგენს მის ბიოგრაფიასა და სამწერლო მოღვაწეობას. ნიკოლაოსი გვარად ხელაშვილი ყოფილა, დაბადებული 1774 წელს. სწავლობდა თელავის სემინარიაში. 1814-1824 წწ. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ასწავლიდა საღვთო სჯულსა და ქართულ სიტყვიერებას. 1827 აღიკვეცა მონაზვნად თეოდოსის სახელით. გარდაიცვალა 1844 წელს.

ნიკოლაოსი იყო კარგი კალიგრაფი, სიგელ-გუჯრებისა და წიგნების გადამწერი. გამოვლენილია მისი სასულიერო და საერო შინაარსის პოეტური თხზულებები. გ. ა.

434. ვ. კახნიაშვილი

## ქართული მწერლობა გერმანულ ენაზე

გაზ. „კომუნისტი“, 1971, 3 იანვ., № 2, გვ. 2.

ავტორი მიმოიხილავს ჟურნალ „ზინნ უნდ ფორმ“-ის (გდრ ხელოვნების აკადემია) 1970 წ. მეექვსე ნომრის მასალას. მასში დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე თავის გერმანული თარგმანი, რომელიც დოქტორ ჰ. ბუდენზიგს ეკუთვნის.

პროფ. გერტრუდ პეჩის წერილი „ვეფხისტყაოსანი როგორც დროის ამსახველი დოკუმენტი“ ძირითადად სწორად აშუქებს რუსთაველის ეპოქას და მის პოემასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

იქვეა ჰაინც ფენრიჰის სტატია „ქართული ლიტერატურა“, სადაც, სხვა მწერლებთან ერთად, მოცემულია რუსთაველის ეპოქის დახასიათება და „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზიც. გ. ა.

435. კ. კეკელიძე

## რუსთველოლოგიური ნარკვევები

კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა, თბ., 1971, 316 გვ.

წიგნში თავმოყრილია კ. კეკელიძის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი და გამოქვეყნებული გამოკვლევები, რეცენზიები, კრიტიკულ-პოლემიკური წერილები. ნაშრომები ეხება „ვეფხისტყაოსნის“ სტროფულ მოცულობას, ავტორის ვინაობას, რუსთველის ეპოქის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, პოემის პერსონალურ ალეგორიებს და სხვა საკითხებს.

კრიტიკულად განხილული და შეფასებულია პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“, კ. ჭიჭინაძის, ს. კაკაბაძის, დ. ბენაშვილის, გ. ნადირაძის, დ. ბრეგაძის, შ. ნუცუბიძის, ლ. ბელიაშვილის, ჯ. ბაქრაძისა და ს. ცაიშვილის რუსთველოლოგიური ნარკვევები (იხ. ცალ-ცალკე, უმეტესობა 1968 წლის მასალაში).

წიგნს ერთვის „შენიშვნები“ (გვ. 300-305) და პიროვნულ, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი (გვ. 306-316). გ. ა.

436. ჯიბო ლომაშვილი

## „ესე ამბავი სპარსული...“

ჟურ. „მნათობი“, 1971, № 6, გვ. 105-114.

ნარკვევი ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხს. ავტორი ცდილობს გააბათილოს პროფ. მაგალი თოდუას მოხსენების ძირითადი აზრი, რომ პოემის მე-9 სტროფში ნახსენები „ამბავი სპარსული“ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით გავიგოთ. მ. თოდუამ მოხსენება წაიკითხა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ირანისტთა სემინარზე 1970 წლის 15 სექტემბერს, მის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა იმავე წელს, ჟურნალ „მაცნეს“ მე-4 ნომერში. მ. თოდუა ვარაუდობს, რომ რუსთაველმა გალექსა არა უშუალოდ სპარსული თხზულება, არამედ მისი პროზაული თარგმანი.

ჯ. ლომაშვილს შემდეგი კონტრარგუმენტები მოჰყავს: 1) თუ გავიზიარებთ დებულებას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართულ სინამდვილეს ასახავს და მასში თამარ მეფეა შექებული, რის თაობაზეც ანგარიშგასაწევი ლიტერატურა არსებობს, მაშინ რუსთაველის მიერ სპარსული სიუჟეტის ან მისი ქართული თარგმანის გამოყენება უნდა გამოირიცხოს. 2) „ამბავი... ვპოვე“ ნიშნავს: ეს ამბავი (სიუჟეტი) შევთხზე, მოვიგონე, გამოვიგონე; 3) ფრაზა „ქართულად ნათარგმანები“ უნდა გავიგოთ როგორც ქართულად განსამარტებელი, ქართულად გასაბჭობი, გასააზრებელი; 4) პოემის დასასრულის სტრიქონში: „ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად“ ბოლო სიტყვა ასე უნდა გასწორდეს: საკამარებლად, რაც ნიშნავს: „საქორწილოდ“. აზრი ასეთია: ეს ამბავი, ანუ ეს პოემა დავწერე თამარ მეფისა და მისი მეუღლის, დავითის, საქორწილოდ, მათი შეუღლების აღსანიშნავად.

მკვლევრის დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი“ მხოლოდ ფორმალურად არის უცხო, ვითომ მაჰმადიანური; სინამდვილეში იგი უაღრესად ორიგინალურია. გ. ა.

437. მაია მამაცაშვილი

## გალობა შვიდთა მნათობთადმი „ვეფხისტყაოსნისა“ და ნიზამის „ლეილი და მაჯნუნი“

საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1971, გვ. 5.

გამოკვლევა დაიბეჭდა 1972 წ., იხ. აქვე, ანოტ. № 492.

438. ალ. მანველიშვილი

ქართული ფილოსოფიის ისტორია
(შ. ნუცუბიძე, თბ., I წიგნი – 1956 წ.; II - 1958 წ.).

ჟურ. „კავკასიონი", XV, პარიზი, 1971, გვ. 123-135.

ავტორი ვრცლად განიხილავს შ. ნუცუბიძის ნაშრომს და ბევრ მისეულ მსჯელობას და ზოგად დასკვნას კრიტიკულად აფასებს.

მე-9 ქვესათაურში: „რუსთაველის მატერიალიზმზე" (გვ. 131-133) რეცენზენტი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „ავტორმა სრულებით გამოტოვა რუსთაველის ფილოსოფიური აზროვნების შესწავლა". „ფილოსოფიის ისტორიაში" რუსთაველისათვის ადგილის დათმობა ნორმალური იქნებოდა, „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულობა ამაში ხელს ვერ შეუშლიდა, მით უმეტეს, რომ მან გვერდი არ აუარა „ჟამთააღმწერელის" თხზულებასა და „კალმასობას".

რეცენზენტის თქმით, პოემის ერთი სიტყვის მცდარი ახსნით შ. ნუცუბიძემ რუსთაველი მატერიალისტად გამოაცხადა. საუბარია აფორიზმზე: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა". შ. ნუცუბიძეს ეს ტექსტი ისე ესმის, თითქოს სიცრუე უწინარეს ყოვლისა მოქმედებდეს „ხორცზე", ნივთიერებაზე, და მერე კი – სულზე. აქ მატერიალიზმის ამოკითხვა ყოვლად დაუშვებელია თუნდაც იმიტომ, რომ „ხორცზე" გავლენის მომხდენად დასახელებულია არა ნივთიერი, არამედ სულიერი მოვლენა - „სირცუე". რუსთაველის ლექსში არც „მესამე" უდრის „შემდეგს". აქ ეს სიტყვა უნდა გავიგოთ „აგრეთვეს" შინაარსით, რაც გამორიცხავს პირველად — მეორადობას. ავტორს რომ გაეხსენებინა რუსთაველის სიტყვები: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა", მისი მატერიალისტობის მტკიცებას არ დაიწყებდა. გ. ა.

**438а. Л. Маруашвили**

**Географические просторы “Вепхисткаосани”**

გაზ. “*Вечерний Тбилиси*”, 1971, 12 მარტი, № 58, გვ. 3.

იხ. აქვე, ანოტ. № 308.

439. იოსებ მეგრელიძე

მწერლობა და პერსონოლოგია

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1971, 20 აგვ., № 34, გვ. 3.

ავტორი განიხილავს აკად. ავლიპი ზურაბაშვილის პერსონოლოგიურ ნაშრომებს და აღნიშნავს, რომ იგი მხატვრული თხზულების პერსონაჟის ფსიქოლოგიის პირველი სისტემური მკვლევარია საქართველოში. ამ მხრივ მკვლევარი უხვ მასალას ნახულობს „ვეფხისტყაოსანში", ვინაიდან ამ პოემის გმირები „აღჭურვილნი არიან ზოგადსაკაცობრიო პიროვნული ფსიქოლოგიური განცდებით". გ. ა.

440. გივი მიქაძე

„ვეფხისტყაოსნის" უცნობი ხელნაწერები
(ლიტერატურულ-ისტორიული ფრაგმენტები)

ჟურ. „მაცნე", ელს, 1971, № 2, გვ. 139-140.

ავტორი ზოგადად აღწერს დუშეთის მკვიდრის არჩილ კორინთელის ოჯახში დაცულ ორ ხელნაწერს. ორივე ნუსხა ნაკლულია — დაზიანებულია დასაწყისში და ბოლოში. პირველი გადაწერილია ქაღალდზე, რომლის ჭვირნიშანზე ჩანს „1822" და „1823", მეორის ქაღალდის ჭვირნიშანზე — „1837". ორივე გადაწერილია ვახტანგ VI-ის გამოცემიდან. ხელნაწერები ამჟამად ინახება გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. გ. ა.

441. ნოდარ ნათაძე

## ნუ შევკვეცავთ „ვეფხისტყაოსანს“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1971, 11 ივნისი, № 24.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის ბოლოდროინდელ პრაქტიკაში პოემის კვეცა ლამის ტრადიციად იქცა. ამ პრაქტიკამ პოემის უფრო გამართული მეცნიერული ტექსტი კი არ მოგვცა, ვიდრე შედარებით ლიბერალური მიდგომისას გვექნებოდა, არამედ, პირიქით, ნაკლებ გამართული.

მაგალითად დასახელებულია 2 სტროფი:

1) მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით ცნობითა ერთით მზითა
ორი მისი მოწყალება დღესცა მომცა ამა გზითა:
პირველ, შეჰყრის მოყვარულთა ჩემით რათმე მიზეზითა,
კვლა, ნუთუმცა სრულად დამწვა ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა (305/310).

ეს სტროფი ყოველთვის იბეჭდებოდა გამოცემებში (ორიოდეს გარდა), მაგრამ არაა შეტანილი 1966 წლის საიუბილეო გამოცემაში. როგორც მკვლევარი წერს, ამ სტროფის ნამდვილობაში ეჭვის შესატანად არავითარი საბუთი არ არსებობს, მისი ნამდვილობის სასარგებლოდ კი პოზიტიური არგუმენტები გვაქვს (დასახელებულია ეს საბუთები).

მეორე სტროფში ლაპარაკია ნესტანის შობაზე:

წიგნი წიგნსა ეწეოდა, დედოფალი ოდეს შობდა,
მოციქულსა – მოციქული, ინდოეთი სრულად სცნობდა,
მზე და მთვარე განცხრებოდეს, სიხარულით ცა ნათობდა,
ყოვლი არსად შემოსრული მხიარული თამაშობდა (323/327).

სტროფი არაა 1966 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტში. ის რომ ნამდვილად რუსთველისაა, მკვლევრის აზრით, ამის საბუთია გამოთქმა „არსად შემოსრული“. „არსად მოსვლა“, „არსებობაში მოსვლა“ ფილოსოფიური ტერმინია „გაჩენის“ მნიშვნელობით. „ყოვლი არსად შემოსრული“ იგივეა, რაც „ყოველივე შექმნილი“, „ყოველივე არსებული“. ამ გამოთქმას, პრაქტიკულად, ვერ იხმარდა გვიანდელი ხანის ინტერპოლატორი. გ. ა.

442. ნ. ნათაძე

## „ქალის კულტის“ შესახებ რუსთველის ეპოქაში

ჟურ. „მაცნე“, 1971, № 2, გვ. 165-174.

ავტორი უპასუხებს ალ. ფოცხიშვილის კრიტიკულ რეცენზიას (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 17.VI,1966) სათაურით «ქალისა და სიყვარულის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“», თავის წერილზე „რუსთველური ქალის კულტი და მისი ფესვები“ („მნათობი“, 1965, № 2).

ავტორის დასკვნით, რუსთველის ეპოქაში ველად გაჭრა მიჯნურობის გამომჟღავნების ნორმალურ და ბუნებრივ გზად ითვლებოდა, მაგრამ ეს არაა ადამიანის ბუნებიდან უშუალოდ გამომდინარე საყოველთაო მოვლენა. ამდენად, რუსთველის ეპოქისათვის დამახასიათებელი ეს წარმოდგენა სიყვარულზე პირობითია და იგი რუსთველის ეპოქის სპეციფიკური სარაინდო, ანუ ფეოდალურ-წოდებრივი კულტურის კუთვნილებაა.

შემდეგი საკითხი ეხება არაბული კულტურიდან ქართულ სარაინდო კულტურაში მიჯნურის ქცევის წესის სესხების საკითხს, რომელსაც რეცენზენტი სავსებით უარყოფს. წერილის ავტორი მიუთითებს, თუ სად თავდება არაბული გავლენა სამიჯნურო კულტის ჩამოყალიბებაზე საქართველოსა და დასავლეთ ევროპაში და სად იწყება დასახელებული ქრისტიანი ხალხების დამოუკიდებელი შემოქმედება ამ დარგში.

რაც შეეხება რუსთველის ეპოქის საქართველოში ქალის კულტის არსებობის საკითხს, ავტორი მას რეალობად მიიჩნევს და უარყოფს რეცენზენტის განცხადებას, თითქოს ეს რამდენიმე მკვლევრის ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. ნ.მ.

443. ვიქტორ ნოზაძე

## გამოგებანი ვეფხისტყაოსნისა

„კავკასიონი“, ლიტერატურული და ისტორიული კრებული, XV, პარიზი, 1971, გვ. 110-121.

სათაურის შინაარსისათვის ავტორი იმოწმებს საბას ლექსიკონს, რომლის მიხედვით, გამოგება არის „სიტყვის გარჩევით თქმა, გინა დახვანჯული ძაფის გამოხსნა“.

ამ ნარკვევში ვ. ნოზაძე წარმოადგენს დამატებით მასალებს მის მიერ ადრე განხილულ ზოგიერთ გამოთქმაზე პოემის ტექსტიდან.

წავგრძელდი და წავე გრძელად (445,3) ამ გამოთქმაში, მკვლევრის აზრით, იგულისხმება მეომართა რაზმის სოლისებური წყობა, რომელიც ბრძოლების ისტორიაში ცნობილია უძველესი დროიდან. მას იყენებდნენ ძველ ინდოეთში, ძველი ბერძნები, შუა საუკუნეების გერმანელები და სხვ.

ძელი სახნისის წვერითა (1033,3) საზღვაო ბრძოლებში ფართოდ ცნობილი იარაღია. ესაა კატარღის (საბრძოლო ნავის) ცხვირზე დამაგრებული ძელი ბინჯაოს ან რკინის წვეტიანი ბუნით, შემხვერ ნავზე ან გემზე დასაჯახებლად და მის ჩასაძირავად. მას ეწოდებოდა „ემბოლონ", „რამმ", „ეპერონ" ან „შპორნ".

ქვითა დავლეწეთ წვივები (618,3). მკვლევრის თქმით, აქ ჯერ გასარკვევია „წვივის" მნიშვნელობა. ის შეიძლება, ჩვეულებრივ, ადამიანის წვივიც იყოს (წვივის ძვლის დამსხვრევა დასჯის ერთ-ერთი სახეც იყო. ჰომეროსის „ილიადაში" რამდენჯერმე ნახსენები ქვებით ბრძოლა და „მუხლების" დატეხა, დალეწვა"). მ. მახათაძე ტარიელის ნათქვამში ცხენების წვივებს გულისხმობს. მიხ. წერეთელი ერყნობოდა იმას, რომ ბერძნულში „ტოსკელის" ნიშნავს „წვივსაც" და „კედელსაც", ამიტომ აქ შეიძლება ქალაქის კედელი (გალავანი) იგულისხმებაო. ვ. ნოზაძე ადასტურებს, რომ გერმანულად წვივის შესატყვისია „შენკელ", რომელსაც გადატანით სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, მათ შორის – ქალაქის გალავნისაც. მისი დასკვნით, ტარიელი ამბობს: ქალაქის კედელ-გალავანი ჩვენ კატაპულტებით (ფილაკვანებით) დავანგრიეთ და ის კედლები ნატივით გავთელეთო.

დაშლა ქმნეს თამაშობისა ორისა (477,4). ვ. ნოზაძე განმარტავს, რომ სამხედრო ვარჯიშობის ერთ-ერთი სახე იყო ცხენოსანთა შებმა შუბებით. გამარჯვებულად ის ითვებოდა, ვინც მოწინააღმდეგეს ცხენიდან ჩამოაგდებდა შუბის ძგერებით. პოემის მოცემულ კონტექსტში სწორედ ასეთი ორთაბრძოლა იგულისხმება.

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების (49,1). მკვლევარი აღნიშანვს, რომ „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკონებში „ნეხვა" ან „ნეხვი" არ შეაქვთ, რადგან იგი პირუტყვის განავლად და, ამდენად, თავისთავად გასაგებად მიაჩნიათ, მაგრამ არ შემიძლია ვიფიქრო, რომ რუსთაველს ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით ჰქონდეს გამოყენებული. ეს იქნებოდა მეტისმეტად უგემური დაპირისპირება, არაწესიერი შედარება. როგორ შეეძლო მას მცენარე „ვარდი" შეედარებინა „სკორესთან"! სურნელოვანი ვარდის დასაპირისპირებლად პოეტს აგრეთვე მცენარე უნდა დაესახელებინა – ან უსუნო, ან მყრალი სუნისა. ასეთსავე უხერხულობას ქმნის ამ სიტყვის აღნიშნული მნიშვნელობა სხვა კონტექსტშიც: „ნეხვთა ზედა ვზი ბულბული..." (1253,4).

ა. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში" ნეხვა ახსნილია ასე: „დაჯირა" და „ლემა". დაჯირა არის – რუსულად „შალფეი მუჩროვატიი"; ლათინურად - „სალვია ვერტიცილლატა". ქართლში ეძახიან შავბალახს, მთიულეთში – ნეხვბალახას. ესაა ბუჩქად ამოსული, გატოტვილი ბალახი, თეთრი უსუნო ყვავილით. ლემას რუსული შესატყვისია „დურმან"; ლათინური - „დატურა სტრამონიუმ". ამ მცენარესაც თეთრი ყვავილი აქვს, ისხამს წაბლისფერ, შხამიან ნაყოფს, აქვს არასასიამოვნო სუნი. ქართულად სხვადასხვა სახელი აქვს, მათ შორის: ბანგა, ნეხვბალახა, ლენცოფა, ხოკანა.

ეს ორი მცენარე – დაჯირა და ლემა, როგორც ჩანს, ნეხვბალახას სხვადასხვა სახეა და რუსთაველი ერთ-ერთ მათგანს იყენებს ვარდის საპირისპიროდ. გ. ა.

443**a**. იოსებ ნონეშვილი

ჩილელი კომპოზიტორის სიმფონიური პოემა „ვეფხისტყაოსანი"

გაზ. „კომუნისტი", 1971, 7 თებ., № 32, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ 1966 წელს რუსთაველის იუბილეზე სტუმრად ჩამოსული იყო ჩილეს მწერალთა ასოციაციის პრეზიდენტი ფრანცისკო კოლოანო. იმავე წელს მისი თაოსნობით ჩილეს ქალაქ მოიეში ერთ-ერთ ქუჩას რუსთაველის სახელი ეწოდა, ხოლოსანტიაგოში გაიმართა რუსთაველისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელმა გუსტავო დე-ლა-ტორემ და ცნობილმა მსახიობებმა წაიკითხეს პოემის ფრაგმენტები. ამ საღამოზე პირველად შესრულდა პოემის ესპანური თარგმანის მიხედვით დაწერილი ჩილელი კომპოზიტორის პედრო ნუნიეს ნავარეტეს სიმფონიური პოემის მცირე ფრაგმენტიც.

როგორც პოეტი წერს, მან მიიღო ჩილედან გამოგზავნილი ჟურნალი „ვიახე", სადაც აღნიშნულია, რომ ჩილელი კომპოზიტორის დასახელებული სიმფონიური პოემა შეურჩევიათ ლათინურ ამერიკაში უკანასკნელ წლებში დაწერილ ნაწარმოებთაგან და ბრაზილიაში, რიო დე ჟანეიროს მუნიციპალურ თეატრში შეუსრულებიათ. ჟურნალში დაბეჭდილია ინტერვიუ კომპოზიტორ პ. ნავარეტესთან. გ. ა.

444. აპოლონ ჟორდანია

## რუსთაველი და ეროვნულის უკვდავება ხელოვნებაში

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1970, № 2, გვ. 75-80; 1971, № 2, გვ. 58-63; № 4, გვ. 61-64.

ნაშრომი წარმოადგენს კრიტიკულ-ბელეტრისტულ ნარკვევს, სადაც ავტორი მეტწილად დასკვნებს აკეთებს „ინტუიტური წვდომის“ საფუძველზე. ეხება პერსონაჟების მოქმედების მოტივებს, იმ ქვეტექსტებს, რომლებიც უნდა ვიგულისხმოთ ამა თუ იმ ეპიზოდში, მაგ. ტარიელის გარეგნული თანხმობა ნესტანის საქმროდ ხვარაზმშას მოწვევაზე, ფატმანის განსაკუთრებული ზრუნვა ნესტანის მიმართ და სხვ.

ავტორს სადავოდ მიაჩნია პროფ. შ. ნუცუბიძის მტკიცება, რომ პოემაში ყველაფერი შეიძლება აიხსნას და გასაგები იყოს არეოპაგიტული მსოფლმხედველობის საფუძველზე. არასწორად თვლის ეპილოგის ტაეპის ნუცუბიძისეულ წაკითხვას. „ვსწერ ვინ მე – მესხი მელექსე, რუსთველი და სად ამისა?“

მკვლევარი თვლის, რომ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ პოემის ძირითადი ტექსტის კუთვნილებაა და უმართებულოა მისი ყალბად გამოცხადება.

ა. ჟორდანია სადავოდ მიიჩნევს აკად. გ. წერეთლის ნაშრომის — „მეტრი და რიტმი ვეფხისტყაოსანში“ — დასკვნას, რომ პოემაში „ოქროს კვეთის“ პრიციპის გამოვლენა რუსთაველს მსოფლიოს უდიდეს ხელოვანთა გვერდით აყენებს. ავტორის აზრით, ლექსის მეტრიკული სტრუქტურის მიხედვით შეუძლებელია პოეტის ადგილის განსაზღვრა მსოფლიო პოეზიის ისტორიაში, „ოქროს კვეთის“ გამოყენება არ ნიშანვს მაინც და მაინც რენესანსული პოეზიის შექმნას. გ. ა.

445. პრ. რატიანი

## ერთხელ კიდევ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე

ჟურ. „მნათობი“, 1971, № 11, გვ. 169-192; № 12, გვ.148-164.

მკვლევარი უპასუხებს მისი წიგნის შესახებ კრიტიკული წერილების ავტორებს – ს. ყაუხჩიშვილს, ვ. დონდუას, მ. დუმბაძეს, ი. მეგრელიძეს, შ. ბადრიძეს („მნათობი“, 1969, № 11) და ნ. შოშიაშვილს (იქვე), რომელთაც შოთა რუსთველის ეპისკოპოსობის ვერსია დაუსაბუთებლად და მიუღებლად მიიჩნიეს.

პ. რატიანი, თავის მხრივ, თვლის, რომ ოპონენტების მიერ საერო გვარ-წოდების „რუსთველის“ არსებობის მტკიცება უსაფუძვლოა; ქ. რუსთავში ერთდროულად ორი რუსთველი – ერთი მღვდელმთავარი და მეორე საერო ხელისუფალი – ვერ იქნებოდა. ასევე არ არსებულა რუსთველთა საგვარეულო სამცხე-ჯავახეთში, რის დამტკიცებასაც ნ. შოშიაშვილი ცდილობს.

რუსთველის ერისკაცობას არც მისი პორტრეტები (ხელნაწერებში არსებული და იერუსალიმის ჯვარის მონატრისა) უჭერენ მხარს.

პ. რატიანის აზრით, ნ. შოშიაშვილს თვითონ მოსდის შეცდომები, როდესაც მისი არგუმენტების გაბათილებას ცდილობს. მაგ., 1) მცდარია იმის მტკიცება, რომ მესხეთის მხარის უპირველესი მღვდელმთავარი იყო ეპისკოპოსი იშხნელი და არა მაწყვერელი; 2) პატრიკი ადამიანის საკუთარი სახელი არაა; ის ბიზანტიური წარმოშობის მაღალი საკარისკაცო პატივია და ქართულ ერისთავთ-ერისთავს უდრის; 3) პორფირ-ბისონის ჩაცმის უფლება ჰქონდათ არა მხოლოდ ეკლესიის ლაშქრის (სადროშოს) სარდლებს, არამედ სხვა გავლენიან მღვდელმთავრებსაც. ასეთი იყო, მაგ., ნეკრესის ეპისკოპოსი. 4) ჱელი, საჱელო, ჱელობა და ჱელოსანი საეკლესიო ტერმინებია. პოემის მერვე სტროფში ხმარებული სიტყვა „ჱელობითა“ თანამდებობას ნიშნავს და არა გახელებას, შმაგობას; 5) ნ. შოშიაშვილი წერს, რომ სოფ.რუსთავი ჯავახეთში შედიოდაო, რაც შეცდომაა; რუსთავი სამცხეში მდებარეობს.

მკვლევარი წერს, რომ მისი ოპონენტები არასწორი მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობენ, საკითხის ვულგარულ-სოციოლოგიურ გაგებას გვთავაზობენ და რუსთველს გაბატონებულ დიდგვარიან რეაქიცონერთა ბანაკში ათავსებენ.

პ. რატიანი ეხება რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობის საკითხს და სასულიერო პირისგან ამ თანამდებობის დაკავებისათვის რაიმე დამაბრკოლებელ მიზეზს ვერ ხედავს. გ. ა.

446. შოთა რევიშვილი

## ისევ ჩვენი მწერლობის გერმანელ მკვლევარებზე

ჟურ. „დროშა“, 1971, № 12, გვ. 18; 1972, № 2, გვ. 8.

ავტორი წერს XIX და XX საუკუნეთა იმ გერმანელ მკვლევარებზე, რომელთა ნაშრომები ქართველი მკითხველისათვის აქამდე უცნობი იყო ხელმიუწვდომლობის გამო. ესენი არიან:

1. ალექსანდრე ბაუმგარტნერი. მისი „მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეული 1897

წელს გამოვიდა ფრაიბურგში. მასში ცალკე თავად არის შეტანილი „ქართული ლიტერატურა“. ზოგად მიმოხილვაში შედარებით ვრცლად საუბრობს შოთა რუსთაველსა და მის პოემაზე, აღნიშნავს პოეტის განსწავლულობას მეცნიერების მრავალ სფეროში და „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობას მისი ღრმა იდეური შინაარსისა და მაღალი მხატვრული ფორმის გამო.

2. ადოლფ ბარტელსის სამტომიანი ნაშრომი „მსოფლიო ლიტერატურის შესავალი“ გამოიცა მიუნხენში 1913 წელს. მასში არის თავი „აღმოსავლური ლიტერატურები“ (გვ. 67-118), რომელშიც მიმოხილულია გოეთეს დამოკიდებულება აზიის ქვეყნების მწერლობისადმი. მასში გვხვდება ამჟამად უარყოფილი მოსაზრება, თითქოს რუსთაველის პოემა დაიწერა სპარსული ლიტერატურის გავლენით.

3. ცნობები ქართული მწერლობის შესახებ მოიპოვება პაულ ვიგლერის წიგნში „მსოფლიო ლიტერატურის ისტორია“ (1914 წ. და 1923 წ.), მაგრამ მასში თამარის მეფობის ეპოქა ორიოდე სტრიქონით არის მოხსენიებული, მწერლების დასახელების გარეშე.

4. 1964 წელს ციურიხში გამოცემულ წიგნში „მსოფლიო ლიტერატურები მათ ზეპირსიტყვიერებითსა და წერილობით გადმოცემებში“ დაბეჭდილია იულიუს ასფალგის ნარკვევი „აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურა“. მისი თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ დღემდე რჩება ქართული მწერლობის განუმეორებელ ქმნილებად. ის ეროვნული ეპოსია, რომლის სახეები და ვითარებანი უტოლდებიან მსოფლიო ეპიკური თქმულებების საუკეთესო ნიმუშებს. გ. ა.

447. შ. რევიშვილი

„გულღია ხალხის“ მეგობარი

გაზ. „თბილისი“, 1971, 27 იანვ., № 21, გვ. 3.

ავტორი გვაცნობს გდრ-ს იენის უნივერსიტეტის თანამშრომლის, ენათმეცნიერის ჰაინც ფენრიხის ნაშრომებს ქართული ენის საკითხებზე, აღნიშნავს, რომ იგი დაინტერესებულია აგრეთვე ქართული ლიტერატურით. 1968 წელს იენის უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომების კრებულში ჰ. ფენრიხმა დაბეჭდა ნარკვევი „ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის“. მკვლევარი ახასიათებს პოემის იდეურ მხარეს, მის რენესანსულ იდეებს, განიხილავს პოემის ა. ლაისტისა და ჰ. ჰუპერტის თარგმანებს. მისი სიტყვით, ეს თხზულება მიეკუთვნება მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ეპიკურ ქმნილებათა რიცხვს. გ. ა.

448. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

ინგლისურ ენაზე, თარგმნილი ვენერა ურუშაძის მიერ, თბ., 1971.

იხ. პირველი გამოცემის ანოტ., № 242a.

449. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

ლიტვურ ენაზე თარგმნილი იონას გრაიჩიუნასის მიერ, ვილნიუსი, 1971, 254 გვ.
იხ. ანოტ. № 454.

წინასიტყვაობის მაგიერ დაბეჭდილია ედ. მეჟელაიტისის სტატია „ბედი მგოსნისა“ (გვ. 5-7), გვ. 9-247 უჭირავს ტექსტის პოეტურ თარგმანს. სტროფებს ნუმერაცია არა აქვს. ბოლოში (გვ. 249-250) ერთვის ხელმოუწერელი ნარკვევი „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ და საკუთარი სახელებისა და ტერმინების მოკლე განმარტებანი (გვ. 251-252). გ. ა.

450. ნ. რუხაძე

„ქართული პოეზია რვა საუკუნის მანძილზე“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1971, 17 დეკ., №51, გვ. 1.

ავტორი წერს, რომ 1971 წელს ბერლინის გამომცემლობამ „ფოლკ უნდ ველტ“ ამ სათაურით დაბეჭდა ქართული პოეზიის ანთოლოგია. წიგნი ექვს ნაწილადაა დაყოფილი. ყოველ ქვეთავს ეპიგრაფად უძღვის ჰუგო ჰუპერტისეული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის სტროფები. ანთოლოგია იხსნება რუსთაველის პოემის პროლოგით, რომელიც თარგმნილია ჰ. ბუდენზიგის მიერ. გ. ა.

451. [სარედაქციო ცნობა]

რუსთაველის სახელს ატარებს...

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1971, 4 ივნისი, № 23, გვ. 2.

გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაცია მოგვყავს მთლიანად: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველკვირეული გაზეთი „ზონტაგ“ აქვეყნებს შემდეგ ცნობას: ჰენიგსდორფის ფოლადისა და საგლინავი ქარხნის მუშათა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურულმა წრემ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ოცდახუთ წლისთავთან დაკავშირებით ქარხნის მუშებს მოუწოდა ჩაებან ლიტერატურულ კონკურსში. ეს ცნობა კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რაოდენ პოპულარულია გენიალური ქართველი მგოსანი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმა“. გ. ა.

452. [სარედაქციო ცნობა]

ქართველი მწერლები – ლიტვურ ენაზე

გაზ. „თბილისი“, 1971, 5 მარტი, № 53, გვ. 2.

ინფორმაციაში,სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ მალე დაიბეჭდება „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ლიტვურ ენაზე თარგმნა პოეტმა ი. გრაიჩიუნასმა.

453. ს. სერებრიაკოვი

კურტუაზული სიყვარულის გენეზისის ევროპული თეორიები
(კრიტიკული მიმოხილვა)

საქ. მეცნ. აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ინსტიტუტის XXXI სამეცნ. სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1971, გვ. 11-14.

გამოკვლევა დაიბეჭდა 1974 წ., იხ. ანოტ. № 608.

454. იოკუბას სკლიუტაუსკასი

„ვეფხისტყაოსანი“ ლიტვურადაც გვაქვს!

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1971, № 9 ნოემბერი, 47, გვ. 1.

ავტორი აღნიშნავს, რომ ახლახან ლიტვურ ენაზე გამოიცვა რუსთაველის უკვდავი პოემა. იგი თარგმნა პოეტმა იონას გრაიჩიუნასმა. მთარგმნელმა საგანგებოდ შეისწავლა ქართული ენა, გაეცნო პოემის თარგმანებს სხვადასხვა ენაზე და ბოლოს შეისრულა დიდი ხნის ოცნება, რაც დაუფასდა კიდეც, — „ვეფხისტყაოსნის“ ეს გამოცემა ლიტვური კულტურული ცხოვრების დიდად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა.

წიგნის წინათქმად დაბეჭდილია ედ. მეჟელაიტისის ლეგენდა „ბედი პოეტისა“, რომელიც პირველად 1966 წელს გამოქვეყნდა. გ. ა.

455. დავით ფანჩულიძე

„ვეფხისტყაოსანი“ და საფრანგეთის საზოგადოებრიობა

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1971, 26 ნოემბ., № 48, გვ. 2-3.

წერილში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ ენაზე თარგმნის ისტორია და მისი პოპულარიზაცია XIX და XX საუკუნეებში, აღნიშნულია მ. ბროსეს, ი. მეუნარგიას, ალ. ბობრინსკის (აჰხას ბორენი), ლ. არაგონის, გ. გვაზავას, ანი მარსელ-პაონის, რ. ლაკოტის, ს. წულაძის, რ. ლაფონის, მ. ბრიონის, ჟ. გარითის, ი. განდინის, პ. გამარას, მ. ლეონის ღვაწლი ამ საქმეში.

ავტორის თქმით, შოთა რუსთაველის თემატიკით დაინტერესების დასტურია ბალეტ „შოთა რუსთაველის" დადგმა ფრანგულ სცენაზე და ფრანგული ოპერა თამარ მეფეზე. გ. ა.

456. რ. ფირცხალაიშვილი

რუსთველური ეპითეტის ზოგიერთი საკითხი

ჟურ. „მაცნე", ელს, 1971, № 4, გვ. 21-32.

გამოკვლევის ავტორი განიხილავს შემდეგ საკითხებს: „ვეფხისტყაოსნის" ეპითეტთა ლექსიკა და მისი მიმართება ძველი ქართული მწერლობის ტრადიციებთან, ეპითეტთა მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქცია პოემაში, შინაარსობრივი განხრანი, მეტაფორულ ეპითეტთა საკითხი, უარყოფითი ეპითეტები და სხვ.

როგორც ავტორი აღნიშნავს, ფერთა ეპითეტების საშუალებით გამოკვეთილია განცდები სიხარულისა, მწუხარებისა და გმირთა გარეგნული სიმშვენიერე. მწუხარება გამოიხატება მქრალი ფერებით (ფერ-ნამკრთალი, ფერ-ნაკლული, ფერ-მიხდილი, მოყვითანო). შავი პირისახის ნაკვთთა და თმათა პოეტური წარმოსახვისას პორტრეტულ ეპითეტად გვევლინება. შავი ფერი მდგომარეობა-განწყობილების სიმძიმეს, მწუხარებასაც წარმოსახავს.

ეპითეტთა დიდი ნაწილი პერსონაჟთა ფიზიკური სიძლიერის, გმირული შემართების პოეტურ წარმოსახვას ემსახურება (მხნე, ჩაუქი, ლაღი, გულოვანი, გმირთა სახე; მშვილდ-ფიცხელი, მკლავ-მაგარი, ტანი ჯანი, მაგარ-ვადა). „ვეფხისტყაოსნის" ეპთეტთა ლექსიკა ძირითადად მხატვრულ ასპექტში წარმოდგენილ ზედსართავებს, არსებითებსა და მიმღეობებს ემყარება.

მკვლევარი ასწორებს 439-ე სტროფის მესამე ტაეპის წაკითხვას: „ჩემი გაჰკვეთს ხორცსა მათსა ხრმალი ბასრი, შუბი ახე". მისი აზრით, სარითმო დაჯგუფებაში წარმოდგენილი უნდა იყოს თვისობრივი მხარის განსაზღვრა, მსაზღვრელ-საზღვრული, მსგავსად წინა წყვილისა (ხრმალი ბასრი)". ა უნდა გამოიყოს როგორც შორისდებული: შუბი ა ხე. გ. ა.

457. მიხეილ ქავთარია

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და მათი მეცნიერული აღწერილობა

ჟურ. „მნათობი", 1971, № 10, გვ.186-189.

რეცენზიაში მ. ქავთარია განიხილავს ს. ცაიშვილის ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია", ორ წიგნად. ავტორი აღნიშნავს, რომ პოემის ტექსტის კვლევას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, მიუხედავად ამისა ყველა ტექსტოლოგიური საკითხი მონოგრაფიულად შესწავლილი ჯერ-ჯერობით არ იყო. ს. ცაიშვილმა მოგვცა ხელნაწერების (სულ 192 ხელნაწერი და ფრაგმენტი) მეცნიერული კლასიფიკაცია, დააჯგუფა ისინი რედაქციულად და დაამყარა მათ შორის კანონზომიერება. ავტორმა ეს შეძლო როგორც პროლოგის, ისე ძირითადი ტექსტისა და ჩანართ-დამატების მიხედვით.

პოემის ძირითადი ნუსხების საშუალებით ს. ცაიშვილმა პროლოგის სამი ტიპი გამოყო და აქცენტი პოემის შუა წელზე გადაიტანა.

მ. ქავთარია აღნიშავს, ს. ცაიშვილის აღწერილობანი, უკვე არსებულ და გამოქვეყნებულ აღწერილობებთან შედარებით, უფრო ვრცელი, დეტალური და ამომწურავია. ამავე დროს მიუთითებს მცირეოდენ ნაკლზე, რომელიც ეხება აღწერილობის ტექნიკურად გაფორმებას. თ.ნ.

458. დ. ქუმსიშვილი

ტერმინების „ვეფხის" და „ჯიქის" გაგებისათვის

ჟურ. „ცისკარი", 1971, № 11, გვ. 140-145.

ავტორი აღნიშნავს, რომ დღემდე დადგენილი არ არის – რომელი ცხოველი იგულისხმება „ვეფხის"

სახელით „ვეფხისტყაოსანში“: ვეფხვი, ჯიქი თუ ციმბირული ბარსი? ამ გაურკვევლობის გამო პოემის სათაური სხვადასხვა ენაზე სხვადასხვანაირად არის ნათარგმნი. ამის დასადგენად ავტორს ყველაზე სარწმუნო წყაროდ თვითონ პოემის ტექსტი მიაჩნია. „ვეფხისტყაოსანში“ გამოყვანილი ცხოველების დამახასიათებელ ნიშნებს განიხილავს და ამათ თვისებებს ადარებს ნადირთა ცხოვრების მცოდნეების (ბრემი და ბაიკოვი) წყაროებს. პოემაში მოცემული „ვეფხის“ ყველა დამახასიათებელი ნიშანი ეთანხმება ბრემისა და ბაიკოვის აზრს ამ ცხოველის შესახებ (ვეფხისა და ლომის ერთად, ერთსა და იმავე მიდამოში გვერდიგვერდ. ცხოვრება შამბში, ანუ მაღალ სქელ ბალახში (სტრ. 908, 1300), ბუნაგის გაკეთება გამოქვაბულში (სტრ. 700, 522), ვეფხის სიმხდალე (სტრ. 908), დამახასიათებელი ღრენა (სტრ. 911). ყველა ეს თვისებები საპირისპიროა ჯიქისა და ბარსისათვის. ამიტომ დ. ქუმსიშვილი ამტკიცებს, რომ პოემის „ვეფხი“ ვეფხვია და არა ჯიქი ან ბარსი. იგი გვთავაზობს, რომ ილუსტრაციებშიც დაიხატოს ზოლებიანი ცხოველი — ვეფხვი და არა ხალებიანი ტყავის მქონე ცხოველი – ლეოპარდი.

მას არ მიაჩნია მართებულად სიტყვა „витязь“-ის შეტანა პოემის სათაურში, რადგან ტარიელი არა რიგითი მოყმე იყო, არამედ სამეფო გვარის შთამომავალი. თ.ნ.

459. სოლ. ყუბანეიშვილი

ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე თარგმნის ისტორიიდან

„ჟურ. „მაცნე“, ელს, 1971, № 2, გვ. 133-138.

წერილი ეხება ვეფხისტყაოსნის არტურ ლაისტისეულ თარგმანს, რაც მას 1887 წელს დაუწყია. ერთ წელიწადში თარგმნა დამთავრებული ჰქონდა და განზრახული იყო მისი დაბეჭდვა გერმანიაში. თარგმნისა და დაბეჭდვის საფასურად ქართველ საზოგადოებას უნდა გადაეხადა 900 მანეთი.

თარგმანი დაიბეჭდა დრეზდენში 1890 წელს. წიგნს დართული აქვს ა. ლაისტის წინასიტყვაობა.

როგორც ს. ყუბანეიშვილი შენიშნავს, ა. ლაისტის გერმანული თარგმანი სრული არა, — აკლია მას პროლოგი და ეპილოგი. დედნის სიზუსტეც არაა ყოველთვის დაცული. მაგრამ, მიუხედავად ამ ნაკლისა, ეს თარგმანი საშუალებას აძლევდა ევროპელ მკითხველებს, გაცნობოდნენ რუსთველის ქმნილებას. გ. ა.

460. გ. შარაძე

ვეფხისტყაოსნის წერეთლისეული (S-5006) ხელნაწერის ზოგიერთი საკითხი

საქ. მეცნ. აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტ. ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა III სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1971, გვ. 4. იხ. ანოტ. № 461.

461. გურამ შარაძე

ვეფხისტყაოსნის წერეთლისეული ხელნაწერის დასურათების საკითხისათვის

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1971, № 3, გვ. 23-34.

წერილი ეხება ხელნაწერ S-5006 და მასში მოთავსებულ მინიატურებს. ავტორი განიხილავს ამ მინიატურების შესწავლის ისტორიას (ი. მეუნარგია, ე. თაყაიშვილი, დ. გორდეევი, ბ. გორდეზიანი, შ. ამირანაშვილი, მ. ქვლივიძე, ს. ცაიშვილი) და აყალიბებს შემდეგ დასკვნას: თვით ნუსხა XVIII ს-ის პირველ ნახევარშია გადაწერილი, მისი დასაწყისი და ბოლო ნაწილი აღებულია XVII ს-ის ერთ-ერთი ვრცელი რედაქციის ნუსხიდან, შუა ნაწილი კი, რომელიც იმ ნუსხაში დაზიანებული ყოფილა, გადაუწერიათ უკვე ბეჭდურად არსებული პირველი (1712 წ.) გამოცემიდან. S-5006 ნუსხაში ჩაკრულია 87 მინიატურა, მათგან 86 XVII საუკუნისა, ისინი იმ ძველი, დაზიანებული ხელნაწერისათვის ყოფილა გაკეთებული. მათი ნაწილი შესრულებულია არაუგვიანეს XVII ს-ის 50-იანი წლებისა, მეორე ნაწილი კი ამავე საუკუნის 60-70-იან წლებს ეკუთვნის. მათ განასხვავებს ქაღალდი და მხატვრობის შესრულების ტექნიკა. ორივე ნაწილი დახატულია სპარსული მინიატურების სტილით. ისინი დაზიანებული ხელნაწერიდან ამოუღიათ და ჩაუკერებიათ ახლად გადაწერილში. პირველი ჯგუფის რამდენიმე მინიატურა საერთოდ დაკარგულია მათი პირვანდელი საბინადრო ხელნაწერის დაზიანების გამო. ერთი კი ახალი დაუმატებიათ, რომელიც S-5006 ნუსხის ზომის ქაღალდზეა შესრულებული. გ. ა.

462. შოთა ჩიჯავაძე

სინეკდოხა „ვეფხისტყაოსანში“

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 61, 1971, 3, გვ. 753-756.

ავტორი განმარტავს: სინეკდოხა ტროპის ისეთი სახეა, რომელშიც საგნის ან მოვლენის სახელი სხვა სახელითაა შეცვლილი მათი ურთიერთკავშირის ნიადაგზე. ამის მაგალითად „ვეფხისტყაოსნიდან" დასახელებულია სიტყვა „ქაჯნი"-ს ხმარება განსაზღვრული შინაარსით, როდესაც მასში ქაჯების ის ნაწილი იგულისხმება, რომელნიც „გრძნების მცდონელნი", ანუ საიდუმლო საომარ ხელოვნებას დაუფლებულნი არიან.

ნარკვევს ახლავს ანოტაცია რუსულ და ინგლისურ ენებზე. გ. ა.

463. შ. ჩიჯავაძე

## სად არის „ვეფხისტყაოსნის" ხატაეთი?

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 62, 1971, № 2, გვ. 495-498.

ავტორი განიხილავს მკვლევართა მოსაზრებებს დასმულ კითხვაზე და აღნიშნავს, რომ შუა საუკუნეთა ქართველი (და არამარტო ქართველი) მწერლების ერთობლივი აზრით, ჩინეთი, ჩინ-მაჩინი, თურქისტანი და ხატაეთი სხვადასხვა გეოგრაფიულ ერთეულებად ითვლება. ამრიგად, შოთას პოემის ხატაეთი არ უნდა იყოს ჩინეთი ან ჩინ-მაჩინი და არც თურქისტანი.

მკვლევრის აზრით, რამაზის ხატაეთი უნდა იყოს ახლანდელ ინდოეთში, უთთარ პრადეშის შტატში მდებარე ხატაეთი, რომელიც XII ს-ში ინდოეთის საზღვრის გარეთ მდებარეობდა და ნახევრად დამოუკიდებელ სამეფოდ ითვლებოდა.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. გ. ა.

464. შ. ჩიჯავაძე

## ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან
### „სალამი დავიყეფეო"

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში", 1971, № 2, გვ. 72-73.

წერილი ეხება 1318-ე სტროფის ფრაზას: უმცროსმან ძმამან შორი-შორ სალამი დავიყეფეო".

ავტორი აღნიშნავს, რომ კლასიკურ პოეტურ ტექსტებში „ყეფა" „ზახილის" სინონიმად გვხვდება (თეიმურაზ I, ვახტანგ VI), ზოგჯერ არასასიამოვნო ან ხამაღალ ლაპარაკს ნიშნავს (იოსებ-ზილიხანიანი, ს.-ს. ორბელიანი და სხვ.). „ვეფხისტყაოსნის" აღნიშნულ სტროფში კი ამას უნდა ნიშნავდეს: უმცროსმა ძმამ უფროსს შორიდან სალამი მოგიძღვენი, სალამი მოგახსენეო. გ. ა.

465. შოთა ძიძიგური

## შოთა რუსთაველის ენის საკითხები

წიგნში: შ. ძიძიგური, ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა, თბ., 1971, გვ. 3-48.

გამოკვლევა შედგება სამი ნაწილისაგან, პირველია „შოთა რუსთაველის ენის საფუძვლები" (გვ. 3-30). მასში ავტორი განიხილავს ძირითადად „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკურ და მორფოლოგიურ ასპექტებს. მისი თქმით, შოთა რუსთაველის ენა მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ნიადაგზე ამოიზარდა. ამასთან ერთად, რუსთაველმა ხალხურ მეტყველებაზე დაყრდნობით ახალი მიმართულება მისცა ქართულ სალიტერატურო ენას.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქართული ხალხური ენა ორი ძირითადი ნაკადის – აღმოსავლურ-ქართულისა და დასავლურ-ქართულის გაერთიანებაა. „ვეფხისტყაოსნის" ენის აღნაგობაში ორივე განშტოებაა წარმოდგენილი. საყურადღებოა ისიც, რომ რუსთაველის ენაში აღმოჩენილი ყველა ე. წ. დიალექტური მოვლენა დასტურდება მესხურ კილოში.

მეორე ნაწილში განხილულია პროსოდიული „და"-ს ადგილი და მნიშვნელობა პოემაში. ავტორი ფიქრობს, რომ „და" კავშირი ოდესღაც ნაწილაკი იყო და შემდეგ მიიღო მან ახალი ფუნქცია. ის დასტურდება არა მარტო რუსთაველთან (მეოთხე ტაეპის დასაწყისში), არამედ ხალხურ სიმღერებში, ლექსებში და პოეტებთანაც (თეიმურაზ პირველი, ნ. ციციშვილი, ვახტანგ მეექვსე). მკვლევრის დასკვნით, პროსოდიული „და" მაინც უნდა მივიჩნიოთ სიმღერიდან მომდინარედ; გენეზისურად იგი

მუსიკალური ფრაზის არქიტექტონიკასთან არის დაკავშირებული (გვ. 41).

მესამე ნაწილი გამოყოფილია ქვესათაურით: „ზმნის განმეორება პრევერბის სახით „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 43-48). აქ განხილულია ასეთი ფრაზები: „ვინ არ დამქოლოს, ვინ არ და“ (582); „და წამილონ მკვდარი მე, წა“ (1609); „საქმენი მომხვდეს, მო, რანი“ (1268) და სხვ. წინადადებაში ზმნის შემოკლება პრევერბის სახით დასტურდება ძველი ლიტერატურის სხვა ძეგლებშიც („თამარიანი“, „აბდულმესიანი“), აგრეთვე მესხურ და მოხეურ კილოებში.

ავტორის აზრით, ქართული კლასიკური პოეტური ენის ეს თავისებურება ხალხური მეტყველების ძველი ნორმაა. გ. ა.

466. ჯემალ ჭელიძე

ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობანი XIX ს-ში

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ისტორიის ინსტ. ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა III სამეცნ. სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1971, გვ. 14-15.

467. ელგუჯა ხინთიბიძე

ვეფხისტყაოსნის კრონოსი

ჟურ. „ცისკარი“, 1971, № 2, გვ. 144-152.

ავტორი წერს: კრონოსი ბერძნული სახელია ერთ-ერთი მითოლოგიური ღმერთისა. ივარაუდება, რომ თავდაპირველად ის მიწათმოქმედების მფარველი ღვთაება უნდა ყოფილიყო; რომაელებმა კრონოსი გააიგივეს თესვის იტალიურ ღმერთთან სატურნუსთან. ეს ღვთაება გადააზრებულ იქნა ასტროლოგიურ მნათობად, რის შემდეგაც კრონოსი (ბერძ.) და სატურნუსი (ლათ.) ეწოდება ერთ-ერთ უდიდეს და უშორეს პლანეტას სატურნს. არაბულად მას ზუალი (ზოჰალ) ეწოდება და რუსთაველი მის ორივე სახელს ახსენებს – ზუალს და კრონოსს.

მკვლევარი განმარტავს პოემის 1414-ე სტროფის შინაარსსა და კონოსის გავლენის მნიშვნელობას აღწერილ მოქმედებაში:

მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა:
კრონოს, წყრომით შეხედულმან, მოიშორვა სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა,
ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა.

მკვლევრის აზრით, რუსთაველი აქ პლანეტა სატურნს გულისხმობს და არა ბერძნულ ტიტან-ღვთაება კრონოსს. ასტროლოგიურად კრონოსი (სატურნი) უბედურ მნათობად ითვლება. ის ბუნდოვნად ჩანს და მის კუთნილ ფერად მიჩნეულია შავი ფერი. ამქვეყნად მისგან მოდის ყოველგვარი უბედურება. მხოლოდ ზოგჯერ მზის კეთილი გავლენა ანელებს მის მრისხანებას და ბოროტმოქმედების ძალას.

მოცემულ შემთხვევაში, როდესაც პოემის გმირები ქაჯებს ებრძვიან, კრონოსს მოაკლდა მზის „სიტკბო“ და მან დიდი უბედურება მოუვლინა ქაჯებს, იგულისხმება – უზენაესი ღმერთის თანხმობით, ვინაიდან პლანეტები ღმერთის ნება-სურვილის მიხედვით მოქმედებენ. გ. ა.

## 1972 წელი

468. ლია ანდღულაძე

ბალმონტი და საქართველო, თბ., 1972, 176 გვ.

წიგნი მოგვითხრობს იმ დიდ შრომაზე, რაც რუსმა პოეტმა კონსტანტინე ბალმონტმა გასწია „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნისათვის და იმ მეგობრულ და შემოქმედებით ურთიერთობაზე, რაც მას ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან აკავშირებდა.

ავტორი აღნიშნავს, რომ ბალმონტი პირველია, რომლის სახელსაც უკავშირდება რუსთაველის თხზულების სრული ტექსტის პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე. მან ოლივერ უორდროპისაგან მოისმინა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ქება და ამის შემდეგ დაინტერესდა „ვეფხისტყაოსნით“. 1913 წელს პარიზში გაიცნო პაოლო იაშვილი, 1914 წლის აპრილში კი უკვე თბილისში ჩამოვიდა, რათა უფრო ახლოს გასცნობოდა ქართველ ხალხს, მის კულტურას, ისტორიას და შეეკრიბა აუცილებელი ლიტერატურა „ვეფხისტყაოსნის“ თარმგნისას გამოსაყენებლად. მას მასპინძლობდნენ და ეხმარებოდნენ კონსტანტინე ერისთავის და ალექსანდრე ყანჩელის ოჯახები, ელენე ორბელიანი,

პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, იურისტი და მთარგმნელი შალვა ქართველიშვილი, ჟურნალისტი გრიგოლ დიასამიძე და სხვები.

კ. ბალმონტმა დაიწყო ქართული ენის შესწავლა, რაშიც მას პეტერბურგში ტ. ტაბიძე და მარგარიტა დონდუა ეხმარებოდნენ. მეორედ საქართველოში ბალმონტი 1915 წლის შემოდგომაზე ჩამოვიდა. ის უკვე თავისი მუშაობის პირველ შედეგებს აცნობდა ქართველ საზოგადოებას. სასურველი სტუმარი ქუთაისში მიიწვიეს, სადაც ხალხმრავალი და გულთბილი შეხვედრები მოუწყვეს. იონა მეუნარგიამ მას „ვეფხისტყაოსნის" თავისი ფრანგული თარგმანი გადასცა საჩუქრად.

რუსეთში დაბრუნებული ბალმონტი ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა ქალაქში. სამი თვის განმავლობაში წაკითხული 50 ლექციის უმეტესობა რუსთაველსა და მის პოემას ეხებოდა. იგი რუსთაველს „სიყვარულის ჯვაროსან რაინდს" უწოდებდა და მას, როგორც პოეტს, ევროპაში ყველაზე მაღლა აყენებდა.

1917 წლის ზაფხულში კ. ბალმონტმა „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა დაასრულა და კვლავ თბილისს ეწვია, სადაც ის რუსთაველის საღამოებს მართავდა და თავის თარგმანს კითხულობდა. 1917 წელს მოსკოვში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის" ბალმონტისეული თარგმანის არასრული გამოცემა, რითაც ამ პოემის რუსული ვერსიის ახალი ეტაპი დაიწყო.

1920 წელს კ. ბალმონტი ევროპაში წავიდა. ერთხანს ის ბერლინში ცხოვრობდა, შემდეგ კი პარიზში გადავიდა. იქაც განაგრძობდა თარგმანის დახვეწასა და სრულყოფას, რომელიც 1933 წელს პარიზში გამოიცა. 1935, 1936 და 1937 წლებში კი თბილისსა და მოსკოვში დაიბეჭდა ალ. სვანიძის თაოსნობით. თვით ბალმონტი კი, ამ დროს ეკონომიკურად უსახსრო და ავადმყოფი, პარიზის გარეუბანში მოხუცთა თავშესაფარში იმყოფებოდა. იგი იქვე გარდაიცვალა 1942 წელს.

წიგნის ავტორი საუბრობს იმ ღვაწლზე, რაც კ. ბალმონტს მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის" პოპულარიზაციის საქმეში რუსეთის საზოგადოებაში. აღნიშნულია აგრეთვე ის ნაკლიც, რაც ამ თარგმანს დაჰყვა ლექსის გარეგნული ფორმით ბალმონტის ზედმეტი გატაცების გამო.

წიგნში ჩართულია კ. ბალმონტის, მისი ახლობლებისა და ქართველი მეგობრების ფოტოსურათები, ხოლო ბოლოს (გვ. 151-175) დაბეჭდილია ბალმონტის 1915-1917 წლების წერილები, რომლებშიც „ვეფხისტყაოსნის" თარგმნის პირობები და ამ თხზულებისადმი მთარგმნელის დამოკიდებულება არის ასახული. გ. ა.

469. ალექსანდრე ბარამიძე

შენიშვნები რუსთველის ბიოგრაფიის საკითხებზე

თსუ-ს შრომები, *B4*(143), 1972, გვ. 216-225.

ავტორი მიმოიხილავს სარგის კაკაბაძის მონოგრაფიას „რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი" (თბილისი, 1966), სადაც შეჯამებულია ს. კაკაბაძის ნაფიქრ-ნააზრევი რუსთველოლოგიის თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხზე.

რეცენზენტი კონკრეტულად ეხება წიგნის იმ ნაწილებს, რომლებშიც ს. კაკაბაძე რუსთველის ბიოგრაფიის საკითხებს იკვლევს.

ალ. ბარამიძის აზრით, მონოგრაფია თანმიმდევრულად ვერ ავითარებს ერთიანსა და დასრულებულ კონცეფციურ თვალსაზრისს. იგი უფრო ფრაგმენტული ხასიათის კრებულია, შინაგანად შეუკრავი, კომპოზიციურად ფხვიერი, წინააღმდეგობებით, განმეორებებითა და ნაკლებ სარწმუნო ჰიპოთეზებით სავსე. ნ.მ.

**470. А. Барамидзе**

**Литературные традиции дружбы и братства народов Закавказья**

ჟურ. „მაცნე", ენისა და ლიტ. სერია, 1972, № 4, გვ. 19-23.

მკვლევარი წერს, რომ XI-XII საუკუნეებში ამიერკავკასიის ერების მწერლობაში აქტუალური იყო მეზობელი ხალხების ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის იდეა. ეს იდეა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთაველის მხატვრულ თხზულებებში. არა მხოლოდ ცალკეული გმირების, არამედ ხალხების მეგობრობის მოტივი რუსთაველის მიერ ისე უნივერსალურად, ეროვნებათაშორისი ასპექტით არის გაშლილი, რომ ზოგ მკვლევარს (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი) ის ნაწარმოების მთავარ მოტივად მიაჩნდა. გ. ა.

471. ალ. ბარამიძე

პოეტური მეტაფორის ენა და ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხი

ალმ. „კრიტიკა“, 1972, № 1, გვ. 109-119; აგრ. წიგნში „ნარკვევები...“, VI, თბ., 1975, გვ. 30-44.

ავტორი იხილავს ინგლისელი ქართველოლოგის დ. ლანგის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს „ვეფხისტყაოსნის“ თარიღის შესახებ.

დ. ლანგი თანმიმდევრულად ავითარებს ზოგად სკეპტიკურ თვალსაზრისს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგ-ეპილოგის თაობაზე და ამ ტექსტებით შემონახულ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებზე. ავტორი შენიშნავს, რომ, სამწუხაროდ, ლანგი ერიდება საკუთარი შეხედულების გამოთქმას და სხვა ავტორების აზრს ემყარება, მათ შორის კ. კეკელიძის სხვადასხვა დროს გამოთქმულ და ზოგჯერ შემდეგ მისგანვე უარყოფილ შეხედულებებს. ასევე იქცევიან გ. დეეტერსი და ი. იედლიჩკა. თავის მხრივ, კ. კეკელიძე ბოლოდროინდელ ნაშრომებში იმ შეხედულებებს იცავდა, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა თამარის შემდეგ, XIII ს. ოციანი წლების გასულს. კ. კეკელიძის დამოწმებულ შეხედულებას საფუძვლად უდევს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი ცნობილი მეტაფორული გამოთქმის თავისებური ინტერპრეტაცია. ესაა „თამარს ვაქებდეთ მეფესა...“ (4,1). „სისხლის ცრემლების“ ღვრის პოეტური მეტაფორა ალ. ბარამიძის შეხედულებით, სრულიადაც არ უკავშირდება ადრესატის გარდაცვალებას, არამედ თავდავიწყებამდე მისული თაყვანისცემისა და სიყვარულის განცდის გამოხატვაა. პოემის მთელი პროლოგი, მათ შორის საცილობელი ტაეპიც (4-1), გულისხმობს საქართველოს სახელმწიფოს სათავეში მყოფ ცოცხალ თამარ მეფეს, რომელსაც გვერდს უმშვენებდა მისი მეუღლე დავით სოსლანი, პოეტის მიერ მეტაფორით ლომად წარმოსახული (3,1). ი.კ.

472. ჰ. ბუდენზიგი

„ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანის წინასიტყვაობა

*„Der mann im Pantherfell“ von Schota Rustaweli — „Mickiewisz-Blätter“, Li,* 1972, გვ. 149-157; კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, I, 1976, გვ. 284-290 (ნ. ამაშუკელის თარგმანი).

ჰ. ბუდენზიგი საუბრობს პოემის ტექსტის ისტორიაზე, ავტორის ვინაობასა და მისი ბიოგრაფიული ცნობების სიმცირეზე; აღნიშნავს, რომ „ვეფხისიტყაოსანი“ საგმირო ეპოსია, რაინდული რომანი ლექსად. მისი თქმით, რუსთველის ნაწარმოები მსოფლიო თხზულებაა, რომლითაც დაიწყო რენესანსი საქართველოში. „რუსთველის პოემა იძლევა არა მარტო სამყაროს მრავალფეროვან სურათს ამაღელვებელ ბედთა ორომტრიალში, ეს არის აგრეთვე სიბრძნის წიგნი ადამიანის მართებული ქცევის შესახებ“.

ჰ. ბუდენზიგის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე სათარგმნელად ყველაზე უფრო შესაფერია ჰეგზამეტრი, მას იყენებდნენ: კლოპშტოკი, გოეთე, შილერი, ჰელდერლინი და სხვები. მათ გააგერმანულეს ჰეგზამეტრი; მას ახასიათებს ხმის აწევ-დაწევა ნაცვლად ანტიკური სიგრძე-სიმოკლისა. ამ ცვლილების წყალობით ჰეგზამეტრი თითქოს გერმანული ენისათვის ყოფილიყოს შექმნილი. მისი გერმანული ფორმა ასონანსებისა და ალიტერაციების საშუალებას იძლევა, რომლებიც რუსთველის ქმნილებასაც ახასიათებს.

მთარგმნელი თვლის, რომ ჰეგზამეტრი საწინდარია რუსთველურ ორიგინალთან შეძლებისამებრ დიდი სიახლოვის მიღწევისა. გ. ა.

473. ჯუმბერ გაგნიძე

ვეფხისტყაოსნის ვიკარისეული უნგრული თარგმანის ისტორიისათვის

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1972, № 2, გვ. 144-153.

ავტორი მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ბელა ვიკარისეული უნგრული თარგმანის ისტორიას და ძირითადად ჩერდება ერთ საკითხზე – იმ ქართველ მოღვაწეთა პიროვნებების დადგენასა და მათი წვლილის განხილვაზე, რომლებმაც დახმარება გაუწიეს ბელა ვიკარს „ვეფხისტყაოსნის“ უნგრულად თარგმნის საქმეში.

ავტორი ხელთ არსებული მასალის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ბელა ვიკარისათვის „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანის მომზადებაში დახმარება გაუწევია სამ ქართველს: გიორგი ცისკარაულს, რომელმაც 1909-1912 წლებში ესპერანტოს ენაზე თარგმნა პოემის დიდი ნაწილი; გრიგოლ ილარიონის ძე წერეთელსა და დავით თოლორაიას, რომელთაც პოემის ბოლო ნაწილი, 10-12

გვერდის მოცულობით, უთარგმნეს ბ. ვიკარს 1915 წელს, გერმანული ენის საშუალებით. გ. ა.

474. ჯ. გაგნიძე

რუსთველის ლექსი ვეფხისტყაოსნის უნგრულ თარგმანებში

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, VI სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1972, გვ. 18-19.

1. „ვეფხისტყაოსნის“ პირველ უნგრელ მთარგმნელს ბელა ვიკარს რუსთველური სტრიქონი გადმოცემული აქვს ორი ოთხტერფიანი რვამარცვლედი ტაეპით. ყოველი ტაეპი რიტმული წყობით ახლოსაა მაღალ შაირთან, თუმცა მეტრი შედგენილია არა მარტო ქორეული, არამედ იამბური ტერფებისაგანაც.

2. უნგრული ტექსტის ანალიზიდან ჩანს, რომ მთარგმნელს შეუმჩნეველი დარჩა მაღალი და დაბალი შაირის ნაირსახოება, ამიტომ ეს თარგმანი თავიდან ბოლომდე მოქცეულია ერთ რიტმულ ჩარჩოში.

3. მეორე მთარგმნელს – შანდორ ვეორეშს პოემის დაბალი შაირის სტროფები გაწყობილი აქვს 16-მარცვლიანი სილაბური საზომით, ხოლო მაღალი შაირისა – 15-მარცვლიანი სილაბური საზომით.

4. ორივე თარგმანში კატრენის ტაეპები შეკრულია ერთიანი რითმით. რითმები არაზუსტია, რაც უფრო ბუნებრივია უნგრული ლექსისათვის, ვიდრე ზუსტი რითმა. გ. ა.

475. ზვიად გამსახურდია

„ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1972, № 2, გვ. 33-56; № 4, გვ. 89-108.

ავტორი განიხილავს პოემის პროლოგის მ. უორდროპისეულ და ვ. ურუშაძისეულ ინგლისურ თარგმანებს. ამავე დროს იძლევა ქართული ტექსტის განმარტებას.

მკვლევარი განსაკუთრებით ვრცლად ეხება რუსთაველის მსოფლმხედველობის მაჩვენებელ სტროფებს და აუცილებლად თვლის უცხოურ თარგმანში მათი შინაარსის ზუსტად გადატანას. მისი აზრით, I და II სტროფებში მოცემულია ქრისტიანული ცნებები. პირველი ტაეპი: „რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“ ნიშნავს: მამამ შეჰქმნა სამყარო ძის მეშვეობით, თავისი ძალის მეშვეობით.

პავლე მოციქულის ტერმინს „ძალი უხილავი“, რომელიც ნიშნავს ძე ღმერთს, რუსთაველი იყენებს იმავე მნიშვნელობით. მამისა და ძის შემდეგ ნახსენებია სული, ანუ სულიწმინდა: „ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა...“.

ავტორი ეხება პროლოგის თითქმის ყველა სტროფს და აღნიშნავს არასწორად ან თავისუფლად თარგმნის შემთხვევებს, რომლებიც უფრო ხშირად გვხვდება ვ. ურუშაძის თარგმანში.

ავტორს ინტერპოლაციებად მიაჩნია პროლოგის 28, 29, 30-ე სტროფები, რომელნიც თავიანთი „ვულგარული ფილოსოფიით“ ეწინააღმდეგებიან მიჯნურობის რუსთაველისეულ გაგებას და სასურველად თვლის მათ ამოღებას როგორც ქართული ტექსტიდან, ისე უცხოური თარგმანებიდან. გ. ა.

476. აკაკი გაწერელია

ქართული ვერსიფიკაცია და რუსთაველის ლექსი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1972, 14 აპრილი, № 15, გვ. 3-4.

წერილი ეხება ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1972, № 2) დაბეჭდილ აკად. გ. წერეთლის ნარკვევს „მეტრი და რიტმი ვეფხისტყაოსანში“. აკ. გაწერელია აღნიშნავს, რომ გ. წერთლის წერილი „არაორდინალურია“. ამ ნაშრომის მიზანია, ახსნას ვეფხისტყაოსნის მეტრი და რიტი ტრადიციული ქართული მეტრიკის საფუძვლების სრული უარყოფის გზით და მათემატიკურად დაასაბუთოს გენიალური პოეტური ნაწარმოების საზომში „სიმეტრიისა“ და „ღვთაებრივი პროპორციების“ აღმოჩენა. განზრახვა მისასალმებელი იქნებოდა, რომ მას ისტორიული, ფაქტიური და თეორიული გამართლება ჰქონდეს, რადგან პოეტური ფორმა არაა სტატიკული რამ, მასში ელემენტთა გაქვავებულ „ჰარმონიასთან“ კი არ გვაქვს საქმე, არამედ მუდმივ ცვალებადობასთან, დინამიზმთან და ხშირად ელემენტთა ურთიერბრძოლასთანაც“.

აკ. გაწერელია აცხადებს: იმის გამო, რომ მისთვის მიუღებელია გ. წერეთლის მოსაზრებანი ამ საკითხის გარშემო, იგი ერთგული რჩება ქართული ვერსიფიკაციის იმ გენერალური და თანაც ტრადიციული ხაზისა, რომლის დასაწყისში ე. ბოლხოვიტინოვი დგას. რეცენზენტის აზრით, 170 წლის ტრადიციის უარყოფა არ შეიძლება, რადგან „მეცნიერებაში მემკვიდრეობითობის ახალ ხარისხში აყვანა

უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ერთბაშად ყველაფრის უგულებელყოფა და ცარიელი ადგილის დანახვა იქ, სადაც რთველი მოწეულია". ც.ე.

477. ა. გელოვანი, ვ. კუპრავა

აქა ამბავი პანთერისტყაოსნისა

ჟურ. „მნათობი", 1972, № 1, გვ. 154-159.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის" ჰ. ბუდენზიგისეულ გერმანულ თარგმანს. ავტორები მთარგმნელს ბრალს სდებენ ორიგინალის შერყვნაში. ამის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად მოტანილია გერმანული თარგმანის სათაურში და ტექსტის სათანადო ადგილებში სიტყვა „ვეფხის" გადატანა პანტერად (Panther). მათი აზრით, ქართული „ვეფხის" გერმანული შესატყვისია „თიგერ", რომელიც ზოლებიანი ტყავის მქონე მხეცს გულისხმობს; ის მშვენიერებისა და ძლიერების სიმბოლოა. პანთერა კი იგივე ავაზა, ანუ ლეოპარდია, რომელსაც ტყავზე ხალებიანი ბეწვი აქვს.

ავტორები ჰ. ბუდენზიგის თარგმანის ნაკლს ხედავენ იმაშიც, რომ ის შესრულებულია ჰეგზამეტრით და არა რითმიანი ლექსით. მათი თქმით, ორი მთავარი კომპონენტის – სიზუსტისა და პოეტური სამოსელის შემოძარცვა ბუდენზიგის თარგმანს წონას უკარგავს (იხ. გამოხმაურება, ანოტ. № 519). გ.ა.

478. ივანე გიგინეიშვილი

მრავლობითი რიცხვის ფორმათა ზოგი თავისებურების შესახებ „ვეფხისტყაოსნის" ენაში

ჟურ. „მაცნე", ელს, 1972, № 3, გვ. 99-120.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის" ენაში –ნ და –თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითის ფორმებია გაბატონებული, თუმცა გვხვდება –ებ სუფიქსიანი ფორმებიც და გაცილებით ხშირად, ვიდრე ძველ ქართულში. სახელებში –ებ სუფიქსიანი ფორმები უფრო სარითმო სიტყვებში გვხვდება: გუბები, შუბები; კარები, ფარები; პირები, ჭირები და სხვ.

-ნ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი კნინობითის –ა სუფიქსიანი ფუძეები: ხანანი, ფისანი, ფონანი, ველანი, ტყუბანი, ქველანი, შემაგონანი, მეოტანი, მდენანი და მისთ.

ხშირად გვხვდება მასდარი –ნ სუფიქსიანი ფორმით, რომელიც შინაარსით მხოლობითისაგან არ განსხვავდება, მაგ.: თმენანი, თქმანი, შველანი, ხლებანი, დებანი, დაღრეჯანი, დიდებანი, რისხვანი, წყალობანი, შებმანი, გაყრანი და სხვ.

სახელი რიდე გვხვდება როგორც მრავლობითი ფორმით, ისე –ნ და –ებ სუფიქსებით: რიდენი, რიდები.

ავტორის დაკვირვებით, რუსთველის ენაში უთუოდ იგრძნობა ქართული ენის დიალექტთა მონაწილეობის გაძლიერება, ცოცხალი სასაუბრო მეტყველების ერთგვარი მოძალებაც. ეს საფუძველს ქმნიდა იმისათვის, რომ სალიტერატურო ენაში მომრავლებულიყო როგორც ლექსიკური, ისე სიტყვათწარმოებითი და მორფოლოგიურ-სინტაქსური ვარიანტები და გაზრდილიყო მათი ხვედრითი წონა. ამის გამო ეს ენა აღარ იყო ისე უნიფიცირებული და მკაცრი ნორმების მქონე, როგორც მისი წინამორბედი სამწერლო ენა იყო. ენის თავისუფლება ყველაზე რელიეფურად სწორედ პოეზიის ენაში შეიძლებოდა წარმოჩენილიყო. გ. ა.

479. დიმიტრი გონაშვილი

ბუმბულო

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1972, 12 მაისი, № 19, გვ. 4.

ავტორი წერს: „ვეფხისტყაოსნის" ერთ სტროფში, რომელიც მკვლევართა და გამომცემელთა უმეტესობას გვიანდელ ჩანართად მიაჩნია, ნახსენებია სიტყვა „ბუმბულო". ასმათი ეუბნება ტარიელს:

სჯობს, ერთი კაცი იახლო, ილხენდე მისის ჭვრეტითა,
ვით იადონი, არ მოკვდე ბუმბულოს თესლთა კვნეტითა.

ამ სიტყვას ხელნაწერებში აქვს ვარიანტული წაკითხვები: ბუმბუროს, ბუნბულოს, ბულბულის. ქართულ ბოტანიკურ ლექსიკონებსა და ცნობარებში არც ერთი დასახელება შეტანილი არაა. მას მხო-

ლოდ ს-ს. ორბელიანი ახსენებს მოკლე განმარტებით: „ბალახია“.

ეს მცენარე ბუმბულო ნარის სახელით ცნობილია ქიზიყურ კილოში. მისი გავრცელების მიხედვით ტოპონიმებიც გაჩენილა. მაგ. სოფ. ძველი ანაგის (სიღნაღის რ.) აღმოსავლეთით ერთ ბორცვს „ბუმბულოს თეფას“ ეწოდებენ. ამავე სახელით იხსენება წითელწყაროს რაიონის სოფ. გამარჯვების დასავლეთით 8-9 კმ-ზე მდებარე ადგილი.

ბუმბულო იზრდება როგორც ყამირ მასივებში, ისე მარცვლეულით დათესილ ხნულებში. მთავარ ღეროზე სოსანის ფერის ყვავილები უვითარდება, რომლებიც სიმსუბუქით ქათმის ბუმბულის მსგავსია. მათზე მიმაგრებულია წვრილი, მოგრძო თესლები. ისინი ადვილად იფანტება ქარის საშუალებით. გ.ა.

480. ბორის დარჩია

კიდევ ერთი შემთხვევა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში ტექსტის შემოკლებისა

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 66, 1972, № 2, გვ. 497-500.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი დამატების — „ტარიელის ანდერძის“ ერთი ნაწილი (სტროფები: №№ 2049, 2057-2059) სხვა რედაქციის ხელნაწერებში (GHJQ[1]U[1]) შემოკლებულია და წარმოდგენილია სამი სტროფით; ერთი სტროფი ამოღებულია, მაგრამ მისი ზოგი წაკითხვა გამოყენებულია სხვა სტროფებში. ტექსტის ასეთი განზრახ შემოკლება დადასტურებულია აგრეთვე „ხვარაზმელთა ამბავშიც“, ოღონდ სხვა ხელნაწერებში (EFIRZ...).

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. გ. ა.

481. ბ. დარჩია

„ქართლის ცხოვრებაზე“ მინაწერი სტროფის შესახებ

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1972, 1 სექტ., 35, გვ. 2.

ავტორის მსჯელობის საგანია „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნუსხის აშიაზე მიწერილი სტროფი, რომელიც ასე იწყება: „შვილო სარიდან, უჩემოთ თვალი ცრემლითა შენამე...“. ისტორიკოსი კ. გრიგოლია მის ავტორად ვახტანგ მეექვსეს ვარაუდობს.

ბ. დარჩია მიუთითებს, რომ ეს სტროფი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გვიანდელი დამატების, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის „ანდერძის“ ნაწილია, მისი ავტორი კი პოემის ე. წ. „ზაზასეული“ ნუსხის გადამწერი, ცნობილი პოეტი და საეკლესიო მოღვაწე იოსებ თბილელია (სააკაძე). დასახელებული „ანდერძი“ და ზოგი სხვა დამატებაც, რომლებიც „ზაზასეულ“ ნუსხაშია, იოსებ თბილელის შეთხზულია. გ. ა.

481**a**. ბ. დარჩია

მეცნიერი და მოქალაქე
(ა. ბარამიძის დაბადების 70 და მოღვაწეობის 50 წლისთავი)

გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1972, 31 მარტი, № 76, გვ. 3.

ავტორი წერს ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის, აკად. ალექსანდრე ბარამიძის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. აღნიშნავს, რომ იგი ხელმძღვანელობდა რუსთველოლოგიისა და ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. 1966 წლიდან იყო ამ ინსტიტუტის დირექტორი. წერილში საგანგებოდ ხაზგასმულია ა. ბარამიძის დამსახურება რუსთველოლოგიაში, დასახელებულია მისი მონოგრაფია რუსთაველზე, სადაც „საფუძვლიანად განხილულია ყველა ძირითადი პრობლემა, რომელიც კი დგას „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებ“. გ. ა.

482. ვეფხისტყაოსნის რითმათა სიმფონია

შეადგინა აკაკი ხინთიბიძემ, თბ., 1972, 352 გვ.

წიგნი გამოცემულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტის გრიფით.

სიმფონია მოიცავს „ვეფხისტყაოსნის“ ბოლორითმებს, შიდარითმებსა და თავრითმებს. იგი შედგენილია პოემის 1966 წლის მეცნიერული გამოცემის მიხედვით (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქცია). რითმები დალაგებულია სტროფული თანმიმდევრობით, თითოეული სტროფის რითმა ცალკეა წარმოდგენილი. სიმფონია აგებულია სარითმო სიტყვებზე (და არა კლაუზულებზე), მაგ., მე-5 სტროფის რითმაა ბილისა, მაგრამ მოტანილია სარითმო სიტყვები მთლიანად: ტკბილისა — ბაგე-კბილისა – მოწყობილისა – ლბილისა.

წიგნს ერთვის შემდგენლის წინასიტყვაობა (გვ. 3-14) და საძიებლები: სარითმო სიტყვათა, სარითმო კლაუზულების, შიდარითმიანი სტროფების, მაჯამური სტროფების, არაზუსტრითმიანი სტროფების და შედგენილრითმიანი სტროფებისა. გ. ა.

483. რუსუდან თულიანი

გამოჩენილი უნგრელი მხატვარი —
„ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დამდგმელი

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1972, № 4, გვ. 104-106.

ავტორი წერს, რომ უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი, რომელიც XIX ს-ის 80-იან წლებში პეტერბურგში ცხოვრობდა, საქართველოში ჩამოვიდა მ. ლერმონტოვის პოემა „დემონის“ ილუსტრაციების შექმნის მიზნით. მას აქ შესთავაზეს „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება. მ. ზიჩი დათანხმდა, მაგრამ ილუსტრაციების შექმნამდე გადაწყვიტა ცოცხალი სურათების დადგმა.

წერილში საუბარია ამ უჩვეულო წარმოდგენის სამზადისზე, მის დადგმაზე თბილისში, ქუთაისში, მოსკოვში, პეტერბურგსა და ბრიუსელში, და იმ გამოხმაურებაზე, რაც ამ წარმოდგენებს ჰქონდა საზოგადოებასა და პრესაში. გ. ა.

484. გურამ კარტოზია

ერთი ტაეპის წაკითხვისათვის „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1972, 1 სექტ., № 35, გვ. 2.

ავტორს სადავოდ მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წ. საიუბილეო გამოცემის წაკითხვა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს“ (301,1). მისი დაკვირვებით, საყურადღებო წაკითხვას იძლევა მოზრდილი ჯგუფი პოემის ხელნაწერებისა: „ვინცა კაცმა იძმოს ანუ თუნდა იდოს“. მაგრამ „დაცა იდოს“ დაჟინებით მეორდება ხელნაწერთა უმრავლესობაში. მკვლევრის აზრით, $B^5$ ნუსხაში უნდა იყოს დაცული საძიებელი დედნისეული წაკითხვა: „ვინცა კაცმან იძმოს ანუ და-ცა-იდოს“. აქ დაიდოს ზმნა ცა ნაწილაკითაა განკვეთილი. „ვინცა“ ნაცვალსახელი დაკავშირებულია ზმნებთან: ვინცა იძმოს, ვინცა დაიდოს.

და-ცა-იდოს სარითმო სიტყვაა და ამიტომ გაყოფილადაა წარმოდგენილი ძველ ხელნაწერებში; ზოგი კალიგრაფი ტმესიან ფორმებს ორ სიტყვად წერდა: ზმნისწინი ჩართული ნაწილაკებითურთ ცალკე იყო გამოყოფილი, ამან კი, თავის მხრივ, გამოიწვია ტექსტის სხვადასხვაგვარად გააზრება და მისი სწორება.

ზმნა დობა პოემაში, ჩვეულებრივ, უზმნისწინოდ გვხვდება, მაგრამ იქვე გვაქვს მიმღეობა „დასადობელი“ (243,1), რომელიც სწორედ ზმნისწინიან ფორმებს (დაიდობს, დაიდო, დაიდოს...) გულისხმობს ამოსავლად. აღნიშნულის საფუძველზე დაასკვნის მკვლევარი, რომ სადავო ტაეპი ასე უნდა დაიბეჭდოს:

ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან იძმოს ანუ და-ცა-იდოს...“. გ. ა.

485. ვ. კახნიაშვილი

დიდი ინტერესით
(ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობანი)

გაზ. „კომუნისტი“, 1972, 20 თებ., № 43, გვ. 3.

ავტორი წერს ქართულ-გერმანულ სამწერლო და კულტურულ ურთიერთობაზე XVII ს-დან XX ს-ის 70-იან წლებამდე. ერთ-ერთ საინტერესო ეტაპად მიჩნეულია ქართველი და გერმანელი მწერლებისა

და მეცნიერების თანამშრომლობა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნასთან დაკავშირებით. აღნიშნულია, რომ ავსტრიელმა ჰუგო ჰუპერტმა, რომელიც ოთხ წელიწადს ცხოვრობდა ჩვენს ქვეყანაში, ქართველი მეცნიერების დახმარებით თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. ეს პირველი სრული პოეტური თარგმანია დას. ევროპის ხალხთა ენებზე; წიგნად დაიბეჭდა 1955 წელს.

არსებობს აგრეთვე გერმანელი პოეტი ქალის მარია პრიტვიცის პოეტური თარგმანი, რომელიც დღემდე არსად გამოქვეყნებულა. 1953 წელს ჟურნალ „ნოვოე გეზელშაფტის“ მე-11 ნომერში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტი, რომლის თარგმანი მარტინ რემანეს ეკუთვნის.

რუსთაველის პოემის თარგმნა დაასრულა დოქტორმა ჰერმან ბუდენზიგმა. მისმა თარგმანმა სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა. გ. ა.

485ა. ნიკ. კენჭოშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ ითარგმნება ჰინდი ენაზე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1972, 30 ივნისი, № 26, გვ. 2.

ავტორის ცნობით, ინდოელ პოეტს მადან ლალ მადჰუს გადაწყვეტილი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ჰინდი ენაზე. მადჰუს თარგმნილი აქვს რუსულიდან სამოცდაათამდე ნაწარმოები, მათ შორის – დოსტოევსკის, ტოლსტოის, ტურგენევის, პუშკინის, გორკის, შოლოხოვის, აიტმატოვისა და კ. გამსახურდიას თხზულებები. გ.ა

486. დავით კობიძე

კვლავ ვისრამიანის საკითხები და სხვა

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1972, № 1, გვ. 168-187.

ქვესათაურში „უგულობა“ (გვ. 172-176) ავტორი ეკამათება მ. თოდუას, რომელიც წერდა: „უგულო“ სპარსულ პოეზიაში მიჯნურს, სატრფოსაგან გულწართმეულს ნიშნავსო. ამის კვალობაზე „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზაში: „კაცსა დასვრის უგულობა“, ეს სიტყვა სიყვარულით ისეთ გატაცებად, იმგვარ თავდავიწყებად მიაჩნია, რომელიც მიჯნურს საძრახის მდგომარეობაში აგდებს და ხალხის თვალში „დასვრილ კაცად“ წარმოაჩენს.

დ. კობიძე შენიშნავს, რომ „უგულო“ მართლაც ნიშნავს შეყვარებულს, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ მას უფრო ფართო შინაარსი აქვს, კაცი შეიძლება მეგობრის სიყვარულის გამოც იყოს „უგულო“, მაგ.: „გული მას აქვს, უგულოსა აქა ხელი რა მეხდების“ (741,2). მკვლევარი თვლის, რომ „უგულო“ და „უგულობა“ სხვადასხვა აზრისა და შინაარსის მატარებელი სიტყვებია. იგი ეთანხმება ალ. ბარამიძეს, რომლის აზრით, უგულობა ყალბ, ზერელე სიყვარულს გულისხმობს. გ. ა.

487. ნოდარ კოჭლაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი პოეტური თარგმანი იაპონურად

გაზ. „სამშობლო“, 1972, 12 მაისი, № 9, გვ. 2; გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1972, 23 ივნისი, № 25.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის პოემის იაპონური თარგმანი პირველად 1955 წელს დაიბეჭდა, პროზაულად შესრულებული პოეტ იპეი ფუკუროს მიერ. რუსთაველის იუბილეს დღეებში მთარგმნელი სტუმრობდა საქართველოს და შეხვედრები ჰქონდა შალვა ნუცუბიძესთან. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა ლექსით ეთარგმნა მისთვის საყვარელი თხზულება. გამომცემელ რიოხე კომიამასა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტ. ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ხელშეწყობით იპეი ფუკურომ 1971 წელს დაასრულა პოეტური თარგმანი, რომელით დაიბეჭდა 1972 წლის დასაწყისში. წიგნი შეიცავს 254 გვერდს, პოლიგრაფიულად ბრწყინვალედაა გამოცემული, დასურათებულია მ. ზიჩის, ს. ქობულაძის, ირ. თოიძის, ნ. იანქოშვილის, ლ. ცუცქირიძის და გ. ჩირინაშვილის ნახატებით. წიგნის შესავალში ლაპარაკია „ვეფხისტყაოსანზე“ და იმ ეპოქის საქართველოს ისტორიაზე, კულტურასა და განათლებაზე. გ. ა.

488. დავით ლაშქარაძე

ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობანი 50 წლის მანძილზე

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1972, № 4, გვ. 24-41.

ვრცელ მიმოხილვაში ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ორი თარგმანია გამოქვეყნებული ინგლისურ ენაზე; მალე დაიბეჭდება მეხუთე ფრანგული თარგმანი, გერმანულ თარგმანებს კი მიემატა ჰ. ბუდენზიგის თარგმანი, რომელიც ჟურნალ „მიცკევიჩ ბლეტტერში“ ქვეყნებოდა და მალე ცალკე წიგნადაც გამოიცემა.

„ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი პოლონურ ენაზე (დაიბეჭდა ჟურ. „ბიბლიოთეკა ვარშავსკას“ მეოთხე ნომერში, 1863 წ.) გაუკეთებია კაზიმირ ლაპჩინსკის, გიორგი ერისთავის დახმარებით.

ნაწყვეტები შანდორ ვეორეშის მიერ უნგრულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნიდან“, რომელიც 1954 წელს გამოქვეყნდა, შეტანილია საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების დამხმარე ქრესტომათიებში. გ. ა.

489. დ. ლაშქარაძე, ჯ. გაგნიძე

ჰერმან ბუდენზიგი – ვეფხისტყაოსნის ახალი გერმანელი მთარგმნელი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1972, 24 მარტი, № 11-12, გვ. 3.

ავტორები აღნიშნავენ, რომ ცნობილმა გერმანელმა პოეტმა და მთარგმნელმა ჰერმან ბუდენზიგმა 1969 წლის ნოემბრიდან დაიწყო რუსთაველის თხზულების ჰეგზამეტრით თარგმნა და ამჟამად ფაქტობრივად დასრულებულია ეს სამუშაო. თარგმანის დიდი ნაწილი სინჯის სახით უკვე გამოქვეყნდა ჟურნალ „მიცკევიჩ-ბლეტტერში“. გერმანულენოვანი მკითხველი მას მოწონებით შეხვდა. ჰ. ბუდენზიგის თარგმანს მაღალ შეფასებას აძლევენ: შვეიცარიელი ქართველოლოგი ლეა ფლური, გაზეთები „ჰაიდელბერგერ ტაგებლატი“ და „მანჰაიმერ მორგენი“.

ჰ. ბუდენზიგს ქართული ტექსტის „ვეფხი“ თარგმნილი აქვს „პანტერად“. სათაურშიც ასეა: „Der Ritter im Pantherfell“. ეს მთარგმნელის ორიგინალობა ან ახირება არ არის; პოემის სათაური ევროპულ ენებზე მეტწილად ასეა თარგმნილი.

მიმდინარე წლის მაისში ჰ. ბუდენზიგი კიდევ აპირებს ჩამოსვლას საქართველოში, რათა საბოლოოდ დააზუსტოს „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანი. გ. ა.

490. [„ლიტ. საქართველოს“ რედაქცია]

ბორის გაპონოვი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1972, 11 აგვ., № 32, გვ. 4.

გაზეთში დაბეჭდილია ნეკროლოგი „ვეფხისტყაოსნის“ კლასიკურ ებრაულ ენაზე (ივრითზე) მთარგმნელის — ბორის გაპონოვის გარდაცვალების გამო. მასში მოკლედ გადმოცემულია ბ. გაპონოვის ბიოგრაფია და ჩართულია ნაწყვეტები პოემის ებრაული გამოცემის რედაქტორის აბრაამ შლიონსკის „წინასიტყვაობიდან“, რომელიც ამ თარგმანის გამოცემას ებრაული მწერლობისათვის უდიდეს მოვლენად მიიჩნევს. გ. ა.

491. [„ლიტ. საქართველოს“ რედაქცია]

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსთწყობის საკითხები

(დისკუსიის ანგარიში)

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1972, 19 მაისი, № 20, გვ. 2; 26 მაისი, № 21, გვ. 2-3.

მწერალთა კავშირში შედგა ლიტერატურული კრიტიკის სექციისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის“ გაერთიანებული სხდომა, სადაც აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „მეტრი და რიტმი ვეფხისტყაოსანში“.

მომხსენებელმა აღნიშნა: ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ გამოსაცემად დამზადებულია და უკვე იბეჭდება შრომა „მეტრი და რითმა ვეფხისტყოსანში“ (რითმათა სიმფონია და სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები). ნაშრომის ერთ ნაწილში წარმოდგენილია რითმები, დალაგებული ანბანზე სათანადო კარედების ჩვენებით. სიმფონიას ერთვის რითმებისა და სარითმოდ გამოყენებული სიტყვების საძიებლები.

მეორე ნაწილი შეიცავს პოემაში ხმარებული სიტყვების მარცვლობრივი განაწილების ცხრილებს. ამ შრომას წინ უძღვის გამოკვლევა „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“.

მეცნიერის აზრით, მცდარია დღემდე გავრცელებული შეხედულება, თითქოს ქართულ, ვითომდა სილაბურ-ტონურ, ლექსთწყობას, საფუძვლად უდევს ქორე, დაქტილი, პეონი და სხვა სიდიდეები, რომლებიც კლასიკური ლექსთწყობისათვის არის დამახასიათებელი. მკვლევარი უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ ვეფხისტყაოსანში ჩვენ ქორეები და დაქტილები გვაქვს და სათანადო მტკიცების საფუძველზე დაასკვნის, რომ მახვილი არ შეიძლება იყოს მეტრიკული და რიტმული ერთეულების მარეგულირებელი ქართულ ლექსში, რადგან იგი არ არის რელევანტური. იგი თამაშობს ერთგვარ როლს, როგორც ექსპრესიული ფაქტორი, პაუზასთან ერთად მონაწილეობს აგრეთვე მიჯნის ფენომენის შექმნაში. მიჯნის ფაქტორი დღემდე შეუმჩნეველი იყო ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. მიჯნა (ღია მიჯნა) არის საზღვარი ერთი მორფემის ბოლოკიდურ ფონემასა და მომდევნო მორფემის თავკიდურ ფონემას შორის, რასაც განაპირობებს პაუზა, რიტმი და მახვილი.

რთულ მიმართებებს: მარცვლებს, სიტყვებს, სეგმენტებს, კარედებსა და სტროფებს შორის საფუძვლად უდევს სიმეტრია და „ოქროს კვეთის" პროპორცია, რომელიც ვეფხისტყაოსანში სრულყოფილების საზღვრებს აღწევს.

მოხსენების გარშემო გაიმართა მსჯელობა. ნოდარ ნათაძემ აღნიშნა: გ. წერეთლის მიერ დასაბუთებული თეზისი არის ახალი შეზღუდვა, რომელსაც რუსთველის ლექსი აკმაყოფილებს. იგი ემატება მანამდე ცნობილ შეზღუდვებს, მაგრამ არ მოხსნის მათ, კერძოდ იგი არ მოხსნის მახვილის, როგორც ვეფხისტყაოსნის ლექსის კონსტრუქციული ელემენტის ფაქტორს. ეს იმით მტკიცდება, რომ ვეფხისტყაოსანში სისტემური ხასიათი აქვს დაბალ შაირში სამმარცვლიანი, ხოლო მაღალში ორმარცვლიანი რითმის ხმარებას.

აკაკი ხინთიბიძემ აღნიშნა: აკად. გ. წერეთლის გამოკვლევაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი რუსთველის ლექსის სილაბურობის საკითხს. ეს გამოკვლევა მრავალ საყურადღებო პრობლემას სვამს ქართული ლექსის მკვლევართა წინაშე. იგი პრინციპული, უკომპრომისო ნაშრომია, საეტაპო მნიშვნელობა აქვს ქართული პოეტიკის განვითარებისათვის და მისი ყოველმხრივი შეფასებაც მომავლის საქმეა.

აკაკი ურუშაძის სიტყვიდან: „ვეფხისტყაოსნის" ლექსთწყობის საკთხებს მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა, მაგრამ მეცნიერულად დასაბუთებული, დამარწმუნებელი დასკვნა რუსთველური ლექსის გასაოცარი სიმდიდრის, მელოდიურობისა და ჰარმონიულობის თაობაზე დღემდე არავის წარმოუდგენია. კვლევა-ძიების სწორ გზაზე წარმართვას დაბრკოლებას უქმნიდა ის გარემოება, რომ რუსთველის ლექსს (და საერთოდ ქართული ლექსის ბუნებას) განიხილავდნენ ქართულისაგან სრულიად განსხვავებული ენებისათვის დამახასიათებელ მეტრულ და ტონურ ლექსთწყობათა სქემების საფუძველზე.

გივი გაჩეჩილაძემ თქვა: თუ მივმართავთ მეტაფორას და ქართულ ლექსს წარმოვიდგენთ მთის მწვერვალად, რომელიც ოსტატმა ალპინისტმა-მკვლევარებმა უნდა აიღონ, შეიძლება ითქვას, რომ ეს მწვერვალი კიდევ ერთხელ აღებულია ახალი, ყველაზე ციცაბო კედლის მხრიდან, რომელსაც რუსთაველის ლექსი ეწოდება, ხოლო თუ რუსთაველის პოეზია ქართული პოეზიის უმაღლესი გამოხატულებაა, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ლექსის ძირითადი კანონზომიერებანი, კერძოდ მისი სილაბური სტრუქტურა, გავრცელებული აღმოჩნდება დანარჩენ ქართულ საზომებზეც და საერთოდ მთელ ქართულ ლექსზე.

ნაშრომი ახლებურად აყენებს სიტყვის მახვილის საკითხს ქართულში და ტერფის შექმნის შესაძლებლობას საფუძველს აცლის. ამ შემთხვევაში მახვილს აღარა აქვს ლექსის ის მაორგანიზებელი ფუნქცია, რომელიც ინგლისურს ან რუსულს ახასიათებს. აქ გადამწყვეტად გამოდის მარცვალთა რაოდენობრივი განაწილება საზომში; მუხლთა, ანუ სეგმენტთა შეფარდება, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეიცვალოს რიტმი ერთი ზომის ლექსის ფარგლებშიც.

თამაზ გამყრელიძის აზრით, გ. წერეთლის მიერ ჩატარებული ანალიზი რუსთაველის ლექსისა წარმოადგენს თანამედროვე სტრუქტურული პოეტიკის ბრწყინვალე ნიმუშს, რომელსაც, უდავოა, დიდი საერთაშორისო რეზონანსი ექნება.

როლანდ ბერიძემ აღნიშნა, რომ 16-მარცვლიანი ლექსი ერთადერთი არაა, რომელშიც ოქროს კვეთის პროპორცია ჩანს; ათმარცვლიან და თორმეტმარცვლიან საზომებშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ როგორც ოქროს კვეთის პროპორცია, ისე ექვივალენტური სიმეტრია.

ალექსანდრე ბარამიძის გამოსვლიდან: აკადემიკოს გიორგი წერეთლის გამოკვლევა მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია. ფრიად სანდო სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გ. წერეთელს მთლიანობაში აქვს შესწავლილი და გააზრებული რუსთველური ლექსის ბუნება და ხასიათი. შედეგებიც უმეტესწილად უცილობელია და მისაღები, დადგენილია რიგი ურყევი კანონზომიერებანი. ც.ე.

492. მაია მამაცაშვილი

გალობა შვიდთა მნათობთათვის ნიზამის „ლეილი და მაჯნუნსა"
და „ვეფხისტყაოსანში"

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1972, № 3, გვ. 61-81.

გამოკვლევაში მოცემულია ასტროლოგიისა და ასტრონომიის განვითარების ზოგადი ეტაპები, უძველესი დროიდან XII-XIII საუკუნეებამდე, ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ავტორი აღნიშნავს, რომ ასტროლოგიური ცოდნა ციურ მნათობთა შესახებ გაიზიარა მონოთეისტურმა რელიგიებმა – ქრისტიანობამ და ისლამმა. სამყაროს აგებულების მოდელი ორივე სარწმუნოების სწავლულთა და პოეტთა ნაწერებში ერთნაირად იყო წარმოდგენილი.

პოემაში „ლეილი და მაჯნუნი“ ვარსკვლავიანი ღამის აღწერაში „ნიზამი ამჟღავნებს ასტრონომიისა და ასტროლოგიის ბრწყინვალე ცოდნას, რასაც იგი პოეტურ ფონად იყენებს თავისი თეოლოგიური კონცეფციის გასაშლელად. (...) მისი მიზანია წარმოადგინოს გეოცენტრული სისტემის მიხედვით შუასაუკუნეების ცის სურათი და მუსლიმანური სამყაროს უპირველესი მნათობის – ღვთაება მთვარის – მოძრაობა ზოდიაქოთა სარტყელში.

აღმოსავლური რენესანსის პოეზიაში პირველად ნიზამისთან არის მოცემული მნათობთა ვედრების პოეტური მოდელი, სადაც ასტროლოგია სავსებით მორგებულია მონოთეისტურ ისლამს“ (გვ. 75).

ნიზამის პოემაში მაჯნუნი შემწეობას სთხოვს სიყვარულში მნათობებს (ზუჰრასა და მუშთარს) და მხოლოდ შემდეგ მიმართავს დახმარებისათვის ღმერთს (ალაჰს, ცათა უფალს).

რუსთაველის პოემაში ავთანდილი ვედრებით მიმართავს მთელ ვარსკვლავურ ცას – 7 მნათობს. ღმერთი აქ არ ჩანს და, თითქოს, არც ასტროლოგიური კავშირი ჩანს ღმერთსა და მნათობებს შორის. მაგრამ პოემის სხვა ადგილებში ეს კავშირი აშკარადაა გამოხატული. მაგ.: სტრ.1: „რომელმან შექმნა სამყარო...“; 801: „ღმერთო, ღმერთო, გეაჯები...“; 809: „ილოცავს, იტყვის, მაღალო...“; 1050: „ყრმამან უთხრა: მადლი ღმერთსა...“. ამგვარად, რუსთაველთან, ისევე როგორც ნიზამისთან, მნათობთა თავში „ზის“ ღმერთი – ერთი, უცნაური, უთქმელი, უხილავი, უფალი უფლებათა...

ავთანდილის ვედრება მნათობებისადმი ასტროლოგიური ხასიათისაა. აქ თითოეული მნათობი თავისი ასტროლოგიური ბუნებისა და ნიშნის მიხედვითაა დახასიათებული. რუსთაველის მიხედვით, პირველი მნათობია მზე. ის არის „მძლეთა მძლე“, სფეროს შუაში მყოფი, რომელსაც მორჩილებენ სხვა მნათობები. იგი ანიჭებს ადამიანს ბედს.

რუსთაველი ასტრონომიულ პლანსაც ითვალისწინებს. მან იცის, რომ მერკური (ოტარიდი) მზის ორბიტაში მყოფი მნათობია. ის ბრუნავს მზესთან ერთად („ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა, მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს...“).

ასევე ასტრონომიის ცოდნით არის ახსნილი მთვარის გავსებისა და დაკლების ფაზები („მზე გამავსებს, მზევე გამლევს...“).

რუსთაველი ფორმალურად იცავს საშუალო საუკუნეების საყოველთაოდ აღიარებულ ასტრონომიულ სისტემას (გეოცენტრულს), მაგრამ ფაქტობრივად არღვევს მას (რადგან მნათობთა რიგს იწყებს მზით) (გვ. 78).

მკვლევრის აზრით, ნესტანის გათავისუფლება ქაჯეთიდან სიმბოლურად გამოხატავს მზისა და გველის ბრძოლის მითოსს. „ბრძოლა გველთან უნდა გავიგოთ, როგორც მზის (ლოგოსის) მიერ გველის (ქაოსის) დაძლევა. მზე არის ტარიელი, მთვარე – ნესტან-დარეჯანი და გველი – ქაჯეთის ციხე. მთვარე უძველესი დროიდან არის სულის სიმბოლო, მითოლოგიურად კი – მზის სასძლო“ (გვ. 81). გ. ა.

493. ლევან მენაბდე

### რუსთველი და ამერიკის საზოგადოებრიობა

თბილისის სახ. უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკ-ის XV სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1972, გვ. 17.

შოთა რუსთველი და მისი თხზულება ევროპის ქვეყნებში XIX საუკუნის დასაწყისიდან იხსენება, ამერიკის კონტინენტზე კი რუსთველის შემოქმედების გაცნობა და აღიარება უფრო გვიანდელი, XX ს-ის მოვლენაა.

ამერიკის რამდენიმე ქვეყნის (აშშ, ჩილე, კუბა, კანადა, ვენესუელა) თანამედროვე მოღვაწეთა რუსთველოლოგიური ნააზრვი ცხადყოფს, რომ ამერიკის საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა საფუძვლიანად გაიცნო „ვეფხისტყაოსანი“ და დაბეჯითებით აღიარა რუსთველის გენიალობა (იხ. ანოტ. № 494ა). გ. ა.

494. ლ. მენაბდე

### რუსთველი ამერიკაში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1972, № 3, გვ. 47-60.

როგორც ავტორი წერს, ამერიკის კონტინენტზე რუსთველის სახელის ხსენება იწყება მე-20 ს. 40-იანი წლებიდან. „ენციკლოპედია ამერიკანას“ 1945, 1959 და 1963 წლების გამოცემებში დაბეჭდილია მოკლე ცნობები რუსთველსა და მის პოემა „ვეფხისტყაოსანზე“. 1966 წ. საქართველოში ჩამოვიდა პროფ. რომან იაკობსონი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რუსთველის საიუბილეო ზეიმში. ნიუ-იორკში დაიბეჭდა თეიმურაზ ბაგრატიონის ბროშურა შოთა რუსთველზე. 1965 წ. დ. ლანგმა აშშ-ს აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების გენ. ასამბლეის სხდომაზე (ჩიკაგოში) წაიკითხა მოხსენება თემაზე „შოთა რუსთველი და შუა საუკუნეების ქართული ეპოსი“, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ უფრო სრული დახასიათება და ანალიზი მოცემულია მის წიგნში „ქართველები“, რომელიც 1966 წ. გამოვიდა ამერიკაში.

ავტორი მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ესპანურ ენაზე მთარგმნელის, ჩილელი მწერლის გუსტავო დელა ტორე ბოტაროს მიერ გაწეულ მუშაობას, მისი რეცენზენტების ხ. გარჩესისა და ა. გარიდოს ღვაწლს რუსთველის პოპულარიზაციის საქმეში. აღნიშნავს, რომ კომპოზიტორმა პ. ნავარეტემ შექმნა სიმფონიური პოემა „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე და 1970 წ. წარადგინა მუსიკალურ ფესტივალზე.

ნარკვევში აღნიშნულია, რომ კუბელი ფილოლოგი ხოსე ანტონიო პორტუონდო, კანადელები: ჯო უოლესი და მონიკა უაიტი 1966 წ. მონაწილეობდნენ რუსთველის საიუბილეო ზეიმში. გ. ა.

494**a**. ლ. მენაბდე

სახელოვანი იუბილარი

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1972, № 2, გვ. 74-78.

წერილი ეძღვნება აკად. ალ. ბარამიძეს, დაბადების 70-ე და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით. როგორც ავტორი წერს, საგანგებო აღნიშვნის ღირსია ალ. ბარამიძის დამსახურება რუსთველოლოგიის განვითარებაში. საილუსტრაციოდ დასახელებულია მისი ნაშრომები ამ დარგში; აღნიშნულია, რომ მონოგრაფია „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ რუსთველოლოგიის მზარდი აღმავლობისა და ავტორის მეცნიერულ-შემოქმედებითი გამარჯვების მაჩვენებელია. გ. ა.

495. ლ. მენაბდე

ივანე ჯავახიშვილი და ძველი ქართული მწერლობა

ჟურ. „ცისკარი“, 1972, № 9, გვ. 130-138.

ვრცელ მიმოხილვაში ავტორი აღნიშნავს, რომ ი. ჯავახიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებაში. მას აინტერესებდა პოემის ხელნაწერებისა და გამოცემების ღირსება-ნაკლოვანებანი, იდეურ-თემატური მოტივები, ავტორის ვინაობა და მოღვაწეობის ხანა, მსოფლმხედველობა და სხვ.

განხილულია ი. ჯავახიშვილის სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული გამოკვლევები და წერილები: „შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო“; „პიროვნება და მსოფლმხედველობა“, „რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და „ვეფხისტყაოსანი“; „ამირანდარეჯანიანის ანარეკლი ვეფხისტყაოსანში“ და სხვ. გ. ა.

496. ედუარდას მეჟელაიტისი

ბედი მგოსნისა

გაზ. „კომუნისტი“, 1972, 11 აპრილი, № 85, გვ. 3.

ესაა წინასიტყვაობა „ვეფხისტყაოსანის“ ლიტვურ ენაზე გამოცემისა, რომელიც ვილნიუსში დაიბჭდა 1971 წელს (მთარგმნელია პოეტი იონას გრაიჩიუნასი, დაბადებული ქ. თბილისში). გაზეთში აღნიშნულია, რომ წიგნს დართული აქვს რუსთველის ეპოქის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, ცნობები ავტორსა და მის პოემაზე.

წინასიტყვაობის ავტორი წერს, რომ რუსთაველის შესახებ ავთენტური ცნობები თითქმის არ არსებობს. სამაგიეროდ ქართველმა ერმა ლეგენდები შექმნა მასზე. ჩვენთვის კი უფრო მნიშვნელოვანია, თუ რაზე წერს და როგორ წერს პოეტი. ამ ეპოქაში, როდესაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ წარმოდგენა რენესანსულ ხელოვნებაზე, კავკასიის მთებში უკვე ჩქეფდა არაჩვეულებრივად მელოდიური და ტემპერამენტიანი პოეზია რუსთაველისა. მისი პოეზია იყო პირველი მერცხალი ადრეული ჰუმანიზმისა და რენესანსისა.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შეხვდნენ საშუალო საუკუნეთა დოგმატიკოსები სიბრძნით აღსავსე ამ ნაწარმოებს. მათთვის უცხო იყო ჰუმანისტური კულტი ადამიანისა... მათ გააძევეს პოეტი სამშობლოდან. ასე იარა მან ტანჯვის გზებით, ვიდრე არ ჩავიდა იერუსალიმში და, გადმოცემის თანახმად, იქვე აღესრულა. გ. ა.

497. ნოდარ ნათაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ენის ზოგიერთი საკითხი

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1972, № 1, გვ. 33-37.

ავტორი განიხილავს იმ თავისებურებებს, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ენას ახასიათებს თანამედროვე ქართულთან შედარებით. ესენია: 1. „მართ“ და „გლახ“ სიტყვების ხმარება; 2. ჩვენებითი ნაცვალსახელის ბრუნება; 3. ზმნის ბრძანებითი კილოს გამომხატველი ფორმა მეორე პირში იმეორებს უწყვეტლის ფორმას (წყვ.: მახსენებდი; ბრძ.: მახსენებდი! (მახსენე ხოლმე!); 4. მიცემითში დასმული სახელი ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებს (მათ უნდა; მათ უთქვამს); 5. სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტი ზმნას რიცხვში ითანხმებს (მე იგინი მოვკლენ); 6. პირდაპირი დამატების მქონე ზმნებში კავშირებითი კილო მრ. რიცხვში გამოიხატება ე სუფიქსით (ვთქვა სიტყვა – ვთქვნე სიტყვანი); 7. მესამე პირის მრ. რიცხვში გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები არ განირჩევა, ორივეს აქვს –ეს დაბოლოება (დახატეს, მოვიდეს); 8. ზმნისწინიანი აწმყო და უწყვეტელი; 9. -მცა ნაწილაკის ფუნქციები: ა) წყვეტილის ფორმაზე დართული –მცა ზმნას მომავალი დროის გაგებას აძლევს; ბ) –მცა ნაწილაკით გამოიხატება პირობითი კილო, ის „რომ“ კავშირს უდრის. გ. ა.

498. ვახტანგ პაიკიძე

„სამწუხარო შეცდომების“ გამო

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1972, 1 სექტ., № 35, გვ. 3.

წერილი დაბეჭდილია რუბრიკით: „წიგნის რედაქტორი პასუხობს“... ის დაწერილია დ. ქუმსიშვილის რეცენზიის („ლიტ. საქ.“, 11 აგვ.) პასუხად. ვ. პაიკიძე არ იზიარებს რეცენზენტის შენიშვნების უმეტესობას. აღნიშნავს, რომ სადავოდ მიჩნეულ საკითხებზე ასე წერენ სხვა მკვლევარებიც. მაგ., იმ მონადირეებს, ზოგ ხელნაწერში „თურქნი“ რომ ეწოდება, კ. კეკელიძე ხატაეთიდან მოსულებად იხსენიებს, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, პოემის ტექსტში „ქურდნი“ რომ იბეჭდებოდეს, როგორც რამდენიმე ხელნაწერსა და გამოცემაშია.

ვ. პაიკიძის აზრით, გასასწორებელია წინადადება, რომელშიც ფრიდონის ბიძებთან ბრძოლაზეა საუბარი, აგრეთვე – ის რამდენიმე გაუმართავი ფრაზა, რომლებსაც რეცენზენტი ასახელებს. გ. ა.

499. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

იაპონურ ენაზე, იპეი ფუკუროს პოეტური თარგმანი, ტოკიო, 1972, 256 გვ. იხ. ანოტ. № 487.

499**a**. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

ყირგიზულ ენაზე, ა. ოსმანოვის თარგმანი, ფრუნზე, 1972, 304 გვ.

500. ტრიფონ რუხაძე

შოთა რუსთველის დაბადების წელი და „ერთი ქრონიკის“ საიდუმლოება

თბილისის სახ. უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტის XV სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1972, გვ. 17-18.

1. შოთა რუსთველის დაბადების თარიღს ერთ-ერთ „ქრონიკაზე“ ამყარებენ. ამ საკითხის ამოსახსნელად პირველად ის პ. ინგოროყვამ გამოიყენა (1922, 1926 წლებში), მაგრამ მისი ლიტერატურული წყარო არ დაუსახელებია. ამიტომ ამ „ქრონიკას“ მეცნიერებაში უცნობი ეწოდება.

2. ეს „უცნობი ქრონიკა“ თავის დროზე გამოაქვეყნეს ე. თაყაიშვილმა (1890 წ.), ს. კაკაბაძემ (1913) და ქრ. შარაშიძემ (1954).

3. რუსთველის დაბადების თარიღის (1166 წ.) დასადგენად ეს „ქრონიკა“ თუ ქრონიკული ჩვენება ერთ-ერთი თვალსაზრისით გამოდგება დოკუმენტად.

501. რევაზ სირაძე

## „სიბრძნის დარგი“

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1972, № 4, გვ. 38-45.

„ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისის ერთ ტაეპთან — „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ — დაკავშირებით მკვლევარი ვრცლად განიხილავს „სიბრძნის შინაარსსა და გაგებას შუა საუკუნეების მწერლობაში. აღნიშნავს, რომ არსებობდა მოძღვრება ორგვარი სიბრძნის შესახებ. პირველი – უმაღლესი სიბრძნე, საღვთო, თეოლოგიურ სფეროს განეკუთვნება; მეორე — „სიბრძნე ამა სოფლისა“ (ადამიანური სიბრძნე) აერთიანებს ადამიანთა აზროვნების სხვადასხვა ფორმებს (ხელოვნება, მეცნიერება, ტექნიკა, ფილოსოფია). „ვეფხისტყაოსანში“ საღვთო და საამქვეყნო სიბრძნე ერთმანეთს არ უპირისპირდება.

რუსთაველის ტერმინი „შაირობა“ საერო პოეზიას გულისხმობს და პოეტი მას „სიბრძნის დარგად“, სიბრძნის ერთ-ერთ ქვესახედ აცხადებს, მაგრამ იგი არ აზუსტებს, თუ რომელ სიბრძნეს გულისხმობს. ამის საჭიროება რუსთაველისათვის არც იყო, რადგან მისთვის „სიბრძნე“ ერთიანია, განუყოფელია. აქედან გამომდინარე, საერო პოეზია საღვთო სიბრძნის დარგიცაა. გ. ა.

**502. Л. Ф. Солано**

## Средневековая провансальская поэзия и поэма Руставели

კრებ. „ლიტერატურული ურთიერთობანი“, III, თბ., 1972, გვ. 13-17.

ამერიკელი ფილოლოგი ლ. სოლანო წერს, რომ რუსთაველის თხზულების ზოგადი სულისკვეთება და შინაარსი მნიშვნელოვან წილად შეეფარდება XII საუკუნის პროვანსული და ფრანგული ლიტერატურის შინაარსს. მკვლევარი გულისხმობს ე. წ. კურტუაზიული სიყვარულის ამსახველ პოეზიას და ახასიათებს იმ სოციალურ გარემოს, რომელშიც ეს ლიტერატურა იქმნებოდა. ტერმინ „კურტუაზიულის“ განმარტებისას ლ. სოლანო წერს, რომ ეს სიტყვა აღნიშნავს მეფის ან დიდი ფეოდალის სასახლეს, სადაც იკრიბებიან არისტოკრატი რაინდები და ქალბატონები ან გასათხოვარი ქალიშვილები, რომლებიც ბაასობენ სიყვარულზე, მის მნიშვნელობასა და სიდიადეზე.

რუსთაველის მიჯნურობის კოდექსის ანალოგიას მკვლევარი უფრო თვალსაჩინოდ კრეტიენ დე ტრუასა და გილიომის თხზულებებში ხედავს. გ. ა.

503. [უავტორო]

## მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ ლექსთწყობის საკითხებზე

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1972, № 8, გვ. 62-63.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ 14 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციისა და „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე აკად. გიორგი წერეთელმა წაიკითხა მოხსენება: „მეტრი და რიტმი ვეფხისტყაოსანში“, რომელიც ერთი ნაწილია მისი შრომისა „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“.

მომხსენებელმა ახლებურად განიხილა ქართული ლექსთწყობის მრავალი საკითხი. იგი ამტკიცებს, რომ ქართულ ლექსთწყობას საფუძვლად არ უდევს კლასიკური ლექსთწყობისათვის დამახასიათებელი სიდიდეები – ქორე, დაქტილი, პეონი და სხვ. ქართულ ლექსში მახვილი არ არის მეტრიკული და რიტმული ერთეულების მარეგულირებელი. ქართულ ლექსში დიდ როლს ასრულებს მიჯნის ფაქტორი; მის რიტმს ქმნის მარცვალთა სხვადასხვა ვარიაციით განლაგება სტრიქონში. გ. ა.

504. ა. ფოცხიშვილი

საჭირო განმარტება

ჟურ. „მაცნე“, 1972, № 2, გვ. 178-184.

ავტორის მიერ 1966 წლის 17 ივნისის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში — „ქალისა და სიყვარულის პრობლემა ვეფხისტყაოსანში“ (განხილული იყო ნ. ნათაძის შეხედულებები. მოგვიანებით ჟურნალ „მაცნეში“ (1971, № 2) დაიბეჭდა ნ. ნათაძის საპასუხო წერილი — „ქალის კულტის“ შესახებ რუსთაველის ეპოქაში“.

წინამდებარე წერილში ავტორი კვლავ იცავს თავის დებულებას იმის შესახებ, რომ „რუსთველური სიყვარულის ფესვები უნდა ვეძიოთ არა ბედუინურსა თუ გვიანი ხანის არაბულ ლიტერატურაში, რომლიდანაც იგი, თითქოს, ყოფითი არხებით „უცებ მე-12 საუკუნეში“ ქართულ სინამდვილეში გაჩნდა, როგორც ამას ნ. ნათაძე ამტკიცებს, არამედ ქართულ ყოფაში, რომელშიც იგი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ჩვენებით, უკვე მე-9 საუკუნეში ლიტერატურულად დოკუმენტირებული ჩანს, ხოლო სავარაუდებელი გაცილებით ადრეულ პერიოდშია“. ნ.მ.

505. ალ. ქუთათელაძე

„ვეფხვი“ და „ჯიქი“

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1972, 1 ივნ., № 66, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ ბოლო დროს ქართულ ლექსიკონებსა და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებში მოხდა ვეფხვისა და ჯიქის სახელების არასწორად ხმარება და განმარტება. მისი მტკიცებით, ვეფხვი („барс“, „леопард“, „пантера“) ხალებიანი ტყავის მქონე ცხოველია, მისი ტყავი თხელი და მოქნილია, ამიტომ ის უძველესი დროიდან ჩასაცმელად გამოიყენებოდა.

ჯიქი (тигр) უფრო დიდი და ძლიერია. მას ზოლებიანი, სქელი და უხეში ტყავი აქვს, რომელსაც ძირს აგებდნენ, ცხენისა და მარხილის გადასაფარებლად ხმარობდნენ ან, ძველ დროში, ფარის გადასაკრავად იყენებდნენ. გ. ა.

505**а**. ალ. ქუთათელაძე

„აზავერი“

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1972, 20 ივლისი, № 87, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ აზავერის საბასეული განმარტება — „ხარი საკიდარი“ — სწორია. მისი გამოყენება ამ დანიშნულებით სამცხეში, ჯავახეთში, არტაანში დადასტურებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. თურქებმა მოსახლეობას ცხენები ჩამოართვეს და ამის გამო, ტვირთის საზიდად ხარების გამოყენება უფრო ფართოდ გავრცელდა. ამ ტრადიციის არსებობას აჭარასა და კლარჯეთში XIX საუკუნის წყაროებიც ადასტურებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ უმართებულოა ბოლო დროს ლექსიკონებში დამკვიდრებული განმარტება აზავერისა, როგორც ტიბეტური იაკისა (ა. ჯანაშვილი და სხვ.), რომელიც ცნობილია აგრეთვე მონღოლური და ტიბეტური ძროხის სახელით. გ. ა.

506. დიმ. ქუმსიშვილი

სამწუხარო შეცდომები

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1972, 11 აგვ., № 32, გვ. 4.

ავტორი გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნებს „ქართული ლიტერატურის“ VIII კლასის სახელმძღვანელოში დაბეჭდილ ნარკვევზე „შოთა რუსთაველი“. აღნიშნულია ფაქტობრივი შეცდომები, მაგ.: „დიდი გმირობა გამოიჩინა ტარიელმა ფრიდონის ბიძებთან ბრძოლაში“ (გვ. 120); ისინი, ვისაც ტარიელი და შემდეგ ავთანდილი შეხვდნენ, იყვნენ „თურქნი“ და არა „ხატაელნი„ (გვ. 129); ნარკვევის ავტორები წერენ, რომ ასმათი დაბალი წრის ქალია (გვ. 135), რაც სწორი არაა; უხეში შეცდომაა იმის მტკიცება, რომ „პოეტი ამჟღავნებს ინტიმურ გრძნობებს თამარის მიმართ“; არაზუსტია განმარტება: „ბიბლია

– ქრისტიანთა საღვთო წიგნების კრებული“.

რეცენზიაში მითითებულია სტილისტურად უხერხულ, გაუმართავ წინადადებებზე და კორექტურულ შეცდომებზე, რაც სასკოლო სახელმძღვანელოში არ უნდა გვხვდებოდეს. გ. ა.

507. გურამ შარაძე

თეიმურაზ ბაგრატიონი

(ცხოვრება), თბ., 1972.

წიგნის 115-ე და 120-122-ე გვერდებზე ავტორი წერს იმის შესახებ, რომ პარიზში ყოფნის პერიოდში, კერძოდ 1834 წელს, მარი ბროსეს განუზრახავს „ვეფხისტყაოსნის“ ლითოგრაფიული წესით გამოცემა, რის თაობაზეც ატყობინებდა თეიმურაზ ბატონიშვილს. თეიმურაზი მას საპასუხო წერილით აუწყებს თავის აზრს, რომ ამ წესით ნაბეჭდი წიგნი იშვიათად გამოდის კარგი ხარისხისა, ამიტომ ნუ იჩქარებს და პეტერბურგში ერთად გადაწყვიტონ, როგორც სჯობდეს.

1837 წელს მ. ბროსემ პეტერბურგში ჩაიტანა თეიმურაზის ნახაზების საფუძველზე დამზადებული ქართული მხედრული შრიფტის მატრიცები. შრიფტის ეს ახალი სახეობაა გამოყენებული „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაში. გ. ა.

508. პეტრე შარია

რუსთაველის პოეტიკა

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1972, № 4, გვ. 18-27.

გამოკვლევა შედგება სამი ნაწილისაგან. პირველში — „პოეზიის შემეცნებითი ბუნება“ — განხილულია რუსთაველის ესთეტიკური თვალსაზრისი პოეზიის შესახებ, რომელიც მოცემულია პოემის „დასაწყისში“. სტრიქონებში: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი, კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცივარგი“ (12) მოცემულია ის აზრი, რომ პოეზია შემეცნების ერთ-ერთი საშუალებაა, ამასთან ერთად იგი განასახიერებს მშვენიერებას გრძნობად ფორმებში. „საღმრთოდ გასაგონი“ გულისხმობს, რომ პოეზია „ღვთაებრივად ჟღერს“ თავისი მაღალი შინაარსისა და დანიშნულების გამო, ის ღვთაებრივ განაწესს ადამიანის გრნობისათვის მისაწვდომად ხდის.

ნარკვევის მეორე ქვეთავში — „პოეტური ფორმის საკითხი ვეფხისტყაოსანში“ — მკვლევარი წერს, რომ რუსთაველის პოეტური ხელოვნების შეფასებისას ძალიან ხშირად ზედმეტ ყურადღებას აქცევენ განსახიერების გარეგნულ, სიტყვიერ ფორმებს: ალიტერაციასა და მეტაფორას, მაგრამ ეს ხერხები არ გამოხატავენ პოეზიის ნამდვილ ღირსებას, ისინი პოეზიაში მხოლოდ დეკორის როლს ასრულებენ. ავტორის აზრით, რუსთაველის ლექსის ღირსება მისი სიცხადე და სინათლეა, რითაც ემიჯნება მისი პოეტიკა ნეოპლატონიკურ მისტიციზმსა და ბუნდოვანებას. რუსთაველის პოეტიკის თავისებურებას შეადგენს აგრეთვე მისი პოემის სტროფიკული წყობა, ორი სხვადასხვა რიტმის – მაღალი და დაბალი შაირის გამოყენებით.

ნარკვევის მესამე ქვეთავია „პოეტიკის ზოგიერთი ზოგადი პრინციპი და ვეფხისტყაოსანი“. მასში ავტორი განიხილავს მხატვრული თხზულებების ჟანრობრივი კლასიფიკაციის საკითხს, მსჯელობს ლექსის „პირველი“, „მეორე“ და „მესამე“ სახეების რუსთველისეულ დახასიათებაზე. მკვლევარი ვარაუდობს, რომ რუსთაველი, ვინც ქართულ მხატვრულ მწერლობაში პირველმა შექმნა საგმირო-რომანტიკული ეპოსი, ეკამათება მეხოტბე პოეტებს, რომელთაც არ შეუძლიათ მოვლენათა მხატვრული გააზრება და მოკლე ლექსებით პიროვნებათა პირდაპირი შექებით კმაყოფილდებიან. გ. ა.

509. გიორგი შაყულაშვილი

„სააშიკოს“ გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1972, № 2, გვ. 168-177.

ავტორი აკეთებს რამდენიმე შენიშვნას 1966 წელს სომხურ ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებზე, სადაც მე-17 სტროფის სიტყვა „სააშიკოდ“ თარგმნილია სიტყვით „აშუღაკან“ და განმარტებულია როგორც „სასიყვარულო შინაარსის სიმღერა“.

ავტორი აღნიშნავს, რომ „აშიკი“ არაბული ლექსიკური ერთეულია, ნიშნავს „მოყვარულს“, „ტრფობით შეპყრობილს“. ეს სიტყვა ქართულ ენაში ადრეულ ხანაში დამკვიდრებულა.

„აშული“ კი პოეტი-მემუსიკის, დამკვრელისა და მომღერლის პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინია. ის საქართველოში შემოსული უნდა იყოს XVI-XVII საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც აშუღურმა პოეზიამ მუსლიმურ სამყაროში და კერძოდ აზერბაიჯანში თავისი განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ისიც საყურადღებოა, რომ თურქ, აზერბაიჯანელ და შუა აზიის რესპუბლიკების არც ერთ მეცნიერს ჰიპოთეზის სახითაც კი არ წარმოუდგენიათ აშუღური და აკინთა ლიტერატურის არსებობა XII საუკუნეში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული ლიტერატურის წიაღში, და ისიც მის ორგანულ ნაწილად, როგორც ამას პ. მურადიანი გვთავაზობს, აშუღური პოეზიის არსებობა შეუძლებელი იყო. გ.ა.

510. ვ. ჩაჩანიძე

გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ ბერძნული თარგმანიც

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1972, 21 იანვ., № 3, გვ. 1

ავტორი წერს, რომ 1966 წელს პროფ. ს. ყაუხჩიშვილის დავალებით მან სთხოვა სოხუმელ მწერალსა და პედაგოგს მანოლის მიტაფიდის, რომ დაეწყო „ვეფხისტყაოსნის „თარგმნა ბერძნულ ენაზე. ხუთ წელიწადში, 1971 წლისთვის მ. მიტაფიდიმ ს. ყაუხჩიშვილის კონსულტაციის დახმარებით დაასრულა პოემის პოეტური თარგმანის მომზადება ახალ ბერძნულ ენაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახ. კომიტეტმა თარგმანის გამოცემა დაავალა გამომცემლობებს „საბჭოთა საქართველოს“ და „მეცნიერებას“. განზრახულია წიგნს დაერთოს შ. ნუცუბიძის წინასიტყვაობა — „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“. გ. ა.

510**a**. შოთა ძიძიგური, სარგის ცაიშვილი

მეცნიერის დიდი გზა
(ალ. ბარამიძის დაბადების 70 წლისთავი)

გაზ. „კომუნისტი“, 1972, 30 მარტი, № 75, გვ. 3.

ავტორები აღნიშნავენ, რომ ალ. ბარამიძის, როგორც მკვლევრის განსაკუთრებული სიყვარულისა და გატაცების საგანია შოთა რუსთაველის უკვდავი თხზულება. იგი წარმატებით იკვლევდა „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ჩანართი პლასტების ქრონოლოგიას, პოემის სოციალურ გარემოს, ტიპაჟსა და იდეურ მოტივებს. მეცნიერის მრავალწლიანი რუსთველოლოგიური კვლევის შეჯამებაა ვრცელი მონოგრაფია „შოთა რუსთველი და მისი პოემა“, რომელსაც დიდი აღიარება ხვდა წილად სპეციალისტთა და მკითხველთა წრეებში. გ. ა.

511. გიორგი წერეთელი

ბალახში და ბადახში ვეფხისტყაოსანში

კრებ. „აღმოსავლური ფილოლოგია“, II, თბ., 1972, გვ. 35-40.

მკვლევარი წერს: ბალახში ან ბადახში ირანული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „ლალს“, „რუბინს“. იგი დაკავშირებულია მხარის სახელთან „ბადახშან / ბალახშან“ (მდებარეობს ამუ-დარიას შესართავის მარცხენა ნაპირზე), რომელიც ცნობილია უმაღლესი ხარისხის ლალის საბადოებით.

სპარსულ ენაში (აგრეთვე არაბულში) ბადახშისა და ბადახშანის გვერდით იხმარებოდა ბალახში და ბალახშანიც. არაბული ენის საშუალებით ფორმა ბალახში შევიდა ესპანურში და აქედან გავრცელდა სხვა ევროპულ ენებში. ეს ფორმა შემოსულა ქართულშიც. ვეფხისტყაოსანსა და სხვა ძეგლებშიც უმეტესად „ბალახში“ იხმარება. გ. ა.

512. გიორგი წერეთელი

მეტრი და რიტმი ვეფხისტყაოსანში

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1972, 2, გვ. 33-56.

როგორც მეცნიერი წერს, რუსთველის ლექსის სტრუქტურის კვლევას აძნელებს ის გარემოება, რომ საფუძვლად იღებენ ისეთ ერთეულებს (ქორე, დაქტილი, მეორე პეონი და სხვ.), რომლებიც კლასიკური (ბერძნული) მეტრიკული სისტემისათვის არის დამახასიათებელი და არაფერი აქვს საერთო რუსთველის ლექსთან. ამ მიზეზით დღემდე შეუმჩნეველი დარჩა, რომ ვეფხისტყაოსნის პროსოდია ძირითადად „ოქროს კვეთს", ანუ „ღვთაებრივ პროპორციას" ემყარება. ამ თეზისის აღიარება ახლებურად სვამს საკითხს რუსთველის ვერსიფიკაციის შესახებ.

„ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დეტალური ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ადგენს, რომ რუსთველის „შაირი" და საერთოდ ქართული ლექსთწყობა სილაბურ პრინციპს ემყარება. რუსთველური სტროფი წარმოადგენს კატრენს, ე. ი. შედგება ოთხი კარედის, ანუ სტრიქონისაგან. კარედში 16 მარცვალია, ის იყოფა ორ თანაბარ ნაწილად მთავარი ცეზურით, რვა-რვა მარცვლით თითოეულში. ნახვარკარედი თავის მხრივ ორ სეგმენტად იყოფა, მაგრამ არა ყოველთვის თანაბრად; სეგმენტები ორგვარია: 1) სიმეტრიული – წყვილმარცვლიანი, ოთხ-ოთხი მარცვლით; 2) ასიმეტრიული, როდესაც ნახევარკარედი შედგება კენტმარცვლიანი (3+5 ან 5+3) სეგმენტებისაგან. სხვადასხვა ტიპის სეგმენტების მონაცვლეობა სტრიქონის ან მთელი სტროფის ფარგლებში გამორიცხულია. ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან მხოლოდ სტროფების მიხედვით, ქმნიან რა სხვადასხვა რიტმული სტრუქტურის კატრენებს: ე. წ. მაღალ შაირს და დაბალ შაირს. ეს უკანასკნელი, კენტმარცვლიანი სეგმენტებით, ემყარება „ოქროს კვეთის" პრინციპს. გ. ა.

### 512а. Т. Г. Цулукидзе

### О переводе “Витязя в тигровой шкуре на белорусский язык

„ლიტერატურული ურთიერთობანი", კრებ. III, თბ., 1972, გვ. 288-294.

ავტორი აღნიშნავს, რომ ბელორუსი მწერლები და მკითხველები დიდი ხანია დაინტერესებულნი იყვნენ შოთა რუსთაველის თხზულებით. ჟურნალებში იბეჭდებოდა „ვეფხისტყაოსნის" ნაწყვეტები, თარგმნილი პ. ბროვკას, კ. კრაპივას, ა. კულეშოვის, ე. ოგნეცვეტის, ა. ალექსანდროვიჩის მიერ.

1966 წელს, რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნდა სრული პოეტური თარგმანი ბელორუსულ ენაზე ა. ზვონაკის და მ. ხვედოროვიჩისა. რეცენზენტი ყურადღებას ამახვილებს ორიგინალთან თარგმანის აზრობრივ სიახლოვეზე. აღნიშნავ, რომ ამ მხრივ მთარგმნელთა შრომა დამაკმაყოფილებელია. ამავე დროს რუსთაველის პოემის თარგმანი მკითხველმა მიიღო როგორც მხატვრული მოვლენა.

მთარგმნელთათვის ძნელი იყო ლექსთწყობის სათანადო ფორმის შერჩევა, თექვსმეტმარცვლიანი ლექსი არაბუნებრივია ბელორუსული პოეზიისათვის. ასევე შეუძლებელი გახდა კატრენის ზუსტი რითმების დაცვა აზრობრივი გადახვევის გარეშე. ამიტომ თარგმანში მეტწილად გამოყენებულია ჯვარედინი რითმები, ხან ვაჟური, ხან ქალური. ზოგჯერ ზუსტი რითმის ნაცვლად ასონანსურ რითმას იყენებენ. მთარგმნელებმა სცადეს ალიტერაციული ჰარმონიის დაცვა, აგრეთვე პოემის ქართულ ტექსტში უხვად არსებული აფორიზმების შენარჩუნება.

რეცენზენტის აზრით, რუსთაველის პოემის ბელორუსულ თარგმანში არის ლექსის ჟღერადობაც, აზრობრივი სიზუსტეც, მხატვრული სიტყვის ელვარებაც და ჩვენგან საუკუნეებით დაშორებული ძველაღმოსავლური პოეზიის ინტონაციის შეგრძნებაც. გ. ა.

### 513. ალ. ჭინჭარაული

### „ვეფხისტყაოსნის" ერთი სტრიქონის გამო

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1972, 4 აგვისტო, 31.

„ვეფხისტყაოსნის" 1966 წ. გამოცემაში (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედ.) 656,3 ასე იკითხება: „სახლად საყოფნი მიმაჩნდეს თხათა და მთათ ირემთანი".

ალ. ჭინჭარაული თვლის, რომ აქ უნდა იკითხებოდეს მიმიჩნდეს, რადგან ა-თავსართიან ზმნებზე მი წინდებულდართული ფორმები (მიაჩნია და მისთ.) კანონზომიერი არ არის „ვეფხისტყაოსნისათვის". მი – პრეფიქსი ერთვის უთავსართო, ინვერსიულ ფორმას და ვიღებთ ზმნას „მიმიჩ(ნ)ს", რაც ნიშნავს: გამაჩნია, მაქვს (მყავს).

მთათ კონიექტურაა, მას ალ. ჭინჭარაული საეჭვოდ თვლის და მოითხოვს ხელნაწერთა წაკითხვის (მათ) აღდგენას. თუმცა მსაზღვრელი „მათ" შინაარსობრივად საჭირო არ არისო, იგი მარცვალთა რაოდენობის შესავსებად უხმარია პოეტს, რასაც სხვა დროსაც აკეთებენ რუსთველი და სხვა პოეტებიც.

მკვლევარი უპირატესობას ანიჭებს ფორმას „სამყოფნი“, რადგან „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება აგრეთვე „უმყოფო“ და „მყოფი“.

მისი აზრით, სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს:

სახლად სამყოფნი მიმიჩნდეს თხათა და მათ ირემთანი. გ. ა.

514. შ. ხიდაშელი

რუსთაველის ფილოსოფიური წყაროს საკითხისათვის

ჟურ. „ცისკარი“, 1972, № 8, გვ. 141-151.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ შ. რუსთაველის მთავარი მიზანია სინამდვილის მხატვრული ასახვა და თავის მსოფლმხედველობას გამოხატავს პირველყოვლისა მხატვრული აზროვნების საშუალებებით. რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ორგანულ კავშირშია პოემის იდეურ შინაარსთან, ჰუმანიზმთან. რუსთაველი იშვიათად მიმართავს ფილოსოფიის ავტორიტეტების დასახელებას. პოემაში ორი ასეთი შემთხვევაა დადასტურებული. ერთი — პლატონი (სტრ. 789) და მეორე — დიონისე არეოპაგელი (სტრ. 1492). ამ „ხარვეზს“ ავსებს სტროფები (836-837), რომელშიც რიგი მნიშვნელოვანი და ღრმა მოაზრების შედეგად მიღებული წარმოდგენების ფილოსოფიური წარმომავალობა არის დადასტურებული.

შ. ხიდაშელი განიხილავს პოემაში სიკეთისა და ბოროტების ფილოსოფიურ გაგებას და აღნიშნავს, რომ აქ სიკეთე არსობრივია, რომელსაც აქვს დასაბამი და აქვს ნამდვილი არსებობა, ხოლო ბოროტება შემთხვევითია, რომელსაც არა აქვს დასაბამი (სტრ. 1361, 1435, 1492). რუსთაველის იდეურ მემკვიდრეობაში არეოპაგიტიკა ერთადერთი მოძღვრება არაა, რომელიც სიკეთის მონიზმის თვალსაზრისზე დგას. რუსთაველი იცნობდა და სარგებლობდა ეფრემ მცირეს თარგმანით, აგრეთვე პეტრიწის თხზულებით. შ. ხიდაშელს უსაფუძვლოდ მიაჩნია შ. რუსთაველის მანიქეველობის მტკიცება და ამ საკითხზე კამათს არასაჭიროდ თვლის. თ.ნ.

515. ელგუჯა ხინთიბიძე

ნესტანის ცხრა და შვიდი ცა

თსუ-ს შრომები, ***B4(143)***, 1972, გვ. 141-151.

გავრცელებულ შეხედულებათა მიხედვით, ცათა სათვალავი ან შვიდია, ან ცხრა. მკვლევრის თქმით, ასეთივე წარმოდგენაა ცათა სიმრავლეზე „ვეფხისტყაოსანშიც“, სადაც სწორედ ცხრა და შვიდი ცაა ნახსენები (სტრ. 416, 1309).

ე. ხინთიბიძის დაკვირვებით, ცათა რიგზე პოემაში გაკვრით, მაგრამ მაინც ტრადიციული ასტროლოგიური შეხედულებაა ჩაქსოვილი და რუსთველის კოსმოლოგიურ სისტემაში აღიარებულია ცხრა ცის არსებობა. ამათგან შვიდი ცა მნათობებისაა: მთვარის, მერკურის, ვენერას, მზის, მარსის, იუპიტერისა და სატურნისა. ასტროლოგიური შეხედულებით, ამათ მიეწერებოდა ამქვეყნიური ამბების განმგებლობა. ეს ჩანს ნესტანის სიტყვებიდან: „რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა“ (1309,4). სხვა დროს კი ნესტანი ცხრა ცას ახსენებს: „გეცრუო, ღმერთმან მიწა მქმნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!“ (416,4), რაც ამას ნიშნავს: თუ გეცრუო (გიღალატო), ღმერთმა მიწაში დამნთქას, სრულიად მოვსწყდე ზეცას, ცხრა ციდან ნურც ერთში ნუ მოვხვდებიო. ნ.მ.

516. ე. ხინთიბიძე

ქართული ლიტერატურულ-ფილოსოფიური აზროვნების ისტორიიდან

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1972, 6 ივნისი, № 68, გვ. 3; 8 ივნ., № 69, გვ. 3.

ავტორი განიხილავს ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას შუა საუკუნეების საქართველოში, ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შეპირისპირებით. მისი დაკვირვებით, XI საუკუნიდან ქართულ აზროვნებაში იგივე პრობლემები იჩენს თავს, რაც იმდროინდელ ბიზანტიურ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში დგას. ქართველი მოღვაწენი აღჭურვილნი იყვნენ სანიმუშო ტექსტუალური კრიტიკის უნარით და უშუალოდ ბერძნულ დედნებს იყენებდნენ. XII ს-ის ქართული სახელმწიფო და საზოგადოებრივი აზრი უფრო მომზადებული იყო ახალი აზროვნების მისაღებად, ვიდრე იმდროინდელი ბიზანტია და დას. ევროპა; 1141 წ. საეკლესიო კრებაზე შეაჩვენეს ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე პეტრე აბელიარი, რადგან იგი ცდილობდა პლატონის ჩაყენებას ქრისტიანობის

სამსახურში, 1209 წლის პარიზის საეკლესიო კრებამ კი აკრძალა არაბული ენიდან თარგმნილი არისტოტელეს კითხვა.

საქართველოში, თამარის სამეფო კარზე პლატონი და არისტოტელე აღიარებულნი იყვნენ უპირველეს ავტორიტეტებად. XI-XII საუკუნეებში ქართულად ითარგმნა იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა", ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა", პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი". ამავე ეპოქის ქართული მეცნიერება დიდად იყო დავალებული არაბული სამყაროსგან, განსაკუთრებით ასტრონომია-ასტროლოგიისა და მედიცინის დარგებში.

XII ს-ის ქართულ აზროვნებაში მკვეთრად იგრძნობა ინტელექტუალიზმი და რაციონალიზმი, კერძოდ, იოანე პეტრიწისა და რუსთველის შემოქმედებაში. რუსთველის, როგორც მოაზროვნის, უმთავრესი პრინციპი რაციონალიზმია. სიბრძნისა და გონების კულტს მიჰყავს რუსთველი ადამიანისა და სიცოცხლის, როგორც უმაღლესი სიკეთის აღიარებამდე; ნაცვლად ღვთაებრივი სასწაულისა, მოქმედების ფილოსოფიამდე.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ რაციონალიზმმა ინტერესი გააღვივა ადამიანური აზრისადმი, ლოგიკისადმი. ამაღლდა ინტერესი ასტროლოგიისადმი, რომელიც ეყრდნობოდა ასტრონომიულ, გეომეტრიულ და მათემატიკურ ცოდნას. ფართოდაა ჩაქსოვილი ასტროლოგიური შეხედულებანი რუსთველის შემოქმედებაში. პოეტი ასტროლოგიაზე დაყრდნობით აგებს თავის კოსმოლოგიურ სისტემას: სამყაროს ცენტრში მდგომი ღმერთი ამქვეყნიურ, მიწიერ ცხოვრებას მართავს ციური მნათობებით მეშვეობით. გ. ა.

517. ე. ხინთიბიძე

ეთიკის ძირითადი პრობლემები ვეფხისტყაოსანში

„მიმომხილველი", 6-9, 1972, გვ. 7-69; აგრ. წიგნში — ე. ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, თბ., 1975, გვ. 193-306, იხ. ანოტაცია № 683.

518. ლ. ხუბულური

„ვეფხისტყაოსანი" ბულგარულ ენაზე

გაზ. „კომუნისტი", 1972, 1 იანვ., № 1; გვ. 4; არის აგრ. ხელმოუწერელი ინფორმაცია, გაზ. „სამშობლო", 1972, 28 იანვარი, № 2, გვ. 7.

წერილში აღნიშნულია, რომ ბულგარელმა პოეტმა სტოიან ბაკირჯიევმა თარგმნა „ვეფხისტყაოსანი". ლიტერატურულ ჟურნალ „როდნა რეჩის" 1971 წლის მერვე ნომერში გამოქვეყნდა პოემის ერთი თავის თარგმანი. იქვე დაბეჭდილია ბულგარეთში მცხოვრები ქართველი მეცნიერის ივანე ბიწაძის ვრცელი წერილი „ვეფხისტყაოსანი", რომლითაც ავტორი ბულგარელ მკითხველს აცნობს რუსთაველის ეპოქას, იმ პერიოდის საქართველოს, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას. გ. ა.

519. ნათელა ხუციშვილი

იშვიათი ნიმუში უმადურობისა

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1972, 31 მარტი, № 13, გვ. 2.

ავტორი ეხმაურება ა. გელოვანისა და ვ. კუპრავას წერილს „აქა ამბავი პანთერისტყაოსნისა" („მნათობი", 1972, № 1), რომელშიც კრიტიკულად იყო განხილული „ვეფხისტყაოსნის" ჰ. ბუდენზიგისეული გერმანული თარგმანი. ნ. ხუციშვილის აზრით, დასახელებული ავტორების პოზიცია მცდარია და განსახილველი თარგმანის კრიტიკა დამყარებულია უსაფუძვლო ბრალდებებსა და დაუსაბუთებელ დებულებებზე. იგი აანალიზებს ავტორების შენიშვნებსა და ბრალდებებს, რომელნიც ეხებიან სიტყვებს: „ვეფხი", „დურაჯი", „პატრონი", „მბრძანებელი" გერმანულ ენაზე გადატანას, აფორიზმების თარგმნისა და გარითმული სტროფების მაგიერ ჰეგზამეტრის საზომის გამოყენებას და დაასკვნის, რომ კრიტიკოსების ბრალდებები უსაფუძვლოა ან გაუგებრობის შედეგია. მათი წერილი კი ნიმუშია უმადურობისა იმ პიროვნების მიმართ, რომელსაც ქართველი ხალხისაგან მადლობა ეკუთვნის. გ. ა.

520. დიმიტრი ჯანელიძე

რუსთაველის ეპოქის თეატრი

წიგნში: დ. ჯანელიძე, სახიობა, II, თბ., 1972, გვ. 210-220.

ავტორი წერს: „სახიობის სიმღერისმწერლობის (დრამატული პოეზიის), ანუ რუსთაველის კლასიფიკაციით — „მესამე ლექსის" ჟანრებია: ქება, ქალ-ვაჟიანი – სააშიკო, ბასრობა (ამხანაგთა სათრეველი – სატირიკული) და სალაღობო (მსუბუქი ჟანრი, გასართობი). „ქება" სასახიობო შესრულების ნაწარმოებსაც აღნიშნავდა და იგი ძველი ქართული დრამატული პოეზიის ერთ-ერთ სახესაც წარმოადგენდა" (გვ. 217).

პოემაში მოხსენიებული „შემსხმელნი" და „შემამკობელნი" ავტორს სასცენო წარმოდგენის მონაწილეებად მიაჩნია. მისივე აზრით, „ვეფხისტყაოსნის" დაწერამდე რუსთაველს შეუქმნია „ქებანი", რომელიც საჯარო შესრულებისათვის, მოსასმენად ყოფილა განკუთვნილი (გვ. 218).

ავტორი იმოწმებს საეკლესიო კრების დადგენილებას: „ვსწყევდეთ მას, რომელმან თეატრონი აღაშენა ქალაქთა შინა და სახიობანი შეამზადნა...", რომლითაც დასტურდება შუა საუკუნეების საქართველოში თეატრალურ სანახაობათა არსებობა: (გვ. 218). გ. ა.

521. ა. ჯაფარიძე

სად დატოვა ინდოთ მეფემ ტარიელი?

გაზ. „სახალხო განათლება", 1972, 25 ოქტ., № 85, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ პოემის 1966 წლის გამოცემაში 335-ე („ბაღჩა ვნახე...") და 336-ე („ვიცოდი, სწადდა...") სტროფების შინაარსი ბუნდოვანია და აზრობრივ გაურკვევლობას იწვევს. მკითხველმა არ იცის, სად შევიდა მეფე, ნუთუ იმ „მოფარდაგულში", სადაც ქალების „საბანლად" მოწყობილი ვარდის წყლიანი „სარაჯები" (აუზები) იყო?

ეს უხერხულობა მოიხსნება, თუ დასახელებულ სტროფებს შორის აღვადგენთ ხელნაწერებსა და კ. ქიქინაძის გამოცემაში არსებულ სტროფს (384): „ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი..." საიდანაც ნათელი ხდება, რომ ფარსადან მეფე და ტარიელი შევიდნენ ნესტანის საცხოვრებელი კოშკის დიდ დარბაზში, რომლის ერთ-ერთი კარი ნესტანის ოთახში გადიოდა. სწორედ იქ (ნესტანთან) შევიდა მეფე, ტარიელი კი დარბაზში დარჩა, საიდანაც ვერავის ხედავდა, მხოლოდ მათი საუბარი ესმოდა. გ. ა.

## 1973 წელი

522. ლია ანდღულაძე

ვეფხისტყაოსნის თარგმნის ისტორიიდან
(ი. რომენსკი)

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები", IV, თბ., 1973, გვ. 90-101.

ავტორი მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე თარგმნის ისტორიას XIX ს-ში და იმ პრობლემებს, რომლებიც შეუძლებელს ხდიდა სრულფასოვანი თარგმანის შექმნას. მკვლევარი, სხვებთან შედარებით, უკეთესად თვლის იური რომენსკისეულ თარგმანს, რომელიც შესრულებულია 1890-იან წლებში. სამწუხაროდ, ის მხოლოდ პოემის პროლოგს მოიცავს.

ი. რომენსკი დაღესტნის ოლქის ქ. თემირ-ხან-შურას რეალურ სასწავლებელში მსახურობდა მათემატიკის მასწავლებლად. როგორც ირკვევა, მას გამოუყენებია ალ. სარაჯიშვილის მიერ მომზადებული პწკარედი. რუსთველის თხზულების „დასაწყისი" (31 სტროფი) ი. რომენსკის მიერ თარგმნილია გაურითმავი, მაგრამ რიტმული ლექსით. ყოველ ტაეპში ჩვიდმეტი მარცვალია. ნარკვევის ავტორს მიაჩნია, რომ სტროფების გაურითმავად თარგმნა ემსახურებოდა დედანთან თარგმანის შინაარსობრივი სიახლოვის მიღწევას.

ნარკვევის ბოლოს (გვ. 99-101) დაბეჭდილია პოემის „დასაწყისის" ი. რომენსკისეული თარგმანი. გ.ა.

523. ლ. ანდღულაძე

ვეფხისტყაოსანი რუსულ ენაზე
(ბიბლიოგრაფიული ცნობარი)

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები", V, 1973, გვ. 77-90.

ნაშრომში ანოტირებულად არის წარმოდგენილი ძირითადი მონაცემები „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე ამა თუ იმ მთარგმნელისა და მისი ნაშრომის შესახებ. ავტორს თარგმანები დალაგებული აქვს ქრონოლოგიური პრინციპით და დაჯგუფებულია მათი სისრულისა და ხასიათის მიხედვით. იქვეა მითითებული, თუ სად შეიძლება გაეცნოს დაინტერესებული მკითხველი ლიტერატურას დასახელებული საკითხის ირგვლივ.

წინამდებარე ნაშრომში ავტორი ეხება „ვეფხისტყაოსნის" რვა სრულ პოეტურ თარგმანს. ცნობილი ავტორების: კ. ბალმონტის, გ. ცაგარელის, პ. პეტრენკოს, შ. ნუცუბიძის და ნ. ზაბოლოცკის გვერდით წარმოდგენილი არიან აგრეთვე: ს. შარტი, ნ. რეული და კ. ოვანოვი.

ავტორის მიერ გამოვლინდა სოლოგუბის, რომენსკის, ნავროცკის, გრინევსკაიას, თურქიას, სერებრიაკოვის, მიქელაძისა და ლორთქიფანიძის თარგმანების ტექსტები.

მითითებულია პოემის თავისუფალი, პროზაული თარგმანის ავტორებიც და აგრეთვე ის პირები, რომლებსაც „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე თარგმნის ცდას მიაწერენ. ნ. მ.

523**a**. სიმონ არველაძე

### რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი" უცხოელ მწერალთა თვალთახედვით

წიგნში – ს. არველაძე, ლიტერატურული წერილები, თბ., 1973, გვ. 47-62.

ნარკვევში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის" უცხო ენაზე თარგმნისა და მისი პოპულარიზაციისათვის გაწეული მუშაობა XIX და XX საუკუნეებში. დასახელებულნი არიან: ფ. ბოდენშტედტი, ა. ლაისტი, მ. უორდროპი, მ ბოურა, ლ. არაგონი, ჰ. ჰუპერტი, ვ. კერნბახი, უ. ტუვიმი, ს. პოლაკი, ი. ფუკურო და სხვები. განხილული და სათანადოდ აღნიშნულია მათი წვლილი რუსთაველის შემოქმედების შესწავლისა და მსოფლიოს ზოგადსაკაცობრიო კულტურის კუთვნილებად ქცევის საქმეში. გ. ა.

524. ალ. ბარამიძე

### რუსთველის დასაცავად

ჟურ. „მნათობი", 1973, №12, გვ. 127-139.

ამ სტატიაში ალ. ბარამიძე პასუხობს დ. ქუმსიშვილს, რომელიც „მნათობის" 1973 წ. მეხუთე ნომერში დაბეჭდილ წერილში — „ისტორიზმის პრინციპის უგულებელყოფის სამწუხარო შედეგი" — აღნიშნავს, რომ ნაშრომში „რუსთაველი და მისი პოემა" (1966 წ.) განვითარებულია ანტიისტორიული, ანტიმეცნიერული, ანტიმარქსისტული შეხედულებები ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის თაობაზე. ეს ბრალდებანი წამოყენებულია ალ. ბარამიძის მიმართ, რომელიც შ. რუსთაველს მიაწერს კაცისა და ქალის საყოველთაოდ გათანაბრების იდეის, აგრეთვე ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის ქადაგებას.

ა. ბარამიძე აღნიშნავს, რომ ქუმსიშვილი აყალბებს მის მოსაზრებას რუსთველის სოციალური მრწამსის შესახებ და ამაოდ იმოწმებს კ. კეკელიძეს, რომელსაც პირდაპირ უწერია, რომ „ვეფხისტყაოსანში" მთავრი მოტივი არის არა ეროვნული პარტიკულარიზმი, არამედ ინტერნაციონალური სოლიდარობა. თ.ნ.

524**a**. ჯამბაკურ ბაქრაძე

### შოთა რუსთაველის სამართლებრივი ნააზრევი და სამართლის ფილოსოფიის ისტორიის ძირითადი დოქტრინები

ჟურ. „საბჭოთა სამართალი", 1973, № 3, გვ. 80-87.

ავტორი მიმოიხილავს ძველი დროისა და შუასაუკუნეების ფილოსოფოსების: ჰერაკლიტეს, სოკრატეს, დემოკრიტეს, პლატონის, არისტოტელეს, ციცერონის, შექსპირის, კანტის, ჰეგელის სამართლებრივ ნააზრევს, მათ სამართლის ფილოსოფიას და დაასკვნის, რომ იმ ეპოქების არც ერთ იურისტს, მწერალს, ფილოსოფოსს არ აუმაღლებია მართლმსაჯულების როლი ისე, როგორც ეს გააკეთა შოთა რუსთაველმა. მის სამართლებრივ მსოფლმხედველობაში უფლებრივი ინსტიტუტების ახსნა მოცემულია ცხოვრებასთან და საზოგადოებასთან, სამყაროში არსებულ ობიექტურ რეალობასთან კავშირში.

მართლმსაჯულების არსის ფილოსოფიური ახსნა, უფლბრივი თანასწორობის, ქალთა ემანსიპა-

ციის იდეის წამოყენება, ადამიანის ღირსების დაცვა, მებრძოლი ჰუმანიზმის მიჩნევა პრაქტიკული მოღვაწეობის მიზნად, საზოგადოების მომავალ განვითარების გეზის მოხაზვა არის შოთას ზოგადსაკაცობრიო დამსახურება. ყოველივე ამით მას სამართლის ფილოსოფიის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს. გ. ა.

525. მ. ბელთაძე

„ნათურქალის" გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში"

ჟურ. „მაცნე", ენისა და ლიტ. სერია, 1973, № 2, გვ. 57-63.

წერილის ავტორის მიზანია გაარკვიოს სიტყვა „ნათურქალის" მნიშვნელობა "ვეფხისტყაოსნის" 55-ე სტროფში: „ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა".

მ. ბელთაძე მიუღებლად თვლის ტრადიციულ განმარტებას: „თურქის ნაქონი", „თურქისთვის წართმეული". მისი აზრით, ნა-არ (დისიმილაციით – ნ-ალ) აფიქსებით წარმოქმნილი სახელი მიუთითებს სხვადასხვა სახის ყოფილობაზე. ამ მოდელით „ნათურქალი" შეიძლება ნიშნავდეს 1) თურქ-ყოფილს; 2) ადგილს, სადაც წინათ თურქები ცხოვრობდნენ; 3) თურქეთში ნამყოფს. ეს მნიშვნელობები კი არ ესადაგება „ვეფხისტყაოსნის" სათანადო კონტექსტს.

მკვლევარი ყურადღებას აპყრობს იმ გარემოებას, რომ ოსმალურ-თურქულში „თურქ" (türk) ნიშნავს: მძარცველს, ველურს, უხეშს. ოსმალურშივე დასტურდება სპარსულიდან შესული სიტყვა türktaz მოულოდნელი თავდასხმისა და გაძარცვის მნიშვნელობით (შდრ. ქართული „თურქვა" ტუქსვის მნიშვნელობით, აგრ. რუსული туркать სიცოცხლის გამწარების, შეწუხების მნიშვნელობით; „თურქობა" — დარბევა, აოხრება, თავდასხმა – დ. აღმაშენებლის ისტორიკოსთან).

მკვლევრის დასკვნით, „ნათურქალში" ძირის ამოსავალ მნიშვნელობად უნდა მივიჩნიოთ „მძარცველი, მტაცებელი" და არა თურქი, როგორც ეთნონიმი. ამდენად „ნათურქალი" გაგებულ უნდა იქნას არა როგორც თურქისთვის წართმეული, არამედ – როგორც ძარცვის, რბევის შედეგად ნაშოვნი, ე.ი. ნადავლი. ამგვარი გაგება დასტურდება კიდეც თ. ბაგრატიონთან: „ნათურქალი – ნატყვენვი" („განმარტება...", გვ. 19). გ. ა.

526. ჯუმბერ გაგნიძე

პროლოგი ვეფხისტყაოსნის უნგრულ თარგმანებში (პირველი და მეორე სტროფები)

ჟურ. „მაცნე", ელს, 1973, № 2, გვ. 32-36.

ავტორის მიზანია გაარკვიოს „ვეფხისტყაოსნის" პროლოგის ორი სტროფის ვეორეშისეული უნგრული თარგმანის ადექვატურობა ორიგინალისადმი. მისი აზრით, ვეორეშისეული უნგრული თაგმანი მთლიანად მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული, მაგრამ როგორც პირველი ორი სტროფის დედანთან შედარებით ჩანს, იგი გარკვეული თვალსაზრისით მაინც სცილდება ორიგინალს, რაც გამოწვეული უნდა იყოს იმ ბწკარედით (გაკეთებულით შალვა ნუცუბიძის რუსული თარგმანიდან) რომლითაც პოეტი სარგებლობდა.

წერილის ავტორი მიუთითებს ამ ხარვეზებზე. მაგ.: სიტყვა „სამყარო" თარგმნილია „világ"-ით (мир) და არა „menny"-ით (твердь), რითაც ირღვევა შესაქმის თანმიმდევრობა. პირველსავე სტროფში „სული" („ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა") თარგმნილია როგორც „სამშვინველი", რაც პრინციპული ხასიათის შეცდომაა, რადგან სტრიქონში იგულისხმება არა სამშვინველი, არამედ არსთა შექმნა „ზეგარდმო მონაბერი სულით".

უკუთარგმანი მეორე სტროფისა, რომელშიც რუსთაველი ლაპარაკობს პირველი ადამიანის სხეულის შექმნაზე, ასეთია: „ყოველ ტანს შენ აძლევს ფორმას, ღმერთო, ერთადერთო. სატანის დასათრგუნად მომეცი ძალა, მფარველო, ამინთე გულში სიყვარული, რომელიც სიკვდილამდე არ ჩაქრება. განმწმინდე ცოდვებისაგან მე, ვინც შენი სრა-სასახლის მდგმური უნდა გავხდე".

მიიჩნევს რა „ვეფხისტყაოსნის" პროლოგის პირველ და მეორე სტროფებს უაღრესად მნიშვნელოვნად რუსთაველის ფილოსოფიურ-რელიგიური მრწამსის დასადგენად, ავტორი აუცილებლად თვლის, რომ უცხოელმა მთარგმნელმა ბწკარედით ზუსტი ინფორმაცია მიიღოს. გ. ა.

527. ივანე გიგინეიშვილი

„ვეფხისტყაოსნის" ლექსიკის საკითხები

მოხსენება თსუ-ს რუსთველის კაბინეტში რუსთველოლოგიურ სემინარზე 1962 წ. 27 აპრილს; დაიბეჭდა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XVIII ტომში, 1973, გვ. 211-241.

ნარკვევში განხილულია პოემის სამი კონტექსტი და მოცემულია სავარაუდო გასწორებანი.

1. ავთანდილმა უცხო მოყმის კვალს რო მიაგნო, „ცხენი გაქუსლა დეზითა, ვითა გავაზი გაფრიდნა, არ გაშვებული ხეზითა“ (214,1-2). „არ გაშვებული“ იკითხება ყველა ხელნაწერსა და გამოცემებში. „ხეზი“ გრძელი ბაწარია (წვრილი საბელი), რომელსაც სანადირო ფრინველების გაწვრთნის დროს იყენებენ. ტაეპის აზრი ბუნდოვანი და სიტუაციისთვის შეუფერებელია. ამ მხრივ ყურადღების ღირსია XIX ს. I მეოთხედში დავით რექტორის მიერ გადაწერილი ნუსხის წაკითხვა: „ვითა გავაზი გაფრინდა, მართ გაშვებული ხეზითა“, რაც ნიშნავს: გაფრინდა როგორც ხეზშეხსნილი გავაზი. ასეთი დაწერილობა ზუსტად გამოხატავს ავთანდილის განწყობასა და მოქმედებას, ამიტომ შეიძლება ძირითად წაკითხვად მივიჩნიოთ.

2. „ამან მართ ოდენ მორევნა გვითხრა, ვუალეთ ჩვენებით“ (206,3). ამ ტაეპში სდავოა სიტყვა ვუალეთ. ხელნაწერებში მისი ვარიანტებია: უვალეთ, უალლეთ, უალნეთ და სხვა (აშკარად მცდარი ფორმები). ამათგან ერთადერთი სწორი წაკითხვაა ვუალნეთ (ძველი ორთოგრაფიით – უალნეთ), რაც ნების დართვას, დათანხმებას ნიშნავს. „ჩვენებით“ უნდა გასწორდეს: „ჩვენ ნებით“.

3. „ჩემნი მომკლველნი წამწამნი შავნი გიშრისა ხენია“ (1261,4).

“ვეფხისტყაოსანში“ ხე ცალკე, ან ალვასთან ერთად (ხე ალვა), ჩვეულებრივ, პერსონაჟის ტანის აღმნიშვნელია. წამწამის მეტაფორად კი გამოიყენება: გიშრის სარი, გიშრის შუბები, გიშრის წნელი, გიშრის ტევრი და სხვ. „ხე“ არ შემოდის საგანთა ამ წყებაში.

მკვლევარებსა და გამომცემლებს ყურადღების გარეშე დარჩათ IKOV ხელნაწერების წაკითხვა: შავნი გიშრისა ჩხნდენია. ჩხნდე, ლექსიკოგრაფების განმარტებით, მორევში შეყრილი, ჩახერგილი შეშაა. დასტურდება აგრეთვე გამოთქმა „ჩხნდე შუბისა“ („შვიდი მთიები“, 1120,3).

გიშრის ჩხდე სავსებით ბუნებრივი მეტაფორაა წამწამისა და ის უნდა აღვადგინოთ პოემის გამოცემის ტექსტში. გ. ა.

527**ა**. დიმ. გონაშვილი

„ვეფხისტყაოსანში“ ერთი ტაეპის გასწორებისათვის

გაზ. „კოლმეურნი“ (სიღნაღი), 1973, 8 სექტ., 1 107, გვ. 4.

ავტორს მიაჩნია, რომ პოემის სტრიქონი „ბროლ-სადაფნი მარგალიტსა ლალის ფერსა სცვენ და ჰბურვენ“ (856), აზრობრივად ბუნდოვანია. ასე გამოდის, რომ კბილები (ბროლ-სადაფნი) „ჰბურვენ“ წითელ ბაგეებს (მარგალიტს), რის წარმოდგენაც შეუძლებელია. აზრი გამართული იქნებოდა, პირიქით რომ ყოფილიყო. ამიტომ აუცილებელია დაწერილობისა და პუნქტუაციის ასე შეცვლა:

„ბროლ-სადაფსა-მარგალიტსა ლალის-ფერნი სცვენ და ჰბურვენ“.

მეტაფორებად გამოყენებული სამივე სიტყვა კბილებს აღნიშნავს, რომელთაც წითელი ბაგეები („ლალის-ფერნი“) სცვენ და ჰბურვენ. გ. ა.

528. მერი გუგუშვილი

რუსთველის გავლენა ნოდარ ციციშვილის „ბარამგურიანზე“

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, V, თბ., 1973, გვ. 62-76.

ავტორი ნათელყოფს აღორძინების ხანის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – ნოდარ ციციშვილის მიერ ქართულ ენაზე დამუშავებული სასანიდური დინასტიის ცნობილი შაჰის, ბაჰრამგურის, რომანტიკული თავგადასავლის „ბარამგურიანის“ („შვიდი მთიები“) სახელით ცნობილი პოემის ტროპებისა და ვერსიფიკაციის მსგავსებას როგორც რუსთველის მხატვრულ სახეებთან, ისე „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიასთან და რითმებთან.

ამ მხრივ ნ. ციციშვილი, მკვლევრის აზრით, სათანადო ადგილს იჭერს თავისი სკოლის მამათავრის, თეიმურაზ პირველის, გვერდით. აღნიშნული დასკვნა დასაბუთებულია პოეტური მიბაძვისა და ტროპული სახეების სესხების მრავალი ნიმუშით. გ. ა.

528**ა**. მ. გუგუშვილი

ვეფხისტყაოსანი – გალაკტიონის შთაგონების წყარო

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი,

VII სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1973, გვ. 18-19.

ქართული კლასიკური მწერლობიდან უპირველესად „ვეფხისტყაოსანი“ იყო გ. ტაბიძის მძაფრი ინტერესის საგანი და შთაგონების წყარო. რუსთაველის მხატვრული სახეები, პოეტური ასოციაციები და რემინისცენციები მის მთელ შემოქმედებას გასდევს.

გ. ტაბიძის რწმენით, რუსთაველი წარმოშობით მესხია, რაც იგულისხმება მის ლქსებში ხმარებულ გამოთქმაში: „ვინმე მესხი მელექსე“.

კრებულში „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ შეტანილ ყველა ლექსს ეპიგრაფად რუსთველის სტრიქონი უძღვის.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებითაა შთაგონებული ტაბიძის პოემების ზოგიერთი გმირის სახე (ტარიელი — „მშვიდობის წიგნში“, თამარი — „სინათლის ყვავილში“ და სხვ.).

გ. ტაბიძე იყენებს რუსთველურ შედარებებს, მეტაფორებს, ალიტერაციას, განმეორებას, „ვეფხის“ სიმბოლიკას და სხვა პოეტურ ხერხებს.   გ. ა.

529. ბორის დარჩია

### ტარიელის ანდერძი და ვეფხისტყაოსნის გაგრძელებების ზოგიერთი რედაქციული საკითხი

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1973, № 1, გვ. 25-33.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ანდერძებისა და მათი გარდაცვალება-დატირების ტექსტების ანალიზის შედეგად მკვლევარი ასეთ დასკვნებს აკეთებს: გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბები ხელნაწერებში სამგვარი შედგენილობით არის წარმოდგენილი: ვრცელი, მოკლე და უმოკლესი. ტარიელის ანდერძი (სტრ. 2025-2049, 2057-2063) სამ რედაქციულ ჯგუფს იძლევა: 1. ა რედაქცია – ABCUX...; 2. ბ რედ. — DVF[1]F[2]...; 3. გ რედ. — GHJKO... ხელნაწერები.

მკვლევარს მიაჩნია, რომ აღნიშნული ეპიზოდების ტექსტები პირვანდელ სახესთან მიახლოებით დაცული უნდა იყოს ვრცელი რედაქციის ნუსხებში. ტარიელის ანდერძი და ტარიელ-ნესტანის გარდაცვალების ამბავი (სტრ. 2064-2069), ავთანდილ-თინათინის გარდაცვალების ამბავთან ერთად, ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნილი, სხვადასხვა ავტორის თხზულებაა. ამიტომ არის მათში ერთი და იგივე ამბავი ორჯერ მოთხრობილი. უმოკლეს (დ) და მოკლე (გ) რედაქციებში ზოგი რამ გასწორებულია, გამეორებების აცილების მიზნით. ამის შედეგად ჩამოყალიბდა ის ტექსტები, რომლებიც დაცულია GHJ, FI, E, T და B[2] ხელნაწერებში.   გ. ა.

530. ბ. დარჩია

### ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოქვეყნების გამო

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, IV, თბ., 1973, გვ. 102-122.

ავტორი განიხილავს ამავე სახელწოდების კორპუსს, რომელიც ოთხ წიგნად დაიბეჭდა 1960-63 წლებში. იგი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში არსებული ლექსიკური ვარიანტების დაბეჭდვის სურვილი ყოველთვის ჰქონდათ პოემის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემების რედაქტორებს, მაგრამ ეს ვერ ხორციელდებოდა სხვადასხვა მიზეზის გმო. ამჯერად რუსთველოლოგებისა და ტექსტოლოგების (ა. ბარამიძე, ს. ყუბანეიშვილი, ლ. კეკელიძე, მ. გუგუშვილი, ი. ლოლაშვილი) ერთობლივი შრომით შესაძლებელი გახდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისათვის ასე საჭირო და მნიშვნელოვანი მასალის მომზადება და გამოცემა. ვარიანტების ოთხწიგნეულში აისახა პოემის ძირითადი ტექსტისა და დამატებების (გვიანდელი ჩანართ-დანართების) ლექსიკური სხვაობანი, დაცული ჩვენამდე მოღწეულ 48 ხელნაწერში, რომლებიც გადაწერილია XVII-XVIII საუკუნეებში და ტექსტოლოგიურად ღირებულნი და გასათვალისწინებელნი არიან.

პოემის ვარიანტების ჩვენებისათვის საფუძვლად აღებულია ყველაზე ვრცელი ნუსხა – კ. კეკე-

ლიძის სახ. ხელნაწერთა ინსტ. H–757, გადაწერილი 1671 წ., რომელიც სტამბურადაც იყო გამოცემული 1956 წ., ს. ყუბანეიშვილის რედაქციით.

რეცენზენტის თქმით, ამგვარი წიგნის ღირსება პირველ რიგში განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად ზუსტად და ამომწურავად გადმოგვცემს ხელნაწერთა მონაცემებს. ამ მხრივ ამ გამოცემას ზოგიერთი ნაკლი აქვს, მაგ., ბევრი შეცდომაა ხელნაწერთა მითითებაში (ლიტერებში), ან ამა თუ იმ ვარიანტთან მითითებული არაა ყველა ხელნაწერი. სასურველი იყო ვარიანტების დალაგება მსგავსი ფორმების მიხედვით და არა ლიტერების რიგით, როგორც ეს ამ წიგნებშია მოცემიული.

ვარიანტებში, ისე როგორც ძირითად ტექსტში, გარჩეული არ არის ჳარიანი და უმარცვლო უნიანი წაკითხვები. ამგვარი წაკითხვების ზუსტად აღრიცხვა კი მნიშვნელოვანია, როგორც ცალკეული სიტყვების შინაარსის გაგებისათვის, ისე ნუსხების ურთიერთმიმართების გასარკვევად.

აღნიშნული ხარვეზების მიუხედავად, ამ გამოცემას რეცენზენტი საეტაპო მოვლენად თვლის „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენის საქმეში. გ. ა.

531. ბ. დარჩია

ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა პ. კარბელაშვილისეული პუბლიკაციის რედაქციური სახის დადგენისათვის

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, V, თბ., 1973, გვ. 16-27.

ავტორის მიზანია დაადგინოს ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა პ. კარბელაშვილისეული გამოცემის რედაქციული სახე. ეს გამოცემა, რომელიც მოიცავდა ვეფხისტყაოსნის დანართ ეპიზოდებს – ხატაელთა, ხვარაზმელთა, გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბებს, პ. კარბელაშვილმა გამოაქვეყნა 1880 წლის ივლისში ჟურნალ „ივერიაში“ (№ 3, გვ. 3-53).

ავტორი კვლევის შედეგად ასეთ დასკვნებს აკეთებს:

1. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში დღესდღეობით ცნობილ „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხათაგან არც ერთი არ არის პოემის გაგრძელებათა პ. კარბელაშვილისეული პუბლიკაციის დედანი.

2. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა ეს გამოცემა განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს $K^1$ ნუსხასთან: ზედმიწევნით მიჰყვება მას და იმეორებს ბევრ მის სპეციფიკურ წაკითხვას. მათ შორის განსხვავება ცოტაა.

3. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა პ. კარბელაშვილის ტექსტი ნარევი რედაქციისაა. მასში დასტურდება სამი რედაქცია: I. „ხატაელთა ამბავსა“ (გარდა 1811-1822 სტროფებისა) და „ხვარაზმელთა ამბის“ დასაწყისში (სტრ. 1868-1875) იგი განეკუთვნება $EFIRZH^1W^1$ ხელნაწერთა რედაქციას; II. „ხვარაზმენლთა ამბის“ უმეტეს ნაწილში – $DQVF^1L^1S^1$ ხელნაწერთა რედაქციას და III. „ხვარაზმელთა ამბის ბოლოსა და გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბავთა“ მონაკვეთზე – $HJKOTG^1$ ხელნაწერთა რედაქციას. ნ.მ.

531**a**. ბ. დარჩია

ვეფხისტყაოსნის ნაკაშიძისეული ხელნაწერის ტიპის რედაქციის გენეზისის საკითხები

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, VI სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1972, გვ. 24.

ნარკვევი გამოქვეყნდა 1975 წელს, იხ. ანოტ. № 638.

532. ვარლამ დონდუა

საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1973.

შოთა რუსთაველსა და მის შემოქმედებას შეეხება წერილები და გამოკვლევები:

1. რუსთაველთან ერთად (გვ. 69-70). დაწერილია 1966 წელს. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის მომწოდებელი ხმა ძმობისათვის, ხალხთა შორის თანამშრომლობისათვის თავისებურად (მდარე ენით) თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ ერთმა ინტერპოლატორმა — ავთანდილისათვის მხარის დასაჭერად მზადყოფნას იჩენენ:

„ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“ (968).

რუსთაველის საიუბილეო დღეებში მართლაც გაცხადდა უცნობი მელექსის ეს სურვილი, — საქართველოს მიწა-წყალზე თავი მოიყარეს მსოფლიოს სხვადასხვა ერის წარმომადგენლებმა, რათა უკეთესად გაეცნონ და პატივი სცენ დიდ პოეტსა და მის მშობელ ქვეყანას.

2. რუსთაველის ეპოქის საქართველო (გვ. 71-89), პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში", 1966, № 9.

3. „ვეფხისტყაოსანი" და თამარის ისტორიკოსები (გვ. 99-114), პირველად დაიბეჭდა კრებულში: „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966 (იხ. „რუსთვ. ლიტ. ბიბლიოგრაფიის" III ტ.).

4. რეცენზია წიგნზე И. В. Мегрелидзе, Руставели и фольклор, Тб., 1960. რეცენზია დაწერილია რუსულად და დათარიღებულია 1961 წლით, მაგრამ პირველად ვ. დონდუას ამ კრებულში დაიბეჭდა (გვ. 220-225). ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ნაშრომი ი. მეგრელიძის მრავალწლიანი მუშაობის შედეგია. იგი მონოგრაფიული გამოკვლევაა, რომელშიც მაქსიმალურად არის გამოყენებული ფოლკლორული მასალა, ისტორიული წყაროები, ეპიგრაფიკული და სხვა საბუთები. რეცენზენტი ი. მეგრელიძის წიგნს რუსთველოლოგიის ერთ-ერთ საუკეთესო შენაძენად მიიჩნევს. გ. ა.

533. „ვეფხისტყაოსნის" სიმფონია

ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი, თბ, 1973, 226 გვ.

წიგნი გამოცემულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გრიფით, რედაქტორები: მ. ჭაბაშვილი და ალ. ჭინჭარაული. რედაქტორების წინასიტყვაობაში (გვ. 3-9) აღნიშნულია, რომ სიმფონია შედგენილია „ვეფხისტყაოსნის" 1957 წლის გამოცემის მიხედვით. იგი საცნობარო წიგნია, მასში მკითხველი იპოვის, თუ რა ფუძის რა ნაწარმოები ერთეულები და რა ფორმებია გამოყენებული რუსთველის თხზულებაში.

საკუთარი სახელები და მათგან ნაწარმოები სიტყვები ჩართულია საერთო ანბანში. ინდექსის მოხმარების გაადვილების მიზნით მას ერთვის სიტყვა-ფორმათა საძიებელი (გვ. 166-224), რომელშიც წარმოდგენილია ყველა პრეფიქსიანი ერთეული. გ. ა.

**534. Т. Б. Вирсаладзе**
**Роспись иерусалимского крестного монастыря и портрет Шота Руставели, Тб., 1973.**

გამ. „მეცნიერება", 81 გვ. ახლავს რეზიუმე ფრანგულად (გვ. 79-82) და მონასტრის მოხატულობის ტაბულები.

თინათინ ვირსალაძის ამ შრომის ძირითადი ნაწილი წაკითხული ყოფილა მოხსენებად 1961 წ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში.

გამოკვლევაში განხილულია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ფრესკული მოხატულობის საკითხი. ავტორი ადგენს, რომ ამჟამად მოხატულობა შეიცავს მხატვრობის ორ ქრონოლოგიურ ფენას. ამათგან ერთი განეკუთვნება XIV საუკუნეს, მეორე — XVII საუკუნეს, ანუ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მიერ ამ მონასტრის მოხატულობის განახლების დროს.

ავტორის აზრით, XVII საუკუნისაა ისტორიულ პირთა პორტრეტები და მათ შორის – შოთა რუსთაველისაც. ის ვარაუდობს, რომ რუსთაველის პორტრეტი შექმნილია მონასტერში დაცული ლიტერატურული ჩვენებების მიხედვით ჯვარის მონასტერში რუსთაველის მოღვაწეობის შესახებ. გ. ა.

535. ნოდარ კაკაბაძე
ორი ექსკურსი შუასაუკუნეების დასავლეთ-ევროპული ლიტერატურის ისტორიაში

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1973, 22 ნოემბ., №139, გვ. 4.

წერილის პირველ ნაწილში, რომელიც ევროპულ ლიტერატურაში ხსენებულ ფაუნას ეხება, ავტორი წერს, რომ დასავლეთ ევროპულ ლიტერატურულ ძეგლებში არსად არის „ვეფხვი" (ტიგერ) ხსენებული არც პირდაპირი და არც სიმბოლური მნიშვნელობით მაშინ, როცა ჩვეულებრივ და ხშირად ახსენებენ ავაზას (პანთერა) და ჯიქს (ლეოპარდი).

ინგლისელი მწერლები და მთარგმნელები კატეგორიულად მოითხოვდნენ „ვეფხისტყაოსნის" თარგმანში „ტიგერ"-ის (ვეფხვი) შეცვლას „პანთერით" (ავაზა), რადგან ინგლისელი, და საერთოდ ევროპელი, მკითხველი ვერასგზით ვერ აღიქვამდა ვეფხვს ლამაზი ქალის სიმბოლოდ. ხალხური

და ლიტერატურული ტრადიციის მიხედვით, ვეფხვი დაუნდობელ, ცბიერ, ვერაგ და ანტიესთეტურ ნადირადაა მიჩნეული. გ. ა.

536. მარიამ კარბელაშვილი
„ვეფხისტყაოსნის" მზეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგისათვის

ჟურ. „მაცნე", ელს, 1973, № 2, გვ. 37-56.

„ვეფხისტყაოსნის" „მზეხათუნისეული" რედაქციის ხელნაწერებში (JKOT) წარმოდგენილი პროლოგი განირჩევა დანარჩენი ხელნაწერებისაგან სტროფული წყობით. წერილის ავტორი ცდილობს დაადგინოს, თუ რამ განაპირობა პროლოგის განსაკუთრებული სახე ამ ხელნაწერებში. ფაქტობრივი მასალის შედარებითი ანალიზით იგი ასკვნის, რომ სტროფთა ტრადიციული თანმიმდევრობის დარღვევა – ეს არის არა შეგნებული რედაქცია, არამედ შედეგი ხელნაწერთა ამოვარდნილი ფურცლების არასწორი დალაგებისა არაკვალიფიციური გადამწერის მიერ. წერილში მოცემულია მცდელობა პროტოგრაფის მოდელის ჰიპოთეზური რეკონსტრუქციისა რედაქტირებული (J) ხელნაწერის მასალის საფუძველზე.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს მზეხათუნისეული რედაქციის პირველ ინტერპოლირებულ სტროფს, რომელიც „ქუთაისურ" ხელნაწერში (O) წარმოდგენილია ამგვარი სახით:

„პირველთავი დასაწყისი ეგრე ნათქვამი სპასრულად,
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ხორცარსულად,
სასმენელად შვენიერი, გათარგმნული მით ქართულად,
მსმენელთათვის მარგებელი, ყურნი მივსცეთ გულის სრულად".

მკვლევარი შენიშნავს, რომ ეს სტროფი აერთიანებს ორ, დიამეტრულად საპირისპირო საწყისს: ერთია ქრისტიანულ ფორმალიზმზე და საეკლესიო დოგმატიკაზე დამყარებული გმობა „ვეფხისტყაოსნის", ხოლო მეორე – მისი აშკარა აპოლოგიაა. წერილის ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის" სხვა ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტის ფონზე ეს ვარიანტი ტენდენციური კლერიკალური ინტერპოლაციის გამიზნული კონტრადიქციის შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი „ვეფხისტყაოსნისა" და მისი ავტორის რეაბილიტაციაა... ჩანს, რომ ამ ვარიაციის ავტორი არ არის შემთხვევითი პიროვნება; მან საფუძვლიანად იცის პოემა... სტროფის ამგვარი გადაკეთებით შეგნებულად გამოხატავს საკუთარ მრწამსს". ამ ვარიაციის ავტორს წერილის ავტორი „ვეფხისტყაოსნის" „ავად მჩხრეკელთა" წინააღმდეგ გამოსულ ერთ-ერთ პირველ აპოლოგეტად მიიჩნევს. ნ. გ.

536ა. ვიქტორ კახნიაშვილი
ჰერმან ბუდენზიგი და „ვეფხისტყაოსანი"

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1973, 8 ივნისი, № 23, გვ. 2.

წერილი ეძღვნება ჰ. ბუდენზიგის დაბადების 80 წლისთავს. მასში გადმოცემულია მწერლის მეცნიერული და მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

ავტორი აღნიშნავს, რომ ჰ. ბუდენზიგი ამჟამად მუშაობს „ვეფხისტყაოსნის" გერმანულ თარგმანზე, რომელიც რიგით მეექვსე ცდაა ამ ენაზე რუსთაველის პოემის თარგმნისა.

ჰ. ბუდენზიგმა, წინამორბედებისაგან განსხვავებით, „ვეფხისტყაოსნის" თარგმნისას ჰეგზამეტრი გამოიყენა, რომელიც მრავლისდამტევი საზომია და შესაძლებელი ხდება დედნის თითქმის ყველა შინაარსეული ელემენტის შენარჩუნება.

თარგმნილი ტექსტის ნაწილი უკვე გამოქვეყნდა 1970-71 წლებში. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" განზრახული აქვს ახლო მომავალში ამ თარგმანის გამოქვეყნება. გ. ა.

537. კორნელი კეკელიძე
ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა

წიგნში – ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XII, ტომი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1973, გვ. 51-82.

გამოკვლევა პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „მნათობი“, 1931, № 7-8, გვ. 152-171; № 9-10, გვ. 213-226 (იხ. გ. იმედაშვილი, რუსთვ. ლიტერატურა, 1957, ანოტ. № 1111).

მკვლევრის თვალსაზრისი დასკვნების სახით (გვ. 82) ასეა წარმოდგენილი:

1. პოეტი რუსთველი, სახელით თითქოს შოთა, არის ავტორი არა „ვეფხისტყაოსნისა, არამედ მისი დამატებისა, საიდანაც მისი სახელი, გაუგებრობის წყალობით, გადაუტანიათ პომის პროლოგში და მთელით თხზულებისათვის მიუკუთვნებიათ.

2. პოემა არ უნდა იყოს დაწერილი თამარის დროს; მისი ისტორიული ორიენტაცია მონღოლთა ბატონობის დასაწყისისკენაა მიმართული. პოემაში, ქაჯების სახით, ლაპარაკია ასასინ-მოლიდთა შესახებ.

3. პოემა დამთავრებულია ალამუთის აღების შემდეგ, საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფამდე, ე. ი. 1256-1258 წლებში.

4. ავტორი პოემისა, გამოსული დიდ ფეოდალთა კლასიდან, არის დავითისათვის თავდადებული „ფილოსოფოსი და რიტორი“ სარგის თმოგველი.

538. ჯიბო ლომაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის შინაარსის წორად გაგებისათვის

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1973, 13 მარტი, № 31, გვ. 3.

წერილი ეხება 1616 სტროფის სტრიქონებს:

თავები დაჰხსნეს სიკვდილსა, სიცოცხლე ამისმიერეს,
ტარიას ხრმალ ვერ გააძღეს, ჯერთ ხორცი მოამშიერეს.

(აქ „ხრმალ... გაალეს“ კონიექტურაა, ხოლო „მოამშიერეს“ მხოლოდ ერთ ხელნაწერში [R - Q 930] იკითხება). ჯ. ლომაშვილს ეს წაკითხვა ლოგიკურად და კონტექსტის შესაფერად მიაჩნია: რამაზ მეფემ და მისმა ლაშქარმა თავები გამოიხსნეს, სიკვდილი აიცილს და სიცოცხლე გაიხანგრძლივეს, ამით მათ ტარიელის ხმალი „მოამშიერეს“ (მშიერი დატოვეს), ვერ გააძღესო. გ. ა.

539. იოსებ მეგრელიძე

ვეფხისტყაოსნის ლექსიკის საკითხები, IX,
ვეფხ-ტიგრ – სიტყვათა ქართული ვარიანტები

„ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, წიგნი V, თბ., 1973, გვ. 50-61.

ავტორი იკვლევს სიტყვების – ვეფხი, ტიგრი, ჯიქი, ბარსი, ბაბრი – მნიშვნელობებს. კერძოდ ტიღრ – ტიგრ სიტყვათა და მათგან ნაწარმოები ფორმების შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი გურულ და იმერულ კილოებშია გავრცელებული ტიღურ- ტიგურ ფორმებით, რაც ავტორს აფიქრებინებს, რომ ეს სიტყვა ქართულში ბერძნულიდან არის შემოსული და არა სპარსულიდან.

მკვლევარს აინტერესებს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებში დამკვიდრებული „ტიგრ“-ის „ბარსით“ შეცვლის საკითხი. მისი აზრით, თარგმანებში შეიძლება დარჩეს „ტიგრი“, ვინაიდან იგი ფორმებით უფრო მდიდარია тигр, тигрица, тигренок), ვიდრე „ბარსი“ და პოეზიაშიც ძველთაგანვე გავრცელებული სიტყვა-სახეა. ნ.მ.

539**ა**. ი. მეგრელიძე

წიგნი სასარგებლოა, მაგრამ...

გაზ. „კომუნისტი“, 1973, 29 სექტ., № 228, გვ. 4.

რეპლიკა მიმართულია ლ. ანდღულაძის წიგნისადმი „ბალმონტი და საქართველო“ (თბ., 1972). ი. მეგრელიძე საყვედურობს წიგნის ავტორს, რომ იგი იყენებს მის (ი. მეგრელიძის) მიერ გამოქვეყნებულ მასალებს და პირველწყაროზე არ მიუთითებს. წიგნში აღნიშნულია, რომ პოემის ბალმონტისეული თარგმანის ტექსტი გამოიცა პარიზში 1933 წელს. მას წინასიტყვაობა ალ. სვანიძემ დაურთო (გვ. 121). ეს შეცდომაა. თარგმანის პარიზულ გამოცემას აქვს კ. ბალმონტის წინასიტყვაობა. 1936 და 1937 წლების საბჭოური გამოცემები დაიბეჭდა ალ. სვანიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით. გ. ა.

540. ლევან მენაბდე

რუსთველი ბულგარეთში

ჟურ. „ცისკარი", 1973, № 7, გვ. 123-128.

ავტორი წერს, რომ შოთა რუსთველი ბულგარელთაგან პირველად მოიხსენია მწერალმა ი. ვაზოვმა 1901 წელს გამოქვეყნებულ წერილში საქართველოს შესახებ. შემდეგ დასახელებულია ს. კარაკოსტოვის, ვ. ელსნერის, ი.ბიწაძის, ლ. სტოიანოვის, ა. ტოდოროვის წერილები; აღნიშნულია, რომ 1966 წელს რუსთველის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობდნენ მწერლები: ე. ბაგრიანა, დ. გაბე, ც. ანგელოვი.

ბულგარულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა დაიწყო პოეტ-აკადემიკოსმა ნ. ლილიევმა, მაგრამ ვერ განახორციელა (გარდაიცვალა 1960 წ.). შემდეგ ამ საქმეს ხელი მოჰკიდა პოეტმა ს. ბაკირჯიევმა. მას კონსულტაციას უწევდა ი. ბიწაძე. უკვე გამოქვეყნებულია ამ თარგმანის ნაწყვეტები.

რუსთველის სახელი შეტანილია ბულგარულ ენციკლოპედიაშიც (1967 წ.). გ. ა.

541. მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში

რითმათა სიმფონია და სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები.
გამოსაცემად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, გურამ კარტოზიამ, ცოტნე კიკვიძემ, სარგის ცაიშვილმა.
გიორგი წერეთლის რედაქციითა და გამოკვლევებით, თბ., 1973, 442 გვ.

წიგნი შედგება 3 ნაწილისაგან. პირველი ნაწილი წარმოადგენს აკად. გ. წერეთლის შრომას „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში" (გვ. 9-115). ამ გამოკვლევაში ავტორი არასწორად მიიჩნევს აქამდე გავრცელებულ შეხედულებას, თითქოს ქართულ, ვითომდა სილაბურ-ტონურ, ლექთწყობას საფუძვლად უდევს ქორე, დაქტილი, პეონი და სხვა სიდიდეები, რომლებიც კლასიკური ლექსთწყობისათვის არის დამახასიათებელი. მკვლევარი აღნიშნავს, რომ მახვილი არ შეიძლება იყოს მეტრიკული და რიტმული ერთეულების მარეგულირებელი ქართულ ლექსში, რადგან იგი არ არის რელევანტური. იგი თამაშობს ერთგვარ როლს, როგორც ექსპრესიული ფაქტორი, პაუზასთან ერთად მონაწილეობს აგრეთვე მიჯნის ფენომენის შექმნაში. მიჯნის ფაქტორი დღემდე შეუმჩნეველი იყო ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში...

რთულ მიმართებებს – მარცვლებს, სიტყვებს, სეგმენტებს, კარედებსა და სტროფებს შორის – საფუძვლად უდევს სიმეტრია და „ოქროს კვეთის" პროპორცია, რომელიც ვეფხისტყაოსანში სრულყოფილების საზღვრებს აღწევს.

წიგნის მეორე ნაწილი – რითმათა სიმფონია (გვ. 119-309) შედგება 2 თავისა და 5 ქვეთავისაგან. მასში ცალ-ცალკე დალაგებულია: იდენტური და არაიდენტური რითმები, მაღალი შაირის (ორმარცვლიანი და ოთხმარცვლიანი) და დაბალი შაირის (სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი) რითმები.

მესამე ნაწილში (გვ. 313-378) მოცემულია სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები.

წიგნს ერთვის რითმათა და სარითმო სიტყვათა საძიებლები (გვ. 383-442). იხ. აგრ. ანოტ. № 491.

542. ბ. ჟღენტი

დავიცვათ „ვეფხისტყაოსანი" უდიერი ხელყოფისაგან

გაზ. „კომუნისტი", 1973, 27 ივლისი, № 175, გვ. 6.

ავტორი ეხმაურება დ. ქუმსიშვილის წერილს „ისტორიზმის პრინციპის უგულებელყოფის სამწუხარო შედეგი" („მნათობი", 1973, № 5), რომელშიც გაკრიტიკებულია ალ. ბარამიძის წიგნი „შოთა რუსთველი და მისი პოემა". მკვლევარი იწუნებს ავტორის კვლევის მეთოდს, უწოდებს მას ამერიკული პრაგმატიზმისა და პრეზენტიზმის მიმდგარს. დ. ქუმსიშვილის აზრით, ალ. ბარამიძე ტყუილად მიაწერს რუსთაველს ზოგადად მამაკაცისა და დედაკაცის თანასწორობის იდეის ქადაგებას, სინამდვილეში „ვეფხისტყაოსანში" დაყენებულია სამეფო ოჯახის შვილების უფლებრივი თანასწორობის საკითხი, პოემის მთავარი თემაც ესაა – ქალის მემკვიდრეობითი უფლება და მისი განხორციელებისათვის ბრძოლა.

ბ. ჟღენტი ასეთ მიდგომას „ვეფხისტყაოსნის" ჰუმანისტური იდეების არასწორ გაგებად და მისი საკაცობრიო მნიშვნელობის დამცირებად მიიჩნევს. მისი აზრით, დ. ქუმსიშვილი ცდება, როდესაც რუსთაველის პოემაში ვერ ხედავს ხალხთა შორის მეგობრობისა და სოლიდარობის ასახვას, რაც აღიარებულია როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევარების მიერ. გ. ა.

543. ნელი რუხაძე

ცნებების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1973, № 2, გვ. 29-33.

ავტორის მიზანია გაარკვიოს ცნებების: „სიყვარული“ და „მიჯნურობა“ შინაარსი და მათი ურთიერთმიმართება. პოემაში მოცემული ურთიერთობების ანალიზის შედეგად მკვლევარი დაასკვნის, რომ სიყვარული ფართო ცნებაა, იგი შეიძლება იყოს: დედაშვილური, დაძმური, მეგობრული, სატრფიალო და ა. შ. სწორედ სიყვარული (ფართო მნიშვნელობით) არის „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი თემა, მისი მთავარი მოტივები კი – მიჯნურობა, მეგობრობა და პატიოტიზმია. „სიყვარული“ სხვა ტერმინების მიმართ გვარის ცნებას წარმოადგენს, ზოგჯერ კი ის ამ გვარში შემავალი რომელიმე სახის სინონიმია, მაგ., „მიჯნურობას“ უდრის ტარიელ-ნესტანის ურთიერთობაში.

ერთ შემთხვევაში ტერმინი „მიჯნურობა“ ისეა ნახმარი, რომ შეიძლება ცნებების აღრევა გვეგონოს. ნათქვამი ეხება მეფე როსტევანის განწყობას ავთანდილის მიმართ. „აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა“ (81,3). აქ „მიჯნურობა“ ზოგადად სიყვარულს (ან კერძოდ, მამაშვილურ სიყვარულს) აღნიშნავს. გ. ა.

544. სერგეი სერებრიაკოვი

სიყმე – **Jovens**: რუსთაველიდან პროვანსელ ტრუბადურებამდე

„ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“. წიგნი V, 1973, გვ. 28-49.

სიტყვით „სიყმე“ ავტორის დაინტერესება გამოიწვია XII საუკუნის პროვანსელი ტრუბადურების შემოქმედების შესწავლამ. ამდენად, ავტორის მიზანს შეადგენს გამოარკვიოს, არსებობს თუ არა რაიმე საერთო ელემენტები XII საუკუნის ტრუბადურებისა და რუსთაველის პოეტურ მეტყველებაში. არსებით სახელს ჟოვენს-ს აქვს ორი მნიშვნელობა: „ახალგაზრდობა“ როგორც კრებითი სახელი („ახალგაზრდა ადამიანები“) და მეორე – აბსტრაქტული ცნება („სიახალგაზრდავე“).

ავტორის აზრით, წერილში განხილულ 23-ე სტროფში, ისევე როგორც მთლიანად რუსთაველის პოემაში, ასახულია „კურტუაზიული სიყვარულის“ მთელი სისტემა, რომელსაც თავისი წესები და კანონები აქვს და მიჯნური ვალდებულია მკაცრად ემორჩილებოდეს ამ წესებს. ამისთვის მას უნდა ჰქონდეს შესაბამის თვისებათა სისტემა. ვისაც ასეთი თვისებები არ გააჩნია, იგი არც შეიძლება მიჯნური იყოს. ეს სისტემა ჰგავს პროვანსელი ტრუბადურების მიერ შემუშავებულ ანალოგიურ სისტემას. ნ.მ.

545. რევაზ სირაძე

ერთი ლიტერატურათმცოდნეობითი მოსაზრების გამო

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1973, 27 თებ., № 25, გვ. 3.

ავტორი კრიტიკულად განიხილავს აკად. ნ. კონრადის თვალსაზრისს „ვეფხისტყაოსნის“ ადგილის შესახებ შუა საუკუნეების ლიტერატურაში. ნ. კონრადმა შექმნა პერმანენტური მსოფლიო რენესანსის თეორია, რომელიც, მისი აზრით, იწყება ჩინეთში, მერე ჩნდება სპარსეთში, მის მომდევნოდ ამიერკავკასიაში და ამის შემდეგ ევროპაში. მას „ვეფხისტყაოსნის“ მონათესავედ მიაჩნია: „შაჰნამე“, „ვისრამიანი“, ნიზამი განჯევის პოემები და ალიშერ ნავაი, ხოლო ევროპული მწერლობიდან: ბოიარდოს, არიოსტოსა და ტორკვატო ტასოს სარაინდო რომანები. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანთან“ ტიპოლოგიურად ახლობელი არ აღმოჩნდა: დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, ვ. ფონ ეშენბახის „პარციფალი“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, ან „ამბავი იგორის ლაშქრობისა“.

რ. სირაძის აზრით, აკად. ნ. კონრადის მოსაზრება უარსაყოფია, ვინაიდან ქართული კულტურის ყოველი დარგი ისტორიულად კულტურის დასავლურ (ქრისტიანულ) ჯგუფს ეკუთვნის; მისგან „ვეფხისტყაოსნის“ ამოგლეჯა და აღმოსავლურ (მუსლიმურ) თხზულებათა რიგში მოქცევა არასწორი იქნება. როგორც ჩანს, ნ. კონრადი შეცდომაში შეიყვანა ნ. მარის თვალსაზრისმა „ვეფხისტყაოსნის“ წყაროს შესახებ, რომელიც შემდეგ უარყოფილი იყო თვით ნ. მარის მიერ, აგრეთვე — საეჭვო ჰიპოთეზამ რუსთველის არაორთოდოქსი ქრისტიანობის თაობაზე.

რ. სირაძის დასკვნით, აკად. ნ. კონრადის მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ბუნების

შესახებ მიუღებელია. ასევე სადავოა ის წანამძღვრები, რომელთა საფუძველზეც მან ეს მოსაზრება შეიმუშავა. გ. ა.

546. [უავტორო]

ახალი ნაშრომი ვეფხისტყაოსნის პოეტიკაზე

გაზ. „კომუნისტი", 1973, 14 სექტ., № 216, გვ. 3; „ლიტ. საქართველო", 1973, 21 სექტ., № 37, გვ. 4.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ გამოქვეყნდა „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში" (რითმათა სიმფონია და სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები). წიგნი მომზადებულია „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში აკად. გ. წერეთლის ხელმძღვანელობით. სიმფონიას და სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილებს წინ უძღვის აკად. გ. წერეთლის ვრცელი გამოკვლევა: „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში". გამოკვლევაში ახლებურადაა გაშუქებული „ვეფხისტყაოსნის" ლექსთწყობის ძირითადი საკითხები. გ. ა.

546**a**. [უავტორო]

ვეფხისტყაოსნის ახალი თარგმანი აფხაზურად

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1973, 4 მაისი, № 18, გვ. 4.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ რუსთაველის პოემა მეორედ ითარგმნა აფხაზურ ენაზე. თარგმანის ავტორია პოეტი მუშნი ლასურია. აფხაზეთის მწერალთა კავშირში მოეწყო თარგმანის განხილვა და ნაწყვეტებიც დაიბეჭდა გაზეთში „აფსნი ყაფშნი" და ჟურნალში „ალაშარა". პოემა მალე გამოქვეყნდება ცალკე წიგნად. გ. ა.

547. რიმა ფირცხალაიშვილი

ვეფხისტყაოსნის არტანუჯული ვარიანტის ირგვლივ

ჟურ. „მაცნე", ელს, 1973, № 3, გვ. 70-88.

ავტორი ცდილობს გაარკვიოს, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს პ. ლარაძისეული ცნობა „ვეფხისტყაოსნის" ამჟამად უცნობი ხელნაწერის შესახებ, რომელიც, თითქოს, გიორგი თუმანოვს მოუპოვებია „კერძოთა ანტანუჯისათა". იგი განიხილავს გ.თუმანოვის დაკვეთით დავით რექტორის მიერ 1823 წ. გადაწერილ (H-1079) ხელნაწერს და აღნიშავს, რომ არტანუჯული ვარიანტის წარმოშობის იმგვარი ახსნა, რაც წარმოდგენილი ჰქონდა ა. სარაჯიშვილს, სწორი არ არის.

მკვლევრის ზოგადი დასკვნები ასეთია: გ.თუმანიშვილისეული (H-1079) ხელნაწერის წყარო ვახტანგის გამოცემასთან ერთად იყო არა მრავალი, არამედ ერთი, დღეს ჩვენთვის უცნობი ხელნაწერები, რომელიც წაკითხვათა მიხედვით ახლოს იდგა ჩვენთვის ცნობილ ბევრ ხელნაწერთან, განსაკუთრებით – Z-სა და $R^1$-თან, ხოლო შედგენილობის მხრივ ყველაზე მეტად — ამ უკანასკნელთან. ის უცნობი ხელნაწერი უნდა წარმოადგენდეს ნამდვილ არტანუჯელ დედანს, რაზედაც საუბარია პ. ლარაძის ცნობაში... გ. თუმანიშვილისეულ ხელნაწერს შემოუნახავს მხოლოდ ზოგიერთი მხარე ნამდვილი არტანუჯული დედნისა.

გასწორებათა დიდი ნაწილი არტანუჯულზე დაყრდნობით გადაწერის პროცესშივე შეუტანია ტექსტში დავით რექტორს, ჩანართი სტროფების ავტორი კი მხოლოდ გ. თუმანიშვილია.

ნამდვილი არტანუჯული დედანი, რომელიც კიდევ არსებულა 1823 წელს, დაკარგულია. გ. ა.

548. რ. ფირცხალაიშვილი

ვეფხისტყაოსნის პოეტურ შედარებათა ზოგიერთი საკითხი

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები", IV, თბ., 1973, გვ. 123-140.

ავტორი განიხილავს შედარების სხვადასხვა სახეს და მათ დანიშნულებას რუსთველის თხზუ-

ლებაში, მათ შორის – პოეტურ შედარებათა გამომსახველობით ფუნქციას, შედარებათა ობიექტად გამოყენებული მასალის შინაარსობრივ-ლექსიკურ მხარეს, ვრცელ შედარება-პარალელიზმებს, რომლებიც მთელი სტროფის ფარგლებშია გაშლილი და მოვლენათა შეპირისპირებას ან იგავურ პარალელებს ეყრდნობა.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, შედარებაში აღბეჭდილია რუსთველის პოეტური ნააზრევის ძირითადი მხარეები – იდეური გამიზნულობა, პერსონაჟთა ხასიათები, განცდები და სიტუაციათა სირთულე.

მკვლევარი ვრცლად განიხილავს პოემის „დასაწყისის" მე-13-14 სტროფებში მოცემულ მხატვრულ პარალელიზმს, რომელშიც გრძელი და კარგი ლქსის თქმა შედარებულია შორ გზაზე ცხენთა რბოლსა და ასპარეზზე მობურთალის ოსტატობასთან. იგი მიუთითებს ამ სტროფების სინტაქსურ პრობლემაზე და შინაარსობრივ ტავტოლოგიაზე, რასაც ტრადიციული ტექსტი და მის პუნქტუაციას ქმნის.

რ. ფირცხალაიშვილს მიაჩნია, რომ მე-13 სტროფის მეოთხე ტაეპში: „რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა", კავშირი და უნდა შეიცვალოს ერთ-ერთ (K 205) ხელნაწერში არსებული ვარიანტით არ. ამ შესწორებით ტაეპი წარმოდგება ქვეწყობილ წინადადებად და შესაძლებელი იქნება სწორად გავიაზროთ სტროფების სინტაქსიცა და პოეტური შედარების არსიც. გ. ა.

549. რ. ფირცხალაიშვილი

ორიოდე შენიშვნა ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემისათვის

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები", V, თბ., 1973, გვ. 3-15.

ავტორი წერს, რომ შოთა რუსთაველის საიუბილეოდ 1966 წელს გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე ახალი გამოცემა. მათში აღდგენილ იქნა ბევრი დამახინჯებული ადგილი, დაიხვეწა პოეტური ფრაზეოლოგია, გასწორდა რითმათა ცალკეული შეუსაბამობანი. თუმცა გადაუწყვეტელი დარჩა პოეტიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

მკვლევრის აზრით, აუცილებელია შაირის სახის მტკიცედ დაცვა ერთი სტროფის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით უნდა გასწორდეს დაბალი და მაღალი შაირის შერეული რიტმი მე-17 სტროფში:

„მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად".

პოემის ე. წ. პარიზული ნუსხა იძლევა სწორ და მისაღებ წაკითხვას:

„მერმე ლექსი კარგი არის..."

ასევე გასასწორებელია 1632-ე სტროფში:

„ადგეს და ქალაქს შევიდეს, თვით გარდახდეს სრასა მათსა".

რამდენიმე ხელნაწერს შემოუნახავს მართებული ვარიანტი:

„ადგეს, ქალაქს შემოვიდეს..."

მკვლევარი მხარს უჭერს მე-6 სტროფის სარითმო სიტყვების (ხელოვანება – გონება – ხსენება – მონება) ნ. მარისეულ გასწორებას: ხელოვნება – გონება – ხსოვნება – მონება.

რ. ფირცხალაიშვილს პოემისათვის შეუფერებელ გამონაკლისად მიაჩნია 771-ე 20-მარცვლიანი ე. წ. ფისტიკაური სტროფი და მისივე ლექსიკის გამოყენებით წარმოგვიდგენს მის 16- მარცვლოვან ვარიანტს. გ. ა.

550. დიმიტრი ქუმსიშვილი

ისევ პროლოგის გამო

ჟურ. „ცისკარი", 1973, № 4, გვ. 145-153.

ავტორს დაუსაბუთებლად მიაჩნია ვარაუდი რუსთაველისათვის სხვა რომელიმე მხატვრული ან ისტორიული თხზულების მიწერის შესახებ. მისი თქმით, პროლოგის მე-4 სტროფი არ იძლევა იმის საბაბს, რო რუსთაველს „თამარიანის" ავტორობა მივაწეროთ. აქ ხსენებულ „ქებანი"-ში „ვეფხისტყაოსანი" იგულისხმება. ამავე სტროფში „გიშრის ტბა" და „ნაი რხეული" არ გულისხმობს მაინცდამაინც მეფე თამარის თვალებსა და მის ტანს.

მკვლევრის აზრით, პროლოგის მე-15 და მე-18 სტროფებში პოეტი აყალიბებს თვალსაზრისს პოეზიის იდეურობისა და გამიზნულობის შესახებ, რომ მწერალი არ უნდა იცვლიდეს აზრსა და შეხედულებას, „ერთი უჩნდეს სამიჯნურო..., მას აქებდეს, მას ამკობდეს", ანუ ბოლომდე დაიცვას იდეური მთლიანობა. გ. ა.

551. დიმ. ქუმსიშვილი

ისტორიზმის პრინციპის უგულებელყოფის სამწუხარო შედეგი

ჟურ. „მნათობი“, 1973, № 5, გვ. 160-172.

ავტორი წერს: „არაერთხელ დაუშვა ალ. ბარამიძემ უხეში შეცდომა შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის რაობისა და შეფასების საკითხში, არაერთხელ უარჰყო თავისი უწინ გამოთქმული შეხედულებები... ასეთი მერყეობა აიხსნება, უპირველესად ყოვლისა, ისტორიზმის პრინციპის უგულებელყოფით ლიტერატურული მოვლენების კვლევისას“.

კრიტიკოსი განიხილავს ალ. ბარამიძის მონოგრაფიას „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ (1966 წ.) და აღნიშნავს, რომ მცდარია მოსაზრება, თითქოს „პოეტმა... განაზოგადა იდეა დედაკაცისა და მამაკაცის მორალურ-ინტელექტუალური... თანასწორობისა“. დ. ქუმსიშვილი მიუთითებს , რომ ქალისა და კაცის თანასწორობის იდეა შეეხება მხოლოდ სამეფო გვარის წევრებს და არ ვრცელდება უფრო დაბალ წოდებებზე (მოყვანილია სათანადო ადგილები პოემიდან).

კრიტიკოსის აზრით, ალ. ბარამიძის გამონაგონია, ვითომ, ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა „თავიანთი ქვეყნები საგარეო ხიფათისაგან დაიხსნეს“, მათ „აღმოფხვრეს ძალადობა და უსამართლობა, ბოლო მოუღეს ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას და ყვლეფას... მათ ქვეყნებში თითქო პრაქტიკულად მოისპო ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმა, ხორცი შეისხა თავისუფლებისა და სოციალურ-ქონებრივი სრული თანასწორობის იდეალებმა“.

დ. ქუმსიშვილი აღნიშნავს: უმართებულია მონოგრაფიაში გამოთქმული აზრი, რომ ასმათი „მდაბიო წრიდან გამოსულია“, აგრეთვე არასწორია ფატმანის დახასიათება ნესტანსა და თინათინთან დაპირისპირებით, რადგან ისინი სხვადასხვა სოციალურ ფენას ეკუთვნიან. გ. ა.

552. შოთა ქურდაძე

„ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-თემატიკური შინაარსის სწავლების შესახებ

გაზ. „სახალხო განათლება“, 1973, 21 დეკ., № 102, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი თემის საკითხი კვლავ დავის საგანი გახდა. ერთხანს პოემის ძირითად თემად მიიჩნევდნენ ძმობა-მეგობრობას (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი), შემდეგ – სიყვარულს (ალ. ბარამიძე და სხვ.). დ. ქუმსიშვილმა მთავარ პრობლემად მიიჩნია „ბრძოლა ერთმმართველობის გაძლიერებისათვის თამარ მეფის დროს“.

შ. ქურდაძის აზრით, პოემის კითხვისას ყურადღება ჰუმანიზმზე, ადამიანთა ერთობასა და პატივისცემაზე მახვილდება და „თხზულების იდეური შინაარსიც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: მებრძოლი ჰუმანიზმი და ადამიანთა ერთობა ყოველი ხალხის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სიმტკიცის მძლავრი წყაროა“ გ. ა.

553. სოლომონ ყუბანეიშვილი

ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან

(XX საუკ.), II, ნაკვეთი პირველი, თბ., 1973, 302 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიაზე XX ს-ის 40-იან წლებამდე. ამ პერიოდში პოემა თოთხმეტჯერ გამოიცა. წიგნში განხილულია თითოეული მათგანის ტექსტოლოგიური საკითხები, დაზუსტებულია თარიღები და ტირაჟი, მოცემულია ამ გამოცემათა პოლიგრაფიული აღწერილობა და ნაჩვენებია, რა საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა ამა თუ იმ გამოცემას.

წიგნის 6-89 გვერდებზე დაბეჭდილია მასალა 1903 წლიდან 1937 წლამდე განხორციელებული გამოცემების შესახებ. დანარჩენი ნაწილი უჭირავს 1937 წლის საიუბილეო გამოცემისათვის ჩატარებული მუშაობის აღნუსხვა-შეჯამებას, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ოქმებს 32-დან 731-ე სტროფამდე თითოეულზე მსჯელობის შესახებ (კომისია მუშაობდა 1935 წ. 15 მაისიდან 22 ნოემბრამდე).

წიგნს ერთვის პიროვნული და გეოგრაფიული სახელების საძიებელი და განსახილველ პერიოდში დაბეჭდილ პოემის გამოცემათა თავფურცლების ფოტოპირები. გ. ა.

554. აკაკი შანიძე

ხელის ხდა და ხელის ყრა

ჟურ. „დროშა", 1973, № 1.

ავტორი წერს: ხელის ხდა, ანუ სწორი ორთოგრაფიით, ჴელის ჴდა ჩვეულებრივი გამოთქმაა „ვეფხისტყაოსანში". მისი მნიშვნელობაა სარგებლობა, გამოდგომა, გამოყენება. მოყვანილია მაგალითები: „ხელსა მხდი რასა?" (884); „უგულოსა აქა ხელი რა მეხდების?" (739). არის მიმღეობითი ფორმაც: „ყმა... სიკეთისა ხელის მხდელი" (710) – ვინც სიკეთეს შვრება, სიკეთის ჩამდენი.

პოემაში არის ასეთი სტრიქონიც: „ხელი ჰხადეს ხრმალთა მათთა, არა ცუდად წელთა ებნეს" (1535), რაც ამას ნიშნავს: ხელი მიჰყვეს, გამოიყენეს მათი ხმლები.

„ხელის ხდა" დასტურდება „შვიდ მთიებში", „არჩილიანში", მაგრამ ამავე პერიოდში ჩნდება გამოთქმა, „ხელის ყრა", რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს და თანდათან ცვლის „ხელის ხდას".

ახალ ქართულში ხელის ხდა აღარ იხმარება, გადავარდა მისი შემცვლელი ხელის ყრის პირიანი ფორმებიც, იხმარება მარტო მიმღეობა „ხელსაყრელი" და დიალექტებში აგრეთვე — „ხელუყრელიც", რაც უსარგებლოს, მოუხმარებელს ნიშნავს. გ. ა.

555. გურამ შარაძე

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი რუსთველის კაბინეტში

წიგნიდან: გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 101-103.

წერილში აღწერილია ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის" დღევანდლამდე მოღწეული ერთ-ერთი ეგზემპლარი, რომელიც შეიძინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტმა. იგი წარმოადგენს ვახტანგ VI-ის მიერ 1712 წელს თბილისში დაბეჭდილ კარგად შენახულ ცალს.

წიგნი ჩასმულია მოჭვრეთილ შავ ტყავგადაკრულ ხის ყდაში. ზოგი ფურცელი აკლია ან დაზიანებულია. გვერდებისა და სტროფების სათვალავი ბევრგან აღარ მოიპოვება.

საგულდაგულოდ ამოშლილია მინაწერები ყდის შიდა გვერდებზე. ვახტანგის პორტრეტის ქვედა ნაწილში შავი მელნით გამოხატულია ქალის სახე. გ. ა.

556. გ. შარაძე

„ვეფხისტყაოსნის" წერეთლისეული (**S-5006**) ხელნაწერის საკითხისათვის

წიგნში: გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძიებანი, 1973, გვ. 41-86.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის" წერეთლისეული (S-5006) ხელნაწერის მოპოვების და მფლობელთა ისტორიას. ავტორი ეთანხმება ს. ცაიშვილის თვალსაზრისს, რომ შესაძლებელია მის პირველ მფლობელად სოლომონ I-ის (იმერეთის მეფე 1751-1784) მიჩნევა და „ვეფხისტყაოსნის" ამ ხელნაწერის სამეფო კარის ხელნაწერთა რიგში მოქცევა. რაც შეეხება მინიატურათა შესრულების დროს, არც შ. ამირანაშვილი და არც მ. ქვლივიძე ანგარიშს არ უწევენ ხელნაწერის უკანასკნელ დათარიღებას (მე-18 ს-ის I ნახევარი) და ხელნაწერსაც და მინიატურებსაც მე-17 ს. აკუთვნებენ. მკვლევარს ხელნაწერის შექმნის ისტორია ასე წარმოუდგენია: პოემის მე-17 ს-ის დასურათებული ხელნაწერი საგრძნობლად დაზიანებულია მე-18 ს. I ნახევარში და ხელნაწერი ხელახლა გადაუწერიათ. გადაწერისას გამოუყენებიათ ძველი, დაზიანებული ხელნაწერის დასაწყისი და ბოლო ნაწილი, ხოლო შუა ნაწილი შეუვსიათ ვახტანგისეული რედაქციიდან. ახალ ხელნაწერში ჩართულია ძველი ხელნაწერიდან ამოღებული მხატვრობაც, რომელიც შესამჩნევად არის დაზიანებული.

იხ. აგრ. ანოტ. № 460. თ.ნ.

557. გ. შარაძე

ტიმოთე გაბაშვილისთვის მიწერილი ერთი რუსთველოლოგიური ცნობის წყარო

წიგნში: გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძიებანი, 1973, გვ.86-93.

გ. შარაძე განიხილავს ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვას", სადაც ორჯერ იხსენება შ. რუსთველი. ტ. გაბაშვილი პირველად რუსთველის (მეჭურჭლეთუხუცესის) სააღმშენებლო საქმიანობაზე გად-

მოგვცემს და მეორეჯერ, – მისი თქმით, რუსთველი, როგორც ჯვრის მონასტრის ღვაწლმოსილი პიროვნება, ერთ-ერთ სვეტზე ხატია. გ. შარაძემ აღნიშნა, რომ არასწორია თ. ბაგრატიონის ცნობა, თითქოს ტ. გაბაშვილი წერდეს რუსთველის საფლავის შესახებ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, რომელიც გაიმეორეს მ. ბროსემ, დ. ჩუბინაშვილმა, პლ. იოსელიანმა. ეს ცნობა კი არც პირადად ტ. გაბაშვილის და არც სხვა დღემდე ცნობილ ხელნაწერებში დაცული არ არის და ეს შეცდომა უნდა გაითვალისწინონ ახალი დროის რუსთველოლოგებმაც. თ.ნ.

558. შოთა ჩიჯავაძე

„ციხე“ და „პატიმარი“ ვეფხისტყაოსანში

კრებ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1973, № 2, გვ. 44-48.

ავტორი მსჯელობს სტრიქონებზე:

„იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს, ქაჯეთს პატიმარია“ (1320,1).

„...პატიმრადა იგი მთვარე“ (1322,2)

და აღნიშნავს: აქ სიტყვა პატიმრის პირდაპირი გაგება უმართებულო და უსაფუძვლოა. ნესტანი ქაჯეთში სულიერი პატიმარია და არა პატიმარი ამ სიტყვის პირდაპირი, იურიდიული მნიშვნელობით.

მკვლევრის აზრით, ციხე ასე უნდა განიმარტოს: ა) ქალაქი, რომელშიც მრავალი ციხე-კოშკი, სასახლე, სახლი და სხვა შენობებია, რომელთაც მრავალრიცხოვანი ჯარი იცავს (1427, 1430, 1503). ბ) ქალაქში აგებული ადამიანთა საცხოვრებელი მაღალი კოშკი, რომელშიც გზა შედის გვირაბით და დაცულია სათანადო რაოდენობის მეომრებით (1240, 1278, 1300). გ. ა.

559. შ. ჩიჯავაძე

მცირე რუსთველოლოგიური შენიშვნა

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, IV, თბ., 1973, გვ. 141-148.

მკვლევარი უპასუხებს ეთნოგრაფ თ. ოჩიაურის მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს (წიგნში „მითოლოგიური გადმოცემები აღმოს. საქართველოს მთიანეთში“, თბ., 1967). შ. ჩიჯავაძე იცავს თავის წერილების ძირითად დებულებას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული „ქაჯები“ და „ქაჯეთი“ არა მხოლოდ ზღაპრული და ფანტასტიკური ცნებებია, არამედ „ქაჯნი“ ნამდვილად არსებული რომელიღაც შავკანიანი ტომია, რომელიც რეალურად არსებულ, „ქაჯეთის“ სახელის მქონე, ქვეყანაში ცხოვრობდა. ავტორმა მიაკვლია ცნობებს, რომ ეთნიკური ერთეული „ქაჯი“ ამჟამადაც დასტურდება ნიგერიაში (გვ. 144), ხოლო ინდოეთში არსებობს „ქაჯის“ პროვინცია და ოლქი „კაჩი“ (გვ. 145-147). მისი ვარაუდით, რომელიმე ამათგან შესაძლებელია იგულისხმებოდეს ვეფხისტყაოსნის „ქაჯეთში“. გ.ა.

559a. შ. ჩიჯავაძე

ვახტანგ მეექვსე და ვეფხისტყაოსნის ლქსიკა

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, VII სამეცნიერო სესია, მოხს. თეზისები, თბ., 1972, გვ. 38-39 (მოგვყავს შემოკლებით).

ვახტანგის ნაშრომში „თარგმანი პირველი წიგნისა მის „ვეფხისტყაოსნისა“ შეტანილია 633 სიტყვა, რომელთა უმეტესობა მართებულად არის განმარტებული. ზოგ სიტყვასთან ასეთი შენიშვნაა მიწერილი: „არ ვიცოდი“, „ვერ გავარჩიე“, „მე ასრე მგონია, ვიკითხოთ, რა არის“ და მისთ.

ვახტანგს პოემის ტექსტიდან ამოუწერია, მაგრამ განუმარტავად დაუტოვებია: არიფი, შადი, მახმური, ფლიდი, ხასიათი, ჯუბაჩობა. გ. ა.

560. სარგის ცაიშვილი

დიდი მეცნიერი, მამულიშვილი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1973, 14 სექტ., № 36, გვ. 2.

ავტორი წერს განსვენებული მეცნიერის აკად. გიორგი წერეთლის შესახებ: ბოლო წლები მან ძირითადად „ვეფხისტყაოსნის“ ფილოლოგიურ შესწავლას მიუძღვნა და ახალ ეტაპზე აიყვანა პოემის კვლევა-ძიების საქმე. გ. წერეთელმა წამოაყენა ახალი მეთოდოლოგია, პრინციპები და ორგანიზა-

ციული ფორმები, რომლებიც საფუძვლად დაედო „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის შემუშავებას. სულ ახლახან მან დაამთავრა ფუნდამენტური ნაშრომი „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში", რომელიც რუსთველის პოეტიკის შესწავლაში სრულიად ახალი სიტყვაა და ქართული ლექსთმცოდნეობის კვლევის ახალ პერსპექტივებს გადაშლის. გ. ა.

561. უჩა ცინდელიანი

ძველი ქართულის ლექსიკიდან: გა-რიალ-ება / რიალი

„მრავალთავი" (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), III, თბ., 1973, გვ. 85-92.

ავტორი განიხილავს სიტყვების – რიალი, გარიალება – ხმარებას წერილობით ძეგლებში და წერს: „რიალ" ფუძე დასტურდება ბიბლიაში, „ვეფხისტყაოსანსა" და „ამირანდარეჯანიანში" და სამგანვე იგი მოწინააღმდეგის მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ნიშნავს. მეორეს მხრივ, აღმოს. საქართველოს მთის დიალექტებში „რიალი" ნიშნავს ზიანს, მარცხს. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „რიალი" — ბოროტი მთქმელობა, ბოროტი ზრახვაა, სვანურში კი ეს ფუძე „ლანძღვის" შინაარსის შემცველია.

ნარკვევის საბოლოო დასკვნა შემდეგია: „რიალ" ფუძე წარმოგვიდგენს ორ ძირითად მნიშვნელობას: 1) მოტყუება, მზაკვრობა, ვერაგობა, ხრიკი, ფანდი. მისგან განვითარდა მნიშვნელობა, რომელიც მზაკვრობის, ხრიკის შედეგს ასხავს: მარცხი, ზიანი, ზარალი. 2) ბოროტი მთქმელობა (საბა); შეურაცხყოფა, ლანძღვა.

„ვეფხისტყაოსნის" სტრიქონში: „სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი" (1414,3) მკვლევარს ავთენტურად მიაჩნია ორ ხელნაწერში დაცული წაკითხვა: „ქაჯთა მით უყვეს რიალი", ასეთი გაგებით: ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა სამი მხრიდან შეუტიეს, ამით ქაჯები მოატყუეს და ადვილად დაამარცხეს. გ. ა.

562. ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, IV,

თბ., „მეცნიერება", 1973.

კრებული გამოიცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გრიფით. მასში დაბეჭდილია: ლია ანდღულაძის, ბორის დარჩიას, რ. ფირცხალაიშვილის და შოთა ჩიჯავაძის რუსთველოლოგიური ნარკვევები.

ანოტაციები გაკეთებულია ცალ-ცალკე. იხ. ავტორების მიხედვით. გ. ა.

563. ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, V,

თბ., „მეცნიერება", 1973.

გამოიცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გრიფით. მასში დაბეჭდილია რუსთველოლოგიური ნარკვევები.

1. რიმა ფირცხალაიშვილი, ორიოდე შენიშვნა ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემისათვის, გვ. 3-15 (ეხება 1966 წ. ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენ კომისიაში (გ. წერეთელი, ს. ცაიშვილი, გ. კარტოზია) და ა. შანიძისა და ა. ბარამიძის მიერ მომზადებულ ტექსტებს).

2. ბორის დარჩია, ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა პ. კარბელაშვილისეული პუბლიკაციის რედაქციული სახის დადგენისათვის, გვ. 16-27.

3. სერგეი სერებრიაკოვი, სიყმე – Jovens: რუსთველიდან პროვანსელ ტრუბადურებამდე, გვ. 28-49.

4. იოსებ მეგრელიძე, ვეფხისტყაოსნის ლექსიკის საკითხები, IX (ვეფხ-ტიგრ სიტყვათა ქართული ვარიანტები), გვ. 50-61.

5. მერი გუგუშვილი, რუსთველის გავლენა ნოდარ ციციშვილის „ბარამგურიანზე", გვ. 62-76.

6. ლია ანდღულაძე, ვეფხისტყაოსანი რუსულ ენაზე (ბიბლიოგრაფიული ცნობარი), გვ. 77-90.

ანოტაციები გაკეთებულია ცალ-ცალკე, იხ. ავტორების მიხედვით. გ. ა.

564. გიორგი წერეთელი

მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში

ამავე დასახელების წიგნში, თბ., 1973, გვ. 9-115. იხ. ანოტ. № 541.

565. **აკადემიკოსი გიორგი წერეთელი**
**(ნეკროლოგი)**

გაზ. „კომუნისტი“, 1973, 13 სექტ., № 215, გვ. 3; „ლიტ. საქართველო“, 1973, 14 სექტ., № 36, გვ. 2.

ნეკროლოგში ასეა შეფასებული გ. წერეთლის მუშაობა რუსთველოლოგიაში: „განსაკუთრებულია აკად. გ. წერეთლის ღვაწლი ქართული პოეზიის შედევრის შ. რუსთაველის „ვეფხისტყვაოსნის“ აკადემიური ტექსტის გამოცემის დარგში. აკად. ა. შანიძესთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას. ბოლო ხანებში აკად. გ. წერეთელმა არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ საკითხებზე. ეს ნაშრომები, რომლებიც განსვენებული მეცნიერისათვის დამახასიათებელი სიღრმით არის შესრულებული, ფილოლოგიური კვლევა-ძიების ნიმუშად ჩაითვლება. ამ ნაშრომთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ფუნდამენტურ მონოგრაფიას „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“, რომელიც სრულიად ახალი სიტყვაა არა მარტო რუსთაველის პოეტიკის დარგში, არამედ, საერთოდ, ქართული ლექსმცოდნეობის ზოგადთეორიული პრობლემების კვლევაში“.

ნეკროლოგს ხელს აწერენ საქართველოს სსრ მთავრობის წევრები და ცნობილი მეცნიერები. გ.ა.

566. ალ. ჭინჭარაული
**ლექსიკოლოგიური ძიებანი**

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1973, № 2, გვ. 95-107.

წერილის ავტორი ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე ადგენს, რომ ქართულში გვაქვს ზმნური ძირი ა, ე, ი გახმოვანებით: ჭარ-ჭერ-ჭირ, რომლის ფონეტიკური ვარიანტები ქართული და მათი შესატყვისები ქართველურ ენებში საპირისპირო ცნებებს გადმოცემენ. წერილში იგი ეხება „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებულ „ჭერსაც“: „მელნისა ტბათა მიჯარვით ბურავს გიშრისა ჭერითა“ (1009,4) და „ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა“ (1342,2).

ალ. ჭინჭარაული მოულებლად თვლის მკვლევართა მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებულ სტრიქონებში დადასტურებული „ჭერის“ დღევანდელი მნიშვნელობით განმარტებას. მისი აზრით, „ჭერი“ აქ ნახმარია მისი პირვანდელი მნიშვნელობით – მოჭრილი, მრგვალი ხე, ლატანი, ჭოკი, სარი. ამ მნიშვნელობით დასტურდება ეს სიტყვა დიალექტებში: 1) ქეგლ-ის ჩვენებით, ხევსურულსა და აჭარულში „ჭერი“ გაუთლელი, დაუმუშავებელი წვრილი ხეა; 2) იმერულში, მეგრულსა და რაჭულში – მრგვალი ან დაპობილი ხის იატაკი. „გიშრის ჭერი“ ისეთივე მეტაფორაა, როგორც „ვეფხისტყაოსანშივე“ დადასტურებული „გიშრის სარი“, „გიშრის წნელი“, „გიშრის ღარი“, „გიშრის შუბი“ და ნიშნავს შავ წამწამებს. წერილის ავტორი მისაღებად თვლის 1342-ე სტროფის („ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა“) წაკითხვას „გიშრითა ჭერითა“, რომელიც დასტურდება „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ხელნაწერში (S-4499). იგი გასათვალისწინებლად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ პოემაში სიტყვა გიშერი შავ წამწამებს აღნიშნავს თორმეტჯერ ჭერის სინონიმებთან (სარი, წნელი, ღარი, შუბი...), ერთხელ კი სწორედ „ჭერ“-თან ერთად („გიშრისა ჭერითა“ 1009,4). ნ. გ.

567. ელგუჯა ხინთიბიძე
**ვეფხისტყაოსნის უზენაესი არსების მიმართებისათვის**
**ქრისტიანულ ღვთაებასთან**

ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 33-87; აგრ. წიგნში: ე. ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, თბ., 1975, გვ. 105-167, იხ. ანოტაცია № 683.

568. იაზონ ჯიოშვილი
**„ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ენის სწავლება**
**ფაკულტატიური კურსის გაკვეთილებზე**

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1973, № 1, გვ. 56-59.

ავტორი ეხება მხატვრული გამოთქმების სწავლებას საშუალო სკოლის მერვე კლასში ფაკულტატურ გაკვეთილებზე. მისი თქმით, მოსწავლეებს უნდა დავანახოთ ის დიდი სხვაობა, რომელიც არსებობს პოეტურ და არაპოეტურ ენას შორის. იგი ცალ-ცალკე განიხილავს ტროპის სახეებს; აღნიშნავს, რომ მხატვრული შედარება „ვეფხისტყაოსანში“ უამრავი სახით, ფორმითა და ნიუანსით არის წარმოდგენილი. აუცილებლად უნდა მოიძებნოს ორი საგნის ან მოვლენის შედარების საფუძველი, ის ნიშანი ან თვისება, რაც მათ შედარებას განაპირობებს.

მეტაფორაში სიტყვები არაპირდაპირი მნიშვნელობის იხმარება. მოსწავლემ უნდა გაიგოს, რატომ ხდება ერთი მოვლენის ან საგნის თვისების გადატანა მეორე მოვლენაზე ან საგანზე.

ეპითეტის სწავლებისას უნდა გავავლოთ ზღვარი ლოგიკურ განსაზღვრებასა და ეპითეტს (მხატვრულ განსაზღვრებას) შორის.

მოსწავლეთა მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბებისათვის (განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოეტური სინტაქსის შესწავლას (რიტორიკული მიმართვა, ინვერსია, გამეორება, გრადაცია, ანტითეზა, სინონიმები, ომონიმები და სხვ.).

## 1974 წელი

569. გრიგოლ აბაშიძე

### მოგზაურობა რუსთაველის ეპოქაში

ავტორის წიგნში — თხზულებანი, ტ. III, თბ., 1974, გვ. 461-473.

(დაწერილია 1966 წ.). მასში მოცემულია ზოგადი დახასიათება რუსთაველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებისა. აღნიშნულია სახელმწიფოს ხელისუფალთა ტოლერანტობა, შემწყნარებლური დამოკიდებულება არაქრისტიანული რელიგიებისადმი, როგორც ერთ-ერთი გამოვლენა ჰუმანიზმისა.

ავტორის თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ იმიტომ შეიქმნა თამარის ეპოქაში, რომ მაშინდელი საზოგადოება ჰუმანისტურად აზროვნებდა, მისთვის უცხო იყო კლერიკალური შეზღუდულობა. რუსთაველის გმობა და „ვეფხისტყაოსნის“ დევნა გვიანდელი მოვლენაა, იმ ეპოქის უშუალო გამოძახილია, როცა სახელმწიფო დაკნინდა და ქართული ეკლესიაც მატერიალურად და სულიერად გაღარიბდა და დაქვეითდა. გ.ა.

569**a**. ლილი ათანელიშვილი

### ცნობები მამუკა თავაქალაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1974, № 4, გვ. 175-185.

ავტორი განიხილავს H-599 ნუსხაში არსებულ კრიპტოგრამებს და ადგენს მათი ჩამწერების ვინაობას (გვ. 175-181),წერილის მეორე ნაწილში (გვ. 182-185) კი იკვლევს ხელნაწერის მომხატავ-დამსურათებლის ვინაობას. ნუსხის გადამწერის კალიგრაფიასა და მინიატურების მინაწერების ხელს შორის სხვაობით, აგრეთვე სახელის სხვადასხვა ფორმით (ნესტან-დარიჯან – ნესტან დარეჯან) ხმარების საფუძველზე მკვლევარი დაასკვნის, რომ მამუკა თავაქალაშვილი მხოლოდ გადამწერია ხელნაწერისა, მისი ილუსტრატორი კი სხვა პიროვნებაა, რომლის ვინაობა ჯერ დაუდგენელია. გ. ა.

570. ნოდარ ალანია

### მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელზე

ჟურ. „კრიტიკა“, 1974, № 8, გვ. 160-166.

ესაა რეცენზია ლია ანდღულაძის მონოგრაფიულ ნაშრომზე „ბალმონტი და საქართველო“ (თბ., 1972).

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ დასახელებულ ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია მთელი ის გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი მასალა, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს კონსტანტინე ბალმონტზე, როგორც პოეტსა და მთარგმნელზე.

მონოგრაფიაში მართებულად არის აღნიშნული, რომ კ. ბალმონტმა მოძებნა და გამოიყენა ის რიტმი და მეტრი, რომელსაც შემდეგ გვერდი ვერ აუარეს „ვეფხისტყაოსნის" სხვა მთარგმნელებმა რუსულ და სხვა სლავურ ენებზე.

ბალმონტმა პირველმა აღიარა „ვეფხისტყაოსანი" ყველაზე მაღალი და სრულყოფილი სიყვარულის პოემად. მან შოთა რუსთაველი ჰომეროსის, დანტეს, სერვანტესისა და შექსპირის გვერდით დააყენა. გ. ა.

571. მანუჩარ ანთაძე

რუსთველის მხატვრული სიმართლე და შემოქმედების ფსიქოლოგია

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები", VI, თბ., 1974, გვ. 108-113.

ავტორის თქმით, „ვეფხისტყაოსანში" მხატვრული სიმართლის ძიებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მასში ჩანს აღმოსავლური და დასავლური ფანტასტიკურ-ზღაპრული, ფანტასტიკურ-სათავგადასავლო, საგმირო და სამიჯნურო ეპოსების ელემენტები. მკვლევარი ცდილობს წარმოაჩინოს პოემის არარეალისტური მხატვრული ელემენტების რეალისტური „ტრანსფორმაცია", დასახელებული მოტივების რეალისტურ ელფერში წარმოდგენის ტიპიური ნიმუშები. ნარკვევში აღნიშნულია რუსთველის თემატიკისა და მოტივების პარალელები ელინისტურ ავანტიურულ რომანებში. მაგ.: შეყვარებულთა ფათერაკიანი მოგზაურობა, მეკობრეთა თავდასხმა, ტყვეობა და სხვ. ტიპოლოგიურია: ერთი ნახვით შეყვარება, „დაბნედა", ტირილი, ველად გაჭრა, პერსონაჟის მდინარეში ან ზღვაში გადაგდება, არაკი ჭაში ან ორმო-ხაფანგში ჩავარდნილისა" (გვ. 59-61).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ავანტიურული მომენტი „ვეფხისტყაოსანში" მხატვრული სიმართლის განმსაზღვრელი არაა, რაკი მას აქ მხოლოდ სპორადულად აქვს თავისთავადი ღირებულება, ხოლო მთლიანობაში იგი პოემის რეალისტურ მხატვრულ ამოცანათა გადაწყვეტას ემსახურება.

ფანტასტიკური ელემენტის უპირველესი რეალისტური სპეციფიკა რუსთველთან ისაა, რომ მას აქ თავისთავადი მხატვრული სიმართლე არ გააჩნია; პოემაში თითქმის არ გვხვდება ღვთიური მინიშნებანი, ჩვენებები, სასწაულები, მკითხაობა, რამლის განჩხრეკა, წინათგრძნობა და სხვა ამგვარი მისტიკურ-ასტროლოგიური რწმენანი. ფანტასტიკურ-ზღაპრულ არსებათაგან პოემაში მოქმედებენ მხოლოდ დევები და ქაჯები, ოღონდ ისინი იმდენად მოდიფიცირებულნი არიან, რომ დაკარგული აქვთ ზღაპრული თვისებები. ქაჯები მხოლოდ იმით განსხვავდებიან ადამიანისაგან, რომ ესენი „გრძნების მოქმედნი" არიან. თუმცა ამ „გაადამიანებულ ქაჯებს" პოემის იდეურ პლანში „მინიჭებული" აქვთ „დემონური" თვისებები; მათ მიეწერებათ „ბოროტების" იდეა („ყოველთა კაცთა მავნენი" არიან) (გვ. 63-67). მხატვრული სიმართლის თვალსაზრისით განხილულია ფატმანისა და ავთანდილის აშიკობის ეპიზოდი, რასაც მოსდევს ჩაჩნაგირის მკვლელობა; აგრეთვე ავთანდილისა და ასმათის დიალოგი და ქცევა მათი პირველი შეხვედრის ეპიზოდში; უსენისა და ფატმანის საოჯახო ურთიერთობა, რაც ავტორს ნათლად გამოხატული რეალისტური ფერით აქვს ასახული (გვ. 73-81).

ნარკვევში ნაჩვენებია აგრეთვე პერსონაჟთა ტირილის არსი, ნამდვილი მწუხარებით გამოწვეული ან თანაგრძნობის გამომხატველი ცრემლის ღვრა, ზოგჯერ კი კონვენციური, მოჩვენებითი, არა გულწრფელი მოთქმა-ტირილი (გვ. 81-82). გ. ა.

572. გურამ ასათიანი

ვეფხისტყაოსნის პოეტიკა

წიგნში — „ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე", თბ., 1974, გვ. 11-35.

მკვლევარი ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას: „შემოქმედების რა ფორმებში, რა ესთეტიკურინაირსახეობით, რა კონკრეტული მხატვრული იერით გამოვლინდა ვეფხისტყაოსანში მისი წარმომშობი ერისა და დროის სული? მისი აზრით: „რუსთაველის ესთეტიკურ სამყაროში გადაჯვარედინებულია ხელოვნების განვითარების სამივე ჰეგელისეული სახეობა – სიმბოლური (ძველი აღმოსავლური), კლასიკური და რომანტიკული ფორმები" (14).

„აშკარად აღმოსავლური წარმომავლობის სიმბოლიკა აქ ბუნებრივად თანაარსებობს ცოცხალ, კლასიკური სიზუსტით დასრულებულ სახეებთან" (15).

ავტორი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი მოტივის (ქალის ტყვეობა და მისი დახსნა) საფუძვლად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ნიზამის „ისკანდერ-ნამეში“ მოცემული ერთი ეპიზოდი: ალექსანდრე ამარცხებს კაც-ურჩხულს, რომელიც შემდეგ მიიყვანს ქალს – ნესტან-დარჯიხანს. ის ურჩხულის პატრონებს ჰყავდათ დატყვევებული. ალბათ არსებობდა მითოლოგიური პირველწყარო, რომელიც გამოიყენეს ნიზამიმ და რუსთაველმა (16-17).

რთული და მრავალსახოვანია „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის კავშირი კლასიკურ (ანტიკურ) სამყაროსთან. შედარებით ნათელია (ადვილად დასანახია) ბერძნული მითოლოგიის, მწერლობისა და ფილოსოფიის კვალი. უფრო რთულია კლასიკური ესთეტიკის ძირითად პრინციპთა მოქმედება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სისტემაში (17).

„ვეფხისტყაოსნის“ არქიტექტონიკა ძირითადად ეპიკური ჟანრის კანონებს ემორჩილება, მაგრამ პოემაში არის ადგილები („წიგნი“, „ანდერძი“, „ლოცვა“, „საუბარი“), რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ ლირიკულ გადახვევებად. დიდი ნაწილი ამ ლირიკული გადახვევებისა აშკარად რომანტიკული ხასიათისაა. რომანტიკული აღსარების შედევრია „წიგნი ნესტან-დარეჯანისა სავარელთან“ (ქაჯეთის ციხიდან). პოეტური თვალსაზრისით ეს ქართული რომანტიზმის, რომანტიკული მსოფლგაგების პირველი მანიფესტია, რომელიც მარცვალივით შეიცავს თავისთავში გურამიშვილისა და ბარათაშვილის მომავალ მისტიკურ ხილვებს (19).

ავტორი მსჯელობს ვარდისა და ვეფხვის სიმბოლიკაზე (გვ. 21, 28-29). მისი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ სამყაროს მხატვრული დაპყრობისა და დაუფლების კლასიკური ნიმუშია. შეიძლება ითქვას, რომ „დაუფლება“, რომელსაც აქ შემოქმედი პოეტური ნათელჭვრეტის, მხატვრული ინტუიციის გზით აღწევს, თანაბრად განვრცობილია ორ სიბრტყეში — „ვეფხისტყაოსანი“ ერთნაირად მასშტაბური ნაწარმოებია, როგორც ადამიანის გარემომცველი ობიექტური რეალობის, ასევე მისი სუბიექტური ცხოვრების წვდომის თვალსაზრისითაც (32). გ. ა.

**573. Дж. К. Бакрадзе**

**Правовое мировоззрение Шота Руставели и основные доктрины истории философии права**

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1974, 54 გვ.

აღნიშნულია, რომ დისერტაცია ქართულ ენაზეა. დაცვა შედგება თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

პირველ თავში (გვ. 1-50) განხილულია პრობლემის ისტორია ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომების მიხედვით.

მეორე თავი (გვ. 51-106): მართლმსაჯულების არსის გაგება რუსთაველთან და იმ ეპოქის იუდირიული გარემო საქართველოში.

მესამე თავი (გვ. 107-132): ქალის ემანსიპაციის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“.

მეოთხე თავი (გვ. 133-169) ეძღვნება უფლებისა და თავისუფლების საკითხს პოემაში.

მეხუთე თავში (გვ. 170-200) განხილულია იურიდიული ინსტიტუტები და იურიდიული ტერმინოლოგია „ვეფხისტყაოსანში“. გ. ა.

574. ვუკოლ ბერიძე

ვეფხისტყაოსნის კომენტარი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს სარგის ცაიშვილმა და გურამ შარაძემ. ს. ცაიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1974, 322 გვ.

„წინასწარ შენიშვნებში“ (გვ. 8-12) ავტორი საუბრობს შოთა რუსთაველის ენის შესახებ, რომ ის ძველი ქართულიდან ახალზე გარდამავალი ენაა, სალიტერატურო ენა XII ს-ის განათლებული ქართველი საზოგადოებისა, მსჯელობს –მცა ნაწილაკის დანიშნულებაზე, აგრეთვე და კავშირის ფუნქციაზე მეოთხე ტაეპის დასაწყისში; მოკლედ განსაზღვრავს 16-მარცვლიანი სტრიქონის აგებულებას, მაღალი და დაბალი შაირის ვერსიფიკაციულ წყობას და მათ სტილურ თავისებურებას.

ნაშრომში შემდეგ მოცემულია თითო სტროფის ენობრივი და სტილისტური კომენტარი 1-დან 1212 სტროფამდე, სხვადასხვა მოცულობით, სტროფის ლექსიკური და აზრობრივი სირთულის მიხედვით.

როგორც ირკვევა, ეს განმარტებები შესრულებულია 1937-1950 წლებში და ინახებოდა ვ. ბერიძის პირად არქივში (იხ. აგრ. ს. ცაიშვილის „წინასიტყვაობა“ — ანოტ. № 620). გ. ა.

575. ნ. ბერძენიშვილი

ვეფხისტყაოსანი როგორც საისტორიო წყარო

წიგნში — ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 253-324.

მკვლევარი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენა იყო საერო, რაინდებისა, აღმავალი საზოგადოებრივი ფენებისა და არა გლეხური და არც ძველი ეკლესიური. ავტორის აზრით, ამ ენის პოპულარობა იყო ქრისტიანულ-კლერიკალური კულტურის ბატონობის მარცხი. ეკლესია ამხედრდა „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ იმიტომ, რომ ქართველმა ფეოდალურმა საზოგადოებამ ის საკუთარი ცხოვრების სარკედ იცნო და თავის სახელმძღვანელოდ გაიხადა.

„მონა“, „ყმა“, „გაზრდილი“, „ხასი“ — ესენი სოციალური ტერმინებია „ვეფხისტყაოსანში“. რუსთაველი მონობას პატრონისა და ყმის ურთიერთობას უწოდებს და ამ ურთიერთობას ურთიერთსიყვარულით წარმოგვიდგენს (ავთანდილი და შერმადინი). სიყვარული აქ პატრონსა და ყმას შორის არის და არა უფალსა და მონას შორის. იმის მიხედვით, თუ რა სამსახურს ასრულებს მონა, ის შეიძლება იყოს ან არ იყოს ყმა. ყოველი ყმა არ არის მონა და არც ყოველი მონა არის ყმა (ავთანდილი ყმაა, ზანგი მონაა...).

რუსთაველს სამი სხვადასხვა სახის სახელმწიფო აქვს წარმოდგენილი: არაბეთ-ინდოეთი, ზღვათა სამეფო და ქაჯეთი. არაბეთ-ინდოეთი აქ იდეალური ფეოდალური სახელმწიფოებია, სადაც მეფის სასახლეა ყველაფრის ტონის მიმცემი. მეორე — ზღვათა სამეფო, გულანშაროა. ზღვათა სამეფოში ციხე-სიმაგრე არსად ჩანს და აქ ყველაფერს ტონს აძლევს სავაჭრო ქალაქი. აქ დიდი სიმდიდრეა და ყოველი ქვეყნიდან აქ მოდიან. არაბეთ-ინდოეთი და ზღვათა სამეფო ერთიმეორეს ავსებენ და ერთ სამყაროს ქმნიან. ქაჯეთი ფეოდალური სამყაროს ბოროტებაა და მას ებრძვიან და სპობენ. მეკობრეობა ქაჯთა შორის ბოროტებად არ ითვლება. მათ მიუვალ ციხეში აქვთ დაგროვილი აურაცხელი ქონება — ნაძარცვი, ნაალაფევი.

ფეოდალები ებრძვიან მეკობრეობას და მფარველობენ ვაჭრებს. ფეოდალების საჭურჭლენი შეიძლება ნაალაფევი (ომში ნაშოვნი), დავლა იყოს. მათ კარგად ესმით ვაჭრებისა და ვაჭრობის მნიშვნელობა. ფეოდალების სამოსელი, იარაღი, სამკაული ვაჭრების შემოტანილია. თ.ნ.

576. აკაკი გაწერელია

ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი
(ქართული და ზოგადი ვერსიფიკაციის კვლევის მეთოდოლოგიისათვის)

თბ., 1974, 233 გვ.

წიგნი დაწერილია აკად. გიორგი წერეთლის გამოკვლევის — „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ — პასუხად. ა. გაწერელია ამტკიცებს, რომ: 1) ქართული ლექსის თვისებაა მახვილთა სისტემური განმეორება; 2) ქართული ლექსის მეტრულ ნორმაში და მის სქემებში დომინანტია სამი ტერფი: ქორე, დაქტილი და მეორე პეონი; 3) სიტყვიერი მასალის გაფორმების პროცესში მაორგანიზებელია რიტმული ინერცია (რიტმული იმპულსი) და რიტმული მოცდა (ყოვნი).

ავტორის აზრით, ქართულში უმახვილო რითმის არსებობის მტკიცება აბსურდია.

რუსთაველის თხზულებაში მაღალი და დაბალი შაირია გამოყენებული. ამ ორ საზომს შორეული, ძირითადად ეროვნული ძირები აქვს. საერთოდ კი, ვერსიფიკაციის სფეროში ახალი მეტრის (ან მეტრების) შექმნა სრულიად არაა გენიოსის დამახასიათებელი თვისება. ვერსიფიკაციული სიახლენი ჩნდებიან პოეზიის პერიფერიაში და მათი კანონიზაცია დიდი პოეტის თვისებაა. როცა საზომი თავის ფუნქციას დაასრულებს გენიასთან, იგი ისევ პოეზიის გარეუბანში გადაინაცვლებს და ეპიგონებთან შეაფარებს თავს (ასე გაიცვითა რუსთაველის შემდეგ 16-მარცვლიანი შაირი ქართულ პოეზიაში XVIII საუკუნის ბოლომდე, დ. გურამიშვილის გამოჩენამდე). გენია გადაჭარბებული ორიგინალობისა და ექსტრავაგანტურობის საწინააღმდეგო ცნებაა.

საზომში ავტორის გენიალობის ამოკითხვა ისეთივე გაუგებრობაა, როგორც მასში სტროფის ან ლექსის მთელი რიტმული სისტემის ძებნა.

ნაშრომის დასასრულს ავტორი აკეთებს ძირითად დასკვნას: „რომ ვეფხისტყაოსანში, ისევე როგორც საზოგადოდ ქართულ სილაბურ-ტონურ ლექსთწყობაში, მახვილთა სისტემა მკაცრად კონფიგურაციულია“ (გვ. 184).

ნაშრომს ბოლოში ერთვის შენიშვნები (გვ. 187-217) და „დამატებითი განმარტებანი“ (გვ. 217-233). ც.ე.

577. აკაკი გელოვანი

ვეფხი თუ პანთერა?
(ერთი პარადოქსული ექსკურსის გამო)

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1974, 8 იანვ., № 4, გვ. 3.

ავტორი ეხმაურება ნ. კაკაბაძის წერილს (გაზ. „ახალგ. კომ“., 1973, 22 ნოემბერი), სადაც აღნიშნული იყო, რომ ევროპულ ლიტერატურაში ვეფხვი მიჩნეულია არაესთეტიკურ ცხოველად და ამიტომ რუსთველის პოემის თარგმანებში ქართული „ვეფხის“ შესატყვისად „პანტერა“ უნდა დაიწეროს.

ა. გელოვანი უარყოფს ამ მოსაზრებას და მის გასამართლებლად მოყვანილ არგუმენტებსაც. მისი აზრით, „ვეფხის“ შესატყვისია „ტიგერ“, როგორც ჰ. ჰუპერტმა თარგმნა და ასე უნდა დარჩეს სხვა ევროპულ ენებშიც. გ. ა.

578. ივანე გიგინეიშვილი

რთული წინადადების ერთი სახეობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1974, № 4, გვ. 103-112. წაკითხული იყო მოხსენებად საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXV სამეცნ. სესიაზე 1969 წ. 17.06.

ავტორის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება სტროფები, რომლებიც შინაარსის მიხედვით შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. ამ ნაწილებს შორის ისეთივე ურთიერთობაა, როგორც რთულ წინადადებაშია მთავარსა და დაქვემდებარებულ წინადადებებს შორის. ასეთია, მაგალითად 857-ე სტროფი:

პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი,
მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი,
მას ვუორგულე, წამოვე...

აქ მესამე ტაეპი არის მთავარი წინადადება, პირველი და მეორე ტაეპები კი – მისი ამხსნელნი, რომლებიც ფაქტობრივად სახელდებითი წინადადებებია.

ასეთივე წყობაა 978-ე სტროფში:

კაცი ემთხვია: მას ჰკითხა ამბავი მის ლაშქარისა,
უბრძანა: „ისი ვისია ხმა ზათქისა და ზარისა“?
მან უთხრა: „ფრიდონ ხელმწიფე მეფე მულღაზანზარისა,
იგი ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ-შამბნარისა“.

აქ მთავარი წინადადების ბადალია მეოთხე ტაეპი.

მკვლევარს მიაჩნია, რომ 310-ე სტროფში აუცილებელია მეორე და მესამე ტაეპების ადგილშენაცვლება, რის შემდეგაც სტროფი ასეთ სახეს მიიღებს:

ისმენდი, მოეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა!
იგი, ვინ ხელმქმნა, მოველი მისგან აროდეს ლხენასა,
საუბართა და საქმეთა ვისთა ძლივ ვათქმევ ენასა,
ვისგან შევუცავ სევდათა, სისხლისა ღვართა დენასა.

აქ პირველი ტაეპი ცალკე დგას, სხვებში კი მთავარი წინადადებაა: „მოველი მისგან აროდეს ლხენასა“, რომელსაც დამოკიდებული წინადადებები უკავშირდებიან სიტყვებით: ვინ, ვისთა, ვისგან.

აქ მოტანილი და მათი მსგავსი კონსტრუქციები, მკვლევრის ვარაუდით, რთული დაქვემდებარებული წინადადების განვითარების გარკვეული საფეხურის ამსახველი შეიძლება იყოს (შდრ ანოტაცია № 288). გ. ა.

579. ი. გიგინეიშვილი

ზმნის პირის ფორმათა აღრევის შემთხვევები „ვეფხისტყაოსანში“

თსუ შრომები, *B* 8-9 (155-156), 1974, გვ.441-442; აგრ. წიგნში – ი. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, თბ., 1975, გვ. 233-286.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ პოემის ტექსტში ხშირად გვხვდება ზმნის სხვადასხვა პირის ფორმების აღრევის შემთხვევები. 1957 წლის გმოცემის მიხედვით განიხილავს რამდენიმე ასეთ ადგილს, იძლევა ტექსტის სავარაუდო გასწორებას და ამ გასწორებათა დასაბუთებას. გ. ა.

580. ი. გიგინეიშვილი
სიტყვათა წყობის ზოგიერთი თავისებურება რუსთაველის ლექსში და ამასთან დაკავშირებული სადავო საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ ტექტისა

„საიუბილეო კრებული“, ეძღვნება ალ. ბარამიძეს დაბადების 70 წლისთავზე, თბ., 1974, გვ. 71-102.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულში სიტყვათა წყობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსაზღვრელი და საზღვრული სახელების სინტაქსური ურთიერთობისას. ლექსის ენა ამ შემთხვევაში ზოგიერთ თავისუფლებას იჩენს; პოემაში მოიპოვება არაერთი შემთხვევა მსაზღვრელი სახელის თავისუფალი გადაადგილებისა, რაც ლექსის აგებულების მოთხოვნილებითაა გამოწვეული. ამის გაუთვალისწინებლობის შედეგად „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ბევრი ტაეპია შეცვლილი როგორც გადამწერთა, ისე გამომცემელთა მიერ.

მკვლევარი ამგვარ ცთომილებად მიიჩნევს პოემის 1957 წლის გამოცემის შემდეგ წაკითხვებს:

სტროფი 846,3: მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა;
541,1: მე ვჰკადრე: „ღმერთმან აშოროს მას ყმასა შენი ქმარობა“;
420,2: სრულთა სპათასა ვერ გითხრობ არ შესასხდომლად მზობასა;
1000,1: მე უცხოს უცხომ მანატრა მოსმენა სანატრელისა;
1030,3: ჰკადრეს: ხმელთა სინათლეო, შენ ამოხვე ჩვენი მლხენი;
690,1: ქვაბნი წაუხმან დევთათვის, სახლად აქვს დევთა სახლები;
162,3: მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ,უვაჭრელად.

პოემის ხელნაწერული ვარიანტებისა და სხვა მასალის გათვალისწინებით მკვლევარი ასე ასწორებს გამოყოფილ სიტყვებს:

მაგრა ავი ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა;
მე ვჰკადრე: „ღმერთმან აშოროს მის ყმისა შენი ქმარობა;
სრულთა სპათასა ვერ გითხრობ არ შესხდომისა მზობასა;
მე უცხოს უცხო მანატრა მოსმენა სანატრელისა;
ჰკადრეს: „მზეო, სიცოცხლე და შენ ამოჰჴე ჩვენი მლხენი;
ქვაბნი ომითა წაუხმან, სახლად აქვს დევთა სახლები;
მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლო უვაჭრელად.

„უსასყიდლო“ აქ ფასდაუდებელს, საუკეთესოს ნიშნავს.

ნარკვევში მოცემულია აგრეთვე ტექსტის პუნქტუაციური გასწორებები. გ. ა.

581. მანანა გიგინეიშვილი
რუსთაველის ასტრალური სამყაროს გაგებისათვის

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესია. მოხს. თეზისები, თბ., 1974, გვ. 24 (მოგვყავს შემოკლებით).

მოხსენებაში უარყოფილია თვალსაზრისი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ხსენებული „ძალნი ზეციერნი“ ნახმარია არა ტრადიციული გაგებით – ანგელოზთა წყების აღსანიშნავად, არამედ გულისხმობს მნათობებს (პლანეტებს). მომხსენებელი ასაბუთებს, რომ „ქრისტიანული საიდუმლო ღვთისმეტყველება ღრმა კავშირს ხედავდა იერარქიულ არსებებსა და ასტრალურ ძალებს შორის; თითოეულ მნათობს მისი სულიერი ასპექტის გამომხატველი კონკრეტული მთავარანგელოზიც კი შეესაბამებოდა. ვეფხისტყაოსნის „ძალნი ზეციერნი“ გულისხმობს ქრისტიანული რელიგიის იერარქიულ არსებებს, რომელნიც, თავის მხრივ, მნათობებთან კავშირში იყვნენ გააზრებულნი“. გ. ა.

582. ლ. გრიგოლაშვილი, გ. ფარულავა, ლ. მენაბდე
ახალგაზრდა მეცნიერის საყურადღებო ნაშრომი

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1974, 3 სექტ., № 106, გვ. 3.

რეცენზიაში განხილულია გურამ შარაძის წიგნი „არქეოგრაფიული ძიებანი“ (თბ., 1973). ავტორები აღნიშნავენ, რომ ნარკვევების ამ კრებულში თავმოყრილია წლების მანძილზე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ „ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი საუკეთესო, ე. წ. „ზაზასეული“ ნუსხის შესწავლის ისტორიას. გ. ა.

583. მერი გუგუშვილი

შოთა რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი არჩილის შემოქმედებაში

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, VI, თბ., 1974, გვ. 85-107.

როგორც მკვლევარი წერს, არჩილ ბაგრატიონის შემოქმედება საყურადღებო მასალას იძლევა რუსთველთან მიმართების თვალსაზრისით. თხზულებაში „გაბაასება მეფისა თეიმურაზისა და რუსთველისა“ არჩილი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ყველა პოეტზე მაღლა აყენებს: გვაძლევს ცნობას მისი სადაურობის შესახებ, რომ რუსთველი არის მესხი, ჯავახეთის მკვიდრი. გალექსილი „ვისრამიანის“ შესავალში ახსენებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს. აღორძინების ხანის მწერალთა მსგავსად, არჩილის პოეზია დავალებულია რუსთველის მხატვრული სახეებით: „მელნის ტბა“, „გიშრის სარი“, „ვარდის ბაღი“, „ბროლის ველი“ და სხვ.

„ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიის გავლენის უმთავრესი მაგალითები გალექსილ „ვისრამიანზე“ მოდის, თუმცა ისინი იმდენად უხვი არაა, როგორც თეიმურაზ პირველის პოემებსა და „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებშია. გ. ა.

584. ტოგო გუდავა

ქართული სალექსო სტრიქონის აგებულების ზოგიერთი საკითხი

ჟურ. „ცისკარი“, 1974, № 7, გვ. 140-147.

ავტორი იცავს იმ აზრს, რომ ქართული სალექსო სტრიქონის (ტაეპის) უმცირესი სტრუქტურული ერთეული არის მუხლი. მუხლების გარკვეული წესით დალაგება ქმნის ტაეპს. მუხლი არის განსაზღვრული მარცვლების მქონე სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც გამოდის როგორც მთლიანი ერთეული. ტაეპში მუხლები ისაზღვრება ცეზურით.

ავტორს უხვად მოაქვს მაგალითები სხვადასხვა რაოდენობის მარცვალთა შემცველი მუხლებისა და მათი შეწყობის სხვადასხვა ვარიანტები. იგი ქართულ ლექსში ადგენს გარკვეულ ტენდენციას — სხვადასხვა ზომის მუხლთა შეერთებისას წინ დგას დიდი მუხლი, შემდეგ — პატარა (5/2, 5/3, 4/2, 4/3, 4/4/3, 3/3/2 და სხვ.) უფრო ნაკლებად გავრცელებულ, შებრუნებულ განლაგებას: 3/5, 3/4, 2/4 და სხვ. ავტორი ინვერსიულს უწოდებს.

მკვლევარი განიხილავს საზომთა სტრუქტურული შენაცვლებისა და მუხლთა შერწყმის შემთხვევებს და აკეთებს ზოგად დასკვნას, რომ ქართულ ლექსში ტერფების ძებნა ფიქციაა... და ანალიზის დროს მას (ტერფს) არ უნდა დავემყაროთ. ქართულ ლექსს მკაფიოდ გამოხატული „მუხლებრივი აგებულება აქვს. მუხლების მიხედვით ანალიზი საშუალებას იძლევა მარტივად აღვწეროთ ქართული სალექსო სტრიქონის (და უფრო დიდი ერთეულების) მეტად მრავალფეროვანი სტრუქტურა. გ. ა.

585. ბორის დარჩია

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის ორი ფურცელი

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, VI, თბ., 1974, გვ. 108-113.

ავტორი აღნიშნავს, რომ საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ H-178 ნუსხაში, რომელიც ანტონ ბაგრატიონის „მარტირიკის“ კრებულია, ბოლო საფარველ ფურცლებად ჩაკერებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შემცველი სხვა ფერისა და ხარისხის ქაღალდის ორი ფურცელი (გვ. 127r-130v). ამჟამად ეს ფურცლები ინახება ცალკე, ფრაგმენტების ფონდში (№ 203). ეს ფრაგმენტი შეიცავს სულ 31 სტროფს, 1937 წ. გამოცემის სათვალავით – 266-280 და 343,4-358,1-3 სტროფებს.

ქაღალდის ჭვირნიშნის მიხედვით მკვლევარი ადგენს დასახელებული კრებულისა და თვით ფრაგმენტის გადაწერის თარიღს და მის სავარაუდო დედანს. მისი დასკვნით: 1. ეს ორი ფურცელი წარმოადგენს რუსთველის პოემის ერთ-ერთი ხელნაწერის ნაწილებს, ფრაგმენტებს. 2. ისინი გადაწერილია დაახლოებით 1812-1825 წლებში. 3. მათი ტექსტი მომდინარეობს პოემის 1712 წლის (ვახტანგისეული) გამოცემიდან. გ. ა.

586. დენის დგებუაძე, ლევან მენაბდე

რუსთველოლოგიური სემინარი

თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, *B 8-9* (№155-156), ჰუმანიტარული მეცნიერებანი, თბ., 1974, გვ. 439-448.

ავტორები აღნიშნავენ, რომ თბილისის სახ. უნივერსიტეტში არსებულ რუსთველის კაბინეტთან სისტემატურად მუშაობს რუსთველოლოგიური სემინარი, რომელშიც მონაწილეობენ თვით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, აგრეთვე – ქართული ლიტერატურის, ქართული ენის, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტების თანამშრომლები. სემინარის მიზანია რუსთველის შემოქმედების მეცნიერული შესწავლა. აქ ხდება ტექსტოლოგიურ თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მოხსენებების მოსმენა და ბეჭდურად გამოქვეყნებამდე მათი განხილვა.

1968-1971 წლებში მოსმენილი იყო 30-მდე მოხსენება. დასახელებულია მოხსენებები, მათი თემატიკა და ძირითადი დასკვნები. მოხსენებათა ავტორები არიან: ა. შანიძე, ქ. სიხარულიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. წიბახაშვილი, შ. ღლონტი, ო. ბაქანიძე, ი. ლოლაშვილი, ე. ხინთიბიძე, კ. გრიგოლია, მ. ჩიქოვანი, ნ. კაკაბაძე, ალ. ჭინჭარაული, ნ. იორდანიშვილი, გ. შარაძე, გ. კარტოზია, დ. ჭანტურიშვილი, მ. თოდუა, დ. ფანჩულიძე, შ. რევიშვილი, ნ. ორლოვსკაია, ალ. ბარამიძე, ლ. მენაბდე, ტ. რუხაძე და სხვ. გ.ა.

587. გიორგი თევზაძე

რუსთველის კოსმოლოგია

წერილი პირველი, ზოგიერთი ტერმინისათვის

ჟურ. „ცისკარი", 1974, № 12, გვ. 125-136.

ავტორის მიზანია დაასაბუთოს, რომ რუსთველის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებში ნაგულისხმევი ასტრალური მოვლენები არ არის შეთხზული თუ გამოგონილი პოეტის მიერ. ამ წერილში განხილულია ტერმინები „ბაკმა", „ბროლ-ბაკმული", „მოვანება", „შუქმონავანი", „ნათლად ნავანები" (იხ. წიგნის ანოტაცია, № 827).

588. ბორის კანდელაკი

კვლავ რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის შესახებ

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1974, 17 მაისი, № 20, გვ. 2.

ავტორი წერს, რომ მან 1958 წელს გამოაქვეყნა შოთა რუსთაველის და სხვა ისტორიულ პირთა პორტრეტები ნ. ჩუბინაშვილის ფონდიდან, აგრეთვე – წერილი, რომელშიც რუსთაველის სურათს მე-13 ს-ის დასაწყისში დახატულად მიიჩნევს. ამან გამოიწვია მეცნიერთა ჯგუფის გამოხმაურება; ავტორს ბრალი დასდევს „აღმომჩენის" პრიორიტეტის მითვისებასა და შოთას სურათის არასწორ დათარიღებაში.

ბ. კანდელაკი აღნიშნავს, რომ ოპონენტების ბრალდებები უსაფუძვლოა. კოლექტიური წერილის ერთ-ერთმა ავტორმა, ალ. ბარამიძემ, შემდეგ (რუსთაველის საიუბილეო კრებული, 1966 წ.) თვითონვე აღიარა, რომ შოთას სურათი მანამდე არსებობდა, ვიდრე XVII ს-ში ჯვარის მონასტერს ხელახლა მოხატავდნენ. შ. ამირანაშვილი და ე. მეტრეველიც ადასტურებენ, რომ რუსთველის ფრესკა XII-XIII საუკუნეთა მიჯნით თარიღდება. გ. ა.

589. მარიამ კარბელაშვილი

„მეორისამებრ განსჯისა"...

„საიუბილეო კრებული", ალ. ბარამიძეს დაბადების 70 წლისთავზე. თბ., 1974, გვ. 112-128.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონს: „უკაზმავსა მიღალატეს, საჭურველნი ასრე ვითხენ“ (599,4), რომლის ტრადიციული განმარტებაა: საჭურველი ცოტა ვიქონიეო. მაგრამ ამ სტრიქონს ხელნაწერებში და გამოცემებშიც აქვს ვარიანტული წაკითხვა: „საჭურველნი ვერ გარ ვითხენ“ (ან: ვერ გარდვითხენ).

„ვითხენ“ წარმოსდგება სიტყვისაგან რთხმა, რაც შემორტყმას ნიშნავს. ძველ ტექსტებში დასტურდება „მორთხმა“ და „გარდართხმა“ სიტყვების სხვადასხვა ფორმა: „ძენი ეფრემისნი, მომრთხმელნი და მოისარნი (ფსალ. 77,9); „გარდაართხენ ცანი, ვითარცა კარავნი“ (ფსალ. 103,2).

სადავო სტრიქონში ფრიდონი ამბობს: უკაზმავს (ჯავშანშეუმოსელს) ღალატით დამესხენ, საჭურვლის (აბჯრის) ასხმა (ჩაცმა) ვერ მოვასწარიო. ამ აზრს ყველაზე ზუსტად გადმოსცემს ვარიანტი: „საჭურველნი ვერ გარდვითხენ“ და, მკვლევრის აზრით, ეს უნდა იყოს ავთენტური წაკითხვა.

საფუძვლიან ეჭვს იწვევს სხვა კონტექსტი: ქაჯებთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ გმირებმა „ერთმანერთი მოიკითხეს, არა სჭირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს“ (1423,3). ხაზგასმული ფრაზა ამ დაწერილობით ნიშნავს: აბჯარი არ შეიმსუბუქეს, არ შეიმცირეს.

მკვლევარი ფიქრობს, რომ აქ კონკრეტული საჭურველი იგულისხმება; გმირებმა დევთა ქვაბში ნაპოვნი აბჯარი აისხეს, რაც ამ ბრძოლისთვის აუცილებელი იყო. ამიტომ აბჯრის შემცირებაზე კი არაა საუბარი, არამედ მის სწორად მოხმარებაზე. ამიტომ წაკითხვა ასე უნდა გასწორდეს: „არ ინანეს, რომ აბჯარი გარდაითხეს“.

პოემაში არის კიდევ სხვა შემთხვევა, სადაც ამ ზმნის მიმღეობითი ფორმა უნდა გვქონდეს; ფრიდონი ამბობს ტარიელის მიმართ:

„ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამხმელო“ (1—7,2).

ეს ხელნაწერთა დიდი უმრავლესობის წაკითხვაა, მხოლოდ ორ ხელნაწერში იკითხება: „შუქთა გარდამრთხმელო“ და „შუქთა მამფენელო“. ტრადიციულ წაკითხვაში „გარდამხმელი“ ნიშნავს გადამყვანს, გადამაადგილებელს. აქ ეჭვს ის იწვევს, რომ მიმართვის ობიექტი (ტარიელი) მეტაფორულად „ხმელთა მზეა“ (ხმელეთის მანათობელი) და იგივე პიროვნება მზის ეტლთა (ზოდიაქოთა) გადამაადგილებელიც ყოფილა. ყურადღებას იქცევს სიტყვა „მზის“ ტავტოლოგიური გამოყენება და მისი ორმაგი ფუნქცია. ამას ისიც ემატება, რომ იგივე ტარიელი მეოთხე სტრიქონში „ცისა ეტლთა სინათლედ“ იწოდება.

მკვლევრის დასკვნით, სტროფში არსებული ლოგიკური წინააღმდეგობისა და სტილისტური უხერხულობის მოსახსნელად აუცილებელია, ძირითად ტექსტში შევიტანოთ ერთადერთი ($R^1$) ხელნაწერის წაკითხვა: „ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა შუქთა გარდამრთხმელო“. ამ შემთხვევაში „გარდამრთხმელს“ გადამფენელის, მომფენელის შინაარსი აქვს. გ. ა.

590. დავით კობიძე

„ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი მეტაფორისა და სიტყვის განმარტებისათვის

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1974, № 1, გვ. 20-25.

ტაეპში: „ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერისა“ (1342,2) მკვლევარი უარყოფს ალ. ჭინჭარაულის წაკითხვას — „გიშრისა ჭერითა“ და მეტაფორების მისეულ განმარტებას („ყორანი“ — თვალები, „გიშრის ჭერი“ — შავი წამწამები), რადგან ასეთ განმარტებებს შემდეგი დაბრკოლებები ეღობება: 1) „გიშრის ჭერი“ მხოლოდ ერთ ხალნაწერშია; 2-3) არც ერთ დიდ პოეტს, მით უმეტეს რუსთაველს, თვალის გახელა „გაგლეჯა“ — სიტყვით არა აქვს გამოხატული; 4) რუსთველი ყორანს ადარებს მთელ თმას და არა გაგლეჯილ თმას. ასეთ ვითარებაში ზმნისათვის გაჰგლეჯს საარვისო ქცევა სავსებით მართებულია; 5) ალ. ჭინჭარაულს სიტყვა „ყორანი“ შავი თვალების (თვალწარბის) მეტაფორად გაუგია. ასეთი მეტაფორა არც რუსთველთან გვხვდება და არც სხვა პოეტებთან, მხოლოდ წამწამებს ადარებენ სიშავის გამო ყორნის ბოლოს ან ფრთებს.

დ. კობიძე თვლის, რომ „ყორანი“ შავ თმას აღნიშნავს, „ბროლის ჭერი — თითებს. „ჭერი“ მას ძველი გაგებით ესმის, როგორც მრგვალი ხე, სარი, ხოლო „ბროლი“ სავსებით შესაძლებელია მამაკაცის ხელის ეპითეტად ან მეტაფორად იხმარებოდეს. ასეა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებაში: „გიშრისა ტევრსა მოჰფოცხდა ბროლისა საფოცხელია“ (1623), აგერთვე — „უთრუთიან-საამიანში“: ნარიმანს „თითები ბროლისა დათლილსა ქუასა უგუანდა“. გ. ა.

591. ჯიბო ლომაშვილი

ისევ ვეფხისა და ჯიქის შესახებ

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1974, 29 ნოემბ., № 143, გვ. 3.

წერილი დაწერილია ა. გელოვანის რეპლიკის პასუხად, რომელიც შეცდომად მიიჩნევდა „ვეფხის“ თარგმნას „პანტერად“ ან „ლეოპარდად“ („ახ. კომ“., 1974, 8, I).

ჯ. ლომაშვილის აზრით, რუსულ და ევროპულ ენებში „ტიგრი“ ქართული „ჯიქის“ და სპარსული „ბაბრის“ შესატყვისია. ამიტომ „ვეფხი“ უნდა ითარგმნოს „ბარსად“ ან „პანტერად“, როგორც ამის შესახებ დ. კობიძე (გაზ. „თბ. უნივერს“., №19) და ს. ცაიშვილი („კომუნისტი“, № 291) წერდნენ 1965 წელს. გ. ა.

592. იოსებ მეგრელიძე

სახელების „რუსთაველისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ტრანსლიტერაცია და თარგმანები

„საიუბილეო კრებული“, ეძღვნება ალ. ბარამიძეს დაბადების 70 წლისთავზე, თბ., 1974, გვ. 150-162.

მკვლევარი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გვარ-სახელის დაწერილობას უცხო ენებზე და აღნიშნავს, რომ სატრანსლიტერაციო სიტყვის ორთოგრაფია დედნის ენაში უნდა იყოს მყარი. მისი თქმით, ახალი ქართული ენის განვითარების ტენდენცია აშკარად ფუძეუკუმშველობისკენაა მიმართული. XIX ს-ის 80-იანი წლებიდან მიღებული იყო ფორმა რუსთაველი და ჩვენც უნდა დავამკვიდროთ ეს დაწერილობა. ფუძეუკუმშველი ფორმის კანონიერება ყველაზე ვრცლად დასაბუთებულია პროფ. ივ. ქავთარაძის მიერ (ჟურ. „ცისკარი“, 1968, № 11). „რუსთაველიდან“ წარმოებული ფორმებიც, როგორც ქართულ, ისე რუსულ და სხვა ენებზე უკუმშველად უნდა იწერებოდეს („რუსთაველიანა“, „რუსთაველოლოგია“, „რუსტაველოვედენიე“).

ჯერ კიდევ დასადგენია სხვა ენებზე „ვეფხის“ თარგმნის საკითხი. პირველი მკვლევრები და მთარგმნელები – ე. ბოლხოვიტინოვი, მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. ბალმონტი „ვეფხის“ რუსულ შესატყვისად „ბარსს“ წერდნენ. 1936-37 წლების გამოცემებში მიღებულ იქნა სათაური Витязь в тигровой шкуре და ასე მეორდებოდა მის შემდეგაც.

რუსთაველის 800 წლისთავის იუბილესათვის მზადების პერიოდში კვლავ აღიძრა ეს საკითხი და, თითქოს, დადგინდა კიდეც, რომ რუსთაველის პოემის „ვეფხი“ არის ხალებიანი ტყავის მქონე ცხოველი, რომელსაც რუსულად „ბარსი ეწოდება, ხოლო ევროპულ ენებში — „პანტერა“ ან „ლეოპარდი“.

ამავე ნარკვევში ავტორი ეხება „ვეფხის“ სხვა ენებზე (ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, სპარსულ, სომხურ, აზერბაიჯანულზე) თარგმნის ისტორიასაც. გ. ა.

593. ლევან მენაბდე

რუსთველი პოლონეთში

„საიუბილეო კრებული“, ეძღვნება ალ. ბარამიძეს დაბადების 70 წლისთავზე, თბ., 1974, გვ. 163-184.

ნარკვევში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე თარგმნისა და პოპურალიზაციის თითქმის საუკუნენახევრიანი ისტორია. ავტორი აღნიშნავს, რომ თავის ერს რუსთაველი და მისი პოემა პირველმა კონსტ. რდულტოვსკიმ წარუდგინა 1830 წელს. მის წერილში ჩართული იყო პოემის ნაწყვეტების თარგმანიც პოლონურ ენაზე, მოცემული იყო ცნობები საქართველოს ისტორიაზე, რუსთაველის პოეტურ ხელოვნებასა და ლექსთწყობის საკითხებზე.

„ვეფხისტყაოსანმა“ დიდი ინტერესი გამოიწვია. მისი თარგმნა სცადეს სხვადასხვა დროს: კ. ლაპჩინსკიმ, ა. ლაისტმა, ს. ვოლნიკმა, ი. ტუვიმმა, ბ. გემბარსკიმ, ი. სიკირიცკიმ, ე. ზაგურსკიმს. რამდენჯერმე გამოქვეყნდა სამი სხვადასხვა თარგმანი პოლონურ ენაზე. მეცნიერებმა დაიწყეს პოლონეთში ჩატარებული რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების აღნუსხვა და შეჯამება. ამ მხრივ საგულისხმოა ი. პრუხნიცკის, ი. რეიხმანის, ი. ბრაუნისა და ვ. კუბაცკის მუშაობა.

შოთა რუსთველი შესულია პოლონურ ენციკლოპედიებში. გ. ა.

594. ლ. მენაბდე

რუსთაველი და საზღვარგარეთული ლიტერატურა

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1974, გვ. 7.

მოხსენებაში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე თარგმნისა და პუბლიკაციის ისტორია, აგრეთვე ის, თუ რა გავლენა მოახდინა რუსთაველმა საზღვარგარეთელ მწერლებზე, მხატვრებსა და კომპოზიტორებზე.

595. გივი მიქაძე

ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეული ხელნაწერისათვის

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, VI, თბ., 1974, გვ. 114-147.

1911 წელს საქართველოდან ინგლისში, ბოდლის ბიბლიოთეკაში არსებულ მარჯორი უორდროპისეულ კოლექციას შესწირეს ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, რომელიც ამჟამადაც იქ ინახება შიფრით W-17. ეს ხელნაწერი იმერეთის მეფის დავითის ასულის, მზეხათუნის, საკუთრება ყოფილა. მზეხათუნი გაათხოვეს სახლთუხუცეს ზურაბ წერთლის ვაჟზე – სიმონზე. როგორც ჩანს, ვეფხისტყაოსნის ნუსხა მას მზითვად წაუღია.

გ. მიქაძის დაკვირვებით, ეს ნუსხა გადაწერილი უნდა იყოს XVIII ს-ის პირველ ნახევარში. დროთა განმავლობაში ის ალაგ-ალაგ დაზიანებულა და შემდეგ აღუდგენიათ. აღდგენილია 16-210 სტროფები. დასაწყისის 15 სტროფი კი ხელნაწერს საერთოდ აკლია. აღდგენის დროს სხვადასხვა დედანი გამოუყენებიათ: 16-72 სტროფები გადაწერილია ვახტანგის გამოცემიდან, 73-210 სტროფები კი აღუდგენიათ ხელნაწერ S-2829-ის მიხედვით, რომელიც მზეხათუნის მულს – სალომე წერეთელს ეკუთვნოდა. W-17-ში აღდგენილია აგრეთვე 61-ე და 223-ე ფურცლები და კიდევ რამდენიმე სტროფი სხვადასხვა ადგილას.

ხელნაწერის თავისუფალ გვერდებზე გვხვდება სხვადასხვა პირთა მინაწერ-ჩანაწერები, რომლებიც მნიშვნელოვან მასალას გვაწვდიან იმერეთის ბაგრატიონების, წერეთლებისა და აგიაშვილების წარმომადგენლების ურთიერთობაზე.   გ. ა.

596. ნოდარ ნათაძე

[„ვეფხისტყაოსნის“] კომენტარი

წიგნში – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ. თბ., 1974, გვ. 518-544.

„კომენტარში“ განმარტებულია პოემის ტექსტში არსებული ფილოსოფიურ-თეოლოგიური, ასტროლოგიური და პოეტურ-მხატვრული გამოთქმები, ცნებები, ფრაზები, მაგ.: „სახე ყოვლისა ტანისა“, „ტომი გვართა ზენათა“, „საღმრთო სიახლე“, „ცისა ძალთა დასი“, „არსად შემოსრული“, „მელნის ტბა“, „მზიანი ღამე“, „უჟამო ჟამი“, „კავშირნი“, „არსთა მხადი“, „ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა“, „ზუალი“, „მუშთარი“, „მარიხი“, „ასპიროზი“, „ოტარიდი“, „კრონოსი“, „მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ და მისთ.

ახსნა-განმარტებები მოცემულია ცნებებისა და გამოთქმების პოემის ტექსტში ხმარების მიხედვით, სტროფული ნუმერაციის თანამიმდევრობით.   გ. ა.

597. ნ. ნათაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ენა

წიგნში – შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 1974, გვ. 3-8, იხ. ანოტ. № 497.

598. ნ. ნათაძე

დროთა მიჯნაზე

(მასალები რენესანსის პრობლემისათვის ქართულ მწერლობაში)

თბ., 1974, 263 გვ.

წიგნში განხილულია მე-12-13 საუკ. ქართულ მწერლობაში გამოვლენილი მსოფლმხედველობა

და ქრისტიანული მსოფლშეგრძნების დაძლევის, მისი ფარგლებიდან გამოსვლის პროცესი. ავტორი იძლევა შემდეგი საკითხების ვრცელ ანალიზს: კლასიკური ხანის ქართული მწერლობის იდეური ფონი (შესავალი); ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოტივი სასულიერო და საერო მწერლობაში (I თავი); ადამიანი და საწუთრო ვეფხისტყაოსანში (II თავი); იდეალური ადამიანი. ხაიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში (III თავი); ადამიანის იდეალი რუსთაველამდე და მის დროს (IV თავი).

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანი" ევროპული რენესანსის პერიოდის ნაწარმოებთა ანალოგიურია იმით, რომ მასში მოცემულია ქრისტიანული რელიგიისა და მისი ასკეტური ტენდენციისაგან ემანსიპაცია. ქრისტიანული მსოფლგაგება ადამიანის სრულყოფის შესაძლებლობას ცნობდა მხოლოდ რელიგიური გზით. რუსთაველი არ უარყოფს ქრისტიანული ზნეობის პრინციპებს, მაგრამ აფართოებს მის ფარგლებს და მის საფუძველზე სრულყოფილი ადამიანის ახალ იდეალს ქმნის, მის აუცილებელ თვისებათა რიცხვში შეაქვს ახალი სათნოებანი, როგორიცაა: სამხედრო ქველობა, სიმამაცე, გულოვნება, სიუხვე, სამართლიანობა, სილამაზე (არა მარტო ფიზიკური, არამედ – ქცევისა, ჩაცმა-დახურვისა და სხვ.).

ნაშრომში დახასიათებულია ის კულტურული და ლიტერატურული მოვლენები (სპარსული, არაბული და ანტიკური — ბერძნულ-რომაული), რომელთაც იცნობდა და იყენებდა რუსთაველი ადამიანის ახალი იდეალის შექმნის დროს. გ. ა.

599. შერმადინ ონიანი

„ხილობა" სიტყვა ვეფხისტყაოსანში

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები", VI, თბ., 1974, გვ. 148-152.

ეს სიტყვა გვხვდება პოემაში: „დღე ერთ გარდახდა. პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა, ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა (56,1-2).

ლექსიკოგრაფები ხილობას „ხილზე" შექცევად განმარტავენ, რაც საეჭვოა და შედეგია კონტექსტის თავისუფალი გააზრებისა. ძველ ქართულ ტექსტებში ხილობა ამ მნიშვნელობით არ დასტურდება. ეს სიტყვა დიალექტებში გვხვდება და ნიშნავს: 1) ხილის შემოსვლის დროს, ან 2) ხილის საკრეფად წასვლას. „ხილობა" ხსენებულია „ხელმწიფის კარის გარიგებაში" („ხილობას ტახტი ოდესაც მოეკაზმოს"...) და ექვთიმე თაყაიშვილი ასე განმარტავს: „ხილობა" – ნახვა, დარბაზობა. ეს განმარტება კონტექსტის შესაფერია და ცილობას არ იწვევს.

მკვლევრის აზრით, ხილობა რუსთველსაც ამ მნიშვნელობით უნდა ჰქონდეს გამოყენებული. ამ სიტყვის ფუძე „ხილვა" (და არა „ხილი"), აქედან არის წარმოებული: ხილვა→ხილვობა→ხილობა. მას სპარსული „დარბაზობის" — სტუმრობის, მოსაკითხად მისვლის შინაარსი უნდა ჰქონოდა. ზოგიერთ გადამწერს არ სცოდნია ამ სიტყვის მნიშვნელობა და შეუცვლია „ლხინობა" სიტყვით, რაც აზრობრივად გასაგებია, მაგრამ არღვევს ზუსტ რითმას.

სხვათა შორის, ფერეინდულ კილოში „ხილი" აღნიშნავს „ლხინს". ასე რომ, მოსაძებნია დამატებითი მასალა ხილობის ზუსტი შინაარსის დასადგენად. გ. ა.

600. რამაზ პატარიძე

„არე" თუ „რე"?

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1974, 1 მაისი, № 18, გვ. 3-4.

ავტორი განიხილავს 561 სტროფის მეორე სტრიქონს: „ქალი ჰყვა ერთსა მონასა, ვცანმცა, თუ მოლმა ვინ არე". აღნიშნავს, რომ კომენტატორთა უმეტესობისათვის მისი შინაარსია: გავიგო... ვინ არის? მკვლევრის ვარაუდით, ავთენტურ ტექსტში –რე ნაწილაკი უნდა ყოფილიყო ოდნაობითი მნიშვნელობით: „ვცანმცა, თუ მოლმა ვინ ა-რე" (ვინ არის-რე).

წერილის ავტორი ასე კითხულობს 1201 სტროფის მეორე სტრიქონსაც. „შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუხთლე სად ა-რე. მისი აზრი, -რე აქ „ცა" ნაწილაკის მნიშვნელობას უახლოვდება: „შენი სიმუხთლე სად არის კიდევაც"-ო. ამავე სტროფის მეოთხე სტრიქონის დასასრულს: „სად არე" რ. პატარიძე ერთ სიტყვად კითხულობს – „სადარე", კ. ჭიჭინაძისეული შინაარსით: „დარიანი, სასიკეთო". გ. ა.

601. პროკოფი რატიანი

„ვინმე მესხის“ პრობლემის ირგვლივ

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1974, 8 თებერვ., № 6, გვ. 4.

მკვლევარი საყრდენ დებულებად იღებს მის მიერვე დამტკიცებულად მიჩნეულ ვერსიას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გვარ-წოდება „რუსთველი“ მისი სასულიერო ზედწოდება, ანუ ტიტულია, რომელიც წარმოსდგება ქ. რუსთავში (ბოსტან-ქალაქში) მოღვაწეობიდან. მის სადაურობაზე, ანუ ტომობრივ წარმომავლობაზე კი სანდო წყაროდ მიიჩნევს XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ ტრადიციას, რომელიც რუსთველს მესხად ან ჯავახად წარმოგვიდგენს, და პოემის დასასრულის ერთ-ერთ სტროფს, რომლის დამწერად „ვინმე მესხი მელექსე“ გვევლინება.

მკვლევარს მართებულად მიაჩნია დაწერილობა „რუსთველისად ამისა“ და ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „მესხი“ პოეტი, რომელიც ამავ დროს რუსთველიცაა, მკითხველს აუწყებს: მე მესხი მელექსე ვარ, მაგრამ ამ პოემას ... ჩემი საკუთარი გვარ-სახელით (ჩემად) კი არ ვწერ, არამედ რუსთველის სახელით (მისად, რუსთველისადო).

ბოლოს პ. რატიანი წერს: „ჩვენ სრულიადაც არ გვეჩვენება საფუძველს მოკლებულად (...) მოსაზრება იმის შესახებ, რომ შოთა რუსთველი შესაძლოა თორელთა საგვარეულოს ეკუთვნოდეს“. გ. ა.

602. სპარტაკ რეხვიაშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ ყაბარდოულ და ბალყარულ ენებზე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1974, 5 აპრილი, № 14, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ყაბარდოულ ენაზე თარგმნის პოეტი ზუბერ თხაგაზიტოვი. იგი რუსთაველის პოემას გაეცნო შალვა ნუცუბიძის რუსული თარგმანით, ახლა იყენებს ნ. ზაბოლოცკის პოეტურ თარგმანს და ს. იორდანიშვილის რუსულ პწკარედს. 1966 წელს პირველად გამოქვეყნდა ყაბარდოულ ენაზე პოემის ორი თავის თარგმანი. ამჟამად პოემა მთლიანად თარგმნილია და მალე გამოქვეყნდება.

ავტორის თქმით, ბალყარულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას ხელი მოჰკიდა პოეტმა სალიხ გურტიევმა. გაზეთში დაიბეჭდა პოემის დასაწყისის მისეული თარგმანი, რომელსაც ახლავს ყაისინ ყულიევის წინასიტყვაობა. გ. ა.

603. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

დაიბეჭდა „ქართული პოეზიის თხუთმეტტომეულის“ მე-2 ტომში, თბ., 1974.

ტექსტი 1966 წლის საიუბილეო გამოცემისაა. წინ (გვ. 5-34) უძღვის სარგის ცაიშვილის გამოკვლევა „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, 37-408 გვერდები უჭირავს პოემის ტექსტს (1587 სტროფი), ხოლო 409-454 გვერდები – ლექსიკონს, რომელიც შედგენილია ს. ცაიშვილის მიერ ამავე ხასიათის არსებული ლექსიკონებისა და სხვა რუსთველოლოგიური ლიტერატურის საფუძველზე.

გამოკვლევაში ავტორი საუბრობს „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკასა და მის ძირითად მოტივებზე, თხზულების ჰუმანისტურ და რენესანსულ სულისკვეთებაზე, პერსონაჟების სრულყოფილობაზე, მათ ხასიათებსა და ხატვის ხერხებზე, რაც პოემის ავტორს ევროპული რენესანსის წინამორბედად წარმოაჩენს. აღნიშნულია შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის დამოკიდებულება ბერძნულ ნეოპლატონიზმსა და არეოპაგიტულ ქრისტოლოგიასთან, აგრეთვე აღმოსავლური, კერძოდ სპარსული, პოეტური სახეების (მეტაფორის, ეპითეტის) გამოყენება პერსონაჟთა გარეგნულ დახასიათებაში. გ. ა.

604. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, რედაქტორი ალ. ჭინჭარაული, თბ., „განათლება“, 1974.

წიგნს წამძღვარებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა (გვ. 3-6), მასში ნაჩვენებია ის თავისებურებანი, რითაც პოემის ენა განსხვავდება თანამედროვე ქართული ენისა-

გან. შემდეგ დაბეჭდილია თხზულების ტექსტი (სულ 1662 სტროფი), რომელიც ნ. ნათაძის თქმით, კრიტიკულია, — მისი მომზადებისას გათვალისწინებულია პოემის ხელნაწერები, არსებული გამოცემები და ტექსტოლოგიური გამოკვლევები. ყოველი თავის შემდეგ მოცემულია „განმარტებანი“: არქაული და ძნელად გასაგები სიტყვების ახსნა თანამედროვე ქართულით, ყოველი სტროფისა ცალ-ცალკე; გახსნილია აგრეთვე მეტაფორული ფრაზებისა და ტაეპების შინაარსი.

წიგნის ბოლოს კი (გვ. 518-544) დართულია „კომენტარი“ — ტექსტში არსებული ფილოსოფიური, თეოლოგიური და სხვა კულტურულ-ისტორიული მინიშნებების განმარტებანი, აგრეთვე ტექსტოლოგიური შენიშვნები. გ. ა.

605. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

**(Schota Rustaweli, Der mann im pantherfell)**

ქართულიდან გერმანულ ენაზე თარგმნილი რუთ ნოიკომის მიერ, ციურიხი, [1974], 495 გვ.

წიგნი მცირე ფორმატისაა (თითქმის მინიატურული), ეძღვნება კიტა ჩხენკელის ხსოვნას. აქვს გარეკანი (სუპერი), რომელზეც დაბეჭდილია ანოტაცია. თარგმანი პროზაულია, დასურათებული მამუკა თავაქარაშვილის ხელნაწერში არსებული მინიატურებით. 455-489 გვერდები უჭირავს „ბოლოსიტყვაობას“ (ხელმოუწერელია).

**606. Шота Руставели**

**Витязь у тигровiй шкурi**

ქართულიდან უკრაინულ ენაზე თარგმნილი მიკოლა ბაჟანის მიერ, კიევი, 1974.

დაბეჭდილია მ. ბაჟანის „თხზულებების“ II ტომად.

607. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

ყაზახურ ენაზე თარგმნილი ჰამზა აბდულინის მიერ, ალმაატა, 1974, 256 გვ.

წიგნში დაბეჭდილია 1604 სტროფი, დაყოფილი 55 თავად. წინ უძღვის გაბიტ მუსრეპოვის წინასიტყვაობა (გვ. 5-12), ბოლოში (გვ. 251-252) ერთვის ტერმინებისა და საკუთარი სახელების განმარტებები. ტექსტში ჩართულია ს. ქობულაძის ილუსტრაციები. გ. ა.

**608. С. Б. Серебряков**

**Европейские теории генезиса куртуазной любвы (Критический обзор)**

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, VI, თბ., 1974, გვ. 153-174.

ავტორი წერს, რომ ქართულ ლიტერატურაში დგას საკითხი მიჯნურობის რუსთველისეული კონცეფციის შესაძლო კავშირის შესახებ ევროპულ კურტუაზულ სიყვარულთან, ამიტომ გამართლებულად მიაჩნია დასახელებული პრობლემის კვლევა. მისი თქმით, ამ ორ მოვლენას შორის რაიმე პარალელებზე ლაპარაკი მხოლოდ პირობითად შეიძლება და ვიდრე მათ შორის მსგავსების ან განსხვავების ნიშნებს დავადგენდეთ, აუცილებელია მათი წარმოშობის დროისა და პირობების გარკვევა.

ტერმინი „კუტუაზული სიყვარული“ პირველად გამოიყენა ფრანგმა მკვლევარმა გასტონ პარიმ XIX ს-ის 80-იან წლებში, სიყვარულზე იმ თავისებურ შეხედულებათა სისტემის აღსანიშნავად, რომელიც XI ს-ში სამხრეთ საფრანგეთში, პროვანსში, წარმოიშვა. ახალი თვალსაზრისი ეხებოდა ე.წ. „უკანონო“, მეუღლეობის გარეშე სიყვარულს, რომლის ობიექტი იყო დიდგვაროვანი, არისტოკრატული ოჯახის ქალიშვილი ან ქმრიანი ქალბატონი. ეს სიყვარული იყო პროვანსელი ტრუბადურების ლირიკის მთავარი თემა XI-XIII საუკუნეებში.

ასეთი ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობად ევროპელი მკვლევარები აყენებდნენ სხვადასხვა ვერსიას, მაგ., არაბული, ბედუინური ლირიკის გავლენის; ლათინური (რომაულ-ბიზანტიური) მწერლობიდან მომდინარეობის; ქრისტიანული მისტიციზმის, ღვთისმშობლის კულტის მიბაძვისა და

სხვ., მაგრამ ეს ვარაუდები მყარ არგუმენტებსა და დამაჯერებლობას მოკლებულია.

„კურტუაზული სიყვარულის“ წარმოშობისა და მისი იდეოლოგიურად გამართლების საფუძვლად უნდა ჩაითვალოს პროვანსის სოციალური ურთიერთობა, მისი თვითმყოფადი მაღალი კულტურა, რომელმაც განაპირობა ახალი, ამაღლებული წარმოდგენა ქალზე, როგორც სათაყვანო არსებაზე, რომლის სიყვარული მამაკაცსაც აკეთილშობილებს და აღამაღლებს. გ.ა

**609. С. Б. Серебряков**

**К вопросу о месте Руставели в истории мирового эпоса**

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1974, გვ. 44-46 (მოგვყავს შემოკლებით).

რუსთაველის პოემა წარმოადგენს, თუმცა ძალიან განზოგადებულად, ფეოდალურ ურთიერთობათა აპოლოგიას. მასში გამოიყოფა სამი ძირითადი პლასტი: ა) ეპიკურ-ტრადიციული, განპირობებული შუა საუკუნეების მკითხველის გემოვნებითა და მოთხოვნილებით; ბ) პოეტის თანამედროვე სინამდვილის ალეგორიული გააზრება, რომლის მხატვრული ამოცანაა თამარ მეფის შექება-განდიდება; გ) დიდი პოეტის გენიალური მხატვრული ინტუიციით წინასწარგამოვლენა ახალი რომანის ძირითადი ნიშნებისა, რაც იმ დროისათვის შორეული მომავლის საქმე იყო (ზეამოცანა – თავისუფალი პიროვნების წარმატებათა ჩვენება და მისი აპოლოგია).

რუსთაველი ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ ახალი რომანის ერთ-ერთ დამწყებად; მან გენიალურად შეძლო შუასაუკუნეების სარაინდო რომანში შეეტანა ახალი რომანის ზოგიერთი ელემენტი, რითაც ის გახდა ახალი დროის პოეტი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. გ. ა.

610. რიმა ფირცხალაიშვილი

ვეფხისტყაოსნის პოეტური ფრაზეოლოგიიდან

„ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, კრებ. VI, თბ., 1974, გვ. 175-190.

მკვლევარი ასახალებს მხატვრულ გამოთქმებში გამოყენებულ სიტყვა-ცნებებს: მზე – პერსონაჟის გარეგნული მშვენიერების გამომხატველ მეტაფორად ან ეპითეტად; ლომი – ფიზიკური სიძლიერის, გმირული შემართების აღსანიშნავად. ძვირფასი ქვები გამოყენების არე ძალიან ფართოა; მეტაფორულ ეპითეტად მათი გამოყენებისას ზოგჯერ საზღვრული საგანიც მეტაფორულადაა გააზრებული (გიშრის ტბა, გიშრის შუბები, გიშრის ნავი, გიშრის ტალა, ბროლის ველი, ბროლის ყორე, ბროლის ფიცარი და სხვ.).

პოემის გმირთა სულიერი განცდები – ტანჯვა, მწუხარება სათანადოდ აისახება სახის ფერში. ასეთ შემთხვევაში ბროლისა და ვარდის ფეროვანებას უპირისპირდება ამარტის, ზაფრანის, ქარვის, ლაჟვარდის, ლილის ფერები.

ნარკვევში მსჯელობა არის თითქოს ბუნდოვან, შინაარსის ძნელად გასააზრებელ სტრიქონებზე: „ბროლ-სადაფნი მარგალიტსა ლალისფერსა სცვენ და ჰბურვენ“ (856,1); „ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა“ (134,2) და სხვ.

ავტორის აზრით, 856,1 EFIR და J ხელნაწერებზე დაყრდნობით ასე უნდა გასწორდეს: „სად სადაფნი მარგალიტსა ლალისფერად სცვენ და ჰბურვენ“. (შდრ. ანოტ. № 527a) გ. ა.

610**a**. მ. ქართველიშვილი

გამოიცა შვეიცარიაში

(„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გერმანული თარგმანი)

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1974, 18 დეკ., № 294, გვ. 4.

ინფორმატორი იუწყება, რომ შვეიცარიაში, ქ. ციურიხში, დაიბეჭდა ქართველოლოგი ქალის რუთ ნოიკომის მიერ გერმანულ ენაზე პროზაულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“. მხოლოდ პოემის „დასაწყისი“ გაწყობილია თავისუფალი ლექსით და გადატანილია თხზულების ბოლოს.

წიგნს ერთვის მთარგმნელის ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი შოთა რუსთაველზე და მის თხზულებაზე. აგრეთვე ტექსტში ჩართულია მინიატურები მ. თავაქარაშვილის ხელნაწერიდან. გ. ა.

611. ქრონიკა და ინოფრმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1974, №3, გვ. 197-208; № 4, გვ. 203-216.

ინფორმაციაში მოცემულია კომისიის მიერ გაწეული მუშაობის მოკლე ანგარიში, მისი შექმნიდან (27.IX.1962) 1974 წლის აპრილამდე; დასახელებულია ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის შემადგენლობა, პოემის აკადემიური ტექსტის დადგენის პრინციპები, „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ხელნაწერებისა და გამოცემების ახალი, კომისიის მიერ მიღებული, ლიტერები.

ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობას 1962-1973 წლებში ხელმძღვანელობდა აკად. გიორგი წერეთელი. მისი გარდაცვალების (9.IX.1973) შემდეგ — ალექსანდრე ბარამიძე. მთავარი რედაქტორის მოადგილე იყო სარგის ცაიშვილი.

მთ. რედაქციის წევრები შეთანხმდნენ, რომ შედგეს ყოველი სამუშაო სხდომის ანგარიში ოქმის სახით, რაც პერიოდულად გამოქვეყნდება ჟურ. „მაცნეში“. ოქმების შედგენა დაევალა სწავლულ მდივანს გურამ კარტოზიას. ჟურნალის მესამე ნომრიდან იწყება ამ ოქმების პუბლიკაცია. მასში დაბეჭდილია №№ 163-183 სტროფების ტექსტის კრიტიკული განხილვის ამსახველი მასალა.

„მაცნეს“ მე-4 ნომერში დაბეჭდილია ოქმების გაგრძელება — №№ 184-220 სტროფებზე მსჯელობის ანგარიში. გ. ა.

612. შოთა ქურდაძე

„ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა

გაზ. „სახალხო განათლება“, 1974, 22 მაის., № 41, გვ. 3.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემას (თბ., 1974), რომლის ტექსტი მოამზადა, შესავალი და კომენტარები დაურთო პროფ. ნოდარ ნათაძემ. რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ეს გამოცემა თავისი განმარტებებითა და კომენტარებით ყველაზე სრულია აქამდე არსებულ პოემის კომენტარებს შორის, მიუთითებს ზოგიერთ ტექსტობრივ (ლექსიკურ) განსხვავებაზე პოემის 1966 წლის საიუბილეო გამოცემასთან შედარებით. მისი აზრით, სასკოლო გამოცემა სტროფული შედგენილობის მხრივ უფრო დახვეწილი უნდა იყოს; მოსწავლეებს უნდა მიეწოდოს მხოლოდ რუსთაველის ტექსტი და არა საორჭოფო ჩანართები.

ამ შენიშვნის მიუხედავად, აღნიშნული გამოცემა რეცენზენტს საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნია არა მარტო მოსწავლეებისათვის. გ. ა.

613. ს. ყაუხჩიშვილი, ს. ჯიქია, თ. გამყრელიძე, კ. წერეთელი

მეცნიერული კამათი თუ ცილისწამება?

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1974, 18 ოქტ., № 42, გვ. 3.

ავტორები ეხმაურებიან აკაკი გაწერელიას წიგნს „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი“ (თბ., 1974), აღნიშნავენ, რომ მთელი წიგნი მიმართულია აკად. გიორგი წერეთლისა და მისი ნაშრომის — „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ — წინააღმდეგ. წიგნის ავტორი გ. წერეთელს უწოდებს „სიყალბის“, „სიცრუის“, „პლაგიატის“ ჩამდენს, მის ნაშრომს კი „კომიკურს“, „პროსოდიულ პაროდიას“, „აზროვნების ანომალიას“ და ა. შ.

გ. წერეთელმა უარჰყო ქართული ლექსის სილაბურ-ტონურობის თეორია, რომლის მიხედვით ლექსის კონსტიტუციურ ელემენტად ითვლება მახვილი, ხოლო ტაეპის მთავარ სიდიდეებად – ორ და სამმარცვლიანი ტერფები — ქორე და დაქტილი. გ. წერეთელმა „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე დაამტკიცა, რომ მახვილი არ განსაზღვრავს ქართული ლექსის მეტრს. 16-მარცვლიანი შაირის ძირითადი სიდიდეებია რვამარცვლიანი კარედები, რომლებიც მაღალ შაირში იყოფა 4-მარცვლიან სეგმენტებად, დაბალ შაირში კი 3 და 5 ან 5 და 3-მარცვლიან ელემენტებად (მუხლებად). ქართული ლექსის ასეთი აგებულება ადრეც ჰქონდათ შენიშნული მ. ბარათაშვილს, ნ. მარს, ვ. ბერიძეს, პ. ინგოროყვას, გ. გაჩეჩილაძეს და სხვებს, თუმცა ამის მეცნიერულად დასაბუთება არავის მოუცია. სწორედ ესაა გ. წერეთლის უდიდესი დამსახურება ქართული და ზოგადი ვერსიფიკაციის კვლევის საქმეში, რომ პირველად მან დაასაბუთა ქართული ლექსის სილაბური სტრუქტურა.

წერილის ავტორების დასკვნით, გ. წერეთლის მიმართ წაყენებული „ბრალდებები“ უსაფუძვლოა, არსებითად არ ეხება პრობლემას და მიზნად ისახავს ცნობილი მეცნიერის სახელის დისკრედიტაციას. გ. ა.

614. აკაკი შანიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები

თსუ-ს შრომები, ***B 8-9 (155-156)***, 1974, გვ. 440. აგრ. კრებ. „ალ. ბარამიძეს – დაბადების 70 წლისთავზე“, 1974, გვ. 237-242.

ავტორი ძირითადად პოემის ტექსტის ორ ადგილს ეხება. მისი აზრით, შესასწორებელია პოემის უკანასკნელი საიუბილეო გამოცემის 986-ე სტროფი, სადაც გვხვდება სიტყვა „მუდამ“:

„მას მუდამ ძველი ცეცხლი სწვავს, არ ახალ, არ ახლებია“.

არაბული წარმოშობის სიტყვა „მუდამ“ მხოლოდ ამ კონტექსტშია „ვეფხისტყაოსნის ტექსტში. სხვა შემთხვევაში ამავე მნიშვნელობით ნახმარია „ნიადაგ“ ან „მიწყივ“.

ზოგიერთი ხელნაწერის ჩვენებაზე დაყრდნობით ა. შანიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ „მუდამ“ გადამწერთა მიერ შეტანილი სიტყვა უნდა იყოს რუსთველის პოემაში, მანამდე კი ზემოხსენებულ სტროფშიც, ალბათ, „მიწყივ“ იქნებოდაო.

„ვეფხისტყაოსნის“ 784-ე სტროფის მესამე ტაეპში სარითმო ერთეულად წარმოდგენილია სიტყვა „ეშვდინების“, რომელიც სხვადასხვა ფორმით გვხვდება როგორც ხელნაწერებში, ისე გამოცემებში: 1. ეშვდინების (ეშვიდნების, ეშვინდების), 2. დაშვენდების (უშვენდების, ეშვენების), 3. იამების (ეამე-ბის).

ავტორის აზრით, მეორე და მესამე რიგის ვარიანტები პირველის თავისებური გააზრებისა და შეცვლის ცდას წარმოადგენს, რაც გადამწერთა ჩარევის შედეგია. სწორი, რუსთველისეული ფორმა პირველი რიგის ვარიანტებშია საძიებელი. უკანასკნელი საიუბილეო გამოცემის რედაქციამ უპირა-ტესობა მიანიჭა ფორმას „ეშვდინების“, რომელსაც ახსნა ეძებნება ქიზიყურ დიალექტში გავრცელე-ბული მსგავსი სიტყვის საფუძველზე (ეშვდინება — ჰგუობს, შეიფერებს).

ა. შანიძემ წარმოადგინა საცილობელი ადგილის სხვაგვარი გააზრებაც. მისი ფიქრით, აქ უნდა ყოფილიყო ორი სიტყვა: ეშკით (ეშყით; ეშხით) დნების (შემდგომ, კ-სა და ვ-ს გრაფიკული აღრევის ნიადაგზე – ეშვით დნების, აქედან კი – ეშვიდნების). ნ. მ.

615. გურამ შარაძე

პოეტის თუ შაჰის პორტრეტი?

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება, 1974, № 11, გვ. 69-71.

ავტორი წერს, რომ 1872 წელს პეტერბურგის ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა წერილი ქართულ ლიტერატურაზე Н. Б-ს ხელმოწერით, აგრეთვე – სპარსული ყაიდის მინიატურული პორტრეტი, ორ-თავიანი არწივის გერბით, რომელსაც მიწერილი ჰქონდა: „შოთა რუსთაველი“.

ავტორის თქმით, ადრეც ცნობილი იყო, რომ ეს კომპოზიცია ნაყალბევია და საერთო არაფერი აქვს რუსთაველის ე. წ. ზაზასეულ ხელნაწერში არსებულ სურათთან. ახლა აუცილებელი გახდა საკითხის უფრო დეტალური განხილვა. დგინდება, რომ აღნიშნულ პორტრეტზე გამოსახულია ირანის შაჰი ჰუსეინი (1692-1722), ხოლო რუსთველის „საგვარეულო გერბად“ გასაღებული ემბლემა ქართველ მეფეთა — ბაგრატიონთა გერბია. გ. ა.

616. სარგის ცაიშვილი

ვეფხისტყაოსნის სათაურის უცხო ენებზე თარგმნის გარშემო

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1974, 8 იანვ., № 4, გვ. 3.

ავტორი წერს: მკვლევართა უმრავლესობის აზრით, რუსთაველის პოემაში ხსენებული „ვეფხი“ არის იგივე, რაც „ლეოპარდი“, „პანტერა“, ე. ი. ხალებიანი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან. ამავე ოჯახის მეორე ცხოველი, რომელსაც ზოლებიანი ტყავი აქვს, ძველ ქართულ წყაროებში ცნობილია „ვიგრის“, „ტიგრის“ ან „ჯიქის“ სახელით. პირველ რუსულ და სხვა თარგმანებში „ვეფხი“ თარგმნილი იყო როგორც „ბარსი“ ან „ლეოპარდი“.

საკითხის ისტორიის შესწავლით გაირკვა, რომ ცნებათა „ჯიქი“, „ვეფხი“— შენაცვლება მოხდა ახლო წარსულში და თანამედროვე ქართულში უკვე „ვეფხი“ „ტიგრს“ უდრის, ხოლო „ჯიქი“ — „ლეოპარდს“, „პანტერას“ ნიშნავს. მეცნიერული სიზუსტე მოითხოვს, რომ ძველი ძეგლების ცნებები და ტერმინები ისე გავიგოთ, როგორც ისინი მათ ავტორებს ესმოდათ. ამიტომ რუსთაველის „ვეფხი“ რუსულად უნდა ვთარგმნოთ „ბარს“-ად, ხოლო „ჯიქი“ — „ტიგრად“, და ასევე, შესაბამისად სხვა

უცხო ენებზეც. გ. ა.

617. ს. ცაიშვილი

ნაშრომები ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობაზე

წიგნში — „შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილი“, თბ., 1974, გვ. 301-335.

წერილის ერთი ნაწილი ეხება მ. გიგინეიშვილის საკანდიდატო დისერტაციას „რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის“ (1969 წ.). ავტორი დადებითად აფასებს მ. გიგინეიშვილის ნაშრომს, რომლის მიზანია რუსთაველის მსოფლმხედველობის იდეური წყაროების დადგენა. კერძოდ, საქმე ეხება შ. რუსთაველის დამოკიდებულებას შუა საუკუნეებში არსებულ რელიგიურ სისტემებთან. ავტორი ეთანხმება დისერტანტის მტკიცებას, რომ შ. რუსთაველს ღრმად ჰქონდა ათვისებული ქრისტიანობის არა მხოლოდ გარეგნული (ეგზოტერული), არამედ შინაგანი ფარული (ეზოტერული) ცოდნა, რომ ეზოტერული მოძღვრების საფუძველზე უფრო გასაგები ხდება პოემაში ხმარებული ცნებები და გამოთქმები: „სამი მზე“, „არსად შემოსვლა“, „სულთა სირა“, „მზიანი ღამე“, „უჟამო ჟამი“ და სხვ. აგრეთვე მართებულად მიაჩნია რუსთაველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ წყაროდ არეოპაგიტიკის აღიარება და დებულებაც, რომ არეოპაგიტიკა არ იყო ქრისტიანობის ოპოზიცია. მაგრამ, ს. ცაიშვილის აზრით, მ. გიგინეიშვილი მეტ დატვირთვას ანიჭებს ეზოტერიზმს და საერთოდ, ქრისტიანულ რელიგიას, ვიდრე ეს ფაქტიურად წარმოდგენილია ვეფხისტყაოსანში. „რუსთველისთვის უცხოა ის ძირითადი მოტივები, რომლებიც მსჭვალავენ ქრისტინობას. მაცხოვრობის, ადამიანის თანდაყოლილი ცოდვისა და ამქვეყნიური არარაობის განცდა რუსთველისათვის დაძლეული პრობლემაა“ (311).

წერილის მეორე ნაწილი ეხება ელგუჯა ხინთიბიძის სადოქტორო დისერტაციას „მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სისტემაში“ (1971 წ.). ავტორი ამ ნაშრომს რუსთველოლოგიის მნიშვნელოვან შენაძენად თვლის, განსაკუთრებით მის მეორე თავს: „უზენაესი არსება ვეფხისტყაოსანში“ (სადაც განხილულია ცნებები: „მზე-ქრისტე“, „მზიანი ღამე“, „უჟამო ჟამი“, „ერთ არსება ერთი“, „სახე ყოვლისა ტანისა“) და მეოთხე თავს: „რუსთაველის ადგილისათვის შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში“.

წერილის ავტორი არ ეთანხმება ე. ხინთიბიძის ზოგიერთ დებულებას, მაგ.: რომ რუსთაველი, თავისი აღმსარებლობით ქრისტიანი პოეტი, მისი ნაწარმოებით თითქოს ფაქტიურად ემიჯნება ქრისტიანობას და ემყარება არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ XII წიგნში წარმოდგენილ თვალსაზრისს (ასტროლოგიურ შეხედულებებში).

2. არისტოტელეს მიერ შემუშავებული ეთიკური პრინციპით – ორ უკიდურესობას შორის „საშუალოს არჩევით“ – რუსთაველის გმირების მოქმედების განსაზღვრა რეცენზენტს დაუჯერებლად და ხელოვნურად მიაჩნია.

3. ნაშრომის ნაკლად მიაჩნია ასტროლოგიური პასაჟების ძიება იქ, სადაც ისინი არ არის; აგრეთვე — პოემის ტექსტის არასწორად გაგება, რასაც მცდარი დასკვნები მოსდევს (სტრ. 627-628, 1414).

4. მიუთითებს, რომ გამოთქმების — „მთვარის მოვანება“, „მოცალეობა“, „ძალნი ზეციერნი “— შინაარსი ან ეტიმოლოგია სწორად არ არის წარმოდგენილი. გ. ა.

618. ს. ცაიშვილი

შენიშვნები ერთი წერილის გამო

ჟურ. „საბჭოთა სამართალი“, 1974, № 1, გვ. 63-65.

ავტორი ეხება ჯ. ბაქრაძის წერილს, სადაც გაზვიადებულად არის წარმოდგენილი რუსთაველის შეხედულებები სამართალზე, თითქოს მან მეტი გააკეთა სამართლებრივი დოქტრინების შემუშავებაში, ვიდრე შუა საუკუნეების ყველა ფილოსოფოსმა და სამართლის მცოდნემ.

ავტორი აღნიშნავს, რომ ჯ. ბაქრაძე არ ითვალისწინებს პოემის ტექსტის კვლევის თანამედროვე ვითარებას და ყალბი სტროფის საფუძველზე აკეთებს ზოგად დასკვნას, — ჩანართი სტროფის („მოვიდიან შესამკობლად“) შესახებ ამბობს, თითქოს იგი ყველაზე მეტად ავლენდეს რუსთაველის ჰუმანიზმს. გ. ა.

619. ს. ცაიშვილი

შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილი

(ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან), თბ., 1974.

როგორც წიგნის სათაური მიგვანიშნებს, მასში განხილული საკითხები მოიცავს პერიოდს რუსთაველის ეპოქიდან დ. გურამიშვილის დრომდე. რუსთაველისა და მისი პოემისადმი მიძღვნილ ნარკვევებში განხილულია პოეტის ბიოგრაფიის, მსოფლმხედველობის, მხატვრული ოსტატობისა და „ვეფხისტყაოსნის" ტექსტოლოგიური პრობლემები. კერძოდ, ასეთებია:

1. „დიდი პოეტი და ჰუმანისტი". პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „მაცნეში", 1966 წ., № 5 (ანოტაცია იხ. ბიბლიოგრაფიის III წიგნში).

2. „შოთა რუსთაველი" (ბიოგრაფიული ესკიზი). პირველად დაიბეჭდა ჟურ. „მნათობში", 1966 წ., № 2 (ანოტაცია იხ. ბიბლიოგრაფიის III წიგნში).

3. „რუსთაველის პოეტიკა"(იხ. ანოტაცია ბიბლიოგრაფიის III წიგნში).

4. „პირველი ლექსიკოგრაფიული შრომები ვეფხისტყაოსანზე". მოკლე ვარიანტი დაიბეჭდა 1966 წ. (იხ. ანოტაცია ბიბლიოგრაფიის III წიგნში). გამოკვლევა შევსებულია ახალი მასალებით და ერთვის ორი ხელნაწერის (A-855 და S-4732) ლექსიკოლოგიური მასალა.

5. „რუსთველოლოგიური შენიშვნები". იხ. ანოტაცია № 2684 (ბიბლიოგრაფიის II წიგნში).

6. „შოთას პორტრეტი ქვაბისხევის ბაზილიკაში". იხ. ანოტაცია № 3535 (იქვე).

7. „ვეფხი" და „ჯიქი" ვეფხიტყაოსანში. იხ. ანოტაცია № 3536 (იქვე).

8. ოლივერ უორდროპის წერილი „ვეფხისტყაოსანზე" (იხ. ანოტაცია ბიბლიოგრაფიის III წიგნში).

9. „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების"... (იხ. ანოტაცია აქვე, № 162).

10. ნაშრომები ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობაზე" (იხ. ანოტაცია აქვე № 617).

11. შენიშვნები ერთი წერილის გამო" (იხ. ანოტაცია აქვე, № 618). გ. ა.

620. ს. ცაიშვილი

წინასიტყვაობა წიგნისა — ვუკოლ ბერიძე, „ვეფხისტყაოსნის კომენტარი", თბ., 1974 (იქვე, გვ. 3-7).

ავტორი აღნიშნავს ვ. ბერიძის უდიდეს ღვაწლს ქართული ლექსიკოლოგიის განვითარებასა და ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში, რომ იგი მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა მეცნიერებისა და წარმოების სხვადასხვა დარგში ქართული ტერმინოლოგიის დამკვიდრებას.

მისივე თქმით, ვ. ბერიძე ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაინტერესდა „ვეფხისტყაოსნის" ენით, იგი მონაწილეობდა პეტერბურგში ნიკო მარის რუსთველოლოგიურ სემინარებში, 1935-1937 წლებში კი ინტენსიურად მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო გამოცემის ტექსტის დადგენაში. მას მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს დაბეჭდილი შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და მისი თხზულების ტექსტის სხვადასხვა პრობლემის შესახებ. „ვეფხისტყაოსნის" განმარტება, რომელიც წინამდებარე წიგნში პირველად ქვეყნდება, მეცნიერის პირად არქივში აღმოჩნდა. მას ეს დიდი და შრომატევადი სამუშაო შეუსრულებია 1937-1950 წლებში. აქ ცალკეული სტროფების მიხედვით წარმოდგენილია ტექსტოლოგიური თუ სხვა სახის ფილოლოგიური დაკვირვებანი. „განმარტება" ემყარება 1937 წლის გამოცემის ტექსტს. იგი დაუმთავრებელია, წყდება 1212-ე სტროფის კომენტარით.

ნაშრომი იბეჭდება უცვლელად, გასწორებულია მხოლოდ აშკარა ლაფსუსები, რიგ შემთხვევაში დაზუსტებული და შევსებულია წყაროთა მათითებელი. გ. ა.

621. ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VI, თბ., „მეცნიერება", 1974.

კრებული გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გრიფით. მასში დაბეჭდილია: მანუჩარ ანთაძის, მერი გუგუშვილის, ბორის დარჩიას, გივი მიქაძის, შერმადინ ონიანის, რიმა ფირცხალაიშვილის რუსთველოლოგიური გამოკვლევები.

ანოტაციები გაკეთებულია ცალ-ცალე, იხ. ავტორების მიხედვით. გ. ა.

622. იზოლდა წაქაძე

ვეფხისტყაოსნის ერთი ჯგუფის ხელნაწერთა ურთიერთმიმართებისათვის

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტისა და ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს I რესპ. სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1974, გვ. 14-15.

1. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ერთი ჯგუთი – K, O, G[1] ერთმანეთთან ახლოს დგანან, რაც კარგახანია შენიშნული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში.

2. ხელნაწერთა ურთიერთშეჯერებამ გვიჩვენა: ა) O მომდინარეობს K–სგან; ბ) G[1] გადაწერილია O-დან მას შემდეგ, როცა O-ს ნაკლული ადგილები უკვე აღდგენილი იყო; გ) O ხელნაწერის დაზიანებული ადგილები შევსებული ჩანს ვახტანგისეული ტექსტიდან ან მისი მსგავსი რედაქციიდან.

3. ხელნაწერთა ეს მიმართებები გათვალისწინებული უნდა იქნას ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის დროს.

623. ელგუჯა ხინთიბიძე

„სახე ყოვლისა ტანისა“

თსუ-ს შრომები, ***B 8-9 (155-156)***, 1974, გვ. 444-445.

ე. ხინთიბიძე იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სტროფის პირველი ტაეპის ახლებურ გაგებას. იგი ამ ტაეპში ფიქსირებული ცნებების — „სახისა“ და „ტანის“ მნიშვნელობების დადგენას ცდილობს ბერძნული ენიდან თარგმნილ ძველ ქართულ ფილოსოფიურ ძეგლებში მათი შესატყვისი ბერძნული სიტყვებით. ავტორის აზრით, ამ კონტექსტში ცნება „სახე“ ნიშნავს ფორმას, ანუ საგნის სახეს, არსებას, დედარსს, ხოლო „ტანი“ — სხეულს, ძველი ქართულით, გუამს. ამგვარად, რუსთველი ამბობს, რომ ღმერთი არის შემქმნელი ყოველი სხეულის ფორმისა. სხეულის ფორმას კი ძველი და შუა საუკუნეების მეტაფიზიკური აზროვნება უწოდებდა „სულს“. სულის ამგვარი განმარტება პირველად გვხვდება არისტოტელეს ტრაქტატში „სულის შესახებ“. ნ.მ.

624. გიორგი ჯაფარიძე

გლოვის ერთი ტერმინი „ვეფხისტყაოსანში“

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტისა და ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1974, გვ. 33 (მოგვყავს სრულად).

„ვეფხისტყაოსნის“ 1625-ე სტროფის პირველ ტაეპში იკითხება:

„დიდებულნი მოეხვივნეს, მოუზრუნვეს მათ ცოლ-ქმართა“.

სიტყვა „მოუზრუნვეს“ უნდა ნიშნავდეს – ზრუნი უთხრეს, ზრუნით იტირეს.

დატირების ერთ-ერთი სახე – ზრუნი დასტურდება მთარაჭის ცოცხალ ყოფაში. ზრუნით დატირებას „დაზრუნება“ ჰქვია. ზრუნს გლოვის მგოსნები ასრულებენ 4-5 ბანის თანხლებით.

## 1975 წელი

625. ლია ანდღულაძე

ერთი უსაფუძვლო რეპლიკისა და მისი ქვეტექსტის გამო

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1975, № 1, გვ. 174-177.

ავტორი უპასუხებს პროფ. ი. მეგრელიძის რეპლიკას — „წიგნი სასარგებლოა, მაგრამ...“ (გაზ. „კომუნისტი“, 1973, 29 სექტ.), რომელიც შეეხება ლ. ანდღულაძის წიგნს „ბალმონტი და საქართველო“ (თბ., 1972). ავტორი წერს: „ი. მეგრელიძე ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, თითქოს ჩვენს წიგნში წარმოდგენილი არ იყოს ვეფხისტყაოსნის არც ბალმონტისეული თარგმანის შექმნის ისტორია და არც საქართველოსთან ბალმონტის ურთიერთობა“ (გვ. 174). მან არასწორად გაიგო ერთი წინდადების აზრი, რომელიც ს. იორდანიშვილის გამოკვლევას ეხება, ამიტომ მცდარი დასკვნა გააკეთა სარეცენზიო წიგნის შესახებ.

ავტორის ვარაუდით, ი. მეგრელიძეს ის აწუხებს, რომ ლ. ანდღულაძემ არ დაიმოწმა მისი წერილები ბალმონტზე, თუმცა მას „რაიმე მეცნიერული ნარკვევი კ. ბალმონტზე, როგორც ვეფხისტყაოსნის მთარგმნელსა და რუსთველის შემოქმედების მკვლევარზე, არ შეუქმნია ... ი. მეგრელიძეს ამ საკითხთან

დაკავშირებით აქვს მხოლოდ ერთი, საცნობარო ჟანრის ოთხგვერდიანი შრომა „კონსტანტინე ბალმონტი“ (წიგნში: „რუსთველოლოგები“, თბ., 1970), კომპილაციური ხაიათის ეს პატარა წერილიც ისე დაუდევრადაა შედგენილი, რომ სავსეა შეცდომებით“ (გვ. 175). ეს ნაშრომი, როგორც ლ. ანდღულაძე წერს, მისთვის ახალსა და უცნობ მასლას არ შეიცავს და ამიტომ არც გამოუყენებია. გ. ა.

**626. А. М. Бабаян**

**Шота Руставели**

Библиографический стравочник, 1712-1970.

*Изд. "Наука", М., 1975, 192 с.*

წიგნი წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ ცნობარს რუსთველოლოგიური ლიტერატურისა და „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების შესახებ. მას წინ უძღვის ავტორის ნარკვევი „შოთა რუსთაველი – საქართველოს დიდი ეროვნული პოეტი“ (გვ. 3-11). მასალა განაწილებულია შემდეგ სათაურებში:

„ვეფხისტყაოსნის“ სრული გამოცემები რუსულ ენაზე (სსრ კავშირში და საზღვარგარეთ).

პოემის შემოკლებული და გადაკეთებული გამოცემები.

პოემის ნაწყვეტები, დაბეჭდილი კრებულებსა და პერიოდიკაში.

შოთა რუსთაველის აფორიზმები (გვ. 12-26).

ლიტერატურა შოთა რუსთაველზე: ა) შოთა რუსთაველი და მისი შემოქმედება; ბ) პოემის თარგმანების შესახებ; შოთა რუსთაველი ხელოვნებაში; შოთა რუსთაველი პოეზიაში (გვ. 27-132).

შოთა რუსთაველის ძირითადი გამოცემები ქართულ ენაზე (გვ. 133-136); ძირითადი გამოცემები სსრკ ხალხთა ენებზე (გვ. 137-145); პოემის ძირითადი გამოცემები უცხო ენებზე (სსრკ-ში და საზღვარგარეთ, გვ. 146-151).

წიგნს ახლავს დანართი: გამოყენებული ლიტერატურა და პერიოდიკა; სახელებისა და საგნობრივ-თემატური საძიებლები. გ. ა.

**626а. Т. Баймагамбетов**

**Шота Руставели на казахском языке**

გაზ. „*Заря Востока*“, 1975, 12 იანვ., № 10, გვ. 4.

მოკლე ინფორმაციაში ავტორი იუწყება, რომ ალმაატის გამომცემლობაში „ჟაზუში“ 40-ათასიანი ტირაჟით იბეჭდება შოთა რუსთაველის პოემის სრული ტექსტი ყაზახურ ენაზე. თარგმანი ეკუთვნის ხამზა აბდულინს. ამ გამოცემისათვის წინასიტყვაობა დაწერა აკადემიკოსმა გაბიტ მუსრეპოვმა. გ. ა.

627. ჰრაჩია ბაირამიანი

შოთა რუსთაველი რევოლუციამდელ სომხურ პრესაში

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1975, 28 თებერვ., № 9, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ სომხურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მთარგმნელი იყო ექიმი და ლიტერატორი სტეფანე ბასტამიანი. მისი თარგმანი „სარგისის“ ხელმოწერით დაიბჭდა ჟურნალში „კრუნკ ჰაიოც აშხაორინ“ 1860-62 წლებში. რუსთაველის პოემა თარგმნილი იყო თბილისის სომხურ დიალექტზე, რაც გასაგები და მისაღები აღმოჩნდა იმდროინდელი მკითხველისათვის.

1896 წელს ჟურნალ „მურჭში“ (№ 4) დაიბეჭდა რ. მირიმანიანის გამოკვლევა შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მე-5 ნომერში კი გამოქვეყნდა მისივე პროზაული თარგმანი პოემისა, რომელიც იმავე წელს წიგნადაც გამოვიდა.

ვ. ტერიანმა ბრწყინვალედ თარგმნა პოემის შესავლის ერთი ნაწილი. „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანი გ. ასატურისა გამოიცა 1937 და 1966 წლებში. ამჟამად ახალ თარგმანზე მუშაობს ოვ. კარაიანი. გ. ა.

628. ალექსანდრე ბარამიძე

შოთა რუსთველი

მესამე შევსებული გამოცემა, თბ., 1975. 486 გვ.

წიგნში სისტემურად გაშუქებულია რუსთველოლოგიური პრობლემატიკის ყველა ძირითადი საკითხი — „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღი, ავტორის ვინაობა, ფაბულის წყარო, სიუჟეტი, კომპოზიცია, ჟანრი, პერსონაჟები, იდეურ-თემატიკური მოტივები, მხატვრული ენის თავისებურებანი, მსოფლმხედველობა.

განხილულია აგრეთვე პოემის თარგმანები და რუსთველის ადგილის საკითხი ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

წინა გამოცემებთან (1958, 1966) შედარებით, წიგნი შევსებულია იმ მასალით, რაც 1965 წლის შემდეგ გამოქვეყნდა, განსაკუთრებით რუსთველის ვინაობისა და პოემის უცხო ენებზე თარგმანების შესახებ (იხ. პირველი გამოცემის ანოტაცია „ბიბლიოგრაფიის“ II ტომში, № 2557). გ. ა.

629. ალ. ბარამიძე

ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

VI, თბ., „მეცნიერება“, 1975.

წიგნში სხვა ნაშრომებთან ერთად დაბეჭდილია რუსთველოლოგიური გამოკვლევები:

1. პოეტური მეტაფორის ენა და ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხი (გვ. 30-44). ადრე დაბეჭდილი იყო შემოკლებით: „კრიტიკა“, 1972, № 1 (იხ. ანოტ., № 472).

2. შოთა რუსთველი და ქართველთა ჯვარის მონასტერი იერუსალიმში (გვ. 45-81). იხ. „ბიბლიოგრაფიის“ III ტომში.

3. ვეფხისტყაოსნის ფაბულის თაობაზე (გვ. 82-93). (იხ. ანოტ. № 416).

4. Из истории одного перевода поэмы Руставели на русский язык (გვ. 94-100). ეხება შ. ნუცუბიძის თარგმანს და მასში ი. სტალინის მონაწილეობას.

5 ვაჟა-ფშაველას რუსთველოლოგიური ნააზრევი (გვ. 110-120), იხ. „ბიბლიოგრაფიის“ II ტომში ანოტ. № 2821. გ. ა.

630. ალ. ბარამიძე

რუსთველის იერუსალიმური სურათის გამო
(მცირე განმარტება)

ჟურ. „მაცნე“ (ელს), 1975, №1, გვ. 168-171.

სტატია შეიცავს კრიტიკულ შენიშვნებს ბორის კანდელაკის წერილის („კვლავ რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის შესახებ“, „გაზ. „ლიტ. საქ.“, 17.5.1974) მიმართ. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ბ. კანდელაკი რუსთველის პორტრეტებთან დაკავშირებულ ისტორიას არასწორად, ტენდენციურად წარმოგვიდგენს. ჯერ კიდევ 1958 წელს (გაზ. „კომუნისტი“, 12.X) წერდა, თითქოს მან აღმოაჩინა შოთა რუსთველის პორტრეტი ნიკო ჩუბინაშვილის ნაწერებში. სინამდვილეში კი ნ. ჩუბინაშვილის კრებულის (და შიგ ჩართული სურათების) აღწერილობა ბეჭდურად გამოქვეყნდა 1955 წ., ბ. კანდელაკის ღვაწლი მხოლოდ ის იყო, რომ მან პირველმა გამოაქვეყნა რუსთველის პორტრეტის ჩუბინაშვილისეული ჩანახატი.

ბ. კანდელაკს მოჰყავს ზეპირი გადმოცემა (როგორც ისტორიული ფაქტი, შენიშვნისა და დაეჭვების გარეშე), რომ შოთა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში, ბერად შემდგარა. მას თან წაუღია თავისი ქონება და მონასტრისთვის შეუწირვს... ამის სანაცვლოდ მონასტრის ერთ სვეტზე შოთას პორტრეტი დაუხატავთ. რეალურად კი შოთას ბერობა არაფრით მტკიცდება. წერილობითი დოკუმენტების არარსებობის გამო იმის გარკვევაც შეუძლებელია, თუ რა წვლილი მიუძღვის შოთა რუსთველს ჯვრის მონასტრის შეკეთებაში, ან ვინ და როდის დახატა შოთას სურათი მონასტრის სვეტზე. გ. ა.

631. ალ. ბარამიძე

წერილი რედაქციას

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1975, 10 ოქტ., № 41, გვ. 4.

მიმართვა ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ჰ. ბუდენზიგისეული თარგმანის ზოგიერთ მხარეს, კერძოდ, აღნიშნულია, რომ მთარგმნელი იყენებდა მიხ. წერეთლის მიერ შესრულებულ პროზაულ თარგმანს გერმანულ ენაზე, რომელიც 1956 წლიდან ინახებოდა საქ. მეცნ. აკადემიის ქართული ლიტერატურის ინს-

ტიტუტში. აქვე შეიქმნა რუსთველოლოგთა და გერმანისტთა სპეციალური კომისია, რომელიც ამოწმებდა მ. წერეთლის თარგმანს და თანდათანობით აწვდიდა ბუდენზიგს შესწორებულ „პწკარედს".

1970 წელს ჰ. ბუდენზიგმა მისსავე ორგანოში „მიცკევიჩ ბლეტტერ" გამოაქვეყნა პოეტური თარგმანის მოზრდილი ნაწილი, 1972 წელს კი იმავე ჟურნალში დაბეჭდა წერილი რუსთაველზე და პოემის მისეულ თარგმანზე.

1970 წელს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა მიიღო კ. სალიასგან გამოგზავნილი „ვეფხისტყაოსნის" გერმანული თარგმანი მიხ. წერეთლისა იმ განზრახვით, რომ იგი საქართველოში დაბეჭდილიყო. ეს თარგმანი არ ყოფილა გამოყენებული ჰ. ბუდენზიგთან ჩვენი ურთიერთობის დროს. გ. ა.

632. მიხეილ ბინიაშვილი

რუსთაველის შემოქმედება უცხოეთში

ავტორის წიგნში — „ქართული საბჭოთა კულტურის საერთაშორისო კონტაქტების ზოგიერთი საკითხი", თბ., 1975, გვ. 226-234.

ნარკვევში მოცემულია რუსთაველისა და მისი თხზულების შესახებ უცხო ენებზე გამოქვეყნებული წერილებისა და გამოკვლევების ზოგადი მიმოხილვა. დასახელებულია ე. ბოლხოვიტინოვის, მ. ბროსეს, ს. დოდაშვილის, ჟ. მურიეს, ა. ზუტნერის, უ. მორფილის, მ. უორდროპის, რ. სტივენსონის, დ. ლანგის, ა. ლაისტის, კ. პოპოვის, ჰ. ფენრიხის, ი. სიკირიცკის, ლ. სოლანოსა და სხვების წერილები, წიგნები, თარგმანები.

როგორც ავტორი წერს, უცხოეთში ამჟამად დაგროვილია მდიდარი რუსთველოლოგიური მასალა, რომლის საფუძველზე თსუ-ს რუსთველის კაბინეტი გამოსაცემად ამზადებს ხუთტომეულს „რუსთველი მსოფლიო სარბიელზე". გ. ა.

633. ჯუმბერ გაგნიძე

„ვეფხისტყაოსნის" უნგრული თარგმანები

თბ., „მეცნიერება", 1975, 92 გვ.

წიგნი ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის" ორი უნგრული პოეტური თარგმანის (ბელა ვიკარისა და შანდორ ვეორეშის) ფილოლოგიურ შესწავლას. ორიგინალის ტექსტთან თარგმანების სიახლოვის გარკვევასთან ერთად ავტორი განიხილავს ორივე თარგმანს სხვადასხვა ასპექტით.

ბ. ვიკარს რუსთველის პოემა უთარგმნია 1909-1912 წლებში ემიგრანტ გიორგი ცისკარაულის დახმარებით, რომელიც ესპერანტოზე თარგმნიდა ქართულ ტექსტს. ეს თარგმანი დაიბეჭდა 1917 წელს. მკვლევარი აღნიშნავს ამ თარგმანის, როგორც პირველის, უდიდეს მნიშვნელობას ქართული პოეზიისა და კულტურის უნგრელი ხალხისათვის გაცნობის საქმეში; მიუთითებს აგრეთვე ნაკლზე, რაც ხშირად აზრობრივ უზუსტობაში ვლინდება.

მისი აზრით, პოემის ვეორეშისეული თარგმანი (დაიბეჭდა 1954 წ.), შინაარსობრივი ადექვატურობის მხრივ, გაცილებით უფრო ახლოს არის ორიგინალთან.

წიგნში განხილულია აგრეთვე თარგმანების პოეტიკისა და ლექსთწყობის (მეტრის) საკითხები, თარგმანებთან დაკავშირებული სამეცნიერო და კრიტიკული წერილები. გ. ა.

634. ზვიად გამსახურდია

ვეფხისტყაოსნის „ერთარსება" და „მზე – მისი ხატი"

ჟურ. „მაცნე" (ელს), 1975, № 3, გვ. 5-29.

ავტორი ასაბუთებს, რომ „ვეფხისტყაოსნის" 836-ე და 837-ე სტროფებში ნახსენებ „მზიან ღამეს", „ერთარსება ერთს", „უჟამო ჟამსა" და „მზე – ხატი ღმრთისას" ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში მიღებული შინაარსი აქვთ. აღნიშნული ცნებები და ფრაზები რუსთველის პოემაში ქრისტიანული თვალსაზრისით იხმარება, რაც ადასტურებს თვით ავტორის – შოთა რუსთველის ქრისტიანულ მსოფლმხედველობას.

მკვლევრის დასკვნით, „ერთარსება" არის ქრისტიანულ ღვთისმეტყველებასა და ქართულ სასულიერო მწერლობაში გავრცელებული ტერმინი, რომელიც გულისხმობს „სამებას", სამების პირთა ერთარსებობას, ხოლო „ერთი" გულისხმობს ღვთის ერთბუნებოვნებას.

836-837-ე სტროფებში ნახსენები „მზე-ხატი ღმრთისა“ არის არა ფიზიკური მზე – მნათობი, არამედ მზის სული, ქრისტე, ლოგოსი, ძე, რომელიც არის „ხატი ღმრთისა უხილავისა“, ანუ მზიანი ღამისა, ერთარსება ერთისა, უჟამო ჟამისა“. გ. ა.

635. ივანე გიგინეიშვილი
გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ

I, თბ., 1975, 426 გვ.

ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის პრობლემური საკითხები გადაწყვეტილია ერთი მხრივ, კულტურულ-ისტორიული რეალიების მოშველიებით, ხოლო მეორე მხრივ, ენობრივი ანალიზის საფუძველზე. წიგნში თავმოყრილი გამოკვლევები წაკითხული იყო მოხსენებად სხვადასხვა დროს ან იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებსა და სამეცნიერო კრებულებში. მასალა დალაგებული და განხილულია თემატურად, რომელიც შინაარსში ასეა წარმოდგენილი:

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი (ერთი სტროფის ანალიზის მაგალითზე). პირველად დაიბეჭდა 1966 წ., ჟურ. „მაცნე“, № 3, იხ. ანოტ. III ტომში.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის საკითხები (წვერგამო, უაუგო, ხეზი, ვუალნეთ, ჩხნდე). იხ. აქვე, ანოტ. № 527.

ზოგი სამოხელეო ტერმინისათვის „ვეფხისტყაოსანში“, იხ. ანოტ. III ტომში.

ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმათა წარმოების თავისებურებანი. დაიბეჭდა 1966 წ., იბერ-კავკ. ენათმეცნ. XV. იხ. ანოტ. III ტომში.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის წაკითხვისა და გაგებისათვის. დაიბეჭდა 1971 წ., ჟურ. „მაცნე“, № 3. იხ. ანოტ. № 420.

მრავლობითი რიცხვის ფორმათა ზოგი თავისებურების შესახებ, იხ. ანოტ. № 478.

ზმნის პირის ფორმათა აღრევის შემთხვევები პოემის ტექსტში.

სიტყვაწარმოების თავისებურებებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი (განხილულია: როსტომის მკლავუგრძესითა, უმძლესსა, მობურთლობითა, გააყიფნა...).

რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსნის“ ენაში. იხ. ანოტ. №№ 288, 578.

სიტყვათა წყობის ზოგიერთი თავისებურება რუსთაველის ლექსში. იხ. ანოტ. № 580.

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 387-397) და საძიებლები: I. პირთა; II. განხილულ სტროფთა; III. სიტყვაფორმათა და გამოთქმათა. გ. ა.

636. ჯემშიდ გიუნაშვილი

ამირბარი

ჟურ. „მაცნე“ (ისტ., არქ... სერია), 1975, № 4, გვ. 95-101.

ავტორის დაკვირვებით, ტერმინი ამირბარი, რომელიც დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“, აგრეთვე მომდევნო საუკუნეების ქართულ ძეგლებსა და დოკუმენტებში, სპეციალურ ლიტერატურაში სამნაირი გაგებითაა წარმოდგენილი: 1) „მთავარი ჴმელისა“; 2) „ზღვათა სარდალი, ადმირალი“; 3) „სახლთუხუცესი, обергофмейстер; სარდალი“.

ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს ამ მნიშვნელობათა შესაძლებლობას.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში არ დასტურდება მინიშნება იმაზე, რომ ამირბარი და ამირბარობა თავისი მნიშვნელობით უკავშირდება „ხმელეთს“ ან წყალს, ზღვას. ასევეა პოემის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებშიც.

IX-XII საუკუნეებში ამირბარი, ანუ დიდი ჰაჯიბი (ჰაჯიბსალარი, ამირჰაჯიბი, ანუ ჰაჯიბთ ჰაჯიბი, მისი თურქული ეკვივალენტი – ულულბარბეგი) მეფის კარზე უზენაეს თანამდებობად ითვლებოდა და ხშირად ჯარის სარდლისა და ამირბარის თანამდებობები ერთ პიროვნებას ეკავა. ასევეა „ვეფხისტყაოსანში“: „თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირ-სპასალარობა“.

საბოლოოდ ავტორი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ რუსთველის დროინდელი ამირბარის ფუნქციები და მოვალეობანი გაცილებით უფრო ფართო და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ეს ნ. მარსა და ვლ. გორდლევსკის აქვთ განსაზღვრული. ნ.მ.

637. ბორის დარჩია

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით

თბ., 1975, 205 გვ.

წიგნი შედგება წინასიტყვაობის, შესავლისა და ორი თავისაგან, ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე და საძიებლები.

ნაშრომში რედაქციული თვალსაზრისით შესწავლილია „ვეფხისტყაოსნის" დანართი ეპიზოდები – ხატაელთა, ხვარაზმელთა, გმირთა ანდერძები და გარდაცვალების ამბები. ამ მონაკვეთის მიხედვით მოცემულია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კლასიფიკაცია, დადგენილია ძირითადი რედაქციული ჯგუფების ურთიერთმიმართება და წარმომავლობა.

სტროფული შედგენილობისა და თანმიმდევრობის, წაკითხვებისა და სათაურების ადგილის შესწავლის შედეგად ავტორი გამოყოფს გაგრძელებების მონაკვეთზე ოთხ რედაქციულ ჯგუფს (ხელნაწერებს უთითებს „ვარიანტების" ოთხტომეულში მიღებული ლიტერებით):

1. ა ABCUW[1] და სხვა.
2. ბ DQVF[1]L[1]S[1]...
3. გ HJKOTG[1]P[1]...
4. დ EFIRZH[1]N[1]...

ავტორი დაასკვნის, რომ პოემის დანართ ეპიზოდებში ძირითადად იგივე რედაქციული ჯგუფები გამოიყოფა, რაც საკუთრივ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტში. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მთელ პოემას ერთიანი რედაქციული ცვლილებები მას შემდეგ განუცდია, რაც დაემატა ძირითადი გაგრძელებები, მათ შორის, ბოლო თავები – გმირთა გარდაცვალების ამბები.

„ვეფხისტყაოსნის" გაგრძელებებში ძირითად რედაქციულ ბირთვს ქმნის ა რედაქცია. სხვა რედაქციულ ჯგუფებთან ყველაზე მეტი საერთო მას აქვს. გაგრძელებების დედნისეული ტექსტი შედარებით უკეთ არის დაცული ა რედაქციაში და ნაწილობრივ ბ-ში.

გ, დ რედაქციათა ნუსხები ნასწორებია და მომდინარეობს დაახლოებით ისეთი რედაქციიდან, როგორიცაა ა და ბ.

ხვარაზმელთა ამბის ამჟამად ცნობილ ვერსიას საფუძვლად დასდებია სარგის თმოგველის თხზულება, რომელიც შესრულებული ყოფილა ნარევი ტექსტით – პროზითა და ლექსით. უცნობ პოეტს პროზაული ნაწილის გალექსვისას თავ-თავის ადგილას დაუტოვებია დედნისეული ლექსებიც. ავტორს მიაჩნია, რომ ამის შედეგია ხვარაზმელთა ამბავში არსებული სიუჟეტური გამეორებანი.

ტარიელის ანდერძი (სტრ. 2025-2049, 2057-2063) და ტარიელ-ნესტანის გარდაცვალების ამბავი (სტრ. 2064-2069) ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნილი სხვადასხვა ავტორის თხზულება უნდა იყოს.  გ. ა.

638. ბ. დარჩია

ვეფხისტყაოსნის ნაკაშიძისეული ხელნაწერის ტიპის
რედაქციის თავისებურებანი და მისი შექმნის დრო

ჟურ. „მაცნე", ელს, 1975, №3, გვ. 431-52.

ავტორი აღნიშნავს, რომ ერთმანეთთან მსგავსებასა და სხვებისაგან განმასხვავებელ რედაქციულ თავისებურებებს ამჟღავნებს K(S-4499, მ. ნაკაშიძისეული), O(K-205) და G[1](Q-796) ხელნაწერები. ეს შენიშნული ჰქონდათ ს. კაკაბაძეს, ს. ცაიშვილს, ც. კარბელოაშვილს. ბ. დარჩია ცდილობს სრულად აღნუსხოს ის ძირითადი რედაქციული ნიშნები, რითაც ეს ნუსხები გამოიყოფა. მისი დასკვნით, KOG[1] ხელნაწერები გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს მთელი პოემის მანძილზე, როგორც სტროფული შედგენილობის, ისე სათაურების ადგილისა და ტექსტის წაკითხვების მხრივ.

K და O ხელნაწერები უთარიღოა. ქაღალდისა და ხელის მიხედვით მიღებულია, რომ ისინი მე-17 საუკუნის ბოლოს უნდა იყოს გადაწერილი. F, K და O ერთი და იმავე ხელით არის შესრულებული. F-ისა და K–ს ჭვირნიშანი ერთია. F გადაწერილია 1688 წელს. K და O-ც მის ახლო ხანში უნდა იყოს გადაწერილი.

ყოველივე ეს ავტორს საფუძველს აძლევს დაასკვნას, რომ KOG[1] ჯგუფის რედაქციული თავისებურებანი შექმნილია მე-17 საუკუნის 70-90-იან წლებში.  გ. ა.

639. ფრანცე ვურნიკი

მეგობრობის ახალი ფურცელი
(„ვეფხისტყაოსანი“ სლოვენურ ენაზე აჟღერდა)

გაზ. „თბილისი“, 1975, 13 აგვ., № 188, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ პოეტმა ტონე პავჩეკმა სლოვენურ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის თხზულება. თარგმანის ტექსტი, რომელიც 3200 სტრიქონს შეადგენს, უკვე წიგნად დაიბეჭდა. პოემა თუმცა შემცირებულია, მისი ფაბულა და სიუჟეტი შენარჩუნებულია. მთარგმნელი იყენებდა ნ. ზაბოლოცკისა შ. ნუცუბიძის რუსულ თარგმანებს. მისი სურვილია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად თარგმნოს მშობლიურ ენაზე. გ. ა.

640. ავლიპი ზურაბაშვილი

შოთა რუსთაველი, ნ. ბარათაშვილი...

პერსონოლოგიური ნარკვევები, თბ., 1975.

წიგნის 39-97 გვერდებზე დაბეჭდილია „პერსონოლოგიის პრობლემები შოთა რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანი“. იხ. პირველი (1966 წ.) პუბლიკაციის ანოტაცია „ბიბლიოგრაფიის“ III ტომში.

641. გიორგი თევზაძე

რუსთაველის კოსმოლოგია

ჟურ. „განთიადი“, 1975, № 4, გვ. 168-179.

ამ წერილში განხილულია პტოლემაიოსის გეოცენტრული სისტემა და პლანეტების — მერკურის (ოტარიდის) და ვენერას მოძრაობა დედამიწასა და მზესთან მიმართებით (იხ. ანოტაცია № 827).

642. მაგალი თოდუა

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის გაგებისათვის

წიგნში – „ქართულ-სპარსული ეტიუდები“, II, თბ., 1975, გვ. 143-145.

ავტორი ეხება პოემის შესავლის მე-5 სტროფს: „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა...“, იმოწმებს თეიმურაზ პირველს, რომელიც „იოსებ-ზილიხანიანში“ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის მიზეზის თაობაზე ამბობს:

მეფეს ენება სპარსული თქმათ ქართულისა ენითა,
„ლექსად თქმა მწადსო“, — უბრძანა ლალმან ბრძნად შუქთა ფენითა,
ნიჭი აღუთქვა უზომო, — „მოაჯე ვარ მოქენითა“.
მიჯნური მიჯნურთ საქებრად დაჯდა, გლახ, ცრემლთა დენითა.
(თეიმურაზ I, 1934, გვ. 62).

ავტორის დასკვნით, აქედან ჩანს, რომ თამარს პოეტისათვის უბრძანებია შეექო სილამაზე, მაგრამ არა მისი (თამარისა), არამედ პოემის გმირებისა.

მ. თოდუა აღნიშნავს, რომ იმდროინდელი სპარსული ეპიკის ტრადიციისამებრ, რუსთველს უსათუოდ უნდა შეექო საკუთარი მეფე (პატრონი) და ეს ქება არის კიდეც შესავლის მე-3-4 სტროფებში, სადაც თამარი პირდაპირ არის დასახელებული, მე-5 სტროფში კი ქების ობიექტად პოემის პერსონაჟები იგულისხმებიან. გ. ა.

643. ბ. ისაკოვი

შოთა რუსთაველი ყაზახურ ენაზე

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1975, 3 ივნისი, № 66, გვ. 3.

ინფორმაცია გადმობეჭდილია „ლიტერატურნაია გაზეტა“-დან. ავტორი გვაუწყებს, რომ გამომცემლობა „ჟაზუშიმ“ ყაზახურ ენაზე გამოუშვა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ყაზახმა პოეტმა ხამზა აბდულინმა პირველმა განახორციელა პოემის მთლიანი თარგმანი. ყაზახური ტექსტი ემყარება ს. იორდანიშვილის პწკარედს რუსულ ენაზე. გამოცემის წინასიტყვაობა დაწერა მწერალმა-

აკადემიკოსმა გაბიტ მუსრეპოვმა. იგი წერს: „თარგმანში მიგნებულია პოემის შინაგანი შინაარსისა და მხატვრული ფორმის ერთიანობა. მთარგმნელმა შესძლო ჩაწვდომოდა გმირების სულსა და ხასიათს. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ თარგმანით ყაზახურ პოეზიას ეწვია ნამდვილი შოთა თავისი უბრწყინვალესი ქართული მოკაზმულობით“. გ. ა.

644. ამირან კალაძე

ორი ინტერვიუ

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1975, 14 მარტი, № 11, გვ. 4.

ავტორი გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსნის“ ესტონურ ენაზე მთარგმნელის უნო უსისოოს აზრს რუსთაველის შემოქმედებაზე. მან დაბეჭდა ვრცელი სტატია „შოთა რუსთაველის თარგმნის შესახებ“, სადაც წერს: „ვეფხისტყაოსანი“ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი წიგნია. მას შემდეგ, რაც ქართული ენის შესწავლა დავიწყე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რუსთაველი მსოფლიო პოეზიის ცაზე ის მოკაშკაშე მნათობია, რომელიც თავისი ინტერნაციონალური შინაარსით ყოველი ერის გრძნობა-გონებას აჯადოებს.

იქვე დაბეჭდილია ერთი თავის თარგმანი. მასში დაცულია რითმა და მეტრი, რომლის ტრადიცია ესტონურ პოეზიას არ გააჩნია. გ. ა.

645. ბორის კანდელაკი

ისევ რუსთაველის პორტრეტის გამო
(რეცენზიის მაგიერ)

ჟურ. „მნათობი“, 1975, № 2, გვ. 187-189.

წერილი ეხება თ. ვირსალაძის ნაშრომს — „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოხატულობა და შოთა რუსთაველის პორტრეტი“ (რუსულ ენაზე, 1973 წ.). ავტორი საგანგებოდ განიხილავს რუსთაველის სურათთან დაკავშირებულ ამბებს და არასწორად მიიჩნევს თ. ვირსალაძის მოსაზრებას, რომ ეს სურათი დახატულია 1643 წელს, ჯვარის მონასტრის რესტავრაციის დროს. ბ. კანდელაკი მიუთითებს, რომ ამ პორტრეტზე შოთას ახურავს ისეთი ქუდი, როგორსაც ატარებდნენ XII ს. და XIII ს-ის პირველი ნახევრის საერო პირები. იგი იმოწმებს ალ. ცაგარლის აზრს, რომ შოთას ეს გამოსახულება 1643 წლისაა, მაგრამ უეჭველია, იქ მანამდეც იყო შოთას სურათი; აგრეთვე აკად. გ. წერეთლის მტკიცებას, რომ მთელი კომპოზიცია უფრო ადრინდელია, ვიდრე XVII ს-ში მონასტრის რესტავრაცია მოხდებოდა. საგულისხმოა ე. მეტრეველის მოსაზრება, რომ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის საქმიანობა საერთოდ არ შეხებია სვეტების მხატვრობას, მათ შორის, შოთას ფრესკულ გამოსახულებას. მისი აზრით, რუსთაველის სურათი განეკუთვნებოდა მონასტრის მხატვრობის ძველ ფენას, შექმნილს XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე.

ბ. კანდელაკისთვის, ამ დასკვნის გარდა, ყველა სხვა დათარიღება მიუღებელია. გ. ა.

646. გურამ კარტოზია

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები

თბ., გამ. „მეცნიერება“, 1975, 112 გვ.

წიგნის ანოტაცია გვაუწყებს, რომ მასში წარმოდგენილია ავტორის ფილოლოგიური დაკვირვებანი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე. კრიტიკულად არის განხილული პოემის ცალკეული წაკითხვები. ზოგი მათგანი უარყოფილია და შემოთავაზებულია ახალი ვარიანტები. განხილულია რუსთველის ენის ზოგიერთი საკითხი. გათვალისწინებულია „ვეფხისტყაოსნის“, როგორც პოეტური ნაწარმოების, ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური თავისებურებანი.

წიგნში დაბეჭდილია შემდეგი ნარკვევები:

1. რუსთველური პარონომაზია (გვ. 5-19). მასში ავტორი ასაბუთებს შემდეგი წაკითხვების მართებულობას: „შენ აქა ნახე, კმარიან აქა ნახვისა კმანია“ (549,4); „სთმობდეს გაყრისა თმობასა“ (26,2); „შენ გაქვს წამალი მისისა მოთმინებისა თმენისა“ (836,3); „ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო, არ, სავნებლისა

ვნებითა“ (275,4).

2. სიტყვათა თავისებური განლაგებისათვის წინადადებაში (გვ. 20-32).

3. ენამუსიკობა (გვ. 33-35). იხ. „ბიბლიოგრაფიის“ II ტომში ანოტ. № 3347.

4. მოსალბე (გვ. 36-45), იხ. იქვე.

5. ერთი ფაქტობრივი უზუსტობა პოემის ტექსტში (გვ. 51-55), იხ. იქვე.

6. და-ც-იდოს (გვ. 46-50). იხ. აქ, ანოტ. № 484.

7. უჩუმოდა (გვ. 56-61).

8. შემეცნება (გვ. 62-67).

9. ერთი მაჯამური სტროფის წაკითხვისა და გაგებისათვის (გვ. 68-80). ნარკვევში განხილულია 1518(1527)-ე სტროფი: მოეხვია, გარდუკოცნა მას პირისა არე-მარე...“

10. სირინო (გვ. 81-90).

11. ერთი გასწორების გამო (გვ. 91-97), ეხება კონიექტურას: „სისხლითა მო-ვე-რწყო ველი (636/642,3).

12. რუსთველისა დამისა (გვ. 98-103).

წიგნს ერთვის „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ხელნაწერთა და გამოცემათა ლიტერების ნუსხა (გვ. 104-106). გ. ა.

647. გ. კარტოზია

რუსთველისა დამისა

მისავე წიგნში - „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები. თმ., 1975, გვ. 98-103.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულის ერთი სტრიქონი: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ - მეტწილად ასე იბეჭდებოდა, ხაზგასმული სიტყვების შინაარსში კი გულისხმობდნენ: ვწერ... რუსთველისათვის, ანუ რუსთველის პოემის დამატებად, მის შესავსებლად.

განსხვავებული წაკითხვა - „რუსთველისა დამისა“ - დაიბეჭდა დ. კარიჭაშვილის (1920), ს. კაკაბაძის (1927) და 1966 წლის საიუბილეო გამოცემებში. ამ ვარიანტის არჩევის საფუძველი იყო ჯერ პ. მირიანაშვილისა და ს. კაკაბაძის ვარაუდი, რომ სიტყვა დამ თურქულ ენაში ნიშნავს სახლს, სადგომს და გამოთქმის აზრი იქნებოდა: რუსთველის სახლისა, რუსთველის წარმოშობისა. 1966 წელს კი აკად. გიორგი წერეთელმა დაასაბუთა, რომ დამისა ნათესაობითი ბრუნვაა არაბული სიტყვისა დამ („სისხლი“) და სტრიქონის აზრი იქნება: ვწერ ვინმე მესხი მელექსე, რომელიც ვარ ურსთველის სისხლისა (ჩამომავლობისა).

გ. კარტოზიას დასკვნით, ორივე წაკითხვიდან ჩანს, რომ ამ სტროფის დამწერია არა შოთა რუსთველი, არამედ ვიღაც სხვა პოეტი, შოთა მოგვარე ან მისი მიმბაძველი, ხოლო ჯ. ლომაშვილის მოთხოვნა, რომ მაინცდამაინც ტრადიციული წაკითხვა (რუსთველისად ამისა) დავამკვიდროთ პოემის გამოცემებში, არაფრით არის გამართლებული და არც დასაბუთებული. გ. ა.

648. მიხეილ კეკელია

სიტყვა „მემაჯანის“ გაგებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1975, № 2, გვ. 181-183.

ავტორი აღნიშნავს, რომ სტრიქონში „ისი მინდორს არონინებს ტანსა მტერთა მემაჯანსა“ (261,2). „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიისა და სხვა გამოცემებში დაბეჭდილია უმართებულო ვარიანტი: „ტანსა მჭევრსა, მემაჯანსა“. ეს გამოთქმა აბუნდოვანებს ტაეპის შინაარსს.

მაჯან-იდან ნაწარმოები ფორმები გვხვდება ადიშისა და მესტიის სახარებებზე XIV-XVI საუკუნეებში გაკეთებულ მინაწერებში („სამაჯნოდ“, „მოიმაჯნის“, „იმჯნოს“, „დამაჯნებით“) და ყველა ნახმარია დაჯაბნების, მორევის მნიშვნელობით. ამავე ძირისა უნდა იყოს ლეჩხუმურ მეტყველებაში შემონახული „დამარჯნება“, რაც დამორჩილებას, ჯობნებას ნიშნავს.

„ვეფხისტყაოსნის“ 261-ე სტროფში სიტყვა „მემაჯანი“ დამჯაბნელის შინაარსით უნდა გვესმოდეს. ასევე ხმარობენ ამ სიტყვას ს. თანიაშვილი და „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ავტორები.

მ. კეკელიას აზრით, მართებული იქნება წაკითხვა: „...ტანსა მტერთა მემაჯანსა“. გ. ა.

649. პროკლე კეკელიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი უცნობი ხელნაწერის შესახებ

თსუ-ს შრომები, ტ. 163, 1975, გვ. 53-65.

ავტორი იძლევა თავის პირად ბიბლიოთეკაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ერთი უცნობი ხელნაწერის აღწერას, რომელიც ძირითადად შეიცავს პოემის ტექსტის ვახტანგისეულ რედაქციას, მარი ბროსეს მიერ 1841 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან დამატებულ რამდენიმე სტროფს და პოემის ტექსტის ცნობილ გაგრძელებას.

ავტორის შენიშვნით, ტექსტობრივი ხასიათის შესწორებანი ძირითადად გამოიხატება ზოგიერთი სტროფის ჩამატებით. ჩამატებულია ზოგიერთი ისეთი სტროფი, რომელიც ვახტანგის რედაქციაში არ არის და პირველად დაიბეჭდა 1841 წლის გამოცემაში.

ხელნაწერში ზოგიერთი ცვლილებით არის მოცემული მარი ბროსეს წინასიტყვაობა, დართული „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემაზე. ტექსტი გადაწერილია სტეფანე გრიგოლის ძე აპრილოვის მიერ.

როგორც ავტორი აღნიშნავს, პოემის ძირითადი ტექსტის ბოლოს (გვ. 233-234) ხელნაწერს დართული აქვს სამი ანდერძი: ა) ვახტანგის გამოცემაზე დართული ცნობილი ორი სტროფი; ბ) აპრილოვის მიერ შეთხზული, რუსთველური შაირით შეწყობილი ხუთი სტროფი და გ) ბროსეს გამოცემაზე დართული ლექსი – 9 სტროფი.   ნ.მ.

650. ზურაბ კიკნაძე

ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი

ჟურ. „მაცნე“ (ელს), 1975, № 1, გვ. 32-48.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მრავალრიცხოვან თარგმანებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ებრაული თარგმანი, შესრულებული ბორის-დოვ გაპონოვის მიერ. რეცენზენტთა აზრით, იგი მნიშვნელოვანი შენაძენია თანადროული ებრაული პოეზიისა და იმ რიგის თხზულებათა რიცხვშია ჩათვლილი, რომელნიც ამდიდრებენ ეროვნულ მწერლობასა და კულტურას ახალი ცხოველმყოფელი ნაკადებით და წარმოაჩენენ ამ უძველესი ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს.

მკვლევარი ვრცლად განიხილავს თარგმანს, როგორც პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით, ისე შინაარსობრივად, ხშირად იმოწმებს პარალელებს ებრაული ბიბლიის ტექსტიდან და აჩვენებს, თუ როგორ და რა სახით უბრუნდება თარგმანის წყალობით ებრაელ მკითხველს ბევრი რამ, რაც რუსთველის პოემაში ბიბლიური წიგნებიდან იღებს სათავეს. ეს ნათლად ჩანს პირველივე სტროფის თარგმანიდან, სადაც პირველი ტაეპის შინაარსი ასეა წარმოდგენილი: „სამყაროს (=კოსმოსის) დამამყარებელმა თავისი ძლიერი მარჯვენით მის საფუძვლებზე“. სიტყვამ „სამყარო“ დროთა განმავლობაში მნიშვნელობა შეიცვალა; იგი ცის სინონიმია თავად პოემაში (შდრ. საბა). პროლოგის „სამყარო“ ის ქმნილებაა, რომელსაც, ბიბლიის მიხედვით, შესაქმის მეორე დღეს ცა ეწოდა. მაგრამ ეს მნიშვნელობა (небесная твердь) ამ სიტყვას დღევანდელ ქართულში დაკარგული აქვს, და იგი მხოლოდ ფილოლოგიური სიზუსტით შესრულებულ თარგმანებში აისახება (მარი, უორდროპი). მხატვრულ თარგმანებში „სამყარო“ ყველგან „უნივერსუმად“ არის ნათარგმნი (вселенная, World, le monde). დღევანდელ ქართველ მკითხველსაც ასე ესმის ეს სამყარო. ებრაული თარგმანიც ამ პრინციპს მისდევს...

„ძლიერი მარჯვენა მისი“ გამოძახილია ბიბლიური თქმისა „ხოზეკ ҧად“ — „ძლიერი მკლავი: „რამეთუ ძლიერითა მკლავითა გამოგვიყვანა უფალმა ეგვიპტით“ (გამოსლვ. 13,16); ან: „ვითარმედ მე შევქმენ ქვეყანა და კაცი... ძალითა ჩემითა დიდითა და მკლავისა მიერ ჩემისა“ (იერემ. 27,5). ხოლო გამოთქმა „მის საფუძვლებზე“ დაკარგული კოსმოგონიური მითის ნაშთია, ძველი აღთქმის წიგნებში აქა-იქ შემორჩენილი, მაგ.: „რომელმან დაამტკიცა ქვეყანა საფუძველთა ზედა თვისთა“ (ფს. 104,5). მეორე ტაეპი ასეა თარგმნილი: „და შთაბერა ზეგარდმო სული თვისი ნესტოებში (არსთა) სიმრავლეს“. აქ ზოგადად არის გადმოცემული ღვთის სულის მიერ შექმნილ არსთა გაცოცხლების აქტი: შდრ.: „და შთაბერა პირსა (ანუ „ნესტოებს“) მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოველად“ (დაბ. 2,7).

ტაეპში: „სად წაჰხე და სად დაჰკარგენ სინათლისა ეგენ სვეტნი“ (821,4) სინათლის სვეტი იგივეა, რაც „სვეტი ცეცხლისა“, რომელიც ღამ-ღამობით მიუძღოდა წინ ეგვიპტიდან გამომავალ ებრაელთა ტომს (გამოსლვ. 13,21-22).

რეცენზენტი ყურადღებას მიაქცევს გმირთა რჩეულობის დამადასტურებელ კიდევ ერთ ნიშანს, როდესაც ისინი იხსენიებიან ვითარცა „ედემის ხე“ ან „ედემს ნაზარდი ალვა“. ეს მეტაფორა მხოლოდ პიროვნებათა გარეგნობის აღმნიშვნელი არაა, მასში უნდა დავინახოთ სიმბოლო გამორჩეული ხალხისა და ინდივიდთა, როგორც ნათქვამია ფსალმუნში (1,3): „იყოს იგი ვითარცა ხე, დანერგული

თანა-წარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცეს ხილი თვისი ჟამსა თვისსა და ფურცელი მისი არა დასცვივის“. ზ. კიკნაძე მიუთითებს ამ მეტაფორის სიძველეზე: შუმერულ საკულტო ჰიმნში ასეა შექებული ურ-ნინურთა, ქ. ისინის დინასტიის გაღმერთებული მეფე: „რჩეულო კედარო, სამკაულო ტაძრის ეზოისავ“.

რეცენზენტის თქმით, „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანი მრავალმხრივ არის საგულისხმო და სხვადასხვა ასპექტით შესწავლას მოითხოვს. ერთი მხარეა ორი ენის (ქართულისა და ებრაულის) და სიტყვიერ-კულტურული ტრადიციების ურთიერთშეღწევის პრობლემა, რისთვისაც უხვ მასალას იძლევა ებრაული ტექსტი. მეორე მხრივ, ებრაული თარგმანი თავისთავადი მოვლენაა თანადროულ ებრაულ პოეზიაში. იგი ცხადყოფს მთარგმნელის არაჩვეულებრივ პოეტურ ტალანტსა და ენობრივ ალღოს, რაც ამ თარგმანს დედნის კონგენიალურს ხდის. გ. ა.

651. ჯიბო ლომაშვილი

„იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია“

მისსავე წიგნში — „წერილები“, თბ., 1975, გვ. 237-244.

ავტორი იძლევა პოემის მე-19 სტროფის ახალ ინტერპრეტაციას. მესამე ტაეპში: „იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია“, მისი აზრით, თამარ მეფე კი არ იგულისხმება, არამედ პოეტის „ნაჭირნახულევი“, მისივე თხზულება — „ვეფხისტყაოსანში“.

ამავე წიგნში დაბეჭდილია ავტორის სხვა ნარკვევებიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ საკითხებზე (მაგ.: „საქმე ვქმენ საჭოჭმანები“, „მე რუსთველი, ხელობითა“, „ესე ამბავი სპარსული“ და სხვ.), რომლებიც ადრე, სხვადასხვა დროს იყო გამოქვეყნებული და ამ „ბიბლიოგრაფიაში“ შეტანილია მათი პირველი პუბლიკაციის მიხედვით. გ. ა.

652. ჯ. ლომაშვილი

შენიშვნები დ. ქუმსიშვილის წიგნის შესახებ

წიგნში: ჯ. ლომაშვილი, „წერილები“, თბ., 1975, გვ. 198-227.

ავტორი განიხილავს დ. ქუმსიშვილის ნაშრომს „რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი“ (თბ., 1968 წ.). მისი აზრით, საინტერესო დასკვნების პარალელურად, რიგ შემთხვევებში მკვლევარი წინააღმდეგობაში ვარდება. მაგალითად, დ. ქუმსიშვილს მიაჩნია, რომ ე. წ. „ინდო-ხატაელთა ამბავი“ რუსთაველს არ ეკუთვნის და ამ დებულების დასაბუთებას ცდილობს ისეთი არგუმენტებით, რომლებიც მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებენ. ასევე შეუწყნარებელია პოემის 461-ე სტროფის იგნორირება, მისი მიჩნევა „პოეტურ გადამღერებად“.

რეცენზენტს მოჰყავს წიგნის ავტორის ძირითადი დებულება პოემის შედგენილობის, მისი სიუჟეტისა და კომპოზიციის თაობაზე, სადაც იგი წერს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ორპლანიანი ნაწარმოებია, მასში დაპირისპირებულია ორი ამბავი: პოზიტიური – როსტევან-თინათინ-ავთანდილის სიუჟეტური რკალი და ნეგატიური – ფარსადან-ნესტან-ტარიელის სიუჟეტური რკალი; რომ არაბეთში გაიმარჯვა კეთილმა საწყისმა, ხოლო ინდოეთში — ბოროტმა.

რეცენზენტის აზრით, ტარიელ-ნესტანის თავგადასავალი პოემის მთავარი რკალია, ღერძია და არა ნეგატიური ამბავი. ამასთან ერთად, ინდოეთშიც საბოლოოდ სიკეთე იმარჯვებს. ი.კ.

653. ნინო მაქაძე

გამოჩენილი რუსთველოლოგი
(იუსტინე აბულაძის დაბადების 100 წლისთავის გამო)

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1975, № 2, გვ. 189-192.

წერილში განხილულია ი. აბულაძის რუსთველოლოგიური მოღვაწეობა, აღნიშნულია, რომ მან ორჯერ, 1914 და 1926 წლებში, გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული, პოემის ხელნაწერებზე დაყრდნობით მის მიერ დადგენილი ტექსტი, მას დაურთო ხელნაწერებიდან ამოკრებილი ლექსიკური ვარიანტები, რაც პირველი შემთხვევა იყო ამ თხზულების გამოცემის ისტორიაში. ი. აბულაძემ შეადგინა „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი ლექსიკონი, რომელიც ერთვის პოემის 1914 და 1926 წლების, აგრეთვე 1937 და 1951 წლების გამოცემებს.

ი. აბულაძეს ეკუთვნის 40-ზე მეტი გამოკვლევა შოთა რუსთველის ბიოგრაფიისა და მისი თხზუ-

ლების ტექსტის სხვადასხვა საკითხზე, რომელთაც დღევანდლამდე არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება. გ. ა.

654. იოსებ მეგრელიძე

ერთი განმარტება

ჟურ. „მაცნე“ (ელს), 1975, № 1, გვ. 171-173.

მკვლევარი ეხმაურება ისტორიკოს პ. რატიანის პოლემიკურ წერილს („მნათობი“, 1971, № 11), რომელიც მიმართული იყო მისი ნაშრომის — „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის“ — რეცენზენტების (ნ. შოშიაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. მეგრელიძე, შ. ბადრიძე) წინააღმდეგ.

ი. მეგრელიძე აღნიშნავს, რომ პ. რატიანმა კამათის არსებით საკითხებს გვერდი აუარა და ხმაური ატეხა რუსთველოლოგიის განვითარების ეტაპების თაობაზე, თითქოს რეცენზიის ავტორები განგებ ჩქმალავენ ილია ჭავჭავაძის ღვაწლს და დაუმსახურებლად განადიდებენ ნიკო მარს, იზიარებენ რა ი. ჯავახიშვილის აზრს, რომ ნ. მარმა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ახალი ხანა შექმნა. რუსთველოლოგიაში ნამდვილი მეცნიერული კვლევა-ძიება რომ ნ. მარის ნაშრომებით იწყება, ამ აზრს აღიარებენ კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, გ. იმედაშვილი, შ. ძიძიგური და სხვები. ამის უარყოფას პ. რატიანი ამაოდ ცდილობს. გ. ა.

655. დარეჯან მენაბდე

„ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული ზოგიერთი პირის ვინაობისათვის

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1975, № 1, გვ. 22-26.

წერილი ეხება ვეფხისტყაოსნის 177-ე და 1492-ე სტროფებში დასახელებულ დიონოს (დივნოს) და ეზროს-ის ვინაობის გარკვევას. ავტორი განიხილავს ყველა არსებულ თვალსაზრისსა და ვარაუდს და მათ ასე აჯგუფებს:

დიონოსი (დივნოსი) მიაჩნიათ: დიონისე (თუ ფსევდოდიონისე) არეოპაგელად (ვახტანგ VI, ი. აბულაძე, ს. კაკაბაძე, ი. ლოლაშვილი, ს. ცაიშვილი, ნ. ნათაძე და სხვ.); დიონისე ჰალიკარნასელად (თ. ბაგრატიონი, დ. კარიჭაშვილი); დიონისე სირაკუზელად (გ. ცაგარელი); დიონისე-ღმერთად (დ. ქუმსიშვილი); ხოლო ზოგს – წიგნად, „დიაღნოსად“ (ა. შანიძე, ა. გაწერელია); „დივანად“ (პ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე, ა. შლიონსკი, ზ. კიკნაძე).

„ეზროს“ მიაჩნიათ: ეზრა წინასწარმეტყველად (ვახტანგ VI, დ. ჩუბინაშვილი, ს. კაკაბაძე, ი. ლოლაშვილი); ფსევდოეზრად (ა. შანიძე, ა. გაწერელია); ფილოსოფოსად (დ. კარიჭაშვილი); „ვილაც ბრძნად“ (ი. აბულაძე); ებრაელ პოეტად (პ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე, ა. შლიონსკი, ზ. კიკნაძე); ოზირისად (დ. ქუმსიშვილი).

დივნოსს (1492 სტრ.) არეოპაგიტიკის ავტორად მიიჩნევდნენ აგრეთვე: ო. უორდროპი, პ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე, ა. ბარამიძე.

ავტორის აზრით, სავსებით დასაბუთებულია 1492-ე სტროფის „დივნოსში“ ფსევდოდიონისე ერეოპაგელის შეცნობა. რაც შეეხება 177-ე სტროფის „დიონოსს“, მისი არეოპაგიტიკის ავტორობის სასარგებლოდ არც ერთ მკვლევარს კონკრეტული საბუთი არ წარმოუდგენია. ის, რაც მოთხრობილია 177-ე სტროფში, არ გვხვდება დიონისეს სახელით ცნობილ თხზულებებში და იდეურ-აზრობრივად თუ თემატურ-შინაარსობრივად არ ესადაგება არეოპაგიტიკის ავტორის პიროვნებას.

ძნელია „დიონოსის“ „დიაღნოსად“ მიჩნევა და მის ავტორად ეზრა წინასწარმეტყველის აღიარება; „კალანდაი“ ვერ იქნებოდა რუსთაველის წყარო... დაუშვებელია ტექსტში იბნ ეზრას „დივანის“ ამოკითხვაც, რადგან აქ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის თვითნებურ სწორებასთან გვაქვს საქმე.

ასე რომ, კვლავ გაურკვეველია 177-ე სტროფის „დიონოსის“ და „ეზროს“-ის ვინაობა. გ. ა.

656. ა. მჭედლიძე

„ვეფხისტყაოსნის“ თემატური დაგეგმვა

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1975, № 3, გვ. 60-72.

წერილი განკუთვნილია საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებისათვის. ავტორი იძლევა მეთოდურ რჩევა-მითითებას „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების შესახებ. მისი თქმით, ამ

პოემას ეთმობა 30 საათი, მას შეიძლება დაემატოს გამეორებისა და მეტყველების განვითარებისათვის გამოყოფილი 7 საათი.

საკლასო მუშაობის დროს, როდესაც მიმდინარეობს პოემის ტექსტის კომენტირებული კითხვა, მოესწრება მხოლოდ ნახევარი მასალის წაკითხვა, დანარჩენი მოსწავლეებს ეძლევათ შინ წასაკითხად.

ჟურნალის 61-72 გვერდებზე მოცემულია შესასწავლი მასალის განაწილების თემატიკური გეგმა. გ. ა.

657. ვიკტორ ნოზაძე

ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება

პარიზი, 1975, 426 გვ.

წიგნს უძღვის წინასიტყვაობა ფრანგულ ენაზე (გვ. 5): „სიყვარულის პრობლემა მე-12 ს. ქართველი მწერლის შოთა რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანი“, ხელმოწერით M.K. (=მიხეილ ქავთარაძე). 1967 წელს დაწერილ შესავალში „უწყებულება მკითხველთათვის“ (გვ. 7-8) ავტორი ამბობს: „აღმოსავლეთის მწერლობისა და დასავლეთის მწერლობის ვეფხისტყაოსანთან შედარებამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ვეფხისტყაოსნის მიჯნურობა –სიყვარული არსებითად არ ემსგავსება არც აღმოსავლურ ხორციელ სიყვარულს — „ამორ კარნის“, არც მაჯნუნობას, ანუ სუფისტურ სიყვარულს, არც დასავლურ კურტუაზულ სიყვარულს, მით უმეტეს, არც ე. წ. „ქალის კულტს“... ვეფხისტყაოსნის მიჯნურობა – სიყვარული არის თავისთავადი, თვითმყოფი, მხოლოდ ვეფხისტყაოსნური“. 1973 წლის მინაწერში კი აღნიშნავს: ამ წიგნის გამოცემა ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო დაგვიანდაო...

წიგნი დაყოფილია ექვს „ნაკვეთად“, ნაკვეთები კიდევ — „რვეულებად“, სადაც განხილულია ზოგადი პრობლემებიცა და კერძო საკითხებიც. მაგ., პირველ ნაკვეთში (გვ. 9-89): სიყვარული თეოლოგიური თვალსაზრისით (ძველი აღთქმა, ძველი საბერძნეთი, დიონისე არეოპაგელი, იბნ დავუდი, იბნ ღაზალი, იბნ ჰაზმი, დე არტე ამანდი და სხვ.); სიყვარულის საკითხის მიმოხილვა ინდოეთის, რომაულ, ბიზანტიურ, სპარსულ, არაბულ მწერლობაში; სიყვარულის საკითხი დას. ევროპის შუასაუკუნეების მწერლობაში.

მეორე-მესამე-მეოთხე „ნაკვეთებში“ (გვ. 90-375) განხილულია სიყვარული და მიჯნურობა თვით „ვეფხისტყაოსანში“, მათი სხვადასხვა სახე და ნიუანსი ნაჩვენებია თითოეული პერსონაჟის დახასიათებით, მათი განცდებისა და მოქმედების აღწერით.

მეხუთე-მეექვსე „ნაკვეთებში“ (გვ. 375-411) მოცემულია კურტუაზული პოეზიის წარმოშობის საკითხისა და დას. ევროპული კურტუაზული რომანების მოკლე მიმოხილვა. „საბოლოო დასკვნაში“ ვ. ნოზაძე წერს, რომ კურტუაზულ პოეზიასა და მინნე-პოეზიასთან „ვეფხისტყაოსანს“ აქვს საერთო ნიშნები და მოტივები, მაგრამ არსებითად მისგან განსხვავდება. „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული არის ზეიმი სიცოცხლისა... მისი მიჯნურობა – სიყვარული არის განთავისუფლება ადამიანის გრძნობისა საზოგადოებრივი არტახებიდან, ის არის პიროვნულობის ამაღლება და მის უფლებათა განმტკიცება (გვ. 412-413).

წიგნს ერთვის: „მასალათა მათითებელი“ (გვ. 413-418), სადაც დასახელებულია 319 ერთეული (წიგნი, გამოკვლევა, წერილი) ქართულ და უცხოურ ენებზე; აგრეთვე – ვიქტორის ძმის, გიორგი ნოზაძის ბოლოსიტყვაობა (გვ. 419) და მიხეილ ქავთარაძის მოგონება „როგორ მუშაობდა ვიქტორ ნოზაძე“ (გვ. 420-421). გ. ა.

658. რამაზ პატარიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჭვირნიშნები

კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 56-98.

როგორც ავტორი წერს, ჩვენ დრომდე მოღწეული „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ხელნაწერი დაწერილია სპარსულ უჭვირნიშნო და ევროპულ ჭვირნიშნიან ქაღალდზე. გამოირკვა, რომ დასავლეთ საქართველოში XV ს-ის დასასრულიდან საუკუნეების მანძილზე მხოლოდ ევროპული (იტალიური) ჭვირნიშნიანი ქაღალდი იყო ხმარებაში, აღმოსავლეთ საქართველოში კი ორივეს იყენებდნენ.

ჭვირნიშნების საგანგებო შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა პოემის XVI-XIX საუკუნეების 50 ხელნაწერის დათარიღება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. ახალციხური ნუსხის ფრაგმენტი — XVI ს., მაგრამ არა უადრეს 1580 წლისა.
2. S-1418 თარიღდება დაახლოებით 1666-67 წლებით.
3. A-363 თარიღდება დაახლოებით 1669-70 წლებით.
4. Q-930 თარიღდება დაახლოებით 1661-65 წლებით.
5. Q-261 თარიღდება დაახლოებით 1690-იანი წლებით.
6. H-2610 თარიღდება დაახლოებით 1700-იანი წლებით.
7. H-3061 თარიღდება დაახლოებით 1710-იანი წლებით.

ავტორი ადგენს, რომ სპარსულ ქაღალდზე გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერები იფარგლებიან ძირითადად 1632-1712 წლების ქრონოლოგიური პერიოდით. რუსული ჭვირნიშნიანი ქაღალდი საქართველოში ჩნდება 1720-იანი წლებიდან. გ. ა.

659. პროკოფი რატიანი

ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი

I ტ., თბ., 1975, 436 გვ., რედაქტორი ე. მაღრაძე.

წიგნი წარმოადგენს ავტორის მრავალწლიანი შრომის შეჯამებას. მასში შედის ადრე (1969 წ.) წიგნად გამოცემული მასალები და რამდენიმე დამატება. „წინასიტყვაში" (გვ. 7) მკვლევარი წერს, რომ მისი მიზანია ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით, კერძოდ, ისტორიზმის მეთოდის მოთხოვნილებათა მიხედვით გაარკვიოს ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობა – სადაურობის პრობლემა.

წიგნის შედგენილობა ასეთია: ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის (მოიცავს 9 ქვესათაურს, გვ. 8-160). პირველად დაიბეჭდა ჟურ. „მნათობში" 1968 წელს, წიგნად გამოიცა 1969 წელს (იხ. ანოტ. № 316).

ისევ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე (გვ. 161-271), წარმოადგენს პოლემიკას მისი ნაშრომის კრიტიკოსებთან. დაბეჭდილი იყო ჟურ. „ცისკარში" 1969, № 11, 12 (იხ. ანოტ. № 317).

ერთხელ კიდევ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე (გვ. 272- 404). დაიბეჭდა ჟურ. „მნათობში", 1971, № 11, 12, (იხ. ანოტ. № 445).

ბოლო მინაწერი (გვ. 405-421), კვლავ შეპასუხებაა ალ. ბარამიძის, ე. მეტრეველისა და ს. ცაიშვილის წერილზე „იძულებითი პასუხი" (ჟურ. „მნათობი", 1970, № 3). პ. რატიანი წერს, რომ ოპონენტებს არ წარმოუდგენიათ არც ერთი ნამდვილი საბუთი ან არგუმენტი; მათი წერილი სავსეა ყალბი მტკიცებებით, ბანალური მსჯელობით, ინსინუაციებით. ისინი ემყარებიან ნ. მარის ყალბ თეორიას და მცდარ დებულებებს.

„ვინმე მესხის" პრობლემის ირგვლივ (გვ. 422-433). მკვლევარს მიაჩნია, რომ პოემის „დასასრულის" სტროფში გამოთქმა „ვინმე მესხი მელექსე" თვით პოემის ავტორს, რუსთველს, ეკუთვნის; მისი აზრით, პოეტი გვამცნობს: „მე მესხი მელექსე ვარ, მაგრამ ამავე დროს რუსთველიცა ვარ და ამ პოემას ჩემი საკუთარი გვარ-სახელით (ჩემად) კი არ ვწერ, არამედ რუსთველის სახელით (მისად, რუსთველისადო)".

პ. რატიანს შესაძლებლად მიჩნია, რომ შოთა რუსთველი თორელთა საგვარეულოს ეკუთვნოდეს, მაგრამ წოდება „რუსთველი" მან მიიღო არა დაბა რუსთავიდან, არამედ თავისი საეკლესიო მოღვაწეობის გამო. გ. ა.

660. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(Войникул ын пъеле де тигру)**

მოლდავურ ენაზე თარგმნილი იგორ კრეცუს მიერ, კიშინიოვი, 1975, 192 გვ.
(მოსწავლის ბიბლიოთეკის სერიით).

წიგნის 3-178 გვერდებზე დაბეჭდილია პოემის ტექსტი, რომელსაც აქვს 30 დასათაურება. სტროფები დაუნომრავია. ბოლოში (გვ. 179-182) ერთვის ტერმინების განმარტება და ბ. ჟღენტის წერილი შოთა რუსთაველსა და მის პოემაზე (გვ. 183-190). გ. ა.

661. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

ოსურ ენაზე თარგმნილი ქართულიდან გიორგი ბესთაუთის მიერ, ცხინვალი, 1975, 280 გვ.

პოემის სტროფები დაუნომრავია. წინ (გვ. 6) ერთვის ანოტაცია, ხოლო ბოლოს (გვ. 278-280) – ტერმინებისა და საკუთარი სახელების მოკლე ლექსიკონი. ტექსტში ჩართულია მ. ზიჩის ილუსტრაციები. გ. ა.

**662. Шота Руставели**

**Витязь в тигровой шкуре**

თარგმნილი ქართულიდან ნ. ზაბოლოცკის მიერ.

თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1975, 312 გვ.

წიგნი დიდი ფორმატისაა. იწყება ირაკლი აბაშიძის წინასიტყვაობით (გვ. 7). ტექსტის სტროფებს ნუმერაცია არ აქვს. წინ (გვ. 4) ჩართულია შოთა რუსთაველის სურათის ფოტო, ხოლო ტექსტში – მ. ზიჩის ილუსტრაციები, ბოლოს (გვ. 307-309) ერთვის ზოგიერთი ტერმინის, საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ლექსიკონი, შედგენილი სარგის ცაიშვილის მიერ. გ. ა.

**663. Rustaveli Sota**

**Vitez v tigrovi Kozi**

რუსულიდან თარგმნილი სლოვენურ ენაზე ტონე პავჩეკის მიერ, ლუბლიანა, 1975, 130 გვ.

პოემის თარგმანი არასრულია, ტექსტი შემოკლებულია ალაგ-ალაგ, ისე რომ დაცულია სიუჟეტის მთლიანობა. წიგნში სულ დაბეჭდილია 3200 გალექსილი სტრიქონი.

664. [შოთა რუსთაველი]

ვეფხისტყაოსანი (დასაწყისი)

**Le chevalier a la paeu de tigre (Prologue)**

კრებულში: „ბედი ქართლისა“, ტ. 33, პარიზი, 1975, გვ. 281-284.

დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისი (31 სტროფი) ფრანგულ ენაზე. თარგმანი ქართულიდან (1966 წ. საიუბილეო გამოცემიდან) შესრულებულია გასტონ ბუაჩიძის მიერ. თარგმანი პოეტურია და გარითმული. გ. ა.

**665. Rustveli Shota (12. Jahrhundert)**

**Der Ritter im Pantherfell**

გერმანული პროზაული თარგმანი მ. წერეთლისა, მის მიერვე კრიტიკულად განხილული და დადგენილი ქართული ორიგინალის ტექსტიდან.

გამოსცა ნინო სალიამ, პარიზი, 1975, 288 გვ. ტექსტი დაყოფილია რვა „კარად“. სტროფები დანომრილია ყოველ „კარში“ ცალ-ცალკე. წიგნის მეორე ნაწილში (გვ. 211-288) დაბეჭდილია ჩანართად მიჩნეული სტროფების თარგმანი, „დასასრულის“ ჩათვლით. გ. ა.

666. შოთა რუსთველი

ვეფხის ტყაოსანი

პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა 1712 წ., აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წ., ფოტორეპროდუქციული გამოცემა, 1975 წ., გამ. „მეცნიერება“, თბ., 1975.

წიგნი გამოცემულია გრიფით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ძველი ქართული ენის ძეგლები, 14. რედაქტორი აკაკი შანიძე აღნიშნავს, რომ წიგნი იბეჭდება ვახტანგ მეექვსის დაბადების

300 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. მასში უცვლელად გამეორებულია ვახტანგისეული გამოცემა, აღდგენილი 1937 წელს (იხ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1957, ანოტ. № 1629). გ. ა.

**666а. Руставели Шота**

**Витязът в тигрова кожа**

ს. ბაკირჯიევის თარგმანი ბულგარულ ენაზე, სოფია, 1975, 272 გვ.

გამოცემულია „მსოფლიოს კლასიკის ბიბლიოთეკის“ სერიით.

667. ნელი რუხაძე

„ვეფხისტყაოსნის“ თემისა და იდეის სწავლებისათვის

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1975, № 3, გვ. 40-46.

ავტორის აზრით, რუსთაველის თხზულების მთავარი თემაა ადამიანი (პიროვნება), რომელიც წარმოჩენილია პოემის მოტივების, ანუ ქვეთემების – მიჯნურობა, მეგობრობა, პატრიოტიზმი – ფონზე. ყოველი მოტივის განხილვა და გააზრება მის შესაბამის იდეას გვაძლევს. მაგ., მიჯნურობიდან გამომდინარეობს იდეა: „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“; მეგობრობიდან — „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, პატრიოტიზმიდან — „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად ძოვდეს“. პოემის ზოგადი იდეა (იდეათა იდეა) იქნება: „სიყვარული აგვამაღლებს“.

ნაწარმოების თემას ზოგჯერ მის ძირითად პრობლემასთან აიგივებენ, ისევე, როგორც იდეას – დედააზრთან. ავტორს მიაჩნია, რომ დედააზრი იდეის ვრცელი ვარიანტია, რომელიც ანგარიშს უწევს თხზულების მთელ მოცულობას და უფრო ვრცელ ფორმულირებას საჭიროებას, ვიდრე იდეა. გ. ა.

668. სარედაქციო ცნობა

**Новый перевод “Витязя”**

გაზ. “***Веч. Тбилиси***”, 1975, 26 თებ., №48, გვ. 3.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ გამომცემლობაში „საბჭოთა საქართველო“ მზადდება დასაბეჭდად „ვეფხისტყაოსანი“, გერმანულ ენაზე თარგმნილი ჰერმან ბუდენზიგის მიერ. ამ გამოცემის რედაქტორები არიან ნ. ამაშუკელი, ნ. ხუციშვილი და დ. ლაშქარაძე.

669. საქინფორმი

**Новая встреча с поэмой Руставели**

გაზ. “***Заря Востока***”, 1975, 30 აგვ., № 203, გვ. 4.

ინფორმაცია იუწყება, რომ „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი, შესრულებული ნ. ზაბოლოცკის მიერ. წიგნი დაიბეჭდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. გამოცემას ერთვის მ. ზიჩის ილუსტრაციები, მხატვრულად გააფორმა დ. დუნდუამ, შენიშვნები დაურთო პროფ. ს. ცაიშვილმა.

ამავე გამომცემლობაში მზადდება დასაბეჭდად პოემის გერმანული (ჰ. ბუდენზიგის), ფრანგული (ე. ორბელიანის და ს. იორდანიშვილის) და ინგლისური (ვ. ურუშაძის) თარგმანები. გ. ა.

670. რ. სირაძე

ძველი ქართული ლიტერატურის ტიპოლოგიური ბუნებისათვის

წიგნში — რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, გვ. 204-212.



ავტორი კრიტიკულად განიხილავს აკად. ნ. კონრადის მოსაზრებას, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“

აღმოსავლური (სპარსულ-არაბული) ლიტერატურული ტიპის პოემად მიიჩნია (იხ. „მაცნე“, 1966, № 5). მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ ენათესავება „შაჰ-ნამეს“, „ვისრამიანს“, ნიზამის „ხორსოვ-შირინიანს“ და „ლეილ-მაჯნუნიანს“.

ნ. კონრადის არასწორი მოსაზრება დაფუძნებულია შემდეგ წანამძღვრებზე: 1. მისგანვე შექმნილი გლობალური რენესანსის თეორია. რენესანსი, რომელსაც ადრე მეცნიერება ძირითადად იტალიაში ხედავდა, ნ. კონრადის მიხედვით, მთელ მსოფლიოზე ვრცელდებოდა. იგი ჯერ იწყება ჩინეთში, შემდეგ ჩნდება სპარსეთში, მის მომდევნოდ – ამიერკავკასიაში. ამის შემდეგ იწყება იგი ევროპაში.

2. კონრადმა გამოიყენა და განავრცო შალვა ნუცუბიძის თეორია „აღმოსავლური რენესანსისა“. შ. ნუცუბიძე რუსთველს აღმოსავლური რენესანსის ერთ-ერთ შემოქმედად თვლიდა, მაგრამ იგი „ვეფხისტყაოსანს“ დასავლური ლიტერატურიდან არ წყვეტდა. ნ. კონრადმა კი რუსთველი ნიზამისა და ნავაის გვერდით დააყენა, მაგრამ კონკრეტულად მაინც ვერ დაასაბუთა, „ვეფხისტყაოსანს“ ტიპოლოგიურად რა აქვს საერთო აღმოსავლურ ლიტერატურასთან.

3. ნ. კონრადს გამოუყენებია ნ. მარის ნაშრომები, დაბეჭდილი წიგნში „Об истоках творчества Руставели“, სადაც ნ. მარი რუსთველს არაორთოდოქს ქრისტიანად მიიჩნევდა. ამან გამოიწვია რუსთველის პოემის ჩამოცილება ქრისტიანული ლიტერატურიდან.

რ. სირაძის აზრით, სდავოა ის წანამძღვრები, რომელთაც ნ. კონრადის თეორია ემყარება, ხოლო მისი მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურული ბუნების შესახებ მიუღებელია. გ. ა.

671. ნესტან სულავა

ვეფხისტყაოსნის „არსთა მხედი“

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1975, № 3, გვ. 30-41.

მკვლევარი განიხილავს სტრიქონს – იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსთა მხედსა“ (861,1) და აღნიშნავს, რომ „მხედს“ ვეფხისტყაოსანში აქვს მხედველის მნიშვნელობა, მაგრამ ეს უბრალო მხედველი ან დამნახველი კი არ არის, არამედ სულიერი განჭვრეტის უნარის მქონეა, შინაგანი ხედვის შემძლებელი.

არსში („არსნი“) ა. გაწერელიას აზრით, უთუოდ ანგელოზები იგულისხმება. ასევე მიაჩნია რ. თვარაძესაც.

ზ. გამსახურდია „არსში“ ხედავს როგორც ზეციურ არსებებს, ანგელოზებს, ასევე მიწიერ არსებებს.

ვეფხისტყაოსანში „არსის“ სხვადასხვა კონტექსტში ხმარებიდან ჩანს, რომ „არსნი“ არ შეიძლება მხოლოდ ზეციური არსებანი, ანგელოზები იყვნენ. იგი გულისხმობს მიწიერ, ამქვეყნიურ არსთაც, ზენა არსებებთან, ანგელოზებთან ერთად.

„არსთა მხედი“ არის ქრისტიანული ღმერთი და იგი არის ხილული და არახილული სამყაროსა და მათ არსთა მჭვრეტელი და მხედველი სულიერად. შდრ.: „გნებავს გამოხუალ, არსთა ვით ჰხედავ, მარადის მხედი“ (ი. პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გვ. 169).

ტაეპში: „ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი“ (1184,1), ნ. სულავას აზრით, „მაღლად მხედი“ თეოლოგიურ-ფილოსოფიური ტერმინია, რომელიც გულისხმობს სულიერი, პნევმატური სიღრმეების წვდომას, და მისი ამოსავალი არის ეზოტერული ქრისტიანული მოძღვრება. გ. ა.

672. [უავტორო]

ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1975, 30 მაისი, № 22, გვ. 3.

სარედაქციო ცნობაში აღნიშნულია, რომ გამოვიდა ისტორიკოს პროკოფი რატიანის წიგნი „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი“. წიგნის რედაქტორი ე. მაღრაძე წერს: ამ პოლემიკური ხასიათის გამოკვლევაში შედის ადრე წიგნად დასტამბული მასალებიცა (იგულისხმება 1969 წლის გამოცემა) და ზოგიერთი დამატებანიც. ავტორის წინასიტყვაობაში კი ნათქვამია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მრავალნაირი თვალსაზრისით არის განხილული და შესწავლილი, მაგრამ იგი არაა შესწავლილი ისტორიული მატერიალიზმის თვალსაზრისით, კერძოდ კი ისტორიზმის მეთოდის მოთხოვნილებათა მიხედვით. ავტორი ცდილობს ისტორიზმის პრინციპზე დაყრდნობით გაარკვიოს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა-სადაურობა. გ. ა.

673. [უავტორო]

ვეფხისტყაოსანი ყაზახურ ენაზე

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1975, 24 იანვ., № 4, გვ. 3.

ინფორმაცია იუწყება, რომ ყაზახურ ენაზე გამოვიდა „ვეფხისტყაოსანი“. პოემა თარგმნა ხამზა აბდულინმა, რომელიც 25 წელი მუშაობდა ამ თარგმანზე. გაბიტ მუსრეპოვის წინასიტყვაობაში მიმოხილულია პოემის ავტორის შემოქმედებითი ცხოვრება. აქვე მაღალი შეფასება ეძლევა თარგმანს.

წიგნი გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, მას ამშვენებს ს. ქობულაძის ცნობილი ილუსტრაციები. გ. ა.

674. ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1975, № 1, გვ. 183-192; № 3, გვ. 183-192; № 4, გვ. 185-194.

დაბეჭდილია ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები 1974 წ. 5 მაისიდან იმავე წლის 22 ნოემბრამდე. წარმოდგენილია მასალა 221-328 სტროფების განხილვის შესახებ. გ. ა.

675. სოლომონ ყუბანეიშვილი

ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან

(XX საუკ.), II, ნაკვეთი მეორე, თბ., 1975, 206 გვ.

ამ წიგნში შედის „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის ამსახველი, პირველ ნაკვეთში დაბეჭდილი ოქმების გაგრძელება, პოემის 732-ე სტროფიდან – დასასრულამდე (კომისია მუშაობდა 1935 წლის 23 ნოემბრიდან – 1936 წლის 10 მაისამდე).

გამოსაცემად მომზადებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი გადაეცა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტს, რომლის უმრავლესობას კომპარტიის ხელმძღვანელი პირები და მთავრობის ნომენკლატურული მოხელეები, ე. ი. არაფილოლოგები და არარუსთველოლოგები შეადგენდნენ. კომიტეტმა არსებული კომისიის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა (იხ. გვ. 158), რომელმაც პოემის ტექსტი მნიშვნელოვნად შეცვალა მოცულობის (სტროფული შედგენილობის) მხრივ. ამის გამო 1937 წელს დაიბეჭდა რუსთაველის თხზულების ფაქტობრივად გაყალბებული ტექსტი, რომელიც კანონიკურად იყო მიჩნეული 1966 წლამდე.

წიგნის 176-196 გვერდებზე დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ 1941, 1943, 1949 და 1951 წლების გამოცემებთან დაკავშირებული მასალები.

წიგნს ერთვის პოემის 1914 წლის (ს. კაკაბაძის) და 1937 წლის გამოცემების სტროფების შესატყვისობის მაჩვენებელი (გვ. 197-200), პიროვნული და გეოგრაფიული სახელების საძიებელი (გვ. 201-203), შეცდომების გასწორება (გვ. 204) და „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა თავფურცლების ფოტოპირები. გ.ა.

676. შალვა შაველაშვილი

„გმართებს“ თუ „მმართებს“?

(„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტრიქონის გამო)

გაზ. „სახალხო განათლება“, 1975, 4 ივნისი, № 45, გვ. 2.

ავტორს მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში 763-ე სტროფში დაშვებულია შეცდომა; პირველი სტრიქონი ასეა დაბეჭდილი: „შესთვალა თუ: რაცა გმართებს, ვით მოგცე და ვით გაქონო“, და საჭიროდ თვლის გასწორებას: „რაცა მმართებს...“; გასწორების საფუძველს იმაში ხედავს, რომ ავთანდილი დავალებულია ვაზირისაგან, მას მართებს ვალი, რაც ვაზირს უნდა გადაუხადოს.

(შენიშვნა: წერილის ავტორის მსჯელობა, სამწუხაროდ, აგებულია სიტყვის შინაარსის არასწორ გაგებაზე, — პოემის ამ კონტექსტში „რაცა გმართებს“ ნიშნავს: რაც გეკუთვნის, შენ რისი ღირსიც ხარ. ამიტომ არსებული დაწერილობის შეცვლა საჭირო არაა). გ. ა.

677. შოთა ჩიჯავაძე

არსებობდა თუ არა „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯეთი?

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1975, № 2, გვ. 34-36.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ კომენტატორთა და მკვლევართა უმრავლესობას პოემაში ხსენებული „ქაჯეთი“ არარეალურ გეოგრაფიულ ერთეულად, პოეტის მიერ გამოგონილად მიაჩნია. მისი თქმით, რუსთველისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ლეონტი მროველის მიერ ხსენებული „ქაჯეთ ციხე“ და „ქაჯთა ქალაქი“ სამხრეთ საქართველოში, არტაანის მხარეში, მაგრამ პოეტი მათ არ უნდა გულისხმობდეს, რადგან „ქაჯ“ სახელის მქონე ეთნოსი ამ მხარეში ისტორიულად არ დასტურდება.

რადგან პოემის ავტორი ქაჯეთს ინდოეთის ახლოს მდებარე ქვეყნად წარმოგვიდგენს (ინდოთის მეფის და, დავარი, ქაჯეთში გათხოვილი ყოფილა), ის შეიძლება იყოს ახლანდელი ინდოეთის ტერიტორიაზე არსებული ქაიჯის (Кайджи) პროვინცია. „ქაჯი“-ს სახელწოდებით არსებობს აგრეთვე დიდი დასახლებული პუნქტი ირანში, თეირანის სამხრეთით, ხოლო „ქაჯე“ ჰქვია ახლანდელ ნიგერიაში მცხოვრებ ერთ-ერთ ტომს.

მკვლევრის დასკვნით, შოთა რუსთაველმა ქაჯების სახით რეალურად არსებული ხალხი ან ტომი წარმოგვიდგინა. გ. ა.

678. შ. ჩიჯავაძე

ვეფხისტყაოსნის პოეტიკიდან
(რუბი, სისხლის ცრემლები, ლიტოტესი)

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1975, № 2, გვ. 60-73.

ავტორი ემყარება ს.ს. ორბელიანის განმარტებას, რომ „რუბი – ქართულად რუმბია, ზროხის დიდი ტიკი“. და ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1146-ე სტროფში (...ილვრების სავსე სათისა რუბები) იგულისხმება სწორედ სითხის ჩასასხმელი ეს ჭურჭელი. „სავსე“, როგორც „რუბების“ მსაზღვრელი, აშკარად მიგვანიშნებს, რომ აქ რუბი ჭურჭელია, რომლის გავსებაა შესაძლებელი.

„სისხლის ცრემლით ტირილი“ ლიტერატურაში გავრცელებული გამოთქმაა (ქართლის ცხ., ვისრამიანი, რუსუდანიანი და სხვ.). ავტორის აზრით, „სისხლის ცრემლით ტირილი“ „ვეფხისტყაოსანში“ არა მხოლოდ მეტაფორაა, არამედ ყოფაში დამკვიდრებული ჩვევის რეალური გამოხატვაც (66-69).

ავტორი აღნიშნავს „ვეფხისტყაოსანში“ ლიტოტესის სხვადასხვა სახის გამოყენების შემთხვევებს. ერთ-ერთი ასეთია დროის შემცირების ხერხი. მაგ., მალემსრბოლი ქაჯეთიდან „წამ ერთ მიხდა ფატმანისსა“. ავტორი შენიშნავს, რომ ამ გამოთქმის პირდაპირი მნიშვნელობით გაგებამ შეცდომაში შეიყვანა ბევრი მკვლევარი, — ეს პერსონაჟი ფრენის უნარის მქონედ მიიჩნიეს (73). გ. ა.

679. შ. ჩიჯავაძე

მხატვრულ ნაწარმოებთა დევ პერსონაჟების პრობლემისათვის

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზიები, თბ., 1975, გვ. 15-16. (მოგვყავს შემოკლებით).

ლექსიკური ერთეული „დევი“ რიგვედაში აღნიშნავს სინათლის ღმერთს, კეთილ ღვთაებას. ზოროასტრული სარწმუნოების წმინდა წიგნებში „დევი“ „დაივად“ ანუ დემონად, ბოროტ სულად იქცა.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში დევი წარმოდგენილია ადამიანის მსგავს არსებად, ოღონდ უფრო დიდი ტანისა და ძალ-ღონის მქონედ; არიან ცალთვალა გოლიათები და რქიანი დევებიც. მათ უმეტესობას ბოროტი ბუნება აქვს და ადამიანებს ემტერებიან. ზოგ ზღაპარში არიან კეთილი დევებიც. წერილობით ძეგლებში — „ომაინიანი“, „ყარამანიანი“, „ვარშაყიანი“ და სხვ. — დევები კეთილი, დადებითი პერსონაჟები არიან.

ისტორიკოსები: ამიანე მარცელინე (IV ს.), აბუ ხანიფა დინავარი (IX ს.), ლეონტი მროველი (XI ს.) და XIII ს-ის ეთნოლოგიური სიის ავტორი დევებს ადამიანთა ტომის წევრებად თვლიან.

„ვეფხისტყაოსანში“ ხსენებულ დევებს კაცისებრი აგებულება და ადამიანებთან ზოგი თვისებრივი მსგავსებაც აქვთ.

ზეპირსიტყვიერ და წერილობით თხზულებებში დადებით და უარყოფით დევ პერსონაჟთა არსე-

ბობა იმით აიხსნება, რომ „დევი“ ადამიანთა ტომის სახელიც იყო. გ. ა.

680. ალექსი ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ფისტიკაური სტროფის შესახებ

ჟურ. „მნათობი“, 1975, № 2, გვ. 159-165.

ავტორი უარყოფს ბ. დარჩიასა და რ. ფირცხალაიშვილის მოსაზრებებს ვეფხისტყაოსნის 773(940) სტროფის: „შეკრა წითელი ასი ათასი...“ შესახებ და მოჰყავს მისი ინტერპოლაციურობის დამადასტურებელი ნიშნები. მკვლევარი თვლის, რომ ამ სტროფის შინაარსი და აგრეთვე ლექსიკა არ შეეფერება რუსთაველის პოემას.

იგი ჩანართებად მიიჩნევს მომდევნო ორ სტროფსაც, მაგრამ ალ. ჭინჭარაულის აზრით, ისინი სხვა ინტერპოლატორის შეთხზულია, რომელსაც მოსურვებია ფისტიკაური სტროფის აზრის კიდევ დადასტურება და ავთანდილისა და ვაზირის შექება. გ. ა.

681. ალ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან: „საომართა“ თუ „საამართა?

ჟურ. „ცისკარი“, 1975, № 9, გვ. 138-139.

ავტორი წერს: 752-ე სტროფში —

„შეუშინდა, საწყენლისა მოხსენება ვერ შეჰმართა,
დაყრით დადგა, იგონებდა არ საქმეთა საომართა“ -

ყველა ხელნაწერში თუმცა „საომართა“ იკითხება, ეს სიტყვა იმდენად შეუფერებელია მოცემულ კონტექსტში, რომ აუცილებელია მისი კონიექტურით – საამართა ჩანაცვლება. ვაზირმა „საწყენელი“ ამბავი უნდა უთხრას როსტევანს, იცის, რომ ამას უსიამოვნება მოჰყვება და „იგონებს“ (წინასწარ ფიქრობს) მოსალოდნელ არა სასიამოვნო, არა საამარ (ანუ არა საამურ) ამბავზე. საამარი ისევე იწარმოება ამება – ზმნიდან, როგორც „დასაამო“, „სიამოვნისა“. შდრ. მსგავსი ფორმები: საწუნელი – საწუნარი, საცნობელი – საცნობარი, საწყენი – საწყინო – საწყენელი – საწყინარი – საწყინარე. ამავე სტრიქონში „დაყრით დადგა, იგონებდა“-ს ნაცვლად უმჯობესია „დაყრით დგა და იგონებდა“, როგორც ზოგ ხელნაწერსა და გამოცემებშია (1953, 1957, 1974). დაყრით დგომა ნიშნავს თავდახრით, უჩუმრად, ხელებჩამოშვებით დგომას. გ. ა.

682. მ. ხერხეულიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები

გაზ. „თბილისი“, 1975, 25 სექტ., № 115, გვ. 3.

ავტორი ეხმაურება ი. გიგინეიშვილის წიგნის „გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის ენის... შესახებ“ (თბ., 1975) გამოცემას. მისი აზრით, პოემის ტექსტის დადგენა რომ შესაძლებელი გახდეს, აუცილებელია მისი ენის ყველა ნიუანსის მხედველობაში მიღება. ტექსტის სადავო საკითხების დეტალური განხილვის მაგალითებს რეცენზენტი სწორედ დასახელებულ წიგნში ხედავს და მცდარი წაკითხვების გასწორების ნიმუშებსაც იმოწმებს. ასეთებია, მაგალითად: „ამალი“ (სურვილი, ტრფობა) — „სამ ალის“ მაგიერ (708,1); „წვერგამოს“ განმარტება (277,2); „მართ გაშვებული ხეზითა“ — „არ-გაშვებულის“ ნაცვლად (214,2) და სხვ.

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ნაშრომში განხილულია მრავალი საინტერესო ფილოლოგიურ-ლინგვისტური საკითხი და ი. გიგინეიშვილის წიგნი ენათმეცნიერებისა და რუსთველოლოგიის კარგი შენაძენია. გ. ა.

683. ელგუჯა ხინთიბიძე

მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში

თბ., 1975, 484 გვ.

ავტორის კვლევის საგანს წარმოადგენს რუსთველის თხზულებაში ასახული რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. წიგნის პირველ ნაწილში განხილულია პოეტის ასტროლოგიური შეხედულებები. ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანში" გატარებული თვალსაზრისი ზეციური ძალების არსებობასა და ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებაზე მათი გავლენის შესახებ მონოთეისტური რელიგიის ასტროლოგიასთან შეთანხმების შედეგია. რუსთველის კოსმოლოგიური სისტემის ცენტრში იმყოფება ღმერთი, თუმცა ის უშუალოდ არ განაგებს მიწიერ საქმეებს, ღმერთსა და ადამიანებს შორის ზეციური ძალები, ასტროლოგიური მნათობები, იმყოფებიან და ისინი მოქმედებენ (იხ. ანოტაცია № 277).

ამავე ნაწილში შედის ქვესათაურები: „ვეფხისტყაოსნის კრონოსი" (იხ. ანოტ. № 468) და „ნესტანის ცხრა და შვიდი ცა" (იხ. ანოტაცია № 515).

ნაშრომის მეორე ნაწილი (გვ. 105-192) ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის" უზენაესი არსების რაობის გარკვევას. აქ განხილულია ე. წ. „საღმრთო სახელები": „მზიანი ღამე", „უჟამო ჟამი", „ერთარსება ერთი", „ბუნება-ზიარი". მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ ცნებების ანალიზი გვიჩვენებს პოეტის არადოგმატურ რელიგიურ ტენდენციას, მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის" უზენაესი არსება არ არის ქრისტიანული დოგმატიკის სამპიროვანი ღმერთი.

წიგნის მესამე ნაწილში (გვ. 193-306) ავტორი იკვლევს რუსთველის ეთიკური შეხედულებების კავშირებს ქრისტიანულ და არისტოტელესეულ ეთიკურ კონცეფციებთან. აქვე შედის „მართალი სამართლის" ცნება (იხ. ანოტ. № 275) და „მოცალეობა" (იხ. ანოტ. № 276).

მეოთხე თავში „რუსთველის ადგილისათვის შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში" (გვ. 307-366) დადგენილია, რომ XII ს-ის ქართული აზროვნება უშუალო კონტაქტში იყო ქრისტიანული ევროპისა და მაჰმადიანური აღმოსავლეთის მოწინავე აზროვნებასთან. რენესანსული ელემენტი, რომელიც ვლინდება რუსთველის მსოფლმხედველობაში, მკვლევრის აზრით, იმ ტიპის აზროვნებაა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIII-XIV საუკუნეების ევროპაში. ამ თვალსაზრისით, რუსთველის მსოფლმხედველობა და საზოგადოდ, XII ს-ის ქართული ლიტერატურულ-ფილოსოფიური აზროვნებაც ევროპული ტიპისაა. რუსთველს მსოფლმხედველობითი ასპექტით სამი სააზროვნო წყარო აქვს: ქრისტიანული ლიტერატურა, არისტოტელეს ლოგიკურ-მეტაფიზიკური აზროვნება და ნეოპლატონური ფილოსოფია. აღმოსავლური გავლენა რუსთველის მსოფლმხედველობაზე და საერთოდ შემოქმედებაზე უეჭველია, მაგრამ იგი თვისობრივად მხოლოდ იმ ფაქტორად შეიძლება იქნეს მიჩნეული, რომელსაც გარკვეული როლი ენიჭება გვიანდელი შუა საუკუნეების და რენესანსის ეპოქათა ევროპულ აზროვნებაშიც (შდრ. ანოტ. № 516).

წიგნს ერთვის: გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების ნუსხა (გვ. 376-397), რეზიუმე გერმანულ და რუსულ ენებზე (გვ. 398-463), საძიებლები – პირთა სახელების (გვ. 464-469), საგნობრივი (გვ. 470-477). ი. კ.

684. იუზა ხუსკივაძე

„ვეფხისტყაოსნის" თავაქარაშვილისეული ნუსხის მინიატურები

ჟურ. „საბჭოთა საქართველო", 1975, № 10, გვ. 73-82.

ავტორი განიხილავს 1646 წ. მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის" (H-559) მხატვრობას. მისი თქმით, ნუსხაში ჩართულია ერთი ოსტატის მიერ დახატული, მთლიანი გვერდის მომცველი, 38 მინიატურა. მხატვარი უცნობია; ეს მინიატურები არ ეკუთვნის ტექსტის გადამწერს, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა.

ავტორს ამ მინიატურების მთავარ ღირსებად ის მიაჩნია, რომ მათი შემქმნელი ეყრდნობა ძველი ქართული მხატვრობის ტრადიციებს. ამ დასურათების განხილვა გვიჩვენებს ქართული საერო მინიატურის განვითარების ერთიანი ხაზის უწყვეტობას; რომ უცხოური გავლენების მოძალების პერიოდშიც ამ დარგის ზოგიერთი ნიმუში ინარჩუნებს თვითმყოფად ეროვნულ ტრადიციას. გ. ა.

685. გოჩა ჯაფარიძე

„მაღრიბული ოქრო" XII—XIII სს. ქართულ წყაროებში

ჟურ. „მაცნე", ფილოსოფიის ... სერია, 1975, № 4, გვ. 145-151.

წერილის ავტორის მიზანია გაარკვიოს „მაღრიბული ოქროს" მნიშვნელობა, რომელიც გვხვდება „ვეფხისტყაოსანსა" და რუსთაველის ეპოქის სხვა ლიტერატურულ ძეგლებში. ავტორი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც „ვეფხისტყაოსნის" „მაღრიბული" აღნიშნავს ოქროს ფულს. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანსა" და სხვა ნაწარმოებებში საუბარია არა ოქროს მონეტებზე, არამედ მაღრიბულ

ოქროზე, ლითონზე ან ამ ლითონის საბადოებზე. ავტორი აზუსტებს მაღრიბის საზღვრებს. ირკვევა, რომ მაღრიბი მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას საჰარის ჩრდილოეთით და ეგვიპტის დასავლეთით, ატლანტის ოკეანამდე. ირკვევა ისიც, რომ მაღრიბში ოქროს საბადო არ არსებობდა. ავტორის აზრით, „მაღრიბული" ეწოდა IX-XII საუკუნეებში სახელგანთქმულ სუდანის ოქროს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების ოქროთი მომარაგებაში.

სუდანში მოპოვებული ოქროს ექსპორტი ხმელთაშუა ზღვის აუზში სწორედ მაღრიბის გავლით ხდებოდა... ამ გზით წამოსული სუდანის ოქრო საქართველოშიც შეიძლება გადმოსულიყო „მაღრიბულ ოქროდ". გ. ა.

686. გიორგი ჯიბლაძე

რუსთაველი და თანამედროვეობა

გაზ. „შოთაობა", იყალთო, 1975, ოქტომბერი, გვ. 2.

როგორც ავტორი წერს, შოთა რუსთაველი არის არა მარტო პოეტი, არამედ ხელოვნების დიდი თეორეტიკოსიც. წინააღმდეგ პლატონიზმისა, რუსთაველი პოეზიას აღიარებს ფილოსოფიური აზროვნების დარგად და მას ჭეშმარიტების შეცნობის ფუნქციასაც აკისრებს.

„ვეფხისტყაოსანმა" უდიდესი როლი შეასრულა თავისი მშობელი ერის ისტორიაში. მან ისევე აღზარდა ქართველი ხალხი მორალურად და ესთეტიკურად, როგორც ჰომეროსის პოემებმა – უძველესი ელადელები.

ცხოვრებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის ცოდნით რუსთაველი თანამედროვე მწერლობის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს. გ. ა.

## 1976 წელი

687. დავით აბაშიძე

შოთა რუსთაველი XV საუკუნის შირვანელი პოეტის შემოქმედებაში

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1976, 30 იანვ., № 5, გვ. 3

ავტორი წერს, რომ 1975 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა არაბისტი ტ. შუმოვსკის წიგნი „У моря арабистики". მასში (250-251 გვ.) გადმოცემულია ჩვენთვის საყურადღებო შემდეგი ფაქტი: 1936 წელს ქ. შამახიაში ტ. შუმოვსკიმ აღმოაჩინა არაბული ხელნაწერი, რომლის ავტორი იყო მანამდე უცნობი პოეტი ათთალაჰ შირვანელი, არრანის ტომისა. ხანდაზმული პოეტი ერთ-ერთ ლექსში თავის ახალგაზრდობისდროინდელ სატრფოს ასე მიმართავს: „შენი სახე, როგორც რუსთაველის ლექსი..."

შუმოვსკიმ დაადგინა, რომ ათთალაჰ შირვანელს 1398-1495 წლების შუალედში უნდა ეცხოვრა. ეს ფაქტი ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ ქართულ მწერლობაში რუსთაველის ხსენება XVI ს-ის მიწურულამდე არ გვხვდება, შირვანელი პოეტი კი თითქმის ერთი საუკუნით ადრე პატივისცემით და მოკრძალებით ახსენებს რუსთაველს და მის ლექსს დაუვიწყარი სატრფოს სილამაზეს ადარებს, რაც პროზაული თარგმანით დაახლოებით ასე გადმოიცემა: „შენი სახე, რუსთაველის ლექსის შესადარი, მე ძილბურანში წარმომიდგება, ნაზი, როგორც სალამურის სტვენა და გაზაფხულის ცასავით ნათელი..." გ. ა.

688. ილია აბულაძე

ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან (შეპოვნება)

წიგნში – ი.აბულაძე, შრომები, II, თბ., 1976, გვ. 98-101.

სომხური ტექსტების დამოწმებით ავტორი შეპოვნებას განმარტავს როგორც: მინდობა, შევედრება, შეხვეწნა, ან: პირფერობა, თნება, პირსა ჰამება, რიდი, ხათრი, მიკერძება (ძვ. ქართულით — „თუალ-ღება").

ვეფხისტყაოსანშიც „შეპოვნება" ნახმარია ერთმხრივ: მინდობის, ხვეწნის, ვედრების შინაარსით, ხოლო მეორე მხრივ – რიდების, ხათრის შენახვის, მიკერძების მნიშვნელობით.

მაგ., „სოფელს მყოფსა უშენოსა კაცსა ვისმცა შევეპოვე" (505,4).

ამ კონტექსტით შეპოვნება არის „მინდობა“: შენს გარდა ვის მოვენდო (ან: „მივევედრო“. ე. ი. ვის შევაფარო თავი, ვის შევეხვეწოო).

„...მეტად შევებრალე, ტირილითა მესათნოვა,
ვითა შვილი, დამადუმა, მემუდარა, შემეპოვა“ (630,3).

აქაც შეპოვნება („შემეპოვა“) „შეხვეწნაა“, მაგრამ „თხოვნა/ვედრების“ შინაარსით.

ამ სიტყვიდან არის წარმოქმნილი „შეუპოველი“. „როსტევან მეფე უკადრი, მორჭმული, შეუპოველი“ (681). მოყვანილ კონტექსტში „შეუპოველი“, რაც იგივე „შეუპოვარია“, უნდა იხმარებოდეს საბასეული გაგებით: „რიდებაუქონელი“. გ. ა.

689. ირაკლი ანდრონიკოვი

შოთას დაბადების დღე

გაზ. „წიგნის სამყარო“, 1976, 28 იანვ., № 2, გვ. 6 (თარგმნილია ო. ახმეტელის მიერ ავტორის წიგნიდან — „თხზულებანი ორ ტომად“, ტ. II, მოსკოვი, 1975 წ. ).

ავტორი საუბრობს შოთა რუსთაველის შემოქმედების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე, პოემის რუსულ თარგმანებზე. შემდეგ აღწერს 1966 წლის 27-28 სექტემბერს მესხეთში მოგზაურობას და სახალხო ზეიმს ქ. ახალციხეში, სადაც რუსთაველის შესახებ აღტაცებითა და პატივიცემით ლაპარაკობდნენ ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ და სხვა ენებზე რუსთაველის იუბილეს საზეიმო დღეების მონაწილე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და ერის წარმომადგენლები. გ. ა.

690. ალექსანდრე ბარამიძე

ხმა წარსულიდან
(კ. ჩარკვიანის წერილის გამო)

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1976, 10 სექტ., № 37, გვ. 2.
აგრ. ავტორის წიგნში — „ნარკვევები...“, VII, თბ., 1978, გვ. 79-90.

ავტორი ეხმაურება კ. ჩარკვიანს, რომელიც წერდა („ლიტ. საქ.“, 1976, № 33), რომ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავის იუბილე წარმატებით ჩატარდა, რადგან მას ენერგიულად ხელმძღვანელობდნენ პარტიული მუშაკები, მეორე იუბილეს კი მთავრობის ოფიციალური ყურადღება აკლდა, რასაც უარყოფითი შედეგები მოჰყვა, განსაკუთრებით პოემის საიუბილეო ტექსტის დადგენაში. კ. ჩარკვიანი ლაპარაკობს სუბიექტივიზმზე, „მეცნიერთა ჯგუფების კასტურ კარჩაკეტილობაზე“ და მოითხოვს, რომ ბოლო მოეღოს უკონტროლობასა და მონოპოლიზირების ხანას რუსთველოლოგიაში და ეს საქმე მოაწესრიგოს „კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანომ“.

ალ. ბარამიძე განმარტავს, თუ რუსთველოლოგებს როგორ „დაეხმარა“ პარტიული ხელმძღვანელების ჩარევა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში. იგი აღნიშნავს, რომ ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბის შესახებ ტექსტის დამდგენ კომისიაში ორი თვალსაზრისი იყო: კომისიის წევრთა უმრავლესობას ეს ეპიზოდი გვიანდელ დანამატად მიაჩნდა; კ. ჭიჭინაძე კი მას რუსთველისეულად თვლიდა და ძირითად ტექსტში შეტანას მოითხოვდა.

პარტიულმა ხელმძღვანელებმა: მ. ტოროშელიძემ, ე. ბედიამ, კ. ჩარკვიანმა და სხვებმა მხარი დაუჭირეს კ. ჭიჭინაძეს, გააუქმეს კომისიის ორწლიანი მუშაობის თითქმის ყველა პოზიტიური შედეგი და საიუბილეო გამოცემაში დაბეჭდეს პოემის ისეთი ტექსტი, რომელსაც მნიშვნელოვანი ხარვეზები დაჰყვა როგორც სტროფული შედგენილობის, ისე ორთოგრაფიული გამართვის მხრივ. ეს გამოცემა კანონიკურად იქნა მიჩნეული და შემდგომ გამოცემებში, 20 წლის განმავლობაში, აშკარა კორექტურული შეცდომების გასწორებაც კი შეუძლებელი გახდა.

ავტორის თქმით, ასეთი საქმიანობით იწონებს თავს ბ-ნი კ. ჩარკვიანი და მისებურ „კომპეტენტურ“ ზედამხედველობას მოითხოვს თანამედროვე მეცნიერ-ტექსტოლოგების მიმართაც. გ. ა.

691. ალ. ბარამიძე

ივანე ჯავახიშვილი – ქართული მწერლობის მკვლევარი

„ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, კრებ. VII-VIII, თბ., 1976, გვ. 6-15.

ი. ჯავახიშვილის სხვა დამსახურებათა შორის ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს მის დიდ მეცნიერულ ინტერესს „ვეფხისტყაოსნისადმი“ და საიუბილეო ღონისძიებებში (1937 წ.) აქტიურ მონაწილეობას. წერს, რომ ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო გამოფენა – შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა. მანვე გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი და გამოკვლევა, რომლებიც შეეხებოდა რუსთაველის პიროვნებას, მის მსოფლმხედველობას, XII საუკუნის საქართველოს სოციალურ კულტურას, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს, მის ტექსტოლოგიურ პრობლემებს, პოემის ტექსტის მეცნიერული დადგენის აუცილებლობასა და სხვ.   გ. ა.

692. ს. ბერძენაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ქების გმირი და დაწერის თარიღი

ჟურ. „განთიადი“, 1976, № 1, გვ. 156-165.

ავტორის შეხედულებით, პოემის დაწერის თარიღი არ ემთხვევა თამარის მეფობას, მაგრამ ნაწარმოების დაწერის დრო ძალზე შორს რომ არ გადაეტანა, გააკეთა ვარაუდი, რომ პოემა არ დაიწერებოდა ხვარაზმელებისა და მონგოლების შემოსევების უადრეს.

პოემის სიუჟეტი უხვად შეიცავს იდენტურ მასალას ლაშა გიორგის პირად ცხოვრებასთან. პოემაში იმდენად ხელშესახები რეალიებია ლაშას დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა, რომ, მხედველობაში თუ არ მივიღებთ სიუჟეტურ გადახვევებს, ადვილი შესამჩნევი ხდება ტარიელისა და ლაშას პირადი ცხოვრების თანხვედრის მომენტები. თამარისა და თინათინის გამეფების პირობები სავსებით იდენტურია.

წერილის ავტორის დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია ლაშა გიორგის მეფობაში (1212-1222 წწ.) და რუსთაველმა ის მიუძღვნა არა თამარს, არამედ ლაშა გიორგის.   ი. კ.

693. მიხეილ ბულკათი

მარადისობის დიდი მგზავრი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1976, 2 ივლისი, № 27, გვ. 4.

წერილი ეხება ოსურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას, რომელიც თარგმნილია გიორგი ბესთაუთის მიერ. ავტორი ამ თარგმანს ოსური ლიტერატურის უდიდეს შენაძენად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ გ. ბესთაუთმა მის შესრულებას ათ წელზე მეტი შესწირა. მან შეძლო ჩანაფიქრის საუკეთესოდ განხორციელება. გ. ბესთაუთისეულ თარგმანში „მკაცრადაა დაცული რუსთველისეული ეროვნული ხელთუქმნელობა და უბადლო იდიომები, ... მთარგმნელი შესანიშნავად აღიქვამს ქართული სიტყვის მუსიკას, რამაც განაპირობა მაღალი და დაბალი შაირის პირველსახით აჟღერება ოსურ ტექსტში“.   გ. ა.

694. მანანა გაბაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ურბანისტული ტერმინოლოგიიდან

„საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები“, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 95-105.

ავტორი ცდილობს გაარკვიოს „ვეფხისტყაოსანში“ ($804_2$) დამოწმებული სიტყვა „ხანაგა“-ს მნიშვნელობა, რისთვისაც საჭიროდ მიიჩნევს აღმოსავლური წყაროების გათვალისწინებას.

მკვლევარი საყურადღებოდ თვლის საბასა და ივ. ჯავახიშვილის განმარტებებს. საბას ლექსიკონში ხანაგა ეწოდება „ობლების საკრებულო სახლებს“. ივ. ჯავახიშვილის აზრით კი ხანაგა სპარსულად დერვიშების თავშესაფარს ნიშნავდა, ქართულ სინამდვილეში კი – იაფ სასტუმროს მგზავრებისათვის.

მკვლევრის ყურადღებას იქცევს პეტრე ქართველის სირიულ ტექსტში დასახელებული ტერმინი „გლახაკთა თავშესაფარი“ და „სვიმეონ მესვეტის ცხოვრებაში“ ნახმარი „საგლახაკოჲ ქალაქისაჲ“. ცნობილია, რომ XI-XII საუკ. საქართველოს ქალაქებში გლახაკნი დიდი რაოდენობით იყვნენ და მათ სასარგებლოდ დაწესებული იყო გადასახადი. ავტორი ვარაუდობს, რომ უნდა ყოფილიყო გლახაკთა თავშესაფარიც და შესაძლებლად მიიჩნევს, რომ სპარსული „ხანაგას“ ქართული შესატყვისი იყო „გლახაკთა თავშესაფარი“ ანუ „საგლახაკოჲ ქალაქისაჲ“.   გ. ა.

695. ზვიად გამსახურდია

### რუსთაველის ანთროპოლოგიის ერთი პრობლემა

ავტორის წიგნში: „ლიტერატურული წერილები“, თბ., 1976, გვ. 163-187.

მკვლევრის მიზანია გარკვევა იმისა, თუ როგორია რუსთაველის შეხედულება მიკროკოსმოსის, ანუ ადამიანის შექმნაზე. ამ თვალსაზრისით განიხილავს იგი პოემის 1-2-ე სტროფებს. ვრცლად მსჯელობს სტრიქონზე: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“. მკვლევრის თქმით, შესაქმის ინიციატორი აქაც მამაა (ისევე, როგორც პირველ სტროფში). როდესაც ქრისტიანულ ღმერთს მიმართავენ როგორც ერთს, იგულისხმება მამა. ადამიანთა შემწეობა, მფარველობა ძის ფუნქციაა, ხოლო როდესაც საუბარია სიყვარულზე („მომეც მიჯნურთა სურვილი“) ყოველთვის სულიწმინდა იგულისხმება.

ტერმინის „სახე“ მთავარი შინაარსია: არქეტიპი, პროტოტიპი („ღმერთმან, თქვენმავე სახემან“, 738,2). „სახეს“ მომავლის პერსპექტივის, იდეალის გაგებაც აქვს („სახე დიდი დავუსახე“, 439,4). გამოთქმა „სახე ყოვლისა ტანისა“ ეყრდნობა გრიგოლ ნოსელისა და სხვა ქრისტიან ღვთისმეტყველთა მოძღვრებას პირველქმნილი კაცის შესახებ და არა არისტოტელურ ფილოსოფიას.

ავტორი ეხება ტერმინებისა და ცნებების თარგმნის საკითხს ინგლისურ ენაზე. მას არასწორად მიაჩნია მეორე სტროფის ვ. ურუშაძისეული თარგმანი. „ჰე, ღმერთო ერთო“ ასეა თარგმნილი: „ო, ღმერთო ერთადერთო (უნიკალურო) და დიდებულო“, რაც არაზუსტია; „ერთი“ პოემაში იხმარება როგორც საკუთარი სახელი, როგორც ტერმინი და არა როგორც რიცხვითი სახელი „ერთი“. მეოთხე ტაეპი: „ცოდვათა შემსუბუქება მუნ თანა წასატანისა“ თარგმანშია: „შემიმსუბუქე ტვირთი ცოდვათა, რომელიც მე უნდა წავიღო ზეციურ სასუფეველში!“ დედანში „მუნ“ ნიშნავს, ზოგადად „საიქიოს“. ზეციურ სასუფეველში ვერავინ შევა, სანამ მას ცოდვის ტვირთი ჰკიდია. „სასუფეველი“ ნიშნავს სამოთხეს, საიქიოს ზენა სფეროს, სადაც ცოდვილნი არ შეიშვებიან. გ. ა.

696. მანანა გიგინეიშვილი

### მზე — „ხატი ღვთისა“ ვეფხისტყაოსანში

„ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, კრებ. VII-VIII, თბ., 1976, გვ. 102-112.

მკვლევარი განმარტავს 836-ე და 837-ე სტროფებს და აზუსტებს მათ შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს.

836: იტყვის: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად...

837: ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი.

მზე რომ ღვთის ხატია, ამ აზრის სათავედ ითვლება ნეოპლატონური მოძღვრება. კ. კეკელიძის აზრით, „ფილოსოფოსნი წინანი“ გულისხმობს ნეოპლატონიკოს მოღვაწეებს. ასევე ფიქრობენ მ. გოგიბერიძე, ვ. კერძევაძე, შ. ხიდაშელი.

მაგრამ ეს აზრი ცნობილი იყო უფრო ადრე: მზე მიჩნეულია ღვთის ხატად „უპანიშადებში“, აგრეთვე, ზარათუშთრას მოძღვრებაში ხილული მზე არის ხატი მზიური ლოგოსისა, რომელსაც „ზენდავესტა“ აჰურა-მაზდას უწოდებს (104-105).

მზის რუსთველურ გაგებას არაფერი აქვს საერთო პანთეიზმთან. მზე არის „ხილული ნათელი“ (ბიბლიური კოსმოგონიის მიხედვით), ხოლო მის შექმნამდე არსებობდა „ნათელი უხილავი“, „უჟამო დაუღამებელი, დაუბადებელი“. მას ეწოდება აგრეთვე: „მზე დაუვალი“, „ნათელი დაუსაბამოჲ“, „ნათელი შეუქმნელი“, „შეუხებელი, თვითმნათობი, უსხეულოჲ ნათელი“, „მზეჲ იგი სიმართლისაჲ“ (108-109).

სასულიერო მწერლობაში მკვეთრადაა გარჩეული ერთი მხრივ „თვითმნათობი ნათელი უსხეულოჲ“ და მეორე მხრივ, ფიზიკური ნათელი, რომელსაც დასაბამი აქვს, — ის შეიქმნა ბიბლიური კოსმოგონიის მეოთხე დღეს „ნათლისაგან წარუვალისა“.

ქრისტე ფიზიკურ მზესთან კი არ არის გაიგივებული, არამედ უხილავ, სულიერ მზესთან, მზის სულიერ არსთან (111).

მკვლევრის აზრით, ორგვარი ნათელის ეს გაგება ასახულია რუსთველის პოემაში. გ. ა.

697. მერი გუგუშვილი

### ვეფხისტყაოსანი და „იოსებზილიხანიანის“ ანონიმური ვერსია

კრებ. „ძველი ქართ. მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები", VII-VIII, თბ., 1976, გვ. 141-156.

„იოსებზილიხანიანის" პირველი, ანონიმური თარგმანის ზუსტი თარიღი დაუდგენელია. ა. გვახარია მას XVI ს-ის შუა წლებით ათარიღებს.

მთარგმნელი რუსთველის დიდ გავლენას განიცდის: იმეორებს ლექსიკას, მხატვრულ სახეებს, ფრაზებს, აფორიზმებს, რითმებს (მოტანილია მაგალითები).

თარგმნილი პოემის პროლოგი შედგენილია „ვეფხისტყაოსნის" „დასაწყისის" მიხედვით (თუმცა თარგმანის დასაწყისი დაზიანებულია, ნაკლულია). მასში შეკუმშულად გადმოცემულია რუსთველის შაირობისა და მიჯნურობის თეორია. გ. ა.

698. ვახტანგ გურგენიძე

„ვეფხისტყაოსნის" ერთი უცნობი ხელნაწერის გამო

გაზ. „წიგნის სამყარო", 1976, 28 აპრ., № 8, გვ. 5.

ავტორის თქმით, საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახ. არქივში არის დოკუმენტი (ფონდი 27, № 1, საქმე 26), რომ თურქეთში, ერთ-ერთ ოჯახში ინახებოდა 1436 წელს ეტრატზე დაწერილი „ვეფხისტყაოსანი". ამ ცნობას შეიცავს ვინმე კ. მარტვილელის (ოდიშარიას) წერილი, რომელსაც ეს ხელნაწერი უნახავს ქ. არტაანის პროვინციაში, სოფ. ორ-კიზში, გამუსლიმანებული ქართველის ოთარ-ბეგ შერვაშიძის ოჯახში (მისი თურქული გვარი არ ახსოვს). წერილი დაწერილია 1935 წლის 14 დეკემბერს და გამოგზავნილია შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტისადმი. გ. ა.

699. ბორის დარჩია

ვეფხისტყაოსნის თავნაკლული პროლოგის წარმოშობის შესახებ

კრებული „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII-VIII, თბ., 1976, გვ. 157-170.

ორ ხელნაწერში: E (თავაქარაშვილის) და X (პარიზული) დასაწყისის 10 სტროფი (სხვა ხელნაწერებში არსებული 1-10) არ არის. F-ს (ბებურიშვილისეული) აკლია 7 სტროფი (№ 3-9).

მკვლევარები ამის მიზეზად თვლიან აღნიშნული ხელნაწერების დაზიანებული დედნებიდან მომდინარეობას. მაგრამ ბ. დარჩიას ვარაუდით, ეს სტროფები საგანგებოდ უნდა იყოს ამოღებული (ე. ი. გამოტოვებული) ამ ხელნაწერების ან მათი დედნების გადამწერთაგან; გადამწერებს შეეძლოთ დასაწყისად (პირველ სტროფად) მიეჩნიათ № 11 („ესე ამბავი სპარსული..."). გ. ა.

700. ნოდარ დუმბაძე

ჩემი რუსთაველი

ჟურ. „ცისკარი", 1976, № 7, გვ. 92-99.

წერილი შეიცავს ტრადიციულისაგან განსხვავებულ მოსაზრებებს „ვეფხისტყაოსნის" პროლოგზე. ავტორის აზრით, „დასაწყისი" (პროლოგი) დაიწერა მას შემდეგ, რაც „ვეფხისტყაოსანი" უარყოფილ იქნა ეკლესიის წარმომადგენელთაგან.

ავტორს მიაჩნია, რომ „დასაწყისში" რუსთაველი აშკარად დასცინის მათ, ვისაც მონაწილეობა მიუღია მისი თხზულების განქიქებაში. იგი შეგვახსენებს, რომ მეთორმეტე სტროფიდან იწყება აპოლოგია „გრძელი შაირისა", რაც გრძელდება მეთვრამეტე სტროფამდე, სადაც პოეტი ამკვიდრებს ქართულ მწერლობაში ახალ ჟანრს – პოემას და ამით ამართლებს იმ საჭოჭმანო საქმეს, რომელიც ერთ-ერთ მძიმე ბრალდებად წაუყენეს მას.

ავტორი ვარაუდობს, რომ რუსთაველის ეპოქაში და, საფიქრებელია, შემდეგშიც საქართველოში სიტყვა „მიჯნურობა" გაიგივებული იყო სიძვასთან, მეძავეობასთან. ალბათ, ამიტომ დასჭირდა რუსთაველს, უმეცართათვის არათუ აეხსნა მიჯნურობის არსი, არამედ ლექსიკონური განმარტებაც მოეცა ამ სიტყვისა.

ავტორის საბოლოო დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის" პროლოგი დაიწერა არა როგორც მოძღვრება შაირობასა და მიჯნურობაზე, არამედ როგორც ახსნა-განმარტება კლერიკალური ეკლესიის მიერ მსჯავრდებული ხელოვანისა. გ. ა.

701. ნ. დუმბაძე

რას ნიშნავს სიტყვა „დამი"?

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1976, 17 სექტ., № 38, გვ. 2.

წერილი ეხება ვეფხისტყაოსნის დასასრულის სტრიქონს:

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა დამისა“.

ავტორი აღნიშნავს, რომ დამი, მედუდუკეთა ენაზე, ხმოვანებას, ჰანგს ნიშნავს. ერთმა მედუდუკემ მეორეს უთხრა: დამი დაბლა დაიჭიო, — ჰანგს დაუკელიო, ანუ ხმა შემიწყვე, ჩემს ჰანგზე დაუკარიო.

ამასვე ადასტურებს სიტყვა დამქაში, რაც ისეთ კაცს ნიშნავს, რომელიც ვიღაცის დასტას ეკუთვნის, ვიღაცის ნება-სურვილს ემორჩილება და მის ჰანგზე მღერის.

ამ მნიშვნელობით არის „დამი“ ნახმარი საიათნოვას ლექსში, რომლითაც მეფე ერეკლეს მიმართავს:

განა მე მშიერი ვიყავ, ჭამისათვის წამოვედი,
შენთან ლაპარაკი მსურდა, დამისათვის წამოვედი.

ასევე უნდა გავიგოთ „დამი“ ვეფხისტყაოსნის ეპილოგში, ესე იგი – ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე, რუსთველის ჰანგზე მომღერალი, რუსთველის ხმის შემწყობი, მისი დასტის (პოეტთა კორპორაციის) წარმომადგენელი, მისი ბანის მიმცემი.

ამ სტროფის ავტორი რუსთაველის პოემის ერთ-ერთი გვიანდელი გადამწერი უნდა იყოს. გ. ა.

702. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ლექსიკონები

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა იზოლდა წაქაძემ, სარგის ცაიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, თბ., 1976, 106 გვ.

წიგნში თავმოყრილია „ვეფხისტყაოსნის“ XVIII-XIX საუკუნეების ხელნაწერებზე დართული ლექსიკოგრაფიული განმარტებანი. წარმოდგენილია ყველა ლექსიკონის მთლიანი ნუსხა, რომლებიც დალაგებულია რედაქციული ჯგუფების მიხედვით.

წიგნის 83-105 გვერდებზე მოცემულია ლექსიკონების შემცველი ხელნაწერების აღწერილობა.

რედაქტორის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ პოემის ხელნაწერებზე დართული ყველა ლექსიკონი, პირდაპირი თუ შუალედური გზით, მომდინარეობს ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი კომენტარებიდან. ზოგჯერ დამატებით წყაროდ გამოყენებულია ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონა“. გ. ა.

703. გიორგი თევზაძე

რუსთაველის კოსმოლოგია
წერილი III, მნათობთა რიგი

ჟურ. „განთიადი“, 1976, №3, გვ. 171-182.

წერილში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ 944-953 სტროფები, რომლებშიც ასახულია ავთანდილის მიმართვა ციური მნათობებისადმი. ამ მიმართვაში მნათობები დედამიწიდან მათი დაშორების მანძილის ზრდის მიხედვით არიან წარმოდგენილი, რაც ასეთ რიგს გვაძლევს: 1. მთვარე, 2. მზე, 3. მერკური (ოტარიდი), 4. ვენერა (ასპიროზი), 5. მარსი (მარიხი), 6. იუპიტერი (მუშთარი), 7. სატურნი (ზუალი).

იხ. გ. თევზაძის წიგნის ანოტაცია – აქვე, № 827.

704. გაიოზ იმედაშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა

გაზ. „შოთაობა“ (იყალთო), 1976, ოქტომბერი, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი აგვირგვინებს ქართული კულტურის ისტორიის დიდ გზას, რომელიც გავლილია ეროვნული აზრის, სიტყვისა და ესთეტიკური შეგრძნების ხანგრძლივი ევოლუციით და, ამ თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანი“ კი არ იწყებს, არამედ ამთავრებს ქართული შემოქმედებითი სწრაფვისა და ძიების მთელ ეპოქას.

„ვეფხისტყაოსნის“ ჭეშმარიტი გაგებისათვის ავტორს საჭიროდ მიაჩნია პირველ რიგში თვით ქართული კულტურის, მისი სოციალური ყოფის, აზრისა და იდეალების შესწავლა-გამოკვლევაზე დაყრდნობა. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი პრობლემის, რუსთაველის თუნდაც ერთი სიტყვისა თუ

ფრაზის გაგებისათვის აუცილებელია ქართული კულტურისა და სოციალური ცხოვრების საკითხების კომპლექსური შესწავლა, რომელთა გადაწყვეტა თავის მხრივ წინასწარ გულისხმობს ქართველი ერის სულიერი ევოლუციის, საზოგადოებრივი ცხოვრების, ეროვნული იდეოლოგიის ძირითადი ფაქტორების გათვალისწინებას.

მკვლევრის თქმით, ვეფხისტყაოსანმა წარუშლელი ბეჭედი დაასვა ქართველი ერის პოლიტიკურ შეგნებას, სოციალურ ყოფას, ესთეტიკურ იდეალებს, ეთიკურ ნორმებს, საერთოდ – საზოგადოებრივ აზროვნებას მომდევნო თაობებში. გ. ა.

705. ინგა კალაძე

„ვისრამიანის“ ლექსიკიდან („ლაშქარი“ — „ლაშქარნი“)

თსუ შრომები, ტ. 180, 1976, გვ. 91-98.

ავტორი აღნიშნავს, რომ ლაშქარი სპარსული ენიდან შეთვისებული სიტყვაა. ქართული ლექსიკონების განმარტებით „ლაშქარი“ არის „დიდი ჯარი სამტერო“; სპა, ჯარი (войско, воинство); მხედრობა, ურდო.

დასტურდება ამ სიტყვის მრავლობითი ფორმაც „ლაშქარნი“, რომელიც ლექსიკონებში განმარტებული არაა.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „სიტყვები „ლაშქარნი“ და „სპანი“ საგანგებო მნიშვნელობითაც იხმარებოდნენ და საქართველოს სამხედრო წრის გამომხატველ ტერმინებად ყოფილან. ... ისინი უბრალო მეომრები კი არ ყოფილან, არამედ მეომართა რჩეული ნაწილი... ლაშქარი თუ ჯარს ნიშნავს, ლაშქარნი – რაინდობას“.

ასეთი გაგება უნდა იგულისხმებოდეს „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზებში: „ნახა ლაშქართა ჯარია“ (92), ე. ი. რაინდთა, რჩეულ მეომართა ჯარი (და არა ჯარების ჯარი). ანალოგიური შესიტყვებებია: „სპათა ჯარი“ (8); „რიცხვი სპათა ჯარისა“ (613); „გარესწყდეს ჯარსა სპათასა“ (1434).

გარდა ამ მნიშვნელობებისა (ჯარი, მხედრობა, რჩეულნი მეომარნი), „ლაშქარნი“ აღნიშნავს მოქალაქეთა სიმრავლეს, მდაბიოთა მასებს (მოტანილია ნიმუშები „ვისრამიანიდან“). ტერმინი „ლაშქარნი“ გარკვეული სოციალური შინაარსით დატვირთული ცნებაა, როგორც იხმარებოდა ის პატრონყმური ფეოდალიზმის ადრეულ ხანაში, როდესაც საზოგადოების უმდაბლესი ფენა სამხედრო მოვალეობასაც ასრულებდა (ე. წ. მდაბიორ-მოლაშქრე, ანუ ერისაგან – მოლაშქრე).

სპარსულ „ლაშქარს“ შეუთავსებია ძველქართული მნიშვნელობა სიტყვისა ერი, რაც ნიშნავს ჯარს, ხალხს. გ. ა.

706. ტარიელ კვანჭილაშვილი

შოთა რუსთველის ვინაობისა და სადაურობის ერთი უცნობი მოსაზრება
(ნიკო ნადირაშვილის რუსთველოლოგიური ძიება)

ჟურ. „ცისკარი“, 1976, № 12, გვ. 115-130.

წერილის დანიშნულებაა მკითხველთა ფართო წრეს გააცნოს ნაშრომი მეცნიერებაში უცნობი ავტორის ნიკო ნადირაშვილისა, რომელიც ცდილობს შესწორება შეიტანოს საქართველოს ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიისა და შოთა რუსთველის ვინაობა-სადაურობის საკითხებში.

წერილის ავტორი განიხილავს ნ. ნადირაშვილის ნაშრომს და წარმოგვიდგენს მის ძირითად დებულებებს წიგნად გამოსაცემი ხელნაწერის მიხედვით.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის დადგენისათვის სარწმუნო წყაროდ ნ. ნადირაშვილს პოემის დასაწყისი (პროლოგი) მიაჩნია, სადაც პოეტი აცხადებს, რომ ის არის „რუსთველი“. მკვლევრის აზრით, ტერმინი „რუსთველი“ უნდა აღნიშნავდეს პოეტის სადაურობას, ან თანამდებობას, ანუ ქალაქ რუსთავის მფლობელობას, განმგებლობას.

შემდეგ ნ. ნადირაშვილი ცდილობს იმის გარკვევას, თუ მესხეთის რუსთავისა და გარდაბნის (შემდგომ – კუხეთის) ბოსტან-ქალაქის გარდა, კიდევ სად მდებარეობდა ქალაქი რუსთავი.

მისი დასკვნით, უძველესი ციხე-ქალაქი რუსთავი, რომელსაც პოეტი ფლობდა პოემის შესავლის დაწერის დროს, მდებარეობდა ქურმუხის ხეობის დასავლით მდებარე საინგილოში.

პოემის დაწერის თარიღად მკვლევარი მიიჩნევს 1179-1185 წლებს. ესაა პერიოდი თამარის გამეფებიდან მის პირველ ქორწინებამდე. ავტორის აზრით, თამარის ქმრიანობის დროს პოემა ვერ დაიწე-

რებოდა, რადგან ამ დროს პოეტი ვერ გაბედავდა საქვეყნოდ განეცხადებინა, რომ მას თამარი უყვარს და ელის მის თანაგრძნობას.

რეცენზენტი საყურადღებოდ თვლის ნ. ნადირაშვილის მოსაზრებებს და სასურველად მიიჩნევს მის წიგნად დაბეჭდვას. გ. ა.

707. დავით ლაშქარაძე

ვეფხისტყაოსნის ახალი გერმანული თარგმანი

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1976, 3 აპრ., № 14, გვ. 4.

ავტორი იუწყება, რომ ნინო სალიამ პარიზში გამოსცა მიხეილ წერეთლის მიერ გერმანულ ენაზე შესრულებული მხატვრული პროზაული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა", რომელიც ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველი შეიცავს პოემის 4900 სტრიქონს. მეორე ნაწილში დაბეჭდილია მთარგმნელის მიერ არარუსთველურად მიჩნეული პასაჟები, რომელთა დიდი ნაწილი, მისივე აზრით, ეკუთვნის სხვა პოეტს — „ვინმე მესხ მელექსეს".

თარგმანს ახლავს მ. წერეთლის წინასიტყვაობა და ნ. სალიას შენიშვნები, რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული თარგმანის ბედი და მისი მნიშვნელობა გერმანულენოვანი მკითხველისათვის. გ. ა.

708. ჯიბო ლომაშვილი

„კუპარისა" და „კუპრის" შესახებ

გაზ. „წიგნის სამყარო", 1976, 28 ივლ., № 14, გვ. 4-5-6; 11 აგვ., № 15, გვ. 3.

ავტორი განიხილავს ტერმინ „კუპრის" („კუპარის") გამოყენებას ქართულ საისტორიო თხზულებაში (ე. წ. „ჟამთააღმწერელი") ჰერეთის ერისთავ შოთას, მისი აზრით, იგივე შოთა რუსთველის ზედწოდებად და ვარაუდობს, რომ შოთას ასე უწოდებდნენ მისი თხზულების არასწორად გაგების გამო. ქართულ სამღვდელოებას „ვეფხისტყაოსანი" ეკლესიისათვის მიუღებლად მიაჩნდა და მის ავტორს „კუპარს" — ქრისტიანობისგან განდგომილს უწოდებდა.

ავტორის დასკვნით, შოთა რუსთველი იყო მღვდელმთავარი (რუსთავის ეპისკოპოსი), ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა, გვარად ბაგრატიონი, ავტორი „ვეფხისტყაოსნისა" და „კუპარად" წოდებული არა შავი ფერისათვის, არამედ მისი პოემის შინაარსის მცდარად გაგების მიზეზით. გ. ა.

709. არამ მარტიროსოვი

გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის" ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ

ჟურ. „მნათობი", 1976, № 8, გვ. 187-192.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ივანე გიგინეიშვილის წიგნზე „გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ" (თბ., 1975).

ავტორი აღნიშნავს, რომ სარეცენზიო წიგნში ენობრივ თავისებურებათა ვრცელი და საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, თემატური თანმიმდევრობით გარკვეულია ლექსიკის საკითხები, დადგენილია სამოხელეო ტერმინები, დახასიათებულია ხარისხის ფორმათა წარმოება, მრავლობითი რიცხვის, სიტყვათწარმოების, რთული წინადადების თავისებურებანი, სიტყვათა წყობის საკითხები და სხვ.

ნაშრომის მეორე თავში გაანალიზებულია პოემაში ნახმარი სიტყვები: წვერგამო, უაუგო, ხეზი, ვუალნეთ, ჩხნდე და დადგენილია მათი სემანტიკა ქართული სალიტერატურო ენის სხვადასხვა პერიოდის ძეგლების სათანადო მონაცემთა გათვალისწინებით.

წიგნის მესამე თავში ავტორის კვლევის საგანს წარმოადგენს სამოხელეო ტერმინები და მათი დაწერილობა პოემის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით.

რეცენზენტი დაასკვნის, რომ ივ. გიგინეიშვილის წიგნი მეტად საჭირო მონოგრაფიაა არა მარტო კვლევა-ძიების შედეგად მიღებული საყურადღებო დასკვნებით, იგი ამავე დროს ახალი სიტყვაა მეცნიერული დასაბუთების თვალსაზრისითაც, რომელსაც არსებითი წვლილი შეაქვს შოთა რუსთაველის გენიალური ნაწარმოების ენის შესწავლისა და პოემის ტექსტის კრიტიკულად დადგენის საქმეში. გ. ა.

710. მ. მახათაძე

ვეფხისტყაოსნის 1712 წლამდელ ხელნაწერთა სათაურები პოემის გენეზისის შესახებ

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის X სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1976, გვ. 19-21 (მოგვყავს შემოკლებით).

ამჟამად ცნობილია 1712 წელზე ადრინდელი სათაურშემონახული 10 ხელნაწერი. მათგან ხუთის (ABCFX) სათაურები მიუთითებენ პოემის უცხოურ გენეზისზე („ამბავი სპარსული რუსთველისაგან ქართულად ნათარგმანები" A; „სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები" F).

სხვა ნუსხები (EDJOI) სათაურში არ ახსენებენ სიტყვა „სპარსულს", ორ მათგანში კი (OI) მეცხრე სტროფიც („ესე ამბავი სპარსული") არაა შეტანილი. გ. ა.

711. იოსებ მეგრელიძე

ხომლელის რუსთველოლოგიური ნააზრევი

„ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები", კრებ. VII-VIII, თბ., 1976, გვ. 298-305.

ავტორი წერს, რომ პუბლიცისტმა და კრიტიკოსმა რომანოზ ფანცხავამ (ლიტერატურული ფსევდონიმი – ხომლელი) 1925 წელს გამოაქვეყნა ნარკვევი „ვეფხისტყაოსანზე" (გაზ. „ახალი გზა", № 26, 27). საყურადღებოა, რომ ხომლელი ამ ნარკვევში რუსთველს ქართული რენესანსის დამწყებს უწოდებს. მისივე სიტყვით, „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით სავსებით შეგვიძლია გავეცნოთ საშუალო საუკუნეების ფილოსოფიას, არაბულ ასტრონომიას. პოემაში „თამარ მეფის დროის აღორძინების, რენესანსის, ახალი ხანა პირწმინდად იხატება".

„ვეფხისტყაოსანს" ხომლელი პოემა-რომანს უწოდებს და ემხრობა მისი სიუჟეტის ორიგინალობის დამცველებს. გ. ა.

712. ლევან მენაბდე

„ვეფხისტყაოსანი" ბულგარულ ენაზე

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1976, 16 იანვ., № 3, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ ბულგარელმა მკითხველმა მე-20 ს-ის დასაწყისში გაიცნო შოთა რუსთველი. „ვეფხისტყაოსანსა" და მის ავტორზე წერდნენ: ი. ვაზოვი, კ. ბელევი, ს. კარაკოსტოვი, ი. ბიწაძე, ე. ბაგრიანა, ც. ანგელოვი და სხვები.

პოემის ბულგარულად თარგმნის პირველი ცდა ეკუთვნის პოეტ-აკადემიკოს ნ. ლილიევს. პწკარედითა და კონსულტაციით მას ეხმარებოდა ივანე ბიწაძე, მაგრამ ეს მუშაობა შეწყდა მთარგმნელის გარდაცვალების გამო (1960 წ.).

1966 წელს „ვეფხისტყაოსნის" თარგმნას შეუდგა პოეტი სტოიან ბაკირჯიევი. მასაც კონსულტაციას ი. ბიწაძე უწევდა. 1971-75 წლებში გამოქვეყნდა თარგმანის ნაწყვეტები ი. ბიწაძის შესავალი წერილით. ახლახან უკვე პოემის სრული თარგმანი დაიბეჭდა „მსოფლიო კლასიკის ბიბლიოთეკის" სერიით. მას ახლავს პროფ. ვ. ველჩევის გამოკვლევა და ი. ბიწაძის მიერ შედგენილი „მოკლე განმარტებითი შენიშვნები", რომელშიც ახსნილია საკუთარი სახელები, თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინები, მეტაფორები და სხვ. გ. ა.

713. ლ. მენაბდე

რუსთველი ჩეხოსლოვაკიაში

ჟურ. „ცისკარი", 1976, № 12, გვ. 108-114.

ავტორი გვამცნობს, რომ XX ს. დამდეგიდან ქართული ლიტერატურის შესწავლას და ჩეხურად თარგმნას იწყებს ო. ვეტი.

1958 წ. ი. იედლიჩკამ გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის" სრული ჩეხური თარგმანი – როგორც პროზაული, ისე პოეტური. ავტორი იხსენიებს ი. იედლიჩკას შეხედულებებს „ვეფხისტყაოსნის" იდეურ-შემეცნებითსა და მხატვრულ-ლიტერატურულ ღირებულება-მნიშვნელობაზე. პოემის თარგმანი, მასზე დართული ვრცელი წინასიტყვაობით წარმოაჩენს რუსთველის პოემის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობასა და ლიტერატურულ-მხატვრულ ღირებულებას. არსებითად ეს იყო პირველი მოზრდილი ნარკვევი რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე". მან დიდად შეუწყო ხელი რუსთველის პოპულარიზაციას ჩეხოსლოვაკიაში.

ლ. მენაბდე საგანგებოდ იხსენიებს დოქტორ ა. ჩეხოვას მეცნიერულ-პოპულარულ წერილს, სადაც ავტორი „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორზე გამოთქმულ შეხედულებათა გარდა მკითხველ საზოგადოებრიობას აწვდის ცნობებს ქართულ კულტურაზე, პალესტინაში ქართველთა მოღვაწეობაზე და ა.შ.

დასახელებულია კიდევ ორი ავტორი: პირველია მწერალი და მთარგმნელი ი. ვაცულინი, რომელმაც თანამემამულეებს მოუთხრო რუსთველის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, ხოლო მეორე – სლოვაკი ჟურნალისტი ვ. ტემნოვოვა, რომელმაც სამეცნიერო-პოპულარულ წერილში მკითხველებს მიაწოდა ცნობები XII-XIII სს. საქართველოს შესახებ, წარმოაჩინა რუსთველის პოემის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. ი. კ.

713**a**. ლ. მენაბდე

რუსთველი იტალიაში

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის X სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1976, გვ. 9.

იხ. აქვე, ანოტ. № 836.

714. რ. მირიანაშვილი

ახლა კი არაბულად!

გაზ. „თბილისი“, 1976, 29 იანვ., № 24, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ სირიაში, ქ. ალეპოში ყოფნის დროს პირადად შეხვდა მწერალ ნიზარ ხალილს, რომელიც არაბულ ენაზე თარგმნის „ვეფხისტყაოსანს“. მას უკვე გაკეთებული აქვს პოემის პროზაული თარგმანი და ვარაუდობს, რომ ერთ წელიწადში შეძლებს მის ლექსად გაწყობას. ეს იქნება შოთას თხზულების პირველი თარგმანი არაბულ ენაზე. გ. ა.

715. შალვა ნუცუბიძე

რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი

გამოიცა შ. ნუცუბიძის „შრომების“ IV ტომად, თბ., 1976, 522 გვ. წიგნი წარმოადგენს თარგმანს ამავე სახელწოდების რუსული გამოცემისა, თბ., 1947, (იხ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1957, ანოტ. № 2178). მთარგმნელი და რედაქტორი შალვა ხიდაშელი.

ავტორის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ამ ნაშრომის გამოცემა განზრახული იყო რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის საიუბილეოდ, 1966 წელს. წინამდებარე გამოცემაში დამატებულია XVII თავი: „აღმოსავლური რენესანსის პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა“ (გვ. 431-453), რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ რენესანსის პრობლემა ლიტერატურაში კერძო საკითხიდან უკვე მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემად გადაიქცა. იგი ასახელებს უზბეკ მეცნიერს ა. ხაიტმეტოვს (ალიშერ ნავოის შემოქმედების მკვლევარს), რომელმაც „მტკიცედ აიღო გეზი აღმოსავლური რენესანსისაკენ“, აგრეთვე ვ. კ. ჩალოიანის შრომას „სომხური რენესანსი“. შ. ნუცუბიძე ვრცლად განიხილავს აკად. კონრადის მოსაზრებას, რომელიც გამოიხატება ე. წ. „მსოფლიო რენესანსის“ კონცეფციაში და „თვითნაბადი“ (ავტოქტონური) და „ანარეკლი“ რენესანსების არსებობის მტკიცებაში. მკვლევრის თქმით, „უმთავრესი, რასაც აკად. ნ. ი. კონრადი გვთავაზობს, ის არის, რომ მან აღმოსავლური რენესანსი საფუძვლად დაუდო მსოფლიო რენესანსს მისი რეგიონალური რენესანსებით, რომლებსაც თვითმყოფადი წყაროები აქვთ და რომლებიც ერთმანეთთან მსოფლიო რენესანსის საერთო კანონზომიერებით არიან დაკავშირებული“ (გვ. 447).

წიგნში დაბეჭდილია აგრეთვე შ. ნუცუბიძის ნარკვევი „აღმოსავლეთის რენესანსი და ევროპოცენტრიზმის კრიტიკა“ (გვ. 502-512), რომელიც პირველად 1941 წ. გამოქვეყნდა (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 2, № 8). მასში მოცემულია ის დებულებები, რომლებიც შემდეგ ვრცლად განიხილა და დაასაბუთა მკვლევარმა მონოგრაფიულ ნაშრომში. გ. ა.

716. შერმადინ ონიანი

ეკუთვნის თუ არა რუსთველს

ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“

თბ., 1976, 108 გვ.

ნაშრომში განხილულია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ლექსი, რომლის ავთენტური ტექსტი, წიგნის ავტორის აზრით, ასეთი უნდა ყოფილიყო:

ფილოსოფოსნი შემოკრბეს, ამაზე ჰქონდათ ცილობა:
პატრონი ყმასა რითა სჯობს და ჭკუას – გამოცდილობა?
ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად – ზრდილობა,
თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.

მკვლევრის ვარაუდით, ეს ლექსი მწიგნობრული ნაწარმოებია და არა ფოლკლორული. ის დაწერილი უნდა იყოს ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაში. მისი არსებობა წერილობით დადასტურებულია XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე.

ამ სტროფს რუსთველს აკუთვნებენ: დ. ჩუბინაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ნ. მარი, მ. ჯანაშვილი, ა. წერეთელი, ლ. მეტრეველი, გ. თავზიშვილი, ვ. აბაშმაძე, ი. მეგრელიძე.

შ. ონიანს მიაჩნია, რომ ეს არის შ. რუსთველის ლირიკული ლექსების ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი ნიმუში, შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის შემდეგ.

გამოკვლევას ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 102-105). გ. ა.

717. რამაზ პატარიძე

1113?

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1976, 16 იანვ., № 3, გვ. 3.

მკვლევარი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1113-ე სტროფი („ბაღსა შიგან სათამაშოდ სალამოსა გავე ჟამსა...“), რომელშიც აღწერილია ფატმანისა და მისი სტუმარი ქალბატონების გართობა-მხიარულება, შინაარსობრივად ზედმეტი და მხატვრულად მდარეა, რითმა არაზუსტია (ამსა/მასა). ამიტომ ეს სტროფი ამოღებულ უნდა იქნას პოემის ძირითადი ტექსტიდან, რის შემდეგაც ამბის თხრობა 1112-ე სტროფიდან ლოგიკურად გაგრძელდება 1114-ე სტროფში (იხ. ანოტ. № 775). გ. ა.

718. შოთა რუსთაველი

აფორიზმები

საუკეთესო თარგმანებითურთ რუსულსა და გერმანულ ენებზე

შეარჩია და გამოკვლევა დაურთო ვ. კუპრავამ, თბ., 1976, 107 გვ.

კრებულს უძღვის ვ. კურპავას „წინასიტყვა“ ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე (გვ. 5-24), სადაც წარმოჩენილია რუსთველის აფორიზმების აზრობრივი და მხატვრული ღირსება და მათი სრულყოფილად თარგმნის სიძნელე.

კრებულში დაბეჭდილია 195 აფორიზმი, სათანადო შესატყვისებით, რომელთა მთარგმნელები არიან: რუსულად – კ. ბალმონტი, შ. ნუცუბიძე, გ. ცაგარელი, პ. პეტრენკო, ნ. ზაბოლოცკი, პ. ანტოკოლსკი და ს. იორდანიშვილი; გერმანულად – ა. ლაისტი, მ. პრიტვიცი, ჰ. ჰუპერტი, ჰ. ბუდენზიგი, მ. წერეთელი და რ. ნოიკომი. გ. ა.

719. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

მეორე შესწორებული და შევსებული სასკოლო ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, რედაქტორი ალ. ჭინჭარაული, თბ., „განათლება“, 1976, 552 გვ., იხ. პირველი გამოცემის ანოტ. № 604.

719**a**. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(Der Mann im Pantherfell)**

გერმანულ ენაზე თარგმნილი ჰერმან ბუდენზიგის მიერ
თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1976, 214 გვ.

დაბეჭდილია 1587 სტროფის თარგმანი. წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა (გვ. 7-13). სათაურებთან – მხატვრული გაფორმება ზურაბ კაპანაძისა.

719**b**. [შოთა რუსთაველი]

ვეფხისტყაოსანი
**(Der Recke im Tigerfell)**

ძველი ქართული პოემა რუსთაველისა, პროზით მოთხრობილი ვ. რუიკა-ფრანცის მიერ, ბერლინი, 1976, 160 გვ. ტექსტი ჩართულია ნორბერტ პოლის ფერადი ილუსტრაციები.

719**c**. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(Rycerz w tygrysiej skyrze)**

პოლონურ ენაზე თარგმნილი ეჟი ზაგურსკის მიერ,
ფილოლოგ ი. ბრაუნის კონსულტაციით, კრაკოვი, 1976, 252 გვ.

ტექსტი შეადგენს 1587 სტროფს. ბოლოს ერთვის მთარგმნელის ნარკვევი — „კავკასია რენესანსის აკვანი“ (გვ. 232-242) და ტერმინებისა და სახელების ლექსიკონ-კომენტარი (გვ. 243-248).

719**d**. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

ყირგიზულ ენაზე თარგმნილი ალიყულ ოსმანოვის მიერ, ფრუნზე, 1976, 308 გვ.
(სასკოლო ბიბლიოთეკის სერია)

720. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში

I, თბ., 1976, 474 გვ.
შემდგენლები: ლ. მენაბდე, ნ. ორლოვსკაია, შ. რევიშვილი, დ. ფანჩულიძე; სარედაქცი ო კოლეგია: ა. ბარამიძე, ო. ბაქანიძე, ვ. გამყრელიძე, ლ. მენაბდე (მთ. რედ.), ა. ურუშაძე, ვ. შადური.

წიგნში დაბეჭდილია საფრანგეთში, ინგლისსა და გერმანულენოვან ქვეყნებში XIX ს-დან XX ს-ის 70-იან წლებამდე გამოქვეყნებული რუსთველოლოგიური მასალა. წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან. I ნაწილში შედის: შესავალი (გვ. 19-30), რომლის ავტორი დ. ფანჩულიძე ზოგადად მიმოიხილავს რუსთველისა და მისი პოემის შესახებ ფრანგულ ენაზე არსებულ ლიტერატურას. აქვეა ამ ლიტერატურის ბიბლიოგრაფია (დ. ფანჩულიძე, ლ. მენაბდე, გვ. 31-36). შემდეგ წარმოდგენილია გამოკვლევები, წერილები, სიტყვები, რომელთა ავტორები არიან: მ. ბროსე, ე. შტაკელბერგი, ჟ. კასტრი, ე. ჟალუ, გ. გვაზავა, ლ. არაგონი, რ. კაიუა, კ. სალია, რ. ლაკოტი, მ. ბრიონი, რ. ლაფონი, ნ. სალია, პ. პარაფი, ე. ტოლსტაია, ა. ლანუ, ჟ. კატალი, მ. ლეონი, ი. განდინი, მ. ფუშე, ე. გიევიკი, პ. გამარა (გვ. 37-113).

II ნაწილი: შესავალი – გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში (გერმანულ ენაზე) გამოქვეყნებული მასალის მიმოხილვა (შ. რევიშვილი). გერმანულენოვანი ლიტერატურის ბიბლიოგრაფია (შ. რევიშვილი, ლ. მენაბდე, გვ. 138-144). გამოკვლევები, წერილები, სიტყვები, კომენტარები შემდეგი ავტორებისა: ფ. ბოდენშტედტი, ბროკჰაუსი, ა. ლაისტი, ა. ზუტნერი, ფ. ფინკი, ფ. ჰოლდაკი, გ. დეეტერსი, ს. ველტმანი, რ. მილერ-ბუდნიცკაია, ა. სანდერსი, ვ. კოპიცინი, რ. ბლაიხშტაინერი, ჰ. ჰუპერტი, ო. ბაუერი, ბ. ფრაი, გ. პეჩი, ი. ასფალგი, ვ. ჰარტკე, ა. ზეგერსი, კ. შმიდტი, ლ. შტერნი, ჰ. კალოვი, ა. ენდლერი, ჰ. ფენრიხი, ჰ. ბუდენზიგი, მ. წერეთელი (გვ. 145-295).

III ნაწილი: შესავალი (ნ. ორლოვსკაია) — ინგლისში გამოქვეყნებული ლიტერატურის მიმოხილვა

(გვ. 301-319).

ბიბლიოგრაფია (ნ. ორლოვკაია, ლ. მენაბდე) — გვ. 320-325.

გამოკვლევები, წერილები, სიტყვები შემდეგი ავტორებისა: უ. მორფილდი, ო. უორდროპი, მ. უორდროპი, უ. ალენი, ს. შიმანსკი, მ. ბაურა, რ. სტივენსონი, პ. დრონკე, კ. კროსლი-ჰოლანდი, დ. ლანგი, ჯ. ოლდრიჯი, ე. ჰიუზი (გვ. 326-405).

ცნობები რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანზე“ ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში (გვ. 405-407).

კრებულს ერთვის ლ. მენაბდის შენიშვნები (გვ. 408-461), პირთა და თხზულებათა საძიებლები (თ. ხეთერელი, გვ. 462-474). გ. ა.

721. სარედქციო ცნობა]

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. „წიგნის სამყარო“, 1976, 14 იანვ., № 1, გვ. 5.

ცნობაში აღნიშნულია, რომ გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოუშვა შოთა რუსთაველის პოემის 1712 წლის პირველი ბეჭდური რედაქციის ფოტორეპროდუქციული გამოცემა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ. წიგნის დამატებაში შესულია: „შეცდომათა გასწორება“, „ვახტანგის ლექსიკონი“, „ვახტანგის დედანი ვეფხისტყაოსნისა“, „პირველი გამოცემის მოღწეული ცალები“. იქვე (გაზეთში) დაბეჭდილია აკაკი შანიძის „წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის“. გ. ა.

722. გურგენ სევაკი

რუსთველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“

თსუ შრომები , ტ. 177, თბ., 1976, გვ. 5-18.

ერევნის უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტის თანამშრომელი გურგენ სევაკი საკითხის სათანადო ცოდნით მიმოიხილავს შოთა რუსთველის თხზულებას. საგანგებოდ ჩერდება „ვეფხისტყაოსნის“ სამიჯნურო ფაბულაზე და შენიშნავს, რომ სიყვარული არის ის ძირითადი პრობლემა, რომლის გარშემოც მოუქსოვია თავისი ძვირფასი ხალიჩა შოთა რუსთველს.

ავტორი აღნიშნავს აგრეთვე იმ წვლილს, რომელიც სომეხი ერის წარმომადგენლებს აქვთ შეტანილი რუსთველოლოგიაში: რუსთველის შემოქმედების დაცვის, გავრცელების, კვლევისა და თარგმნის საქმეში. გ. ა.

**723. С. Б. Серебряков**

**Трактат Ибн Сины (Авицены) о любви**

თბ., 1976, 175 გვ.

ნაშრომი, ავტორის შესავლისა და წინასიტყვაობის გარდა, შეიცავს იბნ სინას ტრაქტატის არაბულ ტექსტს, მის რუსულ თარგმანს და იბნ სინას ფილოსოფიური ლექსიკის მცირე გლოსარიუმს (განმარტებებს).

წინასიტყვაობაში (გვ. 5-68) განხილულია აბუ ალი ჰუსეინ იბნ სინას, ანუ ავიცენას სიყვარულის ტრაქტატის როგორც ზოგადფილოსოფიური და ეთიკური, ისე რუსთველოლოგიური მნიშვნელობა. ავტორი ვარაუდობს, რომ შესაძლებელია რუსთველისათვის ცნობილი ყოფილიყო იბნ სინას ეს ნაშრომი, რადგან იგი თვითონ უდაოდ ამჟღავნებს გარკვეულ ცოდნასა და ინტერესს აღმოსავლეთის სწავლულთა მოძღვრებების მიმართ.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ მშვენიერების მძაფრი შეგრძნება ერთ-ერთი მახასიათებელი თვისებაა შუა საუკუნეების მუსულმანური კულტურისა. იბნ სინა იკვლევს სიყვარულის აღმოცენების საფუძველსა და პირობებს და წიგნის ერთ თავს უძღვნის სიყვარულს ლამაზი გარეგნობის ადამიანისადმი, რომელსაც ამშვენებს ახალგაზრდობა და მომხიბლველობა. ამ შემთხვევაში თვალსაჩინოა აზრობრივი დამთხვევა რუსთველის სტრიქონისა:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა“ (23,1),

ფორმის ჰარმონიულობა და შინაგანი მთლიანობა – ეს არის ღვთიური საწყისის არსებობის გამოვლინება პიროვნებაში. იბნ სინას აზრით, ნამდვილი, წმინდა სიყვარული წარმოიქმნება ცხოველური

სწრაფვისა და გონივრული სულის შერწყმით. ადამიანური სიყვარულის მორალურობა დამოკიდებულია იმაზე, მიჰყავს თუ არა მას ადამიანი გაკეთილშობილებამდე. ვისი სიყვარულიც სუფთაა, მათთვის ნებადართულია მოფერება და ხვევნა-კოცნა, რადგან ამით აღწევენ ისინი სულიერ კავშირს.

მკვლევარი დაასკვნის, რომ იბნ სინა ადამიანურ სიყვარულს, საპირისპირო სქესთა სიყვარულს, ანიჭებს პოზიტიურ როლს სულის აღმავლობის, ღვთაებისადმი სწრაფვის პროცესში. ნ.მ.

## 724. Сергей Серебряков

## К вопросу о типологических соответствиях между творчеством певцов любви европейского средневековья и романом Руставели

„ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, კრებ. VII-VIII, თბ., 1976, გვ. 113-141.

როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსნისა“ და დასავლეთ ევროპის რაინდული რომანების ტიპოლოგიური კვლევის მხრივ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული. იგი ასახელებს ნ. მარის, ზ. ავალიშვილის, ალ. ბარამიძის, ნ. ნათაძის, პ. შარიას შრომებს, სადაც სათანადო წყაროებისა და ლიტერატურის მიუწვდომლობის გამო ეს პრობლემა სრულყოფილად შესწავლილი არაა.

მკვლევარი არასწორად მიიჩნევს იმის მტკიცების ტენდენციას, რომ, რაკი საქართველოში რაინდობის ინსტიტუტი არ არსებობდა, „ვეფხისტყაოსნის“ ყოველგვარი ანალოგია ევროპულ საკარო-სარაინდო ლიტერატურასთან უნდა გამოირიცხოს. ნარკვევში მოცემულია კრეტიენ დე ტრუას რომანების - „ერეკი და ენიდა“, „კლიჟესი“, „ივეინი“ - თემატურ-იდეური ანალიზი, რომელთა მთავარი ტენდენცია მეუღლეობრივი სიყვარულისა და ერთგულების განდიდება და მისი უპირატესობის მტკიცებაა. მკვლევარი ვრცლად განიხილავს აგრეთვე კაპელან ანდრეას ტრაქტატს სიყვარულის შესახებ. მასში ე. წ. კურტუაზული სიყვარულის იდეალად მიჩნეულია „წმინდა სიყვარული“, რაც დახასიათებულია როგორც მიუწვდომელის სურვილი, მუდმივი სწრაფვა საყვარელი არსებისადმი და არა კმაყოფილება მასთან შეერთებით, მისი სხეულის დაუფლებით.

მთავარი მოძღვრება, რომელიც საერთოა რუსთაველისა და პროვანსელი პოეტებისა და რომანისტებისათვის, იმაში გამოიხატება, რომ სიყვარული ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანს.

მკვლევრის აზრით, ავთანდილი ძალიან ჰგავს ნამდვილ ევროპელ რაინდს. მას ორი მიზეზი აქვს საიმისოდ, რომ თინათინის დავალებას გულმოდგინედ მოეკიდოს: პირველი – იგი თინათინის ყმა (ვასალი) და სამეფო კარის მოხელეა (სპასპეტი); მეორე – მისი მიჯნურია და ძნელი დავალების პირნათლად შესრულებით უნდა დაამტკიცოს სატრფოს ერთგულებაცა და თავისი ვაჟკაცობაც, აჩვენოს, რომ ნამდვილად ღირსია თანაგრძნობისა და გულწრფელი სიყვარულისა. გ. ა.

## 725. ნესტან სულავა

## ზოგიერთი ქრისტიანული ცნება „ვეფხისტყაოსანსა“ და ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში

კრებული „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები,
VII-VIII, თბ., 1976, გვ. 306-326.

ავტორის აზრით, ტერმინი „დახსნა“ — დაშლა — გულისხმობს სხეულის შემადგენელი ოთხი ელემენტის (მიწა, წყალი, აირი, ცეცხლი) ურთიერთკავშირის დარღვევას, ანუ სიკვდილს, გარდაცვალებას. განხილულია ქრისტიანული თვალსაზრისი სიცოცხლის ხანმოკლეობასა, არარაობასა და იმქვეყნიური ცხოვრების, ანუ სულის ცხონებისათვის ზრუნვის აუცილებლობაზე.

ქრისტიანული რწმენით, ცოდვა ორგვარია: 1) მემკვიდრეობითი ცოდვა – პირველცოდვა, რომელიც ადამ და ევას შემდეგ ყოველ ადამიანს დაბადებისთანავე თან დაჰყვება. 2) პირადი ცოდვა, რომელიც ადამიანის თავისუფალი ნებითაა გამოწვეული და ამის მიხედვით – ან დასასჯელი, ან შესანდობელი (საბა განასხვავებს ცოდვის ხუთ სხვადასხვა ხარისხს. მისივე სიტყვით: ცოდვილი ეწოდება... ქრისტიანესა შემცოდესა. უშჯულოთა – წარმართთა და ქრისტეს ურწმუნოთა არა იციან, ცოდვა თუ რაჲ არს). პირადი ცოდვის მონანიება და შენდობა შესაძლებელია. რაც შეეხება პირველცოდვას (მემკვიდრეობითს) მისი მხოლოდ შემსუბუქება შეიძლება და არა მთლიანად მონანიება. იგი „მუნ თანა წასატანია“.

რუსთაველი კარგად იცნობდა პირველცოდვის არსსა და მნიშვნელობას, მაგრამ მას არ ახსენებს.

რუსთაველი მხოლოდ ადამიანის მიერ მის სიცოცხლეში ჩადენილ ცოდვებზე მსჯელობს და მის სამ სახეობას გამოყოფს: ყველაზე დიდ ცოდვად ითვლება ღვთაებისადმი შეცოდება (იხ. 851, 855 სტრ. „იტყვის: ღმერთო...“ ).

მეორე სახეა ხელმწიფისადმი შეცოდება (847: „პატრონი ჩემი გამზრდელი...“).

მესამე სახეობაა ადამიანის შეცოდება ჩვეულებრივი მოკვდავის მიმართ (517: „ვთქვი: პასუხსა ვერას გკადრებ...“, „რა შეგცოდე, რა მიქნია უცნობოსა...“). გ. ა.

726. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ ოსურად

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1976, 25 აპრ., № 17, გვ. 4; „წიგნის სამყარო“, 1976, 28 აპრ., № 8, გვ. 3.

დაბეჭდილია მოკლე ინფორმაცია, რომ გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსანი“ ოსურ ენაზე. მთარგმნელია პოეტი გიორგი ბესთაუთი. წიგნი აიწყო და დაიბეჭდა ქ. ცხინვალში, გამომცემლობა „ირისთონში“. მას ერთვის მ. ზიჩის ილუსტრაციები.

727. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ პოლონურად

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1976, 13 აგვ., № 33, გვ. 3.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ქ. კრაკოვში გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსანი“ პოლონურ ენაზე. მთარგმნელია ეჟი ზაგურსკი. მას კონსულტაციით ეხმარებოდა ენათმეცნიერი იან ბრაუნი. თარგმანი შესრულებულია 1966 წლის საიუბილეო გამოცემიდან. მასში დაცულია დაბალი და მაღალი შაირის რიტმი.

გამოცემას ახლავს მთარგმნელის წერილი, რომელშიც განხილულია „ვეფხისტყაოსანი“ და მოცემულია რუსთაველის მოღვაწეობის ეპოქის მიმოხილვა. წიგნს ერთვის აგრეთვე ტოპონიმების, ეთნიკური და საკუთარი სახელების განმარტებანი. გ. ა.

728. ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1976, № 1, გვ. 187-196; № 3, გვ. 175-190; № 4, გვ. 187-198.

დაბეჭდილია ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები 1974 წლის 13 დეკემბრიდან 1976 წლის 20 თებერვლამდე. წარმოდგენილია მასალა 329-503 სტროფების განხილვის შესახებ.

729. აკაკი შანიძე

ვეფხისტყაოსნის საკითხები
(„უფრო დესი“)

ჟურ. „მნათობი“, 1976, № 5, გვ. 143.

მკვლევარი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ხმარებული გამოთქმა „უფრო დესი“ („აწ მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო დესი“, 252,4) უფროობითი ხარისხის გამოსახატავად სრულიად შეუფერებელი ფორმაა. პოემაში მსგავსი შემთხვევა (უფრო ძმესი, უფრო გრძესი და მისთ.) არა გვაქვს.

ა. შანიძეს შესაძლებლად მიაჩნია ამ ფრაზის ასე გასწორება: „მართ უდესი“. აღნიშნავს, რომ უდესი-ც ხელოვნური ფორმაა, მაგრამ იგი არსებული წესის მიხედვით არის წარმოებული, და, რუსთველის სიტყვათქმნადობის გათვალისწინებით, შესაძლებელი და მისაღებია. გ. ა.

730. პეტრე შარია

„ვეფხისტყაოსანი“ და მისი ეპოქის სარაინდო პოეზია

III რესპ. სამეცნიერო კონფერენცია ლიტ. თეორიისა და ესთეტიკის საკითხებზე, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, მოხს. თეზისები, თბ., 1976, გვ. 5 (მოგვყავს შემოკლებით).

1. რაინდობა, როგორც ინსტიტუირებული სოციალური ფენომენი, დამახასიათებელია დას. ევროპის ცენტრალური რაიონებისათვის. საქართველოში მას ადგილი არ ჰქონია და არც ამ თემატიკის პოეზია არსებობდა.

2. დას. ევროპის ლიტერატურაში შეიქმნა რაინდობის ზნეობრივი ამაღლებულობის ვერსია, „რაინდულის" ცნება გადაიქცა ზედსართავ სახელად.

3. სარაინდო პოეზიის მთავარი ნიშნებია უმიზნო ავანტიურა და კურტუაზიული სიყვარული. ეს ნიშნები არაა დამახასიათებელი „ვეფხისტყაოსნისათვის"; მისი მსგავსება სარაინდო პოეზიასთან შემოიფარგლება მხოლოდ პოეზიის ზოგადი ტიპოლოგიური ნიშნებით. გ. ა.

731. პ. შარია

შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი საკითხი

თბ., გამ. „მეცნიერება", 1976, 230 გვ.

წიგნი შედგება შესავლისა და ექვსი თავისაგან. „შესავალში" ავტორი განსაზღვრავს ეპიკური ნაწარმოების მსოფლმხედველობრივი პრობლემების კვლევის მეთოდოლოგიურ პრინციპებს. მისი მიზანია, „ვეფხისტყაოსნის" იდეური შინაარსი განიხილოს შუა საუკუნეების საერთო იდეოლოგიური ატმოსფეროს ანალიზის ფონზე.

I თავში — „ვეფხისტყაოსანი" როგორც ქართული ეროვნული ეპოსი" — მოცემულია დასაბუთება ძირითადი დებულებისა, რომ ეს პოემა წარმოადგენს ნაციონალური ეპოსის გარკვეულ ისტორიულ ფორმას, ოღონდ მისი მიკუთვნება რომანტიკული ეპოსის ჟანრისადმი პირობითია.

II თავში მკვლევარი კრიტიკულად განიხილავს სხვადასხვა დროს წამოყენებულ თვალსაზრისებს შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და რელიგიური აღმსარებლობის თაობაზე. ნეოპლატონიზმთან მისი კავშირის შესახებ აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში" გატარებული იდეა ბრძოლისა და მოქმედებისა პრინციპულად ეწინააღმდეგება ნეოპლატონიკურ და, საერთოდ, იდეალისტურ შეხედულებებს, რომელთა მიხედვით სიბრძნე არის სრული მორჩილება განგებისა, უსამართლობასთან შეგუება და ზურგის შექცევა ამქვეყნიურობისათვის.

რუსთაველის სავარაუდო მანიქეველობის შესახებ წერს, რომ ეს ვერსია შედეგია ე. წ. „სესხების" თეორიით გატაცებისა, რომელიც ერთ დროს თითქმის მოდად იქცა რუსთველოლოგიაში, თვით „ვეფხისტყაოსანი" ამის მტკიცებისათვის საბაბსაც არ იძლევა. ასევე, რა ასპექტშიც არ უნდა ვცდილობდეთ აღმოვაჩინოთ სუფიზმი რუსთაველის პირად ცხოვრებასა თუ მის შემოქმედებაში – იქნება ეს სიყვარულის კონცეფცია, თეიზმი და კოსმოპოლიტიზმი, თუ სხვა რამ, ჩვენი ცდა ამაოდ დარჩება.

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მთელი „ვეფხისტყაოსანი" სუნთქავს ქრისტიანული სულისკვეთებით, მაგრამ მასში გატარებულია ღმერთისა და ადამიანის უშუალო ურთიერთობის იდეა და სწორედ ამ ნიადაგზეა იგნორირებული ეკლესიის როლი და მნიშვნელობა.

III და IV თავებში კვლავ გრძელდება პოეტის მსოფლმხედველობის „ძირითადი ელემენტების" განხილვა. ავტორის აზრით, ღმერთი რუსთაველს წარმოდგენილი ჰყავს როგორც სამყაროს შინაგანი უზენაესი იდეალური ძალა, მსგავსად ადამიანის შინაგანი სულიერი ძალისა. ღმერთის არსი რუსთაველთან პირველ რიგში ზნეობრივია; მისი გამგებლობის სფერო უმთავრესად ადამიანის ზნეობრივი ცხოვრებაა. ღმერთი უპირისპირდება „სოფლის" ქაოტურობას, მის ორომტრიალს, მაგრამ არა როგორც კეთილი — ბოროტს. ბოროტება „სოფლის" მთავარი თვისება არაა; უფრო ზუსტად რომ ითქვას, მან არ იცის კეთილის და ბოროტის ზნეობრივი კატეგორიები; ბოროტი ჩნდება „სოფლის" სტიქიასთან ადამიანის დამოკიდებულების ასპექტში. რუსთაველი „სოფელს" კი არ აბრალებს „უზნეობას", მისი აზრით, თვით ადამიანის არაგონივრული დამოკიდებულება ბუნებრივ სტიქიებთან ბადებს ბოროტებას.

პოემის იდეური სულისკვეთების მიხედვით, ადამიანის პრობლემა განიხილება არა იმდენად ინდივიდუალურ ასპექტში, რამდენადაც მათი (ადამიანების) ერთიანობის შუქზე. ამ ერთიანობის პრინციპის მთავარი გამოხატულებაა სიყვარული და მეგობრობა. ცალკეული პიროვნების ძალა არც ისე დიდია; პოემის გმირები თუმცა უბადლო თვისებების მქონენი არიან, ერთმანეთთან და სხვა ადამიანებთან კავშირის გარეშე მათი მოქმედება თითქმის უნაყოფო იქნებოდა. დასახული მთავარი მიზნის მიღწევა შესაძლებელი ხდება კოლექტიური მოქმედებით, ადამიანთა ურთიერთსოლიდარობით.

სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტში რუსთაველისთვის მთავარია ქალის უფლების დაცვა. ეს იდეა უდევს საფუძვლად პოემის ტრაგიკულ პერიპეტიებს. პოეტი ცენტრალიზებული მონარქიის მომხრეა,

ოღონდ მას არ სურს მონარქის აბსოლუტურად შეუზღუდველი ხელისუფლება აზიური დესპოტიების სახით.

V თავში წარმოდგენილია რუსთაველის ზოგადესთეტიკური შეხედულებანი და მისი თხზულების პოეტიკა. ავტორის თქმით, შუა საუკუნეების პირობებში შესაძლებელ რეალისტურ საწყისებს პოეტი უერთებს მძლავრ რომანტიკულ ნაკადს და ეს ანიჭებს მის პოემას ეგზომ მაღალ მხატვრულ ღირებულებას (იხ. აქვე, ანოტ. № 508).

VI თავში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის" თემატურ-იდეური პარალელები ნიზამი განჯელის, კრეტიენ დე ტრუას, ეშენბახისა და გოტფრიდ სტრასბურგელის თხზულებებთან.

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

732. კანდიდ ჩარკვიანი

„ვეფხისტყაოსნის" პირველი იუბილეს გახსენება

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1976, 13 აგვისტო, № 33, გვ. 2-3.

ავტორი წერს, რომ 1937 წელს დიდი წარმატებით ჩატარდა „ვეფხისტყაოსნის" შექმნის 750 წლისთავის იუბილე. ამის საწინდარი იყო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აქტიური მონაწილეობა საიუბილეო ღონისძიებებში და „ვეფხისტყაოსნის" ახალი გამოცემის მომზადებაში. მწერალთა კავშირის ლიტერატურულ მუშაობას იმ პერიოდში ხელმძღვანელობდნენ ჯერ მალაქია ტოროშელიძე, შემდეგ კი თვით კ. ჩარკვიანი. რუსთაველის პოემის საიუბილეო ტექსტის მომზადება მინდობილი ჰქონდა მეცნიერთა ჯგუფს კ. კეკელიძისა და ა. შანიძის მეთაურობით. ტექსტის დამდგენმა კომისიამ მოამზადა ახალი გამოცემის ტექსტი, მაგრამ მისი მოცულობა, სტროფული შედგენილობა, არ აკმაყოფილებდა ერთ-ერთ წევრს – კ. ჭიჭინაძეს. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პოემის დასასრულის საკითხი და აუცილებლად თვლიდა ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბის შეტანას ძირითად ტექსტში. მაშინ პარტიულმა ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა კ. ჭიჭინაძეს და პოემაში ტექსტოლოგიური ცვლილებები შეიტანა.

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო გამოცემების სამზადისს (1966 წ.) წერილის ავტორის აზრით, სათანადო პარტიული კონტროლი აკლდა, გათვალისწინებული არ იყო პირველი იუბილეს გამოცდილება. საიუბილეო გამოცემის ტექსტის მომზადება მთლიანად მეცნიერთა ერთ ჯგუფს მიენდო, რასაც უარყოფითი შედეგი მოჰყვა. ავტორს მხედველობაში აქვს ის, რომ 1966 წლის გამოცემებში არაა შეტანილი ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბავი, რასაც საიუბილეო კომიტეტისა და ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის ნაკლად თვლის (იხ. ანოტ. № 690). გ. ა.

733. შ. ჩიჯავაძე

ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა ერთი ჯგუფის საკითხისათვის

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის X სამეცნ. სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1976, გვ. 25-26 (მოგვყავს შემოკლებით).

ხალხური რწმენით, „ქაჯის" სახელით ცნობილი არსებანი მავნე სულები, ეშმაკები არიან. ზოგიერთს ისინი ბანჯგვლიან და რქიან არსებებად ჰყავდა წარმოდგენილი, რაც ერთ-ერთი ხელნაწერის (S-5006) ილუსტრაციაშიც აისახა. ზეპირსიტყვიერებაში (ზღაპრებში) იხსენიებიან დადებითი თვისებების მქონე ქაჯებიც.

„ვეფხისტყაოსანში" წარმოდგენილი „ქაჯები" ადამიანის მსგავსი ხორციელი არსებანი არიან. მათ შორის ჩანან ბოროტი და კეთილი თვისებების მქონენი. გ. ა.

733 а. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები",

კრებ. VII-VIII, თბ., 1976.

კრებული გამოცემულია საქ. სსრ მეცნ. აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გრიფით.

მასში დაბეჭდილია ამავე ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების – მ. გიგინეიშვილის, ს. სერებრიაკოვის, მ. გუგუშვილის, ბ. დარჩიას, ი. წაქაძის, მ. მეგრელიძის, ნ. სულავას – რუსთველოლოგიური გამოკვლევები. ყველა ანოტირებულია ცალ-ცალკე, იხ. აქვე, ავტორების მიხედვით. გ. ა.

734. შ. ძიძიგური

ახალი რუსთველოლოგიური გამოკვლევა

ჟურ. „განთიადი“, 1976, № 1, გვ. 117-123.

ავტორი დადებით შეფასებას აძლევს ივ. გიგინეიშვილის ნაშრომს „გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“ (თბ., 1975 წ.).

ნაშრომის ერთ-ერთი თავი განეკუთვნება რთული წინადადების ერთი თავისებური სახეობის გარკვევას „ვეფხისტყაოსანში“. აქ, შ. ძიძიგურის აზრით, ზოგი რამ სადავოა. ივ. გიგინეიშვილი ფიქრობს, რომ პოემის სტროფები შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს. ამ ნაწილებს შორის შინაარსის მხრივ ისეთივე ურთიერთდამოკიდებულებაა, როგორიც რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაშია მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის. შ. ძიძიგურის შეხედულებით, საანალიზო წინადადებათა ავტორისეული კვალიფიკაცია ერთგვარი ხელოვნურობის დაღს ატარებს და, ამდენად, არაფერი დაშავდებოდა, თუ მათ ჰიპოტაქსური კონსტრუქციების თვალსაზრისით არ შევაფასებდით.

ავტორი ფიქრობს, რომ 857 და სხვა მითითებულ სტროფებში არ უნდა გვქონდეს რთული დაქვემდებარებული წინადადებები, თუნდაც მისი „ბადალი“ კონსტრუქცია. აქ, თანამედროვე გრამატიკული კლასიფიკაციის მიხედვით, საქმე გვაქვს ან წინადადებათა პარატაქსულ შეწყობასთან, ან, ზოგ შემთხვევაში, შერწყმული წინადადების აღნაგობასთან.   ი.კ.

735. იზოლდა წაქაძე

ვეფხისტყაოსნის ერთი ჯგუფის ხელნაწერთა ურთიერთმიმართებისათვის

კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, VII-VIII, თბ., 1976, გვ. 185-196.

ნარკვევში განხილულია სამი ხელნაწერის K(S-4499), O(K-205), G[1](Q-796) ურთიერთობა. K და O ნუსხები XVII ს-ის მეორე ნახევრისაა, G[1] - კი გადაწერილია XIX ს-ში. O დაზიანებულია და შემდეგ აღდგენილი, ვახტანგის გამოცემის მიხედვით. არის ზოგიერთი განსხვავება ჰ-სა და უ-ს ხმარებაში, სახელისა და ზმნის მხოლობით და მრავლობით ფორმებში. არის სიტყვის ან ფრაზის ვარიანტით შეცვლის რამდენიმე შემთხვევაც.

ტექსტის შეჯერების, ურთიერთშედარების შედეგად ავტორი დაასკვნის: KOG[1] ხელნაწერები ერთმანეთთან უშუალო კავშირშია, K არის O-ს წყარო, G[1] კი უშუალოდ მომდინარეობს O-დან და გადაწერილია გვიან, მას შემდეგ, როცა O-ს დაზიანებული ადგილები უკვე აღდგენილი იყო.   გ. ა.

736. ალ. ჭინჭარაული

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან
(„ათრთოლებს“ თუ „ათრთვილებს“?)

ჟურ. „მნათობი“ 1976, № 6, გვ. 169.

მკვლევარი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონს: „ამას მოსთქვამს, ცრემლსა აბნევს, ათრთოლებს და აწანწარებს“ (707,1) და აღნიშნავს, რომ ზმნა „ათრთოლებს“ არ ეწყობა ცრემლს. მას შეიძლება შეეწყოს „ათრთვილებს“, რადგანაც „ცრემლს ათრთვილებს“ რუსთაველისეული, სრულიად ბუნებრივი სინტაგმაა და ზმნა „ფრქვევა“ (კერძოდ ცრემლის ფრქვევა) პოემაში ძალიან ხშირად გვხვდება. ალ. ჭინჭარაულის აზრით, გადამწერებმა „ათრთოლებს“ უფრო ბუნებრივად და გასაგებად მიიჩნიეს და შინაარსს კი ანგარიში არ გაუწიეს.

მკვლევრის დასკვნით, სტრიქონი შერყვნილია და ასე უნდა იკითხებოდეს: „ამას მოსთქვამს, ცრემლსა აბნევს, ათრთვილებს და აწანწარებს“.   თ. ტ.

737. ზურაბ ჭუმბურიძე

ჩვენი მეგობარი – იან ბრაუნი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1976, 14 მაისი, № 20, გვ.4.

ავტორი წერს პოლონელი ენათმეცნიერის შესახებ: აღსანიშნავია იან ბრაუნის მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურად თარგმნის საქმეში. პოემა ლექსად თარგმნა პოეტმა ეჟი ზაგურსკიმ,

რომელსაც სისტემატურ დახმარებას უწევდა იან ბრაუნი, როგორც პ ჭკარედის მთარგმნელი, მეცნიერ-კონსულტანტი და რედაქტორი. შემოკლებული თარგმანი დაიბეჭდა 1966 წელს. ამჟამად უკვე მზად არის და გადაცემულია დასაბეჭდად პოემის სრული თარგმანი, რომელმაც სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა. გამოცემას დაერთვის იან ბრაუნის ვრცელი გამოკვლევა და კომენტარები. პარალელურად გამოდის ქართული მინიატურებით შემკული მასობრივი გამოცემაც. გ. ა.

738. აკაკი ხინთიბიძე

ქართული ლექსის ბუნებისათვის

თბ., 1976, 70 გვ.

ავტორი აღნიშნავს, რომ ამჟამად ქართულ ლექსმცოდნეობაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი თვალსაზრისი – ქართული ლექსის სილაბურობისა და სილაბურ-ტონურობისა. უკანასკნელის თვისებაა ტაეპში მახვილიან და უმახვილო მარცვალთა კანონზომიერი მონაცვლეობა. ამ წესს ხედავს ა. გაწერელია ქართულ კლასიკურ ლექსში, მათ შორის – რუსთველურ შაირშიც.

ა. ხინთიბიძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ დაბალი შაირი ამის ნიმუშად არ გამოდგება. მაღალ შაირში, სადაც ხშირად იხმარება ორმარცვლიანი სიტყვები, ისინი ქორეული ტერფების ილუზიას ქმნიან, მაგრამ სტრიქონში 4-მარცვლიანი სიტყვა თუ ჩაჯდება, ის არღვევს „გამყოლი ტერფის“ შეუცვლელობის თეზისს.

გ. წერეთლის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ მეტრი არის არა „აბსტრაქტული სქემა“, არამედ რეალური სიდიდე, რომელიც განიზომება მარცვალთა რაოდენობით. იგი ასაბუთებს მაღალი შაირის დაყოფის აუცილებლობას 4-მარცვლიან, ხოლო დაბალი შაირისას – 3 და 5-მარცვლიან რიტმულ ერთეულებად. პოემის მეტრულ სქემას გამოეთიშა ორმარცვლიანი რიტმული ერთეული (ქორე), რაც იმან განაპირობა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მაღალ შაირში არა გვაქვს შეფარდება 2-4-2, არც დაბალში – 1-5-2 ან 2-5-1, რომლებშიც ორმარცვლიანი ერთეული დამოუკიდებელი უფლებით ისარგებლებდა.

ა. გაწერელია რითმას მახვილთან აკავშირებს, რაც მისი აზრით, გამორიცხავს ქართულში 3-მარცვლიანზე უგრძელი რითმის არსებობას.

გ.წერეთლის აზრით კი მახვილი არ აწარმოებს რითმას, რითმის საზღვარი ხშირად სცილდება მახვილიანი მარცვლის საზღვარს.

ა. ხინთიბიძე ემხრობა ქართული ლექსის სილაბურობის თვალსაზრისს და აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

სილაბურობა თავს იჩენს სალექსო სტრუქტურის ისეთ კომპონენტში, როგორიც ცეზურაა. იგი გადაულახავი სიმაგრეა; სიტყვა და მუხლი („ტერფი“, „სეგმენტი“) ვერ გადააბიჯებს ცეზურის საზღვარს.

მარცვალთა რიცხვის ცვალებადობა ქართული ლექსის სტრიქონში ლექსის ხასიათის თვისობრივ შეცვლას იწვევს.

ქართული ლექსი ითმენს მცირე გადახვევას ერთი სისტემიდან მეორისაკენ. სილაბურ-ტონურობისკენ მიდრეკილება ქართულ ლექსს დ. გურამიშვილის დროიდან დაეტყო. რუსთაველისათვის მიუღებელი შეფარდება: 2-4-2, 3-3-2- და სხვა თანდათან უფლებამოსილი ხდება. XX ს-ის ქართული ლექსიდან ტონურობის აბსოლუტური გამორიცხვა არ შეიძლება, თუმცა ტონურობის ცალკეული ელემენტები ქართულ ვერსიფიკაციას სილაბურ-ტონურად ვერ აქცევს.

ქართული ლექსის სილაბურობის თეორიას მომხრეები ადრეც ჰყავდა (მ. ბარათაშვილი, ი. ბაგრატიონი, პ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, ლ. ისარლიშვილი, პ. ინგოროყვა, პ. ბერაძე, გ. გაჩეჩილაძე), მაგრამ გ. წერეთლის ნაშრომი შემობრუნების პუნქტი გახდა ქართულ ლექსმცოდნეობაში.

ზემოთ დასახელებული და სხვა პრობლემური საკითხები საბოლოოდ მაშინ გაირკვევა, როცა ხელთ გვექნება სტატისტიკურ მასალაზე დაკვირვებისა და ექსპერიმენტურ-ლაბორატორიული ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები. გ. ა.

739. მ. ჯანგიძე

საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1976, 25 დეკ., № 254, გვ. 4.

როგორც ავტორი წერს, საბუთების აღმნიშვნელი ტერმინებიდან „ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე ხშირად იხმარება „წიგნი“, როგორც სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი საშუალება („წიგნსა მოგცემ,

გმორჩილობდენ, ვინცა იყოს ჩემი ხასი"). „წიგნი" დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტიც არის („გავგზავნე კაცი ხატაეთს და წიგნი ჩემმაგიერი"). ეპისტოლარული ხასიათის წერილს უსტარი ერქვა, რომელიც გრძლად დაჭრილ ქაღალდზე იწერებოდა და გრაგნილად ახვევდნენ („ესე უსტარი დაწერა, შეკრა და წა-ცა-ხვია მან"). ნებართვის ან ბრძანების საბუთს პოემაში ფარმანი ეწოდება („აწ მმართებს მოთხოვნა მე ფარმანისა"). გვხვდება აგრეთვე „ანდერძი", „ბრძანება", „წერილი", „საფიცარი წიგნი". ყველა ასეთი სიტყვა საინტერესოა ძველი ქართული ტერმინოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით. გ. ა.

## 1977 წელი

740. ირაკლი აბაშიძე

### სიტყვა შოთა რუსთაველზე

ავტორის წიგნში – თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, წერილები, თბ., 1977, გვ. 7-22. წინასიტყვაობად ერთვის „ვეფხისტყაოსნის" რუსულ გამოცემას — „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა", მოსკოვი, 1969.

ნარკვევში საუბარია რუსთაველის შემოქმედების მნიშვნელობაზე ქართული და მსოფლიო კულტურისათვის, პოემის თარგმანებზე რუსულ და სხვა უცხო ენებზე, შოთა რუსთაველის ვინაობასა და მის სავარაუდო სამშობლოზე – მესხეთზე, იერუსალიმის ჯვარის მონასტერზე, იქ აღმოჩენილ ყველაზე ადრინდელ წერილობით დოკუმენტებსა და თვით პოეტის ფრესკაზე; ამ ფრესკის „გაუჩინარებასა" და მის ხელახლა აღმოჩენაზე.

იმავე წიგნში (ტ. II, წერილები) დაბეჭდილია ი. აბაშიძის: „ფიქრები რუსთაველზე", „პოეტის უკვდავება", „მსოფლიო პოეზიის დიდი რაინდი", „დიადი საკაცობრიო იდეალების მომღერალი", „რუსთაველის იუბილე კარზე მოგვადგა" (გვ. 23-56). ყველა მათგანი გამოქვეყნდა 1966 წელს (ანოტაციები იხ. „ბიბლიოგრაფიის" III ტომში). გ. ა.

741. მანუჩარ ანთაძე

### „ვეფხისტყაოსნის" მხატვრული სიმართლის საკითხები, II

ჟურ. „მაცნე", ელს, 1977, № 1, გვ. 18-30.

ნარკვევში განხილულია საკითხი რუსთაველის შემოქმედებითი „მეთოდის" რეალისტურობისა, რომელიც ვლინდება ცხოვრებისეულ სიმართლეში, სანდოობასა და ნაწარმოების მხატვრული ხასიათების დამაჯერებლობაში.

ავტორი მსჯელობს აგრეთვე რუსთაველის მსოფლმხდველობის ჰუმანისტურობაზე, როდესაც თავისუფალი არჩევანი სიყვარულში და მისი განხორციელების საშუალება სახელდებულია „მართალ სამართლად", რომელიც ფარულად უპირისპირდება მშობლის „ღვთაებრივ" უფლებას.

ნარკვევში დაზუსტებულია ტერმინ „ამირბარის" მნიშვნელობა. ავტორის აზრით, ინდოეთის სახელმწიფოში ის უდრის „სახლთუხუცესს", მეფის სასახლის გამგებელს, პირველ ვაზირს, რომელიც ამირსპასალარის ფუნქციასაც ითავსებს.

ნაშრომს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

741**a**. სიმონ არველაძე

### რუსთაველის ესთეტიკური იდეალი

ავტორის წიგნში — „კრიტიკული ნარკვევები", თბ., 1977, გვ. 124-129.

მკვლევარი განიხილავს ესთეტიკურ იდეალს „ვეფხისტყაოსნის" გმირების მოქმედების მიხედვით. რუსთაველის პერსონაჟების ყოველი კონკრეტული მოქმედება მათი პიროვნული „მე"-ს შინაგანი თავისუფლების გამოვლინებაა. ეს პერსონაჟები ხორციელი, ადამიანური რეალობანი არიან და, ამდენად, არ განეკუთვნებიან „ზეადამიანურ სფეროს".

რუსთაველის ზნეობრივი იდეალია მიჯნურის სრულქმნილი სახე, რომელშიც თანაზომიერად შერწყმულია: ფიზიკური მხნეობა, ძალოვანობა, სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, გონიერება, მოთმინება და ა. შ. გ. ა.

742. ალექსანდრე ბარამიძე

ერთი ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომის გამო

ჟურ. „განთიადი“, 1977, № 2, გვ. 158-168;
აგრეთვე — ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., VII, თბ., 1978, გვ. 40-56.

ავტორი განიხილავს პეტრე შარიას მონოგრაფიულ ნარკვევს „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი საკითხი“ (თბ., 1976).

ალ. ბარამიძის აზრით, პ. შარიას მონოგრაფია მნიშვნელოვანი გამოკლევაა. წიგნის ავტორი ცდილობს გაარკვიოს რუსთველის სარწმუნოებრივ-ფილოსოფიური, სოციალურ-პოლიტიკური, ლიტერატურულ-ესთეტიკური და ტექსტოლოგიური საკითხები.

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ პ. შარიამ თავისი წვლილი შეიტანა რიგი ურთულესი რუსთველოლოგიური პრობლემების ახალი კუთხით დაყენებასა და ზოგჯერ გადაწყვეტაშიც. ამასთან პ. შარიას ნაშრომი იწვევს სერიოზულ შენიშვნებსაც. წიგნში ყველაფერი რიგზე არაა წყაროების დასახელებისა და გამოყენების მხრივ. მონოგრაფიაში გვხვდება უმისამართო დამოწმებანი და უმისამართო კრიტიკა.

წიგნის ავტორი თვითნებურად ცვლის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, ან ინტერპოლაციად მიიჩნევს უდაოდ რუსთველურ სტროფებს, თუ ისინი არ ეგუებიან მკვლევრის მიერ წინასწარ შემუშავებულ შეხედულებას.

სარეცენზიო ნაშრომში ვრცლად არის განხილული რუსთველური სიყვარულისა და მეგობრობის საკითხები. მეგობრობის როლის მაღალ შეფასებასთან ერთად ავტორს რატომღაც „წყლის ნაყვად“ ეჩვენება თხზულებაში „ძმადნაფიცობის ვერსიის“ არსებობა.

მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსანი“ შედარებულია ნიზამი განჯელის შემოქმედებასთან: „ვეფხისტყაოსანში სახეები და ხასიათები დინამიურად იშლებიან მოქმედების პროცესში. ამ მხრივ მარტო ნიზამი უახლოვდება რუსთველს“. ალ. ბარამიძის აზრით, მოხმობილი კუთხით ნიზამი კი არ უახლოვდება რუსთველს, არამედ ძალიან შორდება მას; ნიზამის „სახეებსა და ხასიათებს“ სწორედ დინამიურობა აკლიათ.

ამ შენიშვნების შემდეგ პ. შარიას მონოგრაფიას რეცენზენტი მაინც მნიშვნელოვან რუსთველოლოგიურ ნაშრომად თვლის. გ. ა.

743. რ. ბარბაქაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და შუა საუკუნეების ლიტერატურული ტრადიციები ფერითი სისტემების გააზრების თვალსაზრისით

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XI სამეცნ. სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ.- 1977, გვ. 14-15 (მოგვყავს შემოკლებით).

ფერის ფენომენის გამოყენების მხრივ შუა საუკუნეების საერო ლიტერატურაში გამოიყოფა ორი მიმართულება: ა) „დასავლეთის ლიტერატურა“ ფერს, როგორც მხატვრული გამოსახვის საშუალებას, თითქმის არ იყენებს: ბ) „აღმოსავლური ლიტერატურა“ ფერს ანიჭებს უძირითადეს ესთეტიკურ და სიმბოლურ მნიშვნელობებს.

„ვეფხისტყაოსანი“ მეტწილად „აღმოსავლურ“ ფერით სისტემას უახლოვდება. გ. ა.

744. აკაკი გაწერელია

ზეცის მხატვრული მოდელი რუსთაველთან და დანტესთან

წიგნში: ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1977, გვ. 7-86.

ავტორის შეხედულებით, რუსთაველის ქრისტიანული მსოფლმხედველობა გამდიდრებულია არეოპაგიტული მოძღვრებით. რუსთაველის „რომელმან“ არარაობისაგან სამყაროს შემქმნელი პიროვნული ქრისტიანული ღმერთია. ეს იგივე „უხილავი ძალია“, სამპიროვანი, რომლის ერთი წევრიც ქრისტეა. ეს ღმერთი მნათობთა და ზეცის მიღმა, ემპირიუმში „ზეგარდმო არსთა“, ანუ ანგელოზების მაღლა „ზის“ საღმრთო ნისლში („ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“).

რუსთაველის თხზულებაში სხვადასხვა ადგილას დამოწმებული „საყდარნი“, „უფლებანი“, „მთავ-

რობანი“ და „ჴელმწიფებანი“ ანგელოზებია და ბიბლიის სხვა ანგელოზებთან ერთად ფსევდოდიონისეს ჩამოყალიბებულ ზეცის ძალთა იერარქიის სამ ტრიადაში (9 ჩინში) არიან შესულნი.

ა. გაწერელია ვრცლად განიხილავს პოემის მეორე სტროფს: „.ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა...“ მისი აზრით, აქ რუსთველი იცავს ქრისტოლოგიიდან მომდინარე „ერთი“ ღმერთის სამპიროვნობის დებულებას. მკვლევარი იმოწმებს პასაჟს დიონისეს თხზულებიდან, რომელიც განმარტავს „ერთის“ მნიშვნელობას.

მკვლევარი აღნიშნავს: ავთანდილის ლოცვაში (სტრ. 807) ერთდროულად მოცემულია ქრისტიანული აპოფატიკა და კატაფატიკა: „უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო“. ღმერთი რომ „უცნაურია“ (შეუცნობელი), ეს მომდინარეობს სახარებიდან, ხოლო „უთქმელი“ ღვთაების ტრადიციული აპოფატიკური განსაზღვრაა.

კატაფატიკური „უფალი უფლებათა“ პავლე მოციქულისაგან მომდინანეობს. ავთანდილის ლოცვა დიონისესთან ღრმა შინაარსობრივ იგივეობას ავლენს.

ა. გაწერელიას მტკიცებით, აზრი იმის თაობაზე, რომ 178-ე სტროფის დიონოსი („ამ საქმესა მემოწმების დიონოსი, ბრძენი ეზროს“) და 1492-ე სტროფის „ბრძენი დივნოსი“ ერთი და იგივე პირია, უმართებულოა და კონკრეტული მონაცემებით არ დასტურდება.

178-ე სტროფში რუსთაველს მხედველობაში ჰყავს არა ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, არამედ „დათოვის“, „დათრთვილვის“, „დაზრობის“ ამსახველი თხზულების ავტორი, რომელსაც პოეტი „ბრძენ ეზროს“ უწოდებს.

ამ შემთხვევაში ა. გაწერელია იზიარებს ა. შანიძის აზრს, რომლის მიხედვით ფსევდო-ეზრა წინასწარმეტყველს მიეწერება ასტროლოგიური ტრაქტატი „დიაღნოსის“. მისი ქართული თარგმანი შენახულია მეათე საუკუნის ხელნაწერში სათაურით „კალანდაი, თქუმული ეზრა წინასწარმეტყუელისაი“. „დიონოსი“ ა. შანიძეს ფსევდო-ეზრას „დიაღნოსის“ სახეცვლილ წაკითხვად მიაჩნდა.

ბოლოს მკვლევარი შენიშნავს, რომ რუსთაველს მისი ქრისტიანობა წარმოაჩენს ეროვნული და ორიგინალური თხზულების ავტორად.

სამყაროს უზენაეს მოვლენათა ახსნის კრიტერიუმად რუსთაველს, როგორც მართლმადიდებელს, ქრისტიანობა მიაჩნდა და „ერესებსა“, „პანთეიზმსა“ და „ურჯულოებაში“ არ უძებნია ზეცის აგებულების მხატვრულ-ფილოსოფიური გასაღები. გ. ა.

745. ა. გაწერელია

## პოეტური გამოთქმების ისტორიული მოდიფიკაციის საკითხისათვის

„პოეზია და სტილისტიკა“, ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, კრებული X, თბ., 1977, გვ. 63-87.

როგორც ავტორი წერს, გავრცელებული, მაგრამ სიღრმული მხატვრული ფენის მქონე გამოთქმები ზოგჯერ მთელი ერების მხატვრული ძეგლების სფეროებს მოიცავს. ქართული პოეტური კულტურა მრავალი საუკუნის მანძილზე იკვებებოდა ზოგადი ფილოსოფიური, თეოლოგიური და ასტრონომიულ-ასტროლოგიური დეფინიციებითა და ცნებებით. ასეთია, მაგალითად, ბერძნულიდან თარგმნილი აპოფთეგმებიდან ამოღებული და პლატონისათვის მიწერილი გამოთქმა-სენტენცია „ვეფხისტყაოსანში“:

„სიცრუვე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (789,4).

პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის ელემენტების“ ქართული თარგმანისაგან არის დავალებული რუსთაველის ტაეპი:

„დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევჰრთვივარ სულთა სირასა“ (885,4).

დიდიხანია ლიტერატურაში მითითებულია, რომ რუსთაველის პოემაში არაერთი პოეტური გამოთქმა ბიბლიიდან მომდინარეობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პავლე მოციქულის ეპისტოლეთა გავლენა.

„სიყვარული აღგვამაღლებს“, — ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ“ (783,3) –

ამ სტრიქონის წყაროა: „სიყუარული აღაშენებს“ (1 კორინთ. 8,1); „...ხოლო სიყუარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელნი ჴმობედ“ (1 კორინთ. 13,1).

იმავე პავლეს ეპისტოლედან (1 ტიმ. 6,15) მოდის:

„უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო“ (809,3).

ბიზანტიურ და ქართულ ჰიმნოგრაფიაში სისტემატურად მეორდება მზამზარეული თეოლოგიური დეფინიციები სტილური გამოთქმების სახით, რომლებიც რუსთაველს პირდაპირ გადმოაქვს. ასეთე-

ბია: „ერთარსება ერთი“, „უჟამო ჟამი“, „ძალი უხილავი“, „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს“ და სხვა. გ.ა.

746. კონსტ. გრიგოლია

თამარის კიდევ ერთი მემატიანე-ისტორიკოსი

თბ., 1977, 68 გვ.

ნაშრომი შეეხება ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ მოთავსებული თამარ მეფის ისტორიის ბოლო ნაკვეთის ლოკალიზაციას. ავტორის აზრით, ის არ განეკუთვნება არც ერთ დღეისათვის ცნობილ ისტორიას; იგი შოთა რუსთაველის ნახელავი თამარის ისტორიის ბოლო ნაკვეთი უნდა იყოს. ავტორი განიხილავს რუსთაველის, როგორც მემატიანე-ისტორიკოსის მსოფლმხედველობის ზოგიერთ საკითხს. გ. ა.

747. ლეილა ერაძე

„ვეფხისტყაოსნის“ აზერბაიჯანულად თარგმნის ისტორიისათვის

ავტორის წიგნში — „მეგობრობა გზად და ხიდად“, თბ., 1977, გვ. 75-82.

მკვლევარი წერს, რომ 1936 წელს „ვეფხისტყაოსნის“ თურქულ ენაზე თარგმნა დაიწყო აზერბაიჯანელმა პოეტმა აჰმედ ჯავადმა და რამდენიმე ნაწყვეტი დაბეჭდა კიდეც ბაქოს თურქულ გაზეთში. მაგრამ ა. ჯავადი მოულოდნელად გარდაიცვალა და მისი ნაშრომიც დაიკარგა.

გადაწყდა ახალი თარგმანის გაკეთება და, რუსთაველის საიუბილეოდ რომ მოესწროთ, პოემის ტქსტი სამმა პოეტმა გაიყო – სამედ ვურღუნმა, მამედ რაჰიმმა და სულეიმან რუსთამმა. მათი თარგმანი აზერბაიჯანულ ენაზე წიგნად დაიბეჭდა 1937 წელს.

1968 წელს აღმოჩნდა ჯავადისეული თარგმანიც, ნაწილი – მის პირად არქივში, ნაწილიც – აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდში. ის შეისწავლა და გამოსაცემად მოამზადა მკვლევარმა დილარა ალიევამ.

ა. ჯავადის თარგმანი შესრულებულია რობაიით, სადაც ერთმანეთს ერითმება I, II და IV სტრიქონები. მეორე, კოლექტიურ თარგმანში გამოყენებულია რუსთაველის შაირის შესატყვისი 16-მარცვლოვანი ჰეჯა. მთარგმნელებმა დაძლიეს მეტრისა და რიტმის სიძნელე და შეინარჩუნეს ლექსის მუსიკალობაც (იხ. აგრ. ანოტ. № 790). გ. ა.

748. გიორგი თევზაძე

რუსთაველის კოსმოლოგია

ჟურ. „განთიადი“, 1977, № 3, გვ. 162-169; № 4, გვ. 174-192.

ჟურნალის მე-3 ნომერში დაბეჭდილი ნაკვეთის ქვესათაურია: „ზედა პლანეტების მოძრაობა“. მასში აღწერილია მარსის, იუპიტერისა და სატურნის წრიული მოძრაობა მზის გარშემო.

მე-4 ნომერში დაბეჭდილია გ. თევზაძის ნაშრომის დასკვნითი თავი — „მზის სისტემა“. მას წინ უძღვის პროფ. სარგის ცაიშვილის მოკლე შესავალი წერილი, რომელშიც გ. თევზაძის გამოკვლევა დადებითად არის შეფასებული.

იხ. წიგნად გამოცემული ვარიანტის (1979 წ.) ანოტაცია, № 827. გ. ა.

748**a**. სერგო თურნავა

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გერმანული თარგმანი

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1977, 28 ოქტ., № 45, გვ. 4.

ავტორი წერს, რომ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გერმანული თარგმანი, რომელიც დაქტილური ჰეგზამეტრით შეასრულა პოეტმა ჰერმან ბუდენზიგმა. თარგმანს საფუძვლად დაედო მ. წერეთლის მიერ პროზაულად თარგმნილი გერმანული ტექსტი, რომელსაც ორიგინალს უდარებდნენ თსუ-ს მეცნიერი თანამშრომლები ნ. ამაშუკელი და ნ. ხუციშვილი. ჰ. ბუდენზიგს მეცნიერულ კონსულტაციებს უწევდნენ ალ. ბარამიძე და დ. ლაშქარაძე.

რეცენზენტის თქმით, თარგმანი შესრულებულია სასურველი სიზუსტით და დიდი პასუხისმგებ-

ლობით. შესავალ წერილში ნათლად ჩანს გერმანელი პოეტის დიდი ინტერესი ქართული კულტურისადმი, იგი სიყვარულით მოუთხრობს უცხოელ მკითხველებს დიდი ქართველი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. გ. ა.

749. ნოდარ კაკაბაძე
რამდენიმე მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის თაობაზე

ჟურ. „მნათობი“, 1977, № 9, გვ. 154-170.

ავტორი აღნიშნავს: ტრადიციულად დამკვიდრებულია აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ პოემაა. მაგრამ „პოემის“ ცნება ვერ გამოხატავს რუსთაველის თხზულების ჟანრულ სპეციფიკას.

პოემა ლირო-ეპიკური, ლექსის ფორმით შეთხზული ნაწარმოებია, თითქოს გალექსილი მოთხრობაა, იმ განსხვავებით, რომ მასში დიდია ლირიკული ნაკადი, რაც მოთხრობას არ ახასიათებს. „ვეფხისტყაოსანი“ ვრცელი ეპიკური ტილოა, ლექსითი ეპოსი, მკაფიოდ გამოკვეთილი ეპიკური ძეგლი.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ სარაინდო რომანია. ეს ჟანრი საგმირო ეპოსთან შედარებით უფრო გვიანდელია. სარაინდო რომანში მოთხრობილია უცხო ამბავი, რომელიც შეთხზულია, გამოგონილია, არაა დაკავშირებული ეროვნულ მითოლოგიასა და ისტორიასთან. სარაინდო რომანს ორი თანაბარმნიშვნელოვანი თემა აქვს ხოლმე: გმირობა, რაინდული პატივის დაკმაყოფილება და მიჯნურობა.

ავტორის დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი“ სრულად უპასუხებს სარაინდო რომანის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. გ. ა.

750. მარიამ კარბელაშვილი
ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის

თბ., 1977, 146 გვ., რედაქტორი სარგის ცაიშვილი

ნაშრომში შესწავლილი და გამოყოფილია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ტექსტის სტილისტური რედაქციები. მათი ფილოლოგიური განხილვის საფუძველზე მკვლევარი შემდეგ დასკვნებს აკეთებს: პოემის ტექსტის მრავალგზისი გადაწერის პროცესში ხელნაწერების ოთხი ძირითადი სტილისტური რედაქცია ჩამოყალიბდა: ე. წ. სამეფო სახლის (ABCMX), ზაზასეული (DUV), ბებურიშვილისეული (FIRZ) და მზეხათუნისეული (JKOT).

ხელნაწერებში პოემის პროლოგი („დასაწყისი“) იმავე რედაქციურ ერთეულებად განიყოფება, როგორც პოემის ძირითადი ტექსტი. მკვლევარი ვრცლად განიხილავს მზეხათუნისეული რედაქციის დაზიანებულ პროლოგს და აღადგენს მის პროტოგრაფს (გვ. 70-89, იხ. აგრ. ანოტ. № 536).

ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ხელნაწერში დაცულია მეფის ღმრთისსწორობის (იზოთეოსის) იდეა. „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ეპოქაში ეს იდეა შეწყნარებული იყო, რაც სათანადოდ აისახა „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტშიც. შემდგომ პერიოდში, როდესაც მოხდა მეფის ცნების დევალვაცია, იზოთეოსი მკრეხელობის ტოლფასი გახდა და პოემის ხელნაწერებმაც სათანადო იდეოლოგიური ცვლილება განიცადეს. ნაიკითხვათა შედარებითი ანალიზი მოწმობს სამეფო სახლის რედაქციის ტექსტის სტაბილურობას (იხ. აქვე ანოტ. № 431).

წიგნის V თავში — „მეორისამებრ განსჯისა“ — მოცემულია სიტყვის „რთხმა“ (მორთხმა, გარდართხმა) პოემის ტექქტში გამოყენების კანონზომიერების დასაბუთება. მკვლევრის დასკვნით, „რთული წაკითხვის“ პრინციპის შესაბამისად, „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ხელნაწერი ტოლფასოვანია საძიებელი დედნის მიმართ.

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 137-144). გ. ა.

751. ივანე ლოლაშვილი
რუსთაველის იკონოგრაფიის ერთი საკითხისათვის

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1977, № 1, გვ. 176-190.

მკვლევარი განიხილავს „ილუსტრიროვანნაია გაზეტა“-ში (1872, № 28) დაბეჭდილი, ვითომ შოთა

რუსთაველის, პორტრეტის ისტორიას და დაასკვნის: სხვადასხვა ლიტერატურული ცნობებისა და იკონოგრაფიული მასალის შეპირისპირებით ირკვევა, რომ ნ. ბერძენოვის მიერ გამოქვეყნებული სურათის დასამზადებლად გამოყენებული იყო დავით იმამყულიხანის სიგელში მოთავსებული პორტრეტის ასლი. პორტრეტზე გამოსახულია არა შოთა რუსთაველი, არამედ ირანის მმართველი შაჰ-სულთან-ჰუსეინი (1694-1722).

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (იხ. ანოტ. № 770).. გ. ა.

752. მ. მახათაძე

„ჯარი ხადუმთა" თუ ხათუნთა?

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XI სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1977, გვ. 11.

დადგენილია, რომ სიტყვა „ხადუმი" „ვეფხისტყაოსანში" ორი მნიშვნელობით იხმარება: 1) საჭურისი; 2) მსახური ქალი. პოემის 483-ე სტროფში წერია, რომ საზეიმო შეკრებაზე მისულ ნესტან-დარეჯანს „ზურგით უთქს ჯარი ხადუმთა დას-დასად, უბან-უბანი". ამ კონტექსტში ხადუმის ორივე აღნიშნული მნიშვნელობა მიუღებელია. ამიტომ მის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ჯარი ხათუნთა" — სეფე-ქალთა მრავალრიცხოვანი გუნდი, რომელიც ფეოდალური თემების მიხედვით დაყოფილი იყო ცალ-ცალკე ჯგუფებად. გ. ა.

753. იოსებ მეგრელიძე

პეტრე მირიანაშვილის მოღვაწეობა და რუსთველოლოგიური ნააზრევი

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XI სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1977, გვ. 7-8 (მოგვყავს შემოკლებით).

პეტრე გრიგოლის ძე მირიანაშვილი (1860-1940), პედაგოგი, მთარგმნელი და ფართო განათლების მქონე ფილოლოგი, წერდა რუსთველოლოგიურ, მეტწილად, კომპილაციურ ნაშრომებს და გამოთქვამდა მოსაზრებებს რუსთაველის ცხოვრებისა და მისი თხზულების ისტორიული და ფოლკლორული წყაროების, პოეტის აზროვნებისა და რელიგიური მრწამსის, პოემის ორიგინალობისა და სხვა საკითხებზე. მანვე მოახდინა „ვეფხისტყაოსნის" ინსცენირება.

პ. მირიანაშვილი არ არის რუსთველოლოგი, მაგრამ გამოთქვამს ზოგ საყურადღებო მოსაზრებას. გ.ა.

754. პროკოფი რატიანი

ვინ იყო ციხე-ქალაქ ჟინვანის მფლობელი შოთა?

ჟურ. „მნათობი ", 1977, № 4, გვ. 171-180.

„ჭიაბერის სიგელის" სახელით ცნობილ ისტორიულ დოკუმენტში მოცემულია ხელრთვა, ანუ ფაქსიმილე (ავტოგრაფი), რომელიღაც სახელმწიფო მოხელის „შოთასი", რომელიც თამარ მეფის დროს ციხე-ქალაქ ჟინვანის „პატრონი" ყოფილა.

ავტორის მიზანია გაარკვიოს, თუ რაა საერთო ამ შოთასა და „ვეფხისტყაოსნის" ავტორს შორის.

ციხე-ქალაქი ჟინვანი (ჟინოვანი) და მისი მიმდებარე ტერიტორია საპატრონოდ (და არა საკუთრებად) გადაეცემოდა ხოლმე ვაზირებს. XII ს-ში ჟინვანის პირველ პატრონად ჩანს აბულასან იობის ძე, რომელიც თამარის მეფობის პირველ წლებში ქართლის ერისთავთერისთავი და თბილისის ამირა ყოფილა. ამავე დროს იგი ყოფილა „რუისთვისა და შვიდთა მთიულეთთა" პატრონიც.

აბულასანის მოღალატური მოქმედების შემდეგ „შვიდი მთეულეთი" და ჟინვანიც მანდატურთუხუცესს ჭიაბერს გადაეცა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი (XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე) – შოთას.

პ. რატიანი თვლის, რომ ციხე-ქალაქ ჟინვანის მფლობელი შოთა, რომელმაც ჭიაბერის სიგელზე თავისი სახელი აღბეჭდა, არ შეიძლება სხვა ვინმე იყოს, თუ არა თამარ მეფის ვაზირი – მეჭურჭლეთუხუცესი და გენიალური პოეტი შოთა რუსთაველი. გ. ა.

755. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(Витязь в тигровой шкуре)**

ქართულიდან თარგმნა შ. ნუცუბიძემ, თბ., „მერანი“, 1977, 240 გვ., რედ. ა. ბარამიძე.

თარგმანს ახლავს რედაქტორის წინასიტყვაობა (გვ. 7-12), ბოლოს (გვ. 238-239) – სახელებისა და ტერმინების მოკლე ლექსიკონი. შემდეგ, ცალკე ნუმერაციით (გვ. 3-95) ერთვის მინიატურები ხელნაწერებიდან, აგრეთვე – მ. ზიჩის, ლ. გუდიაშვილის, ს. ქობულაძის, თ. აბაკელიას, ირ. თოიძის, ლ. ცუცქირიძის, უ. ჯაფარიძისა და ნ. იანქოშვილის ილუსტრაციები. გ. ა.

756. შოთა რუსთველი

ვეფხის-ტყაოსანი

ტექსტი აღდგენილი მიხ. წერეთლის მიერ, პარიზი, 1977, 329 გვ.

მე-3 გვერდზე – იგივე ფრანგულად (+გამომცემელი ნინო სალია). წიგნი იწყება ნინო სალიას წინასიტყვაობით „გამომცემლისაგან“ (გვ. 5-7). 9-12 გვ. — მ. წერეთლის „წინა-სიტყვა“ 1960 წლის თარიღით.

პოემის დასაწყისს ეწოდება „მიძღვნა“ (სულ – 5 სტროფი), შემდეგ დაბეჭდილია პოემის ძირითადი ტექსტი დაყოფილი 8 „კარად“ და დანომრილი ცალ-ცალკე (როგორც 1963 წლის გამოცემაშია). სქოლიოებში დაბეჭდილია ხელნაწერებისა და გამოცემების ვარიანტები.

237-246 გვერდებზე წარმოდგენილია კომენტარები „ზოგ წარყვნილ და ზოგ ძნელად გასაგებ ადგილთათვის“, წიგნის 249-329 გვერდებზე დაბეჭდილია „ჩანართი“ — მ. წერეთლის მიერ ყალბად მიჩნეული სტროფები და მათი ვარიანტები. გ. ა.

757. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(Le Preux a la Peau de Tigre)**

ფრანგულ ენაზე, ელისაბედ ორბელიანის და სოლომინ იორდანიშვილის თარგმანი, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1977, 220 გვ., რედაქტორები: გასტონ ბუაჩიძე და გივი მელაძე. მხატვარი ზურაბ კაპანაძე.

თარგმანი პოეტურია (ურითმო კატრენებით), სტროფებს ნუმერაცია არ აქვს. წინ უძღვის ს. სერებრიაკოვის წინასიტყვაობა (გვ. 5-10), ბოლოს (გვ. 213-217) ერთვის მოკლე კომენტარები — სახელებისა და ტერმინების განმარტებანი.

758. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(The Lord of the Panther-skin)**

პროზაული ინგლისური თარგმანი რ. ჰ. სტივენსონისა, აშშ, ქ. ალბანი, *1977, XXIX+240 gv.*
წინასიტყვაობა (გვ. XIII-XXIX) ხელმოუწერელია. ერთვის ალ. ბარამიძის ნარკვევი (გვ. 221-240).

759. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(The Knight in Panther Skin)**

პროზაული ინგლისური თარგმანი, შესრულებული ქეთრინ ვივიანის მიერ, ლონდონი, 1977, 208 გვ.

„დასაწყისი“ (31 სტროფი) თარგმნილია ლექსით. წინ უძღვის დ. ლანგის წინასიტყვაობა (გვ. 9), ალ. ბარამიძის წინათქმა (გვ. 10) და მთარგმნელის — ქ. ვივიანის შესავალი წერილი (გვ. 11-33).

760. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(The Knight in the Tiger Skin)**

თარგმნილი მ. ს. უორდროპის მიერ, მოსკოვი, 1977, 432 გვ.

გამოცემას ერთვის ირ. აბაშიძის წინასიტყვაობა (გვ. 11–25) და ი. თოიძის ილუსტრაციები.

761. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(Витязь в тигровой шкуре)**

ნ. ზაბოლოცკის თარგმანი, ტექსტი მოამზადა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ალ. ბარამიძემ, ლენინგრადი, 1977, 279 გვ.

762. ტრიფონ რუხაძე

შოთა რუსთაველის სამწერლო მემკვიდრეობა

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XI სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1977, გვ. 9-10.

ავტორი იმოწმებს ალ. ცაგარლის, ანტონ პირველის, თეიმურაზ ბატონიშვილის გამონათქვამებს, აგერთვე – ილია აბულაძის, კ. გრიგოლიას, მიხ. წერეთლის, ი. ლოლაშვილისა და შ. ონიანის მოსაზრებებსა და არგუმენტებს, რომელთა საფუძველზე თითქმის დამტკიცებულად მიიჩნევს დასკვნას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გარდა შოთა რუსთაველს დაუწერია: 1. „ქებანი“ (თამარ მეფის ისტორია), 2. ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“, 3. რომანი „იოსებ მშვენიერზე“, 4. რამდენიმე მცირე ზომის ლექსი, 5. ჟინვანის სიგელი, 6. ასტრონომიული შრომები. გ. ა.

763. რევაზ სირაძე

ადამიანის რენესანსული იდეალის განვითარება

ჟურ. „ცისკარი“, 1977, № 1, გვ. 149-160; აგრ. წიგნში — „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“, თბ., 1978 გვ. 163-232.

ავტორი იკვლევს იმ საფუძვლებს, რომელთაც შესაძლებელი გახადეს ადამიანის მოაზრება ღვთაებად, მისი ღმერთთან გატოლება. აღნიშნავს, რომ IV ჰიპოსტაზის თეორია საქართველოში შეიქმნა თამარის ეპოქაში. ესაა ერთ-ერთი სიახლე, რომელიც ამ ხანამ შეიტანა მეფის ღვთაებრიობის ზოგად იდეალში. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ IV ჰიპოსტაზის იდეით ხდება იდეოლოგიური სანქცირება ამქვეყნიური ესთეტიკური ფასეულობის აღიარებისა. თამარ მეფე IV ჰიპოსტაზად გამოცხადებულია მისი ადამიანური სრულყოფილების გამო.

ადამიანის გაღმერთების იდეა ერთ-ერთი საფუძველდამდები იყო რენესანსული ჰუმანიზმისათვის. თეოცენტრიზმის შეცვლა ანთროპოცენტრიზმით ეყრდნობოდა სწორედ იმას, რომ ღვთაებრიობის უმაღლესი გამოვლენა ადამიანში დაინახეს.

ავტორის თქმით, „ვეფხისტყაოსანში“ უდაოდ ჩანს ადამიანთა ღვთაებრიობისაკენ სწრაფვის იდეალი, რომელიც სხვადასხვა ასპექტით მჟღავნდება: 1) მეფის ღვთიური წარმოშობის ტრადიციული იდეის ქადაგება („თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია“). 2) ადამიანურ მისწრაფებათა – პოეტური შთაგონების და სიყვარულის – ღვთაებრივი ბუნება; სიბრძნის სუბსტანციური ღვთაებრიობა. 3) მაღალადამიანური სრულყოფილებით მოსილ პერსონაჟთათვის (საერო პირთა) წმინდათა ხვედრის (სამოთხის) განწესება. 4) გმირების იდეალიზაცია ღვთაებრივი ატრიბუტებით. 5) იდეალურ გმირთა ხორციელი მშვენიერების მიჩნევა ღვთაებრიობის გამოვლინებად.

მკვლევარი დაასკვნის: რუსთაველის მსოფლშეგრძნების საფუძველია ანთროპოცენტრიზმი. ყველა ფილოსოფიური კონცეფცია ადამიანთმცოდნეობას ემსახურება. მასში კი არსებითია სიყვარულის საკითხი; ადამიანის ადგილი სამყაროში რუსთაველის მიერ გარკვეულია სიყვარულის მაგალითზე. გამოდის, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობის საყრდენი სიყვარულის ფილოსოფიაა, რომელიც რენესანსული ჰუმანიზმის გამომხატველია. გ. ა.

764. ივანე სურგულაძე

სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით

თბ., 1977, 262 გვ.

წიგნში განხილულია სახელმწიფოს ფორმის, მეფის ხელისუფლების, ტახტის მემკვიდრეობისა და სხვა საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. შესწავლილია აგრეთვე პოემის ავტორის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართლის ზოგიერთ ინსტიტუტზე (დარბაზი, სავაზირო); წარმოდგენილია სამართლებრივი და სამოხელეო ტერმინები, მათი შინაარსის დადგენის მიზნით.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქალი (ქალიშვილი) რეალურად არც საქართველოში და არც „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ტახტის მემკვიდრედ არ ითვლებოდა. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში დადგებოდა ქალის ტახტზე აყვანის საკითხი, როცა მეფეს ვაჟი არ ჰყავდა.

მემკვიდრეობის გასაგრძელებლად მეფე-ვაჟს საქართველოში უცხოელი უფლისწული მოჰყავდა მეუღლედ და დედოფლად. აქედანვე ლოგიკურად გამომდინარეობდა, რომ ამავე სამართლის მიხედვით, მეფე-ქალს უცხოელი უფლისწული უნდა მოეყვანა ქმრად, ზედსიძედ, რომელიც იქნებოდა მისი თანამოსაყდრე მეფის ტიტულით.

„ვეფხისტყაოსნის“ დრამატიზმი ისაა, რომ სიყვარულს წინ ეღობება კანონი, ფეოდალური საზოგადოებრივი შეხედულება. ეს დრამატიზმი აძლევს მიმართულებას გმირების მოქმედებას, რაც დიდ რისკთან და მსხვერპლთან არის დაკავშირებული.

წიგნის 145-226 გვერდებზე განხილულია სამოხელეო სახელწოდებანი: ამირსპასალარი, ამილახორი, ამირბარი, სპასპეტი, სპასალარი, მანდატური, მოლარე, მეკარე და სხვ. დადგენილია ტერმინების შინაარსი და მოხელეთა უფლება-მოვალეობანი, როგორც ქართულ სინამდვილეში, ისე „ვეფხისტყაოსანში“.

ავტორი დაასკვნის, რომ შოთა რუსთველის მსოფლმხდველობის ჰუმანიზმი და პროგრესულობა ნათლად ჩანს პოემაში განვითარებულ შეხედულებებში სახელმწიფოსა და სამართალზე. თხზულებაში წამოყენებული პროგრესული იდეები შემუშავებულია ქართული სინამდვილის საფუძველზე. ეს იდეები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ქართული აზროვნების ისტორიაში.

ნაშრომს ახლავს რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე (გვ. 234-252), პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა და ტერმინების საძიებლები. გ. ა.

765. ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდებ კომისიაში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1977, № 3, გვ. 177-192; № 4, გვ. 175-190.

დაბეჭდილია ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები 1976 წ. 12 მარტიდან იმავე წლის 19 ნოემბრამდე. წარმოდგენილია მასალა 504-611 სტროფების განხილვის შესახებ.

ჟურნალის წინა ნომრებში დაბეჭდილ ოქმებთან შედარებით ის განსხვავებაა, რომ 504-ე სტროფიდან დაწყებული, ყველა სტროფთან, რედაქციის წევრთა მსჯელობის შემდეგ, მოცემულია განხილული სტროფის შინაარსი თანამედროვე (ახალი) ქართული სალიტერატურო ენით. მასში დაფიქსირებულია მთავარი რედაქციის სხდომაზე შეთანხმებული აზრი. გ. ა.

766. ალექსანდრე ქურიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის განსაზღვრისათვის

„პოეზია და სტილისტიკა“, ლიტერატურის თეორია და ესთეტიკის საკითხები, კრებული X,
თბ., 1977, გვ. 165-173.

როგორც ავტორი აღნიშნავს, „ვეფხისტყაოსანს“ ხშირად უწოდებენ რომანს ან პოემას. ორივე დეფინიცია ზოგადი და არაზუსტია. მისი პოემად მოხსენიება მხოლოდ გარეგნულ ფორმაზე მითითებაა და შინაარსის შესახებ არაფერს გვეუბნება. ზოგიერთი მას სარაინდო პოემად მიიჩნევს (ნ. მარი, შიშმარიოვი, პ. იოსელიანი, ზ. ავალიშვილი). ეს განსაზღვრებაც მიუღებელია, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ვერ მოთავსდებიან ევროპული რაინდული ორდენის ზნეობრივი კოდექსის ჩარჩოში.

რუსთაველი ხატავს ნამდვილი ადამიანური გრძნობების მქონე პერსონაჟებს, რომელნიც ზოგჯერ პატრონყმობის კოდექსსაც არღვევენ.

ალ. ბარამიძეს ყველაზე უფრო სრულყოფილად მიაჩნია ალ. ცაგარელის ფორმულირება: „რომანტიკულ-გმირული პოემა" (იხ. კრებ. „შოთა რუსთველს", 1966).

ა. ქურიძის აზრით, რუსთაველის პოემისთვის ამომწურავი განსაზღვრების მოძებნა შეუძლებელია, ვინაიდან ცნობილი ჟანრობრივი ფორმულირებანი ვერ იტევენ მასში ასახული ადამიანური ცხოვრების მრავალფეროვნებასა და თხზულების თემატურ-იდეურ მოტივებს. გ. ა.

767. შალვა შაველაშვილი

## რას ნიშნავს „შეკვეთილი"?

გაზ. „თბილისი", 1977, 22 სექტ., № 223, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ამ სიტყვას ყურადღება მიაქცია გ. შატბერაშვილმა. მან დაიმოწმა იესე ბარათაშვილის ტექსტი და „შეკვეთილი" განმარტა როგორც შეჩვეული, დაახლოებული, შეთვისებული. ამ სიტყვას იგივე მნიშვნელობა აქვს ლეჩხუმში, იმერეთში, ხევში (ყაზბეგის რ.) და ითქმის შვილის ან სხვა ძალიან ახლობლის მიმართ. „ვეფხისტყაოსანში" სამჯერ გვხვდება ამ სიტყვის ზმნური ფორმა („ამა ყმამან შემიკვეთა", 609,1; „გილიზლებს და შეგიკვეთებს", 108,2; „შევეკვეთე, გავესულე", 1138,4) და ყველა კონტექსტი სწორედ შეჩვევას, შეყვარებას გულისხმობს. გამოთქმას „შევეკვეთე, გავესულე" შ. შაველაშვილი ასე „თარგმნის": ისე შევეჩვიე, ისე შევეთვისე, რომ ჩემი სულიც იმას შევუერთე, ერთარსებად ვიქეცითო. გ. ა.

768. რაფიელ შამელაშვილი

## ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები

თბ., 1977, 174 გვ.

წიგნი გამოცემულია როგორც დამხმარე ლიტერატურა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, შედგება შესავლისა და სამი თავისაგან.

შესავალში — „ვეფხისტყაოსნის" ენის თავისებურებისათვის (გვ. 4-13) ავტორი განიხილავს მეტყველების კულტურისა და მხატვრული, პოეტური სტილის საკითხებს.

I თავში – ლექსიკოლოგიის ზოგიერთი საკითხი პომაში (გვ. 14-54) წარმოდგენილია: სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები; უცხოური ლექსიკა – სომხური, არაბული, სპარსული, ბერძნული, ლათინური ენებიდან შემოსული სიტყვა-ცნებები და ტერმინები, რომლებიც გამოყენებულია „ვეფხისტყაოსანში". ნაჩვენებია სხვადასხვა აფიქსის საშუალებით სიტყვათწარმოების მაგალითები.

II თავში – ტერმინოლოგიური ლექსიკა „ვეფხისტყაოსანში" (გვ. 55-139) განხილულია: ლიტერატურული, პედაგოგიური, იურიდიული, ტექნიკური, სამხედრო და სპორტული ტერმინოლოგია.

III თავი ეხება გრამატიკული წყობის საკითხებს, მაგ.: სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიან სახელებში ი-ს ხმარება (ერთაი, ცოტაი და მისთ.); -ძი ნაწილაკი და მისი მნიშვნელობა; ტმესი და მის გამოსახატავად ვე, ცა, მცა, ვით, რე ნაწილაკების გამოყენება; ტმესის ფუნქცია ტაეპში მარცვალთა რაოდენობის რეგულირებასა და ბგერათა ჰარმონიულობის (ალიტერაციის) შექმნაში.

წიგნს ერთვის ბიბლიოგრაფია „ვეფხისტყაოსნის" ენის საკითხებზე, რომელიც შეიცავს 255 ერთეულის (წიგნის, გამოკვლევის, წერილის) დასახელებას. გ. ა.

769. აკაკი შანიძე

## პოემის ერთი ტაეპის გამართვისათვის

გაზ. „შოთაობა", იყალთო, 1977, ოქტომბერი, გვ. 9.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის" ერთი, საეჭვო შინაარსის მქონე სტრიქონი ასე გაასწორა: „ეამა ქება ვადისა, ხელით მძლედ დანამჭირისა" (691,3), რაც ამას ნიშნავს: ავთანდილს ეამა, რომ მოისმინა მისი ხმლის ვადის ქება, ვადისა, რომელიც მძლედ ეჭირა ყოველთვის („ლიტ. საქ.", 1962, № 48; აგრ. წიგნში: „ვეფხისტყაოსნის საკითხები", 1966).

ა. შანიძე სინანულს გამოთქვამს, რომ მისი გასწორება არ გაიზიარეს პოემის აკადემიური ტექს-

ტის დამდგენი კომისიისა და საიუბილეო (1966 წ.) გამოცემების რედაქციებში და კვლავ დაბეჭდეს ხელნაწერების (მცდარი) წაკითხვა:

„ეამა ქება ვარდისა, ბროლისა განაჭვირისა“ (682,3). გ. ა.

770. გურამ შარაძე

ისევ ე. წ. რუსთველის უცნობი პორტრეტის გამო

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1977, № 2, გვ. 128-144.

ნაშრომის ავტორი ეხმაურება ივანე ლოლაშვილის ნარკვევს რუსთველის ე. წ. „მეოთხე პორტრეტის“ შესახებ („მაცნე“, 1977, № 1) და მიუთითებს მასში არსებულ ზოგიერთ ფაქტობრივ შეცდომაზე. გ. შარაძე დოკუმენტურად ასაბუთებს, რომ „Илл. газета“-ში (1872, № 28) გამოქვეყნებული წერილის — „ქართული ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები XVIII საუკუნემდე“ — ავტორია არა ქართველი მეცნიერი და პუბლიცისტი ნიკოლოზ ბერძენიშვილი, არამედ რუსი ჟურნალისტი ნიკოლოზ პეტრეს ძე ბოჩაროვი. რუსთველის ნაყალბევ პორტრეტზე მიწერილი ინიციალები P.У. გულისხმობს მხატვარ-გრავიორ როზა უტროფს, რომელსაც გაზეთში დასაბეჭდად გაუმზადებია გაყალბებული სურათის ასლი.

ი. ლოლაშვილი მართალია იმაში, რომ „Илл. газета“-ში დაბეჭდილ სურათზე გამოსახულია არა პოეტი შოთა რუსთაველი, არამდ შაჰ-სულთან-ჰუსეინი (1694-1722) და, რომ ეს პორტრეტი გადაღებულია ნინოწმინდის XVIII ს-ის სიგელიდან, თუმცა მკვლევარი კვლავ ცდება, როდესაც სიგელის განმაახლებელს, დავით იმამყულიხანს, ერეკლე პირველის (ნაზარალიხანის) უკანონო შვილად (სპარსი ქალისაგან) მოიხსენიებს. სინამდვილეში დავითი იყო ერეკლე I-ისა და მისი მეუღლის, ანა ჩოლაყაშვილის, კანონიერი ძე. გ. ა.

771. პეტრე შარია

შოთა რუსთაველი და გოტფრიდ სტრასბურგელი

„პოეზია და სტილისტიკა“, ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, კრებული X, თბ., 1977, გვ. 3-62.

ავტორის აზრით, ამ ორი მწერლის შემოქმედების შედარებითი განხილვის საფუძველს ქმნის მათი სამოღვაწეო პერიოდების ქრონოლოგიური სიახლოვე, სოციალური წყობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მსგავსება და თხზულებათა თემატიკა – ორივე ნაწარმოები, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და გ. სტრასბურგელის „ტრისტან და იზოლდა“, აღიარებულია სასიყვარულო პოემებად.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ გოტფრიდ სტრასბურგელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ცნობები ისევე მწირია, როგორც რუსთაველზე. მისი სახელით მოღწეულია ერთადერთი პოეტური ნაწარმოები „ტრისტან და იზოლდა“. ამიტომ მწერლის მსოფლმხედველობაზე, მის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებზე, ესთეტიკასა და ეთიკაზე მსჯელობა ემყარება თხზულებაში აღწერილ ამბებს, პერსონაჟების ხასიათებს, მათ მიზნებსა და მოქმედებას.

კვლევის შედეგებს ავტორი ასე აჯამებს: გ. სტრასბურგელის პოემა თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდება რუსთაველის პოეტური სამყაროსგან, მაინც გოტფრიდი შეიძლება მივიჩნიოთ დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების დიდ პოეტებს შორის რუსთაველის ყველაზე უფრო მონათესავე შემოქმედად. აღსანიშნავია, რომ ორივე მკვეთრად ემიჯნება კურტუაზიულ ტრადიციას სიყვარულის ბუნების გაგებაში, ორივესთან ჭეშმარიტია მხოლოდ „გულიდან მომდინარე“ სიყვარული, მიჩნეული ორივეს მიერ ბედნიერების უმაღლეს წყაროდ; ორივე პოეტს მხოლოდ ამქვეყნიურობა მიაჩნია ადამიანის ბედნიერება-უბედურების ერთადერთ არენად და ორივეს მიერ იგნორირებულია ადამიანის საიქიო ბედნიერება.

განსხვავების მხრივ მთავარია ეთიკური ასპექტი: თუ რუსთაველთან სიკეთე, სიყვარული, პატიოსნება, მეგობრობა და სამრათლიანობა ადამიანური ყოფიერების უმაღლესი ზნეობრივი საწყისებია, სტრასბურგელის პოემაში ყველა ეს საწყისი გაუფასურებულია. წინა პლანზე დაყენებულია პირადი ინტერესი, რის მისაღწევადაც იყენებენ ეშმაკობას, სიცრუეს, ფარისევლობას. „ტრისტან და იზოლდაში“ საერთოდ არ ჩანს მეგობრობის მოტივი, რომელიც ერთ-ერთი წამყვანია „ვეფხისტყაოსანში“ და მიჩნეულია ადამიანთა ურთიერთობის მთავარ რეგულატორად. გ. ა.

772. პ. შარია

რეპლიკა

ჟურ. „განთიადი“, 1977, № 6, გვ. 139-148.

„რეპლიკა“ მიმართულია ავტორის წიგნზე (1976 წ.) ალ. ბარამიძის მიერ გამოქვეყნებული რეცენზიისადმი („განთიადი“, 1977, № 2). ავტორი იზიარებს რეცენზენტის ზოგიერთ შენიშვნას, ზოგიერთის გამო კი იძლევა დამატებით განმარტებებს და თავისი დებულებების დასაბუთებას. მსჯელობა შეეხება ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: სიყვარულისა და მეგობრობის ურთიერთმიმართება, ძმადნაფიცობა, ღმერთის რუსთველისეული გაგება, კრეაციონიზმის არსებობის უსაფუძვლობა „ვეფხისტყაოსანში“, პერსონაჟების ურთიერთმსგავსება და თავისებურებანი მათი ემოციური განწყობის, სულიერი სიმტკიცისა და დასახული მიზნის განხორციელებისათვის საჭირო ბრძოლის უნარის მიხედვით, სუფიზმის საკითხი ნიზამი განჯელის პოეზიაში და სხვ. გ. ა.

773. ს. შულცი

ვინ იყვნენ ქაჯები?

გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1977, 14 ივლისი; №136, გვ. 4; „საბჭოთა აჭარა“, 1977, 19 ივლისი, № 140, გვ. 4.

საქინფორმის კორესპონდენტი ასახელებს „ვეფხისტყაოსანში“ ხსენებული „ქაჯების“ შესახებ არსებულ მოსაზრებებს და მათგან სარწმუნოდ მიიჩნევს ისტორიკოს თამაზ ნატროშვილის მტკიცებას, რომ რუსთაველი „ქაჯებში“ გულისხმობს ასასინებს, ანუ მულიდებს, XI-XII საუკუნეებში ირანში წარმოშობილი რელიგიური სექტის მომხრეებს, რომელთა მიზანი იყო თურქ-სელჯუკთა ბატონობის დამხობა. ისინი იყენებდნენ პოლიტიკური ტერორის მეთოდს, თავისი ფანატიზმით, გაბედული მოქმედებითა და სასტიკი მკვლელობებით ცნობილი იყვნენ მუსლიმანურ ქვეყნებსა და ევროპაში. გ. ა.

774. ზინა ჩიქოვანი

აღზრდა-განათლების საკითხები „ვეფხისტყაოსანში“

თბ., 1977, 26 გვ.

ბროშურა გამოცემულია საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გრიფით. მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი გამრავლებულია როტაპრინტით 500 ცალად.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების უმეტესობა განათლებული, ჭკვიანი და სრულყოფილი პიროვნებანი არიან. პოემაში დასმულია ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდის პრობლემა. რუსთაველის აზრით, სრულყოფილ პიროვნებას, „ბრძენს“, არა მარტო გონება აქვს განვითარებული, მას გამომუშავებული აქვს მტკიცე ნებისყოფა და შეუძლია მიღებული ცოდნა-ჩვევების პრაქტიკულად გამოყენება.

გონებრივი განათლება, პოეტის აზრით, „სიბრძნის“ დაუფლებას ნიშნავს, რომელიც სამყაროს კანონზომიერების შეცნობის გზას წარმოადგენს. ეს შეხედულება მკვეთრად უპირისპირდება იმდროინდელ რელიგიურ თვალსაზრისს. პოემის გმირების მოქმედების მაგალითზე ნაჩვენებია პროგრესული, მაღალეთიკური და ჰუმანური იდეალების მქონე პიროვნებათა აღზრდის გზები და საუალებანი. გ. ა.

774**ა**. შ. ჩიჯავაძე

ჰიპერბოლის კლასიფიკაციის საკითხისათვის

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XI სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1977, გვ. 42-44 (მოგვყავს შემოკლებით).

ჰიპერბოლა, ანუ მხატვრული გაზვიადება შემოქმედებითი ფანტაზიის პროდუქტია. ის ხშირად იყენებს ეპითეტის, შედარების, მეტაფორისა და ალეგორიის ფორმებს.

რუსთაველის პოემაში ფუნქცია-დანიშნულების, ანუ შინარსის მიხედვით გვხვდება შემდეგი სახის ჰიპერბოლები: 1. ფიზიკური სიძლიერის გამომხატველი, 2. სივრცის, ფართობის, 3. მწუხარების ან სიხარულის, 4. სილამაზე-მშვენიერების, 5. ერთგულების, 6. წესრიგისა და სამართლიანობის, 7. სისწრაფის მაჩვენებელი და სხვ.

„ვეფხისტყაოსანში“ არ გვხვდება სიმახინჯის, პორნოგრაფიული და გროტესკულ-კომიკური

ჰიპერბოლები. გ. ა.

775. ალექსი ჭინჭარაული

დიახ, 1113!

ჟურ. „ცისკარი“, 1977, № 5, გვ. 153-154.

ავტორი ეხმაურება რ. პატარიძის წერილს („ლიტ. საქ.“, 1976, № 3), რომელშიც „ვეფხისტყაოსნის“ 1113-ე სტროფი („ბაღსა შიგან სათამაშოდ...“) ყალბად არის მიჩნეული. მკვლევარი განიხილავს რ. პატარიძის არგუმენტებს და მათ სუბიექტურ თვალსაზრისად და უმართებულოდ მიიჩნევს. მისი აზრით, ამ სტროფსა და მის მომიჯნავე სტროფებს შორის არაა შინაარსობრივი წინააღმდეგობა; პირიქით, საეჭვოდ მიჩნეული სტროფი აზრობრივად აკავშირებს მის წინ მდგომ და მომდევნო სტროფებს.

„მხატვრული თვალსაზრისით სტროფი მდარეაო“ - ამის საბუთად რ. პატარიძე არაზუსტ რითმას ასახელებს, მაგრამ ამით სტროფის სიყალბე ვერ დამტკიცდება. აქ გარითმულია მოსაზღვრე ტაეპები. **I-II** (ჟამსა – ხამსა) და **III-IV** (ხმასა – თმასა). ასეთი რითმები რუსთაველს სხვა სტროფებშიც აქვს.

ავტორის დასკვნით, 1113-ე სტროფი რუსთველისეულია და პოემის ტექსტში მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი არ უნდა დადგეს. გ. ა.

776. ლევან ჭრელაშვილი

შოთა რუსთაველის მეოთხე პორტრეტი

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1977, № 1, გვ. 151-175.

მკვლევარი წერს, რომ ცნობილია შოთა რუსთაველის სამი პორტრეტი: 1) „ვეფხისტყაოსნის“ ე.წ. „ზაზასეული“ ხელნაწერიდან, 2) პოემის 1646 წლის თავაქარაშვილისეული ნუსხიდან, 3) იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკა. არსებობს მეოთხე პორტრეტი, რომელსაც ზოგიერთი რუსთაველის გამოსახულებად მიიჩნევს. გაგარინის ალბომში (1847 წ.) მას ლათინურად მიწერილი აქვს: „შაჰაბასი“; იგივე პორტრეტი დ. ბ. გრუზინსკის არქივიდან გამოაქვეყნა პუბლიცისტმა „Н.Б.“-მ რუსულ ილუსტრირებულ გაზეთში 1872 წ. (№ 28). მას ქართულად (ხუცურად და მხედრულად) და რუსულად (ბეჭდურად) აწერია: „შოთა რუსთაველი“, 1913 წელს დაბეჭდა ზ. ჭიჭინაძემ როგორც „არჩილ მეფე“, ხოლო 1914 წელს ს. კაკაბაძემ მიიჩნია შაჰ-სულთან-ჰუსეინად.

ლ. ჭრელაშვილის აზრით, ამ სურათზე დახატულია შოთა რუსთაველი.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე (იხ. გამოხმაურება, ანოტ. № 751). გ. ა.

## 1978 წელი

777. შალვა ადეიშვილი

რუსთაველის კავშირი ძველ ბერძნულ ფილოსოფიასთან

ჟურ. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1978, № 4, გვ. 45-53.

როგორც ავტორი წერს, რუსთაველის კავშირი ძველ ბერძნულ ფილოსოფიასთან უდავოა. ის არის კრიტიკული და არა მიბაძვითი. არის მსგავსებაც და დაპირისპირებაც. ერთ-ერთი პრობლემა ბერძენი ფილოსოფოსებისთვის იყო უმაღლესი წესრიგის იდეა. მათ თავიდანვე გააჩრიეს და გათიშეს ადამიანის გრძნობა და გონება და გარესამყაროს შემეცნებაში უპირატესობა მიანიჭეს გონებას, რომლის მიხედვით სამყარო უნდა იყოს და არის კიდეც კარგი, საუკეთესო ყველა შესაძლებელს შორის. ის უნდა იყოს მოწესრიგებული, ერთიანი სრულყოფილი. ამის მიღწევა მათ შესაძლებლად მიაჩნდათ ადამიანის მიერ მატერიალური მოთხოვნილებებისა და ვნებების დათრგუნვით.

შუა საუკუნეების ქრისტიანობამ მიიღო და პრაქტიკაში დანერგა ამგვარი მეტაფიზიკური წესრიგის ფილოსოფიური იდეალები – სამონასტრო კომუნებსა და განდეგილების ყოფაში.

რუსთაველი აღიარებს, რომ ფილოსოფიის საგანი არის ეს გრძნობადი ქვეყანა. მასშიც არის უმაღლესი წესრიგი, ოღონდ არა თავისთავად, ჩვენგან დამოუკიდებლად, სტიქიურად, არამედ დამოკიდებულია ჩვენზე, ჩვენი გონების თეორიულ და პრაქტიკულ უნარზე.

ბერძენმა ფილოსოფოსებმა უარყვეს ღმერთების რწმენა, რადგან იმდროინდელ საზოგადოებაში მითოლოგიურ ღმერთებს აღარ ჰქონდათ ავტორიტეტი, აღარ ჩანდა ამ ღმერთების ისეთი აქტიური მონაწილეობა ადამიანების ცხოვრებაში, როგორც ეს ჰომეროსმა ასახა თავის პოემებში.

როგორც ჩანს, ადამიანის გონების დამოუკიდებლობისა და უმაღლესობის იდეა რუსთაველმა მიიღო ძველი ბერძენი ფილოსოფოსებისაგან. პოემის სიუჟეტი მან შეადგინა მხოლოდ ადამიანების ურთიერთობის დონეზე, ღმერთების მონაწილეობის გარეშე. მის თხზულებაში რჩეული პიროვნებანი თვითონ არიან ზეციური მნათობების სწორნი.

ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა: ჰომეროსის პოემების გმირები ზრუნავენ მხოლოდ თავიანთ თავზე, პირად კეთილდღეობაზე, პატივზე, ქონებასა და დიდებაზე. სხვათა შორის, ღმერთებიც არ არიან დიდი მზრუნველები ადამიანებზე; მათ ჰყავთ ამორჩეული პიროვნებანი, რომელთაც ეხმარებიან ბრძოლასა თუ სხვა გასაჭირში. მაშინდელი რწმენით, ყველაფერი ბედისწერას ემორჩილება და ადამიანიც უნდა შეურიგდეს თავის ბედს.

რუსთაველმა ამას დაუპირისპირა თავისი იდეა: საზოგადოებრივი ცხოვრების გონივრულად მოსაწყობად საჭიროა ზრუნვა არა მხოლოდ თავისთავზე, არამედ გასაჭირში მყოფ ყოველ ადამიანზე. მის პოემაში ამის საუკეთესო მაგალითს იძლევიან თინათინი და ავთანდილი. გ. ა.

778. გიორგი არაბული

ნანუჩას ვინაობის შესახებ

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა III რესპ. სამეცნიერო კონფერენცია, მოხს. თეზისები, თბ., 1978, გვ. 19.

1. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია „ვეფხისტყაოსნის" ინტერპოლატორი ვინმე ნანუჩა, მაგრამ დაუდგენელია მისი ცხოვრების დრო, საქმიანობა და „ღვაწლი" რუსთაველის პოემის შევსებაში.

2. ახლად მოძიებული საარქივო მასალებით მომხსენებელი აზუსტებს, რომ ეს პიროვნება არის მე-16 საუკუნის ბოლოსა და მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრები მანუჩარ ციციშვილი, რომელიც სახლთუხუცესის თანამდებობაზე იყო როსტომ მეფის დროს, მე-17 ს-ის 30-40-იან წლებში. ნ.რ.

779. ალექსანდრე ბარამიძე

ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

VII, თბ., „მეცნიერება", 1978.

სხვა ნაშრომებთან ერთად წიგნში დაბეჭდილია რუსთველოლოგიური გამოკვლევები:

1. ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადების თაობაზე (გვ. 5-25). ეხება ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის პრინციპსა და პოემის ტექსტში შეტანილ ზოგიერთ ცვლილებას.

2. რუსთველის დასაცავად (გვ. 26,39). პირველი პუბლიკაცია — „მნათობი", 1973, № 12, გვ. 127-132, იხ. ანოტ. № 742.

3. ერთი ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომის გამო (გვ. 40-56). იხ. ანოტ. № 781.

4. ვეფხისტყაოსნის ინგოროყვასეული გამოცემა (გვ. 57-73). გამოკვლევა ეხება „ვეფხისტყაოსნის" 1970 წლის გამოცემას პ. ინგოროყვას რედაქციით. ავტორი კრიტიკულად განიხილავს პ. ინგოროყვას ნარკვევს რუსთველის ბიოგრაფიისა და პოემის პროლოგის სტროფული შედგენილობის შესახებ. იხ. ანოტ. № 781.

5. რუსთველის იერუსალიმური სურათის გამო (გვ. 74-78). იხ. ანოტ. № 690.

6. ხმა წარსულიდან (გვ. 79-90). იხ. ანოტ № 690.

7. Язык поэтической метафоры и вопрос о датировьке поэмы "Витязь в барсовой шкуре" (გვ. 91-96). იხ. ანოტ. № 472.

8. საკვალიფიკაციო რუსთველოლგიური შრომები:

ა) რეცენზია ივანე გიგინეიშვილის სადოქტორო დისერტაციაზე: ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის კრიტიკის ძირითადი საკითხები (გვ. 97-108), იხ. ანოტ. № 782; ბ) რეცენზია სარგის ცაიშვილის სადოქტორო დისერტაციაზე: „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორია (გვ. 108-125). გ. ა.

780. ალ. ბარამიძე

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადების თაობაზე

წიგნში: ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1978, გვ. 5-25.

წერილში საუბარია „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაზე, მის პრინციპებსა და მიზნებზე. ავტორი აღნიშნავს, რომ დასახელებული კომისია მუშაობს 1963 წლიდან აკად. გიორგი წერეთლის მიერ შემუშავებული პრინციპებისა და გეგმის მიხედვით. მოგვიანებით (1974 წლიდან) კომისიის საქმიანობაში მოხდა ზოგიერთი ცვლილება. კერძოდ, — სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ „მაცნეში" (ელს) მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები და დადგენილი ტექსტი. პოემის ტექსტთან ერთად ქვეყნდება მისი სიტყვა-სიტყვითი ადეკვატური თარგმანი თანამედროვე სალიტერატურო ქართულზე. მკვლევარი ასაბუთებს ასეთი თარგმანის აუცილებლობას სათანადო მაგალითებით.

წერილში აღნიშნულია ის გასწორებები, რომლებიც მთავარმა რედაქციამ შეიტანა პოემის ტექსტში. ცვლილება, ცალკეული სიტყვების გარდა, თხზულების სტროფულ შედგენილობასაც შეეხო. მაგალითად, ჩანართებად იქნა აღიარებული და პოემის ძირითად ტექსტს გამოაკლდა სტროფები:

№ 70 – კვლა ბრძანა: მონა თორმეტი შევსხათ ჩვენთანა მარებლად...

№ 150 – ესეა მონა შერმადინ, ზემოთცა სახელდებული...

№ 191 – თავს უთხრა: მოკვე, გიჯობსო სიცოცხლეს აუგიანსა...

პოემის ძირითად ტექსტს დაუბრუნდა წინა გამოცემებში უარყოფილი ხუთი სტროფი:

№№: 304 – კაცმან ვით ჰპოვოს...

305 – მაგრა ღმერთმან მოწყალემან...

320 – ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა...

323 – წიგნი წიგნსა ეცემოდა...

330 – რა მინდორს შევჯდი...

მკვლევარი ეხება „დიონოსისა" და „ეზროს"-ის ვინაობის პრობლემას, თუმცა მას ჯერჯერობით კვლავ გადაუჭრელად თვლის. გ. ა.

781. ალ. ბარამიძე

„ვეფხისტყაოსნის" ინგოროყვასეული გამოცემა

წიგნში: ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1978, გვ. 57-73.

წერილი ეხება რუსთველის თხზულების 1970 წლის გამოცემას, რომელსაც ახლავს პ. ინგოროყვას გამოკვლევები: „შოთა რუსთაველი" (გვ. 7-169); „ვეფხისტყაოსნის შესავალი და ბოლოთქმა" (გვ. 409-459); „შოთა რუსთაველის ახლობელნი: შოთა და ცოტნე დადიანი, პოეტი ქალი ბორენა" (გვ. 461-482).

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ პ. ინგოროყვას აწინდელი მონოგრაფია „შოთა რუსთაველი" მისი „რუსთველიანასა" და „რუსთველიანას ეპილოგის" შემცირებულ-შეკუმშული რედაქციაა რიგი არსებითი ხასიათის ცვლილებებით. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ მომენტებზე, რომლებიც ადრეც დაუსაბუთებელი იყო და ახალ ნარკვევშიც სადავოდ რჩება. კერძოდ, მიუთითებს, რომ პ. ინგოროყვა კვლავ ბეჯითად აცხადებს: „ყველაზე ადრინდელი ჩვენ დრომდე მოღწეული დედანი ვეფხისტყაოსნისა არის ვახტანგისეული დედანი, რომლის პირველწყარო XIV საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის" (გვ. 435). ეს განცხადება ნამდვილად საფუძველს მოკლებულია.

პოემის „დასაწყისში" პ. ინგოროყვამ „კარი მიჯნურობისა" (სტროფები 11, 20-27) დეკლარაციულად გამოაცხადა დანართად. მისი აზრით, შესავლის ეს ნაწილი ეკუთვნის რუსთაველის სკოლის უცნობ პოეტს, რომელმაც შოთას გარდაცვალების შემდეგ მის პოემას დაურთო შესავალი.

გამოკვლევის ახალ ვარიანტში პ. ინგოროყვამ თითქმის უარჰყო შოთას მანიქეველობის თეორია. ამის გამო მოიხსნა „ვეფხისტყაოსნის" უცხოეთში დაწერის თვალსაზრისიც.

რეცენზენტი შენიშნავს: ადრინდელ გამოკვლევებში პ. ინგოროყვა ცდილობდა, ასე თუ ისე, დაესაბუთებინა თავისი მოსაზრებანი შოთას ბიოგრაფიაზე. აქ კი ყველაფერი ისეა წარმოდგენილი, თითქოს მონათხრობი იყოს უცილობელი ჭეშმარიტება. იგი უყურადღებოდ ტოვებს და გვერდს უვლის ქართველი ისტორიკოსების კვალიფიციურ კრიტიკას. გ. ა.

782. ალ. ბარამიძე

ივანე გიგინეიშვილის „ვეფხისტყაოსნის" ენისა და
ტექსტის კრიტიკის ძირითადი საკითხები

წიგნში: ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1978, გვ. 97-108.

ესაა რეცენზია ივ. გიგინეიშვილის ნაშრომზე, რომელიც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად იყო წარდგენილი 1975 წელს.

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ნაშრომი აჯამებს და აზოგადებს ივანე გიგინეიშვილის ხანგრძლივ, სისტემატურ კვლევა-ძიებითს საქმიანობას რუსთველოლოგიის დარგში.

წიგნში დასაბუთებულია, რომ „ვეფხისტყაოსნის" ენას ახასიათებს როგორც ძველი ქართული სალიტერატურო ენის, ისე ახალი ქართულის ნიშნები. პოემაში ძველი და ახალი ქართულის ნორმები მოიპოვება პარალელურად. სიტყვათა წყობის საკითხში კი „ვეფხისტყაოსანი" აღარ წარმგვიდგენს ძველი ქართულის ნორმებს, იგი პრინციპულად ახალ ქართულს ეკედლება.

რეცენზენტის დაკვირვებით, ივ. გიგინეიშვილი თავის მოსაზრებებს პოემის ამა თუ იმ ადგილის გასწორების თაობაზე ყოველთვის ტექსტის ფაქიზი ანალიზის გზით ასაბუთებს. მოტანილია საილუსტრაციო მაგალითები: ... მიმაწვინე – მიმაწინე (354,3); „მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლო უვაჭრელად" (161,3); „შენ ვერას ირგებ, მე გარგებ..." (931,4).

რეცენზენტს უდავოდ და ზუსტად მიაჩნია განმარტებანი სიტყვებისა და ცნებებისა: წვერგამო, უაუგო, ჩხნდე, წინამდგომელი, წინაშემდგომელი, წინამწოლი, საწოლის მეკრე, ღმერთმან აშოროს და სხვ.

ალ. ბარამიძის ზოგადი დასკვნით, „ეს შრომა ნამდვილად პირველხარისხოვანი გამოკვლევა და მშვენივრად დაწერილი მონოგრაფიაა". გ. ა.

783. ალ. ბარამიძე, ს. ცაიშვილი

### ვითომ ჩანართია?

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1978, 23 ივნისი, № 25, გვ. 3.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის" 1113-ე სტროფს. „ბაღსა შიგან თამაშობად საღამოსა გავე ჟამსა..:", რომელსაც რ. პატარიძე ჩანართად მიიჩნევს. რეპლიკის ავტორები არ იზიარებენ რ. პატარიძის არგუმენტაციას; იმოწმებენ აგრეთვე ალ. ჭინჭარაულის წერილს („ცისკარი", 1977, № 5), რომელშიც უსაფუძვლოდ არის მიჩნეული ამ სტროფის ძირითადი ტექსტიდან ამოღების მოთხოვნა. გ. ა.

784. რუსუდან ბარბაქაძე

### „ვეფხისტყაოსანი" და შუა საუკუნეების ლიტერატურული ტრადიციები ფერითი სისტემის გააზრების თვალსაზრისით

ჟურ. „მაცნე" (ელს), 1978, № 3, გვ. 59-72.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში" ფერი იდეათა მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთ უძირითადეს საშუალებას წარმოადგენს. ფერის ფენომენს პოემაში გააჩნია როგორც მხატვრულ-ესთეტიკური, ისე სიმბოლური მნიშვნელობები.

ფერები სხვადასხვა საშუალებებითა და ხერხითაა გადმოცემული: გამოყენებულია როგორც ნეიტრალური, ისე სპექტრული ფერები. განსაკუთრებულ როლს ასრულებს „მეტაფორული ფერწერა".

პოემის მხატვრულ სისტემაში სიხშირის მხრივ შავი, თეთრი და წითელი ფერები გამოირჩევა.

ფერთა სიმბოლური მნიშვნელობანი„ვეფხისტყაოსანში" სტაბილურ ხასიათს ატარებენ, მაგრამ შავი, წითელი და ყვითელი ფერები გაორებული სახითაა წარმოდგენილი – ისინი ხარ პოზიტიურ ემოციებს იწვევენ, ხან – ნეგატიურს. დანარჩენ ფერთა მნიშვნელობები სტაბილურია.

მკვლევარი ფიქრობს, რომ ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას მსგავსება-სიახლოვე „ვეფხისტყაოსნისა" და „ვისრამიანის", აგრეთვე ნიზამის პოემების ფერით სისტემებს შორის. გ. ა.

785. როლანდ ბერიძე

### შოთა რუსთაველის „რიტმული სვლა"

ალმანახი „რუსთავის ჩირაღდნები", № 5, თბ., 1978, გვ. 210-224.

ნარკვევი ეხება რუსთველის მეტრული სისტემის ერთი საკითხის გარკვევას. როგორც ავტორი წერს, „ვეფხისტყაოსნის დაბალ შაირში, გიორგი წერეთლის აზრით, მუდმივი პროსოდიული სიდიდეებია

5- და 3-მარცვლიანი სეგმენტები. მათ შორის გადის სიტყვათგასაყარი, ანუ მცირე ცეზურა, რომელსაც სიტყვა ვერ გადალახავს. ამიტომ „ხუთმარცვლიანი სეგმენტის შემცველ ნახევარკარედში არ შეიძლება გვქონდეს მიმართება [...] 2-4-2, რადგან „სიტყვა არ შეიძლება ორ ან სამ სეგმენტს შორის განაწილდეს" („მეტრი და რითმა... 1973, გვ. 33).

ამ მტკიცების მიუხედავად რუსთაველის პოემაში ნამდვილად არსებობს დაბალშაირული ტაეპი, სადაც გვხვდება მიმართება 2-4-2. ესაა 202,4: ასრე სულთქმით და ვაებით // მით ვართ / ცრემლისაცა / დენით. მოტანილი ტაეპის სტრუქტურა არ ეთანხმება გ. წერეთლის მტკიცებას, რომ დაბალ შაირში „სიტყვათგასაყარი სამმარცვლიან და ხუთმარცვლიან სეგმენტებთან იქმნება".

მკვლევრის დაკვირვებით, აღნიშნულ სალექსო სტრიქონში სიტყვას ცრემლისაცა მეორე მახვილი უჩნდება ბოლო მარცვალზე, ეს მახვილიანი ნაწილაკი უერთდება მომდევნო სიტყვას, რომელსაც საკუთარ მახვილს აკარგვინებს: ცრემლისა ცა+დენით.

აღნიშნული მოვლენიდან ორი დასკვნა კეთდება:

1. „გამონაკლისი" ეწინააღმდეგება სეგმენტების თეორიას („ვეფხისტყაოსნის" სილაბურობის პოზიციებიდან).

2. „გამონაკლისი" ადასტურებს კანონს („ვეფხისტყაოსნის" სილაბურ-ტონურობის პოზიციებიდან).

ამასთანავე ერთხელ კიდევ დასტურდება ა. გაწერელიას აზრი, რომ „ქართულ კლასიკურ ლექსში მახვილის გადაადგილება უეჭველი ფაქტია", რომ „ტერფების საზღვრები ყოველთვის არ ემთხვევიან სიტყვების საზღვრებს". გ. ა.

786. შოთა გოგატიშვილი

„ვეფხისტყაოსნის" გეოგრაფიული ტერმინოლოგია

ჟურ. „ისტორია, ... გეოგრაფია სკოლაში", 1978, № 3, გვ. 31-33.

წერილის ავტორის აზრით, „ვეფხსიტყაოსანში" გამოყენებული გეოგრაფიული ტერმინები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. ტერმინები, რომლებიც დღესაც ისევე გამოითქმის და იგივე მნიშვნელობისაა. ასეთებია: ქვეყანა, მინდორი, ველი, კლდე, გორა, ქედი, რუ, ხევი, კუნძული, შარა, ქალაქი და სხვა, რომლებიც ახსნას არ საჭიროებენე.

2. ზოგი ტერმინი მხოლოდ კუთხურ მეტყველებაშია შემორჩენილი ან სხვა მნიშვნელობით იხმარება. მაგ.: კაპანი, ტინი, ღრე, ქვაბი, ბორიო, სოფელი, არავი, ტაროსი, ტრამა, მაღრიბი, შუკა.

კაპანი ამჟამად იხმარება აჭარასა და მესხეთში, ის ციცაბო, ქვიან ადგილს აღნიშანვს. ტინი ქართლ-კახეთში დღესაც კლდის აღმნიშვნელად იხმარება. საბას განმარტებით, ტინი არის „კლდე გამჭვირვალე, კაცთა ხორცის გამკვეთი". ბორიო ჩრდილოეთის ცივი ქარია, ის ხმელეთიდან ზღვისაკენ ჰქრის. არავი სამხრეთის ქარია (ა. შანიძე), ტრამა – ვრცელი, უშენი მინდორი; მისი შესატყვისებია: ტრამალი, სტეპი, ველი. მაღრიბი არაბული სიტყვაა და დასავლეთს ნიშნავს. მაღრიბის ქვეყნებს უწოდებენ ალჟირს, ტუნისსა და მაროკოს. გ. ა.

787. მოსე გოგიბერიძე

რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები

გამოიცა ავტორის რჩეული ფილოსოფიური თხზულებების IV ტომად. წიგნი შეადგინა და განმარტებანი დაურთო იოსებ მეგრელიძემ, თბ., 1978.

მასში დაბეჭდილია გამოკვლევები რუსთაველსა და მის თხზულებაზე: „შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი", „რუსთაველის მსოფლმხედველობის სათავეები", „უზენაესი არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში", „რუსთაველის ესთეტიკა", „რუსთაველის ფერის ფილოსოფია".

ეს ნაშრომები გამოქვეყნდა 1961 წელს მ. გოგიბერიძის ამავე სათაურით გამოცემულ წიგნში. იხ. „ბიბლიოგრაფიის" II ტომში, ანოტ. № 2829. გ. ა.

788. ივანე დავითიანი

ახალი თარგმანი იბადება

გაზ. „კომუნისტი", 1978, 11 აგვ., № 188, გვ. 4.

წერილი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ახალი სომხური თარგმანის შექმნის ცდას. ავტორი აღნიშნავს ს. ბასტამიანის, ვ. ტერიანისა და გ. ასატურის ღვაწლს ამ საქმეში. მისივე თქმით, 1966 წელს წიგნად დაიბეჭდა პოეტ ოვანეს კარაიანის მიერ თარგმნილი ნაწყვეტები და აფორიზმები „ვეფხისტყაოსნიდან“. იგი ამჟამადაც განაგრძობს მუშობას და მიზნად აქვს პოემის სრული პოეტური თარგმანის გამოქვეყნება. გ. ა.

789. ბორის დარჩია

ვეფხისტყაოსნის კეზელიანთ ხელნაწერის ტიპის ნუსხები

ჟურ. „მაცნე“ (ელს), 1978, № 1, გვ. 39-55.

ავტორი განიხილავს სამ ხელნაწერს: N (S3077), Y (H 740), A[1] (K 383), სრულად აჩვენებს მათ ვარიანტულ თავისებურებებს ერთმანეთთან და სხვა ხელნაწერებთან მიმართებით და აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

1. N, Y და A[1] ხელნაწერები ერთმანეთს მიჰყვება, მათ შორის განსხვავება უმნიშვნელოა და ზოგიერთი საერთო თავისებურებაც ახასიათებთ. ისინი ერთი რედაქციისანი არიან, მაგრამ ცალკე რედაქციულ ჯგუფად მათი გამოყოფა მიზანშეწონილი არ არის, რადგან ერთიანი რედაქციული ნიშნები მათ ცოტა მოეპოვებათ.

2. შედარებით ძველ რედაქციულ სახეს უნდა იცავდეს A[1], ვინაიდან იგი ყველაზე ნაკლებად გამოიყოფა როგორც თავისი ჯგუფიდან, ისე პოემის სხვა ხელნაწერებიდან.

3. Y-ში 1088(907) – 1098(917,1) და 1155(973,4) – 1166(983,1-3) სტროფები აღდგენილია F-ისა და მის მიმდევარი ნუსხებისებურად.

4. A[1]-ში 1288(1104) – 1295(1111), 1345(1160) – 1352(1167) და 1449(1264) – 1456(1271) სტროფები აღდგენილია 1810-იან წლებში. სხვა რესტავრირებული სტროფები, რომლებიც 1712 წ. გამოცემის ტექსტს მიჰყვებიან, აღდგენილია სვიმონ გიორგის ძე კასრაძის მიერ 1828 წელს ან მომდევნო უახლოეს წლებში. გ. ა.

790. ლეილა ერაძე

„ვეფხისტყაოსანი“ აზერბაიჯანულად

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1978, 1 დეკ., № 48, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ აჰმედ ჯავადისეული თარგმანი თურქულ (აზერბაიჯანულ) ენაზე. ეს თარგმანი ა. ჯავადის გარდაცვალების (1937 წ.) შემდეგ დაიკარგა და მის ძებნაში დიდი დრო და ენერგია დახარჯა მკვლევარმა დილარა ალიევამ. ბოლოსდაბოლოს მთარგმნელის არქივში მან მიაკვლია პოემის თარგმანის არაბული შრიფტით დაწერილ შავ პირს და კიდევ ათი წელი მოანდომა მის შესწავლასა და გამოსაცემად მომზადებას.

წიგნი დაბეჭდა ბაქოს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ 46.000 ტირაჟით, დ. ალიევას ვრცელი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

როგორც რეცენზენტი წერს, აჰმედ ჯავადის თარგმანში გარდასულ საუკუნეთა სუნთქვა გვესმის, მაგრამ არქაიზმი არსად არ აბნელებს ფრაზას. მთარგმნელი გრძნობს დედნის არსს, იზიარებს მხატვრულ სახეთა მთავარ ელემენტებს და თითქმის ყველგან ინარჩუნებს რუსთაველის ბრძნული აფორიზმების შინაარსსაც და ფორმასაც. გ. ა.

**791. Г. Тевзадзе**

**Космология Руставели**

Солнечная система

ჟურ. *„**Лит. Грузия**“, Тб., 1978, № 12, с. 113-135.*

იხ. წიგნის ანოტ. № 827.

792. რევაზ თვარაძე

## პლატონი ქართულ ნააზრევში

ჟურ. „ცისკარი“, 1978, № 10, გვ. 137-146.

ნარკვევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა შოთა რუსთაველის მიმართებას პლატონის ფილოსოფიასთან. მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი პლატონის მოძღვრებას ეზიარა არა მხოლოდ ფსევდო-დიონისეს, ანუ პეტრე იბერიელის ნაშრომებით, არამედ თვით პლატონის თხზულებების უშუალოდ გაცნობით. პლატონის მოძღვრებაში ძირითადია სამყაროს მთლიანობის პრობლემა: მთლიანი სამყარო, მთლიანი სახელმწიფო, მთლიანი ადამიანი – პლატონის ეს მკვეთრად გამოხატული იდეალი ზედმიწევნით აქვს შეთვისებული რუსთაველს. ეს ჩანს თუნდაც შემდეგი სტრიქონიდან: „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი“.

საყურადღებოა პირდაპირი თანხვედრა ღმერთის გაგებაში, როგორც ერთისა, უზენაესისა და მის გამოხატვაში „მზიანი ღამის“ მეტაფორით („ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად“). რ. თვარაძის თქმით, ამ ტაეპის ასახსნელად არეოპაგიტული კორპუსი არ კმარა. ის უშუალოდ პლატონის „კანონებიდან“ მომდინარეობს (X, 897). ასეთივეა სხვა ადგილი: „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“. აქაც აუცილებელია პლატონის შეხედულების მოშველიება, რომლის თანახმად, მატერია თავისი ბუნებით არის ყოვლად განუსაზღვრელი, გაურკვეველი („ტიმეოსი“, 48,e). მისი ბუნება არის უსაზღვროება და მხოლოდ ერთთან ზიარების წყალობით ექმნება მას საზღვარი და გარკვეულობა („პარმენიდე“, 156,d).

მომდევნო სტრიქონის წყაროც კვლავ პლატონის თხზულებაა:

„იგი გაჰხდის წამისყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“.

შდრ.: „ღმერთს ცოდნაც ეყოფა და ძალაც საიმისოდ, რათა სიმრავლე ერთიანობად შერწყას და კვლავ სიმრავლედ განფინოს ერთიანობა“ („ტიმეოსი“, 68,d).

ნარკვევში განხილულია კიდევ სხვა ფრაზები და ცნებები, რომლებიც ადასტურებს რუსთაველის მსოფლმხედველობის უშუალო კავშირს პლატონის ფილოსოფიურ ნააზრევთან. გ. ა.

793. დავით კობიძე

## რუსთველისა და ნიზამის შემოქმედების საკითხები

წიგნში — „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, III, თბ., 1978, გვ. 5-12.

ავტორი აღნიშნავს, რომ პოეტური მეტყველებისა და რომანტიკული თხზულებების საერთო ხასიათით, ირანელ პოეტებს შორის რუსთველთან ყველაზე ახლო ნიზამი დგას. ნიზამისა და რუსთველის ნაწარმოებთა, მათი მხატვრული აზროვნების გზების შესწავლა ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ რუსთველი ღრმად იცნობს არა მარტო „ლეილ-მაჯნუნიანს“, არამედ „ხოსროვ-შირინიანსაც“. დ. კობიძე მსჯელობს „ხოსროვ-შირინიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტურ-ფაბულური ურთიერთდამოკიდებულების შესახებ; გვაცნობს ზოგიერთ მხატვრულ თქმასა და მეტაფორას ნიზამის პოემებიდან, რომლებიც ემსგავსებიან და ზოგჯერ თანხვდებიან რუსთველისეულ მხატვრულ თქმებსა თუ მეტაფორებს.

ავტორის აზრით, რუსთველის იმ მეტაფორებსა და შედარებებს, რომლებსაც კი შეიძლება რაიმე ნათესაობა გააჩნდეს საერთოდ სპარსულ პოეზიასთან და, კერძოდ, ნიზამის შემოქმედებასთან, სულ სხვა გააზრება და განლაგება აქვს მიღებული, ვიდრე სპარსული პოეზიის რომელიმე ქმნილებაში.

ნიზამი აღმოსავლური მსოფლმხვდელობის საფუძველზეა აღზრდილი. იგი „ლეილ-მაჯნუნიანში“ სუფიზმის იდეებითაა დატყვევებული. რუსთველმა პოემის შესავალშივე მოგვცა დაძლევა სპარსელი პოეტებისა, დაძლევა სუფიზმისა და სულ სხვაგვარად გაშალა მისი რომანი, ვიდრე ამას სპარსული ლიტერატურის ტრადიციები მოითხოვდა. ნ. რ.

794. დ. კობიძე

## ივანე ჯავახიშვილი და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობა

წიგნში — „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, III, 1978, გვ. 20-32.

წერილის ავტორი მიუთითებს, რომ ივ. ჯავახიშვილის ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის შტუდიებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“

უცხოური წყაროების საკითხებზე.

„ვეფხისტყაოსნის“ არც ერთ მკვლევარს ისე ნათლად არ დაუდასტურებია პოემის ქართულობა, როგორც XI-XII საუკუნეების ისტორიული მოვლენების ღრმა ანალიზის საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა დაადასტურა. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ სპარსელებისადმი ცხადი პოლიტიკური სიძულვილით არის გამსჭვალული. დედააზრითა და პოლიტიკური მრწამსით მას სპარსული არაფერი აქვს.

დ. კობიძე აღნიშნავს, რომ ვახტანგ VI მიერ სპარსეთში „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ვერ პოვნისა და ივ. ჯავახიშვილის წერილების შემდეგ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეწყდეს მის სპარსულობაზე ფიქრი და კამათი. ზოგი დღესაც სპარსულ ლიტერატურულ ძეგლებში წააწყდება შოთას მსგავს სენტენცია-აფორიზმებს და ფიქრობს, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ისინი აღნიშნული წყაროებიდან ჰქონდეს შეთვისებული.   ნ.რ.

795. დ. კობიძე

ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი მეტაფორისა და სიტყვის განმარტებისათვის

წიგნში — „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, III, 1978, გვ. 33-44.

1342-ე სტროფში რამდენიმე მეტაფორული სახეა:

ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირს ხმითა შვენიერითა,
ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა;
გახეთქა ლალი, გათლილი, ანდამატისა კვერთია,
მუნით წყარონი გამოჩნდეს, ძოწსა ვამსგავსე ფერითა.

მკვლევრის განმარტებით, აქ ყორანი შავი თმაა, ბროლის ჭერი – თითები, ლალი – სახე, ანდამატის კვერი – მუშტი, ძოწისფერი წყარონი – გახეთქილი სახიდან მოდენილი სისხლი.

მკვლევარი აღნიშანავს, რომ სიტყვა უსტარსა (ახალი გამოცემით – ოსტასრა) ორი სიტყვის შეერთებით არის მიღებული: უსტა (ოსთა, ოსთად) მასწავლებელს, მოძღვარს, აგრეთვე ხელოსანს ნიშნავს; სრა სპარსულშიც და ქართულშიც სასახლის მნიშვნელობით იხმარება. ირკვევა, რომ უსტასრა (ან ოსტასრა) სასახლის მოძღვარს ეწოდებოდა.

დ. კობიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ხმარებული სიტყვა „რიყე“ სპარსული წარმოშობისაა, სადაც ის „რიგ“ ფორმით დასტურდება და ქვიშას, ღორღს, ხრეშს ნიშნავს.   გ. ა.

796. დ. კობიძე

რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხები

წიგნში — „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, III, 1978, გვ. 46-58.

ავტორი განიხილავს ელ. ხინთიბიძის ნაშრომს „მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში“. დ. კობიძე აღნიშნავს, რომ ელ. ხინთიბიძე მიზნად ისახავს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სახეთა ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე ახლებურად გადაჭრას რუსთველის ფილოსოფიურ შეხედულებათა ძირითადი პრობლემები და შეძლებისდაგვარად განსაზღვროს პოეტის ადგილი შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში. მკვლევარი მსჯელობს კონკრეტულად, სათანადო მასალის მომარჯვებით. რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხები ახლებურად, ორიგინალურად არის გადაჭრილი, როგორიცაა, მაგალითად, ასტროლოგიური ნაკადი, საკითხი უზენაესი არსებისა, ეთიკის პრობლმები, რუსთველის ადგილი შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში. ამ ძირითადი პრობლემების განხილვისას მას ყურადღების გარეშე არ რჩება არც ერთი წვრილმანი საკითხიც კი და მათი მიმოხილვის საფუძველზე აგებს საგულისხმო მეცნიერულ ნაშრომს, რომელიც თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სათანადო ადგილების გაგებისა და მისი ავტორის მსოფლმხედველობის კვლევის საქმეში.  ნ.რ.

797. დ. კობიძე

მასალები <u>სათ</u> სიტყვის გაგებისათვის

წიგნში — „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, III, 1978, გვ. 113-126.

მკვლევარი წერს: სათ სიტყვა გვხვდება როგორც ქართულ კლასიკურ, ისე აღორძინების პერიო-

დის ძეგლებში. ის ქართულში უნდა გაჩენილიყო X-XII საუკუნეებში, სპარსულ-არაბული ენებისა და ლიტერატურის გავლენის შედეგად. რუსთველთან სათი იგივე გიშერია, მეტაფორულად ის შავ ფერს გამოხატავს. ამავე მნიშვნელობით იხმარება ქართულ „ვისრამიანში“. სპარსულ ხელნაწერებში მისი შესატყვისია „სიძაჰ“ — ზოგადად – შავი ფერი, სიშავე; ან „შაბე“, რაც შავ გიშერს ნიშნავს.

დ. ჩუბინაშვილის აზრით, სათი არაბული სავადია, რაც ლექსიკონების ჩვენებით, სიშავეს, შავ ფერს, წყვდიადს აღნიშნავს. ნ. მარის მოსაზრებით კი სათი არის სპარსული ბოსსად (ბუსსად, ბესსად) სიტყვის თავმოკვეცილი ფორმა და ნიშნავს არა გიშერს (ანუ აყიყს), არამედ მუქი წითელი ფერის მარჯანს (ძოწს).

დ. კობიძის აზრით, „ბოსსადის“ ქართულ ენაში სათად გადმოსვლა შეუძლებელი არ არის. ასეთი თავმოკვეცილი სპარსული სიტყვები ქართულში სხვაც გვაქვს, ოღონდ ქართულ მწერლობაში სათი დამკვიდრდა შავი ფერის ან ძვირფასი ქვის, გიშერის (და არა მარჯნის) აღმნიშვნელად. გ. ა.

797**a**. დ. კობიძე

### ვეფხისტყაოსნის დიდი მკვლევარი

წიგნში — „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“, III, 1978, გვ. 59-62.

წერილი ეძღვნება პროფ. იუსტინე აბულაძის დაბადების ასი წლისთავს. ავტორი წერს: იუსტ. აბულაძე რუსთველის შემოქმედების დიდი მკვლევარი გახლდათ. მან ორჯერ (1914 და 1926 წწ.) გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“. თითოეულ მათგანს დართული აქვს სათანადო გამოკვლევა და სამეცნიერო აპარატი. მის მიერ შედგენილი ლექსიკონი ერთვის პოემის საიუბილეო (1937 წ.) გამოცემას.

იუსტინე აბულაძეს ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ რიგი წარყვნილი ადგილების აღდგენა და უმართებულო წაკითხვათა გასწორებანი. ნ.რ.

798. ლევან მენაბდე

### რუსთველი უცხოეთში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1978, № 3, გვ. 37-54.

ნარკვევში განხილულია საბერძნეთში, იუგოსლავიასა და შვეიცარიაში გამოქვეყნებული მასალები რუსთველისა და მისი თხზულების შესახებ. მკვლევარს ანგარიშგასაწევად მიაჩნია ბერძენი ისტორიკოსის ფ. გრიგოროვიოსის მსჯელობა იმის შესახებ, რომ დამაჯერებული არაა გადმოცემა შოთა რუსთველის ათენში სწავლის შესახებ, ვინაიდან XII ს-ში ათენში არ იყო ხელსაყრელი პირობები სწავლა-განათლებისათვის. ძველი მემატიანენი ალბათ „ერთმანეთში ურევენ ათენსა და ათონის მთას ან კონსტანტინოპოლს, სადაც XI ს-ის დასასრულიდან, კომნენების მმართველობაში, კვლავ აყვავდა ბიზანტიის აკადემია.

ავტორს ასევე დაუსაბუთებლად მიაჩნია გ. პანამიხაილოს ცნობა (კრებ. „ახალი სიონი“, 1905, II) რუსთველის იერუსალიმში ყოფნის შესახებ, „იგი ყოფილა უბრალო თხრობა, გადმოცემის ჩანაწერი და არა საისტორიო პირველწყაროებზე დამყარებული ჩვენება“.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამჟამად „ვეფხისტყაოსანს“ ბერძნულ ენაზე თარგმნის მწერალი იანის რიცოსი, აგრეთვე გამოსაცემად მზადაა სოხუმელი პედაგოგის მანოლის მიტაფიდის მიერ შესრულებული პოეტური თარგმანი.

როგორც მკვლევარი წერს, იუგოსლავიაში რუსთველი მის მეორე იუბილეს მეშვეობით გაიცნეს. ბელგრადის უნივერსიტეტის ლექტორმა მ. სიბინოვიჩმა 1966 წელს გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების პოეტური თარგმანი სერბულ-ხორვატულ ენაზე, მომდევნო წლებში კი დაასრულა პოემის თარგმნა. 1975 წელს გამოქვეყნდა პოემის შემოკლებული პოეტური თარგმანი სლოვენურ ენაზე, შესრულებული ტ. პავჩეკის მიერ.

1937 წლის დეკემბერში ჟენევის უნივერსიტეტში აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავი. საიუბილეო საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ სახელმწიფო მრჩეველი ა. მალში, უნივერსიტეტის რექტორი ვ. რაპარი, მოხსენება წაიკითხა ხ. შავიშვილმა. რუსთველისადმი მიძღვნილი საღამოს მასალები დაიბეჭდა კრებულში „შოთა რუსთველი ჟენევის უნივერსიტეტში“ (ჟენევა, 1963). რ. ნოიკომმა და კ. ჩხენკელმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს „ვეფხისტყაოსანს“ მათ მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი „ვისრამიანის“ ბოლოსიტყვაობაში (1957 წ.).

1974 წელს რ. ნოიკომმა გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ შემოკლებული გერმანული თარგმანი,

რომელსაც დაურთო ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი.

ლ. მენაბდე ასახელებს აგრეთვე შვეიცარიაში გამოცემულ ლიტერატურულ ლექსიკონებსა და ჟურნალ „ატლანტისში“ დაბეჭდილ სტატიებს. გ. ა.

799. ნიკო ნადირაშვილი

რუსთველის ვინაობა-სადაურობის საკითხი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო ტარიელ კვანჭილაშვილმა, თბ., 1978, 110 გვ.

წიგნის 3-74 გვერდები უჭირავს ავტორის ნაშრომს, რომელიც აყენებს ახალ ვერსიას „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის შესახებ. მისი მტკიცებით, ვახუშტი და თეიმურაზ ბაგრატიონების თვალსაზრისი პოეტის გვარწოდების (რუსთველი) ყარაიაში მდებარე ციხე-ქალაქ რუსთავის მფლობელობიდან მომდინარეობის შესახებ მცდარია. ნ. ნადირაშვილი აზუსტებს მდინარე ეგრის ადგილმდებარეობას (რომელიც ვახუშტის მდ. არაგვად მიაჩნდა), აგრეთვე „კუხეთისა“ და „ჰერეთის“ მდებარეობასა და საზღვრებს და მიდის დასკვნამდე, რომ ყარაიის „რუსთავი“ ჰერეთში არ შედიოდა. უძველესი ციხე-ქალაქი რუსთავი, რომლსაც ფლობდა პოეტი შოთა პოემის შესავლის დაწერის დროს, მდებარეობდა ქურმუხის ხეობის დასავლეთით, საინგილოს ტერიტორიაზე (გვ. 38).

ნ. ნადირაშვილის საბოლო დასკვნები შემდეგია:

1. პოეტი რუსთველი საშუალო საუკუნეების დიდებულთა უმაღლეს წრეს ეკუთვნოდა. 2. დაახლოებით 1179-1189 წელთა შუა პერიოდში პოეტი დღევანდელი ბელექნის, ზაქათალისა და კახის რაიონთა, ანუ საინგილოს მლობელი იყო. 3. სავარაუდოა, რომ შოთა კლარჯელ პიტიახშთაგან წარმომდგარ კოლონკელისძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა; მაშასადამე, ბაგრატიონთა საგვარეულოს განშტოების წევრი იყო. 4. პოეტის რუსთველობა (რუსთავის მფლობელობა) ხანმოკლე ყოფილა; 1191 წელს ქალაქი რუსთავი და მისი თემი უკვე უპატრონო იყო და მეფე თამარმა ის ასა გრიგოლის ძეს „მოუმატა“. 5. „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია არა უადრეს 1179 წლისა და არა უგვიანეს 1189 წლისა.

წიგნის 75-107 გვერდებზე დაბეჭდილია ტ. კვანჭილაშვილის ბოლოსიტყვაობა — „ნიკო ნადირაშვილი და მისი რუსთველოლოგიური ძიება“. წერილის მოკლე ვარიანტი გამოქვეყნდა 1976 წელს („ცისკარი“, № 12). იხ. ანოტ. № 706. გ. ა.

800. თამაზ ნატროშვილი

„არ ქაჯნია, კაცნიაო“

მის წიგნში — „მაშრიყით მაღრიბამდე“ (მეორე შევსებული გამოცემა), თბ., 1978, გვ. 93-110.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოქმედი ქაჯები ადამიანთა მოდგმის წარმომადგენელნი არიან. მათი „ადამიანობისა“ და საოცარი საქმეების შესახებ ავთანდილი პირველად ფატმანისაგან შეიტყობს. მკვლევართა წინაშე დიდი ხანია დგას კითხვა: პოემაში ხსენებული „ქაჯები“ და „ქაჯთა ქვეყანა“ პოეტის ფანტაზიის ნაყოფია თუ ისინი შეესაბამებიან რომელიღაც სინამდვილეში არსებულ ხალხს?

ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ რუსთველი ქაჯებში უნდა გულისხმობდეს ასასინთა ორდენს, ანუ ისმაილიტების სექტას და მათ მთავარ ციხე-სიმაგრეს ალამუთს, ჩრდილოეთ ირანში, სადაც სექტის მეთაურმა ირანელმა ფეოდალებმა XI საუკუნეში ძლიერი სახელმწიფო შექმნეს, მათ ქვეყანაში გაბატონებული თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეს ვარაუდი უფრო საფუძვლიანად დაასაბუთა კ. კეკელიძემ. იგი ახასიათებს ასასინების, ანუ მულიდების სახელმწიფოს, აღწერს მათი ბრძოლის მეთოდებს, თავზარს რომ სცემდა მთელ მაჰმადიანურ სამყაროს და საჭიროების შემთხვევაში ქრისტიანულ ქვეყნებსაც სწვდებოდა. კ. კეკელიძის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯები თავისი ყოფა-ცხოვრებითა და ხასიათით ზედმიწევნით გვაგონებენ მულიდებს.

თ. ნატროშვილს მოჰყავს დამატებითი საბუთები იმისა, რომ XII ს-ში ქართველებმა, ახლო ურთიერთობით თუ არა, გადმოცემით მაინც კარგად იცოდნენ მულიდ-ასასინთა არსებობისა და „საქმიანობის“ შესახებ. თანადროულობისა და მსგავსების მიხედვით, სავსებით შესაძლებელია, რომ რუსთველს ქაჯებისა და ქაჯეთის დასახასიათებლად გამოყენებული ჰქონდეს მულიდების საარაკო ამბები. მკვლევარი დაასკვნის: „მულიდებთან ქაჯთა გაიგივების შედეგად კიდევ ერთხელ მტკიცდება რუსთველის შემოქმედების თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ვინაიდან „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებსა და ქაჯთა სამეფოს ანალოგია უჩნდება აღმოსავლეთის ისტორულ სინამდვილეში და არა რომელიმე

არსებულსა თუ არარსებულ სპარსულ პოემაში“. გ. ა.

801. რამაზ პატარიძე

ნავროზობა დღე გულანშაროში

გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1978, 27 იანვ., № 5, გვ. 4.

მკვლევარი უბრუნდება ადრე მის მიერ დაყენებულ საკითხს „ვეფხისტყაოსნის“ 1113-ე სტროფის („ბაღსა შიგან თამაშობად საღამოსა გავე ჟამსა“) სიყალბის თაობაზე (იხ. ანოტ. № 717) მაშინ ალ. ჭინჭარაულმა არასაკმარისად მიიჩნია რ. პატარიძის არგუმენტაცია და დასახელებული სტროფის ავთენტურობა დაიცვა.

რ. პატარიძე კვლავ აცხადებს, რომ 1113-ე სტროფი „შინაარსეულად ეწინააღმდეგება 1112-ე სტროფს“ და ამით გაურკვევლობა შეაქვს მოცემულ ეპიზოდში.

იგი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ აზრობრივად გაუგებარი და მცდარია 1112-ე სტროფის მეოთხე სტრიქონში ერთი რიგი ხელნაწერების ვარიანტი „მუნებურნი“, რომელიც პ. ინგოროყვამ დაბეჭდა 1953 და 1970 წლების გამოცემებში. სწორი წაკითხვაა: „უნებურნი არ ვიყვენით“. გ. ა.

802. ზურაბ რატიანი

საკარგავი

ჟურ. „მაცნე“ (ისტორიის... სერია), 1978, № 3, გვ. 178-192.

წერილში განხილულია ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებში ხმარებული ტერმინის „საკარგავის“ მნიშვნელობა.

ავტორი აღნიშნავს: აღიარებულად ითვლება დებულება, რომ საკარგავი არის ფეოდალური მიწისმფლობელობის პირობითი ფორმა, ძირითადად, სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ მიღებული წყალობა, ხოლო მოსაკარგავე არის ის, ვინც ასეთ მიწას ფლობს. ეს მოვლენა დამახასიათებელია ადრეფეოდალური ხანისათვის.

შ. მესხიას აზრით, „საკარგავი“ XI-XIII საუკ. ქართულში ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა: „საკარგავი“ ნიშნავდა როგორც სამოხელეოდ, საგამგეოდ, სამართავად გაცემულ გარკვეულ ტერიტორიას, ქალაქს, ასევე სარგოს, ფულად გასამრჯელოს. საკარგავად მიღებული ტერიტორიის, ქალაქისა თუ სახელოს გამგებლობა რენტით ან ფულადი სარგოთი ნაზღაურდებოდა.

ვახტანგ VI წერს: „კარგი რიგსა ჰქვიან და საკარგავი – ყოველს გასარიგებელს“. „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემლებიც დაახლოებით ასე განმარტავენ. რუსთაველთან საკარგავი ნიშნავს თანამდებობას (ხელს), კერძოდ – ამირბარობას:

„ებრძანა... ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა:
შენ გქონდეს ამირბარობა, ქმნა მისვე საურავისა!“ (334)

ზ. რატიანის აზრით, საკარგავი აღმავალი ფეოდალიზმის მოვლენაა. ძლიერ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოს უხვად გააჩნდა „ყოველი გასარიგებელი“ — საკარგავად გასაცემი. ეს წესი ხელს უწყობდა პირად ინიციატივას და განაპირობებდა პატრონისადმი ერთგულ სამსახურს. გ. ა.

803. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1978, 280 გვ., რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი.

წიგნში დაბეჭდილია პოემის 1966 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტი. სტროფები დაუნომრავია. ერთვის ნ. იანქოშვილის ილუსტრაციები.

804. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნილი აჰმედ ჯავადის მიერ, ბაქო, 1978, 208 გვ.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო დ. ალიევამ. იხ. ანოტ. № 790.

805. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

პოეტურად თარგმნილი აფხაზურ ენაზე მ. ლასურიას მიერ, სოხუმი, 1978, 308 გვ.

806. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(Witez w tygrysiej skorze)**

იგორ სიკირიცკის თარგმანი პოლონურ ენაზე, ვარშავა, 1978, 172 გვ.

807. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(Витязь в тигровой шкуре)**

თარგმნილი და მოზარდთათვის გადაკეთებული ნ. ზაბოლოცკის მიერ, მოსკოვი, 1978, 217 გვ.

იგივე რედაქცია დაიბეჭდა 1979 და 1980 წლებში.

808. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში

II, თბ. უნივერსიტ. გამომცემლობა, 1978, 461 გვ.

შემდგენლები: ჯ. გაგნიძე, ჯ. გიუნაშვილი, ლ. მენაბდე, ს. რავიჩი, ფ. ჯინჯიხაშვილი; სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, ო. ბაქანიძე, ვ. გამყრელიძე, ლ. მენაბდე (მთ. რედ.), ა. ურუშაძე, ვ. შადური.

წიგნში წარმოდგენილია მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის მოღვაწეთა რუსთველოლოგიური ნააზრევი. შესავალში (ლ. მენაბდე, გვ. 13-33) მოცემულია სხვადასხვა ქვეყანაში რუსთველის გაცნობისა და მისი შემოქმედების შესწავლისა და შეფასების ზოგადი სურათი. 34-52 გვერდები უკავია ბიბლიოგრაფიას სხვადასხვა ენებზე.

მასალა (გამოკვლევები, წერილები, სიტყვები) დალაგებულია კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით.

ევროპა: პოლონთიდან წარმოდგენილი არიან ავტორები: კ. რდულტოვსკი, კ. ლაპჩინსკი, ა. ლაისტი, კ. ვინიევიჩი, ე. ნაკაშიძე, ი. ტუვიმი, ბ. გემბარსკი, ი. სიკირიცკი, ე. ზაგურსკი, რ. შიდლოვსკი, ლ. ლევინი, ი. ბრაუნი, ი. რეიხმანი, ვ. კუბაცკი (გვ. 55-100).

უნგრეთიდან: მ. ზიჩი, ბ. ვიკარი, ი. ჩატლოში, მ. იშტვანოვიჩი, ლ. ტარდი, დ. რადო, კ. ცეგლერი, დ. იეში, შ. ვეორეში, ი. კადარი (გვ. 101-144).

იტალიიდან: გ. პასილი, შ. ბერიძე, კ. ლევი, მ. პიკი (გვ. 145-150).

ბულგარეთიდან: ი. ვაზოვი, კ. ბელევი, ს. კარაკოსტოვი, ი. ბიწაძე, ე. ბაგრინა, ლ. სტოიანოვი, ც. ანგელოვი, ა. ტოდოროვი, გ. გერმანოვი, ხ. დუდევსკი, ვ. ველჩევი (გვ. 151-164).

საბერძნეთიდან: ფ. გრიგოროვიოსი, გ. პანამიხაილი, ტრიკოგლიდისი, ი. რიცოსი (გვ. 165-167).

ბელგიიდან: ჟ. გარიტი (გვ. 168).

ჩეხოსლოვაკიიდან: ი. იედლიჩკა, ვ. ჩერნი, ი. ვაცულინი, ი. სკალა (გვ. 169-209).

შვეიცარიიდან: რ. ნოიკომი, კ. ჩხენკელი, კ. ჰოჰოფი, ვ. არნოლდი (გვ.210-217).

ნორვეგიიდან: ე. კიელანდი, ჰ. ფოგტი (გვ. 218-221).

ესპანეთიდან: პ. ბერტრანი, რ. ალბერტი, ხ. პაჩენკო (გვ. 222-224).

ისლანდიიდან: ჰ. ლაქსნესი (გვ. 225-226).

რუმინეთიდან: ვ. კერნბახი, დ. ჰაულიკა, თ. განე, მ. პეტრიშორი (გვ. 227-268).

დანიიდან: ნ. ბორი, ჰ. შერფიგი (გვ. 269).

იუგოსლავიიდან: მ. ბორო, მ. სიბინოვიჩი, ტ. პავჩეკი, ფ. ვურნიკი (გვ. 270-278).
ფინეთიდან: ე. კაუპილა (გვ. 279-282).
ამერიკის შეერთებული შტატებიდან: რ. ბლეიკი, რ. იაკობსონი, თ. ბაგრატიონი, კ. თუმანოვი, ლ. სოლანო (გვ. 285-295).
ჩილედან: გ. დე ლა ტორე მოტარო, ე. დელ სოლარი, ფ. კოლოანე, ხ. გარჩესი, ა. გარიდო (გვ. 296-316).
კანადიდან: ჯ. უოლესი, მ. უაიტი, კ. ლიჩი (გვ. 317-319).
კუბადან: ხ. პორტუონდო (გვ. 320-321).
აზია. ირანიდან: ს. ნაფისი, ჰ. სარდადვარი, ა. ლაჰუთი, ჰ. ზარინქუბი (გვ. 325-332).
ჩინეთიდან: ლი ცი-ე (გვ. 333).
იაპონიიდან: ი. ფუკურო, ს. ვაკული, რ. კომიიამა (გვ. 334-336).
ისრაელიდან: ხ. ვარდი, ზ. ვილნაი, ა. შლიონსკი (გვ. 337-345).
მონგოლეთიდან: ც. დამდინსურენი (გვ. 346-347).
ინდოეთიდან: ა. პრიტამი, ს. ჩატერჯი (გვ. 348-374).
ვიეტნამიდან: ტე ლან ვიენი (გვ. 375-376).
შრი ლანკადან: მ. დე სილვა (გვ. 377).
თურქეთიდან: ს. ჰილავი, ქ. ოლგუნი (თავაძე) (გვ. 378-381).
სირიიდან: ნ. ხალილი (გვ. 382).
აფრიკა. ალჟირიდან: ი. ქათები (გვ. 385).
ავსტრალიიდან: ჯ. დატონი (გვ. 389).
დამატება: ცნობები რუსთველსა და „ვეფხისტყაოსანზე“ ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში (გვ. 390-393).
შენიშვნები (ლ. მენაბდე, გვ. 394-448).
პირთა და თხზულებათა საძიებლები (თ. ხეთერელი, გვ. 449-461). გ. ა.

809. ვახტანგ სიდამონიძე

ძვირფასი რვეული

გაზ. „სამშობლო“, 1978, მაისი, № 10, გვ. 6; აგრ. „სახალხო განათლება“, 1978, 13 ოქტ., გვ. 4.

ავტორი მოგვითხრობს შოთა რუსთველის ბიოგრაფიული ცნობების შემცველ რვეულზე, რომელიც XIX ს-ის შუა წლებში ინახებოდა თავად ათანასე მაყაშვილის ოჯახში. ამის შესახებ 1881 წელს გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომელშიც მოყვანილია ნაწყვეტი ათანასე მაყაშვილის ქალიშვილის, ეკატერინეს, წერილიდან: „ორმოცდათვრამეტში ვიპოვე მამაჩემის წიგნებში ერთი რვეული, რომლიდამაც გადმოვწერე შემდეგი: „გრემის ქალაქსა შინა იზრდებოდნენ ყმაწვილები..., სწავლობდა სამასი ყმაწვილი. ამ სამას ყმაწვილში ალიზარდნენ რუსთაველი და ორბელიშვილი. რუსთაველი მოიყვანა თავისმა ბიძამ თორმეტი წლისა (...) 16 წლისა რუსთაველი გადაიყვანეს იყალთოს ღვთაების პალატაში. [მისმა მასწავლებელმა „ათინელმა ბერმა“] წაიყვანა რუსთაველი ათინაში სამ სხვა ყმაწვილთან ერთად. „22 წლისა დაბრუნდა, გამოჩენილი სწავლით“.
ეს ხელნაწერი რვეული ათანასე მაყაშვილს 1858 წელს გადაუცია პლატონ იოსელიანისთვის, რომელმაც ის „პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილს“ მიჰყიდა. მას კი ხელნაწერი საზღვარგარეთ წაუღია და მას შემდეგ დაკარგულად ითვლება. გ. ა.

**810. Николай Тихонов**

**Шота Руставели в мировой поэзии**

ავტორის წიგნში — „***Избранное***“, ტ. II, თბ., გამ. „მერანი“, 1978, გვ. 175-189.

ნარკვევი დათარიღებულია 1966 წლით. მასში მოცემულია რუსთაველის ეპოქის საქართველოს კულტურის (მწერლობის, ხელოვნების და სხვ.) ზოგადი დახასიათება. ავტორი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ იდეალებს, მათ გადმოცემას მაღალმხატვრული პოეტური ხერხებით, რამაც უკვდავება არგუნა შოთა რუსთაველსა და მის შემოქმედებას. გ.ა.

811. არდ. ფურცხვანიძე, ვ. კობახიძე

რუსთაველის კოსმოლოგია

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1978, 28 ივლის, № 31, გვ. 2.

ავტორები ეხმაურებიან გ.თევზაძის ნაშრომს „რუსთაველის კოსმოლოგია", რომელიც 1974-77 წლებში იბეჭდებოდა ჟურნალებში „ცისკარსა" და „განთიადში". მათ სწორად მიაჩნიათ გ. თევზაძის კვლევის მეთოდი და მის საფუძველზე მიღებული დასკვნები. რეცენზენტების აზრით, გამოკვლევის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ ყველგან სწორად არის მიგნებული ის, თუ რომელი ასტრალური მოვლენა იგულისხმება მოცემულ სტროფში, როგორ ესმის პოეტს ეს მოვლენა და მისი მიმდინარეობა.

გ. თევზაძემ დაადგინა, რომ შოთა რუსთაველის წარმოდგენით, სამყაროს სისტემას ორი ცენტრი აქვს: ერთია ვარსკვლავური ცის სფეროს ცენტრი – დედამიწა, მეორე – მის გარშემო მბრუნავი მზე, რომელსაც წრიული გზებით გარს უვლიან პლანეტები. ეს თვალსაზრისი ეჭვქვეშ აყენებდა იმ დროს ეკლესიისგან აღიარებულ გეოცენტრულ სისტემას და, ამასთან ერთად, მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა 400 წლის შემდეგ აღმოჩენილი კოპერნიკის ჰელიოცენტრული სისტემისაკენ. გ. ა.

812. ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში

ჟურ. „მაცნე", ელს, 1978, № 1, გვ. 177-188; № 2, გვ. 171-192; №3 , გვ. 183-192; № 4, გვ. 179-188.

დაბეჭდილია ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები 1976 წ. 26 ნოემბრიდან 1977 წ. 23 სექტემბრამდე. წარმოდგენილია მასალა 612-782 სტროფების განხილვის შესახებ.

813. გურამ შარაძე

ევგენი ბოლხოვიტინოვი, პირველი რუსი რუსთველოლოგი

რედ. ს. ცაიშვილი, თბ., 1978,120+105 გვ.

წიგნში განხილულია ე. ბოლხოვიტინოვის ცხოვრება და მისი მეცნიერული, კერძოდ – რუსთველოლოგიური მოღვაწეობა. ევგენი (ექვთიმე) ალექსის ძე ბოლხოვიტინოვი (1767-1837), კიევის მიტროპოლიტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოების წევრი, თავისი დროისათვის ცნობილი მეცნიერი და კულტურის მოღვაწე იყო. 1800-1804 წლებში პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის სასულიერო აკადემიაში ყოფნის დროს ის დაუახლოვდა საქართველოდან იძულებით გადასახლებული სამეფო ოჯახის წევრებს, მათ მხლებელ სასულიერო და საერო პირებს. იგი დაინტერესდა ახლადშეერთებული ქვეყნის ისტორიით, კულტურითა და მწერლობით. სასულიერო პირის ვარლამ ერისთავისა და სხვების დახმარებით ე. ბოლხოვიტინოვმა დაწერა ვრცელი ნარკვევი: „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состаянии", რომელიც წიგნად გამოიცა პეტერბურგში 1802 წელს. მასში დიდი ადგილი ეთმობა ცნობებს შოთა რუსთაველსა და მის თხზულებაზე. მოცემულია „ვეფხისტყაოსნის" ჟანრობრივი რაობისა და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მისი ადგილის განსაზღვრის ცდა, ქართული ლექსის ვერსიფიკაციისა და კერძოდ, რუსთველური შაირის დახასიათება. რუსთაველის თხზულება პირველად მან შეუპირისპირა არიოსტოსა და ოსიანის ჰუმანისტურ, საგმირო-სარაინდო პოემებს. მანვე სცადა რამდენიმე სტროფის თარგმნა რუსულ ენაზე.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი მაშინვე ითარგმნა გერმანულ ენაზე და დაიბეჭდა 1814 წელს. მასზე რეცენზია-ანოტაციები გამოქვეყნდა გერმანულ და ფრანგულ ენებზე, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხების ევროპაში გატანასა და პოპულარიზაციას.

გ. შარაძის ნაშრომს ერთვის რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 114-116), პირთა საძიებელი (გვ. 117-120) და დამატება – ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის პირველი გამოცემის ფოტოასლი ცალკე ნუმერაციით, გვ. 1-104. გ. ა.

814. გ. შარაძე

მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა

რედაქტორი ალ. ბარამიძე, თბ., 1978, 160 გვ.

წიგნი ეძღვნება უნგრელი მხატვრის, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი დამსურათებლის, მიხაი ზიჩის დაბადების 150 წლისთავს. წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ მ. ზიჩიმ წარუშლელი კვალი დატოვა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში. მისი ურთიერთობა, მეგობრობა და თანამშრომლობა გრ. ორბელიანთან, ი.ჭავჭავაძესთან, ა. წერეთელთან, ი. მაჩაბელთან, ნ. ნიკოლაძესთან, ი. მეუნარგიასთან და სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ქართველი და უნგრელი ხალხების ისტორიული მეგობრობის გაუხუნარი ფურცლებია.

ნაშრომი შედგება შემდეგი თავებისაგან. I. მეგობრობის ისტორიული ფესვები; II. მიხაი ზიჩი – დიდი უნგრელი ეროვნული მხატვარი; III. მ. ზიჩი საქართველოში და ვეფხისტყაოსნის დასურათება; IV. მ. ზიჩი და ვეფხისტყაოსნის ვიკარისეული უნგრული თარგმანი; V. მ. ზიჩის უცნობი ნამუშევრები; VI, მეგობრობა გრძელდება.

ტექსტში ჩართულია მ. ზიჩის მიერ საქართველოში დადგმული „ცოცხალი სურათების“ ფოტორეპროდუქციები, ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და იმ პირების პორტრეტები, რომელნიც მონაწილეობდნენ „ცოცხალ სურათებში“. წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ და უნგრულ ენებზე (გვ. 137-146) და პირთა საძიებელი. გ. ა.

815. შოთა ჩიჯავაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ორი ადგილის დადგენისათვის

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1978, № 3, გვ. 55-58.

მკვლევარი განიხილავს სტრიქონს: „მან გრძნეულმა მოლი რამე წამოისვა ზედა ტანსა“ (1276,3) და აღნიშნავს, რომ „ტანი“ სპარსული სიტყვაა და ქართულად „გვამს“ უდრის. ის მეათე საუკუნეში შემოსულა ქართულ ენაში. გვაქვს ცნებები „ზედატანი“ და „ქვედატანი“, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანის სხეულის წელსზედა და წელსქვედა ნაწილებს, აგრეთვე — ქალის წელსზევით და წელსქვევით ჩასაცმელსაც.

პოემაში ხმარებული სახელი „ზედატანი“ გადამწერმა აღიქვა როგორც თანდებულიანი სიტყვა „ზედა ტანსა“. „ვეფხისტყაოსანში“ ზედა და ზედ თანდებულები 73-ჯერ გვხვდება და ერთხლაც არაა ისინი ნახმარი სახელის წინ, ყველგან სახელის შემდეგ დგას (ტანსა ზედა, წყალსა ზედა, ქედსა ზედა და ა. შ.).

მკვლევარი ფიქრობს, რომ პოემის ავტოგრაფში უდა ყოფილიყო „ზედატანსა“, წელსზემოთ ჩასაცმელის მნიშვნელობით. აგრეთვე „წამოისვას“ მაგიერ უნდა დაიბეჭდოს „წამოისხა“. წაკითხვა „წამოისვა“ გადამწერთა მექანიკური შეცდომის შედეგია. მე-17 საუკუნის ცამეტ ხელნაწერსა და მე-18 ს-ის ყველა ხელნაწერში იკითხება „წამოისხა“. გ. ა.

816. შ. ჩიჯავაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის საკითხები სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XII სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1978, გვ. 8-9 (მოგვყავს შემოკლებით).

პირველი სწავლული, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკურ ერთეულთა განმარტებანი მოგვცა, იყო ს.-ს. ორბელიანი. მის „სიტყვის კონაში“ რუსთველის პოემის დამოწმებით ახსნილია 53 სიტყვა. იგულისხმება, რომ წყაროს მიუთითებლად განმარტებულია კიდევ მრავალი ათეული სიტყვა.

დასახელებული 53 სიტყვიდან მართებულად ახსნილია 46. პოემის კონტექსტისათვის შეუფერებელი განმარტება აქვს ექვს სიტყვას (გია, ნაძლევი, პერპერა, შადი, ცქაფი, წავარნა).

სულხან-საბას ლექსიკონში არ გვხვდება რუსთველის პოემაში გამოყენებული 280 ლექსიკური ერთეული. გ. ა.

817. ნოშრევან ჯიშკარიანი

„სპარსი“ — „სპარსულის“ მნიშვნელობისათვის XII ს. ქართულ საერო პოეზიაში

საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 90, 1978, № 3, გვ. 753-756.

მკვლევარი წერს, რომ ჩახრუხაძის „თამარიანში“ ტერმინი „სპარსი“ შვიდჯერ არის გამოყენებული და ყველგან ის ზოგადი ცნების – არაქრისტიანის, მუსლიმის (მაჰმადიანის) აღმნიშვნელია. ჩახრუხაძისათვის „სპარსი“ კრებადი ტერმინია (საყურადღებოა, რომ „აბდულმესიანში“ ამ ტერმინს მხოლოდ ეთნიკურ-გეოგრაფიული შინაარსი აქვს).

სავარაუდოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისში ხსენებული „ესე ამბავი სპარსული“ ისევე ზოგადი მნიშვნელობით არის ხმარებული, როგორც ჩახრუხაძესთან. რუსთველი წერს: ეს ამბავი „სპარსულია“ (მაჰმადიანურია), ე. ი. არაქრისტიანულია, რადგანაც მოქმედება (ამბის გაშლა) ხდება მაჰმადიანურ სამყაროში, მაგრამ არა კერძოდ – სპარსეთში. პოემის ფაბულა „სპარსულია“ იმდენად, რამდენადაც პოემის გმირთა სამოქმედო ასპარეზი არის არაქრისტიანული ქვეყნები, მაგრამ მოთხრობილი ამბები გააზრებულია, „ნათარგმანებია“ ქართულად. მეორე სტრიქონში ნათქვამი კი: „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“ — არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით; ეს, ალბათ, პოეტური მისტიფიკაციაა, ანუ „სიუჟეტის შენიღბვის“ პოეტური ხერხია. გ. ა.

## 1979 წელი

818. გიორგი არაბული

### ზოგი რამ ნანუჩას შესახებ

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1979, № 4, გვ. 15-22.

ნაშრომში გარკვეულია „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ინტერპოლატორის, ნანუჩას, ვინაობა. დადგენილია, რომ არჩილ მეფის მიერ „ნანუჩად“ დასახელებული პიროვნება ყოფილა თავადი მანუჩარ ციციშვილი, რომელიც ქართლში საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობდა 1610-იანი წლებიდან, ხოლო როსტომ-ხანის (ბაგრატიონის) მმართველობის დროს სასახლის ერთ-ერთი დიდი მოხელე — „მეფის სახლთუხუცესი“ იყო. სასამართლო საბუთების (განჩინების) მიხედვით, ამ თანამდებობაზე მანუჩარის ყოფნა დოკუმენტურად დადასტურებულია 1638 წლიდან 1646 წლამდე, ხოლო სავარაუდოა, რომ გრძელდებოდა 1654 ან 1655 წლამდეც. გ. ა.

819. მიკოლა ბაჟანი

### უკვდავი პოემა

მის წიგნებში: „საქართველოს გზებზე“, თბ., 1979, გვ. 8-31; „გზა“,თბ., 1979, გვ. 321-346 (თარგმანი რ. ხვედელიძისა).

ეს ნარკვევი უფრო ადრეც რამდენჯერმე გამოქვენდა „ვეფხისტყაოსნის“ მ. ბაჟანისეულ უკრაინულ თარგმანებთან ერთად (1949-1966 წწ.), აგრეთვე ავტორის უკრაინულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილ ნარკვევებისა და წერილების კრებულებში (1968- 1969 წწ.).

ნარკვევი წარმოადგენს შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგად მიმოხილვას, გამიზნულს უკრაინელი მკითხველისათვის. პოეტის ბიოგრაფია აღდგენილია ძირითადად ზეპირი ლეგენდური გადმოცემების მიხედვით. ზოგიერთი ცნობა აღებულია პ. ინგოროყვას „რუსთველიანადან“.

მ. ბაჟანი აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე პირველი მთარგმნელების – მ. გულაკისა და ა. ნავროცკის ღვაწლს.

ავტორის თქმით, რუსთაველი იყო თავისი დროის მოწინავე ადამიანი არა მხოლოდ იმით, რომ განსწავლულობით **XII** საუკუნის მსოფლიო აზროვნების მწვერვალებთან იდგა, არამედ იმითაც, რომ თავის შემოქმედებაში აყენებდა ფეოდალური დაქუცმაცებულობის, თავკერძობისა და კუთხური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას, პროგრესულს იმ დროისათვის. რუსთაველი გასცილდა ფეოდალიზმის ზნეობრივ მიჯნებს.

შოთა რუსთაველმა შეითვისა სიბრძნე ელადის უკანასკნელი ნეოპლატონური სკოლისა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბერძნულ კლასიკურ ფილოსოფიასთან და შეაერთა ის აღმოსავლეთის დიდ პოეზიასთან, კერძოდ შირვანისა და ირანის პოეზიასთან. გ. ა.

820. ალ. ბარამიძე

### ფატმანის სახის გარშემო

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1979, გვ. 3.

მოხსენების დედააზრს მკვლევარი ასე აყალიბებს.

1. ფატმანი რუსთველის პოემის უაღრესად რთული, კოლორიტული და რეალისტური სახეა. თუმცა ავტორი ფატმანს გვიხატავს დიდი სიმპათიით, არც მისი ხასიათის საჩოთირო მხარეებს მალავს.

2. მცდარია ნ. მარის, ნ. ზაბოლოცკისა და შ. ნუცუბიძის თვალსაზრისი ფატმანის ხასიათის რაობაზე. ეს ავტორები ფატმანს წარმოგვიდგენენ ზნეობრივად თავაშვებულ, გარყვნილ არსებად.

3. ასევე მცდარია მეორე უკიდურესი შეხედულება ფატმანის მიჯნურობის იდეალიზაციის შესახებ, რასაც ერთი საზღვარგარეთელი რუსთველოლოგი გვთავაზობს. გ. ა.

821. იური ბიბილეიშვილი

## ფატმანის სახის ინტერპრეტაციისათვის

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში", 1979, № 2, გვ. 51-55.

ავტორი აღნიშნავს, რომ ფატმანი ურთულესი ხასიათია რუსთაველის გმირთა გალერეაში. სამწუხაროდ, სასწავლო სახელმძღვანელოში იგი ცალმხრივად არის გაანალიზებული, რაც მხოლოდ უარყოფით ემოციებს იწვევს.

სიმართლეა, რომ ფატმანს ახასიათებს ადამიანური სისუსტეები, მაგრამ მისი პიროვნული ღირსებებიც არ უნდა იქნას იგნორირებული. იგი უანგარო, ალტრუისტული ბუნების ქალია, ღრმად განიცდის ნესტანის უბედურებას და დიდი რისკის გაწევით ყოველმხრით ეხმარება მას. მისი ხასიათის დადებით მხარეებს კარგად ხედავენ და სათანადოდ აფასებენ ნესტან-დარეჯანი, ტარიელი და ავთანდილი. გ. ა.

822. როლანდ ბურჭულაძე

## დაგვიანებული დასკვნა

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1979, 16 თებ., № 7, გვ. 3.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის" 1978 წლის III ნომერში გამოქვეყნებულია წერილი „სპარსი" — „სპარსელის" მნიშვნელობისათვის XII ს. ქართულ საერო პოეზიაში", რომელიც ნ. ჯიშკარიანს ეკუთვნის. ამ წერილში განხილულია ტაეპი „ესე ამბავი სპარსული". ავტორს ტერმინი „სპარსნი" შეუდარებია ჩახრუხაძის „თამარიანთან". იგი აღნიშნავს, რომ „სპარსნი" ჩახრუხაძესთან ნახსენებია შვიდჯერ და ყველგან გულისხმობს არა სპარსელს, არამედ ზოგადად მაჰმადიანს. ეს სავსებით მართებული დაკვირვება მას გადატანილი აქვს „ვეფხისტყაოსნის" ტაეპზე, რომელიც შემდეგნაირად გაუშიფრავს: „ ამბავი „სპარსულია" (მაჰმადიანურია), ე. ი. არაქრისტიანულია, რადგანაც მოქმედება (ამბის გაშლა) ხდება მაჰმადიანურ სამყაროში, მაგრამ არა კერძოდ სპარსეთში... პოემის გმირთა სამოქმედო ასპარეზი არის არაქრისტიანული ქვეყნები, ხოლო მოქმედი პირები მაჰმადიანები არიან. აქედან გასაგებია, რომ პოემის „ამბავი" არ შეიძლება „ქართული" (ქრისტიანული) ყოფილიყო".

რ. ბურჭულაძე აღნიშნავს, რომ ასეთი დასკვნა როგორც „სპარსელის", ასევე „სპარსული ამბის" გაგებაში ეკუთვნის პროფ. ვ. გაბაშვილს (თსუ შრომები, 1968, ტ. 125, ისტ. მეცნ. სერია, VI), რომელსაც ნ. ჯიშკარიანი საერთოდ არ იმოწმებს. ნ.მ.

**823. Борис Гапонов**

## Библейские мотивы в творчестве Руставели

ჟურ. „მაცნე", ელს, 1979, 2, გვ. 174-180.

„ვეფხისტყაოსნის" ებრაულად მთარგმნელი ბორის გაპონოვი აღნიშანვს, რომ ბიბლიური მოტივების რუსთაველის შემოქმედებაში არსებობის საკითხი შეუსწავლელია. პოემის ივრიტზე თარგმნის დროს მან აღმოაჩინა მრავალი ადგილი (სტროფი და სტრიქონი), რომლებიც ბიბლიურ ასოციაციებს იწვევენ. წინამდებარე სტატიის მიზანია მხოლოდ პრობლემის დაყენება და არა აქვს მთელი მასალის

მოცვისა და გაანალიზების პრეტენზია.

ავტორის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“ შეინიშნება ბიბლიური მოტივების ორი სახე: პირველია ზედაპირზე მდებარე, ადვილად დასანახავი და მისახვედრი, — ესაა ციტატები, პერიფრაზები, კონტამინაციები, ასოციაციები და ა. შ. გავლენის მეორე წყება უფრო ღრმაა, რომელიც გამოიხატება ბიბლიის სიუჟეტური მოტივების გამოყენებაში.

მხატვრულ ნაწარმოებში ხმარებულ ციტატებს სიზუსტე არ მოეთხოვება, მით უმეტეს, თუ პოეტი წყაროს არ უთითებს. რუსთაველი მათ მეტწილად გადამუშავებულს და სახეშეცვლილს წარმოგვიდგენს. მხოლოდ ორი ციტატაა ისეთი, რომელთა ავტორებიც დასახელებულნი არიან. ესენია:

„ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი ეზროს“... (177).

ბ. გაპონოვის აზრით, აქ იგულისხმება რუსთაველის თანამედროვე, ესპანეთში მცხოვრები ებრაელი პოეტი მოშე იბნ ეზრა და მისი ლექსების არაბული თარგმანების კრებული „დივანი“ (ბერძნული ტრანსკრიპციით — „დივანოსი“, „დიონოსი“), თუმცა ჩვენამდე მოღწეულ მის ნაწარმოებებში რუსთაველის სტროფში მოყვანილი შედარება არ გვხვდება.

მეორე შემთხვევა: „მე სიტყვათა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:

სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე – სულსა“ (789).

არც პლატონთან დასტურდება ასეთი გამოთქმა.

ნარკვევში მოყვანილია რამდენიმე სტრიქონი, რომელთაც პარალელები ეძებნება ძველ აღთქმაში. მაგ.:

„თულა დავრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე“ (811);
„თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა“ (726);
„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ (799);
„შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად ძოვდეს“ (1664).

სტროფი „სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის...“ მკლევარს მოაგონებს სამსონისა და დალილას ეპიზოდს „მსაჯულთა წიგნიდან“. სტრიქონი ავთანდილის ანდერძიდან: „წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ...“ (790) მკვლევარს მიაჩნია ახალი აღთქმის თემის პოეტურ ინტერპრეტაციად. იქვე ეძებნება პარალელები რუსთაველის სხვა გამოთქმებსაც: „შიში შეიქმს სიყვარულსა“ (1045); „რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს...“ (11) და სხვ.

ბ. გაპონოვს მოჰყავს პოემის სიუჟეტური მოტივების დამთხვევის მაგალითებიც ბიბლიის სხვადასხვა ეპიზოდთან. გ. ა.

824. მანანა გიგინეიშვილი

რუსთაველის მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1979, № 2, გვ. 31-40.

ავტორი აღნიშნავს, რომ გამოთქმულია მრავალი და ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი რუსთაველის მსოფლმხედველობის თაობაზე. ამ ვარაუდთაგან მეტი დამაჯერებლობით გამოირჩევა თვალსარისი რუსთაველის ქრისტიანობის შესახებ.

„ქრისტიანული მსოფლმხედველობის პირველად შრეთა გათვალისწინება ნათელს ხდის, რომ პოემის დასაწყისი სტროფები, ღვთაებრივი მიჯნურობის რუსთაველური გაგება, ავთანდილის ანდერძი, მისივე ლოცვა და მნათობთადმი მიმართვა, ნესტანის წერილი, მზის სიმბოლიკა – ნათელყოფს სამყაროსა და ადამიანის შესახებ ქრისტიანულ შეხედულებათა ღრმა გააზრებას“.

ქრისტიან პირველმამათა ნაშრომებში საგანგებო ყურადღება ეთმობა ადამიანის ბედის მიმართებას მნათობებთან და მნათობების წარმმართველ იერარქიულ ძალებთან, ანგელოზურ არსებებთან (39).

ქრისტიანული მსოფლგაგების ნიადაგზე შეიძლება აიხსნას, მაგალითად: ბოროტის არასუბსტანციურობა, პირველმიზეზის – როგორც ერთის პრობლემა, „არსად შემოსვლა“, პიროვნების თავისუფლების საკითხი, „სულთა სირა“, სიბრძნის წინა პლანზე წამოწევა და სხვ.

რაც შეეხება რენესანსულ სულისკვეთებას, მკვლევრის აზრით, ეს ქრისტიანობის დაძლევას კი არ გულისხმობდა,არამედ მისი შემეცნებითი ღირებულების წვდომას. გ. ა.

825. ნიკო გოგოჭური

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სადაო სტროფის გამო

ჟურ. „ცისკარი“, 1979, № 7, გვ. 125-126.

ავტორი ეხმაურება პროფ. პ. შარიას მოსაზრებას, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სტროფის რუსთველისეულობას ეჭვქვეშ აყენებს იმის გამო, რომ გამოთქმა „მომეც მიჯნურთა სურვილი“ უაზროდ მიაჩნია. მისი აზრით, ასევე უადგილოა „ცოდვების შემსუბუქებაზე“ საუბარი, ვინაიდან ასეთი რამ მთელ პოემაში არსად გვხვდება.

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ პ. შარია სიტყვაში „სურვილი“ თანამედროვე შინაარსს გულისხმობს (მონდომება, წადილი) და ამიტომ ფრაზაც უაზროდ ეჩვენება. სინამდვილეში რუსთაველი „სურვილს“ აქ მძლავრი სიყვარულის მნიშვნელობით ხმარობს. სადაო სტროფის შინაარსია: „ღმერთო, შენ დამიფარე, მომეც მიჯნურთა (შმაგთა) შესაფერისი მძლავრი სიყვარული, რომელიც ჩემში დათრგუნავს სატანას, ბიწიერს და შემიმსუბუქებს საიქიოში წასაღებ ცოდვებს. სიყვარული („სურვილი“) აქ მიჩნეულია ადამიანის განმწმენდ და ამამაღლებელ ძალად, ზნეობრივ სიკეთედ. ამდენად, სტროფში არავითარი ულოგიკობა არაა და ის არც ავთენტურობაში დაეჭვების საბაბს იძლევა. გ. ა.

826. გრიგოლ ზარდალიშვილი

შოთა რუსთაველის გეოგრაფიული ჰორიზონტის შესახებ

ჟურ. „განთიადი“, 1979, № 1, გვ. 177-185.

რუსთაველის პოემის გეოგრაფიული საფუძვლებისა და გეოგრაფიული ჰორიზონტის შესახებ არსებულ ლიტერატურიდან ავტორი იმოწმებს ა. სვანიძის, ზ. ავალიშვილის, დ. ქუმსიშვილის და სხვათა მოსაზრებებს.

ა. სვანიძის აზრით, ქაჯეთი არის გიბრალტარი, უძველეს დროში ცნობილი „მელკარტის სვეტების“, შემდეგ კი „ჰერკულესის სვეტების“ სახელწოდებით. ლ. მარუაშვილის მიხედვით, ქ. მულღაზანზარი არის აფრიკის სანაპიროზე მდებარე ნავსადგური „ზანზიბარის“ სახელწოდებით, ხოლო გულანშარო ან კუნძულ მადაგასკარზეა, ან მოზამბიკის ტერიტორიაზე.

ავტორი იმ აზრისაა, რომ პოემის გეოგრაფიული საფუძვლების დადგენა ძნელია. იმ დროში გეოგრაფიული მეცნიერება თანამედროვე გაგებით არ არსებობდა, მას წმინდა აღწერითი მნიშვნელობა ჰქონდა და სახელმწიფოს ინტერესებს ექვემდებარებოდა. გეოგრაფიული თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა პეტრიწის მიერ თარგმნილი ასტრონომიულ-ასტროლოგიური შრომები.

პოემის გეოგრაფიულ არეში ვხვდებით მდინარეებს, ქალაქებსა და ქვეყნებს. პოემაში დასახელებულია სამი ქალაქი – ქაჯეთი, გულანშარო და მულღაზანზარი, სადაც გაშლილია პოემის პერსონაჟების მოქმედებათა არე. ამ ქალაქთა ადგილმდებარეობა ჯერ კიდევ ამოუცნობია.

პოემაში დასახელებული სამი მდინარე – დიჯლა, ჯეონი, ევფრატი — ხატოვან თქმებშია გამოყენებული და პოემის გმირთა მოქმედების მარშრუტებთან დამოკიდებულება არა აქვთ.

თუ არაბეთის რომელ ნაწილზეა ლაპარაკი პოემაში, ამის დადგენა ძნელია. იმ დროში, ფართო გაგებით არაბეთად იწოდებოდა მთელი ხალიფატი ეგვიპტიდან დაწყებული მთელი არაბეთის ნახევარკუნძულისა და მცირე აზიის ჩათვლით. პოემაში მოხსენიებულია ძველ ქართველთათვის საკმაოდ ცნობილი ინდოეთი. პოემაში აგრეთვე მოხსენიებულია ხატაეთი, ჩინეთი და ჩინმაჩინი. გავრცელებული თვალსაზრისით, აღმოსავლეთის ქვეყნები „ჩინმაჩნის“ სახელწოდებითაა ცნობილი ძველი ქართველებისათვის. ქართველები კარგად იცნობდნენ ხვარაზმს, იმდროინელი სამყაროს ყველაზე მძლავრ მაჰმადიანურ სახელმწიფოს, მის კულტურას, ეკონომიკას და შემთხვევითი არ არის, რომ პოემის მიხედვით ინდოთის მეფეს სურდა თავისი ქალიშვილი მიეთხოვებინა ხვარაზმშას შვილისათვის. ი.კ.

827. გიორგი თევზაძე

რუსთაველის კოსმოლოგია

თბ., 1979, 146 გვ.

ავტორი აანალიზებს „ვეფხისტყაოსანში“ ასტრონომიული შინაარსის შემცველ სტროფებსა და სტრიქონებს, რაც მას იმის მტკიცების საფუძველს აძლევს, რომ პოემაში ციურ სხეულთა მოძრაობა მოცემულია იმ დროისათვის საყოველთაოდ მიღებული სწავლებისგან პრინციპულად განსხვავებული წარმოდგენების მიხედვით.

ცნობილია, რომ რუსთაველი ასტრალურ მოვლენებს იყენებს პოემის პერსონაჟების დახასიათებისა და მათი ურთიერთობის ასახვის მიზნით. 125-ე, 821-ე, 952-ე სტროფებში მეტაფორულად ლაპარაკია მზისა და მთვარის შეხვედრა-დაცილებაზე. ავტორის დაკვირვებით, ამ შემთხვევებში მოცემულია მთვარის საკუთარი, ე. წ. ორბიტალური მოძრაობა სივრცეში. მკვლევარი ყურადღებას

მიაქცევს გამოთქმას „მთვარის მოვანება", აღნიშნავს, რომ ის გამოხატავს მთვარის სინათლისა და სიკაშკაშის ცვალებადობას, მაგრამ ტექსტიდან ჩანს, რომ პოეტისათვის ამ მოვლენის წარმოშობის მიზეზი გაუგებარია.

გამოთქმაში „მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს" (951) იგულისხმება ოტარიდის (მერკურის) წრიული მოძრაობა მზის გარშემო. რუსთაველს მიაჩნია, რომ მზე დედამიწის გარშემო ბრუნავს, ხოლო მერკური და ვენერა მოძრაობენ მზის ირგვლივ.

ავთანდილის ვედრებაში მნათობთადმი (სტროფები 947-953) მოცემულია რუსთაველის ეპოქაში ცნობილი შვიდი მნათობის ასტროლოგიური და ასტრონომიული დახასიათება. იმ დროს საყოველთაოდ მიღებული იყო სამყაროს აგებულების პტოლემეოსის გეოცენტრული სისტემა, რომელშიც მნათობთა რიგი ასეთია (დედამიწიდან პლანეტებამდე მანძილის ზრდის მიხედვით): 1) მთვარე, 2) მერკური (ოტარიდი), 3) ვენერა (ასპიროზი), 4) მზე, 5) მარსი (მარიხი), 6) იუპიტერი (მუშთარი), 7) სატურნი (ზუალი).

რუსთაველი იცნობს ამ სისტემას, მაგრამ იგი მნათობებს შებრუნებული რიგით (უშორესიდან – დედამიწამდე მანძილის კლების მიხედვით) ასახელებს.

გ. თევზაძის მტკიცებით, რუსთაველმა იცის, რომ მერკურისა და ვენერას გარდა, მათზე უშორესი, ე. წ. ზედა პლანეტებიც – მარსი, იუპიტერი და სატურნი – მზის ირგვლივ ბრუნავენ; ისინი მოძრაობენ წრეებზე, რომელთა საერთო ცენტრში რეალური მზე მდებარეობს და ამგვარი მოძრაობა მზის მიზიდულობის ძალის გავლენით ხდება.

ამით რუსთაველმა შესწორება შეიტანა პტოლემეოსის გეოცენტრულ სისტემაში და ფაქტობრივად სამყაროს აგებულება წარმოადგინა ახლებურად, რომელსაც გეო-ჰელიოცენტრული სისტემა ეწოდება.

წიგნს ახლავს რედაქტორის – გ. ფანჯიკიძის წინასიტყვაობა — „ახალი სიტყვა რუსთველოლოგიაში" (გვ. 3-11) და რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე (გვ. 126-144).

იხ. რეცენზიები: მ. მამაცაშვილის (ანოტ. № 833), პ. რატიანის (ანოტ. № 840), გ. ფანჯიკიძის (ანოტ. № 850), ა. ფურცხვანიძისა და ვ. კობახიძის (ანოტ. № 811), ი. ეფრემიძის (ანოტ. № 877), ა. შანიძის (ანოტ. № 854), ალ. ბარამიძის და სხვ. (ანოტ. № 872), მ. იმნაძისა (ანოტ. № 880). გ. ა.

828. გაიოზ იმედაშვილი

რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების წარსულიდან

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში", 1979, № 2, გვ. 72-90).

ნაშრომი წარმოადგენს ვრცელ და სისტემურ (თანამიმდევრულ) გამოკვლევას რუსთველოლოგიის ძირითად საკითხებზე გაწეული მუშაობის შესახებ. ავტორი განიხილავს ვახტანგ VI-ის, თ. ბაგრატიონის, მ. ბროსეს, მ. ჯანაშვილის, ალ. ხახანაშვილის, ნ. მარის, ი. აბულაძის, დ. კარიჭაშვილის, ს. კაკაბაძის, ი. ჯავახიშვილის და სხვა მკვლევართა და მწერალთა ნაშრომებს „ვეფხისტყაოსნისა" და მისი ავტორის შესახებ და აღნიშნავს მათი მუშაობის ნაკლსა და ღირსებას. გ. ა.

829. მილდრედი კალანდარიშვილი

რუსი პოეტები რუსთველის პოემის ჰუმანიზმის შესახებ

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ., XIV სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1979, გვ. 11.

საბჭოთა პერიოდის რუსი პოეტები – ნ. ზაბოლოცკი, ნ. ტიხონოვი, პ. პავლენკო, ი. სელვინსკი და სხვები „ვეფხისტყაოსანს" აფასებენ მეტწილად იდეური და ეთიკური თვალსაზრისით, რაშიც მათი შეხედულებები თითქმის ემთხვევა ან უახლოვდება ერთიმეორეს. ისინი აღიარებენ, რომ რუსთველის პოემის ძალა მის მორალურ კონცეფციაში მდგომარეობს; მისი გმირები საუკეთესო იდეალთა მსახურები არიან. ეს არის ვაჟკაცობის, მოვალეობის ერთგულების, უანგარო მეგობრობის იდეალები. რუსთველის თხზულება გამსჭვალულია ცხოვრებისეული ოპტიმიზმის იდეით. ის ჩაგვაგონებს, რომ ბედნიერება შესაძლებელია ამქვეყნად, ოღონდ იგი არის ჯილდო მამაცობისათვის. გ. ა.

830. მარიამ კარბელაშვილი

ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შესწავლისათვის

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ., XIV სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1979, გვ. 10-11.

ავტორი საკვლევ მასალას აანალიზებს ვ. ი. პროპის პრინციპების მიხედვით და მიდის იმ დასკვნამდის, რომ ხალხური „ვეფხისტყაოსანი“, როგორც დამოუკიდებელი ფოლკლორული ძეგლი, ჯადოსნური ზღაპრის ჟანრს განეკუთვნება. მისი ვარიანტები სხვადასხვა სათაურით – („ტარიელის ზღაპარი“, „ხენწიფე და მისი ნაშვილები “, „ტარიელი და ლერწამ-დარეჯანი“ და სხვ.) — სტრუქტურული ნიშნებით ყველა ჯადოსნურ ზღაპარს წარმოადგენს. ხალხური ვერსიების მთავარი ქალ-პერსონაჟი გაიგივებულია მითოლოგიურ ან ზღაპრულ „მზეთუნახავთან“, რომელსაც გველი (გველეშაპი) სდევს და ჩანთქმას უპირებს. იხ. ანოტ. № 886, 887. გ. ა.

831. გურამ კარტოზია
ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

წიგნში — „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 387.

მოკლე სტატიაში აღნიშნულია, რომ „კომისია“ დაარსდა 1962 წ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან. ამზადებს შოთა რუსთაველის პოემის აკადემიურ გამოცემას 10 ტომად. გამოცემა მოიცავს ძირითად და ჩანართ-დანართ ტექსტს ვარიანტებითა და ტექსტოლოგიური შენიშვნებით, ლექსიკონსა და კომენტარებს. მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები იბეჭდება 1974 წლიდან (ჟურ. „მაცნე“, ენისა და ლიტ-რის სერია). კომისიის თავმჯდომარეა აკად. ი. აბაშიძე, მთავარი რედაქტორი – 1973 წ-მდე აკად. გ. წერეთელი, 1973-იდან აკად. ა. ბარამიძე.

832. კორნელი კეკელიძე
შოთა რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი

მეხუთე გამოცემა. გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, თბ., 1979, 148 გვ.

წიგნი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:
წინასიტყვაობა (ს. ყუბანეიშვილი), გვ. 3; შესავალი (გვ. 4-13); პოემის ავტორი (გვ. 14-62); პოემის დაწერის დრო (გვ. 62-76); სიუჟეტის საკითხები (გვ. 76-93); ავტორის მსოფლმხედველობა (გვ. 93-127); პოემის მხატვრული მხარე (გვ. 128-136); საძიებლები: I. პიროვნული, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები (გვ. 137-143); II. დასახელებული თხზულებანი და დამოწმებული ლიტერატურა (გვ. 144-147).
ეს გამოცემა თითქმის მთლიანად იმეორებს ავტორის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ II ტომში (1958 წ.) დაბეჭდილ ტექსტს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია შოთა რუსთველი, რომლის არც ნამდვილი გვარი ვიცით და არც წარმომავლობა (სადაურობა). პოემის დათარიღებისათვის მკვლევარი ვარაუდობს, რომ ის დაწერილია რუსუდანის მეფობაში; „ვეფხისტყაოსანი თამარის სახელისა და მისი მეფობის მოგონებით ამათრახებს რუსუდანის დროისა და მისი პირადი ცხოვრების ანომალიებს... პოემას მხედველობაში აქვს რუსუდანის მეფობის დასაწყისი ხანა; ეს ხანა 1230 წელს არ უნდა სცილდებოდეს“ (გვ. 74).
ავტორის აზრით, პოემის სიუჟეტის „სესხების“ ვერსია ვერ მტკიცდება, თუმცა ფაბულა და სიუჟეტი ორიგინალურიც რომ არ იყოს, ამით რუსთველის თხზულებას არაფერი დააკლდება.
მკვლევარი კრიტიკულად განიხილავს ნ. მარისა და პ. ინგოროყვას მოსაზრებებს რუსთველის მსოფლმხედველობისა და სარწმუნოებრივი აღმსარებლობის შესახებ. მისი დასკვნით, პოემის ავტორი ქრისტიანია, მაგრამ ის ემყარება ქრისტიანიზმის პირველწყაროს — ბიბლიას. ამ მხრივ ის წარმომადგენელია ე. წ. „ბიბლიური “ ქრისტიანობისა და თეოლოგიისა. მისთვის უცხოა დოგმატურ-ეკლესიური ქრისტიანობა, რომელიც აღმოცენდა მსოფლიო კრებათა და შემდეგი დროის სქოლასტიკურ-მისტიკურ გონებრივ აკრობატობაზე. გ. ა.

833. მაია მამაცაშვილი

## რუსთაველის კოსმოლოგია

ჟურ. „ცისკარი“, 1979, № 6, გვ. 131-138.

ავტორს „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის ისტორიაში ახალ და საყურადღებო მოვლენად მიაჩნია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. გიორგი თევზაძის წერილების ციკლი საერთო სათაურით: „რუსთაველის კოსმოლოგია“, რომელიც 1974-77 წლებში იბეჭდებოდა ჟურნალებში „ცისკარი“ და „განთიადი“.

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ გ. თევზაძის ნაშრომი „ვეფხისტყაოსანში“ დასმული კოსმოლოგიური საკითხების მეცნიერულ დონეზე კვლევის სერიოზული ცდაა. ავტორი, როგორც ასტრონომი, ჭვრეტს „ვეფხისტყაოსნის“ ასტრალურ სამყაროს და ამასთან ერთად ასე ლაღად ფლობს რუსთაველის მეტაფორული აზროვნების რთულ მექანიზმს.

პლანეტათა მოძრაობის რუსთაველის მიერ წარმოდგენილი სურათის მიხედვით, მთვარე და მზე მოძრაობენ დედამიწის ირგვლივ, ხოლო დედამიწა მოთავსებულია სამყაროს ცენტრში; იგულისხმება, რომ პოემის ავტორი გეოცენტრისტია.

გ. თევზაძის დასკვნების შემდეგ, მისი კვლევის შედეგი რეცენზენტს ასე წარმოუდგება: რუსთაველმა თავის თხზულებაში მოგვცა სამყაროს აგებულების ახალი კოსმოლოგიური მოდელი. მზის სისტემა შემოსაზღვრულია ვარსკვლავიერი ცის სფეროთი, რომლის ცენტრში უძრავად დგას დედამიწა. მის ირგვლივ ორბიტალურ მოძრაობას, მთვარის შემდეგ, ასრულებს მზე; მზის გარშემო თანაბარი სიჩქარით მოძრაობენ წრიულ ორბიტებზე პლანეტები.

ამ მოდელში ნაგულისხმევია ორი ცენტრი: I — დედამიწა, სამყაროს ცენტრში; II — პლანეტათა მოძრაობის ცენტრია მზე. ამ მოდელს გეო-ჰელიოცენტრული სისტემა ეწოდება.

ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ სად უნდა ვეძიოთ რუსთაველის ასტრალური წარმოდგენების სათავეები, რაა მათი წყარო?

ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს, მაგრამ ხელთ გვაქვს რუსთაველის თხზულების ტექსტი, რომელსაც გ. თევზაძე სრული ნდობით ეკიდება და მისი გულმოდგინე ანალიზის შედეგად გამოაქვს ესოდენ მნიშვნელოვანი დასკვნები.   გ. ა.

834. პარმენ მარგველაშვილი

## „რაღაა იგი სინათლე...“

ჟურ. „ცისკარი“, 1979, № 5, გვ. 139-141.

ავტორი არალოგიკურად მიიჩნევს სტრიქონს: „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“ (36,3), ვინაიდან, ობიექტურად, სამყაროში არ არსებობს სინათლე, ბნელი რომ არ ახლდეს („დღეს ღამე ცვლის, განათებული საგნის მეორე მხარე აუცილებლად ბნელია და მას განუყოფლად თან ახლავს ჩრდილი“).

მკვლევარი ემყარება P-10 ხელნაწერის წაკითხვას: „რაღაა იგი სინათლე, რასაც [ა]ნ ახლავს ბნელია“, ვარაუდობს, რომ გადამწერის მიერ დაშვებულია შეცდომა: ან-ის ნაცვლად უნდა იყო არ, და ლოგიკურად თვლის სტრიქონის ასე წაკითხვას: „რაღაა იგი სინათლე, რასაც არ ახლავს ბნელია“.   გ. ა.

835. ლევან მენაბდე

## რუსთველი აღმოსავლეთის ქვეყნებში

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ., XIV სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1979, გვ. 6-7.

მეოცე საუკუნეში რუსთველმა კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო კულტურის ისტორიაში. აღმოსავლეთის ქვეყნებში მას 30-იანი წლებიდან ახსენებდნენ, მეორე იუბილემ (1966 წ.) კი დიდად გაზარდა „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელთა და მკითხველთა რიცხვი.

პოემა სრულად ითარგმნა ჩინურად, იაპონურად, ებრაულად, მონგოლურად. ნაწყვეტების სახით – სპარსულად და თურქულად. მალე გამოქვეყნდება თარგმანები არაბულ, ჰინდი, ურდუ და სხვა ენებზე.   გ. ა.

836. ლ. მენაბდე

რუსთველი დანტეს სამშობლოში

ჟურ. „მნათობი“, 1979, № 3, გვ. 153-156.

ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ იტალიელმა მისიონერებმა „ვეფხისტყაოსანი“ ადრევე გაიცნეს, მაგრამ ამის დამადასტურებელი წერილობითი მოწმობა არ გაგვაჩნია.

პირველი იტალიელი მოღვაწე, რომელიც ახსენებს რუსთაველსა და მის პოემას, იყო ცნობილი მეცნიერი გიელიელმო პასილი. მან 1900 წელს იმოგზაურა საქართველოში და გამოსცა პატარა წიგნი „კავკასიაში“, სადაც პატივით მოიხსენია შოთა რუსთველი და მისი თხზულება.

ლ. მენაბდე იმოწმებს მიხ. თამარაშვილის წიგნს, სადაც აღნიშნულია, რომ დანტე და რუსთველი ტოლფასოვანი პოეტები არიან.

იტალიურ ენციკლოპედიაში ნათქვამია, რომ „შოთა რუსთაველი – ქართველი პოეტი, ცხოვრობდა XII ს-ის ბოლოს, თამარ დედოფლის (1184-1212) ხანაში. ავტორია ეპიკური პოემისა „ვეფხისტყაოსანი“. ესაა ქართული ლიტერატურის შედევრი, რომელიც ასახავს ისტორიულ ვითარებას, სამეფო კარის ჩვევებს, საინტერესოა ეთიკური მსოფლმხედველობის მხრივ. გ. ა.

**837. Г. Н. Надарейшвили**

**О стихе Руставели “В Китае на камне написано”**

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 93, № 1, 1979, გვ. 221-224.

მკვლევარი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ 854-ე სტროფს:

„ესე ამბავი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:
ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“,

და მასთან დაკავშირებით გამოთქვამს ვარაუდს რუსთველის ცოდნის ჰორიზონტის თაობაზე აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურისა და მწერლობის შესახებ.

მკვლევრის დასკვნით, შოთა რუსთაველს გააჩნდა სათანადო ინფორმაცია ძველ ჩინეთში ე. წ. „ქვის წიგნების“ არსებობის შესახებ. ამ სტროფში პოეტს მხედველობაში აქვს ძველი ჩინური ლექსების წიგნიდან „შიძინ“ (ძვ. წ. XII-VI სს.) ე. წ. „მცირე ოდა მეგობრობაზე“, რომელიც მართლაც ქვაზე იყო ამოკვეთილი და სადაც ავტორი ამბობდა, რომ ადამიანმა მეგობარი უნდა ეძებოს.

სტატია რუსულ ენაზეა, ახლავს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. გ. ა.

838. ჯუნის ონიანი

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკა და სვანურის მონაცემები

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1979, № 2, გვ. 41-50.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი სიტყვის შინაარსი ზუსტდება, ან ტრადიციული გაგებისგან განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს სვანური ენის მონაცემების გათვალისწინებით.

მაგ.: 1. „გარდმონაჭარნი“ და „ნაჭარნი“ (1031). სვანურში ჭარ ფუძე შეესაბამება ქართულ ბმა, გადაბმა ზმნის მნიშვნელობას. „ლი-ბემ“ — ქართ. და-ბმ-ა, ბმ-ა, იხმარება ცხოველის ან ადამიანის მიმართ. ხოლო ნივთის გადაბმა-გამთელება აღინიშნება ჭარ-ფუძიანი სიტყვებით: ოთჭარ, ათჭარ, ადჭარე – გადავაბი, გადააბი, გადააბა (ან გავამთელე...).

„ნაჭარ“ (სვარუნად) იქნება „გადაბმული“. სიტყვა გარდმონაჭარნი კონტექსტში ნახმარია განსხვავებული მნიშვნელობით, რაც ნიშნავს გადაბმულად, გაბაწრულად წამოსულს (როცა ნამსვლელი ბევრია).

„არ ლარნი გვქონან ნაჭარნი“ — ნიშნავს: ლარიც გვაქვს მთელი და არა გადანაბამ-განატეხი.

2. „უდილადო“ (1578). სვანურში უდალადა ნიშნავს ფეხდაუდგმელს, გადაულახავს, სადაც არავის გაუვლია.

3. „მჩმუნავი“ (938). სვანურში იხმარება სიტყვა „ლიჩმუნე“ (ქართულად — „ჩაფლული“) – პირის ან დინგის ჩაფლვა რაიმეში. იტყვიან მეტწილად ღორზე ან კამეჩზე. მოცემულ კონტექსტში იქნება პირდაყმული.

4. მაჯაში არაბული წარმოშობის სიტყვად ითვლება (მაჯასს). სვანურშიც იხმარება „მაჯაშ“ ფორმით.

5. „მახმური/მახმული“ (933, 1559) განმარტებულია როგორც მთვრალი. კონტექსტის მიხედვით

კი ის უნდა ნიშნავდეს გამოფხიზლებულს. სვანურში მახმარ ნამყო დროის ვნ. გვ. მიმღეობაა და მიღებულია ზმნისაგან „ლიხმე“ — გამოფხილება, სასმელის მონელება.

6. „ცქაფი“. სვანურად ცქაფ, ცქეფ, ამცქეფია, მუცქაფუნე ნიშნავს: სულსწრაფს, მოუთმენელს, უნებისყოფოს.

7. „სადარნო“. სვანურში არის ლადრენ / ლიდერნი – მტრის მოხელთება, დადარაჯება. გ. ა.

839. თენგიზ პაპუაშვილი

ქართული ლიტერატურა [XI-XIII საუკუნეებში]

წიგნში — „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. III, თბ., 1979, გვ. 434-455.

ზოგად მიმოხილვაში მკვლევარი წარმოგვიდგენს „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის იდეურ-მსოფლმხედველობრივ კავშირს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებთან (გვ. 450-455). მისი თქმით, ეს თხზულება საქართველოს ისტორიული სინამდვილის მკაფიო ანარეკლს წარმოადგენს. რუსთაველი თანამიმდევრულად ავითარებს და იცავს ერთიანი, მტკიცე, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ერთმეფობის პრინციპს. „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია ქართული ფეოდალიზმის საერთო და სპეციფიკური ნიშნები. ეს პოემა საქართველოს ისტორიული სინამდვილის მხატვრული ასახავაა და შინაარსობრივად მხოლოდ ქართულ სინამდვილესთანაა დაკავშირებული. გ. ა.

840. პროკოფი რატიანი

მსოფლიო მეცნიერების დიდ გზაზე
(ერთი რუსთველოლოგიური ნაშრომის გამო)

გაზ. „კომუნისტი“, 1979, 4 მაისი, № 104, გვ. 3.

წერილი ეხება ასტრონომ გიორგი თევზაძის წიგნს „რუსთაველის კოსმოლოგია“. რეცენზენტი მას უდიდესი მნიშვნელობის გამოკვლევას უწოდებს. მისი თქმით, გ.თევზაძის ნაშრომიდან ირკვევა, რომ რუსთველმა კაცობრიობის ისტორიაში პირველმა დააყენა და არსებითად მეცნიერულად გადაწყვიტა საკითხი მნათობთა მოძრაობის მიზეზთა შესახებ. პრობლემის ღრმად შესწავლამ წიგნის ავტორი იმ გაბედულ აზრამდე მიიყვანა, რომ რუსთველი არა მარტო მშვენივრად იცნობდა ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ასტრონომიის მიღწევებს, არამედ მთელი 400 წლით უსწრებდა წინ თავისი ეპოქის ასტრონომიურ ცოდნას.

რეცენზენტის დასკვნით, „გრანდიოზული სიახლენი, რომლებიც შოთა რუსთველს ციურ სხეულთა შესწავლაში შეუტანია, ამიერიდან დაამშვენებს და გაამდიდრებს არა მარტო შუა საუკუნეების ქართული კულტურისა და აზროვნების, არამედ მსოფლიო ასტრონომიული მეცნიერების საგანძურსაც“. გ. ა.

841. [რედაქციის წინათქმა]

რუსთაველი სკოლაში

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1979, № 2, გვ. 8-9.

„ვეფხისტყაოსანი“ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში – ამ თემას ეძღვნება ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილი წერილების უმეტესი ნაწილი. სარედაქციო შესავალში აღნიშნულია, რომ მთავარი სადავო საკითხია, თუ როდის უნდა ვასწავლოთ რუსთაველის შემოქმედება – მე-8 კლასში თუ მეათეში? ორივე თვალსაზრისის მომხრეებს თავიანთი არგუმენტები აქვთ. არსებობს მესამე, კომპრომისული ვარიანტიც, ნაწილ-ნაწილ სწავლებისა – მერვეშიც და მეათეშიც. ჟურნალში წარმოდგენილი მასალა მიზნად ისახავს, მასწავლებელს დაეხმაროს ორი თვალსაზრისით: ა) როგორ უნდა ვასწავლოთ (მეთოდიკური ასპექტი); ბ) როგორ უნდა გავიაზროთ შესწავლილი მასალა (სამეცნიერო-პედაგოგიკური ასპექტი). გ. ა.

842. შოთა რუსთაველი

აფორიზმები და შეგონებანი

შემდგენელი ედ. გოგუა, რედაქტორი ალ. ბარამიძე, მხატვარი თ. სამსონაძე,
თბ., „ხელოვნება“, 1979, 98 გვ.

წიგნს დასაწყისში და ბოლოს ერთვის მ. ზიჩის ილუსტრაციები და შოთა რუსთაველის ფერადი პორტრეტი უ. ჯაფარიძისა.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან ამოკრებილი მასალა თემატიკისა და შინაარსის მიხედვით დაყოფილია შემდეგ თავებად: „სიყვარულზე“, „სწავლასა და შრომაზე“, „ზნეობაზე“, „გონიერთა მწვრთელი უყვარს“.

წიგნი გამოცემულია შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გრიფით. გ. ა.

843. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(The Knight in the Panhter's Skin)**

ქართულიდან თარგმნილი ვენერა ურუშაძის მიერ.
თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1979, 216 გვ.

იხ. პირველი გამოცემის ანოტ. № 241.

843a. შოთა რუსთაველი

**Витязь в тигровой шкуре**

ქართულიდან თარგმნილი შ. ნუცუბიძის მიერ. თბ., „მერანი“, 1979, 240 გვ.

843b. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

ტაჯიკურ ენაზე თარგმნილი ა. ადჰამის მიერ. დუშანბე, 1979, 264 გვ.

844. რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა

I, თბ., 1979, 154 გვ.

შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო იოსებ მეგრელიძემ. რედ. სარგის ცაიშვილი

კრებული შეიცავს 1712-დან 1900-იან წლებამდე ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ რჩეულ წერილებსა და გამოკვლევებს „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორზე. აქ მკითხველი გაეცნობა შოთა რუსთველის ბიოგრაფიისა და მისი თხზულების პრობლემების შესწავლის თანამიმდევრობას, აგრეთვე თვით დარგის – რუსთველოლოგიის ჩასახვისა და განვითარების ისტორიას.

კრებულში დაბეჭდილია: ვახტანგ VI-ის „თარგმანი ვეფხისტყაოსნისა“, ნაწყვეტები ტიმოთე გაბაშვილის, იოანე ბაგრატიონის, თ. ბაგრატიონის, დიმ. ბაქრაძის, ეგნ. იოსელიანის წიგნებიდან და წერილებიდან; მ. ბროსეს წინასიტყვაობა „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემისა; ა. წერეთლის ორი წერილი და სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“; ი. ჭავჭავაძის „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“; ი. გოგებაშვილის „შოთა რუსთაველი“, დაბეჭდილი „ბუნების კარში“.

წიგნს ერთვის „კომენტარები და შენიშვნები“ (გვ. 144-151) და საკუთარ სახელთა საძიებელი (გვ. 152-154). გ. ა.

845. ნელი რუხაძე

პროლოგი – როგორ გავიგოთ, როგორ ვასწავლოთ

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1979, № 2, გვ. 19-30.

წერილი ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სწავლების პრობლემას საშუალო სკოლის მერვე კლასში. ავტორი ძირითადად მსჯელობს ე. წ. მიჯნურობის თეორიის შემცველ სტროფებზე, „სიყვარულისა“ და „მიჯნურობის“ ცნებების შინაარსზე, „პირველ მიჯნურობაზე“, რომელიც „ზენა გვართა“ რიგისაა და მასში პლატონის იდების გამოძახილს ხედავს.

წერილის ავტორის აზრით, პროლოგის შესწავლა უმჯობესია პოემის ძირითადი ტექსტის გაც-

ნობის შემდეგ. გ. ა.

846. ზ. სარჯველაძე

მცირე ეტიმოლოგიური ძიება

ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1979, № 2, გვ. 99-100.

ავტორი ასწორებს ფორმას „სადავე" (შავი ცხენი სადავითა ჰყვა... 84; ცხენსა მისცნა სადავენი... 995; სადავე-უკუყრილი – 867). აღნიშნავს, რომ რუსთაველის ეპოქის ძეგლებში (ეფრემ მცირის თარგმანში და სხვ.) იხმარება ფორმა „სადევე". მკვლევრის აზრით, „სადავე" არის მცდარი ფორმა, რომელიც ცოცხალ მეტყველებაში დამკვიდრდა სალიტერატურო ენის ზეგავლენით.

სადევე უნდა იყოს მიმღეობა, ნაწარმოები დევ-დვ- ზმნისაგან (და-ვ-ს-დევ; და-ს-დევ; და-ს-დვ-ა). გ.ა.

847. სერგეი სერებრიაკოვი

„ვეფხისტყაოსნის" ტიპოლოგიური შესწავლისათვის

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის XIII სამეცნ. სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1979, გვ. 7-8.

მკვლევარი სინქრონულ ასპექტში განიხილავს „ვეფხისტყაოსანსა" და კრეტიენ დე ტრუას სარაინდო რომანს „კლიჟესი".

დე ტრუას რომანს ახასიათებს ე. წ. ანტიტრისტანული ტენდენცია და „ბუნებრივი" მიჯნურობა, რომლის იდეალიც ცოლ-ქმრული შეუღლებაა. სოციალური ურთიერთობა, „ვასალიტეტი", გარკვეულ მსგავსებას გვიჩვენებს რუსთველის თხზულების სოციალურ გარემოსთან.

„ვეფხისტყაოსანი" სარაინდო რომანია, მაგრამ მასში დაძლეულია სარაინდო რომანის სქემები და ჩარჩოები. ის შეიძლება განვიხილოთ როგორც შუალედური რგოლი შუა საუკუნეებისა და ახალი დროის რომანებთან მიმართებით. გ. ა.

848. ივანე სტოვბუნი

შოთა რუსთაველის ფრესკა

(თარგმანი რუსულიდან ჯანა გელაშვილისა), თბ., 1979, 62 გვ.

ავტორი წერს, რომ 1964-67 წლებში საკდესის კორესპონდენტად იმყოფებოდა ისრაელში, ქ. თელავივში. ამ დროს მოიპოვა ზოგიერთი მასალა შოთა რუსთაველის ე. წ. „პალესტინურ" პერიოდზე. ამ მასალიდან განსაკუთრებით საინტერესოა ბერძნულ კრებულში „ახალი სიონი" 1905 წელს დაბეჭდილი არქიმანდრიტ ხრისტოს პოპანდოპოლოსის ნარკვევი „ჯვრის წმინდა მონასტერი და სასულიერო სემინარია" (მას პირველად მიაკვლია ჟურნალისტმა ს. ლოსევმა, იხ. „Веч. Тбилиси", 1960, № 143).

ხ. პოპანდოპოლოსი წერს: „ლეგენდარულმა თამარ მეფემ, რომლის კარზეც ცხოვრობდა მგოსანი შოთა რუსთაველი", 1192 წელს იგი იერუსალიმის „წმინდა ადგილებში" გააგზავნა... თამარის მიერ ჯვრის მონასტერში გაგზავნილ რუსთაველს მისგან ნაბრძანები ჰქონდა, რომ იგი არა მარტო მხარში უნდა ამოსდგომოდა მონასტრის სასულიერო მოღვაწეობას, არამედ უნდა განეახლებინა იგი, რესტავრაცია გაეკეთებინა მისთვის და აღედგინა დანაკლისი, რომელიც მას ჯვაროსნებმა მიაყენეს".

ჟურნალისტს ბერძენი ავტორი კომპეტენტურ პირად მიაჩნია და ვარაუდობს, რომ მას, როგორც პალესტინის რელიგიური ცენტრების ოფიციალურ მემატიანეს, შეეძლო ესარგებლა ჯვრის მონასტრისა და იერუსალიმის ბერძენი პატრიარქის ბიბლიოთეკების მასალებით. იგი აღნიშნავს, რომ პალესტინაში რუსთაველის ყოფნის ვერსიას მხარს უჭერდა გრ. ფერაძეც 1937 წელს გამოცემულ წიგნში. ი. სტოვბუნს მოჰყავს აგრეთვე სხვადასხვა წყაროდან უკვე ცნობილი ფაქტები რუსთაველის ფრესკის შესახებ. იქვეა ინტერვიუ ფილმის შესახებ „რუსთველის ნაკვალევზე", რომელიც 1966 წელს გადაიღო გ. პატარაიამ (სცენარის ავტორი ი. რურუა). გ. ა.

849. ნესტან სულავა

განგების რაობისათვის ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიასა და „ვეფხისტყაოსანში"

ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, IV (ეძღვნება კ. კეკელიძის დაბადების 100 წლისთავს), მოხსენებათა თეზისები, თბ., 1979, გვ. 9.

ნემესიოს ემესელისა და პროკლე დიადოხოსის შრომების მიხედვით, განგება ღვთის ნებელობაა, ღვთის წყალობა და მზრუნველობაა ადამიანზე. ამ თვალსაზრისს იზიარებს ძველი ქართული ჰიმნოგრაფია და საერო პოეზია.

„ვეფხისტყაოსანში" განგება არის ღვთის ნება, ადამიანთათვის წინასწარ გადაწყვეტილი, რომლის კონკრეტული შინაარსი თვით ადამიანისათვის უცნობი რჩება. განგების აღსრულებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანისავე მცდელობასა და მოქმედებას. გ. ა.

850. გურამ ფანჯიკიძე

რუსთაველის კოსმოლოგია

ჟურ. „მნათობი", 1979, № 9, გვ. 150-160.

რეცენზიაში გიორგი თევზაძის ნაშრომზე „რუსთაველის კოსმოლოგია", რომელიც წიგნად გამოქვეყნდა 1979 წელს, გ. ფანჯიკიძე წერს: „ვეფხისტყაოსნის" სათანადო ადგილებისა და სტროფების გაშიფრვით გ. თევზაძემ გამოიკვლია, რომ ასტრალური შინაარსის შემცველი ყოველი სტროფი თუ სტრიქონი ციურ მოვლენებზე დაკვირვებისა და მათი ჭეშმარიტი ცოდნის შედეგია. ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ ესმის პოეტს ეს ასტრონომიული მოვლენები, აგრეთვე ისიც, რომ მისი შეხედულებანი მზის სისტემაზე გაცილებით სწორი და პროგრესული იყო, ვიდრე მაშინ გაბატონებული აზრები.

მკვლევარმა დაამტკიცა, რომ რუსთაველს სამყარო წარმოდგენილი ჰქონდა როგორც გეო-ჰელიოცენტრული სისტემა, ზუსტად ისეთი, ტიხო დე ბრაჰემ რომ ივარაუდა 400 წლის შემდეგ. რუსთაველის შეხედულებით, მზიური სისტემა შემოფარგლულია ვარსკვლავური ცის სფეროთი. მის ცენტრში უძრავად მდებარეობს დედამიწა, რომლის ირგვლივ საკუთარ ორბიტალურ მოძრაობას მთვარის შემდეგ მზე ასრულებს, ხოლო თვით მზის გარშემო ხუთი პლანეტა ბრუნავს. გ. თევზაძის აზრით, ეს გეოცენტრულიდან ჰელიოცენტრულში გარდამავალი სისტემაა.

რეცენზენტი ამ გამოკვლევას ახალ სიტყვას უწოდებს ქართულ მეცნიერებაში. მისი თქმით, გ. თევზაძის ნაშრომი „გვხიბლავს თავისი ლოგიკურობით, სავარაუდო მოსაზრებათა გაბედულებით და, რაც მთავარია, ამ მოსაზრებათა საფუძვლიანი დასაბუთებით". გ. ა.

851. ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში

ჟურ. „მაცნე", ელს, 1979, № 1, გვ. 179-190; № 2, გვ. 181-190; № 3, გვ. 187-192; № 4, გვ. 175-190.

დაბეჭდილია ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები 1977 წ. 30 სექტემბრიდან 1978 წ. 21 აპრილამდე. წარმოდგენილია პოემის 783-927 სტროფების განხილვის ამსახველი მასალა.

852. ჯანსუღ ღვინჯილია

სივრცის გრძნობა „ვეფხისტყაოსანში"

ავტორის წიგნში — „ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში", თბ., 1979, გვ. 312-316.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის" გმირები ფლობენ სივრცის უჩვეულო გრძნობას, რითაც ვლინდება რუსთაველის დროინდელი ქართველი კაცის შინაგანი თავისუფლება. პოემაში სივრცის გრძნობა რეალობაა – გმირები კი არ ოცნებობენ დიდ სივრცეთა დალაშქვრაზე, უკვე ფლობენ მას. ისინი გამუდმებით მოძრაობენ: არაბეთიდან – ინდოეთში, ინდოეთიდან – მულღაზანზარში, მულღაზანზარიდან – გულანშაროში და ა. შ. მათი ფიქრები და ვნებები მოდებულია ვეებერთელა მანძილს.

რუსთაველის ეპოქაში საკუთარი ქვეყნის საზღვრებს იქით გასვლა ქართული საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ მესვეურთა შინაგან მოთხოვნილებად იყო ქცეული, რასაც ბიძგს აძლევდა მათი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობა იმდროინდელ მსოფლიოში. გ. ა.

853. ჯ. ღვინჯილია

„რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში", ანუ „ვეფხისტყაოსნის" გზა

ავტორის წიგნში — „ზომიერების გრძნობა...“, 1979, გვ. 256-277.

ნარკვევი არის გამოხმაურება თბილისის სახ. უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტის მიერ გამოქვეყნებულ ამავე დასათაურების I და II ტომებზე. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ კრებულებში თავმოყრილი მასალა გვიჩვენებს, თუ რამდენი შრომაა გაწეული რუსთაველის შემოქმედების გასატანად მსოფლიო ასპარეზზე. უცხოელ მწერლებთან და მთარგმნელებთან ხანგრძლივი და გულმოდგინე თანამშრომლობის მიუხედავად, „ვეფხისტყაოსანმა“ ჯერ კიდევ ვერ დაიმკვიდრა მისი კუთვნილი ადგილი მსოფლიო აზროვნებისა და მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში. ამის ერთ-ერთ მიზეზად ავტორი იმას მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ არ აღმოუჩნდა ისეთი მთარგმნელი, რომელიც არაქართველ მკითხველს აგრძნობინებდა მის, როგორც მხატვრული თხზულების, უნიკალურობას და აქცევდა მას მასობრივად საკითხავ, სამაგიდო წიგნად. გ. ა.

854. აკაკი შანიძე

ასტრალური მოვლენები ვეფხისტყაოსანში

ჟურ. „მნათობი“, 1979, № 6, გვ. 167-175.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ასტრალური მოვლენები დიდი ცოდნითაა აღწერილი. პოემაში ცის ბორბალი იგივე ცის სიმრგვალეა, რომელიც მარად ბრუნავს (სტრ. 1415,3; 1309,4; 1352,4; 569,4). ცაზე არსებობს სარტყელი, რომელსაც მიჰყვება მზე და წლის განმავლობაში შემოუვლის მას. მზის ამ წლიურ გზაზე მდებარეობს თორმეტი თანავარსკვლავედი, რომელთაც ზოდიაქოს ნიშნებს ეძახიან. ეს ნიშნები „ეტლების“ სახელით არის ცნობილი, თვითოეულ კაცს თავისი ეტლი აქვს, რომელიც მის ბედს განაგებს (სტრ. 275,1; 1210,3). თვითოეული ეტლის ფარგალში მზე ერთ თვეს რჩება, მერე გადაინაცვლებს უახლოეს ეტლში, ხოლო ერთი წლის განმავლობაში დაასრულებს წრიულ სვლას და შემდეგ ხელახლა იწყებს სარტყელზე მოძრაობას.

ამ თორმეტ ეტლთაგან პოემაში მხოლოდ ორია დასახელებული, კირჩხიბი (სარატანი) და ლომი (სტრ. 1328. 1201,3). სხვა თანავარსკვლავთაგან პოემაში ნახსენებია ხომნი. ეს ის ვარსკვლავნარია, რომელიც მდებარეობს მეორე ეტლში – კუროსაში. მზისა და ვარსკვლავთა გამოჩენისათვის პოემაში ნახმარი ტერმინებია ამოსლვა ან ამოხდომა, ხოლო ჩასვლისათვის – ჩასლვა და ჩასვენება. პოემაში დასახელებულია ხუთი პლანეტა: ზუალი (958), მუშთარი (959), მარიხი (960), ასპიროზი (961), ოტარიდი (962). აქ ოთხი პლანეტის სახელი არაბულია, ერთისა კი ბერძნული (ასპიროზ). პოემაში შვიდ მნათობზეა საუბარი, ხუთ პლანეტასთან ერთად მზეცა და მთვარეც იგულისხმება (სტრ. 281,4. 1409,2. 964,1). „ვეფხისტყაოსანში“ მოიხსენიება კიდევ ცისკარი (ანუ ცისკრის ვარსკვლავი, ის არის მთიები, ე.ი. ვენერა). პოემაში ცათა რაოდენობა შვიდია (1309,4. 625,4). ცხრა ცაზედაც არის ლაპარაკი (1413,4). ხშირია მთვარის ფაზების დახასიათება სხვადასხვა ტერმინით.

აკ. შანიძე ყურდღებას ამახვილებს გ. თევზაძის ნაშრომზე („რუსთაველის კოსმოლოგია“, 1979 წ.) და მიესალმება იმას, რომ შ. რუსთაველი გეო-ჰელიოცენტრისტია და მან ამ მხრივ რამდენიმე საუკუნით გაუსწრო თავის თანამედრვეობას, მაგრამ მოითხოვს ამ დებულების დამტკიცებას, მეტ საბუთიანობას, რომ გ. თევზაძის დასკვნები მისაღები იყოს. გ. თევზაძის აზრით, I სტროფის მესამე ტაეპში ნახმარ სიტყვაში „ქვეყანა“, რუსთაველი გულისხმობს მთელ მზიურ სისტემას და ნიადაგ მბრუნავ ცას. აკ. შანიძე არ ეთანხმება და აღნიშნავს: „ქვეყანა“ ხშირად გვხვდება პოემაში და მისი მნიშვნელობის დადგენა ძნელი არ არის. თ.ნ.

855. გურამ შარაძე

პლატონ იოსელიანის ერთი რუსთველოლოგიური ცნობის გამო

ჟურ. „მნათობი“, 1979, № 6, გვ. 182-186.

სტატია ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ნაბეჭდი წიგნების განზრახ განადგურებას ანტონ I კათალიკოსის მიერ. პ. იოსელიანი პირველად აღნიშნულ საკითხს შეეხო ტიმოთე გაბაშვილის „მოხილვის“ 1852 წლის გამოცემაში, მეორედ 1867 წელს (ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“), სადაც ანტონ I ხსენებულია „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ ნაბეჭდ ცალთა განადგურების მიზეზად. გ. შარაძე აღნიშნავს, რომ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ განადგურების ცდის შესახებ პლატონ

იოსელიანის მიერ მოწოდებული ცნობები (მოსმენილი ონისიმე იოსელიანისაგან) ტენდენციური ჩანს. პლატონ იოსელიანი 1870 წელს ნაშრომში „შოთა რუსთაველი" (გაზეთი "კავკაზი") უკვე აღარაფერს ამბობს ანტონ I-ის მიერ პოემის დაწვისა და მტკვარში ჩაყრის შესახებ. პ. იოსელიანი აქ პრინციპულად სულ სხვა მოსაზრებას გვთავაზობს: ანტონ I-მა აკრძალა „ვეფხისტყაოსნის" კითხვა, რაც სპარსულ-მუსულმანური სახელმწიფო-სარწმუნოებრივი და კულტურული მოძალებისაგან თავის დაღწევის მიზნით იყო გამოწვეული, თორემ როგორც პოეტსა და ადამიანს, მას რუსთაველის მნიშვნელობაც ესმოდა და კიდეც უყვარდაო. მაშასადამე, პლ. იოსელიანს საბოლოოდ თვითონ შეუცვლია თავისი კატეგორიული ცნობა ანტონ I კათალიკოსის მიერ პოემის განადგურებისა და მოსპობის მცდელობაზე და დაბრუნებია თავის თავდაპირველ თვალსაზრისს, რომელიც მას ადრე ჰქონდა გამოთქმული („საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორიასა", II გამოცემა, 1843 წ.) და „წყობილსიტყვაობის" 1853 წ. წინასიტყვაობაში. თ.ნ.

856. ივანე შერვაშიძე

შენიშვნა სიტყვა „ტაიჭის" შესახებ

ჟურ. „მაცნე", ელს, 1979, № 2, გვ. 103-109.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ტაიჭ" სიტყვის ეტიმოლოგიაზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს: აკად. გ. წერეთლის აზრით, ტაიჭ-ი წარმოდგება არაბული სიტყვისაგან ტა იი (მიმართებ. ზედს. „ტაიური"); რომელიც შემოსულა სომხურსა და ქართულში, ალბათ ჯერ არაბის, ბედუინის აღსანიშნავად და შემდეგ – არაბული ცხენისა. მზია ანდრონიკაშვილი ტაიჭ-ის ამოსავალ ფორმად თვლის საშ. სპარსულ ეთნიკურ ტერმინს „ტაჩიკ" (=არაბი).

ნიკო და დავით ჩუბინაშვილები „ტაიჭს" განმარტავენ როგორც დაკოდილი ცხენი, ახალგაზრდა იაბო, ბედაური.

ი. შერვაშიძეს ეს უკანასკნელი განმარტება, რომელიც თურქული „ტაი"-დან (=კვიცი) მომდინარეობის ვარაუდს ეყრდნობა, უფრო სარწმუნოდ მიაჩნია. გ. ა.

857. სარგის ცაიშვილი

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და გამოცემები

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში", 1979, № 2, გვ. 56-71.

ნარკვევში დახასიათებულია ჩვენ დრომდე მოღწეული ხელნაწერები. აღნიშნულია, რომ ენობრივად, წაკითხვების მიხედვით, მათ აშკარად ატყვიათ გვიანდელი ეპოქის კვალი; შედგენილობის მხრივ თვალსაჩინოა დამატებათა სხვადასხვა პლასტი.

ავტორი გვაცნობს აგრეთვე პოემის ბეჭდური გამოცემების ისტორიას და განიხილავს მთავარი კრიტიკულ-მეცნიერული გამოცემების ღირსება-ნაკლოვანებებს. სათანადოდ აღნიშნულია ვახტანგ მეექვსის, მარი ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, 1888 წლის გამოცემის რედაქციის, ნ. მარის, ს. კაკაბაძის, ი. აბულაძის, ა. შანიძის, პ. იგოროყვას, გ. წრეთლის და სხვათა ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენისა და მისი გამოცემის საქმეში. გ. ა.

858. ს. ცაიშვილი

ნუ გავხდით უდავოს სადავოდ

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1979, 3 აგვ., № 31, გვ. 4.

წერილი ეხება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შოთა რუსთველის პიროვნებასთან დაკავშირებულ მასალებს, კერძოდ, მონასტრის სვეტზე არსებული ფრესკის წარწერასა და აღაპთა წიგნში ჩანაწერს, სადაც შოთა „მეჭურჭლეთუხუცესად" იხსენიება. ეს ორი დოკუმენტი პირველად ტიმოთე გაბაშვილმა დაუკავშირა ერთიმეორეს და „ვეფხისტყაოსნის" ავტორი „მეჭურჭლეთუხუცესად" მოიხსენია.

აკად. ალ. ბარამიძის აზრით, აღნიშნული იდენტიფიკაციის პატივი მაინცდამაინც თანამედროვე რუსთველოლოგებს ეკუთვნის და არა ტიმოთე გაბაშვილს (იხ. ალ. ბარამიძე, „ნარკვევები...", V, გვ. 126; ტ. VII, გვ. 197).

ს. ცაიშვილის თქმით, უფრო ფასეულია იმის აღიარება, რომ ეს იდენტიფიკაცია წარმოდგენილია ორი საუკუნით ადრე იმ წრეში, რომელიც ინახავდა ძველ ტრადიციას, ვიდრე „თანამედროვე რუს-

თველოლოგთა ვარაუდი", რომელიც იმავე პირველწყაროებს ეყრდნობა. გ. ა.

859. ს. ცაიშვილი

კორნელი კეკელიძე – ახალი ქართული ფილოლოგიის ფუძემდებელი

ჟურ. „მნათობი", 1979, № 10, გვ. 123-130.

ვრცელ ნარკვევში ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს კ. კეკელიძის ღვაწლს რუსთველოლოგიაში, ასახელებს მის მთავარ ნაშრომებს ამ დარგში. ავტორის თქმით, კ. კეკელიძე თავის შრომებში აყენებდა დებულებას, რომ რუსთაველი ქართული აღორძინების პირმშოა და ვეფხისტყაოსანი გამსჭვალულია მაღალი ჰუმანისტური მსოფლმხედველობით: „ევროპული აღორძინების ეპოქის მოღვაწეებთან შედარებით რუსთაველმა რამდენიმე საუკუნით ადრე ფართოდ და დიდი სიძლიერით გამოხატა ის ჰუმანისტური იდეები, რითაც იგი ენათესავება ევროპის რენესანსის საუკეთესო წარმომადგენლებს".

მნიშვნელოვანი დებულება, რომელიც ეჭვმიუტანლად დაასაბუთა კ. კეკელიძემ, ეხებოდა რუსთაველის რელიგიურ აღმსარებლობას. მისი აზრით, რუსთაველის რწმენა ქრისტიანულია, მაგრამ იგი ცდილობს მაღლა იდგეს ყოველგვარ საეკლესიო-კონფესიურ პარტიკულარიზმზე და არაა შეზღუდული დოგმატური ქრისტიანობის არტახებით. გ. ა.

860. აპოლონ ცანავა

მითოსური ასპექტები შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ სტრუქტურაში

ლიტმცოდნეობის რესპ. საკოორდინაციო საბჭო, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ., XIV სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1979, გვ. 15-16 (მოგვყავს შემოკლებით).

1. პოემის სათაური მომდინარეობს ქართული მითოლოგემიდან: ვეფხვი წმინდა ცხოველად, ტოტემად ითვლებოდა. ვეფხვის ტყავით შემოსილი ტარიელი ამაღლებული, ღვთაებრივი დამლით აღბეჭდილი გმირია.

2. ზოგ პერსონაჟს (დევი, ქაჯი) აქვს დემონური თვისებები: უკვალოდ გაუჩინარება, თვალით უხილველობა. პოემაში ქაჯები ბოროტი, ხტონური სამყაროს „შემტევ" ძალებს განასახიერებენ (ბერძნული მითოლოგიის ჰეკატონ ხეირების, ტიტონებისა და კიკლოპების მსგავსად).

3. დევთა ქვაბში ნაპოვნი იარაღი მაგიური თვისებების მქონეა.

4. მითოსური ასპექტი უდევს საფუძვლად ორი და სამი მზის მხატვრულ სახეს. გ. ა.

861. გიორგი ცოცანიძე

სასკოლო „ვეფხისტყაოსნის" ერთი კონიექტურის გამო

ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1979, № 2, გვ. 101-104.

ავტორის მსჯელობა ეხება 1974 წლის სასკოლო გამოცემის 1414-ე სტროფის კონიექტურას: „თავის-თავ უყვეს რიალი" (ხელნაწერებსა და სხვა გამოცემებში არის: „თავსა მით უყვეს რიალი"): გ. ცოცანიძის აზრით, ეს კონიექტურა საჭირო არ არის, რადგან ტექსტი უიმისოდ სავსებით გასაგები და ლოგიკურია. მას მიაჩნია, რომ სტრიქონში: „სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი", მოქმედნი (სუბიექტი) არიან ქაჯთა ციხე-ქალაქის მცველნი და ამ სტრიქონის აზრი ასეთია: სამთავე (მომხდურებს) სამგნით მიჰმართეს (მეციხოვნეებმა) და ამით თავის თავს უყვეს რიალი (ზიანი). „იკრეს ნობსა და დაბდაბსა" — ესაც ციხის მცველებზე არისო ნათქვამი. გ. ა.

862. იზოლდა წაქაძე

„ვეფხისტყაოსნის" ერთი ხელნაწერი ლექსიკონის გამო

ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, IV (ეძღვნება კ. კეკელიძის დაბადების 100 წლისთავს), მოხსენებათა თეზისები, თბ., 1979, გვ. 53.

მოხსენებაში განხილულია პოემის ე. წ. ყარაბაღულ ნუსხაზე (Q-279) დართული ლექსიკონი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ლექსიკონებისაგან. გარკვეულ ნაწილში იგი სარგებლობს ვახტანგ მეექვსის კომენტარებით, მაგრამ ძირითადად დამოუკიდებელი სახე აქვს. ზოგიერთი სიტყვის

განმარტება უფრო ზუსტია, ვიდრე ვახტანგთან და ს.-ს. ორბელიანთან. გ. ა.

863. კ. ჭიჭინაძე

## ალიტერაცია ქართულ შაირში

წინასიტყვაობა დაურთო და რედაქცია გაუკეთა აკაკი ხინთიბიძემ. შენიშვნები თ. დოიაშვილისა. თბ., 1979, 117 გვ.,

ესაა კრებული კ. ჭიჭინაძის სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული გამოკვლევებისა. კერძოდ, წიგნში დაბეჭდილია: რითმა ქართულ ლექსში (გვ. 11-19), ბარათაშვილის პოეტიკა (გვ. 20-31), რუსთაველის პოეტიკიდან (მეტაფორები, მეტრი და რიტმი, მაჯამები, რითმები) (გვ. 32-49), ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის" პრობლემა (გვ. 50-115).

ყველა ნაშრომი ანოტირებულია გ. იმედაშვილის „რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში", თბ., 1957.

864. ელგუჯა ხინთიბიძე

## „ვეფხისტყაოსნის" სწავლებისათვის

ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1979, № 2, გვ. 10-18.

ავტორი აღნიშნავს, რომ საშუალო სკოლაში სწავლებისას „ვეფხისტყაოსნის" ინტერპრეტირება თანამედროვე ლიტერატურული პოზიციიდან ხდება, რეალისტურ პლანში წყდება, რაც თავისებურ დაღს ასვამს თხზულების მხატვრული სამყაროს გააზრებას. ამ ნაკლის გამოსწორებისათვის საჭიროა ყურადღების მიქცევა შემდეგ ამოსავალ დებულებებზე.

1. შუა საუკუნეების ლიტერატურა უაღრესად პირობითია, „ვეფხისტყაოსანი" ამ პირობითობის დაძლევის გარკვეულ ეტაპს წარმოადგენს. მასში მოხსნილია ადრინდელი შუა საუკუნეების ღრმა პირობითობა – სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება, როგორც მეტყველების ძირითადი სტილი. მაგრამ რუსთაველის შემოქმედებითი მეთოდი მაინც პირობითობას ემყარება, რაც შემდეგში ვლინდება: პოემისეული სამყარო, მხატვრული სახე და პერსონაჟი სქემატურია, ცალმხრივია. პირობითობაა ის, რომ პოემის მთავარი გმირები იდეალურნი არიან. მათი თვით ადამიანური სისუსტეც ამაღლებულია (მაგ., ტარიელის მრავალგზისი დაბნედა). ჰიპერბოლურია მათი სილამაზე, გმირობა, მწუხარება. მათი ძლიერება, სილამაზე, სიყვარული არ ექვემდებარება დროისა და გარემოს ცვალებადობას.

2. რენესანსის ეპოქის უმთავრესი სიახლეა ადამიანის აღზევება, ხაზგასმა ადამიანის უპირატესობისა და ღირსებისა. „ვეფხისტყაოსნის" გმირთა ფიზიკურ-მორალური სრულქმნილება არ არის ჩვეულებრივი ლიტერატურული პერსონაჟის დახასიათება, იგი ამქვეყნიური ყოფის გაიდეალებაა.

3. „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმების სიბრძნე არ უნდა იქნეს დაყვანილი XVII-XVIII ს-ის დიდაქტიზმამდე. ადამიანის გონების, ლოგიკისა და სიბრძნის პრიმატი რუსთველისათვის მსოფლმხედველობითი პოზიციაა. იგი უპირისპირდება რწმენასა და ღვაების ნებას, ღვთაებრივ სასწაულს. „ვეფხისტყაოსნის" გმირები არ ელოდებიან ღმერთის წყალობას. ისინი ენდობიან საკუთარ ცოდნას, ლოგიკას, გაანგარიშებას და მოქმედებას.

4. პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებზე დაყრდნობით და მათი გაღრმავებით, შემეცნება არ იყო გააზრებული მხოლოდ ინტელექტუალურ აქტად; „სიბრძნის წვდომა პრაქტიკულ და ეთიკურ სფეროებშიც ხდებოდა. ასე რომ, ადამიანური შემეცნების უმაღლეს ფორმებად სიყვარული და მეგობრობა იქნა მოაზრებული და ადამიანური ურთიერთობის ეს უმაღლესი ფორმა შემეცნებითი სიცოცხლის უფრო ინტიმურ, ღვთაებრივი წარმოშობის განცდად იქნა მიჩნეული" (გვ. 16-17). „ეს გარემოება მოითხოვს, რომ რუსთველისეული სიყვარული და მეგობრობა იყოს არა უბრალო, ემპირიული, რეალისტური (ნატურალისტურის გაგებით), არამედ პირობითობამდე ამაღლებული და იდეალური" (გვ. 17). გ. ა.

865. გიორგი ჯაფარიძე

## „ვეფხვისა და მოყმის" მითოსური სამყარო

ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1979, № 1, გვ. 32-40.



გამოკვლევა ეხება ხალხურ ბალადას „ვეფხვი და მოყმე". ავტორი აღნიშნავს ამ ბალადის მითოსური პასაჟების მსგავსებას „ვეფხისტყაოსანთან". მისი სიტყვებით, „ვეფხისტყაოსნის" მრავალ

მითოსურ პასაჟს უშუალო კავშირი აქვს "ვეფხვისა და მოყმის" მითოსურ სამყაროსთან. მნიშვნელოვანია სახეობრივი და ლექსიკური თანხვედრებიც საანალიზო ლექსსა და „ვეფხისტყაოსანს" შორის. აშკარა ხდება, რომ ორივე ქმნილება ქართული მითოსის ერთი და იმავე პოეტური არსენალით სარგებლობს".

ავტორი მიუთითებს კონკრეტულ პარალელებზე: ნესტანი „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული"... მერმე წამოჯდა წარბ-შერჭმით, გამწყრალი, გარისხებული" (522). ხალხურ ლექსში: „შაღვარდა ვეფხვსა ნაწოლსა..., ვეფხვი რომ წამოუფრინდა, თვალნი არისხნა ხთისანი". „ვეფხისტყაოსანი": „თუ ხორციელი არისცა, თვალნიმცა მრისხვენ ღმრთისანი" (1155). გ. ა.

866. [ნ. ჯაში]

დროა, დადგინდეს!

გაზ. „თბილისი", 1979, 28 თებ., № 49, გვ. 3.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსნის" ავტორის გვარი დღემდე ორი ფორმით იხმარება – რუსთაველი და რუსთველი. არსებობს რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი, თეატრი, გამზირი და ა. შ. ჟურნალ-გაზეთებში რუსთაველს ვხვდებით, რადიოთი და ტელევიზიით რუსთაველი გვესმის... ამავე დროს თბილისის სახ. უნივერსიტეტში არის რუსთველის კაბინეტი, ერთსა და იმავე წიგნშიც ხშირია ორივე ფორმის ხმარების შემთხვევა.

დროა დავადგინოთ ნამდვილი დაწერილობა და ავირჩიოთ ერთ–ერთი ფორმა.

(შენიშვნა: წერილი მოთავსებულია მესამე გვერდის ბოლო სვეტში, „სარდაფში". მის ქვემოთ, შავი შტრიხის შემდეგ არის წარწერა: „რედაქტორი ნ. ჯაში", რაც, წესით, მეოთხე გვერდზე უნდა იყოს. ამის მიხედვით, ეს მცირე წერილი შეიძლება გაზეთის რედაქტორის რეპლიკად ჩავთვალოთ, — გ. ა.).

## 1980 წელი

867. მიხეილ ალავიძე

რას ნიშნავს „ტანაჯორი" „ვეფხისტყაოსანში?

ჟურ. „განთიადი", 1980, № 6, გვ. 174-176.

ავტორი ეხება პოემაში ხმარებულ გამოთქმას: „კაცი, ჩემგან განატრყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი" (440,3), აღნიშნავს სადავო სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობას და ცდილობს დაადგინოს, რა შინაარსით იხმარა იგი რუსთაველმა.

ავტორის აზრით, კომპოზიტ „ტანაჯორის" კომპონენტი „ტანა" წარმოქმნილია „ტან" ფუძისაგან, მასზე ა სუფიქსის დართვით, რაც სიტყვას „ახალგაზრდას" შინაარსს აძლევს (შდრ.: ალვისტანა, ლეწმისტანა). „ტანა" კახურ დიალექტში იგივეა, რაც ხბო, ბოჩოლა. ვახტანგ VI-ის განმარტებით კი ტანაჯორი ერთი წლის ჯორია.

ავტორი თვლის, რომ „ტანაჯორი" რუსთველისეული დიალექტიზმია, რომ ეს სიტყვა ქართული ენის დიალექტებში ამჟამადაც ცოცხალია, მაგ., კახურში – ვირის ნაშიერი (ზამთარგამოვლილი ჩოჩორი); გურულში – წყლის მწერი; მესხურ-ჯავახურში — ბავშვის სათამაშო, ბზრიალა. გ. ა.

868. გიორგი არაბული

„ვეფხისტყაოსნის" ერთი ეპიზოდის შესახებ

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ., XV სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1980, გვ.6-7 (თეზისების გარეკანზე შეცდომით აწერია: *XL*).

მომხსენებელი მსჯელობს პოემის 332-ე (462) სტროფის — „აღარა ვიცი, დამვიწყდეს..." — შესახებ, რომელიც მას გვიანდელ ჩანართად მიაჩნია. ამ სტროფის სიყალბის მაჩვენებლად დასახელებულია:

1. ის არ არის A და D რედაქციების 14 დაუზიანებელ ხელნაწერში.

2. სტროფში მოცემულია არასწორი ინფორმაცია, თითქოს ტარიელი ამბობდეს: დამავიწყდა, რაც თავს გადამხდაო.

3. აზრობრივად და კომპოზიციურად შეუთავსებელია ეპიზოდთან, რომელშიც ის ამჟამად არის.

4. გენეტიკურად ეს სტროფი ეკუთვნის პოემის B რედაქციის ინტერპოლაციებს, ჩანართთა II პლასტს.

მომხსენებელი კანონზომიერად თვლის, რომ ამ სტროფის მაგიერ პოემის ძირითად ტექსტში შეტანილ იქნას ხელნაწერებიდან № 458 სტროფი („თავადობა ინდოთა და მრავალთაცა მქონდა სხვათა...“), რომელიც ლექსიკით, აზრითა და სტილით შეეფერება მოცემულ ეპიზოდს. გ. ა.

869. გ. არაბული

## ნანუჩა და „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციები

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1980, № 3, გვ. 52-63.

ავტორი ცდილობს გაარკვიოს, „ვეფხისტყაოსნის“ გვიანდელი ჩანართებიდან და გაგრძელებებიდან რა ეკუთვნის ნანუჩას (მანუჩარ ციციშვილს). ცნობილია, რომ მე-17 ს-ის ერთ-ერთ ვრცელ ხელნაწერში (H-757) ნანუჩას ინიციალით (ნა, ნან) არის აღნიშნული ჩანართი და დანართი სტროფების აბსოლუტური უმრავლესობა. მაგრამ ეს მინაწერები ფაქრობრივად ზუსტი არაა. ავტორის დასკვნით, ნანუჩას ეკუთვნის მხოლოდ ჩანართების მეორე პლასტის (ს. ცაიშვილის კლასიფიკაციით) 70 სტროფი და ავთანდილის ერთ-ერთი ანდერძი (16 სტროფი), რითაც II რედაქციის ხელნაწერები განსხვავდება I და IV რედაქციებისაგან.

ნაშრომში განხილულია აგრეთვე ნანუჩასეული დამატებების ლექსიკური და სტილური თავისებურებანი. თ.ნ.

870. ალექსანდრე ბარამიძე

## ძველი ქართული მწერლობის პრობლემები

თბ., 1980, 454 გვ.

კრებულში, სხვა ნაშრომებთან ერთად, დაბეჭდილია რუსთველოლოგიური გამოკვლევები. ყველა მათგანი ადრე იყო გამოქვეყნებული:

1. ვეფხისტყაოსნის ჟანრის განსაზღვრისათვის (გვ. 65-88) – კრებ. „შოთა რუსთველს“, თბ., 1966, გვ. 124-132.
2. მართალი სამართალი“ (გვ. 89-110) — „ნარკვევები...“, V, 1971, გვ. 97-118.
3. რუსთველის საბიოგრაფიო საკითხები (გვ. 111-133) — „ნარკვევები“..., V, 1971, გვ. 119-142.
4. პოეტური მეტაფორის ენა და ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხი (გვ. 134-147) — „კრიტიკა“, 1972, № 1; აგრ. „ნარკვევები...“, VI, 1975, გვ. 30-44.
5. ვეფხისტყაოსნის ფაბულის თაობაზე (გვ. 148-158) — „მაცნე“, 1971, № 2; აგრ. „ნარკვევები“..., VI, 1975, გვ. 82-93.
6. „რუსთველიანა“ და „რუსთველიანას ეპილოგი“ (გვ. 159-226) — „ნარკვევები“..., IV, 1964, გვ. 368-437.
7. ვეფხისტყაოსნის ერთი რუსული თარგმანის ისტორიიდან (გვ. 227-233) — „ლიტ. საქ.“, 1969, 5.09; აგრ. „ნარკვევები“..., V, 1976, გვ. 373-379.
8. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი (გვ. 234-266) — „ლიტ. ძიებანი“, XV, 1964, გვ. 153-177.

„ბიბლიოგრაფიაში“ (II, III, IV ტომებში) ნაშრომების ანოტაციები შეტანილია მათი პირველი პუბლიკაციის მიხედვით. გ. ა.

871. ალ. ბარამიძე, შ. ძიძიგური, ე. მეტრეველი

## ქვაბისხევის ფრესკის გარშემო

გაზ. „კომუნისტი“, 1980, 7 სექტ., № 206 გვ. 3; აგრ. წიგნში – ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., VIII, 1985, გვ. 63-66.

წერილი ეხება ბორჯომის რაიონში, ქვაბისხევის ხეობაში არსებულ მარიამწმიდის საყდარში

შემორჩენილ ფრესკებს წარწერებით „შოთა“ და „იაი“. ავტორები განიხილავენ გ. ჩუბინაშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ცაიშვილის, ა. გაჩეჩილაძის, გ. ზედგინიძის, ზ. ჭუმბურიძის მოსაზრებებს. გ. ზედგინიძე ამტკიცებდა თითქოს იქვე იკითხებოდა „რუსთველი“ („წიგნის სამყარო“, 28.V. 1980).

1980 წ. 2 ივლისს აღნიშნულის გასარკვევად წასულა სპეციალური ექსპედიცია, რომელმაც დაადგინა, რომ ნაწილობრივ იკითხება რამდენიმე ასო, ერთი სიტყვიდან გადარჩენილია რ......ლა ან რ.....ზა; რომ არ დასტურდება გ. ზედგინიძის ვარაუდი ოსთვ ასოთა კომპლექსის არსებობის შესახებ.

კომისიის წევრებისა და დასახელებულ მკვლევართა აზრითაც, საყდარში გადარჩენილი წარწერები XII საუკუნის II ნახევრის ან XIII ს-ის დასაწყისისაა. გ. ა.

## 872. ა. ბარამიძე, შ. ძიძიგური, ს. ცაიშვილი, ა. გვახარია
## „რუსთაველის კოსმოლოგია“

ჟურ. „მაცნე“, 1980, № 2, გვ. 182-185.

წერილის ავტორები ეხმაურებიან გ. თევზაძის შრომას „რუსთაველის კოსმოლოგია“ (1979). წერილში უარყოფილია გ. თევზაძის ძირითადი დებულება, თითქოს რუსთაველმა წამოაყენა ახალი, გეოჰელიოცენტრული თეორია, რასაც მათი აზრით, ეწინააღმდეგება „ვეფხისტყაოსნის“ ასტრალურ საგალობელში წარმოდგენილი მნათობთა რიგი. წერილის ავტორები უმართებულოდ მიიჩნევენ გ. თევზაძის მიერ საკუთარი დებულების დამტკიცების მიზნით, რუსთაველისეულ მნათობთა რიგის დარღვევით წარმოდგენას, მზის სავედრებლის (957/964 შაირი) გამოთიშვას საგალობლის რიგიდან და 962/951 შაირის მიჩნევას ოტარიდისა და მზის სავედრებლად. ისინი იმოწმებენ რა ა. შანიძის წერილს (მნათობი, 6, 1979), მიუთითებენ, რომ მზეს პირველი ადგილი უკავია როგორც ცალკეულ სააჯოთა, ისე შემაჯამებელი შაირის (963/952) რიგში, ხოლო 962/951 შაირი მხოლოდ ოტარიდის სავედრებელია; მათი აზრით, გ. თევზაძის მიერ წარმოდგენილ გეოჰელიოცენტრულ თეორიას არ ეგუება არც „ვეფხისტყაოსნის“ პირველი შაირის („რომელმან შექმნა სამყარო“) მონაცემები.

წერილში უარყოფილია გ. თევზაძის მტკიცება, თითქოს ასტრალური საგალობელი არ არის ერთი გაბმული პოეტური მონოლოგი, რომ თითქოს ავთანდილი მნათობებს ვედრებით მაშინ მიმართავს, როდესაც მათ ცაზე რეალურად ხედავს. წერილის ავტორთა აზრით, “ეს შეუძლებელი ვარაუდია“ და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტობრივი ანალიზი ამტკიცებს, რომ ასტრალური საგალობელი არის ერთიანი, მონოლითური, „ერთი სუნთქვით“ წარმოთქმული „დღისით, მზისით, იმ დღეს, როცა ძმადნაფიცები ერთმანეთს დაშორდნენ „ტირილითა და პირსა ხოკით“.

წერილის ავტორები უმართებულოდ მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ გ. თევზაძე „ვეფხისტყაოსნის“ ციურ სხეულებს „ღმერთებს უწოდებს, თითქოს რუსთაველი (თუ ავთანდილი) მნათობებს თვლის ღმერთებად“, რაც მისი (რუსთაველის) მრავალღმერთიანობის მიმდევრობის მტკიცება გამოდის. მათ შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ „ეს, უბრალოდ, კალმის ლაფსუსიც იყოს“, რადგან იმავე შრომაში გ. თევზაძე რუსთაველს თვლის „ღმრთის მორწმუნე ქრისტიანად“.

წერილის ავტორთა აზრით, ის გარემოება, რომ ერთმანეთს ზუსტად არ ემთხვევა მნათობების ცალკეულ სააჯოთა და შემაკავშირებელი შაირის რიგი, არ არის უმნიშვნელო. „ეს ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ რუსთაველი უწინარეს ყოვლისა პოეტია და მისთვის უცხოა პოეტური აღმაფრენის შემზღუდავი ყოველგვარი სქემა. ცხადზე უცხადესია, რომ რუსთაველი კარგად ერკვეოდა მნათობთა ასტრალურ ხასიათში (იმდროინდელი წარმოდგენების მიხედვით). რუსთველისათვის მთავარი იყო მნათობების ასტროლოგიურ თვისებათა კვალობაზე ავთანდილის პირით მიეხმო ეს მნათობები და წარმოეთქვა წარმტაცი სააჯო საგალობელი, შეექმნა უმშვენიერესი პოეტური სიმფონია“.

წერილის ავტორები დამაჯერებლად და გასაზიარებლად თვლიან გ. თევზაძის მოსაზრებებს ბაკმაზე, გავსებულ ანუ სრულ მთვარეზე, მთვარის მოვანებაზე... ნ. გ.

## 873. მაია ბიბილეიშვილი, მედეა თუშმალიშვილი
## ვეფხისტყაოსნის პროლოგის ფრანგული თარგმანები

კრებ., „ვეფხისტყაოსნის“ უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე“, თბ., 1980, გვ. 78-89.

ავტორები აღნიშნავენ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი პოეტური ფრანგული თარგმანი გააკეთეს ელისაბედ ორბელიანმა და სოლომონ იორდანიშვილმა. ის დასრულებული იყო 1938 წელს, მაგრამ გვიან – 1974 წელს გამოქვეყნდა. მასზე ადრე დაიბეჭდა სერგი წულაძის თარგმანი (პარიზი, 1964). მესამე ცდა ეკუთვნის გასტონ ბუაჩიძეს. გამოქვეყნებულია მხოლოდ პროლოგის თარგმანი („ბედი

ქართლისა“, ტ. 33, 1975 წ.).

ავტორები აკეთებენ დასახელებული თარგმანების ურთიერთშედარებით განხილვას. აღნიშნავენ, რომ ე. ორბელიანისა და ს. იორდანიშვილის თარგმანში პროლოგი შესრულებულია 12-მარცვლიანი ალექსანდრიული ლექსით, შემდეგ კი გრძელდება ასონანსურრითმიანი 16-მარცვლიანი ლექსით. ს. წულაძეც იყენებს სტრიქონების ასონანსურ შეწყობას. იგი ფრაზას უფრო მეტი პოეტური მოქნილობით აწყობს, მასში მეტი დინამიკაა, მაგრამ ის გარკვეულად დავალებულია წინა თარგმანისაგან.

გ. ბუაჩიძის 16-მარცვლიანი კატრენები რითმიანია. მისი ლექსი რადიკალურად სცილდება ორივე თარგმანს როგორც ლექსიკის, ასევე მხატვრული ასახვის საშუალებებით. ის არაჩვეულებრივად ფლობს ფრანგული ენის სტიქიას, ადვილად პოულობს და იყენებს სამმარცვლიან რითმებს.

რეცენზენტების დასკვნით, „სასიხარულოა იმის აღნიშვნა, რომ ყოველი მომდევნო მთარგმნელი ცდილობს უკვე ნაცნობის, უკვე აღმოჩენილის სრულყოფას“.

წერილს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

874. დავით ბრეგაძე

## ვეფხისტყაოსნის გმირები

ავტორის წიგნში — „წარსულის სიახლოვე“, ქუთაისი, 1980, გვ. 28-63.

1. ფატმანი (გვ. 28-47). მკვლევარი აღნიშნავს, რომ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ფატმანი მეტწილად უარყოფით ტიპად არის წარმოდგენილი. განსაკუთრებით მკაცრად განსჯიან მას ა. წერეთელი, ალ. ბარამიძე და დ. ბენაშვილი. მაგრამ მათი კრიტიკული დამოკიდებულება უსამართლოა. ფატმანი უარყოფით ტიპად არ მიაჩნიათ რუსთაველსა და მისი პოემის გმირებს. ავთანდილმა, ტარიელმა, ნესტან-დარეჯანმა კარგად იციან მისი ხასიათის სუსტი მხარეები, მაგრამ მათვე გაცნობიერებული აქვთ ფატმანის დამსახურება, მისი სიკეთე, ადამიანურობა და ამიტომაც ამკობენ მას მიმზიდველი ეპითეტებით.

ფატმანი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი აუცილებელი და საჭირო პერსონაჟია. მას, ნაკლთან ერთად, ბევრი კარგი თვისება აქვს, რომლებიც ნათლად არის წარმოჩენილი პოემის ავტორის მიერ.

2. ასმათი. წიგნის 47-57 გვერდებზე მოცემულია ასმათის დახასიათება. მკვლევრის აზრით, იგი დაბალი სოციალური წრიდან გამოსული ქალია, რომელიც პატრონისადმი ერთგულებისა და დაძმური მეგობრობის განსახიერებაა. თავის კეთილი ბუნებითა და მტკიცე ნებისყოფით ასმათი უაღრესად მიმზიდველი და საინტერესო პიროვნებაა.

3. შერმადინი (გვ. 57-63). შერმადინი ავთანდილის ყმაა და მას ერთგულად ემსახურება. თხზულებაში აღწერილი ურთიერთობის გათვალისწინებით, მისი და ავთანდილის მეგობრობა უფრო მეტია, ვიდრე ყმისა და პატრონის ურთიერთდამოკიდებულება და აქედან გამომდინარე ერთგვარი „სავალდებლო“ სიყვარული. გ. ა.

875. დ. ბრეგაძე

## დინასტიური პრინციპის ერთი საკითხი ვეფხისტყაოსანში

ავტორის წიგნში — „წარსულის სიახლოვე“, ქუთაისი, 1980, გვ. 63-69.

მკვლევარი მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო თავის ერთ ეპიზოდზე, რომელშიც გადმოცემულია ტარიელის მიერ ასმათის დასაჩუქრება მისგან გაწეული სამსახურის სანაცვლოდ.

„აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა, ერთსა წილსა
ზედა დაგსვამ, შენი იყოს, გვმსახურებდი ტკბილი ტკბილსა.
ვინცა გწადდეს, ქმრად შეირთე, სამეფოსა ეპატრონე...“ (1648-1649).

ამ ფაქტს ალ. ბარამიძე და მ. მახათაძე სახელმწიფოს ერთიანობის პრინციპის დარღვევად მიიჩნევენ, რაც ეწინააღმდეგება რუსთაველის პოლიტიკურ იდეალს. ამის გამო ამ სტროფებს (და მთლიანად ინდო-ხატაელთა ამბავსაც) გვიანდელ, რესტავრირებულ ნაწილად თვლიან.

დ. ბრეგაძის აზრით, ტარიელის მიმართვა ასმათისადმი არ გულისხმობს ქვეყნის დანაწილებასა და ძლევამოსილი ერთმეფობის საფუძვლის რღვევას. ასმათი და მისი ქმარი იქნებიან ტარიელის ისეთივე ქვეშევრდომნი, როგორნიც სხვა პროვინციების მმართველები არიან, თუმცა ეჭვი ამ სტროფების ნაყალბევობის თაობაზე მაინც ძალაში რჩება. გ. ა.

876. ლევან ბრეგაძე

### ჰეგზამეტრით თარგმნილი ვეფხისტყაოსანი

კრებ. „ვეფხისტყაოსნის უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე, თბ., 1980, გვ. 50-62.

რეცენზია ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ჰ. ბუდენზიგისეულ გერმანულ თარგმანს (თბ., 1976). ლ. ბრეგაძე ამ თარგმანის წარმატების ერთ-ერთ პირობად მიიჩნევს მისთვის სალექსო ფორმის სწორად შერჩევას. მისი თქმით, გერმანულმა ჰეგზამეტრმა მთარგმნელს საშუალება მისცა ორიგინალის მხატვრულ თავისებურებებთან ერთად აზრიც ზედმიწევნით ზუსტად გადაეტანა თავის მშობლიურ ენაზე.

რეცენზენტს მოჰყავს თარგმანში პოეტური ხერხების (შიდარითმა, მეტაფორა, ალიტერაცია და სხვ.) წარმატებით გამოყენების მაგალითები. აღნიშნულია რამდენიმე აზრობრივი უზუსტობაც. ამის მიუხედავად, რეცენზენტის დასკვნით, „ჩვენს წინაშეა ვეფხისტყაოსნის ერთი საუცხოო თარგმანი“.

წერილს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე.   გ. ა.

877. ჯუმბერ გაგნიძე

### ვეფხისტყაოსნის ბუდენზიგისეული გერმანული თარგმანი

კრებ. „ვეფხისტყაოსნის უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე, თბ., 1980, გვ. 38-49.

მკვლევარი აღნიშნავს იმ პოზიტიურ გამოხმაურებას (და ნაწილობრივ კრიტიკულსაც – უფრო საქართველოში), რაც ამ თარგმანის გამოქვეყნებამ გამოიწვია.

ჰ. ბუდენზიგმა რუსთაველის შაირი გერმანული ჰეგზამეტრით შეცვალა. ეს სალექსო ფორმა XIV საუკუნიდან გამოიყენება, თუმცა მან მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა რიტმიკის მხრივ: გრძელი მარცვალი შეიცვალა მახვილიანი მარცვლით, ხოლო მოკლე მარცვალი – უმახვილოთი. გერმანული ჰეგზამეტრის ტერფი სამმარცვლიანია. ზოგჯერ თავს იჩენს ორმარცვლიანი ტერფიც, რაც ცეზურის გადანაცვლებას იწვევს. ამით ლექსის რიტმი დინამიური ხდება და პოეტს საშუალება ეძლევა, რიტმული ვარიაციების გამოყენებით მონოტონურობა აიცილოს.

თარგმანიდან ჩანს, რომ პოემის ტექსტის შინაარსი გადმოცემულია მაქსიმალური სიზუსტით. ნათლად გამოსჭვივის მთარგმნელის მაღალი პოეტური ხელოვნება.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე.   გ. ა.

878. ივანე გიგინეიშვილი

### „თავისა დარებით“?

(ერთი ნიმუში პრევერბთა აღრევისა „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში)

ჟურ. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1980, № 4, გვ. 91-103.

წერილში საუბარია პოემის ერთ სტრიქონზე: „ავთანდილ დამდვა წამალი მისგან თავისა დადებით“ (1521,2). მკვლევრის აზრით, „ეს ტაეპი არაა წარმოდგენილი თავდაპირველი სახით და ამდენად, სარითმო სიტყვა გასასწორებელია“. ვახტანგისეულ და მის შემდგომ გამოცემებში სარითმო სიტყვად იბეჭდებოდა „დარებით“ (სხვა ტაეპებშიც კლაუზულაა „დარებით“). 1937 წ. საიუბილეო გამოცემაში კი მიღებულ იქნა ხელნაწერებში არსებული ვარიანტი „დადებით“.

ხელნაწერთა უმრავლესობაში სარითმო სიტყვად ამ ტაეპში წერია „დარებით“, ორ ხელნაწერში კი „წარებით“ იკითხება.

ავტორი აღნიშნავს, რომ რებ ფუძის შემცველი ფორმები ხშირად არის გამოყენებული „ვეფხისტყაოსანში“, მათ შორის წა- პრევერბითაც (სტროფები: 80, 112, 743, 1117, 1322, 1332 და სხვ.).

ავტორის აზრით, სადავო ტაეპშიც უნდა ყოფილიყო „წარებით“ (წარონინებით), რაც ალიტერაციულ ეფექტსაც ქმნის. სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს: „ავთანდილ დამდვა წამალი მისგან თავისა წარებით“.   გ. ა.

879. ბორის დარჩია

### ხატაელთა ამბის ხელნაწერის ფრაგმენტი

ჟურ. „მაცნე“ (ელს), 1980, № 4, გვ. 47-53.

ავტორი აღნიშნავს, რომ მკვლევართათვის ცნობილია „ქილილა და დამანას“ ონანა მდივნისეული რედაქციის ნუსხაში მოთავსებული ხატაელთა ამბის შემცველი ფრაგმენტი, რომელიც გადაწერილი უნდა იყოს მე-18 ს-ის ბოლოს ან მე-19 ს-ის დასაწყისში. ამ ნუსხის ბოლო ორი ფურცელი (134r-v და 135r) დაწერილია სხვა, მოგვიანო ხელით და წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ეპიზოდის –ხატაელთა ამბის ფრაგმენტს.

ხელნაწერი ფრაგმენტი ზედმიწევნით მიჰყვება J ნუსხას (ბ. მაყაშვილისეული), მაგრამ მისგან გადაწერილი არაა. განსხვავება მათ შორის ძალიან მცირეა და განისაზღვრება გრამატიკულ-ორთოგრაფიული ფორმების სხვაობით. გ. ა.

880. თორნიკე ეფრემიძე

საყურადღებო ნაშრომი

ჟურ. „განთიადი“, 1980, № 1, გვ. 165-171.

ვრცელ რეცენზიაში თ. ეფრემიძე განიხილავს პროფ. გიორგი თევზაძის წიგნს „რუსთაველის კოსმოლოგია“ (1979 წ.) და თვლის მას მნიშვნელოვან მონოგრაფიულ გამოკვლევად. აღნიშნავს, რომ ამ წიგნის გამოსვლას „უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო რუსთველოლოგიის პრობლემატიკის, არამედ საბუნებისმეტყველო ასტრონომიული მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისითაც“ (გვ. 170).

რეცენზიაში გამოთქმულია რამდენიმე შენიშვნა და სურვილი წიგნში განხილული ზოგიერთი საკითხის შესახებ. მაგ., რეცენზენტის აზრით, არ შეესაბამება სინამდვილეს ავტორის მტკიცება, რომ „მხოლოდ „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით და სხვაგან არსად (რუსთაველამდე) სამყაროს აგებულების ამ ორიგინალურ გეო-ჰელიოცენტრულ სისტემას“. აგრეთვე სადავოა ავტორის მოსაზრება „შვიდი ვარსკვლავის“ ორ რიგად დაყოფის შესახებ. წიგნის სათაურის გამო რეცენზენტი შენიშნავს, რომ „კოსმოლოგიის“ ნაცვლად უფრო შესაფერი იქნებოდა ტერმინი „კოსმოგრაფია“, ვინაიდან ის უფრო ადექვატურად გამოსახავს საშუალო საუკუნეებში ასტრონომიული მეცნიერების განვითარების დონეს. გ. ა.

881. ვეფხისტყაოსნის უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე

თბ., გამ. „მეცნიერება“, 1980, 98 გვ.

წიგნი გამოცემულია შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გრიფით. რედაქტორები: დ. ლაშქარაძე, ს. ცაიშვილი.

მასში დაბეჭდილია ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლების შემდეგი ნარკვევები:

1. ნელი უბილავა-ანდრონიკაშვილი – ვეფხისტყაოსნის ახლებური ინტერპრეტაცია ინგლისურ ენაზე (რ. ჰ. სტივენსონის პროზაული თარგმანის გამო).
2. გიული ლეჟავა – ვეფხისტყაოსნის ახალი პროზაული ინგლისური თარგმანი.
3. ჯუმბერ გაგნიძე – ვეფხისტყაოსნის ბუდენზიგისეული გერმანული თარგმანი.
4. ლევან ბრეგაძე — ჰეგზამეტრით თარგმნილი ვეფხისტყაოსანი.
5. დალი ინწკირველი – ვეფხისტყაოსნის პროზაული იტალიური თარგმანი.
6. მაია ბიბილეიშვილი, მედეა თუშმალიშვილი – ვეფხისტყაოსნის პროლოგის ფრანგული თარგმანები.
7. ჯემალ ჭელიძე – ვეფხისტყაოსნის პოლონური თარგმანი.

ყველა ანოტირებულია ცალ-ცალკე. იხ. ავტორების მიხედვით. გ. ა.

882. გიორგი ზედგინიძე

შოთა რუსთაველის ფრესკა ქვაბისხევში

გაზ. „წიგნის სამყარო“, 1980, 28 მაისი, № 10, გვ. 7.

ავტორი გადმოგვცემს დეტალურ ცნობებს ქვაბისხევის ხეობაში „მარიამწმინდის“ მონასტრის გადარჩენილ ნაწილში არსებული ფრესკების შესახებ. მონასტრის ყოფილი სამნავიანი ბაზილიკა დანგრეულია. ჯერჯერობით ისევ დგას სამხრეთის ნავის ეკვდერად გადაკეთებული ნაწილი, რომლის ჩრდილოეთის კედელზე არის ორი წარჩინებული საერო პირის გამოსახულება სამკაულითა და ძვირფასი სამოსით. ფრესკების სიმაღლეა 1,62, სიგანე 1,16 მეტრი. მათ თავების გასწვრივ აქვთ ასო-

მთავრული წარწერები „იაი“ და „შოთა“, ნ. ბერძენიშვილის აზრით, ფრესკები და წარწერები XII ს-ის დასასრულის ან XIII ს-ის დასაწყისისაა.

ფრესკის მარჯვენა მხარეზე იკითხება ისეთივე წითელი სინგურით დაწერილი რ და მის გასწვრივ კიდევ – ლი. ეკვდერის ხელოვნურად განათებისას აღმოჩნდა, რომ ეს ასოები ოთხსტრიქონიანი წარწერის ბოლო სტრიქონზეა; მათ შორის მონაცრისფერო ლაქად ისახება ოსთვ, რაც წარწერის შესრულებისას კედლის ლესილობისაგან შეწოვილი სითხის ანაბეჭდია. ეს წარწერა მიემართება ფრესკაზე გამოსახულ „შოთას“ და ივარაუდება რომ ის („რუსთველი“) შოთას საგვარეულო წოდებაა, ხოლო მონასტერი რუსთველთა მამულში მდებარეობდა.

ამ წარწერასა და ფრესკებს დიდი მნიშვნელობა აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ბიოგრაფიისათვის. ამიტომ აუცილებელია მათი შესწავლა თანამედროვე ქიმიური და ტექნიკური საშუალებებით, ხოლო ნაგებობის საიმედოდ გადახურვა და გამაგრება, რათა მთლიანად არ განადგურდეს. გ. ა.

883. სერგო თურნავა

ქართული კულტურის ამაგდარი

გაზ. „სამშობლო“, 1980, სექტემბერი, № 20, გვ. 6.

წერილი ეძღვნება ინგლისელ ქართველოლოგს რობერტ სტივენსონს მისი დაბადებიდან 60 წლისთავზე. მის დამსახურებათა შორის ავტორი აღნიშნავს, რომ რ. სტივენსონმა „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა ინგლისურად და იუნესკოს დაკვეთით გამოაქვეყნა ნიუ-იორკში 1977 წელს. თარგმანს წამძღვარებული აქვს მისივე შესავალი სტატია და შენიშვნები. ბოლოს დაბეჭდილია ალ. ბარამიძის ნარკვევი.

რ. სტივენსონი „ვეფხისტყაოსანს“ ადარებს იმ დროის ევროპულ სარაინდო რომანებს სტრუქტურის თვალსაზრისით და დაასკვნის: „საეჭვოა, რომელიმე შუა საუკუნეების რომანი, აღმოსავლური თუ დასავლური, გამოირჩეოდეს ისეთი მთლიანობით, საერთო ქარგის ისეთი სირთულით, როგორც „ვეფხისტყაოსანი“.

თარგმანი პროზაულია, რაც მთარგმნელმა შეგნებულად გააკეთა აზრობრივი სიზუსტის დაცვის მიზნით. გ. ა.

884. მ. იმნაძე

ოტარიდის ბრუნვა და მისი ინტერპრეტაცია

ჟურ. „მაცნე“ (ელს), № 2, 1980, გვ. 186-192.

წერილი ეხმაურება გ. თევზაძის შრომას „რუსთაველის კოსმოლოგია“ (1979 წ.). ავტორი უარყოფს გ. თევზაძის მტკიცებას, თითქოს „ავთანდილის სიმღერაში“ ჩანდეს რუსთაველის ცოდნა ძველ ასტრონომთა შეხედულებისა ცთომილთა წრიული მოძრაობის შესახებ („მზე მაბრუნვებს“), ცოდნა ინერციულობისა და მიზიდულობის კანონისა („მზე... არ გამიშვებს“) და თითქოს რუსთაველი ქმნიდეს სამყაროს ახალ, გეო-ჰელიოცენტრულ სისტემას. რაკი გ. თევზაძეს თავის მოსაზრებათა დასამტკიცებლად რუსთაველის კოსმოლოგიურ შეხედულებათა გარკვევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუნიჭებია ოტარიდის სტროფისათვის, მ. იმნაძე უმთავრესად მსჯელობს სწორედ ოტარიდის ბრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ციური მექანიკის თვალსაზრისით, გვთავაზობს ამ სტროფის საკუთარ ანალიზს.

მ. იმნაძის აზრით, „ოტარიდის სტროფში თქმული „მზე მაბრუნვებს“ უნდა ნიშნავდეს ცთომილის უკან მიბრუნებას... ამაზე მიგვითითებს აგრეთვე სტრიქონის ბოლო — „შემიყრის და მიმცემს წვასა“. აქ რომ ოტარიდის მზის გარშემო წრიული მოძრაობა იგულისხმებოდეს, მაშინ ის მზისგან ყოველთვის ერთნაირი მანძილით იქნებოდა დაშორებული და ერთნაირ სითბოს მიიღებდა, რის გამოც აზრი აღარ ექნებოდა გამოთქმას, რომ ის (ოტარიდი) „იწვის“ მზესთან „შეყრის“, ანუ შეერთების დროსო. „მაბრუნვებს“ უპირველესად ავთანდილს ეხება, შემდეგ კი, თანაბარი უფლებით, ოტარიდს. ავთანდილის „ბრუნვა“ კი თინათინის გარშემო არ შეიძლება წრიული იყოს. არც ოტარიდის ბრუნვა უნდა იყოს წრიული. ამრიგად, ოტარიდის სტროფში ხილული მოძრაობაა აღნიშნული, რომ მერკური (ოტარიდი) ხან ერთი მხრით მოშორდება მზეს, ხან მეორე მხრით, მაგრამ ხშირად დისკოზე გეგმილდება, ხან კი უკან აღმოჩნდება და იწვის შეერთების დროს“. „მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს“ გამოთქმაში, მ. იმნაძის აზრით, ჩანს არა ინერტულობისა და მიზიდულობის კანონის ცოდნა (თითქოს მზე „იჭერს“ ცთომილს, რასაც ამტკიცებს გ. თევზაძე), არამედ „აქ გამოყენებულია მხოლოდ პოეტური ხერხი: პირველად აღე-

ბული სიტყვის შემდეგ აიღება საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვა და ამ უკანასკნელის უარყოფით მიიღება განმეორება“, რაც რუსთაველს სჭირდებოდა „ეფექტის გასაძლიერებლად“.

მ. იმნაძეს გაზვიადებულად და უარსაყოფად მიაჩნია გ. თევზაძის დებულება, თითქოს რუსთაველმა შექმნა სამყაროს ახალი გეო-ჰელიოცენტრული სისტემა. იგი უარყოფს გ. თევზაძის მიერ თავისი დებულების დამტკიცების მიზნით რუსთველისეული მნათობთა რიგის დარღვევით წარმოდგენას, ოტარიდის სტროფის მიჩნევას ორი მნათობისადმი ოტარიდისა და მზისადმი მიძღვნილად. მ. იმნაძის აზრით, გ. თევზაძის ნაშრომი დიდად მოიგებდა, თუ შეჩერდებოდა დებულებაზე რუსთაველის გეოცენტრისტობის შესახებ და გეოჰელიოცენტრულ სისტემას არ გამოედევნებოდა.

მ. იმნაძის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება მნათობმა გაღმერთების კვალი ავთანდილის სიმღერის სახით. იგი წერს: „გ. თევზაძე ამ სტროფებს ნაწილობრივ ასტროლოგიურად თვლის და ნაწილობრით ასტრალურად... ცხადია, აქ ძირითადი ასტროლოგიური მომენტია, ვინაიდან გრავიტაციის ცენტრებს (რადაც თითქოს რუსთაველი თვლის მნათობებს) არავინ არ ევედრება“.

წერილის ავტორი შენიშნავს გ. თევზაძის ნაშრომის კიდევ ერთ ნაკლს: „ზოგჯერ ძველი ასტრონომიული ცოდნა ისე არის გადმოცემული, თითქოს იგი რუსთაველის აღმოჩენილი იყოს და დაწვრილებით განიხილება. მაგალითად, მთვარის ფაზების ახსნა ცნობილი იყო არისტოტელეს დროიდან“. თვლის რა საჩოთირო საქმედ რუსთაველისათვის „ზედმეტი თეორიისა და იდეების მიკუთვნებას“, მ. იმნაძე წერს: „რუსთაველმა მთელი თავისი სიცოცხლე და ენერგია თავის პოემას შეალია და „მისგან კიდე“ (პოეზიის გარდა) არა უნდა რა. სრულიად არ არის მისთვის აუცილებელი, რომ მივაკუთვნოთ კოპერნიკის (ან ტიხო ბრაჰეს), გალილეისა და ნიუტონის აღმოჩენები. ნ.გ.

885. დალი ინწკირველი

ვეფხისტყაოსნის პროზაული იტალიური თარგმანი

კრებ. „ვეფხისტყაოსნის უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე, თბ., 1980, გვ. 63-77.

შალვა ბერიძის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი იტალიურ ენაზე დაიბეჭდა 1945 წელს ქ. მილანში. მთარგმნელი ძირითადად სწორად გადმოსცემს პოემის იდეურ შინაარსსა და მხატვრულ სტრუქტურას, თუმცა მის მიერ გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებები დღეისათვის თითქმის მოძველებული და ექსპრესიულობას მოკლებულია. განსაკუთრებით პოემის პროლოგის თარგმანი მნიშვნელოვნად დაშორებულია ორიგინალისაგან.

შ. ბერიძე დედნად იყენებდა პოემის დ. კარიჭაშვილისეულ გამოცემას (1903 წ.). თარგმანი მოცულობითაც ზუსტად ემთხვევა მას. ტექსტის კომენტირების დროსაც მთარგმნელი დ. კარიჭაშვილის შენიშვნებსა და ლექსიკონს ეყრდნობა.

აღნიშნული ნაკლის მიუხედავად, შ. ბერიძის ნაშრომი დიდი ლიტერატურული შენაძენია და უსათუოდ გასათვალისწინებელია სხვა მთარგმნელთათვის.

რეცენზიას ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

886. მარიამ კარბელაშვილი

ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ სტრუქტურა და ტიპოლოგია

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 97, № 3, 1980, გვ. 741-744.

ნაშრომში ავტორი ცდილობს ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე „ხალხური ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას, ამდენად მისთვის მთავარია დაადგინოს, თუ რას წარმოადგენს თავად „ხალხური ვეფხისტყაოსანი“, როგორც ფოლკლორული ძეგლი.

ავტორის დაკვირვებით, ხალხური ვეფხისტყაოსნის ყველა პროზაული ვარიანტი სტრუქტურულად ჯადოსნურ ზღაპარს წარმოადგენს და ისინი ჯადოსნური ზღაპრის ფორმულას იმეორებენ სხვადასხვა ვარიაციით.

მკვლევრის აზრით, რუსთველისეული ნესტან-დარეჯანის სახე სემანტიკურად მითოლოგიურ-ზღაპრულ „მზეთუნახავს“ უკავშირდება, ხალხურ ვეფხისტყაოსანში კი იგი გაიგივებულია „მზეთუნახავთან“. ხალხმა რუსთაველის თხზულება ინტუიციით ჯადოსნურ ზღაპართან დააკავშირა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მოხდა „ვეფხისტყაოსნის“ შერწყმა ძველ ზღაპარ-ლეგენდებთან.

რუსთაველის თხზულების სიუჟეტს ფოლკლორული ზღაპრის ინვარიანტი უდევს საფუძვლად, — დაასკვნის ავტორი. გ. ა.

887. მ. კარბელაშვილი

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ინვარიანტის საკითხისათვის

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 99, № 3, 1980, გვ. 745-748.

ხალხური ზეპირსიტყვიერების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კვლევის შედეგად ავტორი ადგენს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად კონსტრუქციულ სისტემაში „დაკონსერვებული“ სახით შემონახულია ელემენტი, რომელიც მისი წარმოშობის მითოლოგიურ-ფოლკლორულ ძირებზე მიანიშნებს. ესაა პოემის სიუჟეტური ინვარიანტი, რომელიც შეიცავს გველის მიერ მეფის ასულის მოტაცებას და გმირის ბრძოლას მის გამოსახსნელად.

ეს ინვარიანტი პოემაში დაშიფრულია მეტაფორით: „მთვარე ჩანთქმული გველისა“. ფუნქციის თვალსაზრისით „გველის“ ტოლფარდი ცნებებია „ქაჯი“ და „დევი“, ანუ ისინი გველის (ვეშაპის) ტიპოლოგიური სახეებია.

პოემაში ქაჯები ატყვევებენ ნესტან-დარეჯანს. ჯადოსნურ ზღაპარში ამის ინვარიანტია დევის მიერ მზეთუნახავის მოტაცება, ხოლო უფრო ძველი, მითიური — გველ-ვეშაპისაგან მზის (ან მთვარის) ჩანთქმა.

ქართული მასალის მიხედვით, ამ ინვარიანტის პირველსაფუძველი სოლარული მითოსია.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.   გ. ა.

888. ოთარ კასრაძე

## ვინ იყო ვახტანგ მეექვსის თანაშემწე?

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1980, 18 იანვ., № 3, გვ. 3.

1712 წელს ვახტანგ VI-ის სტამბაში გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში. ამ გამოცემის დროს ვახტანგს თანაშემწედ ჰყოლია ვინმე მიქელი, რაც დამოწმებულია თავფურცლის მომდევნო გვერდზე: „გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა“. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ „გამართვა“ ნიშნავს „რედაქტირებას“, ხოლო „გამმართველი“ კი – რედაქტორს.

ვინ იყო მიქელი? საისტორიო წყაროების მიხედვით, ვახტანგის სამეფო კარზე დეკანოზად ყოფილა იესე გარსევანიშვილი, გიორგი გარსევანიშვილის ძმა, ცნობილი მწიგნობარი. ამას მოწმობს 1717-1718 წწ. ვახტანგის მიერ იესესათვის ნაბოძები წყალობის სიგელი, რომელიც იესეს ახასიათებს ერთგულ, მწიგნობარ და განსწავლულ პიროვნებად. რაკი XVIII ს-ის 15-20 წლებში ვახტანგის სამეფო კარზე დეკანოზად იესე გარსევანიშვილს უმსახურია, გამოდის, რომ 1712 წელს დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანში პოემის რედაქტორად მოხსენიებული „ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი“ იესეს ძე მიქელ გარსევანიშვილი უნდა ყოფილიყო.

1712 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, მიქელის რედაქტორობით იბეჭდება „დავითნი“, ხოლო 1713 წელს — „კურთხევანი“. ამის შემდეგ გამოსული წიგნების საგამომცემლო მონაცემებში მისი სახელი აღარ იხსენიება.   გ. ა.

889. ირაკლი კენჭოშვილი

## ლიტერატურული ეტიკეტი და „ვეფხისტყაოსნის“ დიალოგები

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 99, № 1, 1980, გვ. 213-215.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული დიალოგების აგებულებას განსაზღვრავს ის „წესი თხრობისა“, ლიტერატურული ნორმების ის სისტემა, რომელიც „სავალდებულოდ“, ანუ სტილურ ნორმად იყო მიჩნეული შუა საუკუნეები. რუსთველი იცავს ამ ეტიკეტს და მის პერსონაჟთა დიალოგებს, რეპლიკებს მაშინაც ახლავს ავტორისეული რემარკები („ყმამან უთხრა“, „ქალმან ჰკადრა“ და მისთ.), როდესაც კონტექსტის გაგებისათვის ისინი აუცილებელი არაა.

პოემაში მხოლოდ ორი შემთხვევაა ისეთი, როცა პერსონაჟის სიტყვა ავტორისეული რემარკის გარეშე იწყება. ეს სტროფებია 68-ე („მე არ შეგარჩენ...“) და 236-ე („ქალო, არ იცი, სით მოვალ...“). ამ სტროფებს წინ უძღვის თითო სტროფი, რომლებშიც მოცემულია საავტორო რემარკები, მაგრამ მხატვრული დონისა და ენობრივი შეუფერებლობის გამო ის სტროფები გვიანდელ ჩანართებად არის მიჩნეული.

მკვლევარი აყენებს კითხვას: იქნებ 68-ე და 236-ე სტროფები ნორმისაგან გადახვევის შეგნებული ცდაა ან შემთხვევითი რეციდივია? მისივე თქმით, ძნელია ამ კითხვას დადებითი პასუხი გაეცეს. პოე-

მის აღნიშნული პასაჟების დაზუსტებისას მკაცრად უნდა შეუფარდდეს ერთმანეთს ფილოლოგიური და სტილისტური ანალიზი. გ. ა.

890. ბეჟან კილანავა

„ვის მივანდო სახლი ჩემი"
(აკაკი და რუსთაველი)

გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1980,13 დეკემბერი.

ქართველმა პოეტებმა და მთქმელებმა ესთეტიკურ-პოეტიკურ კრედოდ დაისახეს: „ვინ არ მიჰყვეს რუსთვლის თქმულსა, გადმობრძანდეს ასე, აქეთ". რუსთაველის გაღმერთებამ და აღორძინების ხანის ცივილიზაციის შედარებით დაბალმა დონემ გააძნელა პოემის შემოქმედებითი ათვისება და იგი მეტწილად რუსთაველისადმი ბრმად მიყოლით, მიბაძვით, განისაზღვრა.

მხოლოდ დ. გურამიშვილმა და ბესიკმა შეძლეს ვეფხისტყაოსნის შემოქმედებითი ათვისება, ოღონდ ცალმხრივად: გურამიშვილმა განავითარა რუსთველური პიროვნების სულიერი საწყისი, ხოლო ბესიკმა – ხორციელი.

სრულიად განსაკუთრებულია ამ მხრივ აკაკი წერეთლის ღვაწლი. აკაკისათვის რუსთაველი არ ყოფილა მხოლოდ „მწერალთა თავადი", „ბრძენთა ბრძენი", „დიდებული და უკვდავი მგოსანი", არამედ უწინარესად ის იყო პოეტი-ერისკაცი, რომელმაც „ენა და ეროვნება შეგვინახა", რომელიც „ნიშნად უკვდავებისა ერს მოვლენია განგებით", და ურომლისოდაც ქართველთა ხსენებას „წყალი და მეწყერი წაიღებდა".

აკაკი ბავშვობიდანვე დაეწაფა პოემას, ხოლო 60 წელს მიტანებულმა ჩამოაყალიბა „ვეფხისტყაოსნის" შემსწავლელთა წრე. აკაკი შესთხოვდა რუსთაველს, ესწავლებინა მისთვისაც „საიდუმლო ჟღერისა". 1908 წელს აკაკიმ ძღვნად მიიღო სურათი, რომელზეც აკაკი და შოთა არიან გამოსახულნი, და რომელსაც ასეთი მინაწერი ამშვენებს: „ვის მივანდო სახლი ჩემი, შენგან კიდე ვინმც მეფერა"?

აკაკის პოეზიიდან ჩანს რუსთველური სახეები. რუსთველური ზოგადსაკაცობრიო სახე-სიმბოლოები მასთან, თვით მეცნიერული ნააზრევის ჩათვლით, წარმოჩნდება მკვეთრი ეროვნული განცდით. თ. ტ.

891. ვახტანგ კუპრავა

რუსთველი თუ რუსთაველი?

გაზ. „ლიტ. საქართველო", 1980, 18 იანვარი.

ავტორი აუცილებლად მიიჩნევს, რომ დაკანონდეს „ვეფხისტყაოსნის" ავტორის გვარ-წოდების დაწერილობა „რუსთველი", როგორც იგი თავისთავს მოიხსენიებს პოემის დასაწყისში და როგორც უწოდებდა მას ყველა მწერალი XIX საუკუნემდე (ანტონ კათალიკოსის გარდა). XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გავრცელდა ფორმა „რუსთაველის" ხმარება, რაც დაფიქსირდა 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში და კანონიზებულად ითვლებოდა 1966 წლამდე. ეს ფორმა არასწორად მიაჩნდათ: იუსტ. აბულაძეს, კ. კეკელიძეს, გ. წერეთელს, პ. ინგოროყვას, ა. შანიძეს, ალ. ბარამიძეს და სხვებს. რამდენიმე წერილიც დაიბეჭდა ამის თაობაზე, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში კვლავ ამ გვარ-წოდების ორივე ფორმას ხმარობენ, რაც დაუშვებელია. ნ. რ.

892. ვ. კუპრავა

ერთი აფორიზმის სწორი გაგებისათვის

ჟურ. „ცისკარი", 1980, № 1, გვ. 141-143.

ავტორი გვაძლევს რუსთაველის აფორიზმის თავისებურ გააზრებას: „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?" (36,3). 709, 718-719 სტროფების დამოწმებით ამტკიცებს, რომ სიტყვები: „გეახლო", „სიახლე", „ახლავს" — ნაწარმოებია სიტყვა ახლო-დან და არა აქვს ხლება-თანხლების მნიშვნელობა. მოცემულ აფორიზმში „რასაცა ახლავს ბნელია" ნიშნავს: „რასაც ბნელი უახლოვდება".

„სინათლე" და „ბნელი" უნდა გავიგოთ გადატანით, ანუ მეტაფორული მნიშვნელობით: „სინათლე" — სიცოცხლეა, ხოლო „ბნელი" — სიკვდილი.

ავტორი თვლის, რომ მცდარია როგორც ტრადიციული, ისე პ. მარგველაშვილის გაგება (პ. მარგ-

ველაშვილი გვთავაზობს, რომ აფორიზმი წავიკითხოთ შემდეგნაირად: „რაღაა იგი სინათლე, რასაც არ ახლავს ბნელია?“, „ცისკარი“, 1979, № 5).

ვ. კუპრავას აზრით, აფორიზმში ასეთი შინაარსია: „რა არის ის სიცოცხლე, რასაც სიკვდილი უახლოვდება!“ გ. ა.

893. გიული ლეჟავა

ვეფხისტყაოსნის ახალი პროზაული ინგლისური თარგმანი

კრებ. „ვეფხისტყაოსნის უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე, თბ., 1980, გვ. 26-37.

ავტორი განიხილავს რუსთველის თხზულების ქეთრინ ვივიანისეულ პროზაულ თარგმანს (ლონდონი, 1977); აღნიშნავს, რომ ეს პოპულარული გარდათქმა გამიზნულია ახალგაზრდა მკითხველისათვის და ფაქტობრივად შემოკლებულ ადაპტირებულ თარგმანს წარმოადგენს. პოემის პროლოგი და ეპილოგი თარგმნილია ლექსად იმ მიზნით, რომ მკითხველს წარმოდგენა ჰქონდეს ამ თხზულების პოეტურ ფორმაზეც. მთარგმნელი იყენებს თავისუფალ ლექსს, დაქტილურ-ქორეული ტერფით. სტრიქონში მარცვალთა რაოდენობა მყარი არაა; ერთ სტროფში გვხვდება 11, 12, 13-მარცვლიანი სტრიქონები.

მკვლევარი ზოგადად ახასიათებს სხვა ინგლისურ თარგმანებსაც და დასკვნის სახით წერს: მ. უორდროპი ისწრაფვის ტექსტის სიზუსტისა და ლაკონური გამოხატვისაკენ; ცდილობს, ტექსტი ნათელი და გასაგები იყოს.

ვ. ურუშაძის მიზანია ტექსტის გამომხატველობითი ხერხების შესატყვისი ფორმების მოძებნა ინგლისურ ენაზე, რასაც ხშირად მივყავართ თავისუფალი თარგმანის ტენდენციისაკენ.

რ. სტივენსონის პრინციპია პოემის ტექსტის აზრობრივი მხარის მაქსიმალურად გახსნა, რისთვისაც იგი ზოგჯერ სიტყვებსა და ცნებებს ანაწევრებს და შლის, რაც, თავის მხრივ, იწვევს მრავალსიტყვაობას.

ქ. ვივიანი მისდევს აზრობრივი სიზუსტის დაცვისა და ლაკონიზმის პრინციპს. მისი თარგმანი შესრულებულია მონდომებითა და საქმის სიყვარულით.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

894. გულიკო მამულაშვილი

სახიობა „შაჰ-ნამესა“ და „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1980, № 9, გვ. 62-67.

ავტორის დაკვირვებით, „შაჰ-ნამეში“ ვლინდება „ვეფხისტყაოსანთან“ თანხვედრა რიტუალებისა და საყოფაცხოვრებო ტრადიციებისა, რომლებიც ახლავს ქორწილს, გამეფებას, ნადირობას და სხვა მოვლენებს. ორივე თხზულებაში განსაკუთრებული ემოციურობით არის აღწერილი ქორწილები. მათი აუცილებელი თანმხლებია დიდი მხიარულება, საკრავთა ჟღერა, სიმღერა და გართობა, საჩუქრების ძღვნობა.

გლოვის სცენებიც „შაჰ-ნამესა“და „ვეფხისტყაოსანში“ თითქმის ერთნაირადაა წარმოდგენილი. გლოვის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია, მისი ახსნა ხან ორმოც დღეზე ხდება, ხან წლის გათავებაზე, ხანაც ორი და სამი წლისთავზე.

მრავალი საერთო ნიშნებია სახიობური ხელოვნების სფეროში და მუსიკალური კულტურის ამსახველ ტრადიციებში, საკრავების სახეებსა და მათ გამოყენებაში, დალოცვა-მილოცვასა და მეჯლისის რიტუალში. თ.ნ.

895. ლევან მენაბდე

ძველი ქართული მწერლობის კერები, II,

თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980, 478 გვ.

წიგნში განხილულია შოთა რუსთველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, იერუსალიმის ჯვარის მონასტერთან რუსთველის ურთიერთობის ამსახველი მასალები (გვ. 97-100). იქვეა ამ საკითხებზე არსებული მეცნიერული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია (გვ. 326-357). გ. ა.

896. ზაურ მჟავანაძე

ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნისათვის“

ჟურ. „განთიადი“, 1980, № 1, გვ. 187-189.

წერილში ავტორი საუბრობს მხატვარ ნათელა იანქოშვილის მიერ შექმნილ ილუსტრაციებზე „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკაზე. მისი აზრით, სრულიად ახლებურია ნ. იანქოშვილის ფერი და კომპოზიცია ფორმით, მოძრაობით, სტილით.ნ. იანქოშვილს გააჩნია მხატვრული მოძრაობის, სიუჟეტზე დაყრდნობის, გარესამყაროსთან კონტაქტში შესვლის ახალი გზების მოძებნის შემოქმედებითი ნიჭი.

მხატვრის სტილისთვის დამახასიათებელი მუქი და კაშკაშა ფერების კონტრასტს იდეურ სიმყუდროვეში შეჰყავს ადამიანი. მხატვარს ზუსტად აქვს გადმოცემული ფერში თინათინის სახე.

წერილის ავტორი აღნიშნავს იმასაც, რომ მხატვარი ეროვნულია ყველა ქმნილებაში, ქართული ეროვნული კოლორიტით არიან გამსჭვალულნი მისი გმირები.

გმირთა სახეების გადმოცემისას იანქოშვილი დიდი ოსტატობით უთავსებს ერთმანეთს ხორციელ სილამაზესა და სულიერ ვაჟკაცობას, სინაზესა და კდემამოსილებას. გ. ა.

897. შალვა ნუცუბიძე

რუსთაველის შემოქმედება

შ. ნუცუბიძე, შრომები, ტ. VII, თბ., 1980, 580 გვ.

წიგნი შედგება ოთხი ნაწილისაგან:

I. რუსთაველის შემოქმედების სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები (გვ. 5-53).

II. რუსთაველის პოემის სათავეები (გვ. 54-272).

III. რუსთაველის ბიოგრაფია (გვ. 273-389).

IV. რუსთაველის პოემის ლიტერატურულ-მხატვრული ანალიზი (390-568).

წიგნს ახლავს რედაქტორის – ალ. ბარამიძის ბოლოსიტყვაობა (გვ. 569-573).

ნაშრომი პირველად რუსულ ენაზე გამოქვეყნდა: „Творчество Руставели“, თბ., 1958, იხ. ანოტ. № 2591.

898. შ. ნუცუბიძე

I. რუსთაველის შემოქმედების სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები;

II. რუსთაველი და მისი პოემა

წიგნში — ვ. ჩაჩანიძე, „ვეფხისტყაოსანი მსოფლიოს ხალხთა ენებზე“, თბ., 1980, გვ. 6-15.

ესაა ორი თავი „ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძის რუსული თარგმანის პირველი გამოცემის (1941 წ.) წინასიტყვაობიდან. იხ. გ. იმედაშვილის „რუსთველოლოგიური ლიტერატურა“, 1957, ანოტ. № 2073. იგივე ტექსტი ვ. ჩაჩანიძის წიგნში დაბეჭდილია რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. გ. ა.

899. შერმადინ ონიანი

ვეფხისტყაოსნის ერთი ახლად გამოვლინებული ფრაგმენტი
და ინდო-ხატაელთა ამბის პრობლემა

შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტ., XV სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1980, გვ. 6.

მკვლევარი მსჯელობს „ძეგლი ერისთავთას“ მხედრულ მინაწერში (XV ს. პირველი ნახევრისა) ჩართული ორი სტროფის ფრაგმენტებზე ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბიდან (1613-1614).

ამ მინაწერით დასტურდება ინდო-ხატაელთა ეპიზოდის, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილის არსებობა XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, რაც მკვლევრის აზრით, ამ ეპიზოდის რუსთველისთვის მიკუთვნების ერთ-ერთი არგუმენტია. გ. ა.

900. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(Der Recke im Tigerfell)**

ძველი ქართული პოემა, გერმანულად თარგმნილი ჰ. ჰუპერტის მიერ, ბერლინი, 1980, 304 გვ.

900**a**. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი
**(Junák v tigrej kozi)**

სლოვაკურ ენაზე თარგმნილი მ. კრნოს მიერ, ბრატისლავა, 1980, 300 გვ.

901. რუსთველოლოგიური რჩეული ლიტერატურა, II

შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო იოსებ მეგრელიძემ, რედ. სარგის ცაიშვილი, თბ., „მეცნიერება“, 1980, 177 გვ.

კრებულში დაბეჭდილია: „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციის სხდომათა ოქმები (ი. მეუნარგია, 1881 წ.); ალ. სარაჯიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები; ალ. ხახანაშვილის, დ. კარიჭაშვილის, ს. ქვარიანის, ვაჟა-ფშაველას ნარკვევები და პოლემიკური წერილები, გამოქვეყნებული 1910-იან წლებში.

წიგნს ერთვის კომენტარები და შენიშვნები (გვ. 166-273) და საკუთარ სახელთა საძიებელი (გვ. 174-177). გ. ა.

902. ნელი უბილავა-ანდრონიკაშვილი

ვეფხისტყაოსნის ახლებური ინტერპრეტაცია ინგლისურ ენაზე
(რ. ჰ. სტივენსონის პროზაული ინგლისური თარგმანის გამო)

კრებ. „ვეფხისტყაოსნის უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე, თბ., 1980, გვ. 3-25.

ავტორი ვრცლად განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ რ. სტივენსონისეულ თარგმანს, რომელიც 1977 წელს გამოქვეყნდა (აშშ, ალბანი). რეცენზენტის თქმით, რ. სტივენსონს პოემის ტექსტი მეცნიერულად აქვს შესწავლილი. მის თარგმანში ორი ტენდენცია იგრძნობა: ერთი მხრივ, მთარგმნელი ინარჩუნებს რუსთველისეულ რთულ მეტაფორულ სისტემას, შეძლებისდაგვარად გადააქვს იგი თარგმანში, მეორე მხრივ, ხსნის, ამარტივებს, პერიფრაზს უკეთებს ამ მეტაფორებს (ნარკვევში მოყვანილია ასეთი თარგმანის მრავალი ნიმუში). პოემის პროლოგი და პირველი თავი თარგმნილია თეთრი ლექსით, მაგრამ მთარგმნელს ეს ფორმა არ აკმაყოფილებს და დედანთან ადეკვატურობის შესანარჩუნებლად პროზაულ თარგმანს ამჯობინებს.

რ. სტივენსონის თარგმანში გათვალისწინებულია ადრინდელი ინგლისური თარგმანების ყველა ნაკლოვანება. ეს თარგმანი უეჭველად ერთ-ერთი საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ახალ ევროპულ თარგმანებს შორის.

ნარკვევს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

903. ალექსანდრე ფოცხიშვილი

ჩვეულებრივ სიტუაციურისა და ქართველკაცური ფენომენის
გაცხადებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ჟურ. „ცისკარი“, 1980, № 12, გვ. 113-124; აგრ. მისსავე წიგნში — „წერილები ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე“, თბ., 1981, გვ. 158-192.

ავტორი წინასწარ შენიშნავს: „როცა «ვეფხისტყაოსნის» გმირთა ხასიათების გახსნას ვცდილობთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ქართველი კაცისა და ქართველი ქალის მოდელი მისი იდეალური და ადამიანური, კეთილშობილური და არაკეთილშობილური საწყისებით და ამ მოდელისა და მოქმედების სიტუაციის გათვალისწინებით ვცადოთ ავხსნათ იგი“.

განსახილველი საკითხები გამოყოფილია ქვესათაურებით:

1. უპირველესი რაინდი თუ უპირველესი ვასალი? აქ საუბარია 130-ე სტროფში ტერმინ „ყმის“ მნიშვნელობაზე:

„ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ, ყმა ხარ, ხორციელი არავინ გვყავს შენად სწორად...“

მკვლევარს მიაჩნია, რომ თინათინი „ყმაში“ გულისხმობს არა ხელქვეითს, ვასალს, ყმას, არამედ უპირველეს რაინდს, ვაჟკაცს, კაი ყმას.

2. შეხვევა „თავისა მრთელისა“ თუ „თივისა მრთელისა“?

განმარტებულია 257-ე სტროფის პირდაპირი შინაარსი და მისი მეტაფორული აზრი:

„აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა;
სხვად ულონოა უშენოდ ჩემგან აღპყრობა ხელისა,
რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ წამალი ხელისა,
თვარ ვისმცა ექმნა გორლითა შეკრვა თავისა მრთელისა“.

მეორე ტაეპი მკვლევარს ასე ესმის: სხვად (სხვის მიმართ) ულონოა (ძალა არა აქვს, აზრი არა აქვს) უშენოდ (შენს გარდა) ჩემგან დახმარების თხოვნას..., ანუ ჩემგან სხვის მიმართ ხელის გაწვდას (თხოვნას) არავითარი აზრი არა აქვს.

მეოთხე ტაეპში ავტორი დაუშვებლად მიიჩნევს „თავისა“ შეცვლას სიტყვით „თივისა“ (პირველი გამოცემის კორექტურული შეცდომა) და ი. გიგინეიშვილის ვარაუდს, თითქოს აქ გვარლით (დაგრეხილი ბალახის თოკით) თივის ზვინის შეკვრაზე იყოს ლაპარაკი. ალ. ფოცხიშვილის აზრით, გვარლი აქ სახვეველს, დობლანდს ნიშნავს, ხოლო ტაეპის პირდაპირი აზრი ისაა, რომ მრთელ (აუტკივარ) თავს არ იხვევენ, დოლბანდით ან რაიმე სხვა სახვევლით არ იკრავენ. გ. ა.

904. ქრონიკა და ინფორმაცია

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში

ჟურ. „მაცნე“, ელს, 1980, № 4, გვ. 205-228.

დაბეჭდილია ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის სხდომების ოქმები 1978 წ. 21 აპრილიდან ამავე წლის 6 ოქტომბრამდე. წარმოდგენილია პოემის 928-1003 სტროფების განხილვის ამსახველი მასალა.

905. აკაკი შანიძე

ვეფხისტყაოსნის საკითხები
(„ამა დარი“)

გაზ. „სამშობლო“, 1980, № 25, გვ. 8.

ა. შანიძის აზრით, მე-8 სტროფში ტექსტი შერყვნილია და უნდა გასწორდეს, — ამა სიტყვას აკლია მრ. რიცხვის ნიშანი თ. დარი ნიშნავს შესადარებელს, მსგავსს, ხოლო ნაცვალსახელში ამათ იგულისხმებიან სამნი გმირნი, რომლებიც მე-6 სტროფში არიან ნახსენები (ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი).

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამათ დარი“, ე. ი. მე, რუსთველი, ისეთივე ხელი, როგორნიც ესენი არიან, ვიქ ასეთ საქმესო (ასე ვიქცევიო). გ. ა.

906. გურამ შარაძე

პლატონ იოსელიანი – რუსთველოლოგი

თბ., „მეცნიერება“, 1980, 215 გვ. რედაქტორი ს. ცაიშვილი

წიგნში განხილული და შეფასებულია პლ. იოსელიანის რუსთველოლოგიური ნაშრომები. აქვე, პირველ თავად, წარმოდგენილია „პლ. იოსელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (გვ. 9-85).

II თავში – პლ. იოსელიანი რუსთველოლოგი (გვ. 86-176) შედის: შოთა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხები, ცნობები რუსთველის პორტრეტის შესახებ, ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებსა და თარგმანებზე, ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ეკლესიური დევნის და დაწვის შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობის გარკვევისა და პოემის იდეურ-მხატვრული შეფასების ცდა.

დასკვნაში ავტორი წერს: ვახტანგ მეექვსის, თ. ბაგრატიონის, მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილის

შემდეგ რუსთველოლოგიის ისტორიაში ახალი ეტაპი სწორედ პლ. იოსელიანმა შექმნა... მისი რუსთველოლოგიური მემკვიდრეობა ბევრ მნიშვნელოვან მეცნიერულ დებულებას შეიცავს, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავს ღირებულება.

წიგნში დამატების სახით დაბეჭდილია მ.ს. ვორონცოვის ბიბლიოთეკის ქართულ წიგნთა კატალოგი, რომლის შემდგენლად მკვლევარი პლ. იოსელიანს თვლის.

წიგნს ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე და პირთა საძიებელი. გ. ა.

907. ვასილ ჩაჩანიძე

ვეფხისტყაოსანი მსოფლიოს ხალხთა ენებზე

თბ., „ხელოვნება", 1980, 205 გვ., რედ. გ. ნაჭყებია

კრებულში ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე მოცემულია ცნობები „ვეფხისტყაოსნის" თარგმანებისა და გამოცემების შესახებ. 6-56 გვერდებზე ოთხივე ენაზე დაბეჭდილია შ. ნუცუბიძის „წინასიტყვაობა პოემის რუსული თარგმანისათვის" და ვ. ჩაჩანიძის ზოგადი მიმოხილვა: „ვეფხისტყაოსანი მსოფლიოს ხალხთა ენებზე". აღნიშნულია, რომ 1979 წლამდე ქართულ ენაზე არსებული 61 გამოცემის გარდა, პოემის თარგმანები დაიბეჭდა: რუსულად – 41-ჯერ, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ენებზე — 51-ჯერ, გერმანულად – 10-ჯერ, ფრანგულად – 7-ჯერ, ჩინურად – 6-ჯერ, ინგლისურად – 14-ჯერ, უნგრულად – 3-ჯერ, იტალიურად – 2-ჯერ, პოლონურად – 8-ჯერ, იაპონურად – 3-ჯერ, ჩეხურად და ესპანურად – თითოჯერ, ძველ ებრაულ (ივრითის) ენაზე – 2-ჯერ.

57-170 გვერდებზე წარმოდგენილია მთარგმნელების ფოტოსურათები, ცნობები მათს თარგმანებზე და გამოცემათა გარეკანების ფოტოპირები.

173-201 გვერდებზე დაბეჭდილია ქართველი და უცხოელი მხატვრების მიერ შესრულებული ილუსტრაციები.

202-204 გვერდებზე არის მოკლე ინფორმაცია 1937 წელს კოტე მიქაბერიძის კინოდადგმა „ქაჯეთის" შესახებ და სამი კადრი ამ კინოფილმიდან. გ. ა.

908. მ. ჩიქობავა

„ლალი" და „ბადახში" ტერმინების მნიშვნელობისათვის

ჟურ. „მაცნე", ელს, 1980, № 4, გვ. 109-114.

ავტორი აღნიშნავს, რომ ლალი სინონიმია ბადახშისა, მაგრამ ლექსიკონებში ლალი განმარტებულია როგორც იაგუნდი. შ. რუსთაველის პოემაში იაგუნდსა და ლალში იგულისხმება იაგუნდის სახესხვაობები (ვაჟური, ქალური), ხოლო ბადახში – შპინელი.

მ. ჩიქობავა განმარტავს: ლალი ან ბადახში მინერალ შპინელის წითელ სახესხვაობას წარმოადგენს, ხოლო იაგუნდი ლალისაგან სრულიად განსხვავებული მინერალია. „ვეფხისტყაოსანში" (სტრ. 1342, 856, 1439, 394) ხსენებული ლალისა და ბადახშის „და" კავშირით გათიშვა შეიძლება აიხსნას ჰენდიადისით ან სინონიმური პარალელიზმით (იმოწმებს გ. წერეთლის ნაშრომს, აღმოსავლური ფილოლოგია, II, 1972 წ., გვ. 35). თ.ნ.

909. თეო ჩხეიძე

ვეფხისტყაოსნის ერთი გეოგრაფიული ტერმინის განმარტებისათვის (გულანშარო)

კრებ. „აღმოსავლური კულტურა" (წერილები და გამოკვლევები); თბ., „მეცნიერება", 1980, გვ. 117-122.

ავტორი ეთანხმება იუსტ. აბულაძესა და ნ. მარს, რომელთაც ტოპონიმი გულანშარო სპარსულიდან: გულშაჰრ, გულაშაჰრ (=ვარდქალაქი) მომდინარედ მიაჩნიათ. დამატებით აღნიშნავს, რომ გულანშაჰრ შეიძლება დავუკავშიროთ საშუალო სპარსულ Gulal/r, Gulalan–ს. ეს ტოპონიმი გვხვდება „არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნში". ფირდოუსისთან იკითხება Kuиaran.

ფალაური ტექსტის Gular, Gulalan ადამიანის საკუთარი სახელია, რაც შემდეგ ქალაქის სახელად ქცეულა. გ. ა.

910. კოტე წერეთელი

„ვეფხისტყაოსანი" არაბულად

გაზ. „კომუნისტი“, 1980, 9 მარტი; № 58, გვ. 4; „სამშობლო“, 1980, აპრილი, № 8, გვ. 6.

ავტორი წერს, რომ „ვეფხისტყაოსანს“ არაბულ ენაზე თარგმნის სირიელი პოეტი ოსმან ნიზარ ხალილი. მან ქართული არ იცის და იყენებს სერგი წულაძისეულ ფრანგულ თარგმანს. თავისი თარგმანი მან საქართველოში გამოგზავნა დაზუსტებისათვის. მისი ქართულ დედანთან შეჯერება დაევალა არაბისტებს: ნ. ფურცელაძეს, ლ. რუხაძესა და გ. ჩიქოვანს. ამჟამად თარგმანზე მუშაობა დამთავრებულია. მისი ორი თავი უკვე გამოქვეყნდა ლიბანის გაზეთ „ან-ნაჰარ“-ში 1980 წლის იანვარში.
სირიაში მცხოვრები ქართველი ლევან სალარაძე ყოველმხრივ უწყობს ხელს ამ თარგმანის მაღალ დონეზე შესრულებასა და გამოცემას. გ. ა.

911. ჯემალ ჭელიძე

ვეფხისტყაოსნის პოლონური თარგმანი

კრებ. „ვეფხისტყაოსნის უახლესი თარგმანები ევროპულ ენებზე“, თბ., 1980, გვ. 90-97.

ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ თარგმანს, რომელიც შესრულებულია ეჟი ზაგურსკის მიერ (კრაკოვი, 1976 წ.). აღნიშნავს, რომ ეს ერთადერთი სრული პოეტური თარგმანია პოლონურ ენაზე. ე. ზაგურსკი ათი წელი მუშაობდა ამ თარგმანზე და ამ ხნის განმავლობაში ხუთჯერ იმყოფებოდა საქართველოში. ის სარგებლობდა როგორც რუსული თარგმანებით, ისე ქართული გამოცემებითა და ტექსტოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურით. ამასთან ერთად სისტემატურად სარგებლობდა ქართველოლოგ იან ბრაუნის კონსულტაციით.
რეცენზენტს მოჰყავს წარმატებული და დედნის ადეკვატური თარგმანის ნიმუშები. აღნიშნავს აგრეთვე იმასაც, რომ ზოგჯერ განგებ გამოტოვებულია ქართული ტექსტის სადავო ან სათარგმნელად ძნელი ტერმინები, ცნებები და ფრაზები. ამის მიუხედავად, რეცენზენტს მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეჟი ზაგურსკისეული თარგმანი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოს სხვა კარგ თარგმანთა შორის.
რეცენზიას ახლავს რეზიუმე რუსულ ენაზე. გ. ა.

912. ალექსი ჭინჭარაული

ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან
(„არ ადარნა“, თუ „არად არნა“?)

ჟურ. „ცისკარი“, 1980, № 1, გვ. 139.

ავტორს მოჰყავს სტრიქონი: „ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხან შუქნი არ ადარნა“ (310,2/308,2) და აღნიშნავს, რომ სიტყვას „არ ადარნა“ ხელნაწერებში აქვს ვარიანტები: არ აყარნა, არ აჰყარნა, არ დაყარნა, არ დაჰყარნა, რომლებითაც ზოგ გადამწერს რითმის დაზუსტება უცდია – დარნას ნაცვლად ყარნა მოუხდომებია სადავო სტრიქონშიც. რუსთველს აქვს გამოთქმა „შუქთა რება“: „შუქნი არნეს“ (1420,3 / 1421,3). მკვლევარი ვარაუდობს, რომ სადავო სტრიქონში სწორედ ეს გამოთქმაა ნახმარი: „დიდხან შუქნი არად არნა“. აქ უხერხულობას იწვევს „არა“-ს ნაცვლად „არად“-ის ხმარება, მაგრამ ალ. ჭინჭარაული ვეფხისტყაოსანში „არად“-ის ხმარების სხვა შემთხვევებსაც ასახელებს (485,3 / 482,43; 537,3 / 534,3) და სწორად მიაჩნია „შუქთა რება“, ხოლო „შუქთა დარება“ — არაბუნებრივად. თ.ნ.

913. ზურაბ ჭუმბურიძე

რუსთაველი ქვაბისხევში

გაზ. „კომუნისტი“, 1980, 22 ივნისი, № 143, გვ. 4; აგრ. გაზ. „სამშობლო“, 1980, ივლისი, № 16, გვ. 8.

ავტორი წერს: ბორჯომის დასავლეთით, ქვაბისხევის ხეობაში იყო მარიამწმინდის მონასტერი. მისი სამნავიანი ბაზილიკიდან ჩვენს დრომდე მოაღწია ეკვდერად (სამლოცველოდ) გადაკეთებულმა ნაწილმა, რომლის ერთ-ერთ კედელზე შემორჩენილია შუახნის ქალისა და ახალგაზრდა ვაჟის ფრესკები წარწერით „იაი“ და „შოთა“. მკვლევრები გ. ჩუბინაშვილი, ნ. ბერძენიშვილი და სხვები ფრესკებს XII-XIII საუკუნეებით ათარიღებენ. გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ამ ფრესკებზე შეიძლება შოთა რუსთველი და დედამისი იყვნენ გამოსახულნი.
ახლახან გაზ. „წიგნის სამყაროში“ გამოქვეყნდა მწერალ გიორგი ზედგინიძის წერილი „შოთა

რუსთაველის ფრესკა ქვაბისხევში“, სადაც ავტორი წერს: ხელოვნურად განათების პირობებში ჩანს, რომ წარწერა ოთხ სტრიქონად ყოფილა გაკეთებული. პირველი სამი სტრიქონი აღარ იკითხება, მეოთხეში შესაძლებელია „როსთვლი“-ს ამოკითხვა, რაც დაქარაგმებული ფორმაა სიტყვისა „რუსთველი“. ამრიგად, დგინდება, რომ ამ ეკვდერში დახატულნი არიან დიდგვარიანი აზნაურის სახლის წევრები, საერო პირები შოთა და ია რუსთველები, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ბიოგრაფიისათვის. გ. ა.

## დამატება

### 1. პროკოფი აბულაძე

#### შოთა რუსთაველზე

ჟურ. „ქართლოსი“, № 11-12, 1938, პარიზი, გვ. 162-163, აგრ. — გ. შარაძე, საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე, თბ., 1986, გვ. 92-99.

წერილს წინ უძღვის ნიკო დადიანის მოკლე განმარტება, რომ მან ეს მასალა (პ. აბულაძის წერილი და მისეული თარგმანები ბერძნულ გაზეთში დაბეჭდილი, ვითომ, რუსთაველის ლექსებისა) მიიღო ათენიდან თვით პ. აბულაძისაგან 1921 წელს.

პ. აბულაძე წერს, რომ მან ათენში, ბერძნულ გაზეთში ნახა მოკლე ბიოგრაფიული ცნობა რუსთაველის შესახებ და მისი ავტორობით დაბეჭდილი ლექსები სათაურით „ქართული პოეზია“, რომელსაც ხელს აწერდა „მთარგმნელი“, ვინმე ტრიკოგლიდისი. აბულაძემ მოძებნა ეს პიროვნება. მან უთხრა, რომ ლექსები თარგმნა არაბულ ენაზე შედგენილი პოეტური კრებულიდან, სადაც ორი ლექსის ავტორად დასახელებულია რუსთაველი. კრებული ძველია, თავ-ბოლო ნაკლული, და ამიტომ მან არ იცის შემდგენლის ვინაობა.

პ. აბულაძემ გადათარგმნა ეს ლექსები ქართულ ენაზე (პროზით), აგრეთვე რუსთაველის შესახებ დაბეჭდილი ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც 1938 წ. დაიბეჭდა ჟურნალში „ქართლოსი“.

იხ. გ. შარაძის დასახელებული წიგნი, გვ. 92-103; მისივე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VIII, თბ., 2005.

რუსთაველის ე. წ. „არაბულ ლექსებზე“ არსებული ლიტერატურის ვრცელი კრიტიკული განხილვა მოცემულია ლ. მენაბდის წიგნში „რუსთველი საზღვარგარეთულ ლიტერატურაში“, თბ., 1990, გვ. 249-278. გ. ა.

### 2. შალვა ამირეჯიბი

#### შოთა რუსთაველი

ჟურ. „კავკასია“ („დამოუკიდებელი ეროვნული აზრის“ ორგანო), № 2-9, თებერვალი, 1938, პარიზი, გვ. 1-9; ჟურ. „ლაშარი“, თბ., 1991, 4, გვ. 164-169.

ავტორი აყენებს კითხვას: როდის და რომელ წრეში დაიწერა პოემა „ვეფხისტყაოსანი“? თხზულების პროლოგის მონაცემების მიხედვით, პოემა დაწერილი უნდა იყოს გიორგი მესამის ბრძანებით და მის მეფობაში, კერძოდ მაშინ, როდესაც თამარი მამასთან ერთად თანამეფე გახდა.

„ჭაბუკობის“ და „მიჯნურობის“ კულტი, — „გაჭრაც“, უმთავრესად გიორგის ეპოქის მონაპოვარი იყო. მის დროსვე დამკვიდრდა მეფის კარზე ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი, ძვირფასი ტანსაცმელი დ სამკაული.

ავტორის აზრით, გიორგი მესამისა და მისი ძმისწულის, დემნას, დაპირისპირების დროს, პოეტი მეფის დასის წევრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა ისეთი, რომელიც მეფის ყველა საქციელს ამართლებდა. პოეტი აცხადებდა ლომის „ძუ და ხვადი ლეკვების“ თანასწორობას, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ხვადების ხოცვა ძუების სადღეგრძელოდ ვერაფერი „სწორი“ იდეა იყო.

ლეგენდის მიხედვით, რუსთაველი იერუსალიმში უნდა იყოს გარდაცვლილი, მაგრამ იქ წასვლის მიზეზი და პოეტის აღსასრულის დროც უცნობია იმის გამო, რომ იგი გიორგი მესამის მეფობის კაცი იყო, რომელზედაც, მრავალ მიზეზთა გამო, თამარის დროში ბევრს არ ლაპარაკობდნენ. გ.ა.

### 3. ივ. გახოკიძე

#### „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი

ჟურ. „ქართლოსი“, № 4-5, 1937, პარიზი, გვ. 71; № 6-7, 1937, გვ. 103-104; № 9-10, 1938, გვ. 153-156; № 11-12, 1938, გვ. 188-192.

წინასიტყვაობაში მოცემული განმარტებით, ლექსიკონი შედგენილია დ. კარიჭაშვილის ლექსიკონზე დაყრდნობით და მიხ. წერეთლის შენიშვნების გათვალისწინებით.

ლექსიკონი შედგენილი და დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების თანამიმდევრობით და არა ანბანური რიგით.

ეს ლექსიკონი წიგნად დაიბეჭდა პარიზში 1937 წელს. მისი ქსეროასლი ინახება თბილისის სახ. უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში (იხ. გ. შარაძე, საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კურძულზე, თბ.,- 1986, გვ. 138-139). გ. ა.

4. გიორგი გვაზავა

## რუსთაველი და მისი შემოქმედება

გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1938, № 143; აგრ. წიგნში: გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001, გვ. 285-289.

წერილი ავტორის მიერ მოხსენებად ყოფილა წაკითხული 1938 წლის 30 იანვარს პარიზში გამართულ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის 750 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე.

ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ასახულია XII ს-ის საქართველოს ისტორიული, სოციალური და კულტურული ვითარება. მისი თქმით, ამის მაჩვენებელია თინათინის გამეფების ცერემონიალის აღწერა და თვით ფაქტი სამეფო ტახტზე ქალის დასმისა: „ეს მოხდა მხოლოდ საქართველოში, როცა გიორგი მესამემ თავის ქალიშვილი თამარი გამოაცხადა საქართველოს მეფედ“ (გვ. 285). პოემაში აღწერილი „ცერემონიალი სრულებით ქრისტიანულია, ბიზანტიური ან ქართული. მუსულმანთა ქვეყნებმა არ იციან არც გვირგვინი, არც სკიპტრა, არც პორფირი...“ „არაბეთი არის მხოლოდ პოეტური ტრანსპოზიცია საქართველოსი“ (გვ. 285).

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ არის უაღრესად ეროვნული ნაწარმოები, თუმცა ეს სრულებით ხელს არ უშლის მის საკაცობრიო, მსოფლიო მნიშვნელობას. მსოფლიო ხასიათი „ვეფხისტყაოსნისა“ იხატება მის ფილოსოფიურ კონცეფციაში. რუსთველის რწმენით, არსებობს ღმერთი, უცნაური და უთქმელი, რომელმაც შეჰქმნა ქვეყნიერება ისე, რომ მასში მეფობს რაღაც უცნაური ძალა, უცნაური ფლუიდი, რომლითაც გამსჭვალულია ყოველი არსება... ეს ძალა გახლავთ სიყვარული.

ეს მსოფლიო სული ყველგან არის, მაგრამ კაცობრიობის ცხოვრებაში ის ჰღებულობს სხვა და სხვა სახეს, სხვა და სხვა ფორმას. ქალის მიმართ – ეს არის მიჯნურობა, კაცის მიმართ – მეგობრობა, საზოგადოების მიმართ – სოციალური სამართალი, ერთა განწყობაში – საერთაშორისო ძმობა. ძირითადი საფუძველი ყველგან ერთია – სიყვარული. ის ასულდგმულებს ქვეყნიერებას, ანთებს ენტუზიაზმს და მიაქანებს მიწიერ ცხოვრებას იდეალისაკენ... მაგრამ იდეალის განხორციელებას წინ ეღობება ბევრი ბნელი ძალა. რუსთველმა დახატა მშვენიერი ეპიზოდები გმირების ბრძოლისა ბნელ ძალებთან, მაგრამ ეს არის შეტაკება მხოლოდ გარეგნული, შეტაკება ნივთიერის, მატერიისა...

რუსთველის სიდიადე უფრო სხვაგანა დევს. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში მგონი პირველი მწერალია, რომელმაც ღრმად ჩაიხედა ადამიანის სულში და თვალწინ გადაგვიშალა ბრძოლა არა ნივთიერი, არამედ ბრძოლა სულიერი, რომელიც არანაკლებ საშინელია, ვიდრე შეხლა-შემოხლა მატერიალურ სფეროში. ეს გახლავს განუწყვეტელი კონფლიქტი გონების და გულისა, აზრისა და მოქმედებისა. სწორედ ამისი ეშინიან ავთანდილს, რამეთუ მან იცის: „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი... ამიტომ შესთხოვს იგი უფალს: „მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის თქმათაო!“გვ. 288).

დასასრულს ავტორი წერს: „რუსთაველი ახლა გამოდის წარსულ საუკუნეთა ბურუსიდან და ეჭვი არ არის, ის დაიჭერს არა უკანასკნელ ადგილს მსოფლიო ლიტერატურის ვარსკვლავთა შორის“. გ. ა.

5. გიორგი გვაზავა

## [ბ-ნ ზ. ავალიშვილის კრიტიკული რეცენზიის პასუხად]

გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1938, № 150-151; აგრ. წიგნში – გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001, გვ. 289-302.

გ. გვაზავას პოლემიკური წერილი გამოიწვია 1938 წ. პარიზში რუსულ ენაზე გამომავალ ჟურნალ „კავკაზში" დაბეჭდილმა პროფ. ზურაბ ავალიშვილის რეცენზიამ, რომელიც ეხებოდა „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ თარგმანს, შესრულებულს გიორგი გვაზავასა და ანი მარსელ-პაონის მიერ. რეცენზიაში გაკრიტიკებული იყო რუსთველის პოემის ზოგიერთი სიტყვისა და ფრაზის არასწორად თარგმნის შემთხვევები. გ. გვაზავას თქმით, რეცენზიაში მოყვანილია 8 ასეთი შემთხვევა, რომელთა უარყოფითი შეფასება მას უმართებულოდ მიაჩნია და კრიტიკოსს იქით ედავება რუსთველის ტექსტის არასწორ კომენტირებაში.

საყურადღებოა გ. გვაზავას მოსაზრება ზოგიერთი სადავო სიტყვის ან სტროფის შესახებ. მაგ., „დასაწყისის" მე-11 სტროფი („რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდეს"...) მთარგმნელს გვიანდელ ჩანართად მიუჩნევია, ამიტომ წერს: „აშკარაა, მე-18 ტაეპი (დ. კარიჭაშვილის გამოცემით – გ. ა.) ხორც-მეტია, ყალბია; მე ამოვაგდე იგი და მას მივაყოლე სამი უკანასკნელი ტაეპიც, რომელიც განვითარებაა იმავე ყალბი დებულებისა" (გვ. 291).

გ. გვაზავა მიუთითებს, რომ პოემაში ნახსენები „ხადუმი" ქალია (მსახური, მოახლე) და არა საჭურისი (ევნუხი), როგორც ეს ზ. ავალიშვილს ჰგონია.

გ. გვაზავა განიხილავს ზ. ავალიშვილის წიგნს „ვეფხისტყაოსნის" საკითხები", 1931 წ. და აღნიშნავს, რომ ამ წიგნში განვითარებული მსჯელობითა და სიტუაციების სუბიექტური, არასწორი ინტერპრეტაციებით ავტორი ჩრდილს აყენებს რუსთველსაც და მის თხზულებასაც. საქმე ეხება არატრადიციული სექსუალური გრძნობის გამოხატვას, რის ნიშნებსაც ზ. ავალიშვილი ხედავს როსტევანისა და ავთანდილის, ან ავთანდილისა და ტარიელის ურთიერთობაში.

ამის გამო წერს გ. გვაზავა, რომ დასახელებული წიგნის ავტორი „სრულებით უსაფუძვლოდ სვრის და ჰთხუნავს რუსთაველის მიერ მოცემულ სარკეს. იქ ქართველი ერის სახე და სულისკვეთება არამც თუ გამრუდებულია, სრულებით წაშლილი, შებღალულია და საზიზღარი" (გვ. 302). გ. ა.

6. ივანე გიგინეიშვილი

## „ვეფხისტყაოსნის" ენისა და ტექსტის საკითხები

მოხსენების თეზისები საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტ. XIV სამეც. სესიაზე 1957 წ. 11 ივნისს.

„ვეფხისტყაოსნის" ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა ჩვენებების შესწავლისა და გრამატიკული, სტილისტიკურ-ფრაზეოლოგიური და შინაარსობლივი ანალიზის შედეგად მოხსენებაში საჭიროდაა მიჩნეული კომისიის მიერ შემუშავებულ ტექსტში (1937 წლისა და აგრეთვე 1951 წლის გამოცემა) გარკვეული ადგილების გასწორება და წარმოდგენილია სათანადო დასაბუთება.

დასახელებულ გამოცემებშია:

1. ხშირად ესხა მარგალიტი ლაგადმ-აბჯარ-უნაგირსა (84,3).
2. მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა (1328, 1-2).
3. მე ვჰკადრე: „ღმერთმან აშოროს მას ყმასა შენი ქმარობა" (541,1).
4. ჰე მეფეო, გავიპარე ძებნად ჩემგან საძებრისად (788,2).
5. მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა (846,4).
6. ჩემი მონა შემოვიდა, შევხედე, თუ თქვას: რა მინა (363,2).
7. სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია (38,4).

უნდა გასწორდეს ასე:

1. ხშირად ესხა მარგალიტი ლაგადმ-აბჯანდ (ან: აბჟანდ)-უნაგირსა.
2. მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა, ვარდის ფურცლობა — ნიშანი, დრო მათის პაემანისა.
3. მე ვჰკადრე: „ღმერთმან აშოროს მის ყმისა შენი ქმარობა".
4. ჰე მეფეო, გავიპარვი ძებნად ჩემგან საძებრისად.
5. მაგრა ავი ბედისაგან ჩემი რამცა გამიკვირდა.
6. ჩემი მონა შემოვიდა, შევხედე, თუ თქვას: რაძინა.
7. სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფრობია.

7. ივანე გიგინეიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ორი ადგილის წაკითხვისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა I(V) სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, 1963 წ. 27 აპრილი. მოხსენების თეზისები, გვ. 11-12.

მოხსენება ეხება „ვეფხისტყაოსნის“ 798-ე და 713-ე სტროფების ტექსტის დადგენას. აქამდე გამოცემებში იბეჭდებოდა:

ვჰგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა (798,2);
რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და აგულჩვილებს (713,2).

„ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლების ლექსიკური მასალის ანალიზით მკვლევარი დაასკვნის, რომ უნდა მიღებული იქნეს წაკითხვები:

„ვჰგმობ კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ღალატიანსა“;
„რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და გააფრდილებს“.

დასაბუთება იხ. წიგნში: ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები..., 1975, გვ. 73-86, 43-50. გ. ა.

8. მ. დ. [მიხეილ დადიანი]

შოთა რუსთაველის იუბილე

ჟურ. „ქართლოსი“, 1938, №9-10, პარიზი, გვ. 149.

ავტორი იუწყება, რომ იტალიურ გაზეთში „ლა ტრიბუნა“ მოთავსებულია ბ-ნ რ. ინგილოს წერილი რუსთაველზე.

შალვა ბერიძემ იტალიურად თარგმნა და დაბეჭდა „ანნალი“-ში რუსთაველის პოემის შესავალი.

ვარშავაში გამოიცა წიგნაკი „შოთა რუსთაველი“, სადაც დაბეჭდილია გ. ნაკაშიძისა და გრ. ფერაძის წერილები და ნაწყვეტი პოემისა პოლონურ ენაზე.

ჟენევაში გადახდილ იქნა რუსთაველის საიუბილეო საღამო და პრესაში დაიბეჭდა წერილები საქართველოსა და „ვეფხისტყაოსანზე“.

პარიზში გაიმართა საჯარო საზეიმო სხდომა ბ-ნ გიორგი გვაზავას თავმჯდომარეობით. მოხსენებები წაიკითხეს: რ. არსენიძემ, ს. ფირცხალავამ, ალ. მანველიშვილმა და გ. გვაზავამ. გ. ა.

9. მ. დ. [მიხეილ დადიანი]

რუსთაველის დღეობა პოლონეთში

ჟურ. „ქართლოსი“, 1938, № 9-10, პარიზი, გვ. 150.

ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ქართული ემიგრაციის ვარშავის კომიტეტმა, კოტე იმნაძის მეთაურობით, ღირსეულად აღნიშნა შოთა რუსთაველის 750 წლისთავი. გ. ნაკაშიძემ წაიკითხა მოხსენება რუსთაველზე და მისი დროის საქართველოზე (დაიბეჭდა „კურიერ პორანნი“-ში). გრ. ფერაძემ – შოთას ფილოსოფიურ-სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობაზე.

გაზეთში „აბც“ დაიბეჭდა გოძიაშვილის წერილი რუსთაველის შესახებ, ხოლო „მისლ პოლსკა“-ში – მიროსლავ სტაროსტის წერილი. გ. ა.

10. ალექსანდრე მანველიშვილი

შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა

ჟურ. „ახალი ივერია“, 1938, № 9; აგრ. წიგნში – გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001, გვ. 633-641.

წერილი დაყოფილია ქვეთავებად:

1. საწუთრო. როგორც ავტორი ამბობს, ამ ტერმინით პოეტმა გადმოგვცა მისი შეხედულება ამქვეყნიურ არსებობაზე, დაგვიხატა მისი წარმავალობის იდეა. ამ თვლსაზრისის გაშლის გზაზე რუსთაველი უახლოვდება სტოიციზმს, თუმცა მსგავსი შეფასება ცხოვრებისა არსებობდა შორეულ ხანებშიც. ამ მოტივს ვხედავთ ძველ ბაბილონელთა და სუმერთა ეპოსში „გილგამეშიანში“, ეგვიპტის უძველეს მწერლობასა და თვით ბიბლიაშიც.

2. პოეტის პესიმიზმი. რუსთაველმა იცის, რომ ადამიანის ბუნების თვისებაა უკმაყოფილება და უკმარობის მუდმივი განცდა: „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი...“ ან კიდევ: „აგრეთვე გული

კაცისა მოსაგვარებლად ძნელია, ჭირსა და ლხინსა ორსავე ზედან მართ ვითა ხელია...“

წუთისოფელი ულმობელია, ადამიანი კი სუსტია იმისათვის, რომ აიცდინოს ბრმა ბედისწერის შავი ხელი. ამიტომ იბადება თავისებური შეგნება სიკვდილისადმი: ინდიფერენტიზმი, ძლიერნი ამ ქვეყნისანი უნდა ცივად შეხვდნენ მას, რადგან სულ ერთია, ადამიანის ბედს ფატალური ძალები განაგებენ.

3. „სჯობს სახელისა მოხვეჭა“. ადამიანის ამქვეყნიური სიცოცხლე ხანმოკლეა, მაგრამ იგი სამარადისო გაქრობით არ უნდა გათავდეს. მას უნდა, რაიმე ფორმით, ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც განაგრძოს აქ არსებობა. ამისთვის კი საჭიროა სათანადო დამსახურება, საგმირო საქმეების ჩადენა, ქველმოქმედება, მეფეთა ერთგული სამსახური, ჭირში მყოფის დახმარება და ყველაფრით ამით სახელის მოხვეჭა.

4. ბრძოლისა და შემოქმედების ფილოსოფია. რუსთაველის გმირები არ ურიგდებიან ბრმა ბედისწერას. მათი რწმენით, უმოქმედობა არის მიზეზი უბედურებისა, ხოლო ბრძოლასა და მოქმედებას მოაქვს ბედნიერება. ამ ქვეყნად რუსთაველის იდეალი არის მარად შეურიგებელი ბრძოლა. მისთვის ბრძოლისა და შემოქმედების თვით პროცესია უმაღლესი ღირებულება და უმაღლესი სილამაზე. ესა აზრი ადამიანის არსებობისა. გ. ა.

11. ვიკტონ ნოზაძე

„ვეფხის ტყაოსანი“ — ეროვნების კავშირი

ჟურ. „ქართლოსი“, № 11-12, 1938, პარიზი, გვ. 160-162.

მკვლევარი საუბრობს რუსთაველის თხზულების მნიშვნელობაზე ქართველი ერის კულტურისა და ზნეობის ჩამოყალიბებაში. მისი თქმით, „ქართველი ერის წარსულს რომ გადავხედოთ, ცხადი გახდება ჩვენთვის, თუ „ვეფხისტყაოსანმა“ რა ეროვნული როლი ითამაშა ქართველი ხალხის ცხოვრებაში... მან ყოველი ქართველი სულიერად დააძმობილა და ამგვარად პოემა მთელი ქართველობის, მთელი ერის სულიერ წყაროდ იშვა. რუსთაველი უმღერის სიცოცხლეს, სიყვარულს, მეგობრობას, გმირობას, ვაჟკაცობას, თავდადებას, სიკეთეს და სამართლიანობას.

„ვეფხისტყაოსანი“ ის ეროვნული წიგნია, ის გამაერთიანებელი დუღაბია, რომელიც ქართველ ერს მის პოლიტიკურად დაშლილობის ხანაში, მტრის კირთების ქვეშ, საუკუნეთა მანძილზე ერთ ერად ინახავდა და იცავდა. გ. ა.

12. ნოე ჟორდანია

„ვეფხის ტყაოსანი“-ს საკითხები

გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1937, № 132, 133, 135.

ნარკვევი დაყოფილია ქვეთავებად. 1. ტექსტი (№ 132, გვ. 6-9). ავტორი აღნიშნავს, რომ პოემის ტექსტი ჯერაც არაა აღდგენილი. დავას იწვევს განსაკუთრებით დასაწყისი (პროლოგი) და დასასრული. ვახტანგისეული გამოცემის ტექსტი მრავალ კითხვას ბადებს. დასასრულს აკლია „ტარიელის ინდოეთში ტრიუმფით მოგზაურობა და გამეფება. ასეთი ნაკლი, მოქმედების გაწყვეტა, გადახტომა, ულოგიკობა ეწინააღმდეგება რუსთაველის შემოქმედებას და მის დალაგებულ მეთოდს“ (გვ. 8).

ამ ნაკლის შევსებას ცდილობს კ. ჭიჭინაძის ტექსტი, მაგრამ მისი რუსთველისეულობაც ეჭვქვეშ დგება, „არც მსოფლმხედველობა, არც სტილი, და არც მუსიკა რუსთველური არ არის“. რუსთაველი პოემაში ვერ შეიტანდა „მოციქულს“, „კათალიკოსს“ და მისთანა ქრისტიანულ ტერმინებს.

მკვლევრის აზრით, სანამ პოემის ნამდვილი ბოლო არ მოინახება და „გაწყვეტილი კავშირი ტარიელის მინდორში დაბანაკებასა და მის გამეფებას შორის არ აღდგება, უნდა მოხდეს ტეხნიკური ცვლილება გამოცემაში, — გამეფების ამბავი უნდა მოშორდეს პურის ჭამის ამბავს და ცალკე თავად გაკეთდეს, როგორც პოემის დასკვნა“ (გვ. 9).

ნ. ჟორდანია ყალბად თვლის ჭიჭინაძის გამოცემის № 1699-1701 სტროფებს („დევთა ყვირილი, ზახილი...“ და სხვ.).

2. ავტორის ვინაობა (№ 133, გვ. 6-9).

მკვლევრის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არ იყო დიდგვაროვანთა რიგებიდან (ერისთავი ან ერისთავთერისთავი), პირიქით, ის ამათ ებრძოდა; ის იყო მეფის მოხელეთა რიგებიდან, კარისკაცი, მცირეგვარიანი ან სულ უგვარო, მაგრამ ცოდნით და ნიჭით სხვებისაგან გამორჩეული. გვარ–წოდების მიხედვით ის იყო რუსთავიდან. ეს მესხეთის რუსთავი უნდა იყოს, რადგან თითქმის ყველა ცნობილი

პოეტი, მწერალი, საეკლესიო თუ საერო მოღვაწე მესხეთიდან გამოსულან.

რუსთაველის მესხურ ჩამომავლობას ამტკიცებს პოემის ბოლოსიტყვაობაც, სადაც წერია: „ვსწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისა დამისა". ამის დამწერი გინდაც რუსთაველის რომელიმე მიმბაძველი იყოს, ის მაინც ერთ-ერთი უძველესი მოწმეა, რომელმაც იცოდა პოემის ავტორის მესხური ჩამომავლობა.

3. შედარებანი (№ 135, გვ. 4-7).

ნარკვევში მოცემულია „ვეფხისტყაოსნის" იდეურ-მსოფლმხედველობრივი შედარება მე-11-13 საუკუნეების ეპიკურ თხზულებებთან: „სიმღერა როლანდზე", „ტრისტან და იზოლტი" და „ნიბელუნგენი". ავტორი აღნიშნავს გმირების ხასიათის მსგავსებას: მამაცობა, ძალ-ღონე, კეთილშობილება, სამართლიანობა, აგრეთვე – ტირილი სხვადასხვა მიზეზის გამო.

აქვე საუბარია მსოფლმხედველობრივ სხვადასხვაობაზე: ევროპულ დასახელებულ თხზულებებში ბატონობს რელიგია და თილისმა. საერთაშორისო საკითხს წყვეტს ქრისტიანობის გავრცელების ინტერესი, რასაც თან ახლავს სასწაულები.

რუსთაველი ამოვიდა ამ რელიგიურ-თილისმური რკალიდან.

„ნიბელუნგენში", აგრეთვე „ტრისტან და იზოლტაში" სიყვარულის მიზეზია თილისმური სასმელი. „რუსთაველის გმირებს შეუყვარდებათ ქალიშვილები ადამიანურათ, ჩვეულებრივი გზით, როგორც ეს ხდება ცხოვრებაში.." ავტორის დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი" არის პირველი ქართული რომანი თანამედროვე მნიშვნელობით. გ. ა.

13. ი. სურგულაძე

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ

ჟურ. „მნათობი ", 1957, № 9, გვ. 106-117.

ჟურნალის 114-117 გვერდებზე ავტორი კრიტიკულად განიხილავს გ. სოსელიას ნაშრომს „საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით" (1956 წ.). ოპონენტი აღნიშნავს, რომ გ. სოსელიას კვლევა ემყარება მცდარ დებულებას, თითქოს საქართველოს მონათმფლობელობა არ გაუვლია და პირველყოფილი თემური წყობილება უშუალოდ ფეოდალიზმმა შეცვალა. მისი აზრით, შოთა რუსთაველი საქართველოს სინამდვილეს ასახავს, სადაც ფეოდალური საზოგადოების სუსტი ტემპით განვითარების გამო მოხდა პირველყოფილ-თემური წყობილების „გადმონაშთების" და მასთან დაკავშირებული ტრადიციების „კონსერვირება". რუსთაველისათვის გვაროვნული წყობილების ეს გადმონაშთი იყო იდეალი. ის შთაგონებულ იქნა ამ „კონსერვირებული" გადმონაშთებისაგან და ამის შედეგად დაიწერა „ვეფხისტყაოსანი".

ი. სურგულაძის დასკვნით, გ. სოსელიას შეხედულება რუსთაველის თხზულების შესახებ მეთოდოლოგიურად ყალბია და ემყარება საქართველოს ისტორიული მოვლენების დამახინჯებულად გაგებას. გ. ა.

14. [უავტორო]

რუსთაველის დღესასწაული ჟენევაში

გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", 1937, № 140, გვ. 15-16.

2 ნოემბერს საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტში შედგა სხდომა პროფ. მალშის თავმჯდომარეობით. დაადგინეს: ჟენევის უნივერსიტეტში რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ იქნეს კრება შესაფერითი მოხსენებებით.

ამავე დღეს უნივერსიტეტში წაკითხულ იქნა ლექცია ხ. შავიშვილის მიერ: „მეთორმეტე საუკუნის ქართველი დიდი პოეტი რუსთაველი, მისი ნაწარმოები, მისი ეპოქა". მომხსენებელმა „ვეფხისტყაოსნის" შესახებ თქვა: „ის ეკუთვნის იშვიათ გენიალურ ნაწარმოებთა რიცხვს მსოფლიო ლიტერატურაში და წინამორბედია ევროპის ჰუმანიზმისა" (...) ამიერიდან ის შედის კაცობრიობის შემოქმედების საუნჯეში და აქ ის საპატიო ადგილს დაიკავებს". გ. ა.

15. [უავტორო]

შოთა რუსთაველის იუბილე საქართველოში

ჟურ. „კავკასია", № 2-9, 1938, გვ. 33-38.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ საქართველოში რუსთაველის საიუბილეო ზეიმი გაგრძელდა ათ დღეს. თბილისში შეიკრიბა საბჭოთა კავშირის მწერლების მორიგი პლენუმი. მათ შორის იყო ორმოცამდე მწერალი, რუსთაველის პოემის სხვადასხვა ენაზე მთარგმნელნი. გაიმართა შეხვედრები თბილისის უნივერსიტეტში, შოთა რუსთაველის ინსტიტუტში, ნ. მარის სახელობის ინსტიტუტში და სხვა დაწესებულებებში.

ჟურნალი ბეჭდავს გაზ. „კომუნისტი"-დან ამოღებულ მოკლე ცნობებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო სესია, სადაც მოხსენებები წაიკითხეს: კ. კეკელიძემ, იუსტ. აბულაძემ, შ. ნუცუბიძემ, ვუკ. ბერიძემ, პ. ინგოროყვამ, ალ. ბარამიძემ, ს. იორდანიშვილმა, ტრ. რუხაძემ, პ. ბერიძემ.

იქვეა ცნობები აკად. ნ. მარის სახ. ინსტიტუტში ჩატარებული სამეცნიერო სესიის შესახებ (გვ. 35-36), „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელების დაჯილდოებაზე (გვ. 36-37); პოემის საიუბილეო გამოცემებზე (გვ. 37); რუსთაველის ძეგლის შესახებ, რომელიც 1938 წელს უნდა დაიდგას თბილისში, ლენინისა და მოსკოვის ქუჩების კუთხეში (გვ. 37-38).   გ. ა.

16. „ქართლოსი"

№ 11-12, 1938, მაისი, პარიზი, რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე

ჟურნალის ეს ნომერი ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის" დაწერიდან 750 წლისთავის იუბილეს. მასში დაბეჭდილია წერილები:
გივი მამულაშვილი, „შოთა რუსთაველი" (ფრანგულ ენაზე), გვ. 158-159.
შალვა მაღლაკელიძე, „საქართველომ კვლავ უნდა ჰშვას შოთა რუსთაველი" (გვ. 159).
ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსანი" — ეროვნების კავშირი (გვ. 160-162) (იხ. აქვე, „დამატებაში", ანოტაცია № 11).
პროკოფი აბულაძე, „შოთა რუსთაველზე" (გვ. 162-163). მას ახლავს ნიკო დადიანის წინასიტყვაობა (იხ. ანოტაცია № 1).
დ. კარიჭაშვილი, „ვეფხისტყაოსნის" შინაარსი, პოემის მე-19 გამოცემის წინასიტყვაობიდან (გვ. 164-166).
ჟურნალში დაბეჭდილია „თბილისური ორგანოებიდან ამოღებული" წერილები შოთა რუსთაველზე და მისდამი მიძღვნილ იუბილეზე:
1. დ. ჯანელიძე, რუსთაველის საიუბილეო გამოფენა (გვ. 167-170). მასში ცალ-ცალკე აღწერილია გამოფენის თემატიკური სექციები. აღნიშნულია, რომ ლიტერატურული სექტორი მოწყობილია პ. ინგოროყვას, ქართული კულტურისა და ყოფაცხოვრებისა – ივ. ჯავახიშვილის, ხელოვნების სექტორი – გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით (იხ. გ. იმედაშვილი, „რუსთველოლოგიური ლიტერატურა", ანოტ. № 1986).
2. ივ. ჯავახიშვილი, რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი" (გვ. 170-171). იხ. გ. იმედაშვილი, № 1983.
3. პ. ინგოროყვა, რუსთაველი და მისი პოემა (გვ. 172-174), იხ. ანოტ. № 1879.
4. კ. ჭიჭინაძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა (გვ. 174-176), იხ. ანოტ. № 1796.
5. პ. ცინცაძე, რუსთაველის დროის ფილოსოფიური აზროვნება და „ვეფხისტყაოსანი" (გვ. 176-177). იხ. ანოტ. № 1788.
6. მ. გოგიბერიძე, შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი (გვ. 177-178). იხ. ანოტ. № 1856.
7. მ. გოგიბერიძე, რუსთაველის მსოფლმხედველობის სათავეები (გვ. 178-180). იხ. ანოტ. № 1857.
8. ვ. ხუროძე, „ვეფხისტყაოსნის" ეთიკა და სოციალური იდეალები (გვ. 180-181), იხ. ანოტ. № 1980.
9. ლ. მეტრეველი, „ვეფხისტყაოსნის" ბრძოლის ჰანგები (გვ. 181-182).
10. პოლ. ცინცაძე, ქალის პიროვნების საკითხი „ვეფხისტყაოსანში" (გვ. 182-184), იხ. ანოტ. № 1974.
11. ვუკ. ბერიძე, ტირილი და მისი აზრი „ვეფხისტყაოსანში" (გვ. 184-185), იხ. ანოტ. № 1843.
12. ი. გედევანიშვილი, „ვეფხისტყაოსნის" სამხედრო ხელოვნება (გვ. 185-186), იხ. ანოტ. № 1855.
13. დ. ჯანელიძე, „ვეფხისტყაოსნის" დრამატურგია (გვ. 186), იხ. ანოტ. № 1817.
14. დ. ჯანელიძე, რუსთაველის ეპოქის სასპორტო სანახაობანი (გვ. 186-188), იხ. ანოტ. № 1818.

## ავტორთა საძიებელი
(ციფრი უჩვენებს სტატიის ნომერს)


აბაევი ვ. 1.
აბაშიძე გრ. 569.
აბაშიძე დ. 687.
აბაშიძე ირ. 2,3,740.
აბაშმაძე ვ. 4, 179.
აბესაძე ნ. 181.
აბრამიშვილი ა. 181.
აბულაძე ილ. 688.
აბულაძე იუსტ. 5 .
აბულაძე პრ., დ. 1, 16.
აგიაშვილი დ. 6.
ადეიშვილი შ. 777.
ათანელიშვილი ლ. 569a.
ალავიძე მ. 7, 182, 867.
ალანია ნ. 183, 570.
ალექსიშვილი მ. 184.
ალფენიძე ვლ. 185.
ამირანაშვილი შ. 186.
ამირეჯიბი შ. დ. 2.
ანდრიაშვილი ი. 187.
ანდრონიკოვი ირ. 689.
ანდღულაძე ლ. 8-10, 188, 280, 2800, 412, 469, 522, 523, 625.
ანთაძე მ. 571, 741.
ანტონოვა ნ. 11.
არაბული გ. 12, 13, 778, 818, 868, 869.
არველაძე ბ. 281.
არველაძე ს. 14, 523a, 741a.
ართილაყვა ა. 15.
არნოლდი ვ. 282.
არსენიშვილი ე. 16.
არტემიძე ე. 17.
ასათიანი გ. 572.
აფრიდონიძე ვ. 18.
ახვლედიანი გ. 359.

ბააკაშვილი ვ. 19.
ბაბაიანი ა. 626.
ბაბუნაშვილი რ. 229
ბაბურიანი მ. 190.
ბაგრატიონი თ. 191.
ბადრიძე შ. 335.
ბაიმაგამბეტოვი ტ. 626.
ბაირამიანი ჰ. 627.
ბაჟანი მ. 819.
ბარამიძე ალ. 20-24, 192, 283-285, 360, 361, 413-417, 470-472, 524, 628-631, 690, 691, 742, 779-783, 820, 870-872.
ბარამიძე გ. 25.
ბარბაქაძე რ. 743, 784.
ბაუერი ო. 26.
ბაქრაძე დ. 27.
ბაქრაძე ჯ. 524a, 573.
ბედუკაძე ს. 193.
ბელთაძე მ. 525.
ბერიტაშვილი ი. 362.
ბერიძე ვახ. 28, 417a.
ბერიძე ვუკ. 574.
ბერიძე რ. 785.
ბეროძე რ. 29.
ბურძენაძე ს. 692.
ბერძენიშვილი ნ. 575.
ბიბილეიშვილი ი. 821.
ბიბილეიშვილი მ. 873.
ბინიაშვილი მ. 632.
ბოგომოლოვი ი. 19, 30.
ბოლქვაძე ა. 31.
ბოტარო გ. 32.
ბრაუნი ი. 33.
ბრეგაძე დ. 286, 874, 875.
ბრეგაძე ლ. 876.
ბუდენზიგი ჰ. 473.
ბულკათი მ. 693.
ბურჭულაძე რ. 822.

გაბაშვილი ვ. 193a.
გაბაშვილი მ. 694.
გაბეჩავა ს. 287.
გაგნიძე ჯ. 417, 419, 474, 474 ა, 489, 526, 633, 877.
გაგულაშვილი ი. 363.
გამარა. პ. 34.
გამსახურდია ზ. 475, 634, 695.
გამსახურდია კ. 194.
გამყრელიძე თ. 613.
გაპონოვი ბ. 823.
გარიდო ა. 35.
გაჩეჩილაძე გ. 36.
გაწერელია ა. 364, 476, 576, 744, 745.
გახოკიძე ივ. დ. 3, 15.
გეგეჭკორი ა. 365.
გელოვანი ა. 37, 477, 577.
გემბარსკი ბ. 38.
გვაზავა გ. დ. 4, 5.
გვახარია ა. 872.
გველესიანი ს. 39
გიგინეიშვილი ი. 40, 288, 420, 478, 527, 578-580, 635, 878, დ. 6, 7.
გიგინეიშვილი მ. 195, 289, 581, 696, 824.
გიევიკი ე. 41.
გიუნაშვილი ლ. 421.
გიუნაშვილი ჯ. 636.
გოგატიშვილი შ. 786.
გოგიბერიძე მ. 787.
გოგოჭური ნ. 825.
გოლიაძე ო. 422.
გოლცევი ვ. 366.
გონაშვილი დ. 42, 479, 527a.
გრაიჩიუნასი ი. 44.
გრიგოლაშვილი ლ. 582.

გრიგოლია კ. 45, 196, 197, 746.
გუგუშვილი მ. 290, 367, 368, 423, 528, 528 ა, 583, 697.
გუგუშვილი პ. 423a.
გუდავა ტ. 584..
გულუა ვ. 46.
გურგენიძე დ. 47.
გურგენიძე ვ. 698.

დადიანი მ., დ. 8, 9.
დავითაშვილი მ. 291.
დავითიანი ი. 788.
დანელია კ. 48.
დარჩია ბ. 49, 50, 198-201, 292, 369, 424, 425, 479-481, 529-531, 531ა, 585, 637, 638, 699, 789, 879.
დგებუაძე დ. 202, 426, 586.
დოლიძე ფ. 51.
დონდუა ვ. 335, 532.
დუმბაძე მ. 293, 335.
დუმბაძე ნ. 52, 700, 701.

ენდლერი ა. 370.
ენიკოლოფოვი ი. 203.
ენუქაშვილი რ. 371.
ერაძე ლ. 747, 790.
ეფრემიძე თ. 880.

ვარმი გ. 53.
ვაცულინი ი. 54.
ვეშაპელი ირ. 59.
ვირსალაძე თ. 534.
ვურნიკი ფ. 639.

ზარდალიშვილი გრ. 56, 826.
ზარინქუბი ჰ. 372.
ზედგინიძე გ. 882.
ზლატკევიჩი ლ. 56.
ზურაბაშვილი ა. 373, 640.

თავაძე იხ. ოლგუნი.
თარხნიშვილი ბ. 58.
თევზაძე გ. 587, 641, 703, 748, 791, 827.
თვარაძე რ. 427, 792.
თოდუა გ. 59.
თოდუა მ. 60, 61, 374, 428, 642.
თორდუა ვ. 62.
თოფურიძე ვ. 63.
თულიანი რ. 483.
თუმანოვი კ. 204 .
თურნავა ს. 748ა, 883.
თუშმალიშვილი მ. 873.

იაშვილი ნ. 64.
იმედაშვილი გ. 205, 704, 828.
იმნაიშვილი ი. 65, 66.
იმნაძე მ. 884.
ინგოროყვა პ. 375-377.
ინწკირველი დ. 885.
ირემაშვილი ა. 206.
ისაკოვი ბ. 643.
იუსიფოვი ხ. 294.
იშტვანოვიჩი მ. 295.

კაკაბაძე ნ. 68, 69, 208, 429, 535, 749.
კაკულია შ. 70.
კალანდარიშვილი მ. 829.
კალანდაძე ლ. 71, 430.
კალანდაძე მ. 207.
კალაძე ა. 644.
კალაძე ი. 705.
კალოვი ჰ. 209.
კანდელაკი ბ. 588, 645.
კარბელაშვილი მ. 296, 431, 536, 589, 750, 830, 886, 887.
კარტოზია გ. 210, 432, 484, 646, 647, 831.
კასრაძე ო. 888.
კატალა ჟ. 72.
კახაბრიშვილი ც. 433.
კახნიაშვილი ვ. 73, 378, 434, 485, 536a.
კეკელია მ. 648.
კეკელიძე კ. 211-218, 435, 537, 832.
კეკელიძე პ. 649.
კენჭოშვილი ირ. 297, 889.
კენჭოშვილი ნ. 485a.
კვანჭილაშვილი ტ. 706.
კიკვიძე ა. 219, 220.
კიკნაძე ზ. 74, 298, 650.
კილანავა ბ. 890.
კობახიძე ვ. 811.
კობიძე დ. 75, 221, 299-302, 416, 486, 590, 793-798.
კომიიამა რ. 222.
კოტეტიშვილი ფ. 76.
კოჭლაშვილი ნ. 303, 487.
კრავეიშვილი ბ. 77.
კუბაცკი ვ. 223, 224.
კუპრავა ვ. 477, 892.

ლანგი დ. 78, 225, 304, 379, 380.
ლანუა ა. 79.
ლაშქარაძე დ. 417, 488, 489, 707.
ლეონი მ. 80.
ლეჟავა გ. 893.
ლისიჩნიკი ი. 305.
ლოლაშვილი ივ. 81, 751.
ლომაშვილი ჯ. 82, 226, 306, 381, 381a, 436, 538, 591, 651, 652, 708.

მაისურაძე ი. 227.
მამავაშვილი მ. 437, 492, 833.
მამისთვალიშვილი მ. 307.
მამულაშვილი გივი დ. 16.
მამულაშვილი გ. 894.
მამულაშვილი მ. 83-85, 189, 228.
მანველიშვილი ალ. 438, დ. 10.

მანია გ. 229.
მარგველაშვილი პ. 834.
მარგიანი გრ. 170.
მარტიროსოვი ა. 709.
მარუაშვილი ლ. 308, 438a.
მაქაძე ნ. 653.
მაღლაკელიძე შ., დ. 16.
მაჭავარიანი ე. 86, 309.
მახათაძე მ. 710, 752.
მგელიაშვილი თ. 382.
მეგრელიძე ი. 87-89, 230, 310, 310ა, 335, 383, 384, 439, 539, 539a, 592, 654, 711, 753.
მენაბდე დ. 655.
მენაბდე ლ. 90, 311, 493, 494ა, 494, 495, 540, 582, 586, 593, 594, 712-713a, 835, 836, 895.
მეჟელაიტისი ე. 496.
მესხია შ. 231.
მეტრეველი ე. 192, 361, 871.
მეტრეველი რ. 91.
მიმინოშვილი რ. 19, 30.
მირიანაშვილი რ. 714.
მიქატაძე ჯ. 63.
მიქაძე გ. 92, 232, 440, 595.
მიქაძე კ. 93.
მჟავანაძე ზ. 896.
მშვიდობაძე მ. 94.
მჭედლიძე ა. 656.
მჭედლიძე ბ. 312.

ნადარეიშვილი გ. 837.
ნადარეიშვილი ი. 313.
ნადირაშვილი ნ. 799.
ნათაძე ნ. 441, 442, 497, 596-598.
ნატროშვილი გ. 430.
ნატროშვილი თ. 800.
ნინოშვილი გ. (გ. შარაძე) 96.
ნოზაძე ვ. 443, 657, დ.11.
ნოიკომი რ. 385.
ნონეშვილი ი. 443a.
ნუცუბიძე შ. 97, 233, 314, 715, 897, 898.

ოლგუნი (თავაძე) ქ. 234.
ონიანი შ. 599, 716, 899.
ონიანი ჯ. 838.
ორლოვი ი. 313.
ოჩიაური თ. 98.
ოშეროვიჩი ვ. 99.
ოხრიმენკო პ. 100.

პავლიაშვილი ფ. 101.
პავლიუკი მ. 235.
პაიკიძე ვ. 498.
პაპუაშვილი თ. 839.
პატარიძე რ. 600, 658, 717, 801.
პეჩი გ. 236.
პიკი მ. 237.

ჟაჟიევი ა. 386.
ჟორდანია აპ. 102, 444.
ჟორდანია ნ., დ.12.
ჟორდანია ს. 387.
ჟღენტი ბ. 542.

რადო დ 315.
რავიჩი ს. 238.
რატიანი ზ. 802.
რატიანი პ. 239, 316, 317, 445, 601, 659, 754, 840.
რევიშვილი შ. 103, 104, 240, 241, 318, 319, 319a, 388, 389, 446, 447.
რეხვიაშვილი ს. 602.
რუგოშელი ა (ტოტოჩავა) 105, 320.
რუსთაველი/რუსთველი შ. 242, 321-324, 390, 390a, 390ბ, 448, 449, 499, 499a, 603-607, 660-666, 718-719d, 755-761, 803-807, 842-843a, 900.
რუხაძე ნ. 69, 450, 543, 667, 845.
რუხაძე ტ. 500, 762.
რჩეულიშვილი ი. 106.
რცხილაძე ვ. 243.

სალია კ. 391.
სალია ნ. 107.
სალუქვაძე გ. 108.
სალუქვაძე მ
სამარინი რ. 109.
სამსონიძე ვ. 391a.
სანიკიძე თ. 325.
სარჯველაძე ზ. 846.
სევაკი გ. 722.
სერებრიაკოვი ს. 110, 244, 392, 453, 544, 608, 609, 723, 724, 847.
სვობოდა ი. 111.
სიდამონიძე ვ. 245, 809.
სიკირიცკი ი. 112.
სირაძე რ. 113, 326, 327, 501, 545, 670, 763.
სიხარულიძე ქ. 114, 245a.
სკალა ი. 115.
სკლიუტაუსკასი ი. 454.
სოლანო ლ 393, 502.
სოხაძე ა. 246.
სტოვბუნი ი. 848.
სტოიანოვი ლ. 116.
სტრატიევა ა. 117.
სულავა ნ. 671, 725, 849.
სურგულაძე ი. 118, 764, დ. 13.

ტაბატაძე ვ. 247.
ტაბიძე ტ. 119.
ტანიმანიდი პ. 393a.
ტიხონოვი ნ. 120, 810.

უაიტი მ. 144.
უბილავა ნ. 902.
ურიდია ო. 145.

ფანჩულიძე დ. 455.
ფანჯიკიძე გ. 850.
ფარულავა გ. 582.
ფენრიხი ჰ. 394.

ფინი ე. 395.
ფირცხალაიშვილი რ. 255-257, 456, 547-549, 610.
ფოცხიშვილი ალ. 504, 903.
ფრანგიშვილი ალ. 258.
ფურცხვანიძე ა. 811.
ფუშე მ. 146.

ქავთარაძე ი. 259.
ქავთარია მ. 457.
ქართველიშვილი გ. 610a.
ქვლივიძე მ. 147.
ქოიავა ნ. 148.
ქუთათელაძე ალ. 505, 506.
ქუთათელაძე ლ. 396.
ქუმსიშვილი დ. 149, 150,260, 331, 332, 397, 458, 507, 550, 551
ქურდაძე შ. 522, 612.
ქურდიანი ე. 261.
ქურიძე ალ. 766.
ქუჩიშვილი ი. 61.

ღვინიევა ე. 333.
ღვინჯილია ჯ. 852, 853.
ღლონტი შ. 151-153, 162, 163, 334, 335, 398, 399.
ღულომი ჰ. 154.

ყაზაიშვილი ბ. 63.
ყაუხჩიშვილი ს. 335, 613.
ყუბანეიშვილი ს. 459, 553, 675.

შადური ვ. 264.
შაველაშვილი შ. 676, 767.
შამელაშვილი რ. 155, 768.
შანიძე ა. 156, 336-339, 554, 614, 729, 769, 854, 905, დ. 17.
შარაძე გ. 96, 265, 400, 401, 460, 461, 555-557, 615, 770, 813, 814, 855, 906.
შარია პ. 402, 508, 730, 731, 771, 772.
შაყულაშვილი გ. 509.
შენგელია მ. 266.
შერვაშიძე ი. 856.
შლიონსკი ა. 340.
შოშიაშვილი ნ. 341.
შულცი ს. 773.

ჩანტლაძე ვ. 342.
ჩარკვიანი კ. 732.
ჩატერჯი ს. კ. 343.
ჩაჩანიძე ვ. 510, 907.
ჩიკვაშვილი ც. 158, 167.
ჩიტაია გ. 268.
ჩიქობავა არნ. დ. 18.
ჩიქობავა მ. 908.
ჩიქოვანი ზ. 774.
ჩიქოვანი მ. 159.
ჩიჯავაძე შ. 160, 344-346, 462-464, 558-559a, 677-679, 733, 774a, 815, 816.
ჩოლოყაშვილი კ. 269.

ჩხარტიშვილი ა. 161.
ჩხეიძე თ. 909.

ცაიშვილი სარგ. 162, 163, 192, 270, 347, 361, 403, 404, 510a, 560, 616-620, 783, 857-859, 872.
ცანავა ა. 860.
ცინდელიანი უ. 561.
ცომაია ვლ. 164.
ცოცანიძე გ. 861.

ძიძიგური შ. 165, 405, 465, 510a, 734, 871, 872.

წაქაძე ი. 622, 735, 862.
წერეთელი გ. 166, 466, 511, 564.
წერეთელი კ. 613, 910.
წიწუაშვილი გ. 348.
წულუკიძე თ. 512.

ჭელიძე ჯ. 467, 911.
ჭილაია რ. 406.
ჭინჭარაული ალ. 167-169, 271, 349, 350, 407, 408, 513, 566, 680, 681, 736, 775, 912.
ჭიჭინაძე კ. 863.
ჭოლოკავა ნ. 351.
ჭოჭუა მ. 272.
ჭრელაშვილი ლ. 776.
ჭუმბურიძე ზ. 737, 913.
ჭურღულია ო. 352.

ხანთაძე შ. 170.
ხერხეულიძე მ. 273, 682.
ხვედელიძე რ. 409.
ხიდაშელი შ. 274, 514.
ხინთიბიძე აკ. 311, 353, 482, 738.
ხინთიბიძე ანტ. 354.
ხინთიბიძე ე. 171, 275-277, 355, 356, 410, 410a, 468, 515-517, 567, 623, 683, 864.
ხმალაძე პ. 357.
ხუბულური ლ. 518.
ხუბუტია პ. 258.
ხუსკივაძე ი. 684.
ხუციშვილი ნ. 519.
ხუციშვილი ს. 172.

ჯანაშვილი მ. 307.
ჯანგიძე მ. 739.
ჯანელიძე დ. 173, 411, 520.
ჯაფარიძე ა. 521.
ჯაფარიძე გ. 624, 865.
ჯაფარიძე გოჩა 685.
ჯაყელი მ. 174-177, 278.
ჯაში ნ. 866.
ჯიბლაძე გ. 178, 686.
ჯიოშვილი ი. 568.
ჯიქია ს. 613.

# პირთა საძიებელი

(ციფრი უჩვენებს სტატიის ნომერს. საძიებელში შეტანილი არაა შოთა რუსთველი/რუსთაველი და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელები).


აბაშიძე ირაკლი 230, 257, 323, 400, 662, 760, 831.
აბაშმაძე ვახტანგ 355.
აბდულინი ჰამზა (ხამზა) 607, 626a, 643, 673.
აბუ-ალი-იბნ-სინა (ავიცენა) 56.
აბულასან იობის ძე 754.
აბულაძე ე. 67.
აბულაძე იუსტინე 75, 89, 175, 653, 797a, 909.
აბუ-ხანიფა დინავარი 679.
ადეიშვილი შ. 418.
ადჰამი ა. 843b.
ავალიშვილი გიორგი 145.
ავალიშვილი ზურაბ 344, 724, დ.5.
ათთალაჰ შირვანელი 687.
ალბერტი რ. 95.
ალ-ბირუნი 56, 382
ალიევა დილარა 229, 790, 804.
ალტერი ფ. 319a.
ამაშუკელი ნელი 122, 236, 370,417, 668.
ამიანე მარცელინე 679.
ამირანაშვილი შალვა 307, 556.
ამირანი (მითიური გმირი) 246.
ანგელოვი ცვეტან 540, 712.
ანდრიაშვილი ი. 310.
ანდღულაძე ლია 539 a, 570.
ანტონ კათალიკოსი 192, 855.
არეოპაგელი – იხ. ფსევდო – დიონისე.
არიოსტო 545.
არისტარქე სამოსელი 184.
არისტოტელე 275, 276, 410, 516, 524a, 623, 683, 695.
არსენიძე რ., დ. 8.
არქიმედი 184.
ასატური გ. 190.
ასფალგი ი. 446.
აშქაბუსი („შაჰ-ნამე“) 320.

ბაბურიანი მ. 101, 249.
ბაგრატიონი არჩილ (მეფე) 192, 583.
ბაგრატიონი გიორგი, II, 219.
ბაგრატიონი დავით (აღმაშენებელი) 195.
ბაგრატიონი ერეკლე, I (ნაზარალიხანი) 770.
ბაგრატიონი ერეკლე, II, 203.
ბაგრატიონი ვახტანგ, VI, 12, 87, 163, 192, 292, 383, 666, 702, 802.
ბაგრატიონი ვახუშტი 182.
ბაგრატიონი თეიმურაზ, I, 682.
ბაგრატიონი თეიმურაზ, II, 199.
ბაგრატიონი თეიმურაზ გიორგის ძე 87, 92, 145, 188, 389, 396, 507, 557.
ბაგრატიონი თეიმურაზ (აშშ) 204, 494.
ბაგრატიონი იოანე 181.
ბაგრატ მუხრანბატონი 316.
ბაგრიანა ე. 540.
ბაკირჯიევი სტოიან 518, 540, 666 a, 712.
ბალმონტი კ. 8, 9, 10, 51, 138, 360, 570.
ბაჟანი მიკოლა 606.
ბარათაშვილი მამუკა 863.
ბარათაშვილი ნოდარ 71, 94.
ბარამიძე ალ. 19, 81, 129, 130, 159, 157, 481a, 491, 530, 551, 611, 724, 761, 766, 831, 842.
ბარდაველიძე ვერა 98.
ბარტდინსკი იპ. 188, 280.
ბარტელსი ა. 446.
ბასტამიანი სტეფან 190, 281, 627.
ბაუმგარტნერი ალ. 446.
ბაუმშტარკი ა. 319a.
ბაქანიძე ოთარ 247.
ბაქრაძე ა. (არქიტ.) 31, 124.
ბაქრაძე ჯ. 215, 618.
ბაჰრამ გური 528.
ბედია ერმილე 690.
ბენაშვილი დიმ. 211.
ბეჟუას ქალი 296.
ბერიძე ვუკოლ 620.
ბერიძე როლანდ 491.
ბერიძე შალვა 885, დ.8.
ბერკოვი პ. 23, 130, 415.
ბერნარდ დე ვენტადორნი 79.
ბერძენიშვილი მერაბ 137, 329.
ბერძენიშვილი ნიკო 81, 231, 871, 882.
ბერძენოვი ნ. 751.
ბესთაუთი (ბესტაევი) გიორგი 386, 661, 693, 726.
ბიწაძე ანდრია 207.
ბიწაძე ივანე 518, 540, 712.
ბობრინსკი (ბორენი) ა. 455.
ბოდენშტედტი ფრ. 319a.
ბოიარდო 545.
ბოლხოვიტინოვი ევგ. 188, 476, 813.
ბორენა (ცოტნე დადიანის მეუღლე) 377.
ბოჩაროვი ნიკ. 770.
ბრაუნი იან 727, 737.
ბრაუნი ჰელმუტ 273.
ბრეგაძე დავით 212.
ბრიუნი მ. 244.
ბროსე მარი 87, 188, 383, 396, 507.
ბრუნი ნინო 8, 51.
ბუაჩიძე გასტონ 224, 664, 873.
ბუდენზიგი ჰერმან 319, 417, 432, 434,450, 477, 489, 519, 536a, 631, 710a, 631, 719a, 748a, 876, 877.

გაბაშვილი ბესარიონ 890.
გაბაშვილი ვალერიან 822.
გაბაშვილი ტიმოთე 192, 557, 858.
გაბე დორა 540.
გაგნიძე ჯუმბერ 808.
გამყრელიძე თამაზ 491.

გაპონოვი ბორის 6, 29, 125, 282, 287, 307, 322, 340, 348, 363, 490, 650.
გარსევანიშვილი გიორგი 888.
გარსევანიშვილი იესე 888.
გარსევანიშვილი მიქელ 888.
გარიდო ა. 494.
გარჩესი ხ. 494.
გაფრინდაშვილი ვ. 52.
გაჩეჩილაძე ამბერკი 871.
გაჩეჩილაძე გივი 491.
გაწერელია აკაკი 613, 671, 738, 785.
გვაზავა გიორგი დ.8.
გვახარია ალ. 697.
გელაშვილი ჯანა 848.
გელოვანი აკაკი 519, 591.
გიგინეიშვილი მანანა 617.
გიგინეიშვილი ივანე 132, 247, 682, 709, 734, 782.
გილგამეში 122.
გიორგი III (მეფე) დ. 2.
გისვეინი შ. 305.
გიუნაშვილი ჯ. 60,372, 808.
გოგებაშვილი იაკობ 90, 172.
გოგიბერიძე მოსე 13, 696.
გოგუა ედ. 842.
გოეთე ი.ვ. 69, 319.
გოიტისოლო ხ. 95.
გოლცევი ვ. 223.
გორგაძე სერგი 357.
გორდეევი დ. 461.
გორდლევსკი ვლ. 636.
გორკი მაქსიმ 264.
გოტფრიდ სტრასბურგელი 731, 771.
გოძიაშვილი, დ. 9.
გრაიჩიუნასი ი. 449, 452, 496.
გრიგოლ ბატონიშვილი 181.
გროგოლ ნოსელი 695.
გრიგოლია კონსტ. 481.
გრიგორიანი კ. 99.
გრიგოროვიოსი ფერდ. 798.
გრინევსკაია, იზ. 280, 412, 523.
გრიშაშვილი ი. 412.
გუგუშვილი მერი 530.
გუგუშვილი პაატა 180.
გუდიაშვილი ლადო 57.
გულაკი მ. 819.
გურამიშვილი დავით 71, 185, 195, 199, 619, 738, 890.
გურგენი („ენიკოლოფი“) 203.
გურტიევი სალიხ 602.
გურული კობა 126.

დადიანი ნიკო, დ.1.
დადიანი გრიგოლ 188.
დადიანი ლევან (II) 186 .
დადიანი შალვა 16.
დადიანი ქეთევან 67.
დადიანი ცოტნე 377.
დავითაშვილი ი. 35.
დავით იმამყულიხანი 651, 770.
დავით სოსლანი 82.
დანტე ალიგიერი 84, 372, 545.
დარჩია ბორის 129, 680.
დაულეთბაევა მ. 30.
დე ლა ტორე ბოტარო, გუსტავო 35, 84, 117, 158, 443a, 494.
დე სენტ მორი, ბენუა 109.
დიასამიძე გრიგოლ 468.
დივნოსი/დიონისე (ბერძ. ღვთაება) 394.
დიონისე / დიონოსი იხ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი.
დოდაშვილი სოლ. 188.
დოლაქიძე შ. 285.
დოლიძე ი. 231.
დონდუა მარგ. 468.
დუდუჩავა ალ. 230, 401.
დურგანიანი მ. 281.

ებრალიძე მამია 85 , 162.
ებრალიძე რევაზ 25.
ეგნატაშვილი ბერი 199.
ევტუშენკო ევგენი 95.
ევლახოვი ივ. 188, 280.
ეზროს 298, 331, 655, 744.
ელსნერი ვლად. 540.
ენიკოლოფაშვილი აპრიამი 203.
ენცენსბერგერი ჰ. 95.
ერასტოსთენე კირენელი 184.
ერისთავი კონსტ. 468.
ერისთავი რამაზ 401.
ეფრემ მცირე 191, 196.
ექვთიმე მთაწმინდელი 196.

ვაზოვი ივანე 540, 712.
ვაჟა-ფშაველა 36, 71, 90, 629.
ვარმი გიუნტერ 185, 208.
ვაცულინი ი. 713.
ვაჩნაძე ბ. 199.
ველჩევი ვ. 712.
ვეორეში შ. 24, 315, 474, 526, 633.
ვერგილიუსი 69.
ვიგერი ა. 273.
ვიგლერი პ. 446.
ვივიანი ქეთრინ 759, 893.
ვიკარი ბელა 24, 295, 305, 315, 473, 474, 633.
ვირსალაძე ელენე 159.
ვირსალაძე თინათინ 645.
ვოლტერი 28.
ვოლფრამ ფონ ეშენბახი 109, 429, 545, 731.
ვორონცოვი მ. 401.
ვურღუნი სამედ 747.

ზაბოლოცკი ნ. 323, 662, 669, 761, 807.
ზაგურსკი ეჟი 719c, 727, 911.
ზარათუშთრა 696.
ზარეცკი ა. 100.
ზარინქუბი ჰ. 421.

ზაუტაშვილი ნ. 121.
ზედგინიძე გიორგი 871, 913.
ზედგინიძე გურამ 38.
ზედგინიძე ც. 101.
ზვონაკი ა. 100, 512.
ზიჩი მიხაი 24, 265, 483, 814.
ზურაბაშვილი ა. 46, 62, 439.
ზურაბიშვილი ლ. 67.

თავაქარაშვილი მ. 173, 186, 569a, 684.
თავზიშვილი გ. 47.
თამარაშვილი მიხ. 836.
თამარ მეფე 122, 642, 651, 746, 832.
თაყაიშვილი ექ. 347, 461, 500, 599.
თევზაძე გიორგი 811, 833, 840, 850, 854, 872, 880, 884.
თერზიბაშიანი ვ. 281.
თვარაძე რევაზ 671.
თილი ებ. 240.
თმოგველი სარგის 49, 201.
თოდუა მაგალი 416, 486.
თოლორაია დავით 473.
თუმანიანი ო. 281.
თუმანიშვილი გ. 547.
თურქია დ. 280ა, 523.
თხაგაზიტოვი ზებერ 602.

იაკობსონი რომან 494.
იანქოშვილი ნ. 896.
იაშვილი პაოლო 52, 468.
იბნ ეზრა მოშე 823.
იბნ სინა (ავიცენა) 723.
იედლიჩკა ი. 240, 713.
ივანიცკი-ინგილო რ. 223, დ.8.
იიეში დ. 95.
იმედაშვილი გ. 81, 119, 285.
იმნაძე კოტე დ. 9.
ინგოროყვა პ. 13, 255, 257, 260, 430, 500, 781.
იოანე დამასკელი 182.
იოანე პეტრიწი 185, 191, 196, 202, 266, 274, 410, 671.
იორდანიშვილი სოლ. 643, 669, 757, 873.
იოსელიანი პლ. 809, 855, 906.
ისკანდერი („ისკანდერ-ნამე“) 572.
იუნგერი ჰ. 185.

კაენი (ყაისი) 300.
კაკაბაძე ნოდარ 577.
კაკაბაძე სარგის 5, 81, 231, 413, 469, 500.
კანდელაკი ბორის 630.
კაპანაძე ზ. 242, 254, 719a
კარაიანი (კარაპეტიანი) ოვანეს 627, 788.
კარაკოსტოვი სტეფან 540, 712.
კარმანი რ. 240.
კარტოზია გურამ 417, 541, 611.
კასრაძე დ. 25, 93.
კასრაძე სვიმონ 789.
კეკელიძე კ. 81, 159, 696, 800, 859.
კეკელიძე ლ. 530.
კერძევაძე ვ. 696.
კეშოკოვი ა. 95.
კვანჭილაშვილი ტ. 799.
კიკვიძე ცოტნე 541.
კობახიძე ალ. 396.
კობიძე დავით 5, 591.
კოლოანო ფრ. 443a.
კომიამა რიოხე 487.
კონრადი ნ. 545, 670, 715.
კოპერნიკი ნ. 389.
კორინთელი ა. 440.
კრეტიენ დე ტრუა 79, 109, 284, 724, 731, 847.
კრეცუ იგორ 30, 660.
კრნო მ. 900a.
კრონოსი 331, 467.
კროსლი-ჰოლანდი კ. 225, 228, 242.
კუბაცკი ვ. 238.
კუპრავა ვახტანგ 519, 718.
კურელა ალფრედ 95.

ლაბახუა კ. 272.
ლაისტი ა. 73, 110, 318, 319a, 378, 459.
ლალიაშვილი გრ. 422.
ლანგი დევიდ 207, 242, 254, 297, 365, 471, 493a, 759.
ლაპჩინსკი კ. 224, 488.
ლარაძე პ. 195, 547.
ლასურია მუშნი 546a, 805.
ლაქშმანა („რამაიანა“) 294.
ლაშა გიორგი 692.
ლაშქარაძე დ. 668.
ლე ვინი 247a.
ლეონიძე გ. 217, 230.
ლეონტი მროველი 679.
ლითანიშვილი ო. 31, 124.
ლილიევი ნ. 712.
ლოლაშვილი ი. 65, 197, 202, 530, 770.
ლომონოსოვი მ. 68.
ლორთქიფანიძე შალვა 523.

მადან ლალ მაჰდუ 485a.
მაიერი ი. 53, 104, 185, 208.
მალში ა. 798, დ. 14.
მამა ილია (დეკანოზი) 67.
მანველიშვილი ალ. 67, დ.8.
მარი ნიკო 99, 360, 636, 909, დ. 18.
მარგველაშვილი გ. 139.
მარკიზ დე კუევა 69.
მარსელ-პაონი ა. 455.
მარტვილელი (ოდიშარია) კ. 698.
მარუაშვილი ლ. 826.
მარშევი ი. 96.
მაქსიმე აღმსარებელი 182.
მაღრაძე ელგ. 659.
მაყაშვილი ათანასე 809.
მაყაშვილი ეკატ. 809.
მაჩაბელი ივანე 73.

მახათაძე მიხ. 167.
მეგრელიძე იოსებ 5, 159, 398, 532, 625, 787, 844, 901.
მეკული ესად 250.
მენაბდე ლევან 177, 720, 808.
მეჟელაიტისი ედ. 449.
მერაბიშვილი ა. 117.
მეტრეველი ელ. 317, 645.
მეუნარგია იონა 265, 461, 468, 901.
მზარეულოვი (რეულო) ნ. 280ა, 523.
მზეხათუნი (დავით ბაგრატიონის ასული) 595.
მირიანაშვილი პეტრე 753.
მირთემირი 154.
მირიმანიანი ა. 190.
მირიმანიანი რ. 627.
მიტაფიდი მანოლის 510, 798.
მიქავა ნ. 183.
მიქელაძე ეკ. 280a, 523.
მორი თომას 380.
მუზაევი ნ. 253, 324.
მურადიანი გ. 281.
მურავიოვი ა. ნ. 188.
მუსრეპოვი გაბიტ 607, 626a.
მუხაძე ი. 68.
მუჰამედ ალ-ხორეზმი 56.
მღვიმელი შიო 94.

ნადირაშვილი ნიკო 706.
ნადირაძე გ. 218.
ნავაი ალიშერ 545.
ნავარეტე პ. ნ. 443a, 494.
ნავროცკი ალ. 235, 523, 819.
ნათაძე ნოდარ 81, 223, 491, 504, 604, 612, 719, 724.
ნაკაშიძე გ., დ. 8, 9.
ნანიტაშვილი ლ. 803.
ნატროშვილი თამაზ 773.
ნემესიოს ემესელი 266, 410, 516, 849.
ნიზამი განჯელი 54, 109, 284, 299, 492, 572, 731, 742.
ნიკოლაძე ი. 58, 90.
ნიუტონი ი. 389.
ნოვიჩენკო ლ. 95.
ნოზაძე გიორგი 657.
ნოზაძე ვიკტორ 67, 285, 344.
ნოიკომი რუთ 96, 605, 610a, 798.
ნორაკიძე ვლ. 164.
ნუცუბიძე შალვა 70, 102, 159, 283, 427, 438, 444, 670, 755, 843a, 907.

ოვანოვი კ. 523.
ომაინი 285b.
ორბელი ი. 281.
ორბელიანი ალ. 401.
ორბელიანი ელისაბედ 468, 669, 757, 873.
ორბელიანი სულხან-საბა 163, 193, 338, 702, 816.
ორლოვსკაია ნ. 720.
ოსმანოვი ალიყულ 499a, 719დ.

ოჩიაური თ. 559.

პავლე (მოციქული) 745.
პავჩეკი ტონე 639, 663, 798.
პანამიხაილო გ. 798.
პაპავა ალ. 136.
პარი გასტონ 608.
პასილი გ. 836.
პატარაია გ. 848.
პატარიძე რ. 775, 783.
პერცოვი ვ. 95.
პეტრე დიდი 68.
პეტრე იბერიელი (ფსევდოდიონისე) 185, 191, 792.
პეტრენკო პ. 310a.
პეტრიწი იხ. იოანე პეტრიწი.
პეჩი გ. 103, 241, 388, 434.
პლატონი (ბერძ. ფილოს.) 191, 514, 516, 524a, 792, 823.
პოპანდოპოლისი ხ. 848.
პორტუონდო ანტონიო 494.
პრიტვიცი მარია 110, 378, 485.
პროკლე დიადოხოსი 202, 266, 516,745, 849.
პროპი ვ.ი. 830.
პრუხნიცკი ი. 333.
პტოლემაიოსი 641.
პუშკინი ალ. 68, 79.
პშიბოსი ი. 95.

ჟაროკოვი ი. 30.
ჟირმუნსკი ვ. 284.
ჟორდანია გ. 142.
ჟორდანია ნ. 285.
ჟღენტი ბ. 660.

რავიჩი ს. 33, 808.
რამა („რამაიანა“) 294.
რაპარი ვ. 798.
რატიანი პ. 170, 192, 335, 341, 361, 381, 654.
რაჰიმი მამედ 747.
რდულტოვსკი კ. 224, 333.
რევიშვილი შ. 720.
რეულო იხ. მზარეულოვი.
რილსკი მ. 409.
რიცოსი იანის 798.
რომანი ი. 24.
რომენსკი ი. 522, 523.
როსტოვსკი ს. (ერნსტ გენრი) 389.
როსტომი („შაჰ-ნამე“) 75, 320.
როსტომ ხანი (ბაგრატიონი) 818.
რუიკა-ფრანცი ვ. 719b.
რუსთამი სულეიმან 747.
რუსუდანი (მეფე) 832.

საბაშვილი ს. 192, 199, 316.
სალამანი 300.
სალია ნინო 707, 756.
სანგვინეტი ედ. 95.

სარაჯიშვილი ალ. 235, 383, 522, 901.
სარდადვარი ჰ. (თალებ-ზადე) 372.
სატურნუსი 467.
საღარაძე ლევან 910.
საყვარელიძე ნ. 191.
სევაკი გ. 101, 249, 281.
სემეჟონი ი. 100.
სერებრიაკოვი ბორის 280a, 523.
სვანიძე ალ. 468, 539a, 821.
სიბინოვიჩი მ. 798.
სიკირიცკი იგორ 135, 806.
სიზდიკოვი ჟ. 30.
სიტა („რამაიანა“) 294.
სიხარულიძე ქ. 159.
სოკრატე 524a.
სოლოგუბი ვ. 280, 523.
სოლოვიოვი პ. 188.
სოლომონ I (იმერეთის მეფე) 556.
სოლოღაშვილი მ. 106.
სოსელია გ., დ.13.
სოსლანი შ. 264.
სოფოკლე 115.
სოღორაშვილი გრ. 245.
სპინოზა 389.
სტალინი ი. 283, 629.
სტალინსკი ე. 280.
სტაროსტი მ., დ.9.
სტივენსონი რ. 360, 758,883, 893, 902.
სტივენსონი ფ. 67.
სტოიანოვი ლ. 540.
სუგრივა („რამაიანა“) 294.
სულთან-ჰუსეინი (ირანის შაჰი) 615, 751, 770.
სურგულაძე ი. 355, 415.
სურკოვი ა. 95.

ტაბიძე გ. 36, 528a.
ტაბიძე ტ. 52, 138.
ტასო ტორკვატო 545.
ტაუფერი ი. 95.
ტბელი გრიგოლის ძე 377.
ტემნოვოვა ვ. 713.
ტერეშჩენკო მ. 409.
ტერიანი ვ. 190, 281, 627.
ტიჩინა პ. 409.
ტიხო დე ბრაჰე 850.
ტიხოვსკი პ. 235.
ტოდოროვი ა. 540.
ტოროშელიძე მ. 690, 732.
ტროიცკი ი. 401.
ტხორჟევსკი ი. 280.

უაიტი მ. 494.
უოლესი ჯ. 95, 494.
უორდროპი ანდრე 242.
უორდროპი მარჯორი 78, 134, 242, 475, 760, 893.
უორდროპი ოლივერ 619.
ურუშაძე აკაკი 491.
ურუშაძე ვენერა 78, 225, 228, 242, 254, 312, 392, 475, 843, 893.
უსისოო უნო 644.
უტროფი როზა 770.

ფათემი მ. 60, 372.
ფანჩულიძე დ. 720.
ფანცხავა რ. (ხომლელი) 711.
ფაშალიშვილი ჟ. 67.
ფენრიხი ჰ. 435, 447.
ფერაძე გრ., დ. 8, 9.
ფერსმანი ა. 395.
ფინკი ფ. ნ. 319a.
ფირდოუსი 284.
ფირცხალავა ს., დ.8.
ფირცხალაიშვილი რ. 680.
ფიცჯერალდი ე. 32.
ფლური ლ. 96.
ფომინი ე. 409.
ფონ ფელდეკე 109.
ფოსი ი. 319.
ფოცხიშვილი ალ. 442.
ფსევდოდიონისე არეოპაგელი 103, 196, 236, 274, 298, 331, 364, 427, 514, 655, 744.
ფუკურო იპეი 222, 487, 499.

ქადეიშვილი ნ. 391.
ქავთარაძე ივანე 592.
ქავთარაძე მიხ. 67, 657.
ქართველიშვილი შ. 468.
ქახრემანი 128.
ქებაძე პ. 145.
ქვლივიძე მიხ. 556.
ქრისტე 1, 74, 191, 195.
ქუმსიშვილი დ. 189, 298, 414, 498, 524, 542, 652.
ქურდიანი ე. 310.

ღლონტი შ. 221, 278, 301, 384.

ყანჩელი ალ. 468.
ყაუხჩიშვილი ს. 81, 510.
ყიასაშვილი ნ. 225, 228, 242.
ყიფიანი გიორგი 67.
ყუბანეიშვილი სოლ. 92, 435, 530, 832.
ყუთლუ-არსლანი 4.

შავიშვილი ხ. 798, დ. 14.
შათირიშვილი ალ. 67.
შანიძე აკაკი 1,2, 65, 66, 81, 88, 92, 129, 151, 233, 257, 263, 666.
შარაშიძე გ. 67.
შარაშიძე ქრისტინე 500.
შარაძე გურამ 574, 582, დ.1, 4, 5.
შარია პეტრე 724, 742, 825.
შარტი ს. 523.
შეიხ-ზადე მ. 154.
შელიაკოვი ი. 207.
შერი ი. 319ა.
შერვაშიძე ოთარ-ბეგი 698.
შექსპირი უ. 32, 69, 115, 372.

შიშმარიოვი ვ. 360.
შლიონსკი ა. 282, 307, 322.
შოთა კუპრი (კუპარი), ჰერეთის ერისთავი 708.
შოთა, ჟინოვანის მფლობელი 754.
შოშიაშვილი ნ. 413, 445.
შპულერი ბ. 273.
შტინბერგი ვ. 207.
შუმოვსკი ტ. 687.
შუჰარტი ჰ. 24.

ჩალოიანი კ. 715.
ჩარკვიანი კ. 690.
ჩატერჯი ს.კ. 359.
ჩაჩანიძე ვ. 898.
ჩახრუხაძე 817.
ჩერეპნინი ა. 133.
ჩერნი ვ. 131.
ჩერნიხოვსკი შ. 348.
ჩეხოვა ა. 713.
ჩიქობავა არნ. 266, 371.
ჩიქოვანი მ. 230, 426.
ჩიჯავაძე შ. 98, 338.
ჩოლაყაშვილი ანა 770.
ჩოლოყაშვილი ნიკ. 645.
ჩუბინაშვილი გ. 871.
ჩუბინაშვილი დ. 188, 338, 383, 797, 856.
ჩუბინაშვილი ნ. 188, 338, 588, 856.
ჩქოტუა დ. 352.
ჩხეიძე რეზო 117.
ჩხენკელი კიტა 96, 798.

ცაგარელი ალ. 22, 94, 645, 766.
ცაიშვილი სარგის 13, 216, 223, 317, 400, 405, 413, 457, 541, 574, 591, 603, 611, 669, 702, 748, 844, 871, 901.
ცინცაძე კ. (ეკაშვილი) 415.
ცინცაძე ნ. 67.
ცისკალაური/ცისკარაული გიორგი 295, 473, 633.
ციცერონი 524a.
ციციშვილი მანუჩარ (ნანუჩა) 778, 818, 869.
ციციშვილი ნოდარ 528.
ცომაია ლ. 58.

ძაქაძე იზოლდა 702.
წერეთელი აკაკი 36, 71, 90, 890.
წერეთელი გიორგი 39, 257, 444, 476, 491, 503, 541, 560, 565, 576, 611, 613, 645, 647, 738, 831, 856.
წერეთელი გრიგოლ 295, 473.
წერეთელი ზურაბ 595.
წერეთელი მიხეილ 45, 65, 197, 378, 417, 631, 665, 707, 748a, 756.
წერეთელი სალომე 595.
წერეთელი სიმონ 595.
წიკლაური გიორგი 305, 315.
წულაძე სერგი 79, 223.

ჭაბაშვილი მიხ. 533.
ჭავჭავაძე ილია 36, 71, 73, 90.
ჭიაბერი (მანდატურთუხუცესი) 413, 754.
ჭილაძე თამაზ 95.
ჭინჭარაული ალექსი 533, 590, 604, 783, 801.
ჭიჭინაძე კ. 257, 311, 383, 690, 732, დ.12.
ჭუმბურიძე ზ. 871.

ხადური ალ. 58.
ხაიამი ომარ 32.
ხაიტმეტოვი ა. 715.
ხალვაში ფ. 25.
ხალილი ნიზარ 303, 328, 714, 910.
ხახანაშვილი ალ. 383.
ხეთერელი თ. 720.
ხელაშვილი ნიკოლაოს (იეროდიაკონი) 433.
ხვედელიძე რ. 235, 819.
ხვედოროვიჩი მ. 100, 512.
ხიდაშელი შ. 97, 696, 715.
ხინთიბიძე ა. 482, 491.
ხინთიბიძე ე. 617, 796.
ხოსრო დეჰლევი 374.
ხოძკო ალ. 188.
ხუციშვილი ნ. 417, 668.

ჯავადი ა. 229, 747, 790, 804.
ჯაველიძე ე. 234.
ჯავახიშვილი ივ. 495, 691, 694, 705, 794.
ჯანაშვილი მ. 5, 374, 800.
ჯაფარიძე გ. 93.
ჯგუშია დ. 214.
ჯიბლაძე გ. 14, 161, 174.
ჯინჯიხაშვილი ფ. 808.
ჯიშკარიანი ნ. 822.
ჯობაძე ნ. 31, 124.

ჰაუზერი ო. 319a.
ჰეგელი 524ა.
ჰიდაში ა. 95.
ჰიპარქოსი 184.
ჰიუგო ვ. 28.
ჰომეროსი 32, 69, 777.
ჰოჰოფი კ. 69.
ჰუპერტი ჰ. 26, 69, 95, 110, 318, 378, 390b, 393a, 450, 900.

# საგნობრივ-თემატური საძიებელი
(ციფრი უჩვენებს სტატიის ნომერს)

1. ,,ვეფხისტყაოსნის" (შემდეგ — შემოკლებით: ვტ-ის) ქართული გამოცემები 321, 390, 390a , 603, 604.
2. ლიტერატურა (ინფორმაცია, რეცენზიები) ვტ-ის ქართულ გამოცემებზე 145, 233, 396, 403, 430, 549, 553, 612, 675, 719, 721, 756, 781, 803.
3. ვტ-ის სრული პოეტური თარგმანები:
   აზერბაიჯანულად 804.
   აფხაზურად 805.
   ბულგარულად 666 a.
   გერმანულად 390b; 605, 719a, 900.
   ებრაულად 322.
   იაპონურად 499.
   ინგლისურად 242, 448, 758, 759, 760, 843.
   ლიტვურად 449.
   მოლდავურად 660.
   ოსურად 661.
   პოლონურად 719c, 806.
   რუსულად 323, 662, 755, 761, 844.
   სლოვაკურად 900a.
   ტაჯიკურად 843b.
   უკრაინულად 606.
   ფრანგულად 757.
   ყაზახურად 607.
   ყირგიზულად 499a, 719d.
   ჩაჩნურად 324.
4. ვტ-ის პროზაული , შემოკლებული და ფრაგმენტული თარგმანები:
   გერმანულად 605, 665, 719b.
   ინგლისურად 758, 759 .
   რუსულად 807.
   სლოვენურად 663.
   ფრანგულად 664.
5. ლიტერატურა (ინფორმაცია, რეცენზია, თარგმნის თეორია) ვტ-ის თარგმანებისა და მთარგმნელების შესახებ 6, 8-10, 24, 29, 35, 44, 51, 60, 84, 100, 110, 134, 135, 139, 144, 154, 158, 188, 190, 222, 224, 228, 229, 235, 237, 253, 254, 264, 265, 267, 280-283, 287, 295, 303, 305, 307, 310a, 312, 315, 318, 319, 328, 340, 348, 363, 372, 378, 386, 392, 400, 412, 417, 431, 432, 434, 440, 454, 455, 459, 468, 472, 473, 474, 475, 485, 485a, 487, 488, 489, 490, 494, 510, 512, 518, 519, 522, 526, 536a, 539a, 540, 546a, 570, 593, 602, 610a, 625, 626a, 627, 631, 632, 633, 639, 643, 644, 650, 658, 668, 669, 673, 693, 707, 712, 713, 714, 720, 727, 747, 748a, 755, 788, 790, 808, 813, 873, 876, 877, 881, 885, 893, 902, 907, 910, 911, დ. 5,8.
6. ვტ-ის ხელნაწერები (აღწერილობა, დახასიათება, რედაქციები) 49, 200, 201, 203, 230, 270, 296, 347, 401, 403, 404, 405, 457, 530, 536, 547, 556, 569a, 582, 585, 595, 622, 637, 638, 649, 698, 735, 750, 789, 857, 879.
7. ვტ-ის ლექსიკონები, კომენტარები და სიმფონიები 163, 221, 245, 311, 482, 533, 574, 596, 620, 702, 862, დ. 3.
8. ა) ვტ-ის ავტორის ვინაობის და ბიოგრაფიის საკითხები 68, 170, 192, 239, 316, 317, 335, 341, 361, 377, 413, 445, 469, 500, 537, 601, 628, 654, 659, 706, 754, 799, 809, 858, 895, დ.12.
   ბ) გვარწოდების (რუსთაველი/რუსთველი) წარმომავლობა და თანამედროვე დაწერილობის საკითხი 7, 259, 381, 592, 866, 891.
9. ვტ-ის ლიტერატურული ჟანრის პრობლემა 22, 76, 205, 284, 402, 628, 749, 766.

10. ვტ-ის დაწერის თარიღი 260, 471, 537, 692.
11. ა) ვტ-ის სტროფული შედგენილობის პრობლემა 270, 403, 441, 780, 825, 868, 969.
ბ) ვტ-ის ტექსტის ჩანართები (ინტერპოლაციები) 270, 346, 403, 411, 532, 680, 717, 775, 778, 783, 801, 868, 869.
12. ვტ-ის პროლოგი („დასაწყისი") 82, 226, 306, 376, 403, 406, 475, 536, 550, 642, 651, 699, 700.
13. ვტ-ის დასასრულისა და გაგრძელებათა საკითხები 49, 50, 285b, 376, 424, 444, 480, 481, 529, 531, 601, 637, 690, 732, 899.
14. ვტ-ის ფაბულისა და სიუჟეტის წყაროს საკითხები:
ა) უცხოური მწერლობიდან ან ზეპირსიტყვიერი ეპოსიდან სესხების ვერსია 294, 374, 416, 436, 710.
ბ) ქართული მითოლოგია, ფოლკლორი და ვტ. 1, 159, 830, 860, 865, 886, 887.
გ) პოემის სიუჟეტში საქართველოს ისტორიული მოვლენების ალეგორიული ასახვა 219, 220, 226, 231, 260, 794, დ. 4.
15. რუსთაველის მსოფლმხედველობის წყაროები (ანტიკური და შუა საუკუნეების ქრისტიანული ფილოსოფია 103, 196, 266, 410, 427, 467, 514, 516, 683, 725, 731, 745, 763, 777, 787, 792, 796, 823, 824, 849.
16. რუსთაველის რელიგიური აღმსარებლობა და მსოფლმხედველობა 4, 27, 74, 113, 179, 182, 191, 195, 204, 236, 274, 289, 290, 293, 316, 362, 364, 417a, 427, 438, 475, 598, 617, 634, 670, 671, 683, 695, 696, 715, 731, 742, დ.10.
17. ვტ-ის თემატურ-იდეური ანალიზი: ა) ზოგადი დახასიათება 34, 37, 38, 41, 72, 102, 205, 225, 285a, 304, 343, 375, 379, 385, 391, 399, 472, 496, 552, 598, 628, 670, 704, 722, 740, 819, 898, დ.4, 11.
ბ) ვტ-ის სიუჟეტი და კომპოზიცია 226, 260, 399, 414, 652.
გ) ვტ-ის პერსონაჟები 15, 23, 46, 205, 260, 373, 414, 415, 628, 640, 657, 679, 714a , 774, 820, 821, 874.
დ) მიჯნურობა 149, 442, 544, 628, 657, 723, 724, დ.2.
18. ფსიქოლოგია და მედიცინა ვტ-ში 164, 258, 362, 373, 640.
19. ვტ-ის ენის საკითხები 40, 48, 132, 156, 166, 168, 169, 194, 199, 202, 210, 227, 271, 288, 302, 320, 336-339, 349, 350, 358, 367, 369, 371, 391a, 407, 408, 420, 443, 462, 464, 465, 478, 484, 486, 497, 511, 513, 525, 525a, 539, 543, 554, 558, 561, 566, 578, 579, 580, 586, 589, 590, 600, 614, 635, 646, 647, 648, 676, 678, 681, 682, 688, 701, 705, 709, 729, 736, 752, 767, 768, 769, 815, 816, 838, 846, 867, 878, 903, 905, 912, დ. 6, 7, 18.
20. რუსთაველის მხატვრული მეტყველებისა და სტილის საკითხები, ტროპები, აფორიზმები 152, 205, 245a, 260, 262, 278, 301, 332, 334, 344, 351, 456, 548, 610, 624, 628, 650, 718, 741, 743, 774a, 784, 795, 824, 837, 842, 863, 892.
21. სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები ვტ-ში 4, 20, 118, 179, 220, 231, 275, 355, 415, 524a, 573, 575, 618, 739, 764, 839, 875, დ. 13.
22. ვტ-ის პოეტიკა: ა) პოეზიის თეორია 260, 501, 508.
ბ) რუსთაველის შემოქმედებითი მეთოდი 326, 571, 572, 741, 817, 822, 864, 889.
გ) ვტ-ის ვერსიფიკაცია, მეტრი და რითმა 65, 108, 255, 256, 257, 325, 353, 444, 476, 491, 503, 512, 541, 546, 549, 564, 576, 584, 613, 738, 785.
23. ვტ-ის კოსმოგრაფია, ასტროლოგია და ასტრონომია 56, 74, 171, 184, 193, 277, 277a, 298, 437, 492, 515, 581, 587, 641, 683, 703, 744, 748, 791, 811, 827, 833, 840, 850, 854, 872, 880, 884.
24. ვტ-ის გეოგრაფიული ფონი 56, 308, 414, 677, 786, 826, 852.
25. აღმოსავლური რენესანსის პრობლემა და ვტ. 97, 196, 314, 715.
26. ვტ. და შუა საუკუნეების დას. ევროპის ლიტერატურა 26, 32, 53, 109, 205, 225, 244, 360, 389, 393, 429, 502, 544, 598, 608, 609, 657, 724, 730, 731, 771, 847, 883, დ.12.
27. ვტ. და შუა საუკუნეების აღმოსავლური პოეზია 61, 193a, 205, 284, 299, 300, 442, 545, 987, 731, 793, 837, 894.
28. ვტ. და ძველი ქართული მწერლობა 205, 423, 528, 583, 697, 778, 818.
29. ვტ. და ახალ ქართული ლიტერატურა 36, 52, 90, 94, 172, 528a, 686, 890.
30. ვტ. უცხოურ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში 104, 240, 297, 446.

31. მონოგრაფიული შრომები ვტ-ზე და რეცენზიები მათ შესახებ 161, 164, 167, 174, 205, 211, 214, 215, 216, 217, 218, 223, 260, 285, 290, 332, 414, 437, 524, 551, 628, 657, 659, 731, 734, 742, 782, 832, 897.
32. კრებულები რუსთველოლოგიურ საკითხებზე 5, 67, 96, 114, 273, 435, 562, 563, 619, 621, 629, 720, 733a, 779, 808, 870, დ.16.
33. დისერტაციების ავტორეფერატები რუსთველოლოგიური თემატიკით 201, 257, 270, 280, 289, 290, 332, 423.
34. ბიბლიოგრაფიული კრებულები 232, 523, 553, 626, 675, 720, 808, 907.
35. საჭურველი (საომარი იარაღი) და სამეურნეო საგნები ვტ-ში 59, 148, 342.
36. ტანისამოსი , სამკაული და ძვირფასი ქვები ვტ-ში 148, 342, 382, 395, 685, 908.
37. რუსთაველი მხატვრობაში, ქანდაკებაში, თეატრსა და მუსიკაში 25, 31, 58, 63, 69, 86, 93, 106, 124, 126, 138, 248, 309, 329, 330, 443a, 455, 493a, 520, 534, 588, 615, 630, 645, 751, 770, 776, 848, 871, 882, 913.
38. ვტ-ის ხელნაწერებისა და გამოცემების დასურათება 57, 147, 186, 461, 483, 814, 896.
39. ვტ-ის სწავლება სკოლაში 47, 357, 506, 552, 568, 656, 667, 684, 841, 845, 864.
40. რუსთაველის სხვა სავარაუდო თხზულებების შესახებ 45, 81, 197, 716, 746, 762, დ.1.
41. რუსთველოლოგიის ისტორია 66, 87, 92, 114, 263, 383, 403, 553, 628, 720, 808, 828,831, 835, 836, 853, 855, 859, 888, 901, 906, დ. 14, 15, 17.

## განხილული სიტყვა-ფორმები და ტერმინები
(ციფრი უჩვენებს სტატიის ნომერს)


აზავერი 227, 417a, 505a.
ამირბარი 636.
ასასინი 800.
ბადახში /ბალახში 382, 511, 908.
ბუმბულო 479.
გულანშარო 909.
დამი (რუსთველისა დამისა) 701.
დივნოსი /დიონოსი 298, 331, 397, 655.
ეზროსი 298, 331, 397, 665.
ეშვდინების/ეშვიდნების 156, 614.
ეშვით დნების 156, 614.
ვაზირი, სავაზირო 118.
ვეფხი 189, 302, 458, 505, 535, 539, 577, 591, 592, 616.
ზმა („კარგად ზმიდეს“) 199.
ზრუნი („მოუზრუნვეს“) 624.
ზურმუხტი 382.
თავის-თავ 271, 861.
იაგუნდი 382.
კარაბაკი, ჩაკარაბაკება 187, 261, 310.
კავშირი 202.
ლარული (ქსოვილი) 180.
მართალი სამართალი 4, 20, 27.
მალრიბული ოქრო 685.
მემაჯანი 648.
მენა 268.
მეუზრახე 417.
მზიანი ღამე 74, 195, 289, 634.
მზისა წვერვა 12.
მოლი 75.
მოცალეობა 48, 189, 276.
მროველი 7.
მულღაზანზარი 302.
ნათურქალი 525.
ნეხვა, ნეხვბალახა 443.
ორხაული (ქსოვილი) 180.
ოსტასრა/უსტასრა 795.
რთხმა, გართხმა, გადართხმა 589.
რუსთაველი/რუსთველი 7, 259, 592.
სააშიკო 509.
სადავე /სადევე 846.
სათი 798.
საკარგავი 231, 802.
სალამანი 300.
სამყარო 650.
სახე 410, 623, 695.
სევდისა მუფარახი 166.
სპარსი, სპარსული 193a, 817.
ტაიჭი 856.
უდილადო 338.
უჟამო ჟამი 195, 289, 634.
ფაზარი 382.
ქაჯი, ქაჯეთი 98, 559, 677, 733, 733, 800.
შეკვეთილი 767.
ჩხნდე 527.
ცის ბორბალი 683, 854.
ძალი უხილავი 475.
ხანაგა 694.
ხატაეთი 56, 463.
ხელის ხდა 554.
ხილობა 599.
ჯიქი 189, 458, 505, 535, 616.

## სარჩევი

წინასიტყვა ........................................ 3
რუსთველოლოგიური ლიტერატურა (1967-1980 წწ), ანოტირებული ბიბლიოგრაფია
1967 წ. ........................................ 5
1968 წ. ........................................ 51
1969 წ. ........................................ 86
1970 წ. ........................................ 110
1971 წ. ........................................ 128
1972 წ. ........................................ 146
1973 წ. ........................................ 166
1974 წ. ........................................ 184
1975 წ. ........................................ 203
1976 წ. ........................................ 224
1977 წ. ........................................ 242
1978 წ. ........................................ 255
1979 წ. ........................................ 269
1980 წ. ........................................ 286
დამატება ........................................ 301
ავტორთა საძიებელი ........................................ 309
პირთა საძიებელი ........................................ 313
საგნობრივ-თემატური საძიებელი ........................................ 319
განხილული სიტყვა-ფორმები და ტერმინები ........................................ 321